



გაქვეყნა საქონელი მხარე



ქართული ენა და დიფენსიზა

სსწავლებლის ბიბლიოთეკა

ქართული ენა

2009

III



ქართული
ბიბლიოთეკა

გ ა მ ო ც დ ე ბ ი ს ე რ ო ვ ე უ ლ ი ც ე ნ ტ რ ი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა დ ა
ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

ტომი II

ქართული ენა

თბილისი
2009



რედაქტორები:

*ელენე ბაბუნაშვილი
მზექალა შანიძე*

K 27. 631

ISBN 978-9941-0-3226-4

(სუთივე ტომის)

ISBN 978-9941-0-3228-8

(მეორე ტომის)

© სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2009.



შ ე ს ა ვ ა ლ ი

„მასწავლებლის ბიბლიოთეკის“ II ტომში თავმოყრილია სტატიები, რომლებშიც განხილულია ქართული ენის გრამატიკის საკითხები. დაბეჭდილია ისეთი ფუნდამენტური გამოკვლევები, როგორებიცაა – აკაკი შანიძის „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ქართულ ზმნებში“ და „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში“; არნოლდ ჩიქობავას „ქართული ზმნის ნაკეთვეულთა დაჯგუფების პრინციპებისათვის“ და „მარტივი წინადადების ევოლუციის ტენდენციები“; არამ მარტიროსოვის „თანდებული ქართულში“, სტატიები ქართული ენის მეტყველების კულტურასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებზე, კერძოდ, ელენე კოშორიძის „ეკლავ ერთი სადავო საკითხის გამო“; ნელი ცკიტიშვილის „ერთი სინტაქსური მოვლენის შესახებ“, ლია ლეჟავას „მსახდურელთა რიგი არავერთგვარ მსახდურელებთან შესიტყვებაში“ და მისთ. გარდა ამისა, იბეჭდება ქეთევან ლომთათიძის სტატია, რომელიც ქართული ენის ფონოლოგიური მოვლელის რღვევის პრობლემებს ეხება.

კრებულში დაბეჭდილია როგორც ღინგვისტური გამოკვლევები, ისე სამეცნიერო-პოპულარული სტატიები. გარდა ამისა, დიდი ადგილი ეთმობა პუბლიკაციებს, რომლებიც საგანგებოდ მასწავლებლებისათვის მომზადდა და სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ჟურნალებში: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ და „ბალავარი“.

ვუქირობთ, ეს კრებული სათანადო დახმარებას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მომზადებაში და, რაც მთავარია, სასწავლო პროცესის წარმართვაში.

ტექსტების ნაწილი გადმოტანილია სრულად, ნაწილი კი – კუპირებით.

ავტორთა სტილი ყველგან დაცულია.

გამოცდების ეროვნული ცენტრი პასუხს არ აგებს სტატიების ავტორთა სადავო დებულებებსა თუ ცალკეულ უზუსტობებზე.

ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში¹

უკვე გამორკვეულია, რომ ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულში მოვპოვება მხოლოდ მიცემით დამატებიან ზმნებს, ე. ი. ისეთ ზმნებს, რომელნიც დამატებით მიცემით ბრუნვაში მოითხოვენ არა მარტო აწყოში, არამედ ნამყო სრულშიც². გამორკვეულია ისიც, რომ ამ პრეფიქსს ქართულში საერთოდ რამდენიმე სახე აქვს (პ, ა, ხ, ღ, ს, შ, ზ, ტ, რომელთაგანაც ძველ სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივ მხოლოდ პ, ს და შ გვხვდება), მაგრამ მისი ხმარება მხოლოდ თანხმოვნით დაწყებული ფუძეებით არის განსაზღვრული. რაიცა შეეხება ხმოვნით დაწყებულ ფუძეებს, აქ ობიექტური პრეფიქსი (თუორიულად პ) იკარგება, როგორც ძველს, ისე ახალ სალიტერატურო ენაში და აგრეთვე ცოცხალ კილოვანშიც. მაგრამ ხმოვნის წინ მარტო მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი როდი იკარგება; იკარგება აგრეთვე მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსიც, რომელსაც ისეთივე ფონეტიკური სახეები აქვს, როგორც მესამე პირის ობიექტურ პრეფიქსს. მხოლოდ აქ ერთი გამონაკლისი მოიპოვება: ესაა არის ზმნა, რომელშიც დღემდისაც კი დაუცავს სუბიექტური პრეფიქსის ხმარება ხმოვნის წინ მეორე პირის ფორმაში: ვარ, ხარ, არი-ს. მაგრამ ეს ერთი ზმნა ყველგან და ყოველთვის განმარტებით დგას, რადგანაც მისი უღლება არც ერთი ცნობილი კილოს უღლების ნორმებს არ ეგუება: ხმოვნის წინ არა გვაქვს სხვა შემთხვევა მეორე პირის სუბიექტური ნიშნის შენახვისა. სამაგიეროდ შეიძლება მას პარალელები მოუპოვონ მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარების შემთხვევებიდან ხმოვნების წინ. ეს პარალელებია: ხერთვის, ხევაე, შეხეწე და შეხუბათ.

1. ხერთვის

ქართულში არ მოიპოვება ზმნის ფორმა **ხერთვის**, მაგრამ მოიპოვება ამ ფორმისაგან ნაწარმოები სახელი **ხერთვისი**. რას ნიშნავს იგი? ს. ორბელიანის დღესიკონით **ხერთვისი** არის „ზღვათა და წყალთა საშუალო ადგილი ხმელი“³. ამ განმარტებაში „წყალი“ უთუოდ მდინარის მნიშვნელობით არის ნახმარი და, მაშასადამე, ს. ორბელიანის ახსნის დღევანდელი თარგმანი იქნება: ზღვებსა და მდინარეებს შორის მდებარე ხმელი ადგილი. მაგრამ ზღვებსა და მდინარეებს შორის მდებარე ხმელი ადგილი ჩვენთვის დღეს შეიძლება კუნძულიც იყოს და ნახევარ-კუნძულიც, იმისდა მიხედვით, თლად არის იგი შემოფარგლული წყლით, თუ არა. რომელი მთავანი აქვს სულხანს მხედველობაში? თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ ტარე-მოებას, რომ **ხერთვისი** მას მიანიხა კუნძულიცა და ჭალაკის სინონიმად (მისი განმარტება **კუნძულისა** ასეთია: ხერთვისი, ჭალაკი, ხოლო **ჭალაკისა**: კუნძული, ვინა ჭალა). შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას **ხერთვისი** დღევანდელ კუნძულად ესმოდაც. მაგრამ არა! ასეთი გაგება იქნებოდა დღევანდელ ცნებათა გადატანა ძველს დროში და ჩვენი შეხედულების მოხვევა სულხანის თავზე. თუმცა ახალ ქართულში განსხვავებული გვაქვს კუნძული და ნახევარ-კუნძული, მაგრამ ძველ ქართულში ასეთი დიფერენციაცია არ უნდა ყოფილიყო და იქ ერთი და იგივე სიტყვა (ხერთვისი იქნებოდა იგი, **კუნძული**, თუ **ჭალაკი**) გამოყენებული უნდა ყოფილიყო როგორც კუნძულიც, ისე ნახევარ-კუნძულიცა და ალანიშნავად. ასეთი განურჩევლობა კუნძულიცა და ნახევარ-კუნძულიცა ძველ ქართულში გასაკვირი არ არის, რადგანაც იგი მარტო ძველ ქართულს როდი ახასიათებს; მსგავსივე მოვლენა არაბულშიც. არც თუ ძველ ბერძნულშია ძალიან გარჩეული კუნძული და ნახევარ-კუნძული. თუმცა აქ ნახევარ-კუნძულისათვის სპეციალურად ჯედნოითაც (ანუ ჯედნოითაც), ი, მოიპოვება, რაიცა ქართულად ხმელეთ-კუნძულს ნიშნავს, მაგრამ მაინც ვიოც, ი, აღნიშნავს არა მარტო კუნძულს ს. აკუთროვ, არამედ ნახევარ-კუნძულსაც. ეს ცხადად ნანს, მაგალითად, პელოპონესის ნახევარ-კუნძულის სახელწოდებიდან, რაიცა ეტიმოლოგურად კე-

¹ ა. შანიძე, თხ. ტ. II, თბ., 1981 (იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით).

² ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხ. ტ. II, თბ., 1981.



ლოპის კუნძულს ნიშნავს: Πελοπόννησος, ἢ = Πέλοπος νήσος. მაშასადამე, სულხან-საბა ორბელიანის ხერეთისის ახსნაში ჩვენ უნდა დავინახოთ როგორც კუნძული, ისე ნახევარ-კუნძულს.

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის პირველ გამოცემაში (1840 წ.) ხერეთისი ახსნილია კუნძულად (остров, ile), რაცა უნდა ეყრდნობოდეს სულხან-საბა ორბელიანის განმარტებას, რომელიც გაგებულა არ ისე, როგორც იგი თვით სულხანს ესმოდა, არამედ შიგ ჩადებულია ახალი მნიშვნელობა. მეორე გამოცემაშიც (1887-90 წ.წ.) მისი ქართული ახსნაა ჭალაკი, კუნძული, ხოლო რუსული თარგმანია *перешеек, остров*. ეს *перешеек*-ი ცოტა ვერ უდგება იქვე მოყვანილ ქართულ ახსნა-განმარტებას („ჭალაკი, კუნძული“) და არ ვიცით, საიდან მომდინარეობს და რას ემყარება იგი. დ. ჩუბინაშვილს ამ უკანასკნელ გამოცემაში ადგილიც კი მოჰყავს, სადაც ხერეთისი უნდა გვგვხვდებოდეს: ეს ყოფილა „ტიმ. 36“. ეს „ტიმ.“ უნდა იყოს ალბათ „მოხილა წმიდათა და სხუთა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთე-საგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა“, რომელიც დაბეჭდა პლ. იოსელიანმა ტფილისის 1852 წელს. მაგრამ ვერც ამ წიგნის 36 გვერდზე და ვერც საზოგადოდ სადმე ამ წიგნში მე ვერ ვიპოვე ხერეთისი. ტიმოთე ამ თავის „მოხილვაში“ წვეულებრივ ან ჭალაკს ხმარობს (23, 20; 24, 4; 31, 1; 103, 17; 123, 9; 123, 20; 124, 3; 125, 9, 12-13; 174, 19; 179, 7, 10, 13, 15, 16-17, 22; 180, 6; 184, 13; 185, 1) ან კიდევ კუნძულს (25, 17; 53, 21; 103, 1-2; 116, 5; 121, 5-6; 123, 23). ერთ ადგილას, მაგალითად, იგი წერს: „მოერ წარვედით კუნძულსა სუბუქსა და მიერ ჭალაკსა კუნძულსა (sic) როდოსს“ (125, 15-17).

ხერეთისი რომ კუნძულია, ან ნახევარ-კუნძულია, ამის დასამტკიცებლად შევდივართ მართლაც დავიმოწმით ძველი ძეგლები.

ხერეთისი კუნძულია

ა) გრიგოლ ნოსელი ეს ერთ წიგნში, რომლის თარგმანიც ორ რედაქციად არის მოღწეული. ერთ რედაქციაში ხერეთისი იკითხება, ხოლო მეორე რედაქციაში — ჭალაკი:

არამედ ჯერ იყო ჭეშმარიტად, რადთა განიშხადოს სამეფოთ პირველ და მაშინდა გამოჩნდეს მეფეს. და ვითარ განმზადდა დაბადებულმან ყოველთამან საუნჯეს სამეფოთა, — და არს ესე ქვეყანაი, ზღუად და ხერეთისნი. ესე ცაჲ, რომელი არს მაგრილობელ მათ ზედა, დაიუნჯა საუნჯესა ამა ყოველი სიმდიდრს („კაცისა შესაქმისათს“³). ძველი რედაქცია, შენახული შატბერდის კრებულში, გვ. II ბ).

არამედ პირველ სამთავროსა ჯერ-იყო შემზადება და ესრეთა შემოყვანება მეფოსო. ხოლო ვინათგან ყოველთა დაბადებულმან ვითარცა სამეფოთნი ეზონი ესრეთ განმზადნა მეუფედ ყოფადსა მას ზღუად და კმეული და ცაჲ და ქუეყანაი და ჭალაკნი⁵ და მდინარენი და ვითარცა სართული და კამარა მოდრიკა მათ ზედა სამყარო ესე ყოველად შეუენიერი და სამეფოთა ამათ შინა ხიმდირე პირად-პირად დაუუნჯა [დაბადებისათს კაცისა], ახალი რედაქცია გორგი მთაწმიდლისა. წყარა-ითხვის საზ. მუხუმიხს ხელნაწერი №1358 (ფ. 146); აგრეთვე №№2666 (რგ. 13, გვ. 3); 272 (გვ. 223) და 120 (გვ. 121).

³ საღვთო წერილის ქართულ თარგმანში წვეულებრივ ჭალაკი იხმარება (მცხეთის დაბადებულშიც, თ. კორდანიასკულ ხელნაწერშიც, მოსკოვის გამოცემაშიც). დაბ. 10, 5; ფსალმ. 71, 10; 96, 1 (ახეა ფსალმუნის ძველ ხელნაწერშიც).

კუნძული უკვე ვეფხისტყაოსანშია ნახმარი (დ. კარიჭაშვილის გამოც. [1920] 584, 2 = კაკაბაძის გამოც. 564, 2 = აბულაძის გამოც. 540, 2), საიუბილეო გამოც. 601, 2.

⁴ ამ ძეგლში რომ ხერეთისი გვხვდება, ამ გარემოებაზე ჩემი ვერაღებელი შიშები ვარდ. თოფურიაში.

⁵ ჭალაკნი ასე იკითხება 1358 ნომერში. 272-სა და 2666-ში იკითხება ბალაკნი, ხოლო 120-ში ჯერ ბალაკნი ყოფილა და შემდეგ ბანი ჭარად გადაუსწორებიათ.



ბ) ტიმოთე ეპისკოპოსის წამებაში ვკითხულობთ:

ხოლო გულის-თქუმა საეშმაკოი დაენერგა გულსა დომენტიანოს მეფესა პრომინსასა, რომელი იყო შემდგომად ნერონ მეფისა. ესე აღგზნა რისხეთა დიდითა ზემო ცხენებულსა ამას ზედა წმიდასა იოვანეს ღმრთის-მეტყუელსა და შურითა საეშმაკოითა განდევნა იგი ქალაქით ვეფსით და უბრძანა, რათა დაემკვდროს იგი ჭალაკსა პატმონისასა, რომელი არს ერთი შეცვუღო და ხერთვისთაგანი⁶. აქ მოყვანილ ციტატაში სიტყვა „შეცვული“ შეიძლება იონარად გავიგოთ: იგი უნდა იყოს ან დაცული სამხედრო ძალებით (რომაელები ხომ იქ პერობილებს გზავნიდნენ), ან კიდევ გარემოცული, ირგვლივ შემორტყმული წყლით. წამების გამომცემელი პროფ. კ. კეკელიძე უკანასკნელ განმარტებას უჭერს მხარს და მეც ასე მგონია და, მაშასადამე, ტექსტის უკანასკნელ სიტყვებში „რომელი არს ერთი შეცვულთა ხერთვისთაგანი“ უნდა იგულისხმებოდეს კუნძული დღევანდელი მნიშვნელობით. ირგვლივ გარემოცული წყლით. მაგრამ, თუ კი შეიძლება, რომ ხერთვისი იყოს „შეცვული“ (ე. ი. კუნძული), ალბათ შეიძლება, რომ იგი იყოს აგრეთვე „მეცვადი“ (ე. ი. ნახევარ-კუნძული). და, მართლაც, ასეთი მნიშვნელობითაც არის იგი ნახმარი ძველ ძეგლებში.

ხერთვისი ნახევარ-კუნძულია

ა) ვეფსიანე და ალექსის ცხოვრებაში ვკითხულობთ:

პოვა მუნ ნავი ჭუამღლი და შევიდა მას შინა და პრქუა მენავეთა მათ: წარვემართეთ ასურეთა, სადა-იგი არს ხერთვისი და ხატი ღმრთისაჲ. და წარვიდეს მიერ და განვიდეს დაედიოიად და პოვნეს მოგზაურნი მეკარაულენი და შევედრა მათ და წარივიდა ხერთვისად ასურეთისა, სადა-იგი არს ხატი ღმრთისაჲ. აქ ასურეთის ხერთვისად ნაგულისხმევია მესოპოტამია, ანუ შუამდინარე, რომელიც მართლაც ნახევარ-კუნძულს წარმოადგენს დოჯლასა და ვეფრატს შუა. სწორედ მესოპოტამიაში მდებარეობს ურპა ქალაქი ანუ ედესა, სადაც, გადმოცემის თანახმად, თითქო იყო ხელი-უქმნელი ხატი, რომელსეცადც საუბარია მოყვანილ ციტატაში.

ბ) წმ. მიქაელის წამებაში ვკითხულობთ: „მოუგო მონაზონმან [ამირმუმლსა] და პრქუა: ოთხნი კიდენი ოთხთა სახარებათანი და ათორმეტნი ნაწილნი ათორმეტთა მოციქულთანი, რომელ არიან ესენი: ხინდეთი და ჰინდოეთი, ნუბეთი და აფრიკეთი, გუთეთი და საბერძნეთი, ბურღანეთი და ქერსონეთი, აფხაზეთი და ხაზარეთი, დელამეთი და ფარღანეთი, – ესე არიან ზღუს-კიდენი; ხოლო თქუნ, სარკინოზნი, მკურობელნი ხართ ერთისა ხერთვისისისანი და უმრავლსნი ერნი ქუეყანისა თქუნისანი მორწმუნენი არიან უფლისა ჩემისა და შენნიცა მსახურნი წარჩინებულნი მწიგნობარნი და მკურნალნი მოსაენი მკსნელისა ჩემისანი⁷. მოყვანილი ადგილიდან ცხადია, რომ ხერთვისი უნდა იყოს ნახევარ-კუნძული, ასე რომ „თქუნ, სარკინოზნი, მკურობელნი ხართ ერთისა ხერთვისისანი“ დღევანდელ ენაზე გადმოთარგმნით იქნება: თქვენ, სარკინოზებ (ე. ი. არაბებს), გაიპყრიათ ერთი ნახევარ-კუნძული.

გ) ჯუანშერს თავის ისტორიაში ორჯერ აქვს ნახმარი ხერთვისი. ერთ ადგილას იგი მოგვითხრობს:

(მარიამ დედოფ. რედ.)

ეწუენეს იგინი ზღუის კიდესა მას, რომელ არს ჭალაკსა, რიყესა ხერთვისსსა (*351, გვ. 152).

(ანა დედოფ. რედ.)

ეწუენეს იგინი ზღუის კიდესა მას, რომელ არს ჭალაკი, რიყე ხერთვისისა (რეგული ი. გ. გვ. 15).

მარიამ დედოფლისეულ რედაქციაში უკანასკნელი სიტყვა პატივს ქვეშ უნდა ვიგულისხმობთ

⁶ ვინ იცის, ვგების ამ ტიმოთეს წამებას გულისხმობდა დეკრიკოლოგი დ. ნუბინაშვილი რომელიმე ხელნაწერის მიხედვით, როცა იგი ხერთვისის მნიშვნელობის გამორკვევისათვის რომელიღაც ძველს იმოწმებდა.

⁷ პროფ. კ. კეკელიძე, ქართული პავიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტ. I, ტფილისი 1918, გვ. 105, 13-18.

⁸ პროფ. კ. კეკელიძე, Op. cit., 162, 1-5.

⁹ იქვე, 170, 7-14.



და, როცა ქარაგმას გავხსნით და ძველ ორთოგრაფიასაც აღვადგენთ, მივიღებთ, როგორც ჩვენს წინამძღოლს, რიყესა ხერთვისისასა". ანა დედოფლისეულ რედაქციას მისდევს თეიმურაზ ბატონიშვილი ული ხელნაწერით, მაგრამ აქ უკანასკნელი ხიტყვის ფორმა არა **ხერთვისისა**, არამედ **ხერთვისისა**: „უწყუნეს ივინი ზღვის კიდესა მას, რომელ არს ჭალაკი, რიყე ხერთვისისა“ (ქართლის ცხოვრება, I, პეტრბ. 1849, გვ. 129). ამ ადგილზე ცოტაოდნად საგონებელში ჩაავსო მ. ბროსე, რომელმაც იგი ასე გადათარგმნა: „Le combat s'engage, au bord de la mer, dans l'île caillouteuse de Khertwis“ და თანაც ასეთი შენიშვნა დაურთო¹⁰: „სიტყვა ხერთვისი, რომლის წარმოშობა მე არ ვიცი, ხელხანის ღვექისნის მიხედვით არის „ზღვათა და წყალთა ნაშუადღი ადგილი ხმელი“ და, მაშასადამე, კუნძული, სომხ. *ჟიქ*. სპირი, სადაც ქართველებს დაუხვეიათ, არც თუ ვერც ახლოა ზღვასთან, მაგრამ, როგორც ჩანს, ვახტანგი დაახლოებულია დახიკის ნაპირს. ესეც კია, რომ, მემბტიანის მოთხრობის მიხედვით, დაპარაკი უნდა იყოს, ცხადია, არა ზღვაში მდებარე კუნძულზე, არამედ, უგუველია, ქვეყნის რომელსამე ნაწილზე, რომელიც რამდენიმე მიმდინარე წყალს შორის არის მოქცეული და რომელსაც ხერთვისი ერქმეოდა, როგორც არის ამავე სახელის მქონე ციხე იქ, სადაც საკუთრივ მტკვარს ერთვის მდინარე, რომელსაც ვახუშტი ჯვახეთის მტკვარს უწოდებს“. ამ შენიშვნის მეორე ნაწილი მხოლოდ იმდენად არის წორი, რამდენადაც იგი საზოგადოდ ხერთვისის სემანტიკას ეხება. მაგრამ ბროსე ცდებოდა, როცა იგი, ახალი ქართული გავლენით, ბრძოლის ასპარეზს ზღვას აშორებს. მართლაც და: სადა აქვს ჯუანშერს წარმოდგენილი ომი: ზღვის ნაპირზე, თუ ზღვისაგან მოშორებით? დაუკვირდეთ მის მოთხრობას. ვახტანგმა განაცხადა ფურმე: „ადევდეთ აქათ და დაიბანაკეთ ზღუასა სომხითთ კერძო, რათა გუაქუნდეს წუენ ზხაი ჭირისა და ღხინისა“-ო. ამის შემდეგ თურქი „აღიოქრა სპარის იგი გარემოს ქალაქისა და ვლეს ჭირისა დღისა სავადლი სომხითთ კერძო და დადგეს სპირით კერძო“¹¹ (ქართ. ცხოვრ., I, 1849, გვ. 128). რაკი ამის შემდეგ მოთხრობილია, რომ „უწყუნეს ივინი ზღვის კიდესა მას, რომელ არს ჭალაკი, რიყე ხერთვისისა“ (ან „რომელ არს ჭალაკსა, რიყესა ხერთვისისასა“), ცხადია, ჯუანშერის წარმოდგენით, ომი მომხდარა ზღვის პირად, რიყეზე, მაგრამ ეს ზღვის პირი მდებარეობით ყოფილა ჭალაკი, ე. ი. ამ შემთხვევაში ნახევარ-კუნძული, რომელიც ერთი მხრით შესაბამისად მდინარითაც იყო შემოფარგლული. მაშასადამე, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ადგილი ყოფილა ხერთვისი და შეიძლება, რომ სახელადაც მას საკუთრად ხერთვისი ერქვა. ამ შემთხვევაში ეს ბუნებრივი იქნებოდა მისი **ხერთვისად** გადაკეთება ჭანურ-მეგრულ წესზე, როგორც ეს ანა დედოფლისეულ ხელნაწერში იკითხება (დასახელებულ მიდამოებში ხომ ჭან-მეგრულთა ტომები მოსახლეობდნენ), რომ აქ უბრალო შეცდომა არ გვეჩვენებს.

ღ) მეორე ადგილას ჯუანშერის მოვითხრობს:

(მარიამ დედოფ. რედ.)

ცნეს სპარსთა, რამეთუ დამძიმდა ვახტანგ, და მოაოჭრეს ტფილისი და არმაზი ქალაქი; ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდესა გარეუნით იყო, მოაოჭრეს, რომელი მუხრანით და არაგუსა ხერთვისისა იყო (*397-398, გვ. 183).

(ანა დედოფლ. რედ.)

ცნეს სპარსთა, ვითარმედ დამძიმდა ვახტანგ, მოაოჭრეს ტფილისი ქალაქი და არმაზი ქართლი, ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდესა გარეუნით იყვნეს, მოაოჭრნეს, რომელი-იგი მუხრანით და არაგუსა ხერთვისისა იყო (რეკული ი' მ, მეოთხე გვერდი ბოლოდან).

გამოიხსნის, მაშასადამე, რომ სპარსელებს, ჯუანშერის აზრით, მცხეთისთვის რომ ვერა დაუკლიათ რა, მოუოხრებიათ მისი ზღუდის გარეშე ადგილი „რომელი-იგი მუხრანით და არაგუსა ხერთვისისა იყო“, ე. ი. მუხრანიდან მოკიდებული რაც კი მტკვარსა და არაგუს შუა ნახევარ-კუნძულსავით მდებარე ადგილები იყო. მ. ბროსეს **ხერთვისი** აქ კიდევ უფრო ფართოდ ესმის: მისთვის იგია „არაგუსა, მტკვარსა და ქსანს შორის მდებარე ადგილი“¹², მაგრამ მე მგონია, რომ ხერთვისის საზღვრები აქ მხოლოდ მტკვრით და არაგუთ უნდა შემოი-

¹⁰ Histoire de la Géorgie, I, გვ. 171.

¹¹ მარიამ დედოფლისეულსა (*346-347, გვ. 149) და აგრეთვე ანა დედოფლისეულ რედაქციაშიც ეს ადგილი ცოტაოდნად შერყენილია.

¹² Histoire de la Géorgie, I, გვ. 198, № 3. 4.



სახელოს. არსიდან არა ჩანს, რომ ჯ უან შერს ქსანიც კჳონდეს მხედველობაში **ხერთვისის** მისთვის, უაჭველია, ორ წაღს შუა მდებარე ადგილია. მართალია, ამ ორ წაღს **საქარაჯი** მხოლოდ არაგვს ახსენებს, მაგრამ ცხადია, რომ მეორე მდინარედ მას მტკვარი აქვს ნაგულისხმევი.

ძველი ტექსტების მოწმობით, მაშასადამე, ხერთვისი აღნიშნავდა როგორც დღევანდელ კუნძულს, ისე აგრეთვე ნახევარ-კუნძულსაც, რომელთა დიფერენციაცია მაშინ არც არსებობდა. მიუხედავად ამისა, მინც უნდა ვთქვათ, რომ ხერთვისი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ნახევარ-კუნძული და არა კუნძული, თანაც ისეთი ნახევარ-კუნძული, რომელიც ორი მდინარის შეერთებით (ან მდინარის ზღვასთან შეერთით) არის წარმოდგარი. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საზოგადო სახელი ხერთვისი საკუთარ სახელად იქცა ქართლში და გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ამოყო თავი.

ხერთვისი დღესაც გეოგრაფიული სახელია და იგი რამდენიმეჯერ გვხვდება. მაგალითად, ხუთ-ვერსიან რუკაზე, რომელიც გამოცემული იყო კავკასიის სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ, ამ სახელწოდებით (**Хертвиси, Хертвиса**) ხუთ სოფელია აღნიშნული:

1. ჯავახეთში, იქ, სადაც მტკვარს ახალქალაქის წყალი ერთვის.
2. ფოცხოვში, წურწყაბიდან 15-იოდე ვერსის მანძილზე, ჩრდილოეთით.
3. კლარჯეთში, არტანუჯის აღმოსავლეთით, ათიოდე ვერსის მანძილზე.
4. აჭარაში, სადაც ჭოროხს აჭარის წყალი ერთვის (= ზედა ხერთვისი?).
5. აჭარაშივე, მაჭახელის წყალზე (ქვედა ხერთვისი).

მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ხერთვისი, როგორც გეოგრაფიული სახელი, გაცილებით უფრო მეტია საქართველოში, ვიდრე რუსულ ხუთ-ვერსიან რუკაზეა აღნიშნული. მაგალითად შემიძლია დავასახელო

6. კიციანს ვაღმა მდებარე ადგილი, სადაც ფშაის არაგვს შთიულეთის არაგვი უერთდება და რომელსაც **ხერთვისი** ჰქვია. იგი დასახელებულ რუკაზე აღნიშნული არ არის.

თუ ყურადღებას მივაქცევთ ზემორე ჩამოთვლილი ადგილების მდებარეობას, ვნახავთ, რომ ყველანი მდინარის პირად იმყოფებიან: მეტეც ვიტყვი: ყველანი შერთულ მდინარეებს შორის არიან მოქცეულნი; „არიან მოქცეულნი“-მეთქი, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, მეთქვა: „უნდა იყვნენ მოქცეულნი“, რადგანაც უაჭველად და დანამდვილებით ამის მტკიცება ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამი ხერთვისის შესახებ შემიძლია: არაგვისა, მტკვრისა და ჭოროხისა. ერთ მათგანს ვახუშტი ბატონი შვიდი ასე ნიშნდობლივ აგვიწერს: „სადა ერთვის მტკვარს ჯავახეთის მტკვარი, ამ ორს მდინარეს შორის არს ხერთვისი: მტკვრის აღმოსავლეთის კიდევზედ და ჯავახეთის მტკვრის სამხრით“¹³. სხვა ხერთვისებსაც აღბათ ასეთივე მდებარეობა აქვთ, თუ, რასაკვირველია, რომელიმე მათგანი სხვა ხერთვისიდან გადმოსახლებული ხალხის მიერ გაშენებული არ არის და სახელიც იქიდან, ძველი ხერთვისიდან, გადმოტანილი და ახალშენის მდებარეობის შეუფერებლად დარჩეული არ არის. ერთი სიტყვით, **ხერთვისს** უნდა მოველოდეთ ჩვეულებრივ მხოლოდ იქ, სადაც მდინარე მდინარესვე ან ზღვას ერთვის.

ერთვის – აი ის ზმნის ფორმა, რომელთანაც ეტიმოლოგიური კავშირი აქვს **ხერთვისს**¹⁴. რომ ეს კავშირი უდავოა, ამას ერთთავად ისიც ადასტურებს, რომ **რთვა** ზმნისაგან სხვა გეოგრაფიული სახელიც გვაქვს ნაწარმოები, სახელდობრ შერთული, რომელიც სოფელია დიდისა და პატარა ლიახვის შესართავთან. ოღონდ შერთული ახალი ფორმაა, ძველად კი იგი მრავლობით რიცხვში ყოფილა ხმარებული: შერთულნი, შერთულთა, როგორც ამას გვიჩვენებს შემდეგი ადგილი ქართლის ცხოვრებისა:

(მარიამ დედოფლ. რედ.)

თუთ თავადი ხურტანი დაღვა კარბსა და

(ანა დედოფლ. რედ.)

და თუით თავადი ხურტანი დაღვა კარბს

¹³ დიორბაჩიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, პეტერბურგი, 1842, გვ. 96.

¹⁴ **ხერთვისის** ეტიმოლოგიური კავშირი **ერთვის** ფორმასთან გათვალისწინებული კჳონია ი. როსტომაშვილისა, რომელსაც ოღონდ ხანი უცდომით შემოკლებული **ხვეი** (scil. ჰვეი) ჰგონია. იგი წერს: «Хертвис – слово грузинское. Образовалось оно из двух слов: х сокращенное хелв – река, вода и ртвис (ერთვის) – соединяется. И действительно, Хертвис стоит как раз у соединения р. Топараваки с Курой, на левой стороне первой и на правой – второй» (Ахалкалакский уезд в археологическом отношении: Сборник материалов, XXV, 115).



მერმე ჩამოვლდა შერთულთა (*501, გვ. 271-272)¹⁵.

და მერმე ჩამოვიდა შერთულთა (გვ. 5).

ამ ხიტების ეტიმოლოგია, დაკავშირებული სოფლის გეოგრაფიულ მდებარეობასთან, ჯერ კიდევ ვახუშტის აქვს სწორად განმარტებული, რომელიც წერს: „ვარიანს ზეთ უთვლით ღობახვს აღმოსავლელიდან ბატარა ღლიახვი, ამის გამო ყოფიდა დაბასა ამას შერთულთა“ -ო¹⁶.

მაშასადამე, **ხერთვისი** სულ სხვანაირად ნაწარმოები სახელი ყოფილა, ვიდრე მრავალი გეოგრაფიული სახელი, რომელთაც ბოლოში ის სუფიქსი აქვს: არანისი, ბირთვისი, ბოლნისი, დათისი, ვერისი, თუხარისი, კრწანისი, ღარგვისი, მანგლისი, მარილისი, ნინოსი, ოლთისი, პანკისი, რუისი, საცხენისი, ტვიზისი, ურბნისი, ფარცხისი, ქსოვრისი, ყინწვისი, ყორნისი, ცერონისი, წაგვისი და სხვანი, იმიტომ რომ ხერთვისში -ის დაბოლოებაში მე-3 პირის ნიშანი შედის (-ის), ჩამოთვლილ სახელებში კი ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია. ეს ნათეს. ბრუნვა ამ შემთხვევაში გამოწვეულია სახლერული სიტყვის მიერ, რომელიც შემდეგ დაკარგულა¹⁷, თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა მსგავს წარმოებაში მსახლერულთან ერთად შენახულია აგრეთვე სახლერულიც: **ახო** [აკო], (ბარის აკო), **გორი** (იფნის გორი), **თავი** (რუსთავი, წყაროს თავი, ხიდის თავი), **კარი** (ღართის კარი, ხიდის კარი, ტაშის კარი, ღებანის კარი), **პირი** (არაგვის პირი, რუის პირი), **უბანი** (ვარდის უბანი), **ყანა** (ღოლის ყანა), **ყური** (ღაღის ყური), **ციხე** (ველის ციხე, ლახტის ციხე, მწვერვის ციხე, ტურის ციხე, უფლის ციხე), **ძირი** (ტახტის ძირი, ციხის ძირი), **წყარო** (კოდის წყარო), **ჭალა** (ხევის ჭალა), **ხევი** [ხევი] (კეთის ხევი, კისის ხევი), **ხიდი** [ხიდი] (ტინის ხიდი), **ჯუარი** (ციხის ჯუარი) და სხვ.

გვესმის გვეითხონ: შეიძლება კი, რომ ზმნის ფორმა გამოყენებულ იქნეს ქართულში სახელად? – რატომ არა! იქნება ჩვენი პასუხი. თავი რომ დაეანებოთ ისეთ ზმნის ფორმებს, რომლებიც საკუთარ სახელად ქცეულია ქართულში, როგორცაა: **ღვთისა ვარ**, **მინდი** (მინდა), **გამიხარდი**, **მახარე**, **გამახელა**, **გინდრა** (=გინდ რა), **მეწყინა** (ქალის სახ.), **კმარა** (ქალის სახ.), **მინდა** (ქალის სახ.), **ქალუნდა** (=ქალი უნდა)¹⁸, ჩვენ შეგვიძლია მივიყენებოთ იმისი მაგალითებიც, რომ სახელად აწმუის თხრობითის შესაძებ პირის ფორმა იყოს ქცეული იმგვარადვე, როგორც **ხერთვისი**; ესენია: **ღირს-ი**, **არს-ი** და **მსგავს-ი**. ამ მაგალითებში **ღირს-ისა** და **არს-ის** წარმოება ნათელია [**ღირს-ი** = **ღირს** + **ი**; **ვღირ**, **პღირ**¹⁹, **ღირ-ს**, **არს-ი** = **არ-ს** + **ი**; **ვარ**, **ხარ**, **არ-ს**]. შეიძლება მხოლოდ **მსგავს**-მა ჩაგვაგოს საკონტრულში. ამ უკანასკნელი სიტყვის წარმოშობა რომ გამივარკვიოთ, იგი ორად უნდა გავყოთ: **მს** + **გავს**. პირველ ნაწილში თითქო გვაქვს შეკვეცილი **მას**, მეორეში კი – **გავს** ზმნის ფორმა. მაშასადამე, **მსგავსი** მიღებული უნდა იყოს **მას გავს** ჯგუფისაგან ანისა და **გავს** დაკარგვით და ინის დართვით სახელობითში²⁰.

რაკი საკითხი ყოველ მხრივ არის განხილული, ეხლა, მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **ხერთვისი**, რომელიც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო წყლების შესართავთან მდებარე ადგილი, შემდეგ ორ წყალს შუა მდებარე ადგილი, აქედან მერ-

¹⁵ თეიმურაზ ბატონიშვილისხული ხელნაწერი მარიამ დედოფლისხული რედაქციას უჭერს მხარს: „და თვთ თავადი სულტანი დადგა კარბს და მერმე ჩამოვლდა შერთულთა“ (ბროსეს გამოც., 131, 10).

¹⁶ Op. cit., გვ. 250.

¹⁷ ამის ანალოგიები მოიპოვება აგრეთვე მებრუნეშიცა და სვანურშიც.

¹⁸ ქრისტესაც ამავე ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან ქრისტეცხია მიღებული ჩანს აქედან: ქრისტესი არს, თუმცა შესაძლებელი კია, რომ ანი აქ კნინობითის ფორმისა იყოს, როგორც სახელებში: გოგია, პეტრია, პავლია, თეკლია, ნინუა და სხვ.

თითქო ასეთვე წარმოებისა არაშენდა სოფლის სახელი.

¹⁹ **ვღირ**, **პღირ** – ეს ძველი ფორმებია, რომელთა ნაცვლად ახალ ქართულში **ვღირვარ** და **პღირხარ** გვაქვს.

²⁰ საეჭვოა, რომ **მსგავს-ის** წინარე ფორმა **მის-ი** + **გავს-ი** იყოს და არა **მას** + **გავს-ი**. კიდევ უფრო საეჭვოა, რომ მანი აქ აქტიურ მიმღებობათა ფორმების ანალოგიით იყოს განვითარებული, ხოლო ხანი **გავს** ბგერნაწვლიობას ეწოდეს, ვ. ი., სხვანაირად რომ გამოხატოთ, თითქო **მსგავი** = **მ** + **გავს-ი** → **მ** + **სგავს-ი**.

უნდა აღინშნულ იქნეს განსაკუთრებით ის ვარემოება, რომ ძველ ქართულში არა გვაქვს შემთხვევა ხანის ასომილაციისა განთან: **მსგავსი**, **ემსგავსა** და **სხვ** (და არა **მზგავსი**, **ემზგავსა** და **სხვა**).



მე ნახევარ-კუნძული და, უკანასკნელ, კუნძული, საშუალებას გვაძლევს აღვადგინო ზმნის ფორმა მესამე სუბიექტურ-ობიექტური პირისა აწმოს თხრობითი მხოლოდობით. რეკონსტრუქციისთვის. ამ ფორმის დღევანდელი შესატყვისია ერთვის, რომელიც ენებითა თავისი წარმოებით და რომელსაც დამატება აქვს მიცემით: ერთვის მას. დღევანდელი ერთვის ისტორიულად *ჰერთვის ფორმისაგან არის წარმოშობილი, როგორც ამას თანხმონიანი ზმნების უღლების ნორმები გვიჩვენებს. ჰერთვის-თან შედარებით ხერთვის-ი დიალექტური ფორმაა მხოლოდ: პაე (*ჰერთვის→ერთვის) და ხანი (ხერთვის) მესამე პირის ობიექტური ნიშნებია და ერთიმეორის ბეგრინაცეაღანი.

საკითხავია: შეიძლება კი ქართულში საზოგადოდ ასეთი დიალექტური ფორმა? გვაქვს კი რაიმე მსგავსი წარმოება, კიდევ, რომ მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი ხმონის წინ მართლაც შენახული იყოს ხანის სახით რომელსამე ზმნის ფორმაში? – გვაქვს, როგორც გვარ-წმენებს შემდეგი მაგალითები.

2. ხეყავ

მცხეთის ჯვრის საყდრის წარწერებში ორჯერ არის ნახარი ზმნა, რომელსაც თემა ხმონით ეწეება და დამატებაც აქვს მიცემით: ერთია ადრნერსე ვიპატოსის წარწერაში, ხოლო მეორე – დემეტრე ვიპატოსისაში. ორივე ვიპატოსი მთავარანგელოზებს ევედრება: ადრნერსე ვაბრიელს, დემეტრე კი მიქაელს. ორივე ვიპატოსის ევედრება მთავარანგელოზებისადმი ერთნაირად არის შედგენილი. განსხვავება, თუმცა მცირეოდენი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი, მოიპოვება მხოლოდ ზმნის ფორმაში.

(წრილო აღმოსავლეთის სარკმელზე)
წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო,
ადრ[ნ]ერსეს ვაპატოსსა მეოხ ეყავ.

(სამხრეთ-აღმოსავლეთის სარკმელზე)
წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო,
დემეტრეს ვაპატოსს[ს]ა მქეოხ ხეყავ.

არც ა. ნატროშვილსა²¹ და არც ე. თაყაიშვილს²², რომელთაც მოყვანილი აქვთ წარწერები, აღნიშნული არა აქვთ, რომ მიქაელ მთავარანგელოზისადმი მიმართულ ლოცვაში იკითხება მეოხ ხეყავ და არა მეოხ ეყავ, როგორც ისინი კითხულობენ. მაგრამ, რომ წარწერაში ორი ხანია (მეოხ ხეყავ) და არა ერთი (მეოხ ეყავ), ამას ამტკიცებს დ. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც ამაჰმად ტფილისის უნივერსიტეტის ფოტოგრაფულ კაბინეტშია დაცული (№18800/793)²³. ამასვე ამტკიცებს იგივე წარწერა, მოყვანილი ბართლომეუს ნუმიზმატიკურ-არქეოლოგიური წერილების ბოლოს დართულს მესამე ტაბულაზე მეოთხე ნომრად, და აგრეთვე თვით ტექსტშიც დამბეჭდილი, რომლის შესახებაც იგი ამბობს: შესაძლებელია, რომ უკანასკნელ სტრიქონებში ისეთივე ფორმულა იყოს, რომლითაც თავდება მარჯვენა სურათის დღევანდა²⁴, მაგრამ ესეც კია, რომ მე კარგად ვაგარჩიე ორი ხ, რომლებიც აქ ერთურთს მისდევენო. მაშასადამე, ორი ხანის არსებობა უდავოა და ფორმა მეოხ ხეყავ დამოწმებულია წერილობით. აქ, მართლაც, მეტად იშვიათი მოვლენა: ხანის სახით ხმონის წინ შენახულია ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა; ობიექტური მესამისა და არა სუბიექტური მესამე პირისა, ვინაიდან მეოხ ხეყავ – ეს ბრძანებითის კოლა, ბრძანებითის ფორმას კი სუბიექტური პრეფიქსი არ უნდა. აქ გასაკვირველი მხოლოდ ის არის, რომ იგივე მოვლენა არ არის დადასტურებული მეორე ანალოგიურ წარწერაში, რომელიც ადრნერსე ვიპატოსს იხსენიებს. რას ნიშნავს ეს? ეგების აქ უბრალო შეცდომაა წარწერის ამოგრდებისა და როგორც ადრნერსეს წარწერაში, ისე დემეტრესაშიაც იკითხებოდეს ნამდვილად მეოხ ეყავ? სწორედ ასე უნდა დაგვეყენებინა საკითხი, რომ მცხეთის საყდრის ხეყავ ფორმისათვის არ მოიპოვებოდეს ანალოგიური წარმოება იმავე ადრინდელის ბოლნისის სიონის წარწერებში და თანაც არა ერთი, არამედ ორი.

²¹ Мичет и его собор Святи-цховели, 1901, გვ. 19.

²² ჯვრის მონასტრის წარწერები: „სახალხო ფურცელი“, 1914, 8 ივლისი, №32.

²³ შემდეგ იგი შევიდა საქ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდში.

²⁴ მარჯვენა მხარეს იმავე ტაბულაზე ბართლომეუს მოიკავს ადრნერსე ვიპატოსის ევედრება გაბრიელ მთავარანგელოზისადმი.

3. შეხვეწი

ბოლნისის სიონის საკურთხეველის სარკმლის თავზე, გარედან, უძველესი ასოებით გამოყვანილია შემდეგი წარწერა, რომელშიც ჩახატულია წრეშემოვლებული ჯვარი.

ქრისტე, დავით ეპ[ის]კოპ[ო]სი კრებულითურთ
და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავყანისმცემელნი
შეიწყალენ და მ[შ] [რ]ომ [ე]ლთა ამას ეკლესი[ა] ა[ს]სა
[შ]ინა [შ] ეხვეწი იო

ეს წარწერა პირველად გამოაქვეყნა ბროსემ ბართლომეს მიერ მისთვის გაგზავნილ წერილში. მაგრამ ზოგი რამ იქ ვერ არის გარჩეული. წარწერა ნაწილობრივ დაზიანებულია და ზოგს ჩემ მიერ ამოკითხულ სიტყვასაც განმარტება უნდა.

თავყანისმცემელნი. ეს სიტყვა კარგად იკითხება. ეს ძველი და საყურადღებო ფორმაა, სადაც ვინისაგან წარმოშობილი უ (თავყანის-მცემელი→თავყანისმცემელი) ჯერ კიდევ თავის ადგილზეა და არ გადახულია ყრის შემდეგ. პირვანდელი ვინი დამოწმებულია, მაგალითად, თემქტიას წარწერაში მცხეთის ჯვრის ეკლესიის დედათა საყოფლის კარზე, შიგნით მხარეს, სადაც იკითხება: **თავყანისმცემელად დედათა.**

მშრომელთა. აქ პირველი ასო მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს. მეორე ასო სრულებით აღარ არის, შესაძლხა ისევ ნაწილია შენახული, მეოთხე და მეხუთე კარგად ირჩევა, შექცხისა ცოტადაა დარჩენილი, სამი უკანასკნელი კი სრულად არის დაცული. ჩემი აზრით, აქ უნდა იკითხებოდეს **მშრომელთა.** თუმცა ამაში მთლად დარწმუნებულებიც არა ვარ და ცოტა ეჭვი კიდევ რჩება, მაგრამ კიდევ უფრო საეჭვოა **მდგომელთა** და სულ არ უდგება **მლოცველთა.** ბართლომეს გადმოწერილის მიხედვით ბროსეს აქ ამოუკითხავს **მხლდ მითლთა** და, როგორც ფრანგული თარგმანიდან ჩანს, იგი ასე გაუგია: **მხოლოდ მართალთა**, მაგრამ ასეთი რამ სულ მთლად უადგილოა.

შეხვეწი. ამ სიტყვაში **შინი** ცოტა დაზიანებულია, ხანს თავში ამოტეხილი აქვს, მაგრამ ძალიან კარგად ჩანს და არავითარ ეჭვს არ ბადებს. რაიცა შეეხება **წილს**, მას აღარაფერი შეიძენია თავის გარდა, რომელიც, კონტექსტი არა, ტარის თავდაც შედეგად შეგველო. ამ სიტყვის თანხმოვნები **შხწ** რომ კარგად არის წაკითხული, ამას, ერთი მხრით, ბართლომეს წანაკითხიც ამტკიცებს: მას ვერ გაურკვევია სიტყვის ფორმა და **შეხვეწე[ბიან]** დაუხანავს.

იო. წარწერის ბოლოს რომ ორი ინი ზის, ამის შესახებ კი რა მოგახსენოთ. აქ მოსალოდნელია ან ქრონიკონი, ან კიდევ **ამწნ**, უფრო კი უკანასკნელი. კაცი იფიქრებდა, რომ აქ სწორედ ეს სიტყვაა გამოყვანილი ისოფსეფიურად, როგორც ეს ბერძნებსა და კობრებს სხვევით²⁵, მაგრამ ამ შემთხვევაში **იო** გვაძლევს ან ასს (IOXIO), ან ოცს (IO + IO) და არა გამოდის რა, ვინაიდან **ამწნ** სიტყვის ასოების რიცხვები შეადგენს ოთხმოცდაცხრამეტს (1 + 40 + 8 + 50 = 99) და ერთი გვაკლია, ხოლო, თუ **ამინ**ად წავიკითხავთ, რაიცა მეტად საეჭვო გამოთქმა VI-VII საუკუნისათვის, მაშინ ერთით მეტს მივიღებთ (1 + 40 + 10 + 50 = 101)²⁶. შეიძლება, უკანასკნელ, ის აზრიც გამოთქვათ, რომ ამ ორ უკანასკნელ ასოში წარწერის ამომკრე-ლი სახელი იმაღლებოდაც, მაგრამ ეს აზრი კიდევ უფრო ნაკლები მისაღებია.

რამდენადაც საეჭვოა ამ წარწერის უკანასკნელი **იო**, იმდენად უეჭველია და ცხადი **შეხვეწი**. აქც ბრძანებითის ფორმაა ენებითი გვარის ზმინისა, რომელსაც ფუძე ავრთვეე ხმოვნით ვწყება. დამატება მასაც მიეკითხება აქვს („მშრომელთა“) და ამ დამატების აღსანიშნავად ზმნაში მოითხოვება ობიექტური პრეფიქსი შესაძე პირისა ხანის სახით. აქ, მაშასადამე, ისეთვე მოვლენაა, როგორც მცხეთის ჯვრის საყდრის წარწერის **მეოხ ხეყავ** ფორმაში, რომელსაც ზემოთ იყო საუბარი.

4. შეხუბათ

იმავე ბოლნისის სიონის მეორე წარწერაში, რომელიც მოთავსებულია ჩრდილოეთის კარის თავზე ერთ გრძელ სტრიქონად, მოთხრობილია კარის შებმის ამბავი. წარწერა დაზიანე-

²⁵ V. Gardthausen, Griechische Paläographie, Bd. II, Lpz. 1913, გვ. 309.

²⁶ ამწნ მოგვეცემა ოთხმოცდა ოთხმეტს (1 + 40 + 5 + 50 = 96).



ბული ყოფილა ჯერ კიდევ Du Bois-ს დროს, რომელსაც იგი გადმოუწერია ფიქტურ ქრისტიანებად გადაუცია. ბროსემ იგი გამოაქვეყნა ამ გადმონაწერის მიხედვით და საჭიროდ აღარ დაინახა, რომ ბართლომეს მიერ გადმოწერილის მიხედვითაც გამოეცა იგი მეორედ. წარწერაში იკითხება:

[შეწვენი]თა [ქ] შხითა მე ფარნ [—] და აზარუხტ

შეხუაბით ესქე კარ[ი] სალოცველად ს[ულ]თა [ხუენთათუს].

ზმნის ფორმა ამ წარწერისა **შეხუაბთ** კარგად იკითხება, მიუხედავად იმისა, რომ ბანი და-სიანებუღია. დვიბუას ტაბულაზედაც აგრე იკითხება და ტექსტშიც (გვ. 107), სადაც მხოლოდ კორექტურული შეცდომაა: **ფადარე** ნაცვლად ამ ფორმისა: **ფადარე** მაშასადამე, წაკითხული სწორად არის და არავითარი ეჭვი არ არის, რომ ზმნის ფორმაა **შეხუაბთ**. ეს ფორმა ასეთ წინადადებაშია: **მე ფარნ [—] და აზარუხტ შეხუაბთ ესე კარი**. დღევანდელ ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ, ეს იქნება: **ამე, ფარნ [—]მა და აზარხუტმა შევაბით ესე კარო²⁷**. **შევაბი** მიცემით დამატებითი ზმნა (შევაბი მას იგი), რომელსაც ახალ ქართულში ინი აქვს განვითარებული ბოლოში; ძველ სალიტერატურო ქართულში ეს ინი საჭირო არ იყო. ამ ძველ სალიტერატურო ქართულის ნორმების მიხედვით **შევაბი** ზმნის უღელს ნამყო სრულის თხრობითი კილოს შესამე ობიექტურ პირში ასეთი იქნება: **შევაბ, შევაბ, შევაბა, შევაბათ, შევაბთ, შევაბეს**. ამ ფორმებში თეორიულად ყველგან შესამე პირის ობიექტური პრეფიქსი იგულისხმება შავს სახით: ***შევაბა**, ***შევაბა**, ***შევაბაა**, ***შევაბათ**, ***შევაბთ**, ***შევაბეს**. ხმოვნის წინ შავ, რასაკვირველია, უნდა დაკარგულიყო ქართულის საზოგადო ტენდენციის მიხედვით და დაიკარგა კიდევ; მაგრამ რომელიც კილოში ეს შავ ხანად ქცეულა და ამის გამო პირველი პირის ფორმას მრავლობით რიცხვში მიუღია ასეთი სახე: **შევაბთ**. ე ქართულში მუტად მოძრავი ბგერაა, რომელიც შეიძლება გადაიხე-გადმოიხეას სხვადასხვა ფონეტიკურ გარემოებაში. **შევაბთ** ფორმაში შავს ადგილი უცვლია ხანისათვის და წარმომდგარა **შევაბთ**, რომელშიც შემდეგ ეს ვინი უკვე უმარცვლო უნად ქცეულა: **შეხუაბთ**. ვინის უმარცვლო უნად ქცევა გასაკვირი არ არის, რადგანაც იგივე მოვლენაა **მოვაბთ** — მოვიდა ზმნაში, სადაც მეორე პირისათვის ძველ ქართულში ასეთი ფორმები მოიპოვება: **მოხუაღ** (← ხუაღ), **მოხუედ** (← მოხუედ), **მოხუედ** (← მოხუედე←მოხუედე). მაშასადამე, ბოლნისის სიონის წარწერის **შეხუაბთ** ფორმაშიც შენახული ვეაქვს ობიექტური პრეფიქსი შესამე პირისა ხანის სახით, რომელსაც ოდონდ ადგილი უცვლია და პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსის წინ მოქცეულა.

* * *

ზემოთე განხილულს ოთხ ზმნის ფორმაში (**ხერთვის**, **ხეყავ**, **შეხეწიე** და **შეხუაბთ**) ქართულს შემოუნახავს, მაშასადამე, ნაშთები შესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ. ეს ნაშთები სრულ ანალოგიას წარმოადგენს **არს** ზმნის მეორე პირის ფორმასთან მიმართებით (**ხარ**), სადაც აგრეთვე შენახული ვეაქვს ნაშთი მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნის წინ. ეს ორი პრეფიქსი — სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური შესამე პირისა — თუმცა სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს მორფოლოგიურად, მაგრამ მათ ერთსა და იმავე ფონეტიკურ ვითარებაში ერთი და იგივე ბგერითი სახე აქვთ. ამიტომ თანაბარ ფონეტიკურ პირობებში ერთის ხმარება რომელიც სახით მეორის ხმარებასაც გულისხმობს იმავე სახით. ამ გარემოების წყალობით **ხარ** ფორმის გვერდით მოსალოდნელი იყო და კიდევაც აღმოჩნდა ანალოგიური წარმოებანი შესამე პირის ობიექტური პრეფიქსით ხმოვნების წინ. ასე და ამგვარად, ყველა ეს ფორმები: **ხარ**, **ხერთვის**, **ხეყავ**, **შეხეწიე** და **შეხუაბთ** ერთიმეორეს მხარს უჭერენ და ამტკიცებენ, რომ ერთსა და იმავე დიალექტურ წრეს, ანუ კილოს ეკუთვნიან.

²⁷ აქ რომ კარბს შემახევა საუბარი, ასეთი მაგალითი სხვაც შეგვიძლია დავახაზოთ: მდვიძვეის ეკლესიის კარბს, რომელიც ამჟამად საქართველოს მუხუანში ინახება, სწერა: ამა კარბსა შემახეწლსა იურუსაღობის თემით მოსულსა აბეხალომს ღლომინას ძესა და მისსა მუელდუსა შეურდოს დმერთმა ამინ: ამინ: (შარ. გ. Церетели, Археологическая экскурсия по Кавказу по Кавказу, VII, 94).

გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში¹

ამ წერილის მიზანია, გამოარკეოს ქვემდებარის საკითხი ზოგიერთი ტიპის წინადადებაში, საკითხი, რომელიც საცილობელი გამხდარა საეციადისტეტეს შორის.

როცა მე 1939 წელს პირველად გამოვეცი განსახკომის დავალებით დაწერილი ჩემი სასკოლო გრამატიკა, რომლის რედაქტორები იყვნენ პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. ვ. თოფურია და დამსახურებული მასწავლებელი ფ. რურუა, საჭიროდ ვცანი წინასიტყვაობის უკანასკნელ აბზაცში შეთქვა შემდეგი:

„დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს ვერ მიეწერება აქ წარმოდგენილი გაშუქება რამდენიმე საკითხისა; ასეთებია: ზმნათა დაყვანა პირიან ფორმებამდე (§ 120) და ამის მიხედვით დაპირისპირება ზმნებისა და სახელზმნებისა (§§ 201. 235). გარდამავლობის ნიშნად ქვემდებარის ბრუნვის დასახელება (§§ 183. 184) და გარდაუვალ ზმნასთან მიცემითში დასმული სახელის ქვემდებარედ მინიშნა (§ 228)“.

წიგნი იბეჭდებოდა ზაფხულში, როცა მე სააგარაკოდ ციხის ჯვარში ვიყავი. ერთიც ვნახოთ, დეკემბრში მომივიდა ვახათლების სახალხო კომისრის გიორგი კიკნაძისაგან, რომელიც წინადადებას მაძღვდა წინასიტყვაობის უკანასკნელი აბზაცი, რომელიც ზემოთ მოვიყვანე, სრულიად ამოშლდა. მე პასუხად ვწერდი დეკემბრში, რომ საერთოდ შეიძლება ამოღებულ იქნეს, მაგრამ რამდენიმე ცალში მაინც დარჩეს-მეთქი. მე ვვარაუდობდი, რომ ერთ ახლოდ ცალში მაინც დატოვებული იქნებოდა აღნიშნული აბზაცი, მაგრამ აბზაცი საერთოდ ამოიღეს და სამაგიეროდ ახეთი შენიშვნა წაუშლდვარეს წიგნს (მეორე გვერდზე):

«ვანათლების სახალხო კომისარატისაგან»

«წინამდებარე „ქართული ენის გრამატიკა“ მიმდინარე წელს გამოდის პირველად. ჩვენ მოვუვლით, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის პრაქტიკოსი მასწავლებლები ყურადღებით გაიცნობენ მას და მოგაწვდიან ამ სახელმძღვანელოს შესახებ თავიანთ შენიშვნებსა და მოსახრებებს, რომლებიც შემდეგი გამოცემების დროს მხედველობაში იქნება მიღებული.»

უშუქვლია, რომ, რაკი ჩემი შენიშვნა გაუშვეს, ყოველი მკითხველი მე მომაწერდა გრამატიკული საკითხების იმ ვაკებას, რომელიც აღნიშნულ პარაგრაფებში იყო მოცემული.

რა საკითხებია ეს საკითხები?

1) პირველ ყოვლისა ეს არის საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ზმნა მხოლოდ პირიანი სიტყვა, თუ შიგ უპირო ფორმებიც შედის, როგორიცაა ხენა, თესვა, კეთება და სხვა? ამ საკითხის შესახებ მე ბევრი მიწერია და აქ აღარ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ, როცა ანტონ I-მა ასეთი ფორმებისათვის შემოიღო ტერმინი „სახელ-ზმნა“, მან ამით ისიც აღნიშნა, რომ სიტყვების ამ ჯგუფს სახელის ნიშნების აქვს და ზმნისაცო. ეს შეხედულება სწორია და ამოა ცდა საწინააღმდეგოს დამტკიცებისა.

2) გარდამავლობის შესახებ საეციადური ნაკვლევი მაქვს, სადაც გარკვეულია მისი ნამდვილი ნიშანი და აქ არას გავიმეორებ².

ამ ორი საკითხის სწორად გააძგრა სასკოლო გრამატიკაში თანდათანობით გამოსწორდა, მაგრამ დარჩა მოუგვარებელი შესამე საკითხი,

საკითხი ქვემდებარის შეწყობისა ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან

ამ საკითხის შესახებ ჩემი სასკოლო გრამატიკის პირველ გამოცემაში (1939 წ.) შემდეგი ცნობაა მოცემული:

«228. ქვემდებარე მიცემითში. ზოგიერთ გარდაუვალ ზმნას მოეკოვება ორივე წყობა: სუბიექტურიც და ობიექტურიც. მაგალითად, ითქმის არა მარტო „მოესწონვარ“, არამედ აგრეთვე

¹ ა. შანიძე, თხზ., ტ. II, თბ., 1981 (იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით).

² ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართულურ ენებში, I, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე (II, 1942, №2, გვ. 183-189) და II (იქვე, №3, გვ. 289-295).



„მოქონს“, არა მარტო „ვახსოვარ“, არამედ აგრეთვე „ახსოვს“ და სხვა. აქვეყნებულია: „ეუკუარვარ“ და „მოყვარს“, „ეხსოვლარ“ და „ამოვს“, „ეუნდიარ“ და „მინდვ“ და სხვა. ამისთანა ზმნებს, საერთოდ წვის თანხმად, ქვემდებარე სახეობობითი უნდა ქონოს და დაყენებული, მაგრამ ამჟამად ესენი, გარდამავალი ზმნების ინვერსიული ფორმების მსგავსად, ქვემდებარეს მიცემით ბრუნვაში წარმოვიდგენენ. მაგალითები: ვანოს გაკვეთილი ახსოვს, კაკოს კობტაობა მოხწონს, დედას შეილი უყვარს, მაროს წახვლა უნდა, კატას ძაღლი სძულს და სხვ.

მართო ობიექტური წყობა აქვთ ზმნებს: მძინავს, მღვიძავს, მშობს, მწყურია, მაქვს, მეხმის მცევა, მცხელა და სხვა, ამ ზმნებთანაც ქვემდებარე მიცემითშია დაყენებული, მაგ.: ბაგშეს სძინავს, ქეთოს ღვიძავს, მოწაფავს ესმის, მასწავლებელს აქვს და სხვა».

ასეთი გაშუქება საკითხისა მე მცდარად მიმაჩნია და შევეცადე შემდგომ გამოცემებში რამდენადმე მაინც შემერბილებინა არასწორი გამოთქმა და შემემცირებინა შეცდომები:

მეორე გამოცემაში (1941 წ.) გამოტოვებულია „მცევა“ და „მცხელა“, როგორც ყველაზე უფრო აშკარა შეუსაბამო მაგალითები.

მესამე გამოცემაში (1946 წ. § 228, გვ. 135) წერილი შრიფტით არის დაბეჭდილი შემდეგი: „გარდამავალ ზმნათა ინვერსიულ ფორმებში ქვემდებარე, როგორც ვიცით, მიცემითში დგას (§ 221). ინვერსიული ფორმების გავლენით „უყვარს“, „მოქონს“, „სძინავს“, „ახსოვს“ და მსგავსი აგებულების ზმნებთან ქვემდებარედ მიაჩნიათ მიცემითში დასმული სახელი: „დედას შეილი უყვარს“, „ბაგშეს სძინავს“ და მისთ“.

მეოთხე გამოცემისას (1948) გრამატიკა, მანამდე ერთიანი, ორ წიხნად გაიყო. პირველი შეიცავს ფონეტიკასა და მორფოლოგიას (V-VI კლასის კურსს), მეორე კი - სინტაქსს (VII-VIII კლასის კურსს). სინტაქსი დიდად გადავაშუშავე და შევაჯეგე. მას დაერთო სავარჯიშოები, რომელთა შედგენაში მინაწილეობა მიიღეს ი. გიგინეიშვილმა, ი. იმნაიშვილმა და დ. კვაჭაძემ. ვცდავ საკითხის სწორედ დაყენება და გადაჭრა არასაკლო გრამატიკაში ელემენტარული სახით შეტანა, მაგრამ განათლების სამინისტროში მხარი არ დამიჭირეს და საკითხი გაურკვეველი დარჩა. ამ სინდად მოყოლებული „უყვარს“ და მსგავს გარდაუვალ ზმნათა ქვემდებარეს შესახებ სასკოლო გრამატიკაში საზოგადოდ არ არის საუბარი.

რა არის გრამატიკული სუბიექტი ანუ ქვემდებარე? გრამატიკული სუბიექტი შემასმენლის წვეილის ცალია და მისი რაობა ყოველთვის შემასმენელთან მიმართებით ირკვევა. შემასმენელი კი, როგორც ცნობილია, ქართულში უშთაურესად ზმნის პირიანი ფორმაა, რომელიც წინადადების ხერხემალს წარმოადგენს. შემასმენელთან წვეილის ცალად შეიძლება წინადადების სხვა წევრებიც იყოს (პირდ. ობიექტი და სხვ.), მაგრამ ამჟამად ჩვენი კვლევის საგანი სუბიექტი (ქვემდებარე).

გრამატიკული სუბიექტის რაობა კარგად ირკვევა წინადადებაში, რომელშიაც შემასმენელად გარდამავალი ზმნა მწკრივით I ან II სერიაში. მაგ., ბიძა-ჩემი კურდღელს მოკლავს, სანდრომ ხე მოჭრა, ქალმა ფური მოწველა, ბიჭი კოკას გატეხს, ჯიბეგირმა ფული ამოძაცალა და მისთ. ასეთ შემასმენელთა ქვემდებარე იგეგვა, რაც რეალურად მოქმედი საგანი. მართლაც, როცა ვთქვით, „ქალმა ფური მოწველა“, ამით გარკვევით აღვნიშნეთ, რომ რეალურად მოქმედა ქალი და არა ფური; ან კიდევ: როცა გავიგონეთ „სანდრომ ხე მოჭრა“, მიგხვდით, ვინ არის მოქმედი და რა არის სამოქმედი: რეალურად მოქმედა სანდრო, ხე კი მისი მოქმედების საგანია.

ავიღოთ იგივე ზმნები სხვა პირის ფორმებით და შევუწყოთ ნაცვალსახელები: მე კურდღელი მოკვალი, მე ხე მოჭერი, მე ფური მოვწველე; შენ კურდღელი მოკვალი, შენ ხე მოსჭრი, შენ ფური მოსწველე ადნიშნულ წინადადებებში რეალურად მოქმედი პირები იცვალა, სამოქმედო საგანი კი იგივე დარჩა.

თუ ანალიზს ვუყოფთ ზმნის ფორმებს, შევნიშნავთ, რომ რეალური სუბიექტი იგივეა, რაც ზმნის სუბიექტური პირი, რომელიც სუბიექტური ნიშნითაა გამოხატული: მო-ვ-კალი მე, მო-კ-ალი შენ, მოკლ-ა მან (ბიძა-ჩემმა); მო-ვ-ჭერი მე, მო-ს-ჭერი შენ, მოჭრ-ა მან (სანდრომ); მო-ვ-წველე მე, მო-ს-წველე შენ, მოწველ-ა მან (ქალმა). მაშასადამე, ადნიშნულ ზმნებში სუბიექტური პირი ან მისი ფარდი სახელი (ნაცვალსახელი) რეალურად მოქმედი პირია. ამ შემთხვევაში რეალურად მოქმედი პირი დაემთხვა გრამატიკულ სუბიექტს, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა სუბიექტური პირი ან მისი ფარდი სახელი (ნაცვალსახელი).



განსაკუთრებით ნათლად ჩანს სუბიექტი წინადადებაში, თუ შემასმენელი გაჩნდება მხოლოდ ზნა II სერიის რომელიმე მწკრივის შესაძლო პირის ფორმით. მაგრამ არის თუ არა მხოლოდ პირი ყოველთვის იგივე, რაც გრამატიკული სუბიექტი? არა, ყოველთვის არ არის. მართლაც, რეალურად მოქმედი პირი რომ იგივე იყოს, რაც გრამატიკული სუბიექტი (ანუ ქვემდებარე), მაშინ, ცხადია, ვნებითი გვარის ზმნის ფორმთან წინადადებაში სუბიექტის საკითხი სხვაგვარად გადაწყვეტებოდა, ვიდრე დღეს ჩვეულებრივ წყდება ქართულისა და სხვა ენების მასალის მიხედვით; მაგალითად, ამ წინადადებაში „გაითიხნა სიმინდები“ სუბიექტი არ გვეჩვენება, რადგანაც რეალურად მოქმედი პირი არ ჩანს, ხოლო ამ წინადადებაში „კლდეზე გადახეხილი ცხენი შეჭმულ იქნა ტურებისაგან“ სუბიექტად „ტურებისაგან“ უნდა მივცენია.

უნდა ეს მაგალითი ენახოთ: „სოფლიდან მძა მომივიდა“; რეალურად მოქმედი „მძა“, გრამატიკული სუბიექტიც ის არის. მაგრამ დავუყენოთ მას პირისპირ ასეთი წინადადება: „სოფლიდან წერილი მომივიდა ფოსტით“. რომელია აქ რეალურად მოქმედი პირი? წერილი? მაგრამ წერილი ხომ არ დაღის? ფოსტა? – არც ფოსტა დაღის. მაშასადამე, წინადადებაში სუბიექტი არა გვეჩვენება. აქედან რა გამოდის? ის, რომ „რეალურად მოქმედი პირი“ გრამატიკული ცნება არ არის, იგი საყოველთაოდ სიტყვაა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში გვეჩვენებს გრამატიკული ცნების დახატვანად, მაგრამ ამას იქით არ მიდის მისი შესაძლებლობა. ამიტომ ცხადია, სიტყვები „რეალურად მოქმედი პირი“ სინტაქსურ ცნებას ვერ მოვცევს და გრამატიკულ ტერმინად ვერ გამოვღებ.

მაშ რა არის გრამატიკული სუბიექტი? საზოგადოდ გრამატიკული სუბიექტი (ანუ ქვემდებარე) ის სახელია წინადადებაში, რომელიც ფარდია სუბიექტური პირისა, ე. ი. სახელი, რომელიც შეესატყვისება სუბიექტურ პირს. ეს ფარდობა (კორესპონდენცია) მხოლოდ შესაძლო პირთან გამოჩენის სახელის ბრუნვის ფორმას ქართულში: თუ შემასმენლად ნახმარი ზნა გარდაუვალია, ყოველგვარი სახელი, მასთან სახელობითის ფორმით შეწყობილი, გრამატიკული სუბიექტი იქნება, სულ ერთია, ზნა ერთ-პირიანია თუ ორ-პირიანი: **სანთელი** გაქრება, **სანთელი** გაქრა, **სანთელი** გაქრება; **სანთელი** გაქრება; **სანთელი** გაქრება. რა სახელიც უნდა შეეწყობოთ მოყვანილ ზმნას სახელობითში, ყველა გრამატიკული სუბიექტის გაგებას მოვცევს: **ცეცხლი** გაუქრება, თვალში **სინათლე** გაუქრება, **ოცნება** გაუქრება და მისთ. სპეციალურ ლიტერატურაში გვეხვება გამოთქმა: სახელი მართავს ზმნას პირში და ზნა – სახელს ბრუნვით. შეუფერებელი გამოთქმაა. ზმნისა და სახელის ფორმები შექმნილია საუკუნეთა განმავლობაში. სახელი კი არ მართავს ზმნას პირში, არამედ ჩვენ, მოლაპარაკენი, ეხმარობთ ზმნასა და სახელს გარკვეული წესით, რომელიც შემუშავებულია საუკუნეობით, ჩვენ შეუწყობთ ხელმე ზმნის ფორმას სახელს ან სახელს ზმნის ფორმას, როგორც ეს საკიროდ მიგვჩანია, მაგ., თუ გვინდა რომ „შეჭამა“ ზმნას „მგელი“ სუბიექტად შეეწყობოთ, გვეჩვენება „მგელმა შეჭამა“; და თუ გვინდა ობიექტად, უნდა ვთქვათ: „მგელი შეჭამა“. თუ გვინდა, რომ „მგელმა“ ფორმა იყოს წინადადებაში, მასთან „შეჭამა“ ზნა უთუოდ II სერიის ფორმით უნდა ვიხმაროთ: „მგელმა შეჭამა“ ან „მგელმა შეჭამოს“. ასე რომ გამოთქმა „სახელი მართავს ზმნას პირში“ და „ზნა სახელს მართავს ბრუნვით“ სრულიად შეუფერებელია და ოდნავადაც არ გადმოგვეცმს საქმის ნამდვილ ვითარებას.

ზემოთ ვთქვით, რომ სახელი, რომელიც შეწყობილია ზმნის სუბიექტურ პირთან, არის გრამატიკული სუბიექტი, სუბიექტურ პირს კი არცაა სუბიექტური ნიშნები, რომლებსაც მეთაურობს **ვ** და ამის გამო ვინის რიგი ეწოდება (ქართ. სუბი. საფუძვლები, § 239).

სუბიექტურ ნიშნებს გარდა, ქართ. ზმნას მოეპოვება ობიექტური ნიშნებიც, რომლებსაც მეთაურობს **მ** და ეწოდება მანის რიგი (იქვე, § 239). ყოველი სახელი, რომელიც შეწყობილია ობიექტურ პირთან, არის გრამატიკული ობიექტი, პირდაპირ ან ირიბი (სასკოლო გრამატიკის ტერმინოლოგიით: გრამატიკული დამატება, პირდაპირ ან ირიბი).

ეს ზოგადი დებულება ირღვევა III სერიის მწკრივებში, სადაც გარდამავალ ზმნებში ინვერსიას აქვს ადგილი; აქ ფორმები მოქმედ პირად, ე. ი. სუბიექტად გამოხატავენ იმ პირს, რომლის ობიექტური ნიშნაა ნახმარი შიგ, ხოლო უმოქმედო, ე. ი. ობიექტურ პირად – იმას, რომლის სუბიექტური ნიშნით არის შიგ წარმოდგენილი. ამიტომ მათი ფარდი სახელებიც სათანადო კვლევისას იღებენ; ამის გამოა, რომ, მაგალითად, ეს ორი წინადადება: „ვახტანგს ცხენი დაუკარგავს“ და „ვახტანგს ცხენი დაკარგავს“ ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ „ვახტანგი“ ერთ შემთხვევაში სუბიექტად არის წარმოდგენილი და მეორე



შემთხვევაში - ობიექტად, ხოლო „ცხენი“ პირველ შემთხვევაში წარმოდგენილად ობიექტად, მეორეში - სუბიექტად. მაშასადამე, ინვერსიის გარდა, აქ გვაქვს კონვერსიაც, ე. ი. რაც პირველ წინადადებაში პირდაპირი ობიექტია, მეორეში სუბიექტად არის წარმოდგენილი³. კონვერსიული ვითარება მათს სათანადო ფორმებს შორის I-სა და II სერიაშიც:

	მოქმედებითი	ენებითი
I ვახტანგი ცხენს დაკარგავს	(ვახტანგის)	ცხენი დაიკარგება
II ვახტანგმა ცხენი დაკარგა	(ვახტანგის)	ცხენი დაიკარგა
III ვახტანგს ცხენი დაუკარგავს		ვახტანგს ცხენი დაკარგვია

აქედან ცხადია, რომ „დაუკარგავს“ აქტივი ფორმების რიგში დგას, „დაკარგვია“ კი - ენებითისაში. ამის მიხედვით „ვახტანგს“ პირველ შემთხვევაში სუბიექტია, მეორეში - ობიექტი. როგორც ცნობილია, სტატიკური ენებითის სახესისო ქცევის ფორმათა წარმოება (თუ ზმნა ავიან არ არის) გარეგნულად ემთხვევა მოქმ. გვარის III სერის უზმნისწინო ფორმათა წარმოებას, მაგრამ ისე, რომ იმისი აწმყო ამისი I თურმეობითა, იმისი წვევტილი - ამისი II თურმეობითი, ხოლო იმისი II კავშირებითი - ამისი III კავშირებითი. მაგალითი:

	სტატიკური ენებ.	მოქმედ.
აწმყო უწერია		I თურმ. უწერია
წვევტილი ეწერა		II თურმ. ეწერა
II კავშ. ეწეროს		III კავშ. ეწეროს

პირველი რიგის ზმნათა ფორმები ენებითია. ამიტომ მის სუბიექტურ პირთან შეწყობილი სახელი გრამატიკული სუბიექტი იქნება, ობიექტურთან შეწყობილი - ობიექტი (ირიბი). ფრაზაში „ვახტანგს რვეულში ღექსი უწერია“ გრამ. სუბიექტია „ღექსი“, ირიბი ობიექტია „ვახტანგს“, ხოლო ამ წინადადებაში: „წუხელ ვახტანგს თურმე ღექსი უწერია“ სუბიექტია „ვახტანგს“, ობიექტია „ღექსი“.

სტატიკურ ზმნეთან შეწყობილი სახელების სინტაქსური კავშირის რაობის გარკვევა შეიძლება საზოგადოდ დიდ უთანხმოებას არ იწვევდეს, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ მათთან მიცემითში დასმული სახელი ირიბი ობიექტია, სახელობითში დასმული კი - სუბიექტი. მაგალითები (ქვემდებარე შავად არის დაბეჭდილი): კოტეს **ჩხა** აცვია; გიგოს **ქული** მხურავს, ქათმებს **საკენი** უყრი; თაროზე **წიგნები** მიწვია; ხელში **საათი** მიჭირავს, სოფელს **ტყე** აკრავს, კურდღელს **თვალბი** უჭყვტია, ქვეშ ეშალა ღვეკური **ნაბადი**, ხეების ნასროლი **ისარი** კუნძს ერჭოო და მისთ.

ინვერსიული ფორმები ქართულ ზმნას მარტო III სერის ფორმებში აქვს. არაო, გვარწმუნებენ, ინვერსიული ზმნები I სერიაშიც მოგვეპოვებაო და მოჰყავთ მაგალითები: მიყვარს, მშობლს, მაქვს, მძინავს და მისთ. მაგრამ შეფუფრება კი ეს საქმის ნამდვილ ვითარებას ვნახოთ.

მე ჯერ კიდევ 1920 წელს გამოხულ წიგნში ვწერდი:

ჰყავს ზმნა და მისთანანი. არის ერთი ჯგუფი მიცემით დამატებიანი ზმნებისა, რომლებშიაც ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა **ჰ (-) || ს (შ)** საზოგადო წესით იხმარება. ეს ვახლავს სწორედ ის ზმნები, რომლებიც პროფ. ნ. მარის „ძირითად ტაბულებში“⁴ მინწეულია განსაკუთრებული „ობიექტური აგებულების“ (объективный строй) მქონეებად და რომლებიც თითქმის არსებითად განსხვავდებოდნენ დანარჩენი ზმნებისაგან, რომელთაც თავისი „სუბიექტური აგებულება“ (субъективный строй) აქვთ განკუთვნილი⁵.

ნ. მარის მიერ მიღებული დაყოფა ქართული ზმნებისა სუბიექტურებად და ობიექტურებად ვგების არც ცუდი იყოს ქართული ენის ევროპულთაოვის შესახსწავლად, მაგრამ არსებითად სწორი არ არის, რადგანაც ასეთი დაყოფის დროს მიღებულია არა უდლების ფორმა-

³ ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები, §§ 346-352.
⁴ H. Marr, Основные таблицы, ტაბულა XIX და XX.
⁵ იქვე, ტაბულები XIII-XVIII.



დური მხარე, არამედ ამ ზმნების მნიშვნელობა, გამოხატული ევროპის ენების ევროპულ კლასიფიკაციაში აღებათა შემწვობით, ე. ი. მიღებულია არა თვით ქართული ზმნების მორფოლოგიური სურსათის სური ხახე, არამედ შესავყვის ზმნათა უღლების წესი უცხო ენებში. უცხო ენებზე ქართული ზმნების თარგმნის დროს კი ჩვეულებრივ ყურადღება ექცევა აზრის სწორად გადაღებას, ზმნის რეალური მნიშვნელობის გადაცემას, მაგალითად, აქუს ზმნა რუსულად ჩვეულებრივ ასე ითარგმნება **он имеет то, აკსოვს он помнит то, უყუარს он любит его, სძულს он ненавидит его, პრწამს он верит в то** და სხვა მისთანანი. თარგმანი, რა თქმა უნდა, სწორია; სწორია იმ მხრივ, რომ აზრი და მნიშვნელობა ქართულ ზმნისა კარგად არის გადაღებული, მაგრამ ერთი რამ მაინც უცილობელია: კონსტრუქცია ქართული ზმნისა სხვა, რუსულისა კიდევ სხვა. მართლაც და: ქართულში რომ ქვემდებარეა, რუსულში ის დამატებად არის შეტრუნებული და ქართული დამატება კი რუსულში ქვემდებარედ არის შექცეული⁶. ამგვარად, ქართული ზმნის გრამატიკული ბუნება რუსულ თარგმანში დაცული არ არის. შეიძლება ისევ ითარგმნოს, რომ თავისებურება ქართული ზმნისა თარგმანშიც დაცული იყოს. აქუს ზმნა **имеется у него, აკსოვს то помнится ему, უყუარს он любим им, სძულს он ненавижим им, პრწამს он верится ему** და სხვა მისთანანი. აზრი წინადადებათა **то имеется у него და он имеет то**, რასაკვირველია, ერთი და იგივეა, მაგრამ გრამატიკულად მათ შორის დიდი განსხვავებაა: ერთი (**то имеется у него**) შეეკუება ქართული ენის ბუნებას, მეორე კი (**он имеет то**) ევროპეიზმი.

მაგრამ ქართული ზმნების კლასიფიკაციის დროს გამოვლინდეთ უნდა არა მათი მნიშვნელობიდან ევროპის ენებზე (ეთქვათ, ეს ენები არც კი არსებობს ქვეყანაზე), არამედ მათი მორფოლოგიურ-სინტაქსური სტრუქტურიდან თვით ქართულ ენაზე. თუ გნებავთ, ვთარგმნოთ კიდევაც, მაგრამ ვთარგმნოთ როგორმე ისე, რომ ქართული კონსტრუქცია შეტრუნებული არ დარჩეს თარგმანში და მაშინ ვთხროს და იმავე ნაკვალასხელოვან ნაწილაკს აღარ მივაწერთ სხვადასხვა ფუნქციას სხვადასხვა დროს (თითქოს, მაგალითად, პრეფიქსი პირველი პირისა მაინ ხან სუბიექტის როლს ასრულებდეს და ხან ობიექტისას). თუ კონსტრუქცია ქართული ზმნისა უცვლელად იქნა დატოვებული, მაშინ, რასაკვირველია, „ლოლიკური სუბიექტი“ იგივე იქნება, რაც გრამატიკული ქვემდებარე, და აგრეთვე „ლოლიკური ობიექტი“ და გრამატიკული დამატება სხვადასხვა აღარ გამოვა. ამ შემთხვევაში კი ქართული ზმნების მარისებურად დაყოფა დაკარგავს თავის ძალას და აღარ იქნება საჭირო არც ასეთი დაყოფის დასაბუთება⁷ და აღარც ლოლიკურ ცნებათა შემოტანა გრამატიკაში.

რეალტიური ზმნების უღლების დროს ქართულში სუბიექტსა და ობიექტს თანაბარი ყურადღება ექცევა. ეს მორფოლოგიურად, სინტაქსურად კი ზოგ ზმნაში სუბიექტის მნიშვნელობა სჭარბობს, ზოგში კი ობიექტისა. ჰყავს და ჰბაძავს ზმნას თუ შევადარებთ, მაგალითად, ერთმეორეს, ვნახათ, რომ უღლება მათ ერთი და იგივე აქვთ, მაგრამ ჰყავს ზმნაში დამატების მნიშვნელობა უფრო ძლიერი, **ჰბაძავს ზმნაში** კი - ქვემდებარისა. ამგვარივე უთოირობაა **უყუარს** და **უწერს** ზმნას შორის. და თუ რამე განსხვავებაა ამ უკანასკნელს შორის, მხოლოდ იმ მხრივ, რომ პირველ მათგანს ერთი დამატება აქვს (მას), მეორე კი ორი (მას **წიგნს**); ქვემდებარე კი ორთავ ერთი და იგივე აქვს (უყუარს იგი, უწერს იგი). განსხვავებაზე თუა საქმე, უფრო ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ჰყავს, უყუარს** და მისთანა ზმნებში იშვიათად იმხარება პირველისა და მეორე ერთი სუბიექტური ფორმები⁸, მაშინ როდესაც კომპონაცია შესაძლებელი პირისა ყველა ობიექტურთან ხშირია და ძალიან გავრცელებული⁹.

ქართული ზმნები რომ თითქო ორ ჯგუფად იყოფოდეს - სუბიექტური წყობისად და ობიექტური წყობისად, - ამისი დასაბუთება, რომელზედაც ზემოთაა მითითებული, შემდეგია:

⁶ ქვემდებარედამატებაზე რომ ვუბნობთ, ხახეში გვაქვს, რასაკვირველია, სინტაქსური ქვემდებარედ დამატება. რადგანაც გრამატიკაში მხოლოდ გრამატიკულ კატეგორიებზე შეიძლება დააბარა, კი.

⁷ И. Кишвидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка (Материалы по яфетическому языкознанию, кн. VII) СПб, 1914, §58, (стр. 051).

⁸ ზოგიერთ ზმნას სრულებითაც არა აქვს ეს ფორმები: ჰლძავს, სინავს, ჰმშიინ, სწყურინ და მისთანანი.

⁹ სუბ. პრეფიქსი მეორე პირისა და ობ. პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, §34, გვ. 68-71 (ა. შა-ნიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. I, 1957, გვ. 170-171).





„მგერულ ზმნებს, როგორც ყველა იაფერებებს¹⁰, ორი წყობა აქვთ: სუბიექტური და ობიექტური. ამ დაყოფის საფუძველი ისაა, რომ ერთსა და იმავე ნაცვალსაქვალსა და სხვადასხვა ლაქებს, რომელთა შემწვობით ხდება უღლება, შეუძლიათ აღნიშნონ ზმნის ფორმებში ორი საწინააღმდეგო კატეგორია, ხან სუბიექტი (ქვემდებარე), ხან ობიექტი (დამატება).

როცა თითოეულ სუბიექტურ და ობიექტურ ნაწილსავე ზმნის ფორმებში აქვს თავისი პირდაპირი მნიშვნელობა, ასრულებენ, ასე ვთქვათ, თავის პირდაპირ როლს, ე. ი. პირველი მათგანი გვიჩვენებენ სუბიექტს, მეორე კი ობიექტს, ასეთ ზმნებს წყობა სუბიექტური აქვთ; ხოლო როცა ნაწილაკებს შორის როლების გაცვლა-გამოცვლა ხდება, ე. ი. სუბიექტური ნაწილაკები ვიხილავთ ობიექტს, ობიექტურები კი, პირუკუ, სუბიექტს, ასეთ ზმნებს წყობა ობიექტური აქვთ¹¹.

თეთი ნ. მარი, რომლის თეორიასაც იხიარებდა ი. ყიფშიძე, ასე ასახულებდა ქართ. ზმნათა ორ ჯგუფად დაყოფას: ქართულ უღლებას აქვს ორი წყობა: სუბიექტური და ობიექტური.

სუბიექტური წყობით რომ გაუღლოთ, უნდა აღვით ზმნის ფუძე, ე. ი. ძირი გარკვეული ფორმით, და მას უნდა დაეურთოს ცნობილი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები – სუბიექტურები, მხ. რის მე-3 პირში სუფიქსი, დანარჩენ პირებში პრეფიქსები; ამასთანავე მრ. რიცხვში ზმნის ფუძეს 1-სა და მე-2 პირში მეთრევის მრავლობითის მაჩვენებელი თ. მე-3 პირში კი მხოლოდ ვიხილონა ან, ენ, ედ ან ეს, როგორც ეს განმარტებულია 146–147 პარაგრაფებში.

ობიექტური წყობით რომ გაუღლოთ, ზმნის ფუძეს, რომელსაც აწმყოში მოეპოვება სუბიექტური სუფიქსი მე-3 პირისა ს, უნდა დაერთოს ობიექტური პრეფიქსი მ, გუ (ნათესაობ. მი, გვ, მიცემ. მა, გუა), თანაც ზმნის ფუძეს აწმყოში შეუძლია მიიღოს მრ. რიცხვის ფორმა იმით, რომ ნაცვალსახელოვანი ს სუფიქსის ნაცვლად მიიღებს მრ. რიცხვის ან დაბოლოებას და ეს უთუოდ ხდება იმ შემთხვევაში, თუ ლოდიკური ობიექტი, სახელობით ბრუნვაში დაეყენებული, აგრეთვე მრ. რიცხვისა: მ-რწამ-ს ღმერთი (я верую в бога, ძველი ქართულით აგრეთვე: мы веруем в бога), გუ-რწამ-ს ღმერთი (мы веруем в бога), მაგრამ მ-რწამ-ან ღმერთ-ნი (я верую, ძველი ქართულით აგრეთვე: мы веруем в богов), გუ-რწამ-ან ღმერთ-ნი (мы веруем в богов); მაგ.

ლოდიკური ობიექტი მხოლოდობითა

მ-რწამ-ს
გ-რწამ-ს
პ-რწამ-ს
მ, გუ-რწამ-ს
გ-რწამ-ს
პ-რწამ-ს

ლოდიკური ობიექტი მრავლობითა

მ-რწამ-ან
გ-რწამ-ან
პ-რწამ-ან
მ, გუ-რწამ-ან
გ-რწამ-ან
პ-რწამ-ან

ობიექტურ პრეფიქსიანი ზმნა, რომელიც წარმოადგენს ობიექტური წყობის ფორმას, სვამს ობიექტს (ლოდიკურს), თუ ის ზმნის მნიშვნელობითაა გამოყვეული, სახელობ. ბრუნვაში: პეტრესა სინაგოგა (Петр спит), პეტრესა პრწამს ღმერთი (Петр верует в бога)¹².

„აჟავს“ ტიპის ზმნებთან რომ ქვემდებარე თითქო მიცემითში დასმული სახელი იყოს, ამას ძველებიც აღნიშნავენ, მაგ., დ. ჩუბინაშვილი წერდა: „ნაცვალსახელოვანი ზმნები მოითხოვენ ქვემდებარეს თავის წინ მიცემით ბრუნვაში, თავის შემდეგ კი სახელს სახელობით ბრუნვაში, მაგ., ლომსა მსწყურის წყალი (Лев имеет жажду), თამარს უხარიან შვილის ბედნიერება (Тамара радуется счастью сына)¹³. სამწყუხაროდ, დ. ჩუბინაშვილი არას ამბობს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სინტაქსურად მეორე სახელი, რომელიც სახელობით ბრუნვაშია დასმული.

არაფერია ამაზე ნათქვამი არც ს. ხუნდაძის 1904 წელს გამოსულ გრამატიკაში, სადაც მიცემით ბრუნვის შესახებ იკითხება: „მიცემით ბრუნვა იხმარება... მეორე მიმოსხის ზმნებს შემდეგ, როგორც ქვემდებარე, ყველა დროსა და კილოში: ბავშვს უყვარს, უყვარდა, შეუყვარ-

¹⁰ იმ დროს, როცა ი. ყიფშიძის „მგერული გრამატიკა“ იბეჭდებოდა (1914 წ.). ქართული, ჰანურ-მგერული და სვანური, ნ. მარის მკვლარი თეორიის თანახმად, იაფერებებს ენებად იწოდებოდა.

¹¹ ი. Кипшидзе, Грамматика... §58.

¹² Н. Марр, Грамматика древнелитературного груз. языка, Л. 1925, §§164, 165, 169.

¹³ Краткая груз. грамматика, СПб, 1855, стр. 53.



გი-ყვარ-ხარ dir-lieb-ich bin = du liebst mich და სხვ.¹⁹

6. მარისა და მ. ბრიერის წიგნში ზმნის ფორმები მრწამს, მიყუარს და მაქუს ასეა ნათარგმნი: მრწამს „je le crois, litt.: „pour moi objet de foi lui“, მიყუარს „je l'aime“, litt.: „pour moi objet d'amour lui“, მაქუს litt.: „je l'ai“ „à moi objet de possession lui“.

აღნიშნული ტიპის ზმნები კ. ფოქტს გარდაუვალთა რიცხვში აქვს მოქცეული და ზოგ მათგანს ასე თარგმნის: მიყვარს il m'est cher>je l'aime, მძინავს litt. cela me dort> je dors, მტკიავს cela me fait mal, je souffre²¹ და სხვ.

ბ. რუდენკო ამკვარ ზმნებს პირდაპირაც თარგმნიდა და სუბიექტ-ობიექტის შებრუნებითაც: მიხუღს он мне ненавистен = я ненавижу, მკავს он мне имеется = я имею; მიყვარს он мне люб = я люблю და მისთ.²²

ზემოთ მოყვანილია ამონაწერი ჩემი წიგნიდან, სადაც ნათქვამია, რომ „კვავს“ ტიპის ზმნები რუსულად ჩვეულებრივ შებრუნებული კონსტრუქციით ითარგმნება; სუბიექტი და ობიექტი რომ რუსულადაც თავ-თავის ადგილას დარჩეს, საჭიროა სხვაგვარი ხერხი თარგმნისა; უნდა გვახსოვდეს, რომ, თავი რომ დავანებოთ პირთა რაოდენობის საკითხს (რუსულში ზმნა ერთპირიანია, ქრთულში – ორპირიანი), სტრუქტურა რუსული ზმნისა სხვაა და ქართულისა – სხვა. შეუბრუნებლად თარგმნისას რუსული ზმნა მრავალ შემთხვევაში ფორმით უკუქცევით (возвратный) იქნება, ან უნებოთ (имеется, любим, ненавидим და სხვ.), მაშინ როდესაც ზმნა საშუალია. წინადადება „მამას უყვარს შვილი“ სუბიექტ-ობიექტის შეუბრუნებლად შეიძლება ითარგმნოს ასე: сын любим отцом, მაგრამ უფრო ახლოს იქნება, რომ ვთქვათ: отцу любим сын; წინადადება „მოქვავს წიგნი აქვს“ უფრო ახლო გადმოგვცემს ასეთი თარგმანი: у ученика есть книга, ვიდრე ასეთი: у ученика имеется книга.

სხვათა შორის, „კვავს“ ტიპის ზმნებში ურევია „მოსწონს“, რომელიც რუსულად ისე ითარგმნება, რომ სუბიექტ-ობიექტის შებრუნება საჭირო აღარ არის: ღიზას ანდრო მოსწონს – Лизе нравится Андрей. არც ერთ ენათმეცნიერს არ შეუძლია თქვას, რომ აღნიშნულ რუსულ წინადადებაში ქვემდებარეა Лизе, ხოლო Андрей დამატებააო. არა, რუსული ენის სპეცი-ალისტი იტყვის: აქ ქვემდებარეა Андрей, Лизе კი დამატებააო.

მიუხედავად იმისა, რომ ქართ. წინადადება „ღიზას ანდრო მოსწონს“ და რუსული „Лизе нравится Андрей“ სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით ერთნაირია, გვარწმუნებენ: არა, ქვემდებარეაო „ღიზას“. დავუეთანხმოთ ერთ წუთას და ვთქვათ, რომ წინადადებაში „ღიზას მოსწონს ანდრო“ ქვემდებარეა „ღიზას“. ცხადია, მაშინ „ღიზას“ ქვემდებარე იქნება აგრეთვე ამ წინადადებაშიც: „ღიზას მოეწონა ანდრო“ და ამაშიც „ღიზას მოსწონებია ანდრო“. თუ გვრეა, მაშინ „ღიზას“ იქნება ქვემდებარე ამ წინადადებებშიც:

- ღიზას მოსწონებია ანდრო
- ღიზას თავს დასდგომია ანდრო
- ღიზას გააქცევია ანდრო
- „ დასწევია „
- „ შეხვედრია „
- „ ავად გააზღომია „
- „ მოაკვდომია „
- „ დასიზმრებია „
- „ გააშორებია „
- „ დამდურებია „ და მისთ.

აი, რა დასკვნამდის მივალთ, თუ გაეიზიარებთ ზემოთ მოყვანილ მტკიცებას! რა იწვევს გაუგებრობას? ის, რომ ზმნის ფორმა, რომელთანაც შეწყობილია სახელი, მორ-

¹⁹ A. Durr, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen, 1928, გვ., 78-79.

²⁰ N. Marr et M. Brière, La langue géorgienne, Paris, 1931, გვ., 116, 117, 119.

²¹ Hans Vogt, Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, Oslo, 1936, გვ., 195-198.

²² Б. Руденко, Грамматика грузинского языка, М.-Л., 1940, стр. 186-187.



ფოლოლოგიურად გაგებული და დაფასებულია არა ისე, როგორც ეს საჭიროა.

არის ერთი გარემოება, რომელიც ხელს უწყობს, რომ ასეთი ტიპის ზმნებთან მიცემითი ბრუნვის ფორმა იყოს სუბიექტად გაგებული: ზოგი მათგანი მხოლოდ ობიექტური პირების მიხედვით იცვლება: მაქვს, გაქვს, აქვს და შემდგომი; მინავს, გძინავს, სძინავს და შემდგომი; მცოცხავს, გცოცხავს, სცოცხავს და შემდგომი. ამის გამო ფორმა, წარმოშობით ორ-პირიანი, ერთ-პირიანად არის ქცეული. ერთ-პირიანი ზმნები კი ჩვეულებრივ სუბიექტური პირის მქონეებია: არის, ხის, წერს, ხტის, დღეს, ქრის, დნება, შრება, იღუპება, შავდება და მისთ.

საშუალო ზმნებს გარდა მოთხოვნა რთვი ვნებითი გვარის ზმნებისა, რომლებიც ამა თუ იმ გრძნობას გამოხატავენ, მათ შორის მიჩნევისა და გუნების ვნებითის ფორმები (ქართ. გრამ. საფუძვლები §§ 361, 362): მეჯავრება, მეზიზღება, მეხალისება, მეხილვება („მას ყმახა თავი არ მისცა, ჭერუტადცა ებიღწეობდა“. „ვეფხ. - ტყ.“. 232), მეშწარება, მეშეგება, მედიდება, მეშლერება, მეტრება და მისთ. საერთო წესის თანახმად, აქაც ქვემდებარედ უნდა მივიჩნიოთ სახელობითში დასმული სახელი (თუ კი ასეთი ზმნას ეწყობა, მაგ., „მეკეთა ესე თათბირი“. „ვეფხ. ტყ.“ 426), მიცემითში დასმული სახელი კი ირიბი ობიექტია; მაგ., „გოგონას ეტრება“ (ევალი, V, 217).

გამოთქმა „ღორი ბოძს ეფხანება“ ისეთია, რომ ქვემდებარედ სახელობითში დაყენებული „ღორი“ მიგვანია. ამაზე, მგონია, არავინ იცავებს. მაგრამ სწორედ ასეთივე გამოთქმა ესეც: „ბიჭს თავი ეფხანება“. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ პირველ წინადადებაში ღორის მოქმედება ნათელია, მეორე წინადადებაში კი თავი იწყვეს ფხანის გრძნობას ბიჭში და მისი მოქმედება²³ ისე ნათელი არ არის, როგორც პირველში. რომელია მაინც ქვემდებარედ? საერთო წესის მიხედვით აქაც ქვემდებარედ სახელობითში დაყენებული სიტყვა უნდა მივიჩნიოთ, ე. ი. „თავი“. „ბიჭს“ კი ირიბი ობიექტი იქნება. „თავი ეფხანება“ სინტაქსურად იგივეა, რაც „თავი ეჭალება“. მაშასადამე, წინადადებაში: „ადგეს დიღით ხელის გული მექაეპობა“ ქვემდებარე „ხელის გული“. I პირი კი ირიბი ობიექტის გაგებას გვძლევს.

თქმულის შემდეგ ცხადია, თუ როგორ უნდა მივიჩნიოთ სინტაქსური თვალსაზრისით სახელობითსა და მიცემითში დასმული სახელები შემდეგ წინადადებაში: ეგ შენი ამავე ძალიან მიკვირს; არა მიშავს რა; მაროს გული უწუხს; ვანოს კრიტიკა ძალიან სწყინს; წუხედ თავი მტკიოდა ძალიან; შენი დაწინაურება ყველას უხარია, საამისოდ ძალა არ შემწვევს და მისთ.

გამოთქმულია აზრი, თითქო „მძულს“ ტიპის ზმნებში ობიექტური პირის ნიშნით გაღმოცქეული იყოს რვაღურად მოქმედი პირი. აი, მაგალითად რას ვკითხულობთ ა. ჩიქობავას ერთ წერილში:

„გარდაუვალ ზმნებში არის ერთი ჯგუფი, რომელიც აწმყოშივე შებრუნებული წყობით არის წარმოდგენილი; ასეთია, მაგალითად: მაქვს, მყავს, მძულს, მიყვარს, მშობი, მწყურია, მინდა, მსურს. ყველაზე ობიექტის ნიშნით (მ თავსართით) გაღმოცქეულია რვაღური სუბიექტი, ის პირი, რომელსაც „აქვს“, „მყავს“, „სძულს“, „უყვარს“, „აშობი“, „სწყურია“... ხოლო სუბიექტის ნიშნით (ს ბოლოსართით) რვაღური ობიექტი (რაც აქვთ, მყავთ, სძულთ, უყვართ...)“²³. მაგრამ საკითხავია: საიდან ჩანს, რომ წყობა შებრუნებულია? საიდან ჩანს, რომ რვაღურად მოქმედი პირი ამ ზმნის ფორმებში პირველია? ეს არსაიდან არ ჩანს. ის გარემოება, რომ ეს ზმნები გარდაუვალია (ამას ხომ ა. ჩიქობავაც აღასტურებს), იმის მანქნეველია, რომ მათ არ შეიძლება აქონდეთ პირდ. ობიექტი, რომელსაც სუბიექტის მოქმედება ვრცელდება. მაშასადამე, როცა ვთქვით, ზნა გარდაუვალიაო, ამით იხივ ვთქვით, რომ სუბიექტი აქ სხვაზე არ მოქმედებს, და, თუ კიდევ სხვა პირია წარმოდგენილი ფორმაში, ურთიერთობა ამ პირსა და სუბიექტს შორის არ შეიძლება იყოს ისეთი, როგორც ორ-პირიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტსა და ობიექტს შორის. მაშასადამე, თუ „მიყვარს“ გარდაუვალია, ამ წინადადებაში: „ვანოს უყვარს მამა“, „მამა“ არ შეიძლება იყოს პირდ. ობიექტი (პირდ. დამატება), როგორც ეს მ. ჯანაშიელს (და მასთან ერთად ბევრ სხვას) ესმის. მაშ რაღაა ის ობიექტი, რომელსაც ა. ჩიქობავა დაპარაკობს? ირიბი? აბა ირიბ ობიექტს (ა. ჩიქობავას მიხედვით პიროვნების ობიექტს) რა ესაჩქება სახელობითში?!

²³ ა. ჩიქობავა, ქართ. ენის ზოგადი დახასიათება, 057-058 (განმარტებითი ლექსიკონის პირველ ტომში).



განცხადება იმისა, რომ „მაქეს“, „მყავს“, „მოხულს“ ან მისთანა ზმნებში ურთიერთდაკავშირებით გამოხატული პირი რეალურად მოქმედი პირიაო, არაა დასაბუთებული. ურთიერთდაკავშირებით გამოხატული პირი რეალურად მოქმედი პირიაო, არაა დასაბუთებული. ურთიერთდაკავშირებით გამოხატული პირი რეალურად მოქმედი პირიაო, არაა დასაბუთებული. ურთიერთდაკავშირებით გამოხატული პირი რეალურად მოქმედი პირიაო, არაა დასაბუთებული.

შეიძლება თქმული საკმარისი არ იყოს იმის დასამტკიცებლად, რომ „მოხულს“ ტიპის ზმნებთან რეალურად მოქმედი პირი არ შეიძლება იყოს მიცემითში დაყენებული სახელი. ამიტომ საჭიროა უფრო ვრცელი განმარტება.

დავიწყოთ მარტივი მაგალითიდან. „ცივა“ ზმნა პირ-ნაკლია, იხმარება მარტო მესამე სუბ. პირში, ისიც რაიმე სახელის შეუწყობლად, ე. ი. იმპერსონალურად: ცივა, ციოდა, ციოდეს. რაკი სახელი არ უწყობა, არც ვიცით, ვინ მოქმედებს, ან რა მოქმედებს. ამიტომ, როცა მას ორ-პირიანად ვადასტურებთ (მცოვა, გციოვა, სციოვა, გეციოვა...), მოქმედი მაინც არ მოქმედებს, იმპერსონალური გაგება მაინც დარჩება (სუბიექტური პირისათვის), ოღონდ მოემტკნება ირბი პირი, რომელსაც სიცოცხის შერგანება აქვს, სხვა კი არაფერი. მტივა-ში რომ I პირი მივიჩინოთ გრამატიკულ სუბიექტად, ეს იმას ნიშნავს, რომ აბსოლუტური ფორმა (ე. ი. ცივა) იმიტომ გახდა იმპერსონალური, რომ მას ჩამოეცადა მ ან სხვა მანის რიგის ნიშანი. ამიტომ „მცივა“-ში რომ პირე, პირი ვიცნათ გრამატიკულ სუბიექტად, ეს აბსურდი იქნება, იმიტომ რომ აქ არავინ არ მოქმედებს, ისე როგორც „მცხელა“ ან „დაიხა“-ში: „დღეს ძალიან დაცხა“, აქ ზმნა ერთ-პირიანი იმპერსონალური ფორმაა სუბიექტისათვის. ამიტომ ამ წინადადებაში „ვანოს დღეს ძალიან დაცხა“ სუბიექტი არ ჩანს, „ვანოს“ კი ირბი ობიექტია.

ამგვარივე უსუბიექტო გამოთქმებია: მაწივმს, მათოვს და რიგი სხვა ზმნებისა: მაცივებს, მაცივლებს, ცხვიროს მაცივინებს, მასლოკინებს, გულს მახიდებს, მუხლები მომკვთა, გამაჭრუოლა, ტანში მზარავს და მისთ. ამ ზმნებს სუბიექტური პირის ფარდი სახელი არ შეუწყობა და, მაშასადამე, სათანადო წინადადებაც უსუბიექტო იქნება. რაღაა მაშინ I პირი „მცივა“ ან „დაძინა“ ფორმაში? პასუხი შეიძლება ერთად-ერთი იყოს: უმოქმედო პირი, ე. ი. გრამატიკული ობიექტი. „მცივისავით“ უსუბიექტოა დღეს ზმნები: მიხინავს, მღვიძავს, მშია, მწყურია და მისთ. მათთან შეწყობილი სახელი მიცემით ბრუნვაში ირბი ობიექტი იქნება (და არა სუბიექტი): ბავშვს სძინავს, მღვიძავს, შშია, მსწყურია და მისთ. თუ ახეთ ზმნებს შეუწყობა სახელობითი დასმული სახელი, ეს სახელი იქნება ქვემდებარე: ბავშვს წყალი სწყურია, ბავშვს პური შშია და მისთ. მაშასადამე, ასე: „ბავშვს პური შშია“, ქვემდებარე „პური“ და არა „ბავშვს“, რომელიც ირბი ობიექტია. სამაგიეროდ აქ: „ბავშვს სძინავს“ - გრამატიკული სუბიექტი არა ვეაქვს (ზმნის ფორმა იმპერსონალურია), ხოლო „ბავშვს“ იქნება ირბი ობიექტი.

სულ სხვაა წინადადება: „ბავშვი იძინებს“, სადაც „ბავშვი“ გრამატ. სუბიექტია (ქვემდებარე). დიდი შესვლით იქნება თქმა იმისი, რომ ეს ორი წინადადება „ბავშვს სძინავს“ და „ბავშვი იძინებს“ თანაბარი სინტაქსური ურთიერთობის გამოშხატველიაო; არა, ისინი სხვადასხვა სინტაქსური ურთიერთობის გამოშხატველი წინადადეგებია.

რაც ითქვა „სძინავს“ ფორმასთან შეწყობილ სახულზე, იგივე ითქმის იმავე ტიპის „ღვიძავს“ ზმნის წყვილის ცალწყვიდაც, „ბავშვს მღვიძავს“ - აქ „ბავშვს“ აგრეთვე ირბი ობიექტია. სამაგიეროდ აქ: „ბავშვი იღვიძებს“, „ბავშვი“ ქვემდებარეა (სუბიექტია). რა მიმართებაცაა სძინავს - იძინებს და მღვიძავს - იღვიძებს ზმნებს შორის, იგივეა აგრეთვე შემდეგ წყვილებს შორისაც: უყვარს - იყვარებს, სძულს - იძულებს, სტივა - იტივებს და მისთ.



თქმულის შემდეგ ადვილი გადასაწყვეტია, თუ როგორ უნდა შევხედოთ ორ-ამოცამეცხრამეტე საუკუნის ზმნათა წყვილის ცალებს, როგორცაა:

ქეთოს კოტე სძულს,
ქალს კოხტობა მოსწონს,
შვილს დედა უყვარს,
პეტრეს სახლი აქვს,
თებროს ცხვარი ძეავეს,
ღუარსაბს გაეხარდა, ელისაბედს ეწვინა (ი. ჭავჭავაძე) და მისთ.

აღნიშნული საერთო წესის გამონაკლისს შეადგენს „ვიცი“ ზმნის მესამე სერის ფორმები და „მაქვს“ და „მეყავს“ ზმნათაგან დართვით ნაწარმოები ზმნები: მომაქვს, მომეყავს და სხვები.

ვიცი. ამ ზმნას მეტად თავისებური წარმოება აქვს. როგორც არა ერთხელ აღმინიშნავს (პირველად გამოკვლევაში სუბიექტ-ობიექტური პრეფიქსების შესახებ, გვ. 6, შწმ 2)²⁴, „ვიცი“ წარმოშობით II სერის ფორმაა. სახელდობრ II ხოლმეობითისა, რასაც მესამე პირის სინტაქსური ძალა აჩენს: მეგობარმა იცის, მან იცის. მას საზოგადოდ II სერის მწკრივები აკლია, რადგანაც თავად II ხოლმეობითის ფორმაა წარმოშობით, სხვა მწკრივები ამ სერიისა ადრე დაკარგა და I სერიაში გადმოსვლასთან დაკავშირებით ხელახლა გაიკეთა სამაგიერო მწკრივები: ვიცი, ვიცოდი, ვიცოდე. III სერის ფორმებია: მცოდნია, მცოდნოდა, მცოდნოდეს, რაც წარმოების თვალსაზრისით სრულ კონტრასტს წარმოადგენს „ვიცი - ვიცოდი - ვიცოდე“ ფორმებთან დამპირისპირებით, რადგანაც „ვიცი“ პირდაპირი წესის ფორმაა და გარდამავალი და III სერიაში მას უნდა მოეცა არა მცოდნია, მცოდნოდა, მცოდნოდეს, არამედ რაღაც ამგვარი: მიცნია, მეცნა, მეცნოს (ან: მიცოდნია, მეცოდნა, მეცოდნოს), როგორც ამას ადვილი აქვს ინვერსიული ფორმების წარმოების დროს. „მცოდნია“ კი წარმოების თვალსაზრისით იმავე ტიპისაა, რაც „მიწვლია“ (რომელსაც აწმყოდ, აწმყოვე“ აქვს), ან „მღვამია“ (რომლის აწმყოა „მღვამას“ ან „მღვამას“). მაშასადამე, ვიცი - მცოდნია შერეული უღლების ზმნაა: აწმყოს წრის მწკრივების ფორმები გარდამავალი ზმნის ტიპისაა, III სერიისა კი - გარდაუვალია. გვიანდელი მწკრივებიც (მყოფადის წრისა) აგრეთვე გარდაუვალი ზმნის მსგავსად აქვს გაკეთებული: მეცოდინებოდა, მეცოდინებოდა, მეცოდინებოდეს (შდრ. მახლავს: მხელუბა, მხელუბოდა, მხელუბოდეს და მისთ).

გხლა ავიღოთ ასეთი წინადადება: „ვანომ დურგლობა იცის“ და დაეუყვნით მას პირისპირ მეორე წინადადება: „ვანოს დურგლობა სცოდნია“ და ვითხოვთ: რა განსხვავებაა მათ შორის? პირველ წინადადებაში შემასმენელი გარდამავალი ზმნის ფორმითაა მოცემული და ცხადია, რომ გრამატიკული სუბიექტია „ვანომ“, ხოლო „დურგლობა“ პირდ. ობიექტია. მეორე წინადადებაში კი შემასმენელი („სცოდნია“) გარდაუვალი ზმნის ფორმითაა მოცემული და ერთი შეხედვით ის იხე უნდა დაფასდეს, როგორც სხვა გარდაუვალი ზმნის შემთხვევაში, ვთქვათ ასეთ წინადადებაში: ვანოს დურგლობა დაავიწყნია, ვანოს დურგლობა გაახსენებია, ვანოს დურგლობა მოსწყენია, ვანოს დურგლობა შესჯავრებია, ვანოს დურგლობა მოსწონებია, ვანოს დურგლობა შეყვარებია და მისთ, სადაც გრამატიკული სუბიექტია ყველგან „დურგლობა“ არის, ხოლო „ვანოს“ - ირიბი ობიექტი. უკანასკნელთა კვალიფიკაცია არ არის ანელი, რადგანაც მათ I და II სერის მწკრივებშიც ისეთივე სინტაქსური ურთიერთობა აქვთ, როგორც მესამისაში: ვანოს დურგლობა დაავიწყებდა, ვანოს დურგლობა დაავიწყდა, ვანოს დურგლობა დაავიწყნია; ვანოს დურგლობა მოეწონება, ვანოს დურგლობა მოეწონა, ვანოს დურგლობა მოსწონებია და მისთ. ასე რომ აღნიშნულ გარდაუვალ ზმნებთან, რომლებიც გვარის თვალსაზრისით ვნებთობენ, სინტაქსური კონსტრუქცია ყველა სერის ფორმებში ერთი და იგივეა, მაშასადამე, წინადადების წვერთა კვალიფიკაციაც ერთი და იგივე იქნება: „დურგლობა“ იქნება სუბიექტი (ანუ ქვემდებარე), „ვანოს“ კი - ირიბი ობიექტი.

სულ სხვა ვითარება გვაქვს „ვიცი“ ზმნის შემთხვევაში: მიუხედავად იმისა, რომ „ვიცი“ და „მცოდნია“ სხვადასხვაგვარად აგებული ფორმებია, გრამატიკული შინაარსით ისინი ერთნაირი და ერთმანეთის მსგავრობას ეწვეიან მწკრივებში. მართლაც, ზმნები იცის - სცოდნია

²⁴ ა. შანაძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის ხაკთებები, I. 1957, გვ. 121.



ისეთსავე ურთიერთობაშია ერთმანეთთან, როგორც ისწავლის - უსწავლია, გვერდები ერთმანეთს
ბია, აკეთებს - უკეთებია, აცხობს - უცხვია, იწყებს - უწყია და მისთ., ე. ო. როგორც ეს ხისია
ერთისა და იმავეს, ზმნის ფორმები, ისე იცის - სცოდნია ერთისა და იმავე ზმნის ფორმებია.
აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ წინადადება „ვანოს დურგლობა სცოდნია“ სინტაქსურად
იმგვარადვე უნდა შეფასდეს, როგორც „ვანომ დურგლობა იცის“, ე. ო. სუბიექტია „ვანოს“,
პირდ. ობიექტია „დურგლობა“. ამიტომ «ვეფხისტყაოსნის» ამ ტავაში: „ჩემნი საქმენი ყოველ-
ნი გცოდნიან“ (151) „საქმენი“ პირდ. დამატება იქნება.

„სცოდნია“ ზმნა ფორმის მიხედვით დგას გარდაუვალ ზმნათა რიგებში: წერილი მომ-
სვლია, ცხენი დამკარგვია, თმა გამოთორებია და მისთ. მიუხედავად ამისა, მას აქტიური ვაგუ-
ბა აქვს, რადგანაც „ვიცი“ ენაცვლება III სერიაში და თანაც მას არაფერი უდგას საპირის-
პიროდ, რომ გარდაუვალად ვიცნათ იგი, როგორც ეს ამავე წარმოების ზმნებს აქვთ: დაკარ-
გვია - დაუკარგავს, დამძალავს - დაუმძალავს და მისთ.

შეიძლება მითხრან: არც დააკვლიძია“-ს უდგას რაიმე პირისპირ და რატომ აქტიურად არ
გვევსმის იგი? ამავე უნდა ვუპასუხოთ: იმიტომ, რომ I და II სერიის მწკრივებში მას ისევე
ვსებთის ფორმებთან აქვს კავშირი: დააკვლება, დააკვლა.

შენიშვნა: მგერული „მოიქ“ („ვიცი“) და სხვური „მოხალ“ („ვიცი“) ყველა სერი-
აში ერთნაირად იკეთებენ ფორმებს. ამიტომ ისინი ყველგან გარდაუვალ ზმნათა რი-
გებში დგანან.

მოაქვს - მოიტანს. ეს ზმნები ერთმანეთს ენაცვლებიან I სერიის მწკრივებში: მოაქვს -
მოიტანს, მოაქონდა - მოიტანდა, მოაქონდეს - მოიტანდეს. II სერიაში მარტო „მოიტანს“
ზმნის ფორმები იხმარება: მოიტანა, მოიტანოს. III სერიაში ერთიც იხმარება და მეორეც (ას-
პექტის მიხედვით): მოაქონებია - მოუტანია და სხვა.

მსგავსივე შენაცვლება ამავე ფუძეების ზმნებისა სხვა ზმნისწინებითაც; შეაქვს - შეი-
ტანს, გააქვს - გაიტანს, გადააქვს - გადაიტანს და სხვა. ოღონდ „დააქვს“ უცალღა: იგი
მარტო აქმყოს წრის მწკრივებში იხმარება და სხვაგან არაფერი ენაცვლება. ერთი შენიშვნა
კიდევ: **მო** და **მი** ზმნისწინით ხმარებისას „აქვს“ ზმნას მეორე ფუძის ზმნა ენაცვლება: მო-
აქვს - წამოიღებს - მოიტანს; მიაქვს - წაიღებს - მიიტანს. „მოაქვს“ იგივე ზმნაა, რაც
„აქვს“, ოღონდ ზმნისწინის დართვით ლექსიკური მნიშვნელობა ეცვალა, ხოლო სინტაქსური
ურთიერთობა სახელებთან ისეთივე შეიძრა, როგორც ჰქონდა: ვანოს შეშა აქვს, ვანოს შეშა
მოაქვს. მიუხედავად ამისა, „მოაქვს“ ისეთი ზმნაა, რომელსაც უწინაცვლებთ გარდამავალ
ზმნას: ვანოს შეშა მოაქვს - ვანო შეშას მოიტანს, ვანომ შეშა მოიტანა. აზრობლივ ეს ზმნე-
ბი ერთსა და იმავეს აღნიშნავენ და, ეს რომ არ იყოს, მათი შენაცვლებაც შეუძლებელი იქ-
ნებოდა. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ „მოაქვს“ გარდამავალ ზმნათა რიგებშია ჩაყენებუ-
ლი და, მაშასადამე, მას ისე უნდა შეეხედოთ, როგორც III სერიის ფორმებს გარდამავალი
ზმნებისა: ვანოს შეშა მოუტანია - ვანოს შეშა მოაქვს. მასთან შეწყობილი სახელებიც ერ-
თნაირად უნდა მივიჩნიოთ სინტაქსური ვითარების მიხედვით: „ვანოს შეშა მოუტანია“ - ქვემ-
დებარეა „ვანოს“, პირდაპირი დამატებაა „შეშა“. „ვანოს შეშა მოაქვს“ - ქვემდებარეა „ვა-
ნოს“, პირდაპირი დამატებაა „შეშა“.

მოაყავს - მოიყვანს. „აქვს“ ზმნა უსულო საგნებზე ითქმის, სუელიერ საგნებზე თუა საუ-
ბარი, მას „აყავს“ ენაცვლება: „სახლი აქვს“, მაგრამ „ცხენი აყავს“. ეს ზმნაც დართთავს
ზმნისწინებს: მოაყავს, მოაყვანს, გადააყავს, გადააყვანს და სხვა. ეს ზმნები მარტო აწ-
მყოს წრეში იხმარება, სხვაგან კი ენაცვლება ყვან ფუძისაგან იმავე ზმნისწინით ნაწარმოები
ზმნები: მოაყავს - წამოიყვანს, მოიყვანს, მიაყავს - წაიყვანს, მოიყვანს, გადააყავს - გაიყვანს
და სხვ.

შენაცვლება აქაც იმავე ხასიათისაა, როგორც მოაქვს-მოიტანს ზმნათა შემთხვევაში.
აქაც დაშორებაა ფორმისა და შინაარსისა, მაგრამ გრამატიკული ფორმის კვალიფიკაციის
დროს გამოვლივართ შინაარსიდან და არა ფორმიდან, ამიტომ აქაც იგივე ვითარება გვექნება,
რაც „მოაქვს“ ზმნაზე ვნახეთ: ვანოს ცხენი მოუყვანია - ვანოს ცხენი მოაყავს. ორსავე შემ-
თხვევაში ქვემდებარეა „ვანოს“, „ცხენი“ კი პირდაპირი დამატება იქნება.

მაშასადამე, „მოაქვს“ და „მოაყავს“ ფორმები ენას გათანაბრებული აქვს გარდამავალ
ზმნათა III სერიის ფორმებთან, ხადაც ინფერხიას აქვს ადგილი. ამის მიხედვით შეგვიძლია



ვთქვათ, რომ „მოაქვს“ და „მომაყვს“ ინვერსიული ზმნებიაო, სხვათა შესახებ კი არ შეიძლება.

დეკემბერი 1952 წ.

P. S.

ეს ნარკვევი დაწერილია 1952 წელს. მას შემდეგ აზრი აღნიშნული გრამატიკული საკითხის შესახებ არ შემცვლია, ოღონდ დამატებით უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა.

ქართულში მეტად თავისებური ვითარება შეიქმნა იმის წყალობით, რომ გარდამავალი ზმნის ფორმებს III სურის მწკრივებში გარდაუვალი შეენაცვლა და აქტიურ ფორმებს – პასიური, რასაც თავის დროს კ. შუხართი აქცევდა ყურადღებას. ამის გამო გარდამავალ ზმნათა ობიექტურმა პირმა III სურის მწკრივთა ფორმებში სუბიექტის გამოხატვის ძალა მოიპოვა და ამის შედეგად მათთან მიცემითში დასმულ სახელს გრამატიკულ სუბიექტად აღვიქვამთ, სახელობითში დასმულს კი – პირდაპირ ობიექტად. ჩვენ თანაბრად ეუნაცვლებთ III სურის ფორმებს I და II სურისას არა მარტო გარდაუვალ ზმნებში, არამედ გარდამავლებშიც; მაგ., „ქალს წინდა მოუქსოვია“ ისეთივე აზრის გადმომცემია სინტაქსურად, როგორისაც „ქალი წინდას მოქსოვს“ და „ქალმა წინდა მოქსოვა“. ამ სამ წინადადებაში გრამატიკული ფორმები სხვდასხვანაირია, სინტაქსური ურთიერთობა კი – ერთნაირი. სუბიექტმა და პირდაპირმა ობიექტმა ბრუნვები იცვალა, სინტაქსური ვითრება კი იგივე დარჩა. ეს ბრუნვა-ცვლადუბადლობა ზმნის სტრუქტურაზე არის დამოკიდებული, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ზმნის სტრუქტურასთან არის შეფარებული. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ბრუნვა-ცვლადუბადლობა ქართული ენის დამახასიათებელი ნიშანია და მსგავსი რამ სხვა ტიპის ენებში არ მოიპოვება.

თუ რომელიმე ინვერსიული ფორმა, წარმოშობით გარდაუვალი, ვთქვათ, „მომიქსოვია“, გარდამავლად გვეხმის, ეს იმიტომ, რომ იგი შენაცვლების გზით გარდამავლად რიგებშია ჩაყენებული: მოექსოვ წინდას, მოექსოვე წინდა, მომიქსოვია წინდა. და, თუ იგივე ფორმა, წარმოშობით პასივი, აქტიურად გვეხმის, ეს იმიტომ, რომ იგი, ერთი მხრით, აქტიურ ფორმათა რიგებში გვაკუთვლება (მოექსოვ – მოექსოვე – მომიქსოვია), მეორე მხრით კი იგი უპირისპირდება ფორმას, რომელიც პასივია: წინდა მომიქსოვია – წინდა მომიქსოვია.

საზოგადოდ, როცა რომელიმე ზმნის ფორმას წინადადებაში ვიღებთ და მას სინტაქსურად განვიხილავთ მასთან შეწყობილ სახელებთან ურთიერთობაში, მხედველობაში გვაქვს ამ ზმნის ფორმათა წარმოება არა მარტო ერთს მწკრივსა და ერთს სურიაში, არამედ ყველა სურის მწკრივებში. ამიტომაც, რომ აშკარად გარდაუვალი „მომაყვს“ გარდამავლად წარმოგვიდგება იმის გამო, რომ მას ენაცვლება გარდამავალი ზმნის ფორმები: მოვიყვან – მოვიყვანე. ასეთივე შენაცვლების გამოა, რომ უღაოდ გარდაუვალი წარმოების ფორმა „მცოდნია“ გარდამავლად წარმოგვიდგება „ვიცი“-ს გვერდით, ხოლო მასთან სახელობითში შეწყობილი სახელი – პირდაპირ ობიექტად: წერა-კითხვა ვიცი, წერა-კითხვა მცოდნია²⁵.

²⁵ ეს აზრია გატარებული „ვიცი“, „მომაქვს“ და „მომაყვს“ ზმნების შესახებ დ. კვაჭავის ქართული ენის სინტაქსში, რომელიც ჩემი რედაქციით გამოვიდა (პირველი გამოცემა, 1956, გვ. 47; მეორე გამოცემა, 1958, გვ. 61).



„მიტიორს“ ზმნა და მასწავლებლის გასაჯიბრი

ქართული ენის გრამატიკის პროგრამისა და სახელმძღვანელოების განცვირთვა ზოგიერთ ზერთული და პრაქტიკული საჯიბრებისაგან მოწვევითი მასალისაგან საჯიბრი საქმეა; მაგრამ თვად მასწავლებელი ყოველთვის მზად უნდა იყოს ნებისმიერი რთული გრამატიკული მოვლების განსაზარტავად, თუკი ამის საჯიბრი გაკვეთილის პროცესში განდებდა. ინვერსიულ ზმნებთან დაკავშირებით მასწავლებლის წინაშე გარკვეული სირთულეები წამოიჭრება, რომლის გადაჭრას ისახავს მიზნად ამ სტატიის ავტორი.

1. ინვერსიის არსებობა ქართულ ზმნაში საყოველთაოდ ცნობილი ვაქტია. ნებისმიერ მოსწავლეს რომ ევითხოთ, მაქვს, მივეარს, მომწონს, მწყინს, მწამს... და მსგავს ზმნებში მოქმედი პირი, სუბიექტი რომელიაო, უყოყმანოდ პირველ პირს დაგვისახებებს. ასევე გაქვს, აქვს, ფორმებში შესაბამისად – II და III პირს. ექვს გარეშეა, რომ ამ ტიპის (გრძობობა-აქტის გამოხატულება) ზმნებში თანამედროვე ქართული კაცის ცნობიერებაში სუბიექტად მიცემითში დასმული სახელი ალიქმება.

ხალხი, „ენის კანონის დამებები“, როგორც ილია იტყოდა, ასე ფიქრობს. მაგრამ... გრამატიკულ ლიტერატურაში სუბიექტის საკითხი ამგვარ ზმნებთან კარგა ხანია სადავო გამხდარა¹. და რადგანაც სადავოა, ამიტომ სასკოლო გრამატიკის სახელმძღვანელოდან იგი შეერთოდ ამოღებულია. მასწავლებლები სწავლების პროცესში ამგვარ ზმნებს, რამდენადაც შეიძლება, გვერდს უდლიან, მაგრამ, საშუაზაროდ (თუ საბუნდნიეროდ), ეს ზმნები ისეთი ხშირი სახმარისია, ამასთანავე, ისინი თანდათან ისე იფართოებენ არეს, რომ საშინაო და საკლასო სავარჯიშოების შესრულებისას მოსწავლეები მათ წამდაუწუმ, ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან მასწავლებელი, რომელსაც შემთხვევით „წამოფრინდება“ რომელიმე „მიტიორს“ ზმნა გაკვეთილზე, მართლაც დიდ გაჯიბრებაში ვარდება: ბავშვები გაკვირიან, „მე ქვემდებარეაო“. მასწავლებელიც, ცხადია, გონებით ბავშვების მზარეზეა, მაგრამ რა ქნას, როდესაც მორფოლოგიის სასკოლო სახელმძღვანელოში საკუთრივ ამ ტიპის ზმნების სუბიექტის შესახებ არაფერია ნათქვამი², სინტაქსის სახელმძღვანელოში კი წერია, რომ „გარდაუკალი ზმნის მე-3 პირის ფორმასთან შეწყობილი ქვემდებარე ყოველთვის სახელობითშიაო“, ხოლო სათანადო ადგილას („ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების რაობა“) სავარჯიშოებში მოტანილი წინადადების მიხედვით შეგვიძლია დავასკენათ, რომ სახელმძღვანელოს ავტორები რომელიმე „ეტიკობა“ ზმნისათვის ქვემდებარედ სახელობითში დასმულ სახელს მიინდევან (სახის მოძრაობაზე ეტიკობოდა, რომ გრძობობის აღს მთლად მოებურა მისი არსება“ – აქ დამოკიდებულ წინადადება მიხნეულია ქვემდებარულ სახისად). თუ მასწავლებელი ბავშვს დაეთანხმება და იტყვის, რომ ქვემდებარე (სუბიექტი) მიცემითში დასმული სახელიაო, რა დაარქვას სახელობითში დასმულ სახელს მათზე, როდესაც ბავშვებმა იცინა, რომ დამატებებიდან (ობიექტებიდან) სახელობით ბრუნვაში მხოლოდ პირდაპირი შეიძლება იდგეს?

მაშასადამე, მდგომარეობა სვეციფიკურია, ბევრ სინულესთანაა დაკავშირებული და გრამატიკული მოვლენების კვადოფიკაციის გადასინჯვას მოითხოვს. და განა ამიტომ სკოლაში თვად უნდა დავსჯოთ და დომილით ავუაროთ გვერდი ქართული ზმნისათვის დამახასიათებელ ამ შეტად მნიშვნელოვან მოვლენას?

მაგრამ ასე გრძელდება წლების განმავლობაში: ბავშვები სრულიად გაუცნობიერებლად იხვირებენ, რომ „ქართულში ინვერსია ახასიათებს მარტო გარდამაველ ზმნებს III სერიაში.

¹ ქართული ენა დალიტერატურა სკოლაში, №4, 1978.

² ამის შესახებ იხ. ა. შინიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუკველ ზმნისათვის ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 7, 1961 წ. გვ. 209.

³ თუცა მასწავლებელი საჯიბრი შემთხვევაში, ცხადია, ხელმძღვანელობს ა. შინიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებით“, სადაც ინვერსიულ ფორმებთან დაკავშირებით შემდეგი აზრია გატარებული: „პირის წინაშე ინვერსიას გარკვეული ადგილი უჭირავს ზმნათა უღლების სისტემაში: ის გუხვდება მარტო III სერიის ფორმებში და ისიც გარდამაველ ზმნებში, გარდაუკველმა ზმნებმა საზოგადოდ ინვერსია არ იცის.“ (ა. შინიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, §241, გვ. 197).



გარდაუვალმა ზმნებმა კი საზოგადოდ ინვერსია არ იცის⁴; მაგრამ ეს მხოლოდ თეორეტიკული პრაქტიკულად კი გრძობობა-აღქმის ზმნებთან ისინი სუბიექტად მიცემითში დასმულ სახელს მიიხვეწენ, რაც ამ ტიპის გარდაუვალ ზმნებში სწორედ ინვერსიის არსებობას ადასტურებს.

ქართული ენის გრამატიკის ამ მეტად საჭირობოროტო და სადავო საკითხს პროფ. ვარლამ თოფურია⁵მ სპეციალური წერილი უძღვნა, რომელიც თერთმეტი წლის წინ დაიბეჭდა სწორედ ამ ფურხლის ფურცლებზე⁶. სტატიაში სრულიად გარკვევით და დამაჯერებლად არის დასაბუთებული უპირველეს ყოვლისა ის, რომ, რადგანაც საკითხი ეხება „მოელ ჯგუფს ზმნებისას, ამიტომ სახელმძღვანელოში მისი სულ გამოტოვება შეუძლებელია“ და რომ „გრძობობა-აღქმის გამომხატველი ობიექტური წყობის მქონე საშუალო გვარის ზმნები ანალოგიურ ვითარებას გვიწვევენ გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებთან: ეს ზმნებიც ინვერსიულია“⁷.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკითხი დღემდე არ მოგვარებულა და სასკოლო გრამატიკის სახელმძღვანელო კვლავ დუმს ამის თაობაზე.

2. ის ფაქტი, რომ გრძობობა-აღქმის გამომხატველ ზმნებთან ქართულში მიცემითში დასმული სახელია გაგებული სუბიექტად, თავის დროზე კარგად შეინშნა აკად. ნიკო მარმა. თავის „ძირითად ტაბულებში“⁸ მან ცალკე ადგილი მიუჩინა და გამოყო განსაკუთრებული, „ობიექტური წყობის“ მქონე ზმნების ჯგუფი, რომელიც არსებითად განსხვავდება დანარჩენი ზმნებისაგან. ასეთივე ინტერპრეტაცია მისცა ამ ტიპის ზმნებს შორის ბრიერმაც, რომელმაც მარის თანაგებობით 1931 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოისცა დიდი ნაშრომი „ქართული ენა“⁹. დამოლოს, ამ ტიპის ზმნათა ჩამოყალიბების პროცესის არსის გაგება მძლეობრივი შეცნობრივი არგუმენტაციით და უხვი ენობრივი მასალის საფუძველზე მოგვეცა პროფ. არნოლდ ჩიქობავამ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“¹⁰ და სტატიაში „მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში“¹¹. ამ ნაშრომებში საკითხი უფრო ფართოდ იხილეს: ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე მიცემითი ბრუნვის სინტაქსური როლის გაძლიერება და შესაბამისად – სახელობითში დასმული ობიექტის სინტაქსური როლის შესუსტება, რაც მოიცავს ჩვენთვის საინტერესო ზმნებსაც და, საერთოდ, ინვერსიის პროცესის ჩასახვას და განვითარებას ქართულ ზმნაში.

3. ინვერსიის პროცესს ქართულ ზმნაში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს მოვლენა ქართული ენის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი უბანია. ინვერსიის პროცესი ქართული ზმნის ბუნებიდან (კერძოდ, მისი პოლიაპსონონალიზმიდან) გამომდინარე კანონზომიერი პროცესია. სწორედ ინვერსიის პროცესი გახდა ერთ-ერთი მიზეზი და საფუძველი ქართული ენის სინტაქსში იმ დიდი ძვრებისა, რომლებმაც ენის სისტემაში სხვა ცვლილებებთან ერთად ძველი ქართული მკვეთრად გამოიწვია ახალი ქართულისაგან.

რა არის ინვერსია? როგორც პროფ. აკაკი შანიძე წერს, „ინვერსია პქეია შექცევას, ანუ შებრუნებას, რომელიც საზოგადოდ თავს იჩენს რიგის შემთხვევაში“¹⁰.

ზმნაში ინვერსია „თავს იჩენს“ პირის ნიშანთა ფუნქციების შეწარჩუნებაში. მაგრამ ეს უკვე შედეგია, გამოვლენებაა, გამოხატულებაა გარკვეული პროცესისა და არა საფუძველი, მიზეზი, არსი.

რა არის ინვერსიის საფუძველი? რაში მდგომარეობს ინვერსიის პროცესის არსი? არის თუ არა ინვერსია გრამატიკული მოვლენა?

ავიღოთ ნებისმიერი სტატისკური ზმნის რელატიური ფორმა, დაეუშვათ, მიწერია ის მე (ძვ: მიწერიეს იგი მე). როგორც სტატისკური ზმნა, იგი არ შეიცავს მოქმედი პირის გაგებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რადგანაც ეს ზმნა მდგომარეობას გამოხატავს და არა მოქმედებას,

⁴ იხ. ვ. თოფურია, ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №3, 1977 წ., გვ. 3.

⁵ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

⁶ H. Marr, Основные таблицы, ტაბ. XIX, XX.

⁷ N. Marr et M. Brière, La langue géorgienne, Paris, 1931.

⁸ არნ. ჩიქობავა, „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, მეორე გამოცემა, თბილისი, 1968 წ.

⁹ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში. იხ. იქვე, დამატება II, გვ. 269.

¹⁰ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, I, 1973, გვ. 195.



მას არ გააჩნია რეალურად მოქმედი პირის გაგება, ე. ი. რეალური (ლოგიკური) მიწოდებით, თუმცა გრამატიკულად ყველაფერი რიგზეა: სახელობითში დასმული გრამატიკული სტრუქტურები გამოხატულია სუბიექტის ნიშნით (Sz-), ხოლო მიცემითში დასმული გრამატიკული ობიექტი – ობიექტის ფორმანტით (Oz-). მაგრამ რეალურად – გრამატიკული სუბიექტი პასიურია, უმოქმედოა.

ამგვარად, სტატიკურ ზნათა გრამატიკული სუბიექტი რეალურად პასიურია; ობიექტი გრამატიკული (სინტაქსური) თვალსაზრისით მასთან თანასწორუფლებიანია (იხილეთ მმართავია, მასაც საკუთარი ნიშანი აქვს ზნაში), მაგე დროს ეს ობიექტი ყოველთვის აღმქმედია, მჭონებუდაც, მგრძობელია, განმცდელია (მოკლედ – ლოგიკური სუბიექტია) და ამიტომ ზნორად სუღიერ პირს გამოხატავს, მაშინ, როდესაც მასთან კომბინაციაში მყოფი გრამატიკული სუბიექტი, ჩვეულებრივ, აღქმის, ქონების, გრძნობის, განცდის საგანია (რეალური ობიექტია), ამიტომ ზნორად უსულოა. (ცხადია, ამ თვალსაზრისით გადამწვევტია თავად ზნის სემანტიკა). სწორედ ამის გამო გრამატიკული ობიექტი, როგორც რეალურად აქტიური პირი (მდგომარეობის ან მოქმედების განმცდელი), მეტყველის ცნობიერებაში წინ იწვევს და თავისი აქტიურობით აჭარბებს გრამატიკულ სუბიექტს. ამგვარად, მოლაპარაკის ცნობიერებაში საფუძველი ყურება ინერვის პროცესს, ე. ი. ამ პროცესს საფუძველად უდევს ფსიქოლოგიური ფაქტორი: პოლიპერსონალური ბუნების მქონე რელატიური სტატიკური ზნა (რომლის გრამატიკული სუბიექტი და გრამატიკული ობიექტი¹¹ სინტაქსურად თანასწორუფლებიანია; ორივე მმართავია, რეალურად კი აქტიური გრო მეტი უფლებებით სარგებლობს, ვიდრე პასიური გრს) იძლევა მისი გრამატიკული შინაარსის ლოგიკურად ინვერსიული შინაარსით გაგების შესაძლებლობას.

პირის ნიშანთა ფუნქციების ინვერსიის მიზეზი არის პოლიპერსონალური ბუნების გარკვეული ტიპის ზნებაში ლოგიკურად პასიური სუბიექტისა და ლოგიკურად აქტიური ობიექტის არსებობა; ინვერსიის პროცესის არსი მდგომარეობს მოლაპარაკის ცნობიერებაში შინაარსობრივ მხარის წინ წაბოწვევაში და შესაბამისად – ლოგიკურად აქტიური პირის სათანადო ფორმალურ (გრამატიკულ) გააქტიურებაში. როგორც ენახეთ, ინვერსიის პროცესის ისახება ცნობიერების სფეროში. იგი გარკვეულ დროზე ლოგიკის სფეროში რჩება: მანამ, სანამ ამ მოხება მისი ფორმალური გამოხატვა, გრამატიკიცია. როდესაც ეს ლოგიკური პროცესი ფორმალურ გამოხატულებას პოუბს, მაშინ იგი შეიძლება ჩაითვალოს გრამატიკულ მოვლენად¹².

4. როდის მოხდა ინვერსიის პროცესის გრამატიკაცია?

ენახოთ ეს სტატიკური ზნის შინაარსის განვითარების მაგალითზე.

ავიღოთ იგივე მიწერია (ის მე) ფორმა და განვარძოთ მისი ანალიზი. სანამ ამ ტიპის ზნაში რეალურად მოქმედი პირის გაგება არ არსებობს, იგი სტატიკური შინაარსისაა. სჯე მარისია რეალურად მოქმედი პირის გაგება გაჩნდეს, და ეს ფორმა შეიძენს დინამიკურ შინაარსს: რეალურად აქტიური პირის არსებობა დინამიკური ზნის შთავარი ლოგიკური მახასიათებელია. ამგვარად, განსხვავებით სტატიკური შინაარსის მიწერია (ის მე) ფორმისაგან, რეალურად აქტიური პირის შემცველი მიწერია (მე ის) იძენს დინამიკურ შინაარსს. იგი უკვე გამოხატავს არა მდგომარეობას, არამედ მოქმედებას. მაგრამ როგორ მოქმედებას? თავდაპირველად იგი ითავსებს ორ შინაარსს: თავისი ამოხავალი ფორმისა – სტატიკურს და ახალს –

¹¹ ქვემოთ ტერმინები სათანადო ხიმბოლოებით იქნება წარმოდგენილი: გრამატიკული სუბიექტი – გრს, გრამატიკული ობიექტი გრო, რეალური სუბიექტი RS და რეალური ობიექტი RO.

¹² სხვათა შორის, მიცემითში დასმული სახელის სუბიექტად გაგების ტენდენცია გრძნობა-აღქმის გამოხატულ ზნებაში თავს იძენს ყვოველი ვნების ზნების შინაარსის მმართავ. ამას ხაზგასმით აღნიშნავს პროფ. ვ. თოფურია, რომელსაც ზემოთ დასახვებულ სტატიკურ რუსული ენის აკადემიური გრამატიკიდან მოკავს ამონაწვევები, სიდაც მივყვებით დასმული ფორმა მდგომარეობის თუ გრძნობით მოქმედების სუბიექტადია მიჩნეულია. მხედველობაში გვაქვს შემდეგი მაგალითები: მნე სპიტსა, მნე სტრანო, მნე გრუბო. მნე ნუჟიო გოვორიტ, სმუ ნოლიო ი სმესიო და სხვ. მაგრამ ინვერსია აქ არ შეიძლება იყოს გრამატიკული მოვლენა, რადგანაც რუსულ ენაში მიცემითში დასმული სახელი მოკლებულია სინტაქსურ უფლებებს: მას არა აქვს ზნის პირში მართვისა და რიცეში შთანხმების უნარი. ინფორმალური ზნა მონოპერსონალურია, ხოლო ინვერსიის ლოგიკური სფეროდია გრამატიკულ სფეროზე (გამოხატულების პლანზე) გავრცელება შესაძლებელია მხოლოდ პოლიპერსონალური ბუნების ზნებაში, სიდაც ირიბი ობიექტი გრამატიკულად სუბიექტის თანასწორუფლებიანია: მმართავია, შემთხვევლია, და აშენდა, მას აქვს უნარი თავისი თავის ზნაში აღნიშვნისა.



დინამიკურს, კერძოდ, გამოხატავს დინამიკას წარსულში და სტატიკას აწმყოში **სულში მომხდარი მოქმედების შედეგს აწმყოში.**

ამგვარად, სტატიკურ ზმნათა ინვერსიაცქნინდ ფორმებში ისახება პერფექტული შინაარსის გაგება და დასაბამი კიდევ პერფექტულ დროთა ფორმების განვითარებას ქართული ზმნის უღლების სისტემაში.

სტატიკურ ზმნათაგან განვითარებულმა დინამიკურმა შინაარსმა თანდათან ფორმალური გამოხატულებაც პოვა: **მიწვრივს** ტიპის ფორმებს დაერთო ზმნისწინი, **და-მიწვრივს**, რაც შე-საბუნებრივად გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ტიპის ზმნებში ინვერსიის შედეგად დინამი-კური შინაარსი შეიძინეს. ზმნისწინის დართვა, დინამიკურობის მანკენებელი ერთ-ერთი ფორ-მალური მახასიათებლის (ნიშნის) გაჩენა ამ ფორმებს კიდევ უფრო უმკვიდრებს დინამიკურ შინაარსს პერფექტულობის ნიუანსით – იგულისხმება დინამიკა წარსულში: ეს ფორმები გა-მომხატავენ წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს, რეზულტატს (ამიტომ მათ ძველი ქარ-თულისათვის შეიძლება **რეზულტატიური** ფორმები ეწოდოს). ამგვარად, მას შემდეგ, რაც **(და) უწვრივს** (მას იგი) ზმნაში მიცემითში დასმული სახელი გააზრებულ იქნა სუბიექტად და თვით ამ ზმნად კი მიიღო დინამიკური შინაარსი, იგი ბუნებრივად იქცა გაგრძელებად იმ დი-ნამიკური გარდაბავალი ზმნის პარადიგმისა, რომელშიც სახელობითში დასმული შესაბამისი პირი არის როგორც რეალური, ისე გრამატიკული სუბიექტი, **აწმყოს** ჯგუფის ძირითადი ფორმა **ვწერ** (მე მას) – **წერს** (იგი მას); აორისტის ჯგუფის ძირითადი ფორმა **დავწერე** (მე იგი) – **დაწერა** (მან იგი), დაბოლოს, პერფექტული ჯგუფის ძირითადი ფორმა – **დამიწერიეს** (მე იგი) – **დაწერიეს** (მას იგი), რომელიც გამოხატავს წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს აწმყოში (აწმყოს რეზულტატივი). აქედან განვითარდა ამ ფორმათა ერთ-ერთი ძირი-თადი (დღეს ყველაზე გამოკვეთილი) შინაარსობრივი ნიუანსი უნახაობა, თურმეობითობა, ე. წ. უნახაო აქტის გაგება: აწმყოში ვხედავთ შედეგს იმ მოქმედებისას, რომელიც წარსულში მომხდარა და ასე გაგრძელდა მთელს სისტემაში კანონზომიერად: იმავე სტატიკური ზმნის წვეტილის ფორმამ მოეცა დინამიკურად გააზრებული ფორმა **დამეწერა** (მე იგი), რომელ-მაც გამოხატა წინარე წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგი წარსულ დროში (აქედან – ნამყოს რეზულტატივი ანუ ნამყო წინარეწარსული); შესაბამისად – იმავე სტატიკური ზმნის II კავშირების ფორმის ინვერსიისა და გადინამიკურების გზით მივიღეთ შესაბამისი ფორმა **დამეწეროს** (მე იგი), ხადაც წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგი ნანს მომავალში (მო-მავლის რეზულტატივი).

ამგვარად, სტატიკურ ზმნათა ინვერსიაცქნინდა გადინამიკურებულმა (დინამიკურად გადა-ზრებულმა) ფორმებმა გაგრძელებს მოქმედებითი უკარის დინამიკურ ზმნათა პარადიგმა¹³ და შეავსეს ის ხარეუხი, რომელიც ქართული ზმნის უღლების სისტემას ჰქონდა: კერძოდ, წარ-მოიშვა პერფექტულ დროთა ფორმები. მაგრამ პარადიგმის გაგრძელება და შევსება ასე მარ-ტივად არ დასრულდებულა. ჯერ ერთი, ეს შეეხო არა მხოლოდ გარდაბავალი ზმნებს, არამედ მოიცვა ქართული ზმნის უღლების მთელი სისტემა: კერძოდ, ანალიტიკური, აღწვრილი წარმოუ-ბის სტატიკურმა ფორმებმა **დახატულ ვარ** – **დახატულ ვივა** – **დახატულ ვიყო** ტიპისა მოე-ცვა გარდაბავალი დინამიკური ზმნის აწმყოს, ნამყოს და მყოფადის რეზულტატიური სინთე-ტური ფორმები **დავხატულვარ...** და სხვ. (ხადაცაჲ შემდგომ იმავე მიზეზით, რაც ზემოთ, განვითარდა თურმეობითობის, უნახაობის შინაარსი).

ხოლო, რაც შეეხება დინამიკურ გარდაბავალი ზმნათა პარადიგმის გაგრძელებას, როგორც მოსალოდნელი იყო, შენაცვლდებულმა სტატიკურმა ფორმებმა (მიხატეს, მიკეთეს...) დაერთეს დინამიკურობის კიდევ ერთი ნიშანი – პარადიგმის საწყისი (აწმყოს) ფორმების მახასიათებე-ლი შესაბამისი თმბატური სუფიქსები (გხატ-ავ – **დამიხატ-ავს**, ვაკეთ-ებ – **გამიკეთ-ებეს**), რითაც ფორმალურადაც დამკსვავსნენ მათ. (–ებ თმბატურ სუფიქსთან ზმნებში ეს პროცესი უფრო შორს წავიდა და ანალოგიით გაგრძელდა ე. წ. II თურმეობითის ფორმებზეც: **გამეკე-თა** – **გამეკეთ-ებ-ია** – **გამეკეთ-ებ-ინ-ა**).

ამგვარად, სტატიკურ ზმნათა ინვერსიის შედეგად ქართული ზმნის უღლების სისტემაში თანდათან ჩამოყალიბდა დრო-კილოთა სრულიად ახალი ჯგუფი, რომელიც დღეს III სერიის

¹³ ამ საკითხის ირავლივ დავწერილებით იხ. ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იკვ. ტ. VII, თბ., 1955 წ.



(თურმეობითების) სახელითაა ცნობილი. ამ გუგუფის ფორმები წარმოადგენენ არამოქმედების დინამიკურ გარდამავალ ზმნათა ინვერსიულ ფორმებს, არამედ თავიანთი წინააღმდეგობის სტატიკური ზმნებისას. მიწერია (ის მე) – (და)მიწერია (მე ის). მიწერია (ის მე) ფორმის ინვერსიულად გააზრებამ მოგვცა (და)მიწერია (მე ის) შებრუნებულ კონსტრუქციის დინამიკური ზმნა, რომელიც დღეს დინამიკური ეწერ (მე მას) ფორმის გაგრძელებას წარმოადგენს. მაგრამ არა მისი ინვერსიით მიღებულ ფორმას. დინამიკურ გარდამავალ ზმნებს აქტიური სუბიექტი აქვთ. აქედან ცხადია, რომ მოქმედებითი გვარის ზმნებში ინვერსიის პროცესისათვის საფუძველი არ არსებობს. ამ ზმნათა გრამატიკული სუბიექტი ყოველთვის ემთხვევა რეალურ სუბიექტს, იგი საკმაოდ აქტიურია იმისათვის, რომ არ დაუთმოს თავისი ასპარეზო ირბი ობიექტს. სწორად იმითმ, რომ **დამიწერია** ზმნის ახალი კონსტრუქცია მოგვცა **მიწერია** ზმნის პირების ფუნქციათა შებრუნებულმა, ინვერსიულმა გააზრებამ, I თურმეობითის რელატიურმა, სალინგუისტო ქცევის ფორმებმა დაკარგეს ქცევის კატეგორიის გაგება. ამიტომევა, რომ III სერიაში სამპირიანი ფორმები არ არსებობს.

ამგვარად, III სერიაში სამპირიანმა ფორმებმა კი არ დაკარგეს პირი და იქცნენ ორპირიანებად (როგორც ამას ხშირად გაიგონებთ), არამედ მათ არასოდეს არ ჰქონიათ შესაძლო პირი, რადგანაც ისინი წარმოშობით ორპირიანი სტატიკური ზმნებია.

ამას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ დღეს გარდამავალ ზმნათა II თურმეობითის სტატიკურ ფორმის ინვერსიის გზით მიღებული ფორმების (მეწერა, გამაგებუბინა) გვერდით ჩამოყალიბდა ისეთი ინვერსიული ფორმებიც, რომლებიც მიღებულია უკვე არა სტატიკურ ზმნათა ინვერსიის შედეგად, არამედ გარდამავალ სამპირიან, ჩვეულებრივ კაუსატორურ ფორმათა ინვერსიის შედეგად. მხედველობაში გვაქვს განსხვავებული კონსტრუქციის მქონე ომონიმური წყვილები: წყვილი – II თურმეობითი: გამაგებინა მან მე ის – (რომ ან ნეტავი) გამაგებინა მე ის, ჩამაგდებინა მან მე ის – (ხელში) რომ ჩამაგდებინა მე ის, გამაგებინა მან მე ის – (რომ ან ნეტავი) გამაგებინა მე ის, მანგენა მან მე ის – (ნეტავი ან რომ) მანგენა მე ის და სხვა. როგორ მივიღეთ მეორე რიგის ფორმები? სამპირიანმა კაუსატორურმა (შუალბობითი კონტაქტის) ფორმებმა დაკარგეს გრამატიკული სუბიექტი – მაკაუსირებუბე უბი პირი და ერთადერთ სუბიექტად მოქმედების შემსრულებელი, რეალურად მოქმედი პირი დარჩა. კაუსატორურ ფორმათა ინვერსიის ეს ფაქტი არ ეწინააღმდეგება არც იმ აზრს, რომ ინვერსიის საფუძველი რეალურად პასიური სუბიექტის (და რეალურად აქტიური ობიექტის) მქონე ზმნებშია: ცნობილია, რომ კაუსატორური ფორმების გრამატიკული სუბიექტი მოქმედების რეალური შემსრულებელი კი არ არის, არამედ „ხელმძღვანელი, ინიციატორია“, ხოლო მოქმედების რეალური, ფაქტიური, უშუალო შემსრულებელი კი ირბი ობიექტია. ამგვარად, ინვერსიის ძირითადი პირობა აქაც დაეცა. **grS** დაკარგეს და ინვერსიას ამ ფორმებში, ფიქტობით, ხელი შეუწყო გარდამავალ ზმნათა II თურმეობითის ფორმებმა (გამაგებინა მე ის), რომელთაც, როგორც ცნობილია, კავშირებითი (// ნატურითი) კილოს გაგება შეიძინეს. სწორედ მათი გაგებით უნდა მივიღო კაუსატორურ გამაგებუბინა ფორმასაც კავშირებითი (// ნატურითი) კილოს გაგება და პირის დაკარგვის შედეგად ინვერსიული შინაარსიც. ამგვარად, II თურმეობითის (რომ) გამაგებუბინა (მე ის) ფორმის გვერდით განჩნდა (რომ) გამაგებუბინა (მე ის) ფორმა, რომელიც, განსხვავებით პირველისაგან, განმარტებით დგას და არ განიხილავს სხვა მწკრივის ფორმები და არც **grS** პირის მიხედვით ცვალების უნარი¹⁴.

როგორც ვნახეთ, სტატიკურ ფორმებს თანდათან ემატებოდა ახალი ფორმალური ნიშნები დინამიკურობისა და მათი ინვერსიის პროცესი საბოლოოდ დასრულდა მაშინ, როდესაც მიცემითში დასმულმა სახელმა, როგორც რეალურად აქტიურმა, მოქმედება პირმა (როგორც სუბიექტმა) ფორმალურადაც გაამყარა თავისი უფლებები: თავისი არსებობა სუბიექტის მრავლობითობის – თ სუფიქსით აღნიშნა ზმნაში¹⁵ მაშინ, როდესაც სახელობითში დასმულმა

¹⁴ ინვერსიული შინაარსი აქვს მხოლოდ ობიექტური პირების მიხედვით მონაცვლე ფორმებს: გამაგებუბინა, გაგაგებუბინა, გააკებუბინა.

¹⁵ იკულისხმება II და III **grO** პირი, რაც შეეხება I **grO** პირს, იქ მრავლობითის ნიშნად არის გვ(აგუ) პრეფიქსი, წარმოშობით ინკლუზივის კატეგორიის (რომელიც მრავლობითობის გაგებას შეიცავდა) ნიშანი. ინკლუზივის კატეგორიის მოშლის შემდეგ, გარკვეულ მანძილზე, გუპრეფიქსის უფუნქციოდ არსებობამ ზმნაში რამდენადმე ხელი შეუწყო მიცემითში ნაკულისხმევი I ობ. პირის მიერ ზმნის რიცხვ

გრამატიკულმა სუბიექტმა საბოლოოდ დაკარგა ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი. როგორც ლოგიკურად პასიურმა პირმა. დღეს გვაქვს **დაწერილი-თ** (მათ ისინი) და არა **დაწერიანი** (მათ ისინი), როგორც ძველად იყო. ამგვარად, ფორმალური შეთანხმების წესი, რაც ძველი ქართული ენისათვის იყო დამახასიათებელი, ახალში შეცვალა შინაარსობრივად, ლოგიკურად საფუძვლედ უღმა წესმა: ზმნას რიცხვში თიანხმებს რეალურად აქტიური პირი, ლოგიკური სუბიექტი (ისტორიულად გრამატიკული ობიექტი, რომელსაც, როგორც მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოადგინოდ სახელს, ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი არ ჰქონდა) და ვედარ თიანხმებს გრამატიკული სუბიექტი, რომელსაც, როგორც სახელობითში დასმულ სახელს, ისტორიულად ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი ჰქონდა (იგი ზმნაში აჩენდა მრავლობითის იმავე -**ნ** (<ენ) ნიშანს, რომელიც თვითონ ჰქონდა).

I ობ. პირმა ამისათვის აღრვევ, ძველ ქართულშივე გამოიყენა ზმნაში არსებული ინკლუზიის კატეგორიის ყოფილი ნიშანი **გუ** - (რომელიც მრავლობითის გაგებას შეიცავდა), ხოლო II და III ო პირთა მრავლობითის გამოხატვა ზმნაში უფრო მოღვიანებით, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გარდამავალ პერიოდში დასრულდა.

ამგვარად, მას შემდეგ, რაც **დამწერია**, **გამიკეთებია**, **დამიხატავს** ფორმებში მიცემითში დასმულმა სახელმა თავისი მრავლობითობა აღნიშნა ზმნაში, ფორმალურად დასრულდა ამ ზმნათა ინვერსიის პროცესი და, შეიძლება ითქვას, რომ მოხდა ამ პროცესის გრამატიზაცია. დღეს ამ ფორმებში ისტორიული სუბიექტის ნიშნები გამოხატავენ ობიექტებს და პირიქით, ობიექტის ნიშნა ამისათვის უმეტრად პირთა გამოხატვის ფუნქცია აკისრიათ.

5. სემოთქმული ეხებოდა სტატიკურ ზმნათა ინვერსიის გზით მიღებულ გარდამავალ ზმნათა მესამე სერიის ფორმებს.

ახლა ვნახოთ, ანალოგიურია თუ არა ვითარება გრამონობა-აქმის გამოხატველ სტატიკურ ზმნებში, რომელთა ინვერსიულობის საკითხი სადავო გამხდარა?

როგორც ზემოთ ვნახეთ, ინვერსიის პროცესისათვის ხელსაყრელი პირობებია სწორედ გარდაუვალ სტატიკურ ზმნებში: ქართული ზმნის პოლიმერსონალური ხასიათი, რომელიც მდგომარეობს გრამატიკული სუბიექტისა და გრამატიკული ირიბი ობიექტის თანაწარმო სინტაქსურ ძალაში, ამავე დროს სტატიკური ზმნის **გრამატიკული სუბიექტის** პასიურობა იწყებს რეალურად აქტიური გრამატიკული ობიექტის (რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ამგვარ ზმნებში ჩვეულებრივ, **აღმქმელი**, **განმცდელი**, **მქონებელი**, **მგრძნობელი**, ე. ი. მოქმედების ან მდგომარეობის **რეალური სუბიექტია**) ფორმალურ გააქტიურებასაც, რაც საბოლოოდ პირის ნიშანთა ფუნქციების უმეტრებაში ელინდება. არის თუ არა დღეს რომელიმე **მაქვს**, **მიყვარს**, **მპულს**, **მწამს**, **მომწონს**, და სხვ. ამავე ტიპის უგვარო სტატიკურ, ანუ ე. წ. საშუალ (მედიოპასივ) გვარის ზმნებში **მანის** რიგის ნიშნები სუბიექტის გამოხატველი და, პირიქით, **ვინის** რიგისა - ობიექტის გამოხატველი? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ტიპის ზმნებში ინვერსია დღეს უკვე გრამატიკული მოვლენაა თუ იგი ჯერ კიდევ მხოლოდ ლოგიკური კატეგორიაა? როგორც აკად. ა. შანიძე აღნიშნავს თავისი „საფუძვლების“ 240-ე პარაგრაფში, „პირის ნიშანთა კვლითიკაცია სათანადო პირთა მოქმედების როგორობაზე დამყარებული“. თუ ამ განსაზღვრას ვერწმუნებით, საკითხი ძალიან მარტივად გადაწყდება. **მაქვს** (მე ის), **მიყვარს** (მე ის), **მომწონს** (მე ის), **მივარს** (მე ის) ტიპის ზმნებში სუბიექტური ტიპის ფორმანტი გამოხატული პირი (გრამატიკული პირი) - მოლაპარაკის ცნობიერებაში აქტიურად (ინვერსიის პროცესი ამ ტიპის სტატიკურ ზმნებში უფრო ადრე თუ არა, **მიყვარია** ტიპის სტატიკურ ზმნებზე გვიან არ დაწერიულა), მოქმედად არის გააზრებული. მაშ, ზემოთ მოყვანილი განსაზღვრის მიხედვით გამოდის, რომ **მიყვარს** ტიპის ზმნაში **მ-სუბიექტურს** აღნიშნავს, რადგანაც სათანადო პირი (მე) მოქმედია. და პირიქით, -**ს** ობიექტური პირის ნიშანია, რადგანაც შესაბამისი პირი (ის) პასიურია, უმოქმედია. ამგვარად, ამ ფორმებში ადგილი აქვს პირის ნიშანთა მნიშვნელობის **ინვერსიას** და, რადგანაც ზემოთ მოტანილი განსაზღვრის მიხედვით „პირის ნიშანთა კვლითიკაცისათვის“ საკმარისია მხოლოდ „სათანადო პირთა მოქმედების როგორობის“ გათვალისწინება, ამიტომ მიცემული შემთხვევისათვის **მ-პრეფიქსს** თავისუფ-

ში შეთანხმების უფლების მოპოვებას და ამ გზით სტატიკურ ზმნათა ინვერსიის პროცესის დაჩქარებას, პროცესისა, რომელიც სწორედ ი ფორმებში უნდა ჩასახულიყო თავდაპირველად.



დად შევკვიდრია მიეცეთ სუბიექტური ნიშნის კვალიფიკაცია, ხოლო -ს სუფიქსს SO_2 სუბიექტური ნიშნისა. ასე რომ, თვით პროფ. ა. შანიძის მიერ მოცემული განსაზღვრები [შანიძის] გრძნობა-აღქმის გამოხატულები ზმნები ინვერსიულად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ჩვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ ლოგიკური მოვლენის გრამატიზაცია (გრამატიკულ მოვლენად ქცევა) ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ფორმალურ გამოხატულებასაც კიძივებს.

არის თუ არა გრძნობა-აღქმის გამოხატულებ ზმნებში მიცემითში დასმული ლოგიკური სუბიექტი ფორმალური თვალსაზრისით სათანადოდ აღნიშნული? - არის. და მის აღნიშვნას ისევე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც დამიწვრია ტიპის ზმნებში: მაქვს, მიყვარს... ტიპის ზმნებში მიცემითში დასმულმა სახელმა კარგა ხანია მოიპოვა ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი. grO_2 და grO_3 (იმავე RS_2 და RS_3)-ის მრავლობითობა ზმნაში დღეს აღნიშნულია სუბიექტის მრავლობითობის - თ სუფიქსით: გაქვთ თქვენ ის, ისინი, გიყვართ თქვენ ის, ისინი (შდრ. ძე. გჰონ-ან შენ, თქვენ, ივინი, გიყვარ-ან შენ, თქვენ, ივინი). რაც შეხება grO^1 პირს, იგი ძველსავე ქართულში იძენს ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარს; ჩვენი აზრით, ძველ ქართულში გუაქუს ჩუენ და მაქუს ჩუენ ფორმათა პარალელურ ხმარებაში ასახული უნდა იყოს მიცემითში დასმული სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების ძალის მოპოვებისა და მისი უფლებების დამკვიდრებისათვის ბრძოლის სურათი (დაახლოებით ისეთივე ჭიდილობისა, როგორც არის დღეს ინვერსიულობისაკენ გადახრილი ზმნების gr^3 პირის მრავლობითის ფორმებში: გიყვება მათ ის II გიყვებათ მათ ის; ვეარგება მათ ის II ვეარგებათ მათ ის¹⁶).

ამგვარად, ამ ტიპის ზმნებში, სუსტად ისე, როგორც მიწვრია ტიპის ზმნებში, რეალურად მოქმედ პირად გააზრებული გრამატიკული ობიექტი, როგორც აქტიური პირი, იძენს ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარს, და თუ ძველ ქართულში სახელი ზმნას ფორმალური ნიშნების მიხედვით ითანხმებდა (დაწერ-ნა წიგნი, უყვარ-ან ივინი), თანდათან შეთანხმების სინტაქსური შექანისში იცვლება - დღეს სახელი ზმნას ითანხმებს უკვე შინაარსობრივი, ლოგიკური და არა ფორმალური თვალსაზრისით. ამიტომაც მიცემითის სინტაქსური როლი ძლიერდება, სახელობითისა კი სუსტდება.

ამგვარად, აქვს, უყვარს... ტიპის სტატიკურ ზმნათგან თანდათან ინვერსიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი ტიპის გარდაუვალი ინვერსიული ზმნები, რომლებიც სტატიკური ზმნებისაგან განსხვავებით შეიცავენ მოქმედ, აქტიურ პირს; დინამიკურ ზმნათგან კი განსხვავდება იმით, რომ მათი ისტორიული გრამატიკული სუბიექტი არ ემთხვევა რეალურ სუბიექტს, არამედ რეალურად იგი ობიექტს წარმოადგენს. რადგან ამგვარი შეცვლა გამოიხატა იმით, რომ მიცემითში დასმულმა სახელმა, როგორც სუბიექტმა, ზმნაში მრავლობითის ნიშანი გააჩინა, რაც ამგვარად მიუთითებს იმაზე, რომ დასახელებული ზმნები თავის წინაპარ, ამოსავალ ფორმებთან შეპირისპირებით ინვერსიულნიან. ამ ზმნების სტატიკურ (წვრია ტიპის) და დინამიკურ ზმნების შორის საშუალო ადგილი უჭირათ. ისინი, თუ შეიძლება ითქვას, გამოხატავენ არა უბრალოდ მდგომარეობას, არამედ გარკვეული მოქმედების (სიყვარულის, სიძულვილის, წყენის, გაჭირვების...) მდგომარეობას.

6. ზემოთ არაერთხელ მოგვიხდა აღნიშვნა, რომ ინვერსიის საფუძველი და პირობები სტატიკურ ზმნებშია, რომლებიც რეალურად პასიური გრამატიკული სუბიექტი აქვთ: რომ მართლაც პასიური სუბიექტის არსებობა იწვევს ინვერსიას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ დღეს ვნებთ გვარის დინამიკური ზმნებიც კი, რომელთაც პასიური სუბიექტი აქვთ, ინვერსიის ტენდენციას იწინენ (მაგ, ეხატებათ მათ მომავალი, გიყვებათ მათ ბოლო, ვითხებათ მათ ლექცია...)¹⁷. მაშინ როდესაც ამ ტენდენციისაგან თავისუფალია დინამიკური ვნებითისავე, ოღონდ აქტიურ სუბიექტიანი ზმნები (როგორცაცა ემალება ის მათ, ეშველება ის მათ, ეტმანება ის მათ...).

ამგვარად, ინვერსიის პროცესი დღესაც მოქმედი პროცესია და სულ უფრო იფართოებს მოქმედების არეს. იგი მოიცავს სულ უფრო ფართო ფაუნს საერთოდ პასიურსუბიექტიანი ზმნებისას და თანამედროვე ქართული ენის ზმნის უღლების სისტემაში მტკიცედ იმკვიდრებს

¹⁶ იხ. დ. მედიქიშვილი, „მ- და გუ- არვეფიქსთა ურთიერთობისათვის“, თსუ XVII სამეცნ. სესია, ფილოლოგიის ფაკულტეტი, მუშაობის გეგმა და თეზისები 1974 წ. 21-24 მაისი, გვ. 32-33.

¹⁷ ამ ფაუნს მიეკუთვნება ვ. წ. გუნების, შესახელებლობის, მიხნევის ვნებითებიც (მემღერება, მეჭმევა, მეცოტაება), რომელთაგან პირველს დაკარგული აქვს გრS: ემღერება მას.



თავის ადგილს. ეს პროცესი ენის განვითარების შინაგან კანონზომიერებათა ერთობლივ მოქმედებასა და ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ძირითად ხაზს მიჰყვება.

ქართული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როდესაც ინვერსიის ყველა ლაბილური შემთხვევა სტაბილური გახდება, ამ ფორმათა ინვერსიის საკითხი, ალბათ, მხოლოდ ისტორიულ გრამატიკას შემორჩება, პრაქტიკულ გრამატიკაში კი „მიყვარს“ ტიპის ზმნებში სუბიექტური პირის ნიშნებად კვალფიციტრებული იქნება „მანის რივის“ ნიშნები და სუბიექტად – მიცემითში დასმული სახელი, ხოლო ობიექტურ პირისად – „ეინის რივისა“ და ობიექტად – სახელობითში დასმული სახელი.

მაგრამ როგორი კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს ამ საკამათო ფორმებს ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე?

რადგანაც დღეს ნორმად მიჩნეულია „ვაკეთებ“ ტიპის ზმნების პირის ნიშნთა მნიშვნელობა, ამიტომ ეს ფორმები ინვერსიულ ფორმებად უნდა ჩაითვალოს: მათში სუბიექტური პირის ნიშანს სახელობითში დასმული რეალური ობიექტის გამოხატვა აკისრია, ხოლო ობიექტური პირის ნიშანს – მიცემითში დასმული რეალური სუბიექტისა (რომელიც გარდა იმისა, რომ მართავს ზმნას პირში, ითანხმებს კიდევ რიცხვში, რითაც სახელობით-ფორმიან სახელთან შედარებით სინტაქსურად მეტ აქტიურობას ამჟღავნებს).

ამგვარად, დღეს ქართულში შეიძლება გამოვეყნოთ ძირითადად სამი ტიპის ინვერსიული ფორმები:

1) გარდამავალ მოქმედებითი გვარის ზმნათა (აქტიუთა) და შესაბამისად – მედიოაქტიუთა (უმეფია მას, უტირია მას) III სერის ფორმები.

2) გრძობა-აღქმის გამომხატველი გარდაუვალი სტატიკური ზმნები (მათ შორისვეა მთელი ჯგუფი პირნაკლი ზმნებისა, რომელნიც grS პირის დაკარგვის გამო იცვლებიან მხოლოდ grO პირის მიხედვით და ინვერსიულ ზმნათა რიგში დგებიან, როგორცაა: **მაცეფს, მახეულებს, მამოქნარებს, მახორმებს, მაკანკალებს** და სხვ.).

3) პასიური სუბიექტის მქონე ინვერსიისკენ გადახრილი გარდაუვალი დინამიკური ზმნები ვნებითი გვარისა, რომელთაც grO₃-ში მერყევი ინვერსია ახასიათებთ. მათვე შეიძლება მივაკუთვნოთ ე. წ. შესაძლებლობის (მეჭმევა, მდღვობა), მიჩნევის (მეწარება, მეცოტავევა), გუნების (მემღერება, მეცინება) ვნებითებიც, რომელთა ყველა ფორმა სტაბილურ ინვერსიას გვიჩვენებს. ამათგან უკანასკნელი (გუნების ვნებითები) მოკლებულნი არიან პირის მიხედვით ცვალების უნარს. ამათ რიგსვე შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი პირდაკარგული ზმნები, როგორცაა **მეშველება** მე (მეშველება ის მე).

გარდა ამისა, ინვერსიულ ზმნათა რიცხვს უერთდება წარმოშობით გარდამავალი პირდაკარგული ზმნების მთელი რიგი, მიღებული გარდამავალ ზმნათა II თურმეობითის ანალოგიით, როგორცაა: (ნეტავი) **გამაგებინა მე ის, რომ მაცემინა მე ის, (ხელში) რომ ჩამაგებინა მე ის, ნეტავი მამგენა მე ის, ნეტავი მაჭამა მე ის** და სხვ. როგორც ხემათ ვნახეთ, მათი წინააღობა პირდაპირი ფორმები შუალობითი კონტაქტის შინაარსისა, ამათ კი ეს შინაარსი დაბინძურლი აქვთ, რადგანაც მათ დაკარგეს grS. მოქმედების ინიციატორი ანუ შიძილებელი პირი, ხოლო მოქმედების რეალური შემსრულებელი grO კი, ბუნებრივია, სუბიექტად იქნა გაგებული. რადგანაც ეს ფორმები აშკარად გარდამავალ ზმნათა II თურმეობითის ანალოგიით არის მიღებული (რომ, ნეტავი გამეკეთებინა – რომ, ნეტავი გამაკეთებინა), ამიტომ, ვფიქრობთ, ისინი შეიძლებოდა I ტიპშიც განგვეხილა, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ მათ არა აქვთ მწკრივის ფორმები და იცვლებიან მხოლოდ grO პირის მიხედვით (გამაგებინა, გაგაგებინა, გააკებინა), რის გამოც განცალკევებით დგანან.

როგორც დავინახეთ, თანამედროვე ქართულში ინვერსიულ ზმნათა არე საკმაოდ ფართოა, ამიტომ მათი იგნორირება ქართული ზმნის სწავლების პროცესში დაუშვებელია.

ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში¹

ქართულ ენაში ცნობილი ზმნისწინები დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებისა-
გან (ზმნისართებისაგან) მომდინარეობენ.

ზოგიერთი ზმნისართი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენ თვალწინ გადაიქცა ზმნისწინად.
ძველ ქართულში, მაგალითად, უაურ || უაუ, უაუშო, წიად, წიადშო, გარდამო ზმნისართადაც
იხმარებოდა და ზმნისწინის ფუნქციასაც ასრულებდა. ესენი ზმნისწინად ხმარებისას ჯერ
იხმარებოდა და შემდეგ არ იყენებდნენ შეკრებიულს, როგორც სხვა დანარჩენი ზმნისწინე-
ბი. ამჟამად გარდამო ცოტა სახეველი ფორმით (გადშო) მხოლოდ ზმნისწინად იხმარება,
ზმნისართის ფუნქცია კი მან კარგა ხანია დაკარგა.

სალიტერატურო ქართული ენის განვითარების მთელ მანძილზე გვხვდება ისეთი შემთხვე-
ვები, როცა ზმნის ფუნქციას მთლიანად ზმნისწინიდა ასრულებს. ამ მოვლენას ჩვეულებრივ
ვხვდებით „ვიდა“ ზმნისთან; მაგ.: იტყვიდეს ურთიერთას მწვემსნი იგი: მო და მივიდეთ ბუ-
ღელმდმდე (C ლ 2,15); ხოლო აწ მო და მივიდეთ მისა (იქვე, იოვ. 11, 15); მო, დაეხედეთ, ტა-
რიელისთვის ცრემლი გვიდის შეუშრობელი (გ. ტ. 7); მო, სადაც შენ მოაქვდები, მეც იქ უნდა
მოვსკდე (ვახ. 16)... წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად დამაწვენე... (გ. ტ. 379); ...წა, მაგრა
მომხედვს, რაღა ვქნა, თუ სიშორისა გრძელობა! (იქვე, 144).

მხგავს მოვლენას ადგილი აქვს მეგრულსა და სვანურშიც. მეგრულში ზოგჯერ ზმნისაგან
მხოლოდ ზმნისწინია დარჩენილი; მაგ.: ქომუ (←ქომუნი) = მომქ ცი, მოლა (←მოლა-რთი) წა-
მოდო², სვანურში „შეკითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა პარტო წინდებულობაც ხერხდუ-
ბა: ბუ. წანდ მო? (გაყიდა?) - ქა (გა)- ჩვანვიდ მო? (ჩამოიღო?) - ჩუ... ბქე. სვაფიშედ მო?
(შეუშვა?) - სგა...“³.

ვეფხისტყაოსანში გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ზმნის ნაცვლად მხოლოდ ზმნისწი-
ნები უპირისპირდებიან ერთმანეთს; მაგ.: ფერი კერთა და გაუფიცა შე და გაშო გულმას
კრთობა (1544); ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა (512). ამჟამად მი-
დამო სახელად არის ქცეული და სრულიად არ იგრძნობა მასში შემავალ ზმნისწინთა პირ-
ვანდელი მნიშვნელობა (შდრ. წარ-მო-ება).

როგორი წარმოშობისაც უნდა იყოს ყველა ეს მოვლენა, მაინც ანგარიშგასაწევია ზმნის-
წინთა თვითნაყოფი დამოუკიდებელი მნიშვნელობის გათვალისწინებისას.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ძველი ქართულის დამახასიათებელი მოვლენა,
როცა ზმნისწინი შეიძლებოდა განცალკევებული ყოფილიყო ზმნისაგან ერთი ან რამდენიმე
სიტყვითაც კი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იმ პერიოდში ზმნისწინის ზმნისთან შეერთების
პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და ზმნისწინი ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებდა
დამოუკიდებელ მნიშვნელობას.

ზმნისწინებს მასალობრივად საერთო აქვთ როგორც ზმნისართებთან, ისე თანდებულზე
თან. ქართულში არ არის თითქმის არც ერთი ზმნისწინი, რომელიც არ უკავშირდებოდეს
ზმნისართებს.

ზმნისწინი და თანდებული, გარდა იმისა, რომ გენეტურად კავშირში არიან ერთმანეთთან,
ხშირად მხგავს ფუნქციებსაც ავლენენ: მაგ., გან ნაწილაკი ქართულში ზმნისთანაც და სა-
ხელთანაც თითქმის ერთი მნიშვნელობით იხმარება, აღნიშნავს მოშორებას, მოცილებას
(შდრ. ძმისაგან განაშორა და განშორდნენ ისინი ერთმანეთს). ერთნაირი ფუნქციით
გვევლინება აგრეთვე შე- ზმნისწინი და -ში თანდებული (შდრ. აგრეთვე: მო-დის - ჩემდა-მო,
მი-დის - მისდა-ში).

ქართველური ენებიდან სვანურში დადასტურებულია, რომ ერთი და იგივე ნაწილაკი
ზმნისთან ზმნისწინის როლს ასრულებს, სახელბთან კი - თანდებულისას; მაგ., ეი, ჩუ

¹ იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953.

² И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка. გვ. 0106.

³ გ. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, 1931, გვ. 63.

† ისგა / სკა და ქა ზმნისწინები სახელსაც მართავენ მიცემით ბრუნებაში⁴.

ამ ორივე ფაქტის კავშირისწინებითაც სრულიად გასაგებია, თუ ძველ ქართულში რატომ უნდა ყოფილიყო თანდებულ ფორმები მაშინ, როცა თანდებულის მოვალეობა ზმნისწინი ასრულებდა. ისეთ შემთხვევებში, როგორცაა: ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა (ხანძთ. გ. 36); შეხვდოდეთ იწროსა მას ბჭესა (ხანძმეტი, 378); ტანჯვასა დიდსა შეგაგდონ შენ (შუშ. III 25), ეპისკოპოსმან საყდარსა იგი დასუს (ხანძთ. გვ. 41), მიცემითში დასმული სახელები **სასუფეველსა, ბჭესა, ტანჯვასა, საყდარსა** უთანდებულა, რადგან -შინა და -ხედა თანდებულის შინარსს **შე, და და- ზმნისწინი** გადმოკვცემს.

ზმნისწინი ყველა ენისათვის როდია დამახასიათებელი. ზოგიერთ ენაში (მათ შორის ქართველურ ენებშიც) ზმნისწინს მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული; ზოგ ენაში კი იგი სრულიად არ მოიპოვება. მაგალითად, რვე შთის იბერიულ-კავკასიურ ენაში ბრუნებათა მრავალფუნქციანობისა და თანდებულთან ბრუნებათა ხშირი გამოყენების გამო ზმნისწინი ჩვეულებრივ არ იხმარება. ძველი სომხური, რომელსაც ფაქტობრივად ზმნისწინი არ გააჩნდა, ზმნისწინის ფუნქციას სხვა საშუალებით გამოხატავდა; მაგალითად, მიმართულების გადმოსაცემად იგი იყენებდა სრულიად სხვადასხვა ფუნქციის შემცხვს ან კიდევ ნაცვლასახელებს, ზმნისართებსა და სახელურ წინდებულებს. მაგ., იქითა და აქითა მიმართულების აღსანიშნავად გამოყენებული იყო სხვადასხვა ზმნა. იქითა მიმართულებისათვის ჩვეულებრივ იხმარებოდა მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები.

ქართულის მსგავსად რუსულიც საკმაოდ მდიდარია ზმნისწინებით. აქ ზმნისწინებს შეუძლია გადმოცემა ყველა იმ მიმართულებისა, რომელსაც ქართული ზმნისწინები აღნიშნავენ, მაგრამ ამ ორ ენას შორის არსებითი განსხვავება მაინც ჩანს; რუსულ ზმნისწინებს მხოლოდ ერთი რიგი მოეპოვება, ქართულს კი - ორი. ის, რაც ქართულში რთული ზმნისწინებით გამოიხატება, რუსულში ვერც ერთი ზმნისწინებით ვერ გადმოიცემა.

ქართული ამ მხრივ ზოგ რამეში ხანურისგანაც განსხვავდება. მეგრულ-ჭანური განსაკუთრებით მდიდარია ზმნისწინებით. ეს ითქმის უმთავრესად რთულ ზმნისწინებზე, როგორც ცნობილია, ქართულში რთული ზმნისწინის მეორე შემადგენელ ნაწილად მო გამოდის, ხოლო ორ შემთხვევაში - და (გარ-და, შე-და შთა-ჩა), მეგრულ-ჭანურში კი რთული ზმნისწინის მეორე კომპონენტად ბევრი ისეთი ნაწილაკი იხმარება, რომელიც ქართულისათვის სრულიად უცხოა. ასეთია, მაგალითად, ჭანურში -კა-, ეო-, წა- (|| წუ-), -შა-, -შე-, ღა- (|| ლ-), და სხვა, მეგრულში ამას გარდა -თო- და -ნო⁵. რთული ზმნისწინის ამ მეორე კომპონენტის საშუალებით მეგრულ-ჭანური ახერხებს მოძრაობის მიმართულებასთან ერთად დამატებით გადმოსცეს სხვა გარემოებაც; მაგ.: ეკიკილე (←ეკიკილე) - მოიკიდა („უკან აიკიდა“); ეწუბუღღამთ - შეწუღღამთ („დაეწუღღამთ ქვემოდან ზემოთკენ“); ქეკუხურე - უკან მოუსვა („ზევით უკან დასვა“); ქეშაფუთხუ - ამოფრინდა („შეიგინდა ზევით აფრინდა“); ელახედი - დაჯექი („რამესთან ჩამოჯექი, რისაზე გვერდით დაჯექი“); მეწუკაუ - ჩამოხტა („მოქვეშხტა“), გოშატკურე - გადააგდო („გაშოტკურინა“) და სხვა⁶. ამ დამატებით მნიშვნელობებს ქართული ენა ზმნისართების ან ჩვეულებრივ თანდებულების საშუალებით გადმოსცემს.

ხანურისებური რთული ზმნისწინები ნაწილობრივ სვანურშიც მოიპოვება. ასეთია: ეთან-, ჩუად-, სგაჲ-, ქაჲს-, სგაჲლ⁷. ქართულთან და აგრეთვე ხანურთან შედარებით სვანურ ზმნისწინებს კი ის თავისებურება გააჩნიათ, რომ მარტვი ზმნისწინები, როგორცაა: ეი, ჩუ, სგა, ქა არა მარტო თავში დაერთვიან ზმნას, არამედ მის შემდეგაც გვევლინებიან; მაგ.: ან-მრე ეი - ენამრე (=მოამხად), ალაჲქმე ჩუ - ჩუდჲქმე (=დათობა), დიე ქა - ქდიე (=გაი-ტანა, გაიყვანა) და სხვა⁸. ზოგჯერ ეგვევ ზმნისწინები ზმნას თავშიც დაერთვის და ბოლოშიც, საერთოდ ეს თავისებურება სწორედ ისეთ ზმნისწინებს ახასიათებს, რომლებიც სახელთან თანდებულებადაც იხმარება.

⁴ ე. თოფურია, სვანური ენა, I, ზმნა, გვ. 64.

⁵ არნ. ნიქობაძე, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გ. 118, 129.

⁶ ყველა ნიშნში სათანადო შესატყვისით წარმოდგენილია არნ. ნიქობაძის მინორაფიიდან: ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 120-128.

⁷ ე. თოფურია, იქვე გვ. 53.

⁸ იქვე, გვ. 62.



ვიდრე ძველ ქართულში ზმნისწინთა ფუნქციების განხილვას შევუდგებოდეთ, მაშინვე მოგვანინა რამდენადმე შევეხოთ ზმნისწინთა გამოყენებაში ზოგიერთ სხვათაგანს ადრეაღმოსავლეთში, ჯერუცხისა და პარხლის ოთხთავების რედაქციების შედარებაში გვინებდა. ამ მხრივ მოპოებული მასალა საშუალებას იძლევა ნაწილობრივ მაინც გათვალისწინებულ ქნეს ზმნისწინთა გავრცელების არე ძველ ქართულში.

1. ზოგიერთი ზმნა, როგორცაა: **შემწუხრდა**, **შეწუხნეს**, **შეკართ**, **შეიმართლონ**, რომლებიც DE რედაქციაში **შე-** ზმნისწინით გვხვდება, C რედაქციაში ხშირად **და-** ზმნისწინით იხმარება; მაგ.: და ვითარცა **შემწუხრდა...** (DE მთ 8, 16) – **დამწუხრდა** (C); და ვითარცა **შემწუხრდა**, **პრქუა** სახლისა უფალმან... (DE მთ 20, 8, 22, 20) – რაემს **დამწუხრდა** (C)... და იგინი **შეწუხნეს** ფრიად (DE მთ 26, 22) – და **დაწუხნეს** ფრიად (C); **შეკრიბეთ** პირველად ღუარძლი იგი და **შეკართ** ძნეულად (DE მთ 13, 30) – **დაკართ** (C).

2. არის შემთხვევები, როცა DE რედაქციაში ზმნა **დაასრულნა** და ზმნისწინით იხმარება, C რედაქციაში კი ზოგან ეს ზმნა **წარ-** ზმნისწინით არის წარმოდგენილი: მაგ.: და იყო რაჟამს **დაასრულნა...** სიტყვიანი ესე... (DE მთ 7, 28) – **წარასრულნა** (C). იშვიათად **წარ-** ზმნისწინიან ფორმას E რედაქციაში იხმარებენ, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც D რედაქციაში მაინც **დაასრულნა** გვხვდება.

3. სამაგიეროდ DE რედაქცია ხშირად **წარვედით**, **წარავლინა**-ს ხმარობს, C რედაქცია კი ამ შემთხვევაში **მი-** ზმნისწინის მიმართავს; მაგ.: **წარვედით** და უთხართ ძმათა ჩემთა რაათა **წარვიდენ** გალიელად (DE მთ 28, 10) – **მივედით** და უთხართ ძმათა ჩემთა, რაათა **მივიდენ...** (C); **წარვიდეს** და მოითიოს შეტომი იგი (DE მთ 18, 12) – **მივიდეს** და... (C); **წარავლინა** იგინი ევნჯსა თუსხა (DE მთ 20, 2) – **მიავლინა** იგინი საყურძენსა თუსხა (C); **პრქუა: წარვიდენ** – და არა **წარვიდა** (DE მთ 21, 29) – **მივიდუ...** და არა **მივიდა** (C); **წარვედით** დაბახსა მაგას... (DE მთ 21, 2) – **მივედით** დაბახს იმას... (C); **შვილო, წარვიდ** დღეს... (DE მთ 21, 28) – **მივიდ** (C); და კუალად მეროდ **წარვიდა** (DE მთ 26, 42) – **მივიდა** (C) და სხვ. ზოგჯერ პარხლის რედაქცია **მი-** ზმნისწინსაც ხმარობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჯერუცხის რედაქცია მაინც **წარ-** ზმნისწინის მიმართავს.

4. DE რედაქციის **გან-** ზმნისწინის C რედაქციაში ზოგჯერ **და-** ზმნისწინი შეესატყვისება; მაგ.: რომელმან **განუტევოს** ცოლი თვისი, მიეცინ მას განსატყვებელი (DE მთ 5, 31) – რომელმან **დაუტევოს** (C); **გობრძანა განტყვებად** ცოლთა თქუენთაჲ (DE მთ 19, 8) – **დატყვებად** (C)... და რომელმან **განტყვებული** შეირთოს... (DE მთ 5, 32) – **დატყვებული** (C)... ვითარმედ **განუკვრდებოდაცა** მათ და იტყოდეს... (DE მთ 13, 54) – **დაუკვრდებოდა** (C).

საინტერესოა, რომ იქაც კი, სადაც **გან-** და **და-** ზმნისწინის სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობა შეაქვთ ზმნაში, DE რედაქცია **გან-**ს ხმარობს, C კი – **და-**ს; მაგ.: **განივართ** მტურთ ფერკთაგან თქუენთა (DE მთ 10, 14) – **დაივართ** მტურთ ფერკთაგან თქუენთა (C). აქ ზმნები **განივართ** და **დაივართ** სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობისაა.

საკულისხმოდ აქ იხივია, რომ DE რედაქციაში სახელს **-გან** თანდებული არ ახლავს, რადგან ზმნამ ამავე ფუნქციის **გან-** ზმნისწინი გამოიყენა. C რედაქციაში კი სახელს **-გან** თანდებული აქვს, რომელიც **და-** ზმნისწინთან არავითარ საერთო ფუნქციას არ ავლენს.

5. ოთხთავის რედაქციების მიხედვით ხშირად ასეთივე მონაცემობაა **გარდამო-** (DE) – **დამო-** (C), **გამო-** (DE) – **დამო-** (C), **გან-** (DE) – **აღ-** (C) ზმნისწინებს შორის: **გარდამოვიდოდა** – **დამოვიდოდა**, **გარდამოცუვენ** – **დამოცუვენ**, **გამოკიდებულ** არიან – **დამოკიდებულ** არიან; თმანიცა **განრაცხილ** არიან – **აღრაცხილ** არიან და სხვ.

ზმნისწინთა ასეთი დაპირისპირებისას მხედველობაში არ არის მიღებული ისეთი შემთხვევები, როცა რედაქციების მიხედვით განსხვავებული ზმნისწინები ზოგჯერ თანდებულის ხმარება-უხმარებლობაზე დამოკიდებული, ან კიდევ განსხვავებული თანდებულების ხმარებასთან არის დაკავშირებული; მაგ.: და მოპუარეს ვირი იგი და კიცხე მის თანად და დაასხელს საძისეული მას ზედა და დაჯდა... მას ზედა (DE მთ 21, 7) – **აღჯდა** მას (C)... რომელიც

გამოეკუთნა კლდისაგან (DE მთ 27, 60) - რომელიღი აღმოეკუთნა შინა (C) და სხვ.

არ არის გათვალისწინებული აგრეთვე ისეთი მასობრივი შემთხვევები, როცა ერთი რედაქციის **მო-, აღმო-, გამო-, წარმო-** ზმნისწინები მეორე რედაქციის **მი-, აღ-, გან-, წარ-** ზმნისწინებს უპირისპირდება და პირიქით. ზმნისწინთა ასეთი მონაცვლეობა შესაძლებელია იშთაღ აიხსნებოდეს, რომ ენა იმ დედნისა, საიდანაც ქართული ოთხთავია ნათარგმნი, ვერ განახვევებდა პირველი ანუ მოუბარი პირის დამოკიდებულებას ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულებისადმი და მთარგმნელი, რადგანაც ამ მხრივ შებოჭილი არ იყო, ამა თუ იმ ფორმას ნებისმიერად გადმოსცემდა ხოლმე.

6. რედაქციები განსხვავებას გვიჩვენებენ იმ მხრივაც, რომ ერთსა და იმავე პირობებში ზოგჯერ ერთი რედაქცია თუ ზმნისწინის მიმართავს, მეორე გაურბის მას; მაგ: გზახა წარმოთთახა ნუ მიხუაღთ (DE მთ 10, 5) - ნუ ხუაღთ (C); პრჭუათ მთახა მას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალეს (DE მთ 17, 20) - დიცვალე ამიერ, და მუნ იცვალეს (C)- უუუუთუ არა მოიქცეთ (DE მთ 18, 3) - არა თუ იქცეთ (C); რომელმან მოიპოვოს თავი თუხმ... (DE მთ 10, 39) - პოოს (C); შემიწყაღენ ჩუენ... (DE მთ 20, 30) - მიწყაღენ ჩუენ (C).

წარმოდგენილი მასალის მიხედვით ძირითადად C დაუპირისპირდა DE რედაქციას, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ზმნისწინთა ასეთი დაპირისპირება როგორც სისტემა იხე იყოს გატარებული და თითქოს პირიქით შემთხვევებს ადგილი არ ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, ზევით განხილული მასალის საფუძველზე მაინც შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება.

ა) უბედულესი პერიოდში ქართული ენის დიალექტებში ყველა ზმნისწინი ერთნაირად არ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. არა მარტო გავრცელების მხრივ, არამედ ფუნქციის მიხედვითაც ენა თუ ის ზმნისწინი ერთნაირად არ უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამის კვალი ნაწილობრივ ოთხთავის რედაქციების შედარებიდან ჩანს; მაგალითად, C რედაქცია მიდრეკილებას იჩენს როგ შემთხვევაში DE რედაქციაში ხმარებული შე და გან- ზმნისწინის ნაცვლად და- ზმნისწინი იხმაროს: შეწუხნეს, შემწუხრდა, შეკართ, შემაძრილონ... განუტრევა, განუკრდებოდა - დაწუხნეს, დამწუხრდა, დაკართ, დაიძარილონ... დაუტრევა, დაუკრდებოდა. ასევე, C რედაქცია ცდილობს DE-ში ხმარებული გარდამო- ზმნისწინის ნაცვლად დამო- გამოიყენოს და სხვ.

ბ) ზმნისწინთა ხმარება-უხმარებლობის მხრივ რედაქციების ჩვენება ცხადყოფს, რომ ძველ ქართულში მოქმედების სრული სახით გამოხატვა ზმნებში ზმნისწინზე არ იყო დამოკიდებული. ერთი რედაქციის ზმნისწინიანი ფორმა მეორის უზმნისწინო ფორმას უპირისპირდება, მაგრამ ისე, რომ ერთიცა და მეორეც მოქმედების სრულ სახეს გამოხატავს; ან კიდევ, პირიქით, ერთი რედაქციის უზმნისწინო ფორმა მეორის ზმნისწინიანი ფორმას უპირისპირდება და განურჩევლად ამისა იქაც და აქაც ზნა მაინც უსრული სახისა.

გ) შესადარებელი მასალა იმის ჩვენებასაც იძლევა, რომ თანდებულს შეუძლია ზმნისწინის მაგიერობა გასწიოს და რიგ შემთხვევაში მსგავსი ფუნქცია შეასრულოს.

* * *

ზმნისწინის ადგილი ქართულში მტკიცედ არის განსაზღვრული. იგი ყოველთვის ზმნას თავში ერთვის პირის ნიშნების წინ, ხოლო თუ ზმნას ეს ნიშნები არ გააჩნია, მაშინ ზმნისწინი უშუალოდ ზმნის ფუძეს მიერთვის.

ამჟამად ზმნისწინი ზმნასთან ისეა შემტკიცებული, რომ მის ნაწილს შეადგენს, ძველ ქართულში კი, როცა ჯერ კიდევ მილიანად არ იყო დასრულებული ზმნისწინის. ზმნასთან შემრთების პროცესი, შეიძლებოდა ზმნისწინსა და ზმნის ფუძეს შორის ნაწილაკი ან ზოგჯერ ნაცვალსახელიც ჩასმოედიოთ. ჩაერთოდა მარტივ ნაწილაკთაგან: ვე და, თუ ვითა, მცა, მე, რა, რაჲ, ნუ, რე, ოდენ, არა, ძი, უკუვე, ოდენ, ხოლო; შედგენილ ნაწილაკთა და დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვათაგან: დათუ, თუმცა, სადმე, რაჲუკუ, ხოლოთუ, ვითმე, რამე, რაიოდენ, ოდესმე; მაგ: მო-ვე-ღლოს მისგან (DE მთ 25, 29), გან-ვე-რეუნა (თეკლ. 96)... და-

⁹ იხ. ა. შანშიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 253.



თუ-უუნა (C მრკ 10, 11), შუ-თუ-იძინოს სოფელი ყოველი (იქვე, 8, 36)... აღმო-ღა-იღე ძირვე ლად დრე იგი თულისაგან შენისა (იქვე 7, 5)... მო-მცა-ვედ მე და მო-მცა-ვედ (იქვე 25, 12), შე-მცა-როულ არს (ხანძთ. ო 45)... მო-მე-იწია თქვენ ზედა (DE მთ 12, 28)... მო-რამ-იძის (იქვე 12, 44), მი-რამ-იდეს (იქვე, 20, 11), მი-რ-აცნა ხალტნი (თეკლ. 120)... მო-რ-ისთულიან ეკალ-თაგან ყურბენი (C მთ 7, 16)... და-რ-ე-სცხრა (შუშ. VI, 24), ვან-რ-ე-იღვინა (კიმ. I, 19, 4)... მო-ძი-ვიდეს (C მთ 27, 49)... შე-ვითა-ულო (ხანძთ. ლე 16)... თქვენ შუ-არა-ხულოთ და შე-მავალთა აყენებთ (C ლ 11, 52)... წარ-ოდენ-ვიდა (კიმ. I, 21, 13)... მი-ხოლო-ვიდა (ხანძთ. ნ 10)... შე-თუ-მ-კუძღეს (C მრკ 13, 22), და-თუ-მცა-ხაყენებდით (ხანძმეტი მრავალთ. 15ა67)... აღ-ოდენმც-ოვის-იგი (C მრკ 4, 37)... და-რამმე-სტებების (თეკლ. 95)... წარ-სადმე-წყემდეულ არს (იქვე, 102)... მი-რაოდენ-სრულ იყო მუნ (კიმ. I, 20, 25)... მაშინ მი-ვიეთმე-უგეს მწიგნობართაგანთა (DE მთ 12, 38)... მო-ხოლოთუ-გერდეს შენ (თეკლ. 96)... მო-ოდენმე-ვიდეს მისა (საბა ასურ. 6, 30)... შე-და-თუ-წუნსა მეფემ იგი (DE მთ 14, 9); შე-დათუ-მხუდეს შენთანა ხიკუდილი (C მრკ 14, 31)... მო-თუ-ვისმე-უტევენთ ცოლვანი (C იოვ. 20, 23)... შე-ესევე-რი-ხვანდა (ხანძმეტი მრავალთ. 22ა)... აღ-ვინმე-იაროს იგი (C იოვ. 9, 22).

რთულ ნაწილაკთა ჩართვისას ჩვეულებრივ დაცულია ასეთი რიგი: და-თუ, თუ-მცა, რამ-ოდენ, რა-უკუე, ხოლო-თუ, თუ-ვის-მე, ხოლო-ვითარ, ესე-ვითარ და არა: თუ-ღა, მცა-თუ, ოდენ-რაი, უკუ-რაი და სხვ.

როგორც ცნობილია, ქართულში ზმნისწინი ოთხ ფუნქციას ასრულებს: ა) გადმოსცემს ზმნის ფუძით გამოხატული მოქმედების მიმართულებას; ბ) აღნიშნავს ზმნით გადმოცემული მოქმედების სრულ სახეს (სრულ ასპექტს); გ) აწარმოებს დროს, აწმყოსაგან მყოფადს და დ) არსებითად ცვლის ზმნის ფორმის მნიშვნელობას.

ამათგან ზმნისწინის პირველადი ფუნქციაა მიმართულების აღნიშვნა. ჩვენც ამჯერად ზმნისწინთა მხოლოდ ამ ფუნქციას შევეხებით.

1. მი-, მო-. ეს ზმნისწინები, განსაკუთრებით კი მო-, ზმნისართებსა და თანდებულებში გვეკლინება, როგორც მათი შემადგენელი ნაწილი: გარეშე-მო || გარშე-მო, გა-მო, გარე-მო, წინა-უკ-მო, უკანა-მო, ზუგარდა-მო, მო-ღმა, მი-ღმა, მი-ღმართ. მო გვაქვს გარდიგარდ-მო-შიც. ეს ზმნისწინები გვხვდება სახელებთანაც თანდებულის ფუნქციით: ამხანაგისად-ში, მისდა-ში, ჩემდა-მო.

ამ ზმნისწინებში მ ზმნისართულ-ნაცვალსახელური ძირეული მასალაა (მანდ, მუნ, ამირ... ამა, იმა) და ფუნქციით ნაცვალსახელთა და ზმნისართთა გ, ს, ქ, წ ძირეული თანხმოვანების მონაცვლეა (ე-გ-ე, ი-გ-ი, ე-ს-ე, ი-ს-ი, ა-ქ, ი-ქ, ა-წ, ა-გრ-ე, ე-გრ-ე, ი-გრ-ე, ა-ს-რ-ე, ე-ს-რ-ე, ი-ს-რ-ე). ხმოვანთაგან ი-ს ფუნქცია ნათვლი ჩანს: იგი ჩვენებითი აფიქსია, აღნიშნავს საგნის სი-ახლოვეს მესამე პირთან და გენეტიურად უკავშირდება იმ ი-ს, რომელიც ი-გ-ი, ი-ს-ი, ი-მ, ი-ქ ნაცვალსახელებსა და ზმნისართებში გვხვდება. გაურკვეველი ჩანს ო-ს წარმოშობა, რად-გან მას თითქმის არავითარი პარალელი არ დაეძებნება. ახსნას მოითხოვს, თუ ო-ს საპირის-პიროდ თირველ პირთან სიახლოვის გადმოსაცემად ო რატომ უნდა ყოფილიყო გამოყენებული მაშინ, როცა ქართულში სამუელთა სისტემიდან, ე-ს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ი-ს ჩვეულებრივ ა უპირისპირდება: ი-მ - ა-მ, ი-ქ - ა-ქ, ი-გი - ა-გი (დიალექტ), ი-გრე - ა-გრე (დიალექტ), ი-სრე - ა-სრე (დიალექტ), ი-გერ - ა-გერ (დიალექტ), ი-მიერ - ა-მიერ და სხვ. თით-ქმის მხოლოდნეული იყო აქეთა მიმართულების გადმოსაცემა ზმნისწინში ა ყოფილიყო გა-მოყენებული, რადგან ქართულში მას ი-ს საპირისპირო პოზიცია უჭირავს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცოცხალ მაწარმოებელ აფიქსად გვეკლინება ნაცვალსახელებისა და ზმნისართ-ების სამუელთა სისტემაში. მოლაპარაკე პირთან-სიახლოვე-ნიშორის განსაზღვრა რომ ა და ი ხმოვანთაგან არის დაკავშირებული, ეს ჩანს იქიდანაც, რომ დიალექტებში ოდენ ხმოვნები (ა, ე, ი) ასრულებენ სათანადო ნაცვალსახელისა და ზმნისართის ხემოადინშნულ ფუნქციას.

გამოდის, რომ მი-ს საპირისპიროდ ქართულში მა- ზმნისწინი უნდა გექონოდა. ამ მხრე ყურადღების ღირსია ქართული კილოების ზოგიერთი ჩვენება. როგორც ცნობილია, მა-ზმნისწინი ახასიათებს როგორც ბარის, ისე მთის აღმოსავლურ კილოებს. რაც უმთხვევაში იგი ასიმილაციის შედეგად მიღებულად შეიძლება და ნაყოფილა კაცს; მაგ., მააქვს, მარბენი-ნა, მაახსუნა და სხვა. მაგრამ სხვა შემთხვევაში მა-ს ხმარება ასიმილაციით ვერ აიხსნებოდა; მაგ., მაამდეს, მამითრევს, მამივდა, მაიწერა, მაიყვანა და სხვა მრავალი.



მა ზმნისწინი ყოველგვარი ახიმილაციის გარეშე დადასტურებულია ჯერ კიდევ XV საუკუნის იხტორიულ საბუთებში; მაგ: მაკულა (ლოკ. 505). მაძილა (იქვე, 564) მაიყვანეთ (საქართველოში) მაძირთქვი (გუჯრ.), მაძგვარე (საქ. სიძე) და სხვ. იგი ამავე პერიოდთან მიყოლებული მხატვრულ ლიტერატურაშიც ხშირად გვხვდება; მაგ: არ მაძაკე (სიბრძნე სიკრ. 30; წიგნი წინა მაძიგლო (შპან. I, 1466); მაძირკა (შპან. II, 405), მაძიღა (იქვე, 377), მაძეკილა (ამირან-დარეჯ. 28), მაძეგება (რუსულან. 106), მაძწონს (ვახტანგ VI, 27), მაძედვა (თეიმურაზ I, 66), მაძეგება (არჩილ, II, 53).

ამაჰმად მა-ს ხმარებაში ყველა კილო ერთნაირ ჩვენებას არ იძლევა. საერთოდ მთის კილოებში, განსაკუთრებით ხევსურულსა და მოხეურში, იგი ძალიან გავრცელებულია, ქართულურსა და კახურში კი შედარებით ნაკლებად გვხვდება და ლიტერატურული ენის გავლენით თანდათანობით იდევნება ხმარებიდან. მთის კილოებისა და მე-15-18 საუკუნეთა სალიტერატურო ენის ჩვენება გეგვარადულებიანებს, რომ ადრე მა უფრო მეტად უნდა ყოფილიყო გავრცელებული ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში. შესაძლებელია, რომ იგი, როგორც დამოუკიდებელი წინდებული, ქართული ენის რომელიღაც ფენისა თუ კილოს კუთვნილება იყო.

ფუნქციის მიხედვით მა- და მო- საპირისპირო ზმნისწინებია: მიუბარი პირის თვალსაზრისით მო- იქნა (III პირისაკენ) მიმართულებას აღნიშნავს, მო- კი, პირიქით, აქნა (I პირისაკენ) მიმართულებას გადმოსცემს.

ა) მიმართულება განსაკუთრებით ნათლად ისეთ ზმნებთან ჩანს, რომელთა ფუძე მოძრაობას გამოხატავს; მაგ: შენ ჩემდა მოხუალა? (DE მთ 3, 14) - სიკუდილ მივალ (შუშ. V 26); მოუკდეს მას მოწაფენი თუნხი (DE მრკ 6, 35) - მაშინ მიუჭდეს (C მთ. 26, 50); მოგივლინო თქვენ მამისა მებრ (C იოვ. 15, 26) - და შიავლინინეს მოწაფენი მათნი (DE მთ 22, 16); მოვაქცო (შუშ. Vგ) - მივიქცევი ხახიდ ჩემდა (მთ 12, 44); მოივლტინ (ხანძთ. იმ 37); მოვივლტოდე თსუად (მთ 10, 23), მოხიწია (ხ. ტ 385) - მივიწვი (შუშ. III ა); შენ მომდევდი მე (DE მთ 8, 22) - მისდევდეს მას მოწაფენი მისნი (C მთ 8, 23).

ბ) მო- და მი- ზმნისწინი მიმართულებას გადმოსცემს ისეთ ზმნებთანაც, რომელთა ფუძე მოძრაობას არ გამოხატავს, მაგრამ მივითითებს გადაადგილებაზე; მაგ: და მოართუეს მას განრღვეული (მთ 9, 2), მიართუა (შუშ. VI10); მოგაჯოს (მთ 6, 4) - შიავოს; მოვიხილო (იოვ. 12, 32) - შიიხიდა; მომიძღუნა - მიუძღუნა და სხვ.

გ) შეტანაკლებად მიმართულება იგრძნობა ზოგიერთ ისეთ ზმნასთანაც, რომლებიც არც მოძრაობას აღნიშნავენ და არც გადაადგილებაზე მიუთითებენ; მაგ: მოუტევა - მიუტევა, მოემაღლა - მიემაღლა, მოახწავეებს - შიახწავეებს, მოგეწყოს - მიეწყოთ, მოიხმო - მიიხმო, მოაყვირა - შიაყვირა და სხვ.

დ) ახალ სალიტერატურო ქართულში რიგი ზმნები მო-ს დაირთავენ ისე, რომ მათ საპირისპირო მი- ზმნისწინიანი ფორმა ჩვეულებრივ არ მოეყოლებათ; ძველსა და ვ. წ. საშუალ ქართულში კი მი- ზმნისწინიანი ფორმა ჩვეულებრივი იყო; მაგ: მიუწოდა... და პრქა (C იოვ. 18, 33); მიეღოდა უწყებულსა მას (ხანძთ. ვ10); მეს მიხედნა მას... და შიიტაცა იგი ქუბად (კომ. I, 20); არ მისცოდლება თინათინ მისი მას, ვისგან სწავა აღი (ვ. ტ. 147); ვითარცა მკუდარი მიეთრია (შუშ. VIII 15).

ახალ ქართულში ზოგიერთ ამ ზმნასთან მი- ზმნისწინის ნაცვლად წა- იხმარება ხოლმე; მაგ: მიეთრია - წაეთრია, შიიტაცა - წარიტაცა და სხვ.

ე) ამაჰმად მიღება ზმნა საპირისპირო მო- ზმნისწინს აღარ დაირთავს, ძველ ქართულში კი ამ ზმნასთან მო-ც იხმარებოდა; მაგ: და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი (C მთ 14, 19); ნუ მოიღებთ ოქროსა (E მთ 10, 9); შდრ. ნუ შიიღებთ (D მთ 10, 9), შიიღოს (შუშ. XIV 12).

ვ) ახალ ქართულში უთხრა ზმნა ჩვეულებრივ უზმნისწინოდ იხმარება, ძველ ქართულში კი მეორე სერიაში მი- ზმნისწინს ირთავდა; მაგ: შიუთხრეს ესე ყოველი (C დ 24, 9); მოვიდეს და შიუთხრეს საქმე იგი ყოველივე (იქვე, მთ 18, 31); შიუთხრა ტოტეს მისთვის



(თქელ. 92). ამ ზმნისგანაა წარმოქმნილი მიუთხრობელი: და იყო ეამსე მქუხარება მიუთხრობელი (საბა ასურ. 14).

ძველ ქართულში **მიუთხრა** ზმნას საპირისპირო მარტივი ზმნისწინანი (მოუთხრა) ფორმარ ჰქონდა, მაგრამ იყენებდა როდესაც **წარმო-** ზმნისწინს; მაგ: მანცა წარმოუთხრა ამისე პასუხისა მსგავსად (ხანძთ. კვ 26); წარმოუთხრა ყი საქმ ჩემი (კიმ. I, 24).

მიუთხრა-ს მსგავსად გვხვდება **მიპრქუა-ც**; მაგ: ნეტარმან მან არა იხმინა, არამედ მიპრქუა (ხანძთ. ნვე2); შუშანიკ მიპრქუა ესრეთ (შუშ. XII).

ხ) უზმნისწინოა ამჟამად ზმნა **ვიყიდე** (ვიყიდი, ვიყიდი), ძველ ქართულში კი ეს ზმნა წყვეტილში ხშირად **მო-** ზმნისწინს დაირთავდა ხოლმე; მაგ: ვანყიდა ყოველივე, რაცა აქუნდა და მოიყიდა აგარაკი იგი (DE მთ 13, 44); მოიყიდეს მით აგარაკი იგი მეკეცისად... (C მთ 27, 7).

ახალ ქართულში **გა-** ზმნისწინს **გაყიდა** ზმნაში საპირისპირო ან **შე-** აქვს (შეისყიდა), ან კიდევ ზმნა უპრევერობა (იყიდა).

ესა და ზევით აღნიშნული მსგავსი ფაქტები მიუთითებენ, რომ ახალთან შედარებით ძველ ქართულში უფრო თვალსაჩინოდ იგრძნობოდა ზმნისწინთა მიერ მიმართულების აღნიშვნის ფუნქცია. ახალ ქართულში ზოგიერთმა ზმნისწინანმა ზმნაძ ძველი საპირისპირო ფორმები დარკვა და ამდენად ზმნისწინის მნიშვნელობაც ერთგვარად დაიხრდილა; ზოგიერთ ზმნას კი სრულიად ჩამოსცილდა ზმნისწინი და ამჟამად მიმართულების აღნიშვნას ვეღარ ახერხებს.

თ) რივი ზმნები ან მხოლოდ **მი-** ზმნისწინს იყენებენ, ან კიდევ — **მო-**ს, ორივე ერთად (საპირისპირო ფორმები) მით არ გააჩნიათ; მაგალითად: მიიცვალე ამიერ იქი (მთ 17, 20); მიპროდა და გ'ნუშორა (საბა ასურ. 8); ხარეცვულსა ზა მიეძინა (ხანძთ. ოფავ); მიეკრულა ყოველთა და დაიძინეს (მთ 25, 5). ასეთებია აგრეთვე შემდეგი ზმნები და მიმდებარე მივიწყა, მისულტა... მოინას, მოსთხოვა, მოაგროვა, მოურია, მოშორდა, მოწვეცია, მოისმინა, მოკვდა... მიუვალი, მიუწოდელი, მიწურული, მიუცდილებელი, მიშვებული, ფერმიხდილი და სხვ. ადრე შემადგებელი ზოგიერთ ასეთ ზმნას საპირისპირო ფორმაც გაჩნდა, მაგრამ შემდეგ ჩამოსცილდა. ამას გვაგვარაუდებინებს ზევით აღნიშნული ზოგიერთი შემთხვევა.

ი) მო- ზმნისწინი მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან ზოგჯერ ან გარშემო მოძრაობას აღნიშნავს, ან კიდევ ავლენს იმავე მნიშვნელობას, რასაც სხვა შემთხვევაში **მიმო-** ზმნისწინი გადმოსცემს; მაგ: მოვლნა ყოველნი წმიდანი ადგილნი (ხანძთ. იბ 57); რამეთუ მოჰკელით ზღუასა და კმელსა (C მთ 23, 15 შდრ. რამეთუ მიმოხუალთ ზღუასა ზედა და კმელსა DE); მოჰკელიდა დაბნებსა მას გარემოს და ასწავებდა (C მრკ 6, 6; შდრ. მიმოიქცევოდა გარემო სოფლებსა მას... DE). სომხურ ოთხთავში ამ ადგილას ნახმარია ზმნა, რომელსაც სიტყვასიტყვით გარშემო სვლას, გარშემო ტრიალს აღნიშნავს. არსებითად ასეთსავე მნიშვნელობას უნდა ატარებდეს **მო-** ზმნისწინი ასეთ ზმნებთან: წამკვოცდა მხურთია მით, რომელ მოერტყა (იოვ. 13, 5); თუაღნი მოარნა ყოველგან (ვ. ტ. 92).

კ) მო- და **მი-** ზმნისწინი ზოგჯერ მიუთითებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმდინარეობაზე მოძრაობის პროცესში, სიარულისას; მაგ: მოვეგება, მოტიროდა, ცრემლმან მისმან კლდენი დარნეს (ვ. ტ. 916)... მით ამახ მოიტყოდიან (იქვე, 1647); მიპხოცეს და მოისროდეს, მინდორს სისხლთა მოასხმიდეს (იქვე, 76).

ასეთი ზმნები ზმნისწინის გარეშე გადაადგილებას არ გამოხატავენ, მაგრამ სათანადო ზმნისწინების დართვისა და მატებით შინაარსს იძენენ.

ლ) ქართულში ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და ზმნისართების საშუალებით საგნის ხაზლოვე-სიშორე სამოქმედო პირის მიხედვით განიარჩევა: **ეს** (პირველ პირთან ახლოს), **ვც** (მეორე პირთან ახლოს), **ის** ან **იგი** (მესამე პირთან ახლოს), ასევე: **აქ**, **მანედ**, **იქ** და სხვ. „საერთო მოსაზრების თანახმად მოსალოდნელი იყო, რომ II პირისაკენ მიქცეული მოქმედლება აშკარად გამოიხატებოდა, მაგრამ ქართულ ენას ამისი საშუალება არ მოეპოვება, რადგანაც II პირი ის პირია, რომელსაც ეუბნებიან, ხოლო ასეთი პირი ჩვეულებრივ იქვე არის, ხალაც მოუბარია,



ამიტომ ის I პირის მყოფობის არეში იგულისხმება...¹⁰ ამის მიხედვით **მო-** ზმნისწერით **მო-** ლებრივ თანაბრად გადმოსცემს მიმართულებას როგორც პირველი, ისე მეორე **მო-** მავ: მოვიდოდიან თქ^ნდა (ბ. ტ. 378); შენსა მოივლენი (ხანთ. ომ 37); რათა მოიწიოს თქუენ სუდა (DE მთ 23, 35); მოგიელინო თქუენ (C ოც. 15, 20) და სხვ.

იგიეთი არაა აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როცა **მო-** ზმნისწინი მესამე პირთანაც გვხვდება; მაგ.: მოუკდეს და მსახურებდეს მას (C მთ 4, 11); მორბიოდეს მისა (საბა ასურ. 18); მორთუეს მას დაჰსნილი ერთი (C მთ 9, 2); მოგუარეს მას (DE მთ 8, 16) და სხვ.

ერთ-ერთი ასეთი ზმნა, რომელიც ძველ ქართულში მესამე პირთან **მო-** ზმნისწინის პარალელურად **მო-**საც იყენებდა, არის **მოსცა**; მაგ.: რომელსა მოსცემდა მას კაცო-მოყურამ (შუშ. XI-4); მამამან თქ^ნმნ. მოსცეს კეთილი (ბ. ტ. 378); მოსცემდა მას (კიმ. I. 32) და სხვა მრავალი. ეს ზმნა ამ სახით გვხვდება მომდევნო პერიოდშიც. მას ხმარობს რუსთაველი, ნ. ბარათაშვილი, ა. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვა, ამჟამად კი დაკლებულია მთის კილოებსა და ქართულში; მაგ.: ენა მოცეა სიტყვისა გამოძგებაზე (გ. ტ. 1032)... მოცე მას ხადგური მუდრობისა (ნ. ბარათ. 19)... და როცა მოსცემს სიცხესა-ურყვება ტეხა წყლულისა (ვაჟა, 303); იმას ხმა მოსცეს სხეებმა (ყაზბ. 192) და სხვ.

მ) ძველ ქართულში თუ მიცემა ზმნასთან მესამე პირში **მო-** ზმნისწინის ნაცვლად **მო-** იხმარებოდა, პირიქით, ამავე ზმნასთან და ზოგიერთ სხვასთანაც მეორე პირში ხშირად **მო-**ს მაგერ **მი-** ზმნისწინი იყო გამოყენებული; მაგ.: მთხოვე მე, რაცა გნებაგეს, და მიგცე შენ (მრკ 6, 22); ევ^ნმდის მიგეს მოედეს ღოცეაე (ხანმეტი მრავალი. 152); რასხათვს ესე მივე-წევე თქუენდა (შუშ. II); არცა მამან თქუენმან მიგოტეკენეს შეცოდებანი თქუენნი (C მთ 6, 15); მიგეტეკენე შენ ცოდვანი შენნი (C დ. 5, 20).

ამჟამად ასეთი ფორმები არსად არ დასტურდება.

ნ) **მი-** ზმნისწინის ზოგჯერ **მო-** დაერთვის და ვლგებულობთ **მიმო-**, რომელიც ზოგიერთ ზმნასთან ორმხრივ – აქეთა და იქითა – მიმართულებას აღნიშნავს. **მიმო-** ნეყულებრივ ხოლმეობისა და უწყვეტელში იხმარება; მაგ.: მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა (DE მთ 12, 43); და მიმორობიოდეს ყოველსა მას სოფლებსა (იქვე, მრკ 6, 55); და უფროსად მიმოედებოდა სიტყუაი იგი მისი (C დ. 5, 15); თმითა მიმოითრეკედა (შუშ. VI¹⁷).

ახალ ქართულში ასეთი მნიშვნელობა ზმნის გაროკეცებითაც გადმოიცემა, მაგ.: მიავლ-მოავლო; მიდი-მიოდის და სხვ.

2. **წარ-** ამ ზმნისწინში გამოიყოფა **წა** და **რ. რ** ნარჩენია რე ნაწილაკისა, რომელიც ზმნისართებში დასტურდება: **გარე**, **ზერე**, **გარეშე**, **გარეშო**, **გარეშეშო** (←**გარე-შე-შო**), **გარდა** (←**გარე-და**), **გარნა** (←**გარე-ნა**). **წარე** მეგრულ **წაღე** ზმნისართს უკავშირდება, რომელიც თავის მხრივ ისეთივე შემადგენლობისაა, როგორც **ყოღე**, **გაღე**¹¹.

წარ- ზმნისწინის **წ** იგივე უნდა იყოს, რაც **წ**-ინ, **წინაშე** ზმნისართებში გვაქვს, შესაძლებელია მას უკავშირდებოდეს აგრეთვე **ა-წ** ზმნისართის თანხმოვანი ვლგებრივ.

წარ- ზმნისწინის კავშირი **წინ** ზმნისართთან, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, მტკიცდება მსგავსი ფუნქციითაც.

წარ- || **წა-** გვხვდება ზმნისართსა და სახელშიც; მაგ.: წინასწარ, წინასწარ-მეტყუელი, წარმართ – წამართ, აქედან სახელი წარმართი. ვაჟე წარ უნდა გვქონდეს წარამართი.

არნ. ჩიქობავას სპეციალურ შრომაში „წარ- პრეპოზიციის მნიშვნელობისათვის ქართულში“ მეგრულ-ჭანურისა და ქართული ენის მასალების მიხედვით დადასტურებული აქვს, რომ **წარ-** ზმნისწინის ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, როგორც აქვს **წა-**ს ჭანურში. მას ქვევით, ძირს მიმართულება უნდა გადმოეტეა. ამ მოსაზრების სახარებდლოდ ისიც არის აღნიშნული, რომ ქართული **წა-**ს ადგილს მეგრულში ზოგჯერ **მი-**და ზმნისწინი იტერს, რომლის მეორე კომპონენტი სწორედ ძირს, ქვევით მიმართულებას აღნიშნავს¹².

¹⁰ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 239.
¹¹ არნ. ჩიქობავა, წარ- პრეპოზიციის მნიშვნელობისათვის ქართულში, ენისკის შოამბე, I, 1937, გვ. 43.
¹² იქვე, გვ. 42.



წა- ზმნისწინის ასეთი მნიშვნელობა გამართლებულია ამავე ავტორის მიერ წარმოქმნილი ქართული მასალითაც: მაგ.: წარწერა - წერა ზევიდან ქვევით, წაქცევა - ქვევით ქვევით¹³.

ქართულ და მეგრულ-ჭანურ წა-ს ავტორი უკავშირებს აფხაზურ წა- პრეფერს, რომელიც ნიშნავს „ქვეშ, ქვევით“¹⁴.

წარ- ზმნისწინმა ძველ ქართულშივე დაკარგა ბოლოკიდური თანხმოვანი რ; მაგ.: წაუღებონს ღა (ხაბა ასურ. 20); თუაღნი წამოცვენებულ იყენეს (კიმ. I. 30); წამოკიდებული (იქვე 20). ე. წ. საშუაღ ქართულში ეს ზმნისწინი გამარტივებული სახით უკვე ხშირად გვხვდება: მაგ.: წადი, უხმე... (ე. ტ. 105); ცნობა წაუვიდა (ვისრ. 35); წაიტანა (იქვე, 44), წაუღოთ (შან. II, 402), წაჯღვების (შან. I, 1950), წაიტიანეთ (ამირანდარეჯ. 12), წაუძღვა... და წაიფინენ (რუსუდან. 164), წაიღოს (სიბრძნე სიცრ. 10), წაბანდეს (ქილ. 38), წასთქვაშს (ვახტანგ VI, 106), წაუძღვა (გურ. 244), წაწმინდა (არჩილი, 11, 2), წაიფე (თეიმურაზ I, 13), წაიფეს (თეიმურაზ II, 65), წამეპარე (გეს. II) და სხვ.

ძველი სახით წარ- ახალ ქართულში მხოლოდ ზოგიერთ ზმნასა და სახელზმნას შერჩა: მაგ.: წარადგინა, წარმოთქვა... წარმავალი, წარჩინებული, წარგზავნილი და სხვ.

ა) ფუნქციით წარ- ზმნისწინი მი-ს უტოლდება, წარმო- კი იმავეუ გადმოსცემს, რასაც მართივი მი- ზმნისწინი. ამით აიხსნება, რომ ხშირად ეს ორი ზმნისწინი ერთიმეორის შემცვლელად გამოდის, როგორც ზევით დაივინახეთ, ეს კარგად ჩანს ოთხთავის რედაქციების შედარებით: წარვედით - მივედით, წარვიდე - მივიდე...

წარ- და მი- ზმნისწინთა მსგავს ფუნქციაზე მიუთითებს ისეთი შემთხვევებიც, როცა იქნება მიმართულების გადმოცემისას წარ- არის გამოყენებული, აქნა მიმართულებისათვის კი - მისი საპირისპირო მი-; მაგ.: ვრქ ამახ: წარვედ! და წარვიდის; და სხუახა: მოვედ! და მოვიდის (DE მთ. 8. 9).

ბ) მი- წინდებულის მქონე ზოგიერთი ზმნა, როცა საპირისპირო მი- არ გააჩნია, წარ- ზმნისწინის იყენებს: მაგ.: მოიპარეს - წარიპარეს, მოახხა - წაახხა, მოეთრია - წაეთრია, მოიტაცა - წარიტაცა, მოიფო - წააფო და სხვ.

გ) მიუხედავად მსგავსებისა, მი- და წარ-, მი- და წამო- გამოყენების მხრივ ურთიერთისაგან მინც საკმოდ განსხვავდებიან: მი- და წარ- ყოველთვის და ყველა ზმნასთან არ ენაცვლებიან ერთმანეთს; მი- თითქმის ყველა დროში გვხვდება, მათ შორის აწყოშიც (მიდის, მიჰყავს, მიგორავს), წარ- კი აწყოში ჩვეულებრივ არ იხმარება, ამავე დროს წარ- ზმნათა გარკვეულ ჯგუფში გვევლინება. ძველ ქართულში მისი ხმარების არე საკმოდ შეზღუდული იყო, ამაჰამდ კი შედარებით იშვიათად გამოიყენება.

დ) ეს ორი ზმნისწინი ზოგჯერ მნიშვნელობის მხრივაც განსხვავდება ერთმანეთისაგან: მაგალითად, თითქოს სხვადასხვა ჩანს წარვიდა და მივიდა, წარიყვანეს და მიიყვანეს. ამ შემთხვევაში მი- ზმნით გამოხატული მოძრაობის დასასრულ პუნქტზე მიუთითებს, წარ- ზმნისწინი კი ამ მნიშვნელობას მოკლებულია.

წარ-, მართალია, იქითა მიმართულებას გადმოსცემს, მაგრამ ზოგჯერ ეს მიმართულება სივრცის გარკვეულ მონაკვეთს, წინა მხარეს გულისხმობს¹⁵; მაგ.: წინაშე მსაჯულთა და მუფეთა წარგადგინენ თქვენ (C მრკ 13, 9); წარდგა მის წინაშე განბოკლებული (C მთ 8, 2); თუალი წამოუცვენებულ იყენეს (კიმ. I, 30).

შეიძლება ამავე მნიშვნელობითა აქც: ხ⁶ მცირე ხყო მახაკითა და წარბიოდა (ხ. ტ. 385); ხოლო წიგნები იგი მეფისად წარსცა (კიმ. I, 17); დამით წართქან ათხუთმეტი კანონი... (ხაბა ასურ. 7). ეს უკანასკნელი ზმნა ჩვეულებრივ ლოცვის შესრულებასთან არის დაკავშირებული.

¹³ არნ. ჩიქობავა, იქვე გვ. 43.

¹⁴ იქვე გვ. 44.

¹⁵ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 238.



3. **შე- გან-** შე- ზმნისწინი მასალითა და ძირითადი ფუნქციითაც **შინა** თანდებულს უკავშირდება. ვგვევ ითქმის **გან-** ზმნისწინისა და **-გან** თანდებულის შესახებ.

გან- ზმნისწინში გა ძირეული მასალა ჩანს. ამ სახით იგი დაცულია სხვა ზმნისწინსა, თანდებულსა და ზმნისართშიც: **გამო, გარე, გარე-შე, გარე-მო** (აქედან **გარე-მოება**), **გარე-შე-მო** (←**გარე-შე-მო**), **გარ-და** (←**გარ-და**) და სხვ. (შდრ. ი-გი, ე-გი მაგ¹⁶). **გან-** ზმნისწინში გა ძირეული მასალის გამოყოფას მხარს უჭერს ზანურის (მეგრულ-ჭანურის) ჩვენებაც, სადაც **გა-** შესატყვისად **გო-** ვეაქვს.

გან-ში 5 ნარჩენია ნა ელემენტისა, რომელიც დასტურდება თანდებულებსა და ზმნისართში: **შინა, ზე-ნა, თა-ნა, წინა, მუ-ნ** (←**მუ-ნა**), **ქუე-ნა, გარ-ნა**. ნა-ს სხვა შემთხვევაში და ენაცვლება: **ზე-და, ში-და, ქუე-და, გარ-და** და სხვ.

ძველ ქართულში **გან-** ზმნისწინი გამარტოებული **გა-**ს სახითაც გვხვდება; მაგ: და ხიყუნეს ბქნ[ი] ნოეხსნი, რლ^{ნი} განჰვიდეს კიღობნისა შისგან [ხ. ტ. 371]; თმანიცა თავისა თქუნისანი ყოველი გარაც ხიღ არიან (C ლ 12, 7); შდრ. განრაც ხიღ არიან (DE); რომელი გააქსნა (DE); გასჰვიდუღ იქმნა (კიმ. I, 8).

რთულ **განმო-** ზმნისწინს 5 ძველ ქართულშივე ჩამოსცილდა, აქ **განმო-** იშვიათად გვხვდება; მაგ. განმოხეცხა და ი^ვ მოწაფეთა თხსთა (ხ. ტ. 389).

შემდგომ პერიოდში გამარტოებული **გა-** ზმნისწინის ხმარება უკვე ხშირი მოვლენაა; მაგ: გაწირა (ვისრ. 228), გავიდის (შან. II, 369), გააქვეთა (ამირანდარეჯ. 15), გავიდეს (სიბრძნე სიგრ. 15), გააღო (ქელიდა და დამ. 30), გაუსვენეს (რუსუდან. 433) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის ძეგლების ენაში **გან-** ზმნისწინის ბოლოკიდური 5 ზოგჯერ ზმნისა და სახელზმნის ისეთ ფორმებში იკარგება, რომელთანაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ზმნისწინი ჩვეულებრივ სრული სახით აქვთ შემონახული; ასეთებია, მაგ: გაზრახულია (შან. I, 4048), გათქმული (იქვე, 4718), გაცაცადებული (იქვე, 3075), გარისხდა (ქელიდა და დამ. 314), გაუყრდნი (რუსუდან. 2081) და სხვ.

ა) **შე-** ზმნისწინის ფუნქციაა მიმართულება გამოხატოს გარედან შიგნით; მაგ: ვერ შევიდეს სასუფეველსა (ხანძთ. გ 35); შეაყენეს საპრობიღეს (კიმ. I, 9); ტანჯავას დიდსა შეგაგდებენ შენ (შუშ. III); შევიდოდეთ იწროსა მას ბჭესა (C მთ 7, 13); შევიდა სახლსა ზაქარაფსსა (ლ 1, 40); მუტრიბთა შეუხმობდიან (ვისრ. ხ).

ბ) **შე** ზმნისწინი გამოხატავს აგრეთვე ცოტაობას, თვისების ხარისხის ან მოცულობის შედარებით სიმცირეს, ნაკლებობას. ძველ ქართულში ჩვეულებრივია, მაგალითად, **შემწუხრდა** (ცოტათი დაბინდდა, ცოტათი დადამდა); ვითარ შემწუხრდებოდა და მშმ დაპვიდოდა (მრკ. I, 32); ვითარცა შემწუხრდა, მოგუარეს მას ეშმაკუელები (მთ 8, 16).

შე- ზმნისწინის ეს მნიშვნელობა კარგად იგრძნობა ახალ ქართულში ასეთი შეპირისპირებით: შეწითლდა და გაწითლდა, შეთეთრდა და გათეთრდა...¹⁷.

გ) ძველ ქართულში **შე-** ზოგიერთ ზმნასთან იმავე გადმოსცემს, რასაც **მი-** და **გა-** ზმნისწინები; მაგ: შეუდგა მას სიმრავლემ ერისაი და დედათაი (ლ 23, 27); სოფელი ყოველი შეუდგეს მას (იოვ. 12, 19) მათ შეესუელად დაუტოვეს ბადე მათი და შეუდგეს მას (მთ 4, 20); შეუდგეს კუალსა მიხსა (C იოვ. I, 40).

დ) შედგენილი **შემო-** ზმნისწინი აღნიშნავს გარეშე, ირგვლივ მოქმედებას; მაგ: მეფემან ბრძანა დაშქარნი უხშენით, შემოჯარენით (ვ. ტ. 167); შემოსხდომოდნენ, შემოღობა, შემოაგლიჯა, შემოურბინა და სხვ.

¹⁶ არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 228.
¹⁷ იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 252.



ე) ახალ ქართულში **შე-** ზმნისწინი გადმოსცემს ზევითა მიმართულებას¹⁸ (ქართულში შეუგდეს (კახ. 34). ღებრალს მართვეს ჩინებული ცხენი, რომელ ზედგეცე შექორტყანა (იქვე, 116); შეცას შესტყორცნის (ჭოლა, 40) და სხვ. ეს მნიშვნელობა კარგად დაცულია **შელმა** ზმნისართშიც, რომელსაც **დადმა** უპირისპირდება.

მნიშვნელობის მხრივ **შე-** ზმნისწინს **გან-** უპირისპირდება.

გან- აღნიშნავს:

ა) მოძრაობის მიმართულებას შიგნიდან გარეთ; მაგ: და განვიდა ტაძრისა მისგან (C მოვ. 8, 59)... ხოლო რაჟამს სული არაწმინდად განვიდის კაცისაგან... (DE მო 12, 43); განასხა სულები იგი (C მო 8, 16); განკადეს იგი გარე (C მოვ. 9, 34)... გამოვიდა... სახლსა მისგან (მო 13, 1); გამოჰყვანდა იგი ტაძრით (შუშ. IX2).

ბ) **წარ-** ზმნისწინის მსგავსად, **გან-** ზოგჯერ **მი-** ზმნისწინთან საზიარო ფუნქციას აქლეს; გადმოსცემს აქედან იქეთ მიმართულებას; მაგ: განყო კელი და შეახო მას (დ 5, 13); შდრ. მიყო კელი მისი და შეახო მას (მრკ 1, 41); მუნქუსევე კელი განუხარა ყლთა (საბა ასურ. 17).

გ) სხვა ზმნისწინთაგან **გან-**ის ფუნქცია იმით განსხვავდება, რომ იგი ზოგჯერ ისეთ მნიშვნელობას გადმოსცემს, რომელიც გარკვეულ მიმართულებას არ გულისხმობს. აღნიშნავს მოცილებას, მოშორებას და ამავ ეფუნქციით თანდებულადაც იხმარება; მაგ: ცლიო შენი განდგომოდ არს შენგან (შუშ. IVა); განეტევა წმიდაა შუშანიკ (იქვე, VI20); და ვითარცა განეშორნეს იგინი... (C მო 2, 13); აღმოიღე იგი და განაგდე შენგან (DE მო 5, 29).

4. **აღ-, და-** ეს ორი ზმნისწინი ფუნქციით ურთიერთს უპირისპირდება არა მარტო ზმნებში, არამედ ზმნისართებშიც, გვაქვს: **აღ-**მართ – **და-**მართ (აქედან: **აღმართი** – **დადმართი**) ეგვევ ზმნისწინები ფუძისეულ მასალადაა გამოყენებული შედარებითი ხარისხის წარმოებისას: **უაღ-რესი** – **უდა-რესი**¹⁹. **აღ-** ზმნისწინი შედის აგრეთვე **წი-აღ-სა**²⁰ და **მ-აღ-არ-ში**²¹.

და-ს პირვანდელ სახედ **დაბ** არის მიხვეული და წარმოშობით იგივეა, რაც სვანური **დაბ** („ვანა“, „სახნავი მიწა“) და მგერული **დობ-ურა** || **დობ-ირა** („სახნავი მიწა“)²². ეგვევ **დაბ** და ცვლილა სხვაგანაც: **მ-დაბ-აღ-ი** (შდრ. **მ-აღ-აღ-ი**), **დაბ-ა...** **დაბ-ნ-ი...** **უ-დაბ-ნ-ო...** **მ-დაბ-ი-ო...** **მ-დაბ-ურ...** **მ-დაბ-ორ**²³.

აღ- ზმნისწინში დ ადრევე დაიკარგა. ძველი ქართულის ძეგლებში უკვე გვხვდება მარტო **ა-**ს ხმაურების შემთხვევები; მაგ: რამეთუ ა შენგებთ თქუნს საფლავებსა მას (C მო 23, 29); რად აჰკსნით კიცუსა მაგას (იქვე, მრკ 9, 5) აჰვა ნავსა (იქვე, 4, 1)... და სამარენი აესუნეს... (იქვე, მო 27, 52) აიდე (ა. ტ. 371), ამაღლდეს (იქვე, 373).

უფრო ხშირია **აღ-** ზმნისწინის დ თანხმოვნის დაკარგვის შემთხვევები ე. წ. საშუალო ქართულის ძეგლებში. იგი იკარგება როგორც თანხმოვანით, ისე ხმოვნით დაწყებულ ზმნებში; მაგ: აკადეს (შან. II, 411), ადევ (ვისრ. 128), აესილ იყო (იქვე, 32) ამაღლდა (სობრანე სიცრ. 17), ამოვიდა (შან. I, 3172), ამოიგლო (ამირანდარეჯ. 5), ააგეს (იქვე, 31), აიღონ (თეიმურაზ II, 65), აიყვანეს (ვისრ. 14), აეგებოდა (შან. I, 2559) და სხვ.

ამჟამად ძველი სახით შემორჩენილია ზოგიერთ ზმნასა და სახელზმნაში, მაგ: აღნიშნა, აღხარდა... აღშფოთება, აღდგუნა, აღმოსავლეთი და სხვ. **აღ-** ყოველთვის სრული სახით გვხვდება **ადიარება**-ში, ძველ ქართულში კი, პირიქით, ამ ზმნაში დ ხშირად ჩამოცილებული იყო; მაგ: ავიარებ შენ (მო 11, 25); აუვიარებდეს ცოლდათა მათთა (C მო 3, 6); რომელმან ამიაროს მე წინაშე კაცთა (იქვე, 10, 32).

აღ- ზმნისწინი ძველიდან ზევით მიმართობას აღნიშნავს, **და-** კი, პირიქით, ზევიდან ქვევით

18 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 251.
 19 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 254; არნ. ჩიქობავა, სახელი ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 26.
 20 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 255.
 21 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება, გვ. 26.
 22 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 254; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება, გვ. 27.
 23 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება, გვ. 15-16.



მიმართულებას გადმოსცემს; მაგ.: აღვიდა მთასა (მთ 5, 1); უპირა კელი და აფეცნი...
 იგი (მრკ 1, 31); მაშინ... აღმოიქვენა... უდაბნოდ (DE მთ 4, 1); აღმოვიდო...
 მისგან (მთ 3, 16)... რომელიმე დაეკარდა გზასა ზედა (იქვე, 13, 14); შეთხზეს გვრგვნი კეალ-
 მათს და დაადგეს თავსა მისსა (იოე. 19, 2); დამოკვივ მაგიერ (ბ. ტ. 385); ცრემლინი...
 დაამსდიო რქს (საბა ასურ. 10); დამოვიდოდა იგი მიერ მითი (C მთ 8, 1); და მასკუ-
 ლაინი ზეცით დამოცვენებულ იყვნენ (იქვე, მრკ 13, 25)...

ამჟამად როელი დამო- ზმნისწინი აღარ გვხვდება, იგი შემორჩენილია მხოლოდ დამოკი-
 დებულში და მისგან წარმოქმნილ სიტყვებში. მისი ადგილი ჩამო- ზმნისწინმა დაიჭირა.

მიმართულების გადმოცემის შესაძლებლობა და ზმნისწინისა სხვებთან შედარებით უფ-
 რთ შეზღუდულია. ეს იგრძნობა ამა მარტო თანამედროვე სალიტერატურო ენაში, არამედ
 არსებითად ასე იყო ძველ ქართულშიც. ერთი მხრით, თუ ამ ზმნისწინს მიმართულების აღ-
 ნიშნის ფუნქცია თანდათან ჩამოსცილდა და ჩა-ს დაეკისრა, მეორე მხრით, მან გაიჩინა მეორე
 რეული მნიშვნელობა. მეორეულია მოქმედების ინტენსიობის აღნიშვნა, რაც პირდაპირი ობიექტ-
 ტის სიმრავლის გამოხატვაში მდგომარეობს²⁴. ძველ ქართულში და-ს ეს ფუნქცია არ გაიჩ-
 ნდა, რადგან პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას ზმნაში სპეციალური ფორმანტი (ენ. ნ)
 გადმოსცემდა. ე. წ. საშუალ ქართულში, როცა ეს ფორმანტი ხმარებიდან გადაეწარდა, ნაწი-
 ლობრივ და-ს დაეკისრა ეს ფუნქცია. ამ მნიშვნელობით და- ზმნისწინს ხშირად ვხვდებით,
 მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“; მაგ.: ყველა კი დაამადირკო, საბოძერითა ააგვინით
 (164); მისი ყველაი დამოსა... (682); დავეკაზმეთ ნაი, კატარად და რიცხვი საბათა ჯარი-
 სა (613).

და- ზმნისწინი ამ ფუნქციით ამჟამად ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში უფრო ხში-
 რად გვევლინება: მაგ.: დაკკაზმავს ჳართი (ხევს.); ნაფურები დაზომა; ტაჭნები დაავ-
 სო (ქართლური); ქაღები დაათხოვა (კახური) და სხვ. ყველა ამ ზმნასთან და- სხვა
 ზმნისწინით შეიცვლება, თუკი ობიექტი მხოლოდობითში იქნება: გაამდიდრა, შემოსა, შეეკაზ-
 მეთ, გაზომა, აავსო, გაათხოვა და სხვ.

და- ზმნისწინის თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ ერთსა და იმავე ზმნაში მნიშვნე-
 ლობის შეუცვლელად იგი ზოგჯერ სხვა ზმნისწინს ინაცვლებს ხოლმე; მაგ.: განუკურდე-
 ბოდა ერსა მას (მთ 7, 28) - დაუკურდებოდა ერსა მას (იქვე, 9, 13); იხილეს იგი და გა-
 ნუკურდა (ლ 2, 48) - იხილეს რაე ეხე ერმან მან, დაუკურდა (მთ 9, 8); ივინი შეწუხ-
 ნეს ფრიად (მთ 17, 23) - დამწუხნეს ფრიად (C მთ 26, 22); ესმა რაე ეხე მას, შეწუხნა
 (იქვე, ლ 18, 23) - იგი დამწუხნა სიტყუასა მას ზედა (იქვე, მრკ 10, 22); გულნი მათნი შე-
 ხულეებულ იყვნეს (იქვე, 6, 52) - იყვნეს გულნი მათნი დახულეებულ (DE) და სხვ.

5. შთა- სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს ზმნისწინი წარმოშობით როუ-
 ლია, წარმომდგარია შე- და და- ზმნისწინის შეერთებით: შე+და→შდა→შთა→ჩა. ყველა ფონე-
 ტიკური პროცესი (ხმოვნის რედუქცია, ახიმილაცია, თანხმოვანთა შერწყმა) ძველ ქართულშივე
 ჩატარდა. ამ პერიოდის ძველში შთა- ზმნისწინი ჩა-ს სახითაც გვხვდება; მაგ.: ჩაევი-
 დეს მდინარედ წმიდად იორდანედ (კომ I, 4); აღილო ასტამი და უხეთქნა მას თავსა, და ჩა-
 ამვლა, და თაღლი ერთი დაუბუშტა (შუშ. VI₁₅ 16); „ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტპარად...“
 (იქვე, XIII 14-14). ამ სახით იგი მტკიცედ ფეხს იკიდებს მეთერთმეტე საუკუნიდან და საბო-
 ლოოდ ბატონდება კიდევ.

მას შემდეგ, რაც ჩა- მივიღეთ, შთა- ერთბაშად არ გამოსულა ხმარებიდან. ჩა-ს პარალე-
 ლურად იგი დასტურდება საშუალო საუკუნეების ძეგლებში; მაგ.: დააშთვეს და შთაავდეს
 ორშიში (სიბრძნე სიცრ. 139); ბუდესა... შთახდეს (ქილილა და დამ. 17); ბუდეთა შთახდე-
 ბოდა (იქვე, 30). შერ. ჩაივსო მხესა თანა (ვისრ. 25); ჩაჯდა ხომადესა (სიბრძნე სიცრ.
 12); მდინარესა ჩაყარა (იქვე, 10); ჩაიდვა ჩემზე ავი გული (რუსუდან. 1016).

ძველ სახით ეს ზმნისწინი უკანასკნელ ხანებამდისაც შემოგვრჩა რაც ზმნებსა და ნა-
 მნარ სახელებში; მაგ.: შთა-გონება, შთა-მომავლობა, შთა-ბეჭდილება, შთა-ნიჭული.

ძველ ქართულში კარგად იგრძნობდა შთა-ში შერწყმული ორივე ზმნისწინის (შე+და)

²⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 248-249.



მნიშვნელობა. შთა-ს ორმაგი მნიშვნელობა პქონდა: აღნიშნავდა როგორც **გარდაცემს** (შთა-ს იხე) ისე ზევიდან ქვევით მიმართულებას; მაგ.: შთაუტეონ კაცი საბლითა და **მარტოქვენი** (შთა-ს იგი (საბა ასურ. 17); შთაეკ ზნის (მთ 6, 30), განთხარეს და შთაუტევეს ცხედარი იგი (C მრკ 2, 4); არა-მე ორნივე ჯურღუმულსა შთაცევენ (ლ 6, 39)... შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯურღუმულსა (მთ 12, 11).

მიუხედავად იმისა, რომ ახალ ქართულში შთამ ფონეტიკური სახე მოლიანად შეიცვალა მან პირვანდელი მნიშვნელობა მაინც შეინარჩუნა. მართალია, ჩა- ამჟამად და- ზმნისწინის მა- გიერადაც იხმარება (დავიდა - ჩავიდა), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორივე ერთნაირ მნიშვნელობით იხმარება. და აღნიშნავს მოძრაობას ზევიდან ქვევით რისამე ზედაპირისაკენ, ჩა- კი გადმოგვემს ამავე მიმართულებას სიღრმისაკენ²⁵.

6. გარდა- ეს ზმნისწინიც ერთული შედგენილობისაა, შეიცავს **გა რე და-**ს: და-, როგორც დაეინახეთ, დამოუკიდებელ ზმნისწინადც გვხვდება, რომელსაც მნიშვნელობით აღ- უპირის- პირდება (და-ვიდა - აღ-ვიდა, და-ფრინდა - ა-ფრინდა). რ ნარჩენია რე ნაწილაკისა, გა კ ორივე ძირეული მახალაა, რაც სხვა ზმნისწინებსა და ზმნისართებშიც დასტურდება: გა-ნ, გა-მო, გა-რე, გა-რე-მე, გა-რ-ნა...

გარდა- და **გარდამო-** ზმნისწინში და-ს ბოლოკიდური ა მოვეკვეცა საშუალ საუკუნეებში ამ პერიოდის ძეგლებში გვხვდება შემთხვევები, როცა **გარდა-** ზმნისწინში ბოლოკიდურ ხმო- ვანთან ერთად აღარ გვხვდება რ თანხმოვანიც, ზოგჯერ კი რ შერჩენილია, მაგრამ დ არის დაკარგული. მაგალითები: გარდიარა (ამირანდარეჯ. 24), გარდიყარა (შან. I, 341), გარდივლელა (თიმს. 199), გარდივლო (სიბრძნე სიცრ. 153)... გარდმოკვიდიან (ვისრ. 124), გარდმოვიხვეწე (შან. I, 384), გარდმოხდა (რუსუდან. 217), გარდმოხუცდავს (თიმს. 157)... გადივლის (შან. I, 2246), გადიკადეს (ამირანდარეჯ. 149), გადურჩებოდა (სიბრძნე სიცრ. 109), გადვარდების (თე- მურხა I, 84)... გარმოხდის (შან. I, 230).

საერთოდ ამ პერიოდში ეს ზმნისწინი პარალელურად გვევლინება როგორც ძველი, ისე ახალი სახით.

თანამედროვე ქართულში **გადა-** დამკვიდრდა, ძველი ფორმით იგი შემოგერჩა მხოლოდ ზოგიერთ ზმნაში; მაგ.: **გარდა-იცვალა**, **გარდა-იქნა** და სხვ. ზოგ დიალექტში (მაგალითად ხევსურულსა და იმერულში) ამ ზმნისწინის შემოკვანახა, დ კი დაიკარგა; მაგ.: **გარმოკვიდა** (ხევს. მას. 141), **გარმაკვი** (იქვე, 231), **გარმაკვების** (იქვე, 126); **გარვეიდა**, **გარმვეიდა** (იმერ.).

ა) **გარდა-** ზმნისწინი აღნიშნავს მიმართულებას იქეთ, **გარდამო-** კი გადმოსცემს აქეთ მიმართულებას. ორივე შემთხვევაში ჩვეულებრივ იგულისხმება რაიმე დაბრკოლების გადა- ლახვა; მაგ.: **გარდააგორვა** ღლიდი იგი კარისა მიხვან საფლავისა (მთ 28, 2); **გარდავი-** და ნავით პეტრე (C მთ 14, 29)... უთარ **გარდამოვი** დოღეს იგინი მიერ მითი (იქვე, 17, 9); **გარდამოკვინა** იგი ჯუარისაგან (მრკ 15, 46).

ბ) ძველ ქართულში და ნაწილობრივ ახალ ქართულშიც **გარდამო-**, **გადმო-** ზევიდან ქვე- ვით მოძრაობას აღნიშნავს. ეს გასაკებობაა, რადგან ამ რთულ ზმნისწინში და-ც შულის, რომელიც დამოუკიდებლად სწორედ ამ მიმართულებას გადმოსცემს; მაგ.: და **გარდამოკვი-** და წკამა (C მთ 7, 25); წკამა ცით **გარდამოკესმა** (იქვე, მრკ 1, 11); იხილეთ... აღმავალნი და **გარდამოკვალნი** ძესა ზედა კაცისახა (ოთვ. 1, 51); ვარსკულაენი **გარდამოცევენ** ზუ- ცით (მთ 24, 29); რომელი **გარდამოვარდის** ტაბლისაგან მის მდიდრისახა (C ლ 16, 21).

გ) მეორეულია **გარდა-** ზმნისწინის ისეთი მნიშვნელობა, როცა იგი აღნიშნავს ერთი მდგომარეობის მეორით შეცვლას, სხვაგვარად გადაქცევას ან გადაადგილებას; მაგ.: სიხარუ- ლი მწუხარებად **გარდაიქცა** (შუშ. IV 4); სადა-იგი **გარდაიქცია** წყალი ღვინოდ (C ოთვ 4, 46); **გარდაიცვალ** ოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად (ოთვ. 5, 24); რაჟამს **გარდავ-** დგე მნობისაგან (ლ 16, 4); ცოლი ჩემი **გარდასრულ** არს დღეთა მისთა (ლ 1, 18); **გარ-** დაგუალე ამიერ და წარვიდეთ პურიასტანად (ოთვ. 7, 3).

²⁵ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 238.



7. უკუ, წიად. ძველ ქართულში იშვიათად ზოგიერთ ზმნასთან იხმარება უკუ ექვემდებარება (→უკმო-) და წიად – წიადმო- ზმნისწინები.

უკუ მომდინარეობს უკუნა-საგან (შდრ. უკუნა-სსკენულ, უკუნ, სა-უკუნ-ე), წიად კი იშლება ასე: წიად. წი იგივეა, რაც წინ (←წინა), წინა-ზე ზმნისართებშია, აღ- კი ცნობილი ზმნისწინია²⁶. ა. შანიძის აზრით, წიად- „წარმომდგარი ჩანს წყლის-ად-ისაგან, როგორც წი-სქელი წყლის-საფქველისაგან“²⁷.

ძე. ქართულში წიად გვევლინება აგრეთვე თანდებულად (მიცემითსა და ნათესაობითთან)²⁸. ზმნისართად იხმარება ჩვეულებრივ წყალთან (ზღვასთან, მდინარესთან) დაკავშირებით და ორივე შემთხვევაში აღნიშნავს გაღმა, გადაღმა მხარეს. ბერძნულ, სომხურ და რუსულ ოთხთავებში ამავე მნიშვნელობით წიად-ის შესატყვისად ზმნისართი იხმარება.

ძე. ქართულში წიად არსებითი სახელიცაა, რომლის მნიშვნელობაა კალთა, უბე²⁹; მაგ. საწყაული შეხრილი და დატენილი მოგეცეს წიადთა თქუენტა (ღ 6, 38). ბერძნულ, სომხურ და რუსულ ოთხთავებშიც ამ ადგილას ამავე მნიშვნელობით არსებითი სახელია ნახბარი: Мерю добрую, утрясенною, нагнетенною и переполненною отсыплют вам в л о н о ваше.

ძე. ქართულში უკუ || უკუნ უკუმო აღნიშნავდა მოქმედებას უკან არეში, ხოლო წიად- და წიადმო-, გადა- ზმნისწინის მსგავსად, დაბრკოლების გადაღალახვაზე მიუთითებდა, ოღონდ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, „წყალთან დაკავშირებით იხმარებოდა: წიად-ჭდა – წყალზე გადავიდა, წიადმო-ჭდა – წყალზე გადმოვიდა“³⁰. საამისო მაგალითებია: წიადვიდოდეს ზღუასა მას კაპარნაუმდ კერძო (C იოვ. 6, 17); და ვითარცა წიადჭდა კუალად... მიერ კერძო... (მრკ 5, 21); აღჭდა ნავსა მას და წიადმოჭდა (C მთ 9, 1)... მრავალნი მოწაფეთა მისთაგანი უკუნდგეს (C იოვ. 6, 66); უკუნიქც, ჩემგან, ეშმაკო (იქვე, მრკ 8, 33); უკუნ-სცა ვერცხლი იგი... (მთ 27, 3); ნუ უკუმოიქცევიან... აღუბად ხამოსლისა თუსისა (C მთ 24, 18); უკუმოიქცა (საბა ასურ. 10), შუშანიკ უკმოქხედნა ერსა მას (შუშ. IX 13-14); უკმოვიდეს (კიმ. I, 4) და სხვ.

უკუ- და წიად- ისე გამოვიდა ხმარებიდან, რომ თვით ძველ ქართულშივე ზმნისწინად ხმარების ზმნასთან ისე მტკიცედ არ იყო შეერთებული როგორც სხვა დანარჩენი ზმნისწინები, ხოლო წიად არც თანდებულად იყო საცხებით ჩამოყალიბებული.

²⁶ ჩვენ: თანდებული ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, გვ. 241.

²⁷ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 255.

²⁸ ჩვენ: თანდებული ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 242.

²⁹ ი. იშნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმეორია-ლექსიკონი, გვ. 753.

³⁰ ა. შანიძე, იქვე, გვ. 237.

საშუალო გვარის ზმნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართულში¹

საყოველთაოდ ცნობილი დაყოფის მიხედვით, ე.წ. საშუალო გვარის ზმნები /ან, რაც ფაქტობრივად იმაზე ნიშნავს, „სტატიკური გარდაუვალი ზმნები“ /1,052/ იყოფა ორ ჯგუფად: მდებარეობს და მდებარეობს სურათს გვიჩვენებს სწორედ ე.წ. მდებარეობს, რომელიც „დანაკლის ფორმათა შესავსებად თავისი ფუძის მოქმ. გვარის სათავისო ქცევის ფორმებს იყენებს, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებით: პირდაპირობიექტური პირის გამორიცხვით“ [2, 305].

ამრიგად, არსებობს ა. შანიძის მყარი დებულება, რომლის მიხედვითაც მდებარეობს ზმნები დანაკლის ფორმებს იესებენ მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმებით. ამით არის გამართლებული მათი სახელწოდებაც – მდებარეობს ზმნები და ამითვე უპირისპირდება ეს ზმნები ე.წ. მდებარეობს ზმნებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ზმნათა ანალიზი სხვაგვარ სურათს წარმოგვიდგენს, სახელდობრ, დიდისაგან დიდი უმრავლესობა ასეთი ზმნებისა დანაკლის ფორმებს მოქმედებითი გვარის ფორმების პარალელურად ვნებითი გვარის ფორმებთან იესებს, მაგ.:

ძაგძაგებს, იძაგძაგებს, იძაგძაგა, უძაგძაგია, მაგრამ:
 ძაგძაგებს, აძაგძაგდება, აძაგძაგდა, აძაგძაგებულა.
 წაკეწკავებს, იწკეწკავებს, იწკეწკავე, უწკეწკავეია, მაგრამ:
 წაკეწკავებს, აწკეწკავედება, აწკეწკავედა, აწკეწკავებულა.
 ცეკეკებს, იცეკეკებს, იცეკეკა, უცეკეკია, მაგრამ:
 ცეკეკებს, აცეკეკდება, აცეკეკდა, აცეკეკებულა.
 ღაპარაკობს, იღაპარაკებს, იღაპარაკა, უღაპარაკია, მაგრამ:
 ღაპარაკობს, აღაპარაკდება, აღაპარაკდა, აღაპარაკებულა.
 წრიაღებს, იწრიაღებს, იწრიაღა, უწრიაღია, მაგრამ:
 წრიაღებს, აწრიაღდება, აწრიაღდა, აწრიაღებულა.
 კნავის, იკნავლებს, იკნავლა, უკნაველია, მაგრამ:
 კნავის, აკნავლებს, აკნავლდა, აკნავლებულა.
 იყვს, იყვვებს, იყვია, უყვია, მაგრამ:
 იყვს, აყვვდება, აყვვდა, აყვვებულა.

ბუნებრივია, რომ ეს მოვლენა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართული ენის მკვლევართათვის: „არის შემთხვევები, რომ საშუალო ენაცვლება ვნებითს, ეს ხდება უსრული ასპექტის შემთხვევაში, მაგ., „ადულებს“ ზმნის საპირისპიროდ საშუალოც გვაქვს /„დულს“/ და ვნებითიც /„დულდება“/, მაგრამ ვნებითი გვარის ფორმათა ხმარება სრული ასპექტის შემთხვევებით ამოიწურება /ადულებს, ადულდა, ადულებულა და სხვა/; რაც შეეხება უსრულ ასპექტს, აქ ვნებითის მაგივრობას მდებარეობს იყვს: დულს, დულდა, დულდეს, იდულებს, იდულა, უდულა, წკეკება იდულა, იდულა და ბოლოს ადულდა“ [2, 305]. „სტატიკურ ერთპირიანს – იყვის, დულს, წულს, ჩივის, ცხოვრობს – საკუთარი ფუძისაგან ეწარმოება მხოლოდ აწმყო, ნამყო უსრული და კავშირებითი პირველი. ნამყო ძირითადში ნახევრები ნაკეთები გვაქვს. ეს ნახევრები ნაკეთები დინამიკური ზმნეებია: სახელდობრ, ესაა ან -დ-იანი ვნებითი /აყვვდა, დადულდა – აყვვდება, დადულდება ზმნებისა/, ან -თ-თავისიანი წარმოება გარდამავალი ზმნებისა /იცხოვრა, ინივლა – იცხოვრებს, ინივლებს ზმნებისა/, ანდა პარალელური წარმოება -დ-იანი ვნებითისა და -იანი გარდამავალი ზმნისა /შეწუხდა და იწუხა“ [1,072-073].

საესებოთი სამართლიანად გვეჩვენება ა. შანიძის მოსაზრება, რომ განსხვავება პასიურ და აქტიურ ფორმებს /კ. ი. -დ-იან წარმოებასა და ი-ან წარმოებას შორის ასპექტურია: ვნებითი, მართლაც, სრული ასპექტის გაგებას შეიცავს, -დ-იანი სათავისო კი – უსრულისა. ჩვენი მხრით ისიც შეიძლება დაემატოს, რომ გარკვეულ ზმნურ ფუძეებთან განსხვავება წმინდა

¹ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 267, 1986.



შინარსობრივი ან სტილურიც არის, კერძოდ, აქტივის ფორმებისაგან განსხვავებით ფორმები გარდაქცევას აღნიშნავს /მდრ: ავაზაკობს, იავაზაკებს, იავაზაკა, უავაზაკებს, უავაზაკობს მხრით, და გაავაზაკდება, გაავაზაკდა, გაავაზაკებულა. მორე მხრით, [3.13] ან სხვა მნიშვნელობისა, სხვა სტილური ელფური აქვს /მოქმედებს, იმოქმედებს // მოიმოქმედებს, იმოქმედა // მოიმოქმედა, უმოქმედა // მოუმოქმედებია და ამოქმედდება, ამოქმედდა, ამოქმედებულა; მტყველებს, იმტყველებს, იმტყვევდა, უმტყვევლია და ამტყვევდებოდა, ამტყვევდა, ამტყვევდებულა/. ისიც საფიქრებელია, რომ ზემოაღნიშნული პასიური ფორმები თავდაპირველად საშუალო გვარის „შემაჯავებელ“ ფორმებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ აწმომში სათანადო ფორმების უქონლობის გამო თვითონ „სესხულობდნენ“ საშუალო გვარის ზნადა იმავე ფუნქციის ფორმებს [3.13]. მაგრამ როგორადაც არ უნდა აიხსნას ზემოაღნიშნული პარალელური ფორმების არსებობა, ვფიქრობთ, მათი შეფასება მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: საშუალო გვარის ზნადა ერთი წყება თანამედროვე ქართულში დანაკლის ფორმებს იესებს ორგვარად: ან სათანადო მოქმედებითი გვარის დანი სათავისო ქცევის ფორმებით, ან სათანადო დანი ნების ფორმებით. ამ კონტრექსტში არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ამავე ზნების რელატიურ ფორმებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შესაბამისი აბსოლუტური ფორმებისაგან მხოლოდ სასხვისო ქცევის უნიშნით განსხვავდებიან /ძიგიძიგებს, - უძიგიძიგებს, კანკალებს - უკანკალებს, ფრთხილავს - უფრთხილავს, ჭიკტიკებს - უჭიკტიკებს.../, ნასესხებ მწკრივებში ოდენ პასიური ფორმები აქვთ, მაგ:

უვიზიზებს, აუვიზიზდება, აუვიზიზდა, ავიზიზებია
 უქოქოქობს, აუქოქოქდება, აუქოქოქოდა, აქოქოქობია
 უმოძრავებს, აუმოძრავდება, აუმოძრავდა, ამოძრავებია
 უმოქმედებს, აუმოქმედდება, აუმოქმედდა, ამოქმედებია
 უსრიალებს, გაუსრიალდება, გაუსრიალდა, გასრიალებია
 უმტყველებს, აუმტყვევდება, აუმტყვევდა, ამტყვევებია
 უყარაულებს, დაუყარაუდება, დაუყარაუდა, დაყარაულებია
 უბობოქრებს, აუბობოქრდება, აუბობოქრდა, აბობოქრებია
 უციმიციმებს, აუციმიციმდება, აუციმიციმდა, აციმიციმებია

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ასეთი წარმოების რელატიურ მედიაოქტიურ ზნებს სესხების უნარი არა აქვთ: „ერთპირიანი მედიაოქტივის ზნის ფუნქციისაგან მრავალ შემთხვევაში ერთპირიანი ფორმებიც გვაქვს: დღეს - უღღს, დის - ხდის, ვარს - უვარს, ხტის - უხტის, წუხს - უწუხს, ბუღობს - უბუღობს, გორავს - უგორავს, ფრინავს - უფრინავს, ტირის - უტირის, იცინის - უციინის და მისთ... ასეთ ზნადავან საზოგადოდ მხოლოდ ერთპირიანებს შეუძლიათ აწარმოონ სესხების გზით ყველა მწკრივის ფორმები, ორპირიანი ფორმების ხმარება კი ჩვეულებრივ აწმომის წრის მწკრივებით არის შემოფარგლული“ [2.475]. „მხოლოდ ნაკვთა აწმომის წყებაში“ [4.1428, 1501...] ხმარებულ ზნებად არის კვალიფიცირებული ეს ზნები „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“: ვფიქრობთ, რომ „გული უწუხს“ და „გული შეუწუხდა“ ერთმანეთის მიმართ ისეთსავე დამოკიდებულებასაა, როგორც „წუხს“ და „შეუწუხდა“ და ამ მხრით რელატიური მედიაოქტივი ზნები არაფრით არ განსხვავდებიან აბსოლუტური მედიაოქტივი ზნებისაგან. განსხვავება მხოლოდ ერთია: აბსოლუტური აგებულების მედიაოქტიური ზნები ნასესხებ მწკრივებში ან მხოლოდ აქტიურ ფორმებს ინაცვლებს, ან აქტიურთან ერთად პასიურსაც; რელატიური აგებულების მედიაოქტიური ზნები კი ნასესხებ მწკრივებში მხოლოდ პასიურ ფორმებს ინაცვლებენ და ა. შანიძის ტერმინები რომ ვიხმაროთ, მედიაოქტიური კი არ არიან, არამედ მხოლოდ მედიაპასიურნი. ბუნებრივია, რომ ა. შანიძისათვის, როგორც საშუალო გვარის ზნების მედიაოქტივ და მედიაპასივ ჯგუფებად დაყოფის მომხრისა და გამარტებლისათვის, არც იმას აქვს მნიშვნელობა, რომ ზოგი საშუალო გვარის ზნა ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე მწკრივში აქტიურ ფორმებსაც ინაცვლებს და პასიურსაც და არც იმას, რომ, მისი გაგებით, მედიაოქტიური ზნების რელატიური ფორმების შემავსებელი ფორმები მხოლოდ პასიურია, წინააღმდეგ შემთხვევაში ძირი ეთრება საშუალო გვარის ზნების დაყოფას მედიაოქტივ და მედიაპასივ ზნებად, მაგრამ სრულიად გაუგებარია, რატომ არ მიიჩნევა „უწუხს“ და „შეუწუხდა“... ერთმანეთის მონაცვლე ფორმებად „ქართული



ენის განმარტებით ლექსიკონში“, მაშინ, როდესაც „წუხს“ და „შეწუხდა“ ინტერპრეტაციაში ისეთივე კანონზომიერად მონაცვლე ფორმებია, როგორც „წუხს“ და „იწუხებდა“
 ასევე: საკმარისია, ე.წ. მედიოაქტივ ზმნებს აწმყოშივე მიმართულების აღსანიშნავად ზმნისწინა დაერთოს და მათ ნასესხებ მწკრივებში მხოლოდ პასიური ფორმები შეენაცვლებათ, მაგ.:

- ჯიროთობს, იჯიროთებს, იჯიროთა, უჯიროთია, მაგრამ: მიჯიროთობს, მიჯიროთდება, მიჯიროთდა, მიჯიროთებულა.
- ბანდალებს, იბანდალებს, იბანდალა, უბანდალია, მაგრამ: მიბანდალებს, მიბანდალდება, მიბანდალდა, მიბანდალებულა.
- წანწალებს, იწანწალებს, იწანწალა, უწანწალია, მაგრამ: მიწანწალებს, მიწანწალდება, მიწანწალდა, მიწანწალებულა.
- ბანცალებს, იბანცალებს, იბანცალა, უბანცალია, მაგრამ: მიბანცალებს, მიბანცალდება, მიბანცალდა, მიბანცალებულა.
- ცუნცულებს, იცუნცულებს, იცუნცულა, უცუნცულია, მაგრამ: მიცუნცულებს, მიცუნცულდება, მიცუნცულდა, მიცუნცულებულა.

როგორც ა. შანიძეს, ისე არნ. ჩიქობავას ე. წ. საშუალი გვარის /გარდაუვალი სტატეიური/ ზმნები გარდაუვალ ზმნებად მიიჩნით /„მედიოაქტივი ზმნები გარდაუვალია, პირდ. – ობიექტური მიმართების ფორმები აკლია და ამის მიხედვით არც სათანადო ფარდ აქვს პირდ. ობიექტის სახით“ [2,305]. „სტატეიური ზმნა ყველა გარდაუვალია“ [1,052], მაგრამ ქართულში არსებობს გარკვეული ტიპი ზმნებისა /თამაშობს, ფიქრობს, ცეკვავს, სწავლობს./, რომელთაც უღელმეტაბ ზუსტად ისეთივე აქვთ, როგორც „ცხოვრობს“, „მეფობს“, „ცოცხლობს“ და სხვა ამგვარ ზმნებს /შედრ. თამაშობს, თამაშებს, თამაშა, უთამაშა და ცხოვრობს, იცხოვრებს, იცხოვრა, უცხოვრია/.

რადგანაც ეს ზმნები გარდამავალია, ა. შანიძე საერთოდ არ თვლის მათ საშუალი გვარის ზმნებად. აგვარის საითი წყდება საპირისპირო ფორმათა პარალელური არსებობით კონვერსიის ნიადაგზე, გარდამავლობისა კი – პირდაპირი ობიექტის შეწყობის უნარით... „იქირობს“ გარდამავალია /„ქირობს ოთახს“, „იქირობა ოთახი“, მაგრამ ის არ არის გვარიანი, რადგანაც კონვერსიული ფორმები აკლია“ [2,311], ან „დანაკლის მწკრივთა ფორმების შეესხვის საკითხში მედიოაქტივის ფორმათა წარმოებას იზიარებს რამდენიმე გარდამავალი ზმნა, როგორცაა, ანგარიშობს... თაობს /← თავობს, მყოფ. ითავებს/, თაკილობს, ქირაობს, ხაზრობს /მყოფ. იხმარს/, ჩივის /მყოფ. იჩივებს/ და სხვ. შიგ ურევია საპირიანი ზმნებიც: სთავაზობს /მყოფ. უთავაზებს/, უჩივის /მყოფ. უჩივებს/ და სხვ. ზოგი ზმნა გარდაუვალადაც იხმარება და გარდამავალადაც, ასეთებია: ვალობს, ველოვობს, თამაშობს, ვლავლავობს, ნაწობს, ოცნებობს, ფიქრობს და სხვ. ეს ზმნები საკუთრივ მარტო I სერვის ფორმებს აწარმოებენ, დანარჩენებს კი ივსებენ ნასესხები ფორმებით. სესხებისას ისინი იმავე წესს ადგანან, რასაც გარდაუვალი მედიოაქტივი ზმნები; მაგ., ვთაობ, ვითავებ, ვითავე, ვითავებია; ვუჩივი, ვუჩივებ, ვუჩივებ, მიიხვლია და მისთ.“ [2,483].

როგორც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სათანადო ერთეულების გრამატიკული კვალიფიკაციიდან ჩანს, აქ ე. წ. „გარდაუვალი სტატეიური ზმნები“ აწმყოს წრის მწკრივებში გარდაუვალად არის მიჩნეული: „თამაშობს /იყრ. ითამაშა, უთამაშა/ გრდუვ. სტატ.“ [4,300]. განსაკუთრებით საინტერესოა ამ ზმნის გამოყენების სათესტრაციო მაგალითები: „და ბავშვებიც სწავლის შემდეგ თამაშობენ ძერა-ძერას /ი. დაით/, ბიჭები კოჭა თამაშობდნენ /თ. რახიკი“ [4,301]. მყოფადიდან დაწვებული, „თამაშობს“ ტიპის ზმნების მონაცვლე ფუძეები იმავე ლექსიკონში გარდამავლად არის ჩათვლილი: „ითამაშებს, /ითამაშა – უთამაშა/ გრდმ.“ [4,627]. თეორიული დასაბუთება ასეთი კვალიფიკაციისა შემდეგია: „შეიძლება წინადადებაში ორი სახელი უკავშირდებოდეს შინაარსით ზმნას /თან ისეთ ბრუნვაში იყოს დასმული, რომ პირის ნიშანი შეეფერებოდეს/, მაგრამ ზმნაში მხოლოდ ერთი პირი გვერდნეს, ზმნა ერთპირიანი იყოს /ბავშვი ბურთს თამაშობს-ს; ზმნაში ერთი პირიდა ჩანს, სუბიექტისა“ [1,057].

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ არაფერი იქნებოდა სათქმელი, რომ ერთი გარემოება არა: ამ დებულების მიხედვით, ზმნა ქართულში იმდენპირიანია, რამდენი პირიც არის ზმნაში წარმოდგენილი, მაგრამ ფაქტიური ვითარება ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს: ზმნაში და-



ლიან ხშირად არის წარმოდგენილი ერთი ნიშანი, მაგრამ ის ამის გამო არავის მტკიცებდა ერთპირიანად. ასეთ ზმნებს ხან ორპირიანად თვლიან /დგდა ზრდი-ს ბავშვს/ და სხვა ზმნეებს რიანად /ძიბა უზრდი-ს დღვას ბავშვს/. მეორეცა-და, რომ კიდევაც ჩავთვალოთ „თამაშობს“ ზმნა გარდაუვალად, როგორი კვალოფიკაცია უნდა მიეცეს ასეთ შემთხვევაში ამ ზმნასთან დაკავშირებულ მეორე სახელს? რა არის ის, თუ არა პირდაპირი ობიექტი?

ამრიგად, ა. შანიძეს „თამაშობს“ ტიპის ზმნები გარდამავალ ზმნებად მიანინა და ამიტომ მათ საშუალო გვარის ზმნებად არ თვლის, არნ. ნიქოზავა ამ ზმნებს „სტატიკურ გარდაუვალ ზმნებს“ უწოდებს, რაც გამორიცხავს ამ ზმნების გარდამავალად ჩათვლის შესაძლებლობას.

ფიქრობთ, რომ ზემოთ განხილული ზმნები, უდავოდ, გარდამავალია, სხვაგვარად ვაპირებდებოდა მათთან დაკავშირებული მეორე სახელის კვალიფიკაცია, მაგრამ, ამასთან ერთად, არც საშუალო გვარის ზმნების რიცხვიდან მათი ამორიცხვა უნდა იყოს გამართლებული, რადგანაც მათი უდვლილება ზუსტად იმეორებს საშუალო გვარის ზმნების უდვლილებას. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: თუ საშუალო გვარის ზმნა შეიძლება ნაკლებად მკვიდრად იტყვიან აქტიური ფორმები მთელი თავისი ატრიბუტებით: ბრუნვაცვადებადი სუბიექტით, სათავისო ქვეყის ო-ნიშნით მყოფდასა და II სერიაში, -გს დაბოლოებით წვეკრელში III პირის სუბიექტის მრავლობითის აღსანიშნავად, ინვერსიული ფორმებით III სერიაში, რატომ არ შეიძლება ამავე აქტიური ზმნების ანალოგიით იშვიათ შემთხვევაში მან პირდაპირი ობიექტიც გაიჩინოს? მით უმეტეს, რომ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს პირდაპირი ობიექტი არ არის ისეთი ძალისა და მნიშვნელობისა, როგორც მოქმედებითი გვარის ზმნების პირდაპირი ობიექტია და, ამასთან, მერყევი ბუნებისა: ხან იხმარება ასეთი ტიპის ზმნებთან და ხან არა.

რომ „თამაშობს“ ტიპის გარდამავალი ზმნების საშუალო გვარის ზმნების რიცხვიდან ამოღება ნაძალადეგია და არათანმიმდევრული, ამას ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ „სწავლობს“ ზმნა, რომელიც ა. შანიძის გრამატიკაში ერთ შემთხვევაში დახასიათებულია როგორც მხოლოდ გარდამავალი, როგორც ჩანს, უგვარო ზმნა [2,311]. სხვა შემთხვევაში იქვე, იმავე ნაშრომში, საშუალო, სახელდობრ, მედიოაქტივი ზმნის მავალითად არის დასახელებული [2,493].

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ:

1. ე.წ. საშუალო გვარის /„სტატიკური გარდაუვალი“/ ზმნების დიდხანს დიდი უმრავლესობა დანაკლის ფორმებს მოქმედებითი გვარის ფორმების პარალელურად ენებითი გვარის ფორმებითაც ივსებს. რაც შეეხება ამ ზმნების რელატიურ და ზმნისწინიან ფორმებს, იქ ნაკლებად მკვიდრების ერთადერთი შესაძლებლობა პასიური ფორმების გამოყენებაა /ეს უკანასკნელი გარემოება იმის მანქნეებელიც უნდა იყოს, რომ აქტიური და პასიური ფორმების პარალელური ხმარებისას ასეთი ზმნების აბსოლუტური აგებულების ფორმებში პასიური ფორმები ისეთივე სრულყოფილებიანი მონაცვლე ფუძეებია ამ ზმნებისათვის, როგორც აქტიური/. ამგვარად, არსებობს არა მარტო ორი ჯგუფი საშუალო გვარის ზმნებისა – მხოლოდ მედიოაქტივი ან მხოლოდ მედიოპასივი, არამედ მესამე ჯგუფიც – მედიოაქტივი და მედიოპასივი ერთსა და იმავე დროს.

2. საშუალო გვარის მედიოაქტივ ზმნებთან რიგ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტის ხმარება, საფიქრებელია, არც იმის საფუძველს იძლევა, რომ ისინი არ ჩავთვალოთ საშუალო გვარის ზმნებად და არც, მით უმეტეს, იმისას, რომ ეს ზმნები გარდაუვალად გამოვაცხადოთ: საშუალო გვარის ზმნები, ჩვეულებრივ, გარდაუვალია, მაგრამ იშვიათად, ნახესხები აქტიური ფორმების ანალოგიით, შეიძლება გარდამავალიც იყოს.

ლიტერატურა

1. არნ. ნიქოზავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქველ, ტ. I, თბილისი, 1950.
2. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1980.
3. მ. ტაბიძე, საშუალო გვარის ზმნებისათვის ქართულში, სტუდენტთა XXXV სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 1973.
4. ქველ, ტ. IV, თბილისი, 1955.

ენებითი ფორმათა მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები¹

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ენებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულია მრავალი საკითხი. ამათგან სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით ზოგი მოგვარებულია და ზოგიც მოსაგვარებელი რჩება. კერძოდ, ამასთან დაკავშირებული არაერთი ორთოგრაფიული და მორფოლოგიური საკითხი გადაწყვეტილია, რაც ასახულია „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონსა“ (1968 წ.) და „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ (1970 წ.). გადაწყვეტას ელის სინტაქსურ-სტილისტიკური ზოგი საკითხი ენებითი გვარის ზმნების გამოყენებისა.

თანამედროვე ქართულში ენებითი გვარისაა ყველა გარდაუვალი ზმნა, რომელსაც აწმყოში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად აქვს -ა (მხოლოდობითში), -ან (მრავლობითში). ზმნით გამოხატული შინაარსის მიუხედავად, მესამე სუბიექტური პირის ნიშანს წინ უსწრებს თემის ნიშანი, უმეტესად -ებ ან -ევ, იშვიათად -ობ, -ოფ, -ემ.

ყოველგვარ სუფიქსიანი ზმნა ენებითად ქცევისას -ებ სუფიქსიანი ხდება უმეტესად, მხოლოდ -ევ, ზოგჯერ -ობ, -ოფ, -ემ, შერჩება უცვლელად.

თუ მოქმედებითაა ა-შენ-ებ-ს, ენებითი იქნება შენ-დ-ებ-ა,

ხატ-ავ-ს	-	ი-ხატ-ებ-ა
დგ-ამ-ს	-	ი-დგ-მ-ებ-ა
ანგრ-ეფ-ს	-	ი-ნგრ-ეფ-ა
ა-ბ-ობ-ს	-	ი-ბ-ობ-ა
წარმო-შ-ობ-ს	-	წარმო-ი-შ-ობ-ა
ყოფ-ს	-	ი-ყოფ-ა
გამო-ი-ც-ემ-ს	-	გამო-ი-ც-ემ-ა და ა. შ.

ენებითადვე განიხილება უძველესი გარდაუვალი დინამიკური ზმნები თბ-ებ-ა ტიპისა მათი ფორმისა და ფუნქციის გამო შინაარსის მიუხედავად. ამათგანაა ნაწარმოები მოქმედებითის ფორმები: ა-თბ-ობ-ს, ა-დნ-ობ-ს, ა-ტკნ-ობ-ს და მისთ.

ამგვარად, ენებითი გვარის ზმნათა უმეტესობა დღეს -ებ-ა ან -ევ-ა, -ობ-ა, -ოფ-ა, -ემ-ა და ბოლოებიანია აწმყოს III პირში, ხოლო I-სა და II პირში - ებ-ი, -ეფ-ი, -ობ-ი, -ოფ-ი, -ემ-ი და ბოლოებიანი. მაშასადამე, ენებითებია ზმნათა ასეთი ფორმები:

უ-შენ-დ-ებ-ი	უ-იფარ-ებ-ი	უ-ეფარ-ებ-ი	უ-თბ-ებ-ი
შენ-დ-ებ-ი	ი-ფარ-ებ-ი	ე-ფარ-ებ-ი	თბ-ებ-ი
შენ-დ-ებ-ა	ი-ფარ-ებ-ა	ე-ფარ-ებ-ა	თბ-ებ-ა
უ-შენ-დ-ებ-ით	უ-ი-ფარ-ებ-ით	უ-ე-ფარ-ებ-ით	უ-თბ-ებ-ით
შენ-დ-ებ-ით	ი-ფარ-ებ-ით	ე-ფარ-ებ-ით	თბ-ებ-ით
შენ-დ-ებ-იან	ი-ფარ-ებ-იან	ე-ფარ-ებ-იან	თბ-ებ-იან

აგრეთვე ასეთები: ინგრევა (ენგრევა), ირღვევა (ერღვევა), ირკვევა (ერკვევა), იქცევა (ექცევა), ირევა (ერევა), იმღერევა (ემღერევა), ეტევა, ეწევა და სხვები, ასევე ი-ხრნ-ობ-ა (ეხრნობ) და მისთ.

ძველ ქართულში ყველა ასეთ შემთხვევაში სუბიექტური მესამე პირის ნიშნად, როგორც წესი, -ს გამოიყენებოდა. იყო: თბების, შენდების, იფარების, ეფარების, ინგრევის, იქცევის და ა. შ. ახალ სალიტერატურო ქართულში აწმყოს მესამე პირში მოგვეყვება ფუძის ბოლოკიდური -ი- და დამკვიდრდა ამგვარ ფორმებში სუბიექტური მესამე პირისათვის -ა ნიშანი (თბება, შენდება, იფარება, ეფარება, ინგრევა, ენგრევა, იქცევა...), ეს თავისებურება ძველი და ახალი ქართულის მოვლენათა ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნადაც იქცა.

თანამედროვე ქართულში არსებობს ენებითი გვარის ზმნათა ფორმები ძველი ქართული-

¹ ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, 1981.

ობიექტური მესამე პირის ნიშნის ხმარების სხვა წესებთან ერთად ეს წესიც დიდი ხანია დადგენილია², მაგრამ ამის მიუხედავად ჯერ კიდევ გვხვდება მისი დარღვევის შემთხვევები: „მაგდა დედას აღარ გატირებია იმ დილის შემდეგ“ (პრეს). უნდა იყოს: გა-ს-ტი-რ-ე-ბ-ი-ა. „გაზში სიარული გაუჭირდა. ფეხი მოყინოდა“ (პრეს). უნდა იყოს: მო-ჰ-ყ-ი-ნ-ო-დ-ა. „მურიას კუდი აებრინა, თვალები დაკუსოდა“ (პრეს). უნდა იყოს: და-ჰ-კ-უს-ო-დ-ა და ა. შ.

* * *

ენებით ვეარის ზმნების დრო-კილოთა სხვადასხვა ჯგუფის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ჯერ კიდევ არაა დაცული ერთგვარობა.

დრო-კილოთა I ჯგუფის ფორმების მართლწერის წესები იშვიათად ირღვევა, II და III ჯგუფის დრო-კილოთა ფორმების მართლწერისას კი დარღვევები ჯერ კიდევ შეინიშნება, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი ნორმები ამ საკითხებზე არსებობს და გამოქვეყნებულიცაა. კერძოდ, მიღებულია და თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გატარებული უნდა იყოს შემდეგი წესები:

I. დრო-კილოთა II ჯგუფის ფორმები **ი** და **ე** პრეფიქსიანი ენებითებისა მრავლობითი რიცხვის III პირში **ნენ** დაბოლოებიანი უნდა იყოს, თუმცა პირველსა და მეორე პირში ძველი ქართული ნორმისთვის დამახასიათებელი **ნ** ახალ სალიტერატურო ქართულში აღარ ჩანს³.

- ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმა იყო:
- დავიმალენით (კითხვაზე რა ვქენით? ნამყო ძირითადში)
- დაიმაღენით
- დაიმაღნეს

- ხოლო კავშირებით II-ში (კითხვაზე რა ვქნათ?) იყო ასეთი ნორმა:
- და-ვ-ი-მალ-ნ-ეთ
- და-ი-მალ-ნ-ეთ
- და-ი-მალ-ნ-ენ

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ნორმაა ასეთი ფორმები: ნამყო ძირითადში (კითხვაზე რა ვქენით?):

- | | |
|---------------|---------------|
| და-ვ-ი-მალ-ეთ | და-ვ-ე-მალ-ეთ |
| და-ი-მალ-ეთ | და-ე-მალ-ეთ |
| და-ი-მალ-ნენ | და-ე-მალ-ნენ |

- კავშირებით II-ში (კითხვაზე რა ვქნათ?):
- და-უ-ი-მალ-ო-თ
- და-ი-მალ-ო-თ
- და-ი-მალ-ო-ნ
- და-ე-ე-მალ-ო-თ
- და-ე-მალ-ო-თ
- და-ე-მალ-ო-ნ

ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები (დავიმალენით, დაიმაღენით... ნამყო ძირითადისა ან დავიმაღნეთ, დაიმაღნეთ, დაიმაღლენ კავშირებითი მფორისა და მათი მსგავსნი) აქა-იქ ახლაც იხენს ხოლმე თავს ნაბეჭდ პროდუქციაში, მაგრამ ისინი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით არქაიზმად ან დიალექტიზმად მიიჩნევა.

არასწორია ნამყო ძირითადის მრავლობითი რიცხვის მესამე პირში **დაიმაღლენ** ფორმის ადგილას **დაიმაღლენ** ფორმის გამოყენებაც, რადგანაც დადგენილია, რომ **დაიმაღლენ** ფორმა ძირითადია გაურცვლების მიხედვით. **-ნენ** დაბოლოება ერთადერთია ნამყო სრულისათვის სხვა

² თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 197-198.
³ იქვე, გვ. 185-187.

ტიის ვნებითუბშიც (გათბენ, აშენდენ, გაუთბენ, აუშენდენ...).

-ენ დაბოლოების აუცილებლობა ნამყო ძირითადის მრავლობითი რიცხვის მესამე პირში იწვევს ვვ სუფიქსიანი ზმნების ფორმებში სუფიქსისეული ვ- თანხმოვნის შენარჩუნებასაც,⁴ როცა ნამყო სრულში ასეთი ზმნები -ია დაბოლოებიანია.

აწყო:	ნამყო ძირითადი:	მრავლობითი რიცხვი:
ა-წ-ა-ა	ა-წ-ა-ა	ა-წ-ა-ენენ
ა-ბ-ა-ა	ა-ბ-ა-ა	ა-ბ-ა-ენენ
ა-რ-ა-ა	ა-რ-ა-ა	ა-რ-ა-ენენ

თანამედროვე ქართული მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაწერების ენაში ჯერ კიდევ გვხვდება ამგვარი დარღვევები: ვწვიენ, მიეწვიენ, მიეწვიენ, მოერეენ და მისთ. ამგვარი ფორმებიც დიალექტიზმად მიიჩნევა თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით.

* * *

კავშირებითი II-ის ფორმები ი- და ვ- პრეფიქსიანი ვნებითებისა, როგორც დასახელებული მაგალითებიდანაც გამომდინარე, -ო სუფიქსითაა ნაწარმოები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ნაცვლად ძველი ქართულის -ე სუფიქსით წარმოებისა. მაშასადამე, ნორმად მიიჩნევა ამგვარი ფორმები:

რა ექნათ?	და-ე-ი-ფარ-ო-თ	და-ე-ე-ფარ-ო-თ
	და-ი-ფარ-ო-თ	და-ე-ფარ-ო-თ
	და-ი-ფარ-ო-ნ	და-ე-ფარ-ო-ნ

„აოხრებული ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად ერთგულნი უნდა შემოიკრიბონ მეფის ტახტის გარშემო“ (პრეს).

გვეხდება ამ მხრივ დარღვევებიც: „შამაკაცებს ვურჩევთ ვწვიენონ სამომხმარებლო კოოპერაციის ბაზრობებს“ (პრეს).

ეწვიენონ ფორმაში II კავშირებითის ძველი და ახალი წარმოების აღრვეის შედეგი გაქვს. კავშირებითის ახლებური -ო მაწარმოებული კი არის, მაგრამ შემორჩენილია ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი -ნ- სუფიქსიც. ძველად იყო ე-წ-ი-ენ-ენ, ახლა უნდა იყოს ე-წ-ი-ენ-ენ კავშირებითი მგორისათვის.

* * *

2. დრო-კილოთა II ჯგუფში ფორმათა ერთნაირობას ვერ გვიჩვენებს -ვე სუფიქსიანი ზმნების ვნებითი გვარის ფორმები. კერძოდ, ნამყო ძირითადის ფორმებში -ვე სუფიქსისეული -ი(ე) ზოგ ზმნას შემორჩენილი აქვს, ზოგს არა. ამიტომ ერთმანეთის გვერდით გვაქვს ამგვარი ფორმები: ერთი მხრივ, ინგრევა (ენგრევა), იმტრევა (ემტრევა) და მისთანა ზმნებისათვის ნამყო ძირითადში:

მხ. რ. - დაინგრა (დაენგრა); დაიმტრა (დაემტრა) და მისთ.

მრ. რ. - დაინგრენ (დაენგრენ); დაიმტრენ (დაემტრენ).

მეორე მხრივ, ეწვეა, ეწვეა, ეწვეა, ეწვეა და მისთანა ზმნებისათვის ნამყო ძირითადის ფორმები: მიეწვი, ეწვი, მიეწვი, მოეწვი და მისთანები, რომელთა მრავლობითის ფორმებში, როგორც ითქვა, სუფიქსისეული -გ- თანხმოვანი აღდება (მი-ე-წ-ი-ენ-ენ, ე-წ-ი-ენ-ენ, მი-ე-წ-ი-ენ-ენ. მი-ე-რ-ი-ენ-ენ...).

-ვე სუფიქსიანი ზმნების ვნებითი გვარის ფორმებში იქნება შესაბამისად, ერთი მხრივ, დაინგრეს (დაენგრეს), დაიმტრეს (დაემტრეს), დაინგრენ (დაენგრენ); მეორე მხრივ, ეწვიოს, მიეწვიოს, მიეწვიოს, მოეწვიოს (მხ. რ.); ეწვიონ, მიეწვიონ, მიეწვიონ, მოეწვიონ და სხვ. (მრ. რ.).

-ვე სუფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოების ასეთ სხვადასხვაობას დრო-კილოთა II ჯგუფში მორფოლოგიური საფუძველი აქვს. არ შეიძლება დაინგრა ან დაიმტრა ფორმები ვნებითად ეხმარათ მოქმედებითან ფორმათა დამთხვევის გამო. ამიტომ

⁴ „ნორმები“, გვ. 207-210.



ენებითისთვის გვაქვს დანიშნა, დაიმტკრეა.⁵
 სადაც ფორმათა დამთხვევის საშიშროება არ არის, შეგვჩნა -ია დაბოლოვებისა, ფორმები: მიწვია, ეწვია, მოხვია და მისთ. ეს ერთ-ერთი გზა იყო მოქმედებით და ვნებებით გვარის ზმნათა გარჩევისა.

-ვე სუფიქსიან ზოგ ზმნას აღარ შერჩა ვნებითის წარმოების უნარი მოქმედებითან და მთხვევისა და მეორენიანი ფორმების უკონდობის გამო. ასეთ შემთხვევაში აღწერილობითი ვნებითი შეიცვალა მოსალოდნელი ორგანული წარმოება. ასეთი ზმნებია, მაგალითად, იკვებევს, იწვევს, სძლევს, ახვევს, არბევს, ამწვევს და სხვები, რომელთაცან გამოიკვლია, მოიწვია, დაიძლია, შეიძინია, დაირბია, დაიწვია... ფორმები მხოლოდ მოქმედებითის შინაარსისაა. სათანადო ვნებითები კი აღწერილობითად ეწარმოებათ და გვექნება მხოლოდ ასე გამოიკვლეულ იქნა, მოწვეულ იქნა, დაძლეულ იქნა, შეძინულ იქნა, დარბულ იქნა, დაწვეულ იქნა და სხვა. ცალკე საკითხია, რამდენად გამოდგება ეს ფორმები სხვადასხვაგვარ კონკრეტულ შემთხვევებში.

* * *

3. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ყველაზე ხშირად ირღვევა დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმების მართლწერა ვნებითი გვარის ზმნებისა. ამგვარი შემთხვევებისათვის დადგენილია რამდენიმე წესი:

ა. ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნები თურმეობით პირველში (კითხვაზე რა უქნია?) რთული შედგენილობისაა. კერძოდ, ნამყო დროის მიმდევობისა და მეშველი ზმნის აწმყოს ფორმისაგან შედგება (და-უბადებულ-ვარ, გა-უ-ზრდილ-ვარ) ძველ ქართულში პირველი პირის ნიშანი -ვ- მიმდევობის წინ არ იხმარებოდა, პირველი პირი აღინიშნებოდა მხოლოდ მეშველი ზმნით, რომელიც ყველა სხვა პირშიც სრულად იყო წარმოდგენილი, ე. ი. გვეჩინა აღწერილობითი წარმოება:

მხ. გაზრდილ ვარ	მრ. გაზრდილ ვართ
გაზრდილ ხარ	გაზრდილ ხართ
გაზრდილ არს	გაზრდილ არიან

II პირში მხოლოდ მართლწერა შეიცვალა, ერთმანეთს შეერწყა მიმდევობა და მეშველი ზმნა (გაზრდილხარ, გაზრდილხართ). I პირში კი მიმდევობის ფორმაში, ზმნისწინის შემდეგ ჩაერთო სუბიექტური პირის ნიშანი და დღეს სადავო აღარ არის ფორმები:

გავზრდილვარ, დაებადებულვარ,
 გავზრდილვართ, დაებადებულვართ.
 სუბიექტური პირველი პირის ნიშანი მეშველი ზმნის წინაც არის შენარჩუნებული.⁶

ბ. თურმეობითი მეორე (რა მექნა? კითხვაზე) ამგვარ ზმნებს ასე ეწარმოებათ: მიმდევობის ფუძეს დაერთვის მეშველი ზმნის ნამყო ძირითადის ფორმა:

გავზრდილიყავ	დაებადებულიყავ
გაზრდილიყავ	დაბადებულიყავ
გაზრდილიყო	დაბადებულიყო
გავზრდილიყავით	დაებადებულიყავით
გაზრდილიყავით	დაბადებულიყავით
გაზრდილიყვენ	დაებადებულიყვენ

ორგანულ წარმოებაზე გადასვლა აქ დამთავრებულია იმით, რომ მეშველ ზმნაში სუბიექტური პირველი პირის ნიშანი აღარ იხმარება; იგი მიმდევობის წინ ჩაერთო იმგვარადვე, როგორც თურმეობით პირველში. ამიტომ ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნებისათვის თურმეობით II-ში სწორი ფორმებია:

გავზრდილიყავ, გაემთბარიყავ, ავშენებულიყავ და მისთ.⁷

⁵ „ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“, I, 1970, გვ. 207-210.

⁶ იქვე, გვ. 211-213.

⁷ იქვე.



გ. ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების I და II თურმეობითის ფორმათა მართლწერის წესების პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს უკვე ნათქვამი ობიექტური მესამე პირის ზმნის მართლწერის შესახებ: რაკი ამ ზმნებს ამ ფორმებში ხმოვანთავსართები აღარ უნანთ, აუცილებელი ხდება მესამე ობიექტური პირის ნიშნის წარმოდგენა, თუ ზმნის დასაწყისი თანხმოვანი არ უშლის ხელს; ასე:

აკიდეია, მიკვებებია, წახწელობია, დასჯახებია, გასტირებია და ა. შ.

დ. ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების I თურმეობითის ფორმებიც ერთპირიანთა მსგავსად იწარმოება ნაწილობრივად. ამ შემთხვევაშიც საღიტიერატურო ქართულის დღევანდელი სისტემით ეს ფორმები მუშველ-ზმნიანია და კანონიერია I პირისათვის ისეთი ფორმები, რომლებშიც ვარ მუშველი ზმნაც მოიპოვება და ვ პრეფიქსიც: მოკფურებევარ, მიგვებებევარ, მოკკლომივიარ, შევსპულელებევარ და ა. შ. ოღონდ ამგვარ ფორმებში, თუმცა, საერთოდ, სავალდებულოა ობიექტური მესამე პირის პ-ან ს-პრეფიქსის ხმარება, დასაშვებადაა მინწეული შემდეგ: როცა ზმნის ფორმაში III ირბ ობიექტურ პირთან ერთად I სუბიექტური პირია წარმოდგენილი, პირველი სუბიექტური პირის ვ-ნიშნის შემდეგ პ-და ს-პრეფიქსები აღარ იხმარებოლეს.

ამგვარად, მიგვებებევარ და მიგვებებევარ თანაბარუფლებიან პარადლექური ფორმებია.

ასევე მოკფურებევარ და მოკფურებევარ

მოკკლომივიარ და მოკკლომივიარ

შევსპულელებევარ და შევსპულელებევარ და მისთანები.⁸

ე. ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების I თურმეობითის ფორმათა საწარმოებლად მუშველი ზმნა ერთვის არა მიმღობის ფუტეს, არამედ ზმნურ ფუტეს: მო-ვ-ფურებ-ი-ვარ, შე-ვ-პ-ულელებ-ი-ვარ და ა. შ.

ზოგჯერ თანამედროვე ქართულში გვხვდება დარღვევები ამ წესისა: ერთპირიანთა მსგავსად ამოსავად ფუტედ ასეთ ზმნებთანაც მცდარად მიმღობის ფუტეა მინწეული. შეგვხვდება მო-ვ-ფურებულ-ვარ, შე-ვ-პულელებულ-ვარ და მისთანები, რომლებიც დიალექტიზმად უნდა ჩაითვალოს.

3. ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნების II თურმეობითის ფორმათა წარმოება უფრო მეტადაა განსხვავებული ერთპირიანი ზმნების წარმოებისაგან. ჯერ ერთი, აქაც ამოსავალია არა მიმღობის ფუტე, არამედ ზმნისა, რომელსაც ერთპირიანთა -იფე მუშველი ზმნის მაგივრად აქ ერთვის -იღ-ი დაბოლოება. ამგვარი წარმოება გაბატონებულია თანამედროვე საღიტიერატურო ქართულში და ისტორიული თვალსაზრისითაც გამართლებულია. ამიტომ უნდა იხმარებოდეს მხოლოდ ამგვარი ფორმები:

რა მექნა? - მოკფურებოდი, მოკკლომიოდი, შევსპულელებოდი

მოკფურებოდი, მოკკლომიოდი, შესპულელებოდი

მოკფურებოდა, მოკკლომიოდა, შესპულელებოდა.⁹

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ხშირია ამგვარ ფორმათა მართლწარმოებისა და მართლწერის დარღვევის შემთხვევები. კერძოდ, ერთი მხრივ, გვხვდება -იღ-ი (-იღ-ა) წარმოების მაგივრად -იფე-ი (-იფ-ი) მუშველ-ზმნიანი ფორმები: დამალევიყო, დასდგომიყო, გასწეწიყო და მისთ. მეორე მხრივ, ერთპირიანთა მსგავსად ამ ნაკეთის ფორმა გვხვდება მიმღობის ფუტეზე დართული მუშველი ზმნით: შეხვედრიდიყო, მიგვებებუდიყო, ზიარებუდიყო, შეერთებუდიყო და სხვა (ნაცვლად ფორმებისა: შეხვედროდა, მიკვებებოდა, ზიარებოდა, შეერთებოდა).

ის ამ მუშაობაში იყო, როდესაც გლახამ მიახწია დარიალის ციხეს, სადაც უნდა შეერთებუდიყო სხვა მგზავრებს და ჯარს" (ა. ვახტ).

ამგვარი მოვლენები უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ ნაწერებში შეინიშნება, რადგან აღმოსავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. თანამედროვე საღიტიერატურო ენის ნორმა ისტორიულად სწორი ფორმის დაკანონებას მოითხოვს.

ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნებისათვის თურმეობითი II-ის კანონიერი ფორმებია შემდეგი: რა მექნა?

ვ-ურ-თ-ღ-ე-ბ-ი- (მე მას) ზმნისთვის:

⁸ „ნორმები“, გვ. 201.

⁹ იქვე, გვ. 214.

შევერთებოდი
შეერთებოდი
შეერთებოდა

უხედ-ები (მე მას) ზმნისთვის:

შეუხედროდი
შეუხედროდი
შეუხედროდა

მი-უ-ე-გებ-ები (მე მას) ზმნისთვის:

მიუგებოდი
მიუგებოდი
მიუგებოდა

ე-ე-ზიარ-ები (მე მას. მონაწილე, მოზიარე გავხდები) ზმნისთვის:

ეზიარებოდი
ეზიარებოდი
ეზიარებოდა

მაგრამ ამ ზმნის ფორმათა მართლწერისათვის აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ ეს ჩვეულებრივად უ ნიშნის ორპირიანი ზმნა ერთპირიანის გაგებით გამოიყენება (როცა ნიშნავს: ზიარებას მიიღებს). ასეთ შემთხვევაში დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები მას ამგვარი ექნება:

რა მიქნია? – ეზიარებულვარ, ზიარებულხარ, ზიარებულა.

რა შექნა? – ეზიარებულდიყავ, ზიარებულდიყავ, ზიარებულდიყო.

ამ ზმნის მსგავსად შეიძლება აქვე აღინიშნოს ზოგი ცალკეული შემთხვევა:

1. ერთობა ზმნას ფორმა ორპირიანი ვნებითი გვარის ზმნის მსგავსი ექნეს, მაგრამ მხოლოდ ერთი პირის გაგებას შეიცავს. I და II ჯგუფის დრო-კილოთა ფორმებში არ ჩანს განსხვავება ჩვეულებრივი ორპირიანი ვნებითის ფორმებისაგან.

მხ. – ერთობა, გავერთობა, გავერთო, გავერთოს (როგორც ვთმობა, დავეთმობა, დავეთმო, დავეთმოს).

მრ. – ერთობიან, გავერთობიან, გავერთნენ, გავერთონ (როგორც ვთმობიან, დავეთმობიან, დავეთმუნენ, დავეთმონ).

დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმებში გამოჩნდება ერთობა ზმნის ერთპირიანობა. I თურმეობითში, რა უქნია? კითხვაზე გვექნება:

გავრთულვარ	გავრთულვართ
გართულხარ	გართულხართ
გართულა	გართულან

II თურმეობითში (რა ექნა? კითხვაზე):

გავრთულიყავ	გავრთულიყავით
გართულიყავ	გართულიყავით
გართულიყო	გართულიყვნენ

გავხედება მიმდევობის სხვა ფუძეზე დამყარებული ფორმებიც ამ ზმნისა მნიშვნელობის ერთგვარ გადახრით:

I თურმეობითში: გავრთობილვარ II თურმეობითში: გავრთობილდიყავ
გართობილხარ გართობილდიყავ
გართობილა გართობილდიყო

ამგვარი გამოყენებაც დიალექტიზმად უნდა ჩაითვალოს.

2. აქრობს მოქმედებითი გვარის ზმნის შესაბამისად ქართულში არის ქრება ვნებითი გვარის ზმნა. ისტორიულად შეიძლება იყარაუდებოდა ამ ზმნაში უ თანხმოვნის არსებობა (რაც



ზოგ შემთხვევაში გამოიხატება), მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივად მდებარის ფორმაში სადმე და მით უმეტეს არც ვნებითის ფორმაში არაა მართებული ვ თანხმობის გამოჩენა. შეცდომაა **ქვრება, ჩაუქვრია** ფორმები, რომლებიც არც თუ იშვიათად იხმარება მოსწავლეთა და აბიტურიენტთა ნაწერებში, ზოგჯერ ნაბეჭდ პროდუქციაშიც. **ქვრები დააქვრეთ**, ეს იყო პირველი სიტყვა სტუმრისა, ან „შუქი რაღად გინდა, დააქვრეთ ჭაღები“ (კ. გამსახ.); „მაშინ **ჩაქვრა** შენში ადამიანის ხული“ (პრეს.).

აქრობს-ქრება ზმნათა ფორმები სხვადასხვა ჯგუფის დრო-კილოებში იქნება: აქრობს, ჩა-აქრო, ჩაუქრია.
ქრება, ჩაქრა, ჩააქრეს, ჩამქრალა, ჩამქრალიყო...

* * *

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ვნებითი გვარის ფორმათა გამოყენების შეზღუდვებობა სულ უფრო და უფრო იზრდება. ამის გამო ამგვარი ფორმების მართლწერაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელი ხდება. ყველა განსაკუთრებულ შემთხვევაში გარკვევისათვის დაგვეხმარება „ქართული ენის ორთოგრაფიული დექსიკონი“.



ქართული ზმნის ნაკეთულთა დაჯგუფების პრინციპისათვის¹

მოხსენების საგანია თურმობითის ჯგუფის საითხი ქართულში. ამ ჯგუფის გამოყოფა დრო-კილოთა სისტემაში ნ. მარმა დანერგა. 1908 წ. გამოსულ ცნობილ შრომაში: „ძირითადი ტაბულები ძველი ქართული ენის გრამატიკისა“, ნ. მარი განახსებავენ სუბიექტურსა და ობიექტურ წყობას (აბსოლუტური და მიმართებითი ფორმებით), გამოყოფს სამ უღვლელებას (ვაქე- ვკალ- ვკრიბე...), მოქმედებითსა და ენებითს გვარს, მოქმედებითში - ხუთ კლასსა და ენებითში - ოთხ კლასს (სათანადო ჯიშებითა ანუ ქცევებით). ზმნა ნაუღვლეობა ცხრა დროში, რომელთაც ავტორი სამ ჯგუფში აერთიანებს, პირველში შედის აწმყო (ვაქე), ნამყო უსრული I (ვაქედი) და II (ნატვრითი - ვაქედე). მეორე ჯგუფში შეტანილია: აორისტი (ვაქე) და კავშირებითი (ცოცარატ. ვაქო). მესამე ჯგუფს ქმნის: ნამყო სრული (წიგნური მი- ქიეს და ხალხური [вълнар.] მიქია), წინარეწარსული (მეყო), ნამყო კავშირებითი (прощ. ცოცარატ. მექოს).

რაიმე განმარტება ამ დაჯგუფებას არ ახლავს, მაგრამ ისედაც ცხადია, რომ პირველი ორი ჯგუფი გამოყოფილია იმის მიხედვით, თუ რა გვაქვს ამოხველად - აწმყო თუ აორისტი, დაჯგუფების საფუძველია **საწარმოებელ ფუძეთა სხვაობა**. ვაქებ და მისგან ნაწარმოები ვაქებდი ვაქებდე, ერთის მხრით, ვაქე და ვაქო, მეორე მხრით, იმავე წესით აქვს ნ. მარს გაერთიანებული, როგორც, ვთქვათ, ლათინური laudo (ვაქებ), laudabam (ვაქებდი), laudabo (შევაქებ) და laudavi (შევაქე), laudaveram (უკვე შევაქე), laudavero (მყოფ. II). აქაც ორი ჯგუფი გვაქვს (აწმყოსი და ნამყოსი) და ნ. მარის სქემაშიც, ოღონდ ერთი გარემოება იქცევის ურადლებას: ლათინურში თავმოყრილია მხოლოდ თხრობითი კილოს დროები, მარისეულ სქემაში ნატვრითი (желат. ვაქედე) და კავშირებითი (ცოცარატ. ვაქო) შემოერთა თხრობითი კილოს დროებს: ნატვრითი და პირობითი ნ. მარს ცალკე არა აქვს გამოყოფილი.

ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკებში ზმნის ნაკეთებს (დროებს) ახასიათებდნენ ფუნქციის მიხედვით (და არა წარმოებისა კვალად!); ფუნქციები ერთსა და იმავე ერთეულს განსხვავებული შეიძლება აქონდეს (მდრ. „მოგეწერა“ ფრაზაში: შენ რომ მოგეწერა, დავითი უკვე წასული იყო - შენ რომ მოგეწერა, დავითი დაგხვდებოდა...); ქართულსა და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენებში საუღვლეებელ ნაკეთებში დროის გარდა სხვადასხვა მოდალობა შეიძლება იყოს აღნიშნული; ამიტომ ფუნქციათა მიხედვით ნაკეთების კვლითიკაცია და დაჯგუფება რთულდება; მასთან ფუნქციური თვალსაზრისით ნატვრითი და პირობითი ცალკე უნდა გამოიყოს.

ზემოხსენებულ გარემოებას არც თუ მცირე წვლილი უდევს ზმნის უღვლელების სქემათა იმ სირთულეში, პრაქტიკულ გრამატიკებში რომ გვაქვს. ორიოდ ნიშნით:

ანტონის „ქართული ღრამატიკა“ სამ კილოს განახსებავენ: თხრობითს (სახლდრებითი სქესი), ბრძანებითსა და ნატვრითს (საწადისი სქესი). თხრობითს კილოში გვაქვს 6 დრო: აწმყო (შეგკრავ), ნამყო უსრული (შეგკრავდი), ნამყო სრული (შეგკარ), ნამყო უსრულესი (შემიკრავს), ნამყო უსრულესი (შემიკრა), მყოლობადი (შეგკრა). ნატვრითს კილოში გარჩეულია აწმყო და მყოლობადი (ვაშათუ შეგკრავდი), ნამყო უსრული (ვაშათუ შეგკრავდი), ნამყო სრული და უსრულესი (ვაშათუ შემიკრავს), ნამყო უსრულესი (ვაშათუ შემიკრა); ერთი სიტყვით, ნატვრითი იმავე ერთეულებს შეიცავს, რასაც თხრობითი, ოღონდ დავრთვის „ნეტავი“ (ვაშათუ). გარდა ამისა, სახიარო ერთეულები აქვს აწმყოსა და მყოფადს, ნამყო სრულსა და უსრულესს. ტერმინები: „ნამყო სრული“, „ნამყო უსრულესი“, „ნამყო უსრულესი“ გავარძნობინებენ, რამდენად ნებისმიერი და ხელუწნურია სათანადო ნაკეთების (შეგკარ, შემიკრავს, შემიკრა) დაახასიათება ფუნქციის მიხედვით, ამასვე მოწმობს ერთი და იმავე ნაკეთის შეტანა თხრობითს კილოშიც და ნატვრითშიც.

ზოგი ავტორი ცდილობდა არ გაემყოფინა ერთი და იგივე ნაკეთი თხრობითსა და ნატვრითს კილოში, ნაკეთების წყება ერთი კილოსთვის განეყოფინებინა, სხვა კიდევ - მყორ-

¹ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIII, 1962.



სათვის. ახვა ხიდ. ხუნდაძესთან, იას. ნიკოლაიშვილთან... ხიდ. ხუნდაძეცა და იას. ნიკოლაიშვილი იშვილიც გამოყოფენ თხრობითს, ნატვრითსა და პირობითს კილოს (გარდა ბრძანებებისა) რომელიც არსებითად ვეკლებან ერთი და იმავე სახითა გვაქვს).

ხიდ. ხუნდაძის სქემა²;

თხრობითი („მოთხრობითი“) კილო

აწმყო: ვწერ

ნამყო I: ვწვრდი

ნამყო II: ვწერე

ნამყო III: მიწერია

მყოფადი: დავწერ

ნატვრითი კილო

აწმყო: ვსწერდე

ნამყო I: მეწერა

ნამყო II: მეწეროს

მყოფადი I: ვსწერდე (!)

მყოფადი II: ვსწერო

პირობითი კილო

ვსწერდი

ეს ორი სქემა ერთმანეთს ძალიან პგავს: იას. ნიკოლაიშვილის სქემაში იგივე ერთეულებია, რაც ხიდ. ხუნდაძისაში, ოღონდ თხრობითში მყოფადი არა ჩანს, ნატვრითში ნამყო უსრული და აწმყო ერთი და იგივე გამოდის (ისევე, როგორც ხიდ. ხუნდაძესთან მყოფადი I და აწმყო). ხიდ. ხუნდაძე სამ ნამყოსა და ორ მყოფადს განარჩევს და რიგის ნომრებს უსხამს, იას. ნიკოლაიშვილი - კვალიფიკაციას იძლევა (ნამყო უსრული, სრული, უსრულესი, უუსრულესი; მატეად „ნამყოც“ შეუტანია; „მყოფადი სრული“ და „მყოფადი მრავალგზისიც“ გამოუყვია... კარგი ექსპერიმენტია იმის ნათელსაყოფად, თუ რა ხიძნელე ახლავს უღვლილების ნაკეთის დახასიათებას ფუნქციათა მიხედვით. თავისებური და ძალზე რთული სქემა გამოუდის დ. ყიფიანს. მის გრამატიკაში თხრობითი კილოსათვის 9 დროა ნაჩვენები, პირობითი კილოსათვის - 5 და 6; სულ ოცი. დროში ირევა სახე (სრული, უსრული). (ეს მით უფრო მიულოდნელია, რომ დიშ. ყიფიანმა აბსოლუტური და შიმართებითი ფორმები განასხვავა ქართული ზმნის უღვლილებაში საკმაო სიზუსტით). თავისებურ ტერმინებს ხმარობს დ. ყიფიანი დროთა აღსანიშნავად: ახლანდელი დრო (აწმყოს ბადლად), გავლილი დრო (=ნამყო), დრო მომავალი (ქვესახეებით: მყოობადი, გასათაყებელი).

1. თხრობითი კილო („დახრა წვეწებითი“)⁴

1. დრო ახლანდელი: ვაკეთებ
2. დრო გავლილი უსრული: ვაკეთებდი
3. დრო გავლილი სრული: ვაკეთებდი
4. დრო გავლილი უსრულესი: ვაკეთე
5. დრო გავლილი უსრულესი სარწმუნო: ვაკეთე
6. დრო გავლილი - ბერძნული აორისტი: მიკეთებია
7. დრო გავლილი - აორისტი გათავებული: გამიკეთებია
8. დრო მომავალი მყოობადი მარტივი: „ამ

იას. ნიკოლაიშვილის სქემა³;

თხრობითი („მოთხრობითი“) კილო

აწმყო: ვაკეთებ

ნამყო უსრული: ვაკეთებდი

ნამყო სრული: ვაკეთე

ნამყო უსრულესი: მიკეთებია

ნამყო უუსრულესი: მიკეთებია

ნატვრითი კილო

აწმყო: (ნეტა) ვაკეთებდე

ნამყო (!): (ნეტა) მიკეთებია

ნამყო უსრული: (ნეტა) ვაკეთებდე(!)

მყოფადი სრული: (უნდა) ვაკეთო

მყოფადი მრავალგზისი: მიკეთებოს

პირობითი კილო

ნამყო: ვაკეთებდი

II. პირობითი კილო („დახრა პირობითი“)

1. დრო ახლანდელი უსრული: ვაკეთებდე
 2. დრო ახლანდელი სრული: ვაკეთებდე
 3. დრო გავლილი უსრული: მიკეთებინა
 4. დრო გავლილი სრული: გამიკეთებინა
 5. დრო მომავალი მარტივი: ვაკეთო
- III. ნატვრითი კილო („დახრა ნატვრითი“)
1. დრო ახლანდელი უსრული: მაკეთებინოს(!?)
 2. დრო ახლანდელი სრული: გამიკეთებინოს(!?)
 3. დრო გავლილი უსრული: მიკეთებინოს

² სილ. ხუნდაძე. ქართული გრამატიკა, 1907, გვ. 61-65.

³ იას. ნიკოლაიშვილი, ქართული მოკლე გრამატიკა, 1917, გვ. 34-37.

⁴ დიშ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, სანქტ-პეტერბურგი, 1882, გვ. 87 და შემდეგ.



ზმნას ეს მარტივი სახე არა აქვს; ამის მაგვირვად იხმარება სახე ახლანდელი: ვაკეთებ⁴
 9. დრო მომავალი გასათავებელი: ვაკეთებთებ

4. დრო გავლილი სრული: ვაჭყალებოდა
 ნოს
 5. დრო მომავალი მარტივი: მაკეთებინა
 6. დრო მომავალი გათავებელი: ვაკეთებთებინა

სრული სახეობის ფორმები ცალკე დროებად არის გამოყოფილი. ეს ფორმები რომ გამევაკლოთ, თხრობითს კილოში მივიღებთ 5 დროს (ვაკეთებ, ვაკეთებდი, ვაკეთებდვ, მიკეთებია, ვაკეთებთებ), პირობითში – 3-ს (ვაკეთებდვ, მეკეთებინა, ვაკეთო), ნატვრითში ნამდვილად მხოლოდ ერთი დაგვრჩებოდა (მეკეთებინოს); მაკეთებინოს (აგრეთვე პრევერბიანი: ვამაკეთებინოს), მაკეთებინა (გავაკეთებინა) კაუზატივის ნაკეთებია და აქ უადგილია. როგორც ჩანს, ნატვრით კილოში ეს ნაკეთები მოექცა. ალბათ, იმიტომ, რომ ითქმის: „ნეტავ მაკეთებინა“, „ნეტავ მაკეთებინოს“. საკონტექსტო ფუნქცია რომ ნაკეთების დასახასიათებლად არ გამოდგება, ამას ეს შემთხვევაც მოწმობს.

ცალკე განხილვას მოითხოვს დ. ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკა. ავტორის მიერ თხრობითს კილოში ხუთი დროა ნაჩვენები, პირობითში – ოთხი, სახელდობრ:

- „სახლდებრებით“ თხრობითი კილო:⁵
1. „აწმდგომი“ (აწმყო): ვსწერ, ვაპობ, ვსთლი
 2. „ქმნილი უსრული“ (ნამყო უსრული): ვსწერდი, ვაპობდი, ვსთლიდი
 3. „ქმნილი სრული“ (ნამყო სრული): ვსწერვ, ვაპვ, ვსთლავ
 4. ქმნილი უუსრულესი (ნამყო წინარეწარსული): მიწერია, მიპია, მითლია
 5. ქმნადი (მყოფადი): დავსწერ, დავაპობ, დავსთლი

- თხრობითი (პირობითი) კილო
1. „აწმდგომი“ (აწმყო): ვსწერდვ, ვაპობდვ, ვსთლიდვ
 2. ქმნილი სრული: მეწერა, მეპო, მეთლია
 3. ქმნილი უუსრულესი: მეწეროს, მეპოს, მეთლოს
 4. ქმნადი: ვსწერო, ვთალო, ვაპო

დ. ჩუბინაშვილი განმარტავს: აწმყოსა და მყოფადს ერთი და იგივე სახე აქვთ, ოღონდ მყოფადს თავისი თანდებული ერთვისო: ვსწერ, ვაპობ, ვსთლი – დავსწერ, დავაპობ, დავსთლი⁶.

პირობითს კილოში დ. ჩუბინაშვილს სამივე კავშირებითი მოუქცევია და თურმეობითი II. აღსანიშნავია, რომ იქვე პირის ნიშნებთან დაკავშირებით დ. ჩუბინაშვილი სქემას იძლევა და ამ სქემაში თხრობითის გარდა კავშირებითის ნაკეთები შეუტანია:

1. აწმდგომი (აწმყო): ვსწერ
2. ქმნილი უსრული: ვსწერდი
3. აწმდგომი თუობისა („აწმყო პირობითი“): ვსწერდვ
4. ქმნილი სრული: ვსწერე
5. ქმნადი თუობითი: ვსწერო
6. ქმნილი სრული თუობითი: მეწერა

სქემა იმ რიგისად გამოიყურება, როგორადაც ახლა ვალაგებთ: ვწერ – ვწერდი – ვწერდვ – ვწერე – ვწერო – მეწერა (გვაკლია მყოფადი, რომელსაც დ. ჩუბინაშვილის თქმით იგივე სახე აქვს, რაც აწმყოს, თურმეობითი პირველი და კავშირებითი III).

უფრო საყურადღებოა, რომ დ. ჩუბინაშვილს ნაჩვენები აქვს, რა ფუძეც რისგან იწარმოება (ცალკე თავად გამოყოფილია „წარმოება დროთა ორთა პირველთა მიმოხვრაში“).

აქ დ. ჩუბინაშვილი ჩამოთვლის, აწმყოსაგან რაც იწარმოება და ნამყო ძირითადისაგან (წვეტილისაგან) რაც იწარმოება:

⁵ დაე. ჩუბინოვი, ქართული გრამატიკა, ს. პეტერბურდი, 1887 (წამდგარებულია „ქართულ-რუსულ დიქციონარში“), გვ. XIV (§ 24).
⁶ იქვე § 24.1. შენიშვ. 1.

1. აწმოსაგან იწარმოება („აწმდგომის დროსაგან სწავარმოებენ“):
ა. ნამყო უსრული თხრობითი კილოსი (-დო მარცვლის მიმატებით, ან -ოდი- მარცვლის მიმატებით, თუ ზმნა ვენებითია)

ბ. აწყო პირობითი კილოსი დეს (ენებითში - ოდეს) დართოთ: ვასწერდე - ვიწეროდე (?).
გ. თურმობითი პირველი („ქმნილი უსრულესი“) გმ, ვა, ვი-ს მი-თ შეცვლისა და ია, იეს დართოთ: ვასწერ - მოწერია, მიწერის, ვიჭერ - მიჭერია ან მიჭერის. ამას შენიშვნა აქვს: -ება, -ობა-ითი დაბოლოებულ ზმნებს ეკარგებათ ეს მარცვალი: ქება - მიქაა და არა მიქებია; -აე და -აზე დაბოლოებული გვერდები ეს მარცვალი (!) და დართვის -ია ან -აგს: გმართავ - მიმართავი ან მიმართავს; ვიხნავ - მიხნავ, მიხნავს... ენებითში მიმდგობა და მეშველი ზმნა იქნება გამოყენებული: წერილვარ, ყოფილვარ, დაჭერილვარ⁷.

2. ნამყო ძირითადისაგან (ნამყო სრულისაგან) იწარმოება:
ა. მყოფადი პირობითი: ვასწერე - ვასწერო (ა, ე, ვი-ს დართოთ?)
ბ. ნამყო პირობითი: ვასწერე - მეწერა... ვამენე - მეშენა; ვასძებნე - მეძებნა, ველე - მეველო...

გ. კავშირებითი შესამე (ნამყო უსრულესი პირობითი კილოსი): მეწერა - მეწეროს, მეხნა - მეხნას (ამოსავლად აქ თითქოს თურმობითი II აქვს ავტორს ნაგარაუდევი - ა. ნ.). ენებითი ზმნები მიმდგობასა და მეშველს ზმნას იყენებენ: წერილ ვიყავ, წერილ ვიყო. ბრძანებითს - წერს დ. ჩუბინიშვილი - არა აქვს „განსაკუთრებული დაბოლოება“ - ნამყო ძირითადის მორე პირს იღებს მორე პირისათვის და კავშირებითს II-ს - შესამე პირისათვის⁸.

ეს ყველაფერი ეხება პირველი და მეორე უღვლილების („მიმოხერის“) ზმნებს (ცალკე განხილვით შესამე უღვლილების ზმნები (კუვარს (?), მოყვარს; პრწამს, მრწამს; მხჯერს, მჯერა; უხარის, მიხარის). აქ დაზუსტებას მოითხოვს პირის ნიშნები, საწარმოებელი სუფიქსები, უცნაურად გამოიყურება ზოგი ზმნაც (ენებ. ვიწეროდე... III უღვლილ. კუვარს). ის მაინც ფაქტია, რომ დ. ჩუბინიშვილის გრამატიკაში კავშირებითის ნაკლები სწორად არის გამოყოფილი (ოღონდ თურმობითი II არის მათთან გაერთიანებული). რაც მთავარია, ნაჩვენებია ორი ამოსავალი ნაკეთი და რაც იწარმოება მათთან - აწმოსაგან და რა - ნამყო ძირითადისაგან), ინვერსიული ფორმებიც კი (თურმობითი I, II) აყვანილია ამოსავალ ფუძეებთან.

საკმარისია შევადართო ქართული ზმნის უღვლილების სქემები პრაქტიკულ გრამატიკებში (ანტონი I, დიძე. ყიფიანი, სიღ. ხუნდაძე, იას. ნიკოლაიშვილი) თმ სქემასთან, რაც დ. ჩუბინიშვილთან და ნ. მარის ტაბულებშია მოცემული, რომ ცხადი გახდეს, რა თვალსაზრისით უპირატესობაც აქვს ამ უკანასკნელს. სქემას თხრობითისაგან არა აქვს გამორჩეული პირობითი და ნატურითი, მაგრამ ერთნაირი წარმოების ნაკლებების ერთად მოქცევას ზმნის უღვლილებაში გარკვეულობა შეაქვს. ფუნქციათა მიხედვით დალაგებისას კი ქაოსის შთაბეჭდილება იქმნება. ფუძეთა ურთიერთობა ზმნის უღვლილებაში ნ. მარზე აღრე იყო ცნობილი, მაგრამ უღვლილების ეს წესი ნ. მარმა დანერგა სამეცნიერო გრამატიკაში, და ეს მიხი უთუო დამახიურება არის.

ნ. მარის სქემა დროთა პირველსა და მეორე ჯგუფს საწარმოებელი ფუძის მიხედვით ალაგებს, შესამე ჯგუფს კი ასეთი ფუძე არ მოეპოვება. რის მიხედვით არის ეს ჯგუფი გამოყოფილი? ნ. მარი წერს: „შესამე ჯგუფი შეიცავს თხრობითი კილოსი ნამყო სრულსა და წინარწერსულს და კავშირებითის ნამყოს. ეს სამი დრო ერთად უნდა იყოს, რადგანაც ისინი საწარმოებია ერთი და იმავე წესით, თუმცა ვერც ერთ მათგანს ვერ განვიხილავთ, როგორც საურდნად ხმარებულ დროს, რომლისაგანაც ხსენები არიან წარმოქმნილი“⁹.

თურმობითის ჯგუფს არ მოეპოვება საერთო ფუძე, ამოსავლად რომ გვერდნებს წარმოებისას. ამით განსხვავდება თურმობითის ჯგუფი აწმოს და ნამყო ძირითადის (ნ. მართ: აორისტის) ჯგუფისაგან: აწმოს ჯგუფი აწმოს ფუძეზეა დამატებული, ნამყო ძირითადისა - ნამყო ძირითადის ფუძეზე. თუ შესამე ჯგუფი (თურმობითის ჯგუფი) მაინც გაერთიანდა, ეს იმიტომ, რომ ამ ჯგუფში შემავალი დროები „ერთი და იმავე წესით იწარმოება“. მართლაც, ამ ჯგუფში ინვერსიული წყობა გვაქვს მაშინ, როდესაც აწმოსა და ნამყო ძირითადის ჯგუფს

⁷ დავ ჩუბინოვი, დახახ. წიგნი, გვ. XVI, § 27.

⁸ იქვე, გვ. XVII, § 27.

⁹ N. marr et M. Brière. La Langue géorgienne, Paris, 1931, § 163, 3, gv. 138.



ფეშში წყობა პირდაპირია: ის აქებს, მან აქო - მას უქია, ექო, ექოს. მაგრამ პირველად და მორე ფეშევი წყობის მიხედვით არ არის გამოყოფილი, იქ წარმოება ამოსავალი პრინციპის დახვეწილი ფეშევი სხვა პრინციპის დაეყრდნობა. ამოსავალი პრინციპის ცვლა კლასიფიკაციის ელემენტარულ წესის დარღვევად ითვლება მეცნიერების ყველა დარგში; ენის მოვლენათა აღწერაც აქ გამოსავალი წესის ვერ შექმნის. მეორე და: წყობის ცვლა - სინტაქსური კონსტრუქციის ცვლა - ახასიათებს გარდამავალ ზმნებს; გარდაუვალ ზმნებში ასეთი ცვლა არა გვაქვს. მართალია, გარდაუვალ ზმნებში თურმეობითი მეშველზმნიანი წარმოება იწეს თავს, მაგრამ ეს ხდება ერთობრივად გარდაუვალ ზმნებს (ვშობილვარ, ვშობილვყავ, ვშობილვიყო...), ორიპირიან გარდაუვალ ზმნებში კი მეშველ ზმნას იყენებს თურმეობითი პირველი (შევაკითხებივარ, შევაკითხებიხარ, შევაკითხებია); თურმეობითის II-სა და კავშირებითის III-ში ასეთი წარმოება (შევაკითხებყავ, შევაკითხებყევე) ფაქულტატურად-და გვეხდება, ძირითადი ვარიანტი ორგანულ ფორმებში იძლევა (შევაკითხებოდი, შევაკითხებოდე). რაც შეეხება კონსტრუქციას, არც ერთპირიანი და არც ორიპირიანი გარდაუვალ ზმნა კონსტრუქციას არ იცვლის; უღელბილების პროცესში აქ მუის კონსტრუქცია უცვლელად რჩება. ამრიგად, წარმოების წესი და სინტაქსური კონსტრუქცია თურმეობითი ფეშევის გამოსავლად მხოლოდ გარდამავალ ზმნებში შეუძლიათ იხმარონ, და აქაც იგი კლასიფიკაციის ძირითადი წესის დარღვევას ნიშნავს.

იქნებ, თურმეობითის ფეშევი ფუნქციის ერთიანობა გამოგვაყოფინოს: თურმეობითობა (უნახაობა) პროცესისა, როგორც ნიშანდობლივი თვისება ფეშევისა. ა. შანიძე, რომელსაც ეკუთვნის ტერმინი თურმეობითი, წერს: „პირველ თურმეობითში სამი ელემენტი: დრო (წარს), კილო (თხრ.) და აქტი უნახავი. მაგალითები: მისწავლია, მიცხოვრია; მიწერია (დამწერია), მიშენებია (ამიშენებია)“¹⁰... „უნახავი აქტის მწკრივები (კერძოდ I თურმეობითი) „თურმე“-ს კატეგორია მოიცავს: ყოფილად=ყო თურმე, წასულად=წავიდა თურმე, რადგანაც უნახაობის კატეგორია მარტო წარსულში შევიძლია საგანგებო ფორმით გამოხატოთ, ამიტომ იქ, სადაც ფორმა გვაკლია, „თურმეს“ ვიმედიებთ ხოლმე. „საწყად გოგოს თავისი თითები მოგროვლის ფულით ერთი ჩითმერდინი უყიდნია, იმას (ელისბედეს) უნახავს და წაურთ-თმევი ა. ეხლა თურმე შეიძლება მისი გამოყენება ისეთი მოქმედების გადმოსაცემადაც, რომელიც ფაქტი არ იყო, მაგრამ რომელიც ივარაუდებოდა, როგორც პირობა სხვა მოქმედების შესრულებისათვის. ამ შემთხვევაში მისი კილო არა თხრობითი, არამედ პირობითი (§ 257) და აქტი უელემენტი (უნახაობა) ფორმაში აღარ არის. მიუხედავად ამისა - წერს ავტორი - მწკრივი უელემენტი მაინც II თურმეობითია“¹¹. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ითქვას: 1. თანამედრობობა („თანამედრობობა“) თურმეობით პირველთანაც ხელშესახებდა ივარაუდებოდა: შდრ. „საწყად გოგოს... ერთი ჩითმერდინი უყიდნია“ - „საწყად გოგოს... ერთი ჩითმერდინი თურმე უყიდნია“... „უყიდნია“ აწყოსთან არის მიმართებაში, „უყიდნა“ - ნაწყოსთან, ფარდობა ორივეში ივარაუდებოდა; ამ მხრივ თურმეობითი მეორე თურმეობითის პირველი ვერ დაუპირისპირდება. 2. როცა თურმეობითი მეორე პირობითის შინაარსს გადმოგვცემს (მოდლობა პირობითი კილოს აქვს), მაშინ, მართლაც, თურმეობითობა ზმნაში არა გვაქვს, აქტის ელემენტი (უნახაობა) ფორმაში აღარ არის; ამიტომ ვაგუებარა, რატომ არის მისი სახელი „მაინც მეორე თურმეობითი“. პირობის აღნიშვნა თურმეობითი მეორისათვის იშვიათი რომ იყოს, კიდევ - პო, მაგრამ ასე არ არის: პირობის აღნიშვნა ამ ნაკეთისათვის ჩვეულებრივია. 3. თურმეობითი პირველი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ა. შანიძე, არ საჭიროებს „თურმეს“ დართვას. მის

¹⁰ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953, § 281, გვ. 226.
¹¹ იქვე, § 281, გვ. 227.
¹² იქვე, § 282, გვ. 227.

გან განხვავებით, თურმეობითი მეორე, ამ დამხმარე სიტყვას („თურმე“) საჭიროებს თხრობითი კილოს ფუნქცია აქვს (და არა პირობითის).

კავშირებითი მესამის შესახებ: „თეთოეულ სერიას თავთავისი კავშირებითი მოეპოვება, რომელთაც ამა თუ იმ სერიაში შემავლობის მიხედვით ეზომრავთ: პირველი, მეორე, მესამე. III კავშირებითის მაგალითებია: მესწავლოს, მეცხოვროს; მეწეროს (დამეწეროს), მეშენებინოს (ამეშენებინოს). III კავშირებითის ხარვეზის არე ახალ ქართულში შემცირდა: ფული რომ მქონებოდა, ვასესხვოდ (ნაცვლად ამისა: რომ მქონებოდე, ვასესხვდდი). ძველი კონსტრუქცია შემორჩენილია აქა-იქ, მაგ., „რაჭაში“¹³. სამწუხაროდ, აქ არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რა შემთხვევაში აქვს „თურმეობითის გაგება“ კავშირებითს მესამეს. თუ თხრობითი კილოსთან ამ ნაკეთს არაფერი აქვს საერთო, თუ ის ყოველთვის პირობითი კილოს ფუნქციით ვგვევლინება, თურმეობის გაგება მას არ აღმოაჩნდა (ისევე, როგორც არა აქვს თურმეობითს მეორეს პირობის აღნიშვნის შემთხვევაში).

ზემოთქმულიდან ერთი დასკვნა გამოიმდინარებს: თურმეობითი ჯგუფის ნაკვთები ვერ გავრთიანდებთ მათი ფუნქციით მიხედვით; ეკრძოდ, თურმეობითობა არ არის ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი: კავშირებითი მესამისათვის თურმეობითის გაგება უცხოა. თურმეობითი მეორე არ იძლევა თურმეობითობის შინაარს, როცა რისაზე პირობაზე მიუთითებს; ხოლო როცა თხრობითი კილოს ფუნქცია აქვს თურმეობითი მეორეს, მაშინ მისთვის განმსაზღვრელია სხვა დროსთან ფარდობა (ე. ი. „თანამიმდევრობა“).

რჩება თურმეობითი პირველი. „თურმეს“ გაგება მასში მკვეთრად იგრძნობა, თუმცა არის თურმეობითის ერთი გამოყენება, ხადაც თურმეობითობა ამ ნაკვეთს არ ახასიათებს: არ უკუთვბია, არ დაუწერია, არ მოუტანია, არ უთქვამს... ამ შემთხვევას აკ. შანიძემ მიაქცია უზრაღებდა და სცადა ეს მოეყენა დაკავშირებინა „უნახაობის აქტთან“, ე. ი. თურმეობითის გაგება დავლასტურებინა აქაც: „ნახვა შეიძლება მხოლოდ დადებითად შესრულებული მოქმედებისა (ენახვ, რომ წერილს წერდა და ამიტომ ვამბობ: დაწერა – მეთქი). მაგრამ არ შეიძლება ნახვა ისეთი მოქმედებისა, რომელსაც ადგილი არა აქვინია; ამას გამბობთ მხოლოდ შედეგის ან სხვისი ნათქვამის მიხედვით და ეს არის მიზეზი, რომ მოქმედების უარყოფა ამ მწკრივის საშუალებით არის ხოლმე გადმოცემული“¹⁴.

მიზეზი რომ „ეს არ არის“, ეს ჩანს თითქოს იქვე მოყვანილი მაგალითების შეპირისპირებიდან: „დაწერა – არ დაწერა – არ დაუწერია“. „დაწერა“ ფორმას უარყოფითად უპირისპირდება არა მისივე მწკრივის „არ დაწერა“, არამედ სხვა მწკრივის ფორმა („არ დაუწერია“). ეს იმიტომ, რომ „არ დაწერა“ ნახულის ფორმაა და რაკი ენახვ, იცი, რომ არ ინება დაწერა. ანუ რომ, აქ გამოხატულია უარყოფითი დამოკიდებულება სუბიექტისა ზმნით აღნიშნულ მოქმედებისადმი. მაშასადამე, უარყოფა ორივე მწკრივით შეიძლება გადმოიცეს, მაგრამ უბრალო უარყოფისათვის I თურმეობითია განკუთვნილი, წვეტილი კი ნებისმიერ ჩაუდენელ მოქმედებას აღნიშნავს“¹⁵.

მაგალითების შეპირისპირება, მართლაც, ცხადყოფს, რომ „არ დაწერა“ და „არ დაუწერია“ ერთმანეთს უპირისპირდება; უფრო სრულად იქნება სურათი, თუ შევუპირისპირებთ: „ვერ დაწერა“ და „არ დაუწერია“. პირველ შემთხვევაში შეუძლებლობაა ესმის ხაზი: „არ შეეძლო“ რა იმიტომ, არ შეერულდა მოქმედება; მეორე შემთხვევაში, სუბიექტს არ უნდოდა და ამან გამოიწვია მოქმედების შეუსრულებლობა: არ დაწერა იმის გამო, რომ არ უნდოდა. „არ დაუწერია“-ში მიზეზი არა ჩანს, შედეგი აღნიშნულია სტატიკურად: „არ დაუწერია“ – არა აქვს დაწერილი; რატომ მოხდა ეს – ვერ შეძლო, არ მოინდომა, თუ სხვა რამ იყო მიზეზი, ამაზე ზმნა არაფერს ვგვეჩვენება. კი, მაგრამ რატომ აღმოჩნდა სწორედ თურმეობითი ამის გადმოსაცემად გამოხადები? საფიქრებელია, იმიტომ, რომ თურმეობითს პირველს სტატიკურობასთან წარმომავლობა აკავშირებს (მაშასადამე, თურმეობითი პირველის გამოყენებას უარყოფის გადმოცემისას უნახაობა არ უნდა იყვედეს)¹⁶.

„უნახაობა“, საერთოდ, არ უნდა იყოს ნიშანდობლივი თურმეობითის შინაარსისათვის. ყო-

¹³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953, § 283, გვ. 227.

¹⁴ იქვე § 281, გვ. 226-227. ხაზი ჩვენია – ა. ჩ.

¹⁵ იქვე § 283, გვ. 227.

¹⁶ უარყოფითი ფორმების გამოხატვა, პოტენციალისი და სტატიკურობა ქართველურსა და ზოგ იბერულ-კავკასიურ ენაში სპეციალურ განხილვას მოითხოვს.



ველ შემთხვევაში, უნახობას ვერ ვივარაუდებთ, როცა რეალური სუბიექტი არ არის პირში¹⁷. „არც მქონია, არც მაქვს, არ შექნება, მგონია“... „არც არაის ყმად გუოფილქვარ, არც არაის ყმად მყოლია, ძველი დვინო წლით წლობადის გაამქოლია“... ძნელს მოქმედს მივაწეროთ, რომ მას უშუალო ცოდნა არ მოეპოვებოდა იმისა, რომ მას „არა პქონდა“, რომ ის „არ იყო ყმა“, რომ მას „არც ჰყავდა ყმა“, რომ მას „გაუყვებოდა ძველი პური დვინო წლით წლობადის“... პირველი პირი თურმეობითის დადებითი ფორმებშიც არაა იშვიათი: „საიღამ იცი ეს? როგორ თუ საიღამ?... თვალი მქონია, მინახავს, ყური მქონია, მსმენია, გულისყური მქონია - მივხევედრიღვარ, ხსოვნა მქონია - გონება მქონია“ (ილია). „რომ მომგონებია ჩემი უილაჯობა... დავეცემულვარ იატაკზე და მიწა მიღრღნია, კბილით ხორცი მიგლეჯნია, თითებიდან ჩემი სისხლი მიწოცნია“ (ილია). მქონია, მსმენია, მინახავს, მივხევედრიღვარ, ჩამრქვნია, მომგონებია, დავეცემულვარ, მიღრღნია, მიგლეჯნია, მიწოცნია... უნახობაზე მითითებით ამგვარი ფაქტების ახსნა შეუძლებელია.

ეს აღნიშნული აქვს ივ. ჯავთარაძეს. მასვე დამაჯერებლად აქვს ნაჩვენები, რომ თურმეობითის ფუნქციონირება არ დაიყვანება „უნახობაზე“, რომ თურმეობითის უფრო „შედეგებრივი მნიშვნელობა შეეფერება, ვინემ, „უნახობის აქტი“¹⁸.

ამრიგად: თურმეობითი ჯგუფის ნაკლები ფუნქციური თვალსაზრისით ვერ გაერთიანდება; თურმეობას არ გულისხმობს კავშირებითი მესამე; მხოლოდ ნაწილობრივ ეგუება მინახობის თურმეობითის მეორეს; თურმეობითის პირველშიც უნახობა არ გადმოიცემა პირველს პირში, უარყოფითი ნაწილაკების ხმარებისას კი - სხვა პირებშიც.

თუ შედეგის აღნიშვნას მივიჩნევით მესამე ჯგუფის ძირითად ფუნქციად, მაინც იმავე შედეგს მივიღებდით: შედეგის გამოხატვა არ ეკისრება კავშირებითის მესამეს არც თურმეობითის მორფოსათვის არის ის ნიშანდობლივი.

საწარმოებელი ფუძე თურმეობითის, როგორც ცნობილია, არ აერთიანებს. რჩება მხოლოდ კონსტრუქცია წინადადებისა; ამ ნიშნის მიხედვით თურმეობითი მართლაც გამოირჩევა ჯგუფის პირებზე პირველად ორ ჯგუფს (ის აკეთებს, მან აკეთა, მას უკეთებია), ოღონდ გარდაუვალ ხმებში ეს ნიშანი არ გამოვლენილება.

სამი ჯგუფის გამოყოფა ხმის უღვლელობაში ნაწილობრივ გამართლებულია სინტაქსური თვალსაზრისით, ნაკლებების წარმოება კი სინტაქსის საგანი არ არის, იგი ფუძეთა წარმოებას განეკუთვნება და მორფოლოგიის საგანი უნდა იყოს (იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ამ რიგის ფუძეთა წარმოებას ახასიათებს).

თურმეობითის ჯგუფი ხმის უღვლელების აღწერისას გამოიყო. ენის მოვლენების, კერძოდ, ენის აგებულების აღწერა რომ მეცნიერული იყოს, ის გარკვეულ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა იყოს თანამიმდევრული და ამისათვის კი საჭიროა, მოვლენათა კლასიფიკაცია მოახდინოს არსებითი ნიშნის მიხედვით - სტრუქტურის მოვლენები - სტრუქტურული ნიშნის მიხედვით დააჯგუფოს, ფუნქციური ცნებები - ფუნქციურ მომენტზე დააფუძნოს. ავიღო არ არის იმის გარკვევა, რა მიეკუთვნება სტრუქტურის სამყაროს და რა უნდა დახასიათდეს ფუნქციის თვალსაზრისით. მაგრამ სიმართლე არ იკლავს იმის გამო, რომ სტრუქტურისა და ფუნქციის მომენტები ერთმანეთში აირევა, განურჩევლად იქნება ხან ერთი, ხან მეორე გამოყენებულს საყრდენად, არას ვამობოთ იმის შესახებ, რომ საკლასიფიკაციოდ ნიშნების ცვლა მოვლენათა აღწერის პროცესში მეცნიერებისათვის საკლდეგებულო ელემენტარული ნორმის უკუღვლელებული იქნებოდა. გრამატიკის ისტორია საკმარის მერ მახალას იძლევა ამგვარი უკუღვლელებული საღიუსტრაციოდ. საკმარისია მოვიგონოთ მეტყველების ნაწილობრივი ცვლილებები სქემა, მოძღვრება სინტაქსის შესახებ, ენათმეცნიერული ცოდნის სხვადასხვა დარგის ურთიერთობის საკითხი და სხვა.

მეცნიერულად სწორი აღწერა ენობრივი სისტემისა მოვლ რივ საკითხებს გამოავლენს საკითხის სწორად დახმისათვის საფუძველს ქმნის და მოვლენის ისტორიის დახმარებით გასაგებებს გახდის ფაქტს, რომელიც სისტემაში უცნაურად გამოიყურება. თუ მოვლენის გაგება

17 ა. შანიძის სახალიხო მახალაში პირველი პირის ფორმები არ მოგვეპოვება.
18 ივ. ჯავთარაძე, უნახობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, იბერ-კავკას. ენათმეცნიერება VIII (1956), გვ. 180-192.



ახსნა მეცნიერების მიხანს წარმოადგენს, სწორი აღწერა მოვლენის ისტორიის საქართველოში დაგეგმვისთვის სწორად და მით მოვლენის გაგებას ხელს უწყობს. ნაკეთი საუბრისთვის ზმნის ფუძეს წარმოადგენს. ნაკეთების წარმოება ფუძეთა რეგულარული წარმოების ტიპს იძლევა (დაახლოებით იმ ტიპისას, როგორც არის სადაურობის აღმნიშვნელი წარმოება).

ნაკეთების წარმოება, როგორც ფუძეთა წარმოების ერთი ტიპი, მოითხოვს იმის გარკვევას, რისგან იწარმოება ესა თუ ის ნაკეთი და რით (რა თავხართ-ბოლოსართების მეშვეობით) იწარმოება იგი. რაც შეეხება ნაკეთის ფუნქციას, აქ საჭიროა იყოს გათვალისწინებული ნაკეთის სემანტიკურ-სტილისტური შინაარსი, ერთის მხრით, და სინტაქსური მხარე, ე. ი. კონსტრუქცია, რომელსაც ნაკეთი მოითხოვს. სემანტიკური თვალსაზრისით ნაკეთის შესწავლა რთულ ვითარებას ამჟღავნებს; ერთი რომელიმე ფუნქციით ნაკეთის დახასიათება, რა თქმა უნდა, მით უფრო შეუძლებელია, რომ ისეთი შედარებით მარტივი მოვლენა, როგორცაც წარმოადგენს სადაურობის წარმოება, სადაურობის აღნიშვნით არ ამოიწურება (თუში - თუშურა შურ. ზმნა - ზმნური და სუბიექტი - სუბიექტური). გაუგებრობას ავლენს ნაკეთის სახელი სტრუქტურული თვალსაზრისით მოგვეცა (უბრალო ნომრაციის წესითაც კი), ხოლო თუ ფუნქციებზე დაყრდნობით დავახასიათებდით ნაკეთს, ძირითადი ფუნქცია უნდა გამოვიყოფოთ და არ ვივარაუდოთ, თითქმის ამით სრული ფუნქციური დახასიათება წარმოვადგინოთ.

ყოველ შემთხვევაში იმას ვერ დავივიწყებთ, რომ ნაკეთების წარმოება არის ფუძეთა წარმოება და, მაშასადამე, ნაკეთების სისტემაში ამა თუ იმ ნაკეთმა ის ადგილი უნდა დაიკავოს, რაც მას ეკუთვნის წარმოების თვალსაზრისით.

წარმოების თვალსაზრისით თურმეობითის ჯგუფი საერთო საყრდენს მოკლებულია. მერყეა: გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები განსხვავებულად იწარმოებს ხათანალო ნაკეთებს.

I. გარდამავალ ზმნათა კავშირებითი მესამე და თურმეობითი მეორე კავშირებითი მეორისა და ნამყო ძირითადისაგან იწარმოება, მათს გ-ნიან ვნებით წარმოადგენს:

აქო	ექო	აქოს	ექოს
აღბო	ეღბო	აღბოს	ეღბოს
ამკო	ემკო	ამკოს	ემკოს
აღნო	ეღნოს	აღნოს	ეღნოს
აწყო	ეწყო	აწყოს	ეწყოს
ადგინა	ედგინა	ადგინოს	ედგინოს
ანიანა	ენინა	ანიანოს	ენინოს
ამტკერია	ემტკერია	ამტკერიოს	ემტკერიოს
ამწნია	ემწნია	ამწნიოს	ემწნიოს
გრიხა	ეგრიხა	გრიხოს	ეგრიხოს
გაწმინდა	ეწმინდა	წმინდოს	ეწმინდოს
დრიკა	ედრიკა	დრიკოს	ედრიკოს

კლა	ეკლა	კლას	ეკლას
წვა	ეწვა	წვას	ეწვას
სვა	ესვა	სვას	ესვას
ჩაგრა	ეჩაგრა	ჩაგროს	ეჩაგროს

კორტნა	ეკორტნა	კორტნოს	ეკორტნოს
გზაენა	ეგზაენა	გზაენოს	ეგზაენოს

II. გარდაუვალ ერთპირიან ზმნათა თურმეობითი საუღვლელებელი ზმნის მიმდებარისა და მეშველი ზმნის შეერთება-შერწყმას წარმოგიადგენს. მეშველი ზმნა აღებულია აწყოში, ნამყო ძირითადისა და კავშირებითის მეორეში; შობილა, შობილიყო, შობილიყოს... მომკვდარა, მომკვდარიყო, მომკვდარიყოს... აწყო (ვარ, ხარ, ა-) თურმეობითი პირველის საწარმოებლად



იხმარება, ნამყო ძირითადი (ვიყავ, იყავ, იყო) – თურმეობითი მფორისხათვის, ორე (ვიყო, იყო, იყოს) – კავშირებითი მესამისათვის.

ამრიგად, ერთპირიანი გარდაუვალი ზმნები მეშველ ზმნას იმავე ნაკეთობში იყენებს, რაც გარდამავალი ზმნების საწარმოებელ ფუძეს წარმოადგენს.

აქ ერთი გარემოებაც იქცევა ყურადღებას: ნამყოს მიმდგობა, რომელიც გარდაუვალ ზმნათა უდელილებიას არის გამოყენებული, ნაწარმოებია – ხშირ შემთხვევაში – გარდამავალი ზმნის ფუძისაგან.

არის	დის	კეთდება	იწერება	რჩება
ყოფილა	დენილა	კეთებულა	[და]წერილა	[და]რჩენილა
ყოფილიყო	დენილიყო	კეთებულყო	[და]წერილიყო	[და]რჩენილიყო
ყოფილიყოს	დენილიყოს	კეთებულყოს	[და]წერილიყოს	[და]რჩენილიყოს

მიმდგობათა ასეთი წარმოება გარკვეულ ჩვენებას იძლევა ასეთი მიმდგობის წარმოქმნის ქრონოლოგიისათვის – რის შემდეგ შეიძლება იყოს ეს მიმდგობა ყოფილიყო წარმოებული, რისგან და როგორ იწარმოება ორიპირიანი გარდაუვალ ზმნათა თურმეობითის ნაკეთობა? აქ ორიგვარი წარმოება გვაქვს: ორგანული და ადწერითი. ადწერითი იშველიებს იყო და იყოს ნამყო ძირითადსა და კავშირებითი მფორეს (ჰქონია, ჰქონიყო, ჰქონიყოს). ორგანული წარმოება ნამყო უსრულის სუფიქსს ხმარობს თურმეობითი მფორესათვის და კავშირებითი პირველიხას – კავშირებითი მესამისათვის (ჰქონია, ჰქონილა, ჰქონიდა). როგორც ორგანული, ისე ადწერითი წარმოება თურმეობითის პირველზუა დაფუძნებული: გასარკვევია, რას წარმოადგენს თურმეობითი პირველის ფუძე. თუ ეს ძირითადი ნაკეთობა, თურმეობითის ჯგუფი – ორიპირიანი გარდაუვალ ზმნებში – დამოუკიდებელ ჯგუფად უნდა მივიჩნიოთ (წარმოების თვალსაზრისით). თუ თურმეობითი პირველის ფუძე ნაწარმოებია, მაშინ თურმეობითის ჯგუფი მთლიანად სათანადო ამოსავალ ფუძეს დაუკავშირდება, როგორც მფორე რიგის ნაწარმოები ნაკეთობა.

თურმეობითი პირველი ორიპირიანი გარდაუვალ ზმნაში იმფორებს, ერთის შეხედვით, სათანადო აწმყოს ფუძეს:

ეტყობა	დასტყობია
ვერდნობა	დაკერდნობია
ესობა	მოსობია
ეწეება	დასწეებია
ეხება	აეხებია
ეხვევა	შენხვევია
ეწევა	სწევევია
ეცემა	სცემია
ედგმის	დასდგმია
ეწეის	დასწეია

მაგრამ ამგვარი მაგალითების მიხედვით ვერ ვიტყვი: ორიპირიანი გარდაუვალ ზმნათა თურმეობითი ამგვე ზმნათა აწმყოსაგან იწარმოებო; ბევრია ისეთი ზმნა, რომელთა თურმეობითის ფუძე არ ემყარება მათსავე აწმყოს ფუძეს, სხვაობა თვალში საცემია:

იმედი უქრება	– გაქრობია
ხელი უთბება	– ხელი გასთბობია
პირში უდნება	– გასდნობია
ტყავი სძვრება	– გასძვრობია...

ამ შემთხვევაში გარდამავალი ზმნის ფუძე ჩანს ამოსავალი: აქრობს, ათბობს, ადნობს, აძვრის... ამ ზმნებს ახალ ქართულში თურმეობითი პირველი ნამყო ძირითადისაგან ეწარმოება (და არა აწმყოსაგან): აქრობს – უქვრია, ათბობს – უთბია, ადნობს – უდენია, აძვრის – უძვრია...

ნამყო ძირითადის ფუძიდან თურმეობითი პირველის წარმოება ქრონოლოგიურად ძველია, აწმყოს ფუძიდან წარმოება – შედარებით ახალი, თუმცა ეს უფრო ახალი ტიპი ძველ ქარ-



თულში გვაქვს (უბრძანებებს, დაუტრეკებებს, აღუშვოთებებს-ის მსგავსად: მიუღებებს შუენობებს = შეუნდებია, შუეცვალბებებს = შუეცვლია, უცნობებს = უცენია, უდებებს = უდ-
ვია, დაუძინებებს = დაუძინია, მიუცემებს = მიუცია, მიუშობებს = უშვია, უყოფებს = უყვია...): თურმეობითი I-ის წარმოების ხსენებული ორი ტიპიდან უფრო ძველი ის
ტიპი უნდა იყოს, სადაც ამოსავალი ნამყო ძირითადის (აორისტის) ფუძე¹⁹.

ამრიგად: გარდამავალი ზმნა ათბობს-ტიპისა თურმეობითის პირველს იწარმოებს ნამყო ძი-
რითადის ფუძისაგან (ათბო - უთბია), სათანადო ორპირიანი გარდამავალი ზმნა კი აწმყოს
ფუძისაგან, ისევე გარდამავალი ზმნისა: ათბობს-ს: გას-თბობია... აწმყოს ფუძის გამოყენება აქ
ისევე მოწმობს წარმოების სიახლეს, როგორც გარდამავალ ზმნებთან, საკითხავია: არის კი
შესაძლებელი გარდამავალი ზმნის ნაკეთი დაემყაროს გარდამავალი ზმნის ფუძეს?

შესაძლებელია ისევე, როგორც შესაძლებელია „უცებთი გვარის“ მიმღობა იწარმოოს
მოქმედებითი გვარის ზმნის ფუძისაგან: ყოფს-ს: ყოფი-ლი-ი, ნა-ყოფი-ი; შობს-ს: ნა-შობი-ი, შობ-
ილი-ი; აშენებს-ს: ნა-შენი-ი, აშენებ-ული-ი, ა-სა-შენებ-ული-ი...

ნაყოფი, ყოფილი-ს იგივე ფუძე აქვს, რაც მყოფს, მყოფი-ელ-ს (შურაცხმყოფელი)... შდრ.
ასევე: ნაშობი-ი, შობილი-ი და მშობი-ელი-ი... ნაშენი, აშენებული და მ-შენებ-ელი...

ცნობილია, რომ გვარების გარჩევა აქ შეორეულია (გარდამავალისა და გარდაუვალის
გარჩევა ძველია)...

გარდაუვალის წარმოებისას გარდამავალის ფუძე აღებული საწარმოებლად - ეს შესაძ-
ლებლობა გარკვეულ კანონზომიერების სახეს იღებს: მიმღობათა წარმოებისას, მასდარის
წარმოებისას (ე. ი. ნა ზმნარი ატრიბუტივებისა და ნა ზმნარი სუბსტანტივებ-
ის წარმოებისას): არის - ყოფა-ა // ყოფ-ნა... მყოფი - ნაყოფი-ი...

ეს კანონზომიერება საშუალებას გვაძლევს დავაქტურ წარმოებათა თავისებურება აიხ-
სნას.

ზემოთქმულის საფუძველზე ბუნებრივია ისეთი წარმოება, რომლის ნიმუშიცაა:

სინათლე უქრება - გაქტრობია	(საყრდენია: აქტობ-ფუძე)
ხელი უთბება - გასთბობია	(" ათბობ- ")
პირში უდნება - გასდნობია	(" ადნობ- ")

ასევე:

- მბარდება - ჩამბარებია
- დღე უთენდება - გასთენებია
- საკვები აკლდება - დაკვლებია
- გული უღონდება - შეღონებია
- ნაღრბობი უსივდება - გასივებია
- ტკივილი უყუჩდება - გააყუჩებია
- ვადა უთავდება - გასთავებია
- უმცირდება - შემცირებია
- კანი ხდვრება - გახსრობია...

ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს თურმეობითისათვის ამოსავალი
იყოს მასდარი: ნაბარება, გათენება, დაკლება, დაღონება, გასივება, გააყუება, გათავება, შემ-
ცირება...

გარკვეულად, ყოველ შემთხვევაში, მასდარს მოგვაგონებს საწარმოებელი ფუძე. მაგრამ
მასდარი თვითონ აწმყოს ფუძეს ემყარება, აწმყოს ფუძისაგან იწარმოება გარკვეული სუფიქ-
სებით (-ა...): და სწორედ ეს სუფიქსი აქ არა გვაქვს, - ი-სუფიქსი (ჩამბარებო-ი, გასთენებო-
ი, დაკლებო-ი...) ერთვის აწმყოს ფუძეს (და არა: აწმყოსაგან ნაწარმოებ მასდარს). და ეს აწმყო
გარდამავალი ზმნის აწმყოა (მეტწილ შემთხვევაში).

რომ გარდამავალი ზმნის აწმყოს ფუძესთან აქვს კავშირი ორპირიანი გარდაუვალი ზმნის
თურმეობითის, ეს მკვეთრად იგრძნობა ჩმოვანმონაცვლე ზმნებში, -ი სუფიქსიანი ზმნებში და
აფ-სუფიქსიანი ზმნებში.

¹⁹ არნ. ჩიქობავა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება უღვლილების ხისტიკმის
ისტორიისა და კავშირებით ქართულში, ლიტერატურული ძიებანი, II, (1944).

სმოვანმონაცვლე ზმნები:

ეხილება თვალი:	გახეულია	(ამოსავალია: ახეულ-ს)
ეძინება ვაგი :	შესძენია	(„ შესძენს)
ეფინება შუქი:	მოაფენია	(„ მოაფენს)
უნდდება აზრი:	ვასენია	(„ ვააენს)
სწყინდება ლოდინი:	მოსწყენია	(„ მოაწყენს)
უცდება გაკეუთილი:	გაცდენია	(„ გააცდენს)

-ი- ნიშნის ზმნები:

ელერება წყალი:	დაღღერია	(ამოსავალია: დაღღერის)
ეცვლება ფერი:	სცვლია	(„ ცვლის)
ექმნება პირობები:	შეკმნია	(„ კმნის)
ეხსნება გზა:	გავხსნია	(„ ხსნის)
ეშლება ხელი:	შეშლია	(„ უშლის)
ელდება მკლავი:	დაღღლია	(„ ღღის)
ესვრება ფეხსაცმელი:	დასვრია	(„ სვრის)
ებრძვის:	შეპრძოლებია	(„ აბრძოლებ-ბრძალ-ებ-)

აგ- სუფიქსისანი ზმნები:

ელუკება შვილი: დაღუკვია	(ამოსავ: ელუკვის -აგ;	ღუკავს ძე. აწმყო: *ღუკ-ვ-ის)
ეხატება სურათი: დაახატვია	(„ ეხატვის „	ხატავს: *ხატ-ვ-ის)
ეხარჯება ფული: დაახარჯვია	(„ ეხარჯვის „	ხარჯავს: *ხარჯ-ვ-ის)
ენახება ფული: შენახვია	(„ ენახვის „	ინახავს: *ნახ-ვ-ის)
ეკარგება იმედი: დაეკარგვია	(„ ეკარგვის „	კარგავს: *კარგ-ვ-ის)
ეპარება ეტვი: შეეპარვია	(„ ეპარვის „	პარავს: *პარ-ვ-ის)
ებერება მუცელი: გაებერვია	(„ ებერვის „	ბერავს: *ბერ-ვ-ის)
ემადება მზეს: დამადვია	(„ ემადვის „	მადავს: *მად-ვ-ის)
ეწამლება სიცოცხლე: მოსწამლვია	(„ ეწამლვის „	წამლავს: *წამლ-ვ-ის)
ეხუტება თვალი: დახუტვია	(„ ეხუტვის „	ხუტავს: *ხუტ-ვ-ის)
ეხურება: დახურვია	(„ ეხურვის „	ხურავს: *ხურ-ვ-ის)

ბუნებრივი და თანამიმდევრული იქნება, თუ ამავე თვალსაზრისით განვიხილავთ, მოსწოდია, აპყოდია და მსგავსი ტიპის ზმნათა თურმობითი პირველის წარმოებას. მოსწოდია, აყოლა მასდარი აქაც არ უნდა იყოს ამოსავალი თურმობითისათვის. თვით ამ მასდარის წარმოება მოითხოვს ახსნას. საიდან მივიღეთ წოდ-ა მასდარში, რა არის აქ მასდარის საწარმოებელი აფიქსი და რისგან აწარმოებს იგი მასდარს?

მასდარის საწარმოებელი სუფიქსი აქაც ისევე როგორც ზმნათა დიდ წოდში, ჩვენის გაგებით -ა არის; რაც მას წინ უძღვის, აწმყოს ფუძეა:

წოდ- წვალ-	წვან-	
ყოლ- ყვალ	ყვან-	
ქონ- ქვალ	ქვან	
აწევა გულზე:	მოსწოლია	წოდ- წვალ-
აყევა ამხანავს:	აყოლია	ყოლ- ყვალ-
ექნება საზრუნავი:	აქონია	ქონ- ქვან-
უძღვება საქმეს:	გასძლოლია	ძოდლ- ძედვალ

ამავე გზით უნდა აიხსნას:

- დასდგომია, დასჯდომია, გასძლომია, შეპრძოლებია...
- დაგება თავზე: დასდგომია (ამოსავალია: *დგე-ვ-ემ-...)
- დაუჯდება ძვირად: დასჯდომია („ : *ჯედ-ვ-ემ-...)
- უძღვება მუცელი: გასძლომია („ : *ძედ-ვ-ემ-...)

მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში

დრო-კილოთა მესამე სერია დამახასიათებელია სამივე ქართველური ენისათვის. პირველი და მეორე სერიისაგან განსხვავებით მესამე სერიის ნაკითხა ცალკე სერიად გამოყოფის (საფუძვლეს წარმოადგენს არა ამისაგან ფუძეთა ერთობა, არამედ წარმოების ერთგვარობა ინვერსიის გარდამავალ ზმნებთან და აღწერითი წარმოება გარდაუვალებთან და შინაარსობრივი მსგავსება. პირველი და მეორე სერიისაგან მესამე სერიას ისიც ახსვენებს, რომ მასში შემავალ ნაკეთებს არა აქვთ წარმოების მსგავსი ყალიბი სხვადასხვა ტიპის ზმნებისათვის. ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, გარდამავალი ზმნები, რომელთაც ნაწილობრივ ორბირიანი გარდაუვალებიც მიჰყვება, და, მეორე მხრივ, ერთბირიანი გარდაუვალი ზმნები. ამდენად მესამე სერიის ნაკეთების წარმოება სხვადასხვა ტიპის ზმნებთან სხვადასხვა ოდენობას წარმოადგენს როგორც ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ისე ისტორიულად. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ამ მხრივ ყველა ზმნათა მესამე სერიის ნაკეთები სრულ იგივეობას გვიჩვენებენ როგორც ახალსა და ძველ ქართულში, ისე მკვრულსა და სვანურში.

გარდამავალი ზმნის დატოვი კონსტრუქცია, რომელიც დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის, მხოლოდ მესამე სერიას ახასიათებს. ამდენად გარდამავალი ზმნის დატოვი კონსტრუქციის საკითხი ქართველური ენებისათვის მესამე სერიის ნაკითხა გენეზისის საკითხია. დატოვი კონსტრუქცია გარდამავალი ზმნისა საციცალღურ დიქტორატურაში მეორეულად არის მიჩნეული ერგატულად და ნომინატიურ კონსტრუქციებთან შედარებით. არნ. ჩიქობავა წერს: „ინვერსიული წყობა, სადაც ამოსავლად გარდამავალი ზმნა გვაქვს, მეორეულია: უკლავს ← → კლავს, ეკლა ← → უკლა || კლა, ეკლას ← → უკლას || კლას. აქედან ცხადია, რომ თურმეობითის ნაკეთები შეიძლება წარმოქმნილიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიქმნა ის ნაკეთები, რომელთა ინვერსიის გზითაა მიღებული თურმეობითი პირველი, თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე. ეს კი ნიშნავს: გარდამავალ ზმნებთან დატოვი კონსტრუქცია უფრო ახალია, ვინემ ნომინატიური და ერგატული კონსტრუქციები“¹.

რაც შეეხება დატოვი კონსტრუქციას გარდაუვალ ზმნებთან, აქ ის უძველესად არის მიჩნეული. ის არამტოვი არ გულისხმობს ნომინატიურ კონსტრუქციის ნაკითხა არსებობას, რომელთა ინვერსიის გზითაც ის იქნებოდა მიღებული, არამედ შეიძლება ნომინატიურსა და ერგატულ კონსტრუქციაზე ძველიც იყოს. არნ. ჩიქობავას აზრით, „ეს ზმნები (იგულისხმება გარდაუვალი ინვერსიული ზმნები: აქვს, ჰყავს, უყვარს, სძულს, სწავდს, სწყურის. -ნ. ნ.) დიდი სიძველესა; მათთან დატოვი კონსტრუქცია გაცილებით უფრო ძველია, ვინემ დატოვი კონსტრუქცია გარდამავალ ზმნებთან, უფრო ძველია, ვინემ ნომინატიური და ერგატული კონსტრუქცია იმავე გარდამავალი ზმნებისა. გარდაუვალ ზმნათა დატოვი კონსტრუქციის სიბრტყეზე შეიძლება დადგეს უფლიც, უპყრიც, კმოსიც... ზმნათა დატოვი კონსტრუქცია: აქ საქმე გვაქვს სტატიკური ზმნების საობიექტო ქცევასთან, რაც ინვერსიულ წყობას იძლევა“².

ამგვარად, ერთსა და იმავე დროს დატოვი კონსტრუქციას ქართულში გვიჩვენებენ, ერთი მხრივ, გარდაუვალი ზმნები (გარკვეული ტიპისა) და, მეორე მხრივ, გარდამავალი ზმნები მესამე სერიაში, სადაც დატოვი კონსტრუქცია ნომინატიური კონსტრუქციის მქონე ნაკითხა ინვერსიის გზითაა მიღებული. ამასთან, მეორე შემთხვევაში დატოვი კონსტრუქცია გაცილებით უფრო ახალია, ვიდრე პირველში. ამ კონტექსტში ბუნებრივია დაისვას საკითხი დატოვი კონსტრუქციის ამ ორი შემთხვევის ურთიერთმიმართების შესახებ: რა კავშირშია გარდამავალი ზმნის დატოვი კონსტრუქცია გარდაუვალი ზმნის დატოვი კონსტრუქციასთან? უკავშირდება გენეტურად პირველი მეორეს თუ საქმე გვაქვს დატოვი კონსტრუქციის დამოუკიდებლად წარმოშობის ორ შემთხვევასთან? თუ უკავშირდება, მაშინ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ გარდაუვალი ზმნის ინვერსიული ფორმებიდან გარდამავალი ზმნის დატოვი კონ-

¹ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, 1955.

² არნ. ჩიქობავა, ერგატული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვ. 5.

³ იქვე.



სტრუქციის განვითარების მექანიზმი? თუ არა, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ინვესტიციების მოშობა გარდამავალი ზმნის ფორმებში? აი საკითხები, რომელნიც გადაწყვეტას მოითხოვს მესამე სერიის ნაკეთთა წარმოების შესწავლისას.

1. გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველის სრულ ანალოგიას წარმოების მხრივ, როგორც აღნიშნულია, გვიწვევებს გარდაუვალი სტატიკური ზმნის აწმყო. ეს ითქმის როგორც სტატიკური ვნებითის შესახებ, ისე ზოგი სხვა -აგ, -ამ თემის ნიშნიანი ზმნის შესახებაც, რომლებიც მნიშვნელობით სტატიკურ ვნებითს უდგება. მსგავსება თურმეობით პირველსა და სხვენებულ სტატიკურ ზმნების აწმყოს შორის იმაში იხენს თავს, რომ გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველის წარმოებაში არ გვხვდება არც ერთი ისეთი ყალიბი, რომელიც არ ვეჭონდეს სტატიკური ზმნის აწმყოში.

ა) გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველის დამახასიათებელი ძველ ქართულში არის -იუ დაბოლოება, რომელსაც III პირში პირის ნიშანი -ს, -6 ან -დ და მრავლობითი რიცხვის ნიშანი -ან ან -ედ ერთვის (მრავლობითის ნიშნის დართვისას თურმეობითის დამახასიათებელი -ჟ აღარ ჩანს):

უმზადებუეს მას იგი (კიმ. I,134)
დაუტეობიან მას ივინი (ანტიოქ. 93).

ვევე წარმოება წარმოდგენილი სტატიკური ზმნის (სტატიკური ვნებითის) აწმყოში:

ზე აღუპყრიედ (წარტყ. იმ)
მიფლობიეს (იქვე, მდ)

„რამეთუ ხედვითცა არა მიფლობიეს ხილვად მისი.“ მიფლობიეს აქ აწმყოა.

უფლიეს (იქვე, მე)
მგონიეს (ხახისმეტყ. გვ. 8)
პგონიენ (იქვე, გვ. 10)
უმტკმიედ (იქვე, გვ. 28)...

ახალ ქართულში ამგვარი წარმოება არა გვაქვს. -იე(ს) დაბოლოების ადგილი დაიჭირა -ია დაბოლოებამ მესამე პირში და -ჟვარ -ი-ხარ დაბოლოებამ - პირველსა და მეორე პირში. ეს ცვლილება თანაბრად შეეხო როგორც გარდამავალი ზმნის თურმეობით პირველს, ისე სტატიკური ვნებითის აწმყოს. მაშასადამე, მოყვანილი ტიპის წარმოებაში არც ძველსა და არც ახალ ქართულში თურმეობით პირველსა და სტატიკური ვნებითის აწმყოს შორის განსხვავება არ არის.

სტატ. ვნებითის აწმყო	თურმეობითი პირველი
უბნევია	გაუბნევია
უგღია	დაუგღია
უნთია	აუნთია
უწყვია	დაუწყვია

ბ) -აგ, -ამ თემის ნიშნიანი გარდამავალი ზმნებისათვის თურმეობითი პირველის წარმოების გაბატონებული ყალიბი ძველსა და ახალ ქართულში არის უნიშნობა. ფაქე თურმეობით პირველში, თუ არ ჩავთვლით პრეფიქსებს, წარმოდგენილია იმავე ხახით, როგორითაც აწმყოში.

აწმყო	თურმეობითი ძველ ქართ.
ვ-კლავ მე მას	მო(უ)კლავ მე მას
ჰ-კლავ შენ მას	მოუკლავ შენ მას
კლავ-ს იგი მას	მოუკლავ-ს იგი მას

ახალ ქართულში თურმეობითის I და II პირის ფორმებს დაერთო მეშველი ზმნა: მოუკლავარ მე მას, მოუკლავხარ შენ მას. ამგვარი წარმოება მხოლოდ -აგ, -ამ თემის ნიშნიან



ზმნებთან არის შესაძლებელი. სხვა შემთხვევაში მისი გამოყენების მაგალითები არა გვაქვს. ასეა გარდაუვალი სტატიკურ ზმნებთანაც, რომელნიც სპეციალურ ლიტერატურაში ტიკურ ენებთანაა⁴ არიან მიჩნეული⁴. ასეთი ზმნებია:

-აგ თემის ნიშნით:

- პნებაეს (წარტყ. მწ)
- უხილვედ: თუაღნი ზე უხილვედ (სახისმეტყ. 30)
- უძღაეს (დაბადება, 32,25)
- სიძინაეს (შდრ. ნამყოში ეძინა)

-ამ თემის ნიშნით:

ჩასდგამს (გორი რამ ჩასდგამს შუბის წვრად: ვაჟა-ფშაველა, „ბახტრიონი“).

ახალ ქართულში როგორც სასაუბრო მეტყველებაში, ისე დიალექტებში არის გათანაბრების ტენდენცია -აგ, -ამ თემის ნიშნით ზმნათა თურმეობითი პირველის ფორმებისა დანარჩენ ზმნათა თურმეობითის წარმოებასთან, სახედლობრ -აგ, -ამ თემის ნიშნების მაგიერ ჩნდება -ია დაბოლოება; მაგ:

მოუკლავს	მაგრამ	ამბობენ:	მოუკლია
ჩაუსხამს	„	„	ჩაუსხია
უთქვამს	„	„	უთქვია და სხვ.

ანალოგიური ტენდენცია სტატიკური ზმნის აწმყოშიც შეინიშნება. ძველ ქართულში დასტურებული -აგ თემის ნიშნის ადგილას ახალ ქართულში -ია დაბოლოებიანი ფორმა გვაქვს:

ძგ. ქართ. უძღაეს	ახ. ქართ. შეუძლია
უხილვედ	უხელია

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ძველიცა და ახალი ქართულიც არჩევს, ერთი მხრივ, -აგ, -ამ თემის ნიშნით ზმნებს და, მეორე მხრივ, ყველა დანარჩენებს როგორც თურმეობით პირველში, ისე სტატიკური ზმნის აწმყოში. გათანაბრების ტენდენციაც ორივე შემთხვევაში შეინიშნება. ეს გარემოება გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველისა და სტატიკური ზმნის კავშირზე მიუთითებს. ამ მხრივ საყურადღებოა ხევსურულის ჩვენებაც, სადაც ყველა ზმნის -ია დაბოლოებიანი წარმოების ადგილას გვაქვს -აგ ნიშნითი წარმოება, განურჩევლად იმისა, სტატიკური ზმნის აწმყოს ეხება საქმე თუ გარდამავალი ზმნის თურმეობით პირველს. ხევსურულში გვაქვს:

სტატიკური ზმნა	თურმეობითი პირველი
ღგულაგ (=კგულგობია)	გიქნაგ (=გიქნია)
ხკიდაგ (=ჰკიღია)	ამიღაგ (=ამიღია)
უსხაგ (=უსხია)	მინებუბაგ (=მინებუბია)
ანნაგ (=ანნია)	წაუყვანაგ (=წაუყვანია)
ხყენაგ (=ჰყენგობია)	გამიგონაგის (=გამიგონია)
უჭკრაგ (=უჭკრია)	გაუგონაგ (=გაუგონია) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ხევსურულში არის იმის საწინააღმდეგო ტენდენცია, რომელიც ხალიტურატურო ქართულში შეინიშნება. თუ ხალიტურატურო ქართულში -აგ, -ამ თემის ნიშნითი ზმნები -ია ტიპის წარმოებაზე გადადის და ამით უნიფიკაცია ხდება, ხევსურულში ყველა ტიპის ზმნათა წარმოება -აგ თემის ნიშნითებისას გაუთანაბრდა. ეს ტენდენციები მხოლოდ სტატიკური ზმნის აწმყოში და გარდამავალი ზმნის თურმეობით პირველში შეინიშნება. მაშასადამე, ამ ორი ოდენობის ურთიერთკავშირის გაგება ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა ენაში.

2. როგორც გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში, გარდამავალი ზმნა თურმეობით პირ-

⁴ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 327.



ველში შეიძლება წარმოდგენილი იყოს პირველი სერიის ფუძითაც და მეორე სერიის ფუძითაც ფუძეთა გარჩევის კრიტერიუმად გამოყენებულია თემის ნიშნის ქონა-არქონა, ფორმის, ფერისა და ფუძის დრეკა⁵. ამ თვალსაზრისით თუ დავეოფთ სტატიკური ვენებითის აწმყოს ფორმებს, მივიღებთ ორ ჯგუფს, რომელთაგან ერთი წარმოდგენილი იქნება იმ ფუძით, რომელიც პირველ სერიაში გვაქვს, ხოლო მეორე იმ ფუძით, რომელიც მეორე სერიაშია გამოყენებული.

ა) რთვ სტატიკურ ზმნას აწმყოში აქვს თემის ნიშანი, როგს - არა. თემის ნიშნები აქვთ: მპურავს, აკრავს, უჭირავს, მხურავს... თემის ნიშნები არა აქვთ: აბია, აბადია, აგდია, აბეგდია, ავროვია, ავადია, უკავია, უკეთია, ალავია, მძარხია და სხვ.

ბ) ფუძედრეკადი ზმნები ყველა უკლებლივ წარმოდგენილია თურმეობით პირველში უდრეკლი ფუძით. უდრეკელი ფუძით არის წარმოდგენილი სტატიკური ზმნაც აწმყოში: აბნევია, უბჯნია, აკმევია, უმწვედევია, ურევია, ურნევნია, აფრქევევია, უჭერია, უჭეპტია, უხელია, უხვევია... გამონაკლისი არ არსებობს.

გ) ფუძეკუმშვადი ზმნები თურმეობით პირველში წარმოდგენილია შეკუმშული ფუძით. ასეა აწმყოში სტატიკური ვენებითიც: მღერია, მყრია, მშლია, სხრია...

არის შემთხვევები (ხელ ოციოდვ ზმნა), როცა სტატიკური ზმნა აწმყოში უთემისნიშნოდა წარმოდგენილი, მის შესატყვის მოქმედებითს კი თურმეობით პირველში თემის ნიშანი აქვს, მაგ.: უკეთია - უკეთებია, ხატია - დაუხატავს და სხვ. ეს მოვლენა თავის ახსნას საჭიროებს.

სტატიკური ზმნების დიდი ნაწილი აწმყოში იმავე ფუძით არის წარმოდგენილი, რა ფუძითაც წარმოდგენილია თურმეობითში მათი შესატყვისი მოქმედებითი. მაშასადამე, თურმეობითი პირველი და სტატიკური ზმნის აწმყო მსგავსია არა მარტო სუფიქსაციით, არამედ ფუძითაც.

სტატიკურის აწმყო	მოქმედებითის თურმეობითი
უპყრევს	დაუპყრევს
უხილევს (სახისმეტყ.)	უხილავს
პრთავს (მ 13,27 C)	დაურთავს
მძოსივს	მუუძოსივს
ჩასდგამს	ჩაუდგამს
აგდია	დაუგდია
ავლია	დაუვლია
ანთია	აუნთია

და მრავალი სხვა.

3. სვანურში გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველი (ანუ ნამყო სრული) იწარმოება -ა სუფიქსის საშუალებით⁶.

ეს -ა აწარმოებს როგორც გარდამავალი, ისე რეალატიური გარდაუვალი ზმნის თურმეობითს, მსგავსად ქართული წარმოებისა. მაგ.:

მიმრ-ა	მიმზადდება	ამხატუნ-ა	დამხატვია
ჯიმრ-ა	ჯიმზადდება	აჯხატუნ-ა	დაჯხატვია
ხომრ-ა	უმზადდება	ათხატუნ-ა	დახატვია

ოგივე -ა გეხვედება სტატიკურ ზმნათა გარკვეული ჯგუფის აწმყოში იმ ზმნებისა, რომელნიც მნიშვნელობით ქართულის სტატიკურ ვენებითს უდგებიან:

სამოქა (სხვევია), ხაჭონა (ახვევია), ხირა (აწერია), ხაფრა (აფარია) და სხვები.

ეს -ა სუფიქსი, რომელიც გეხვედება სტატიკური ვენებითის აწმყოსა და თურმეობით პირველში, თავისთავად ამ ორი ნაკვიის ისეთსავე კავშირზე მიუთითებს, როგორც გვაქვს ქართულში „წერია - დაუწერია“ ფორმებს შორის. ასეთი ურთიერთკავშირის ნათელ იდუგებრად ციას სვანურში წარმოადგენს „წვა“ ზმნის მაგალითი.

⁵ არნ. ნიქობაძე ა., ვრგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, გვ. 92.
⁶ ვ. თოფურია, სვანური ენა, ზმნა, გვ. 174.

ქა წვა (ჩანს) - მიწვა (მინახავს)
აგრეთვე: ხორკალა (ურგეთა: სტატ. ვნებითი) - ქა ხორკალა (გაურგეთავს);
„ჩხარა ყვილ სვევბინ ხორკალა“

(სვანური პოეზია, გვ. 8).

ამგვარად, თურმეობითი პირველის კავშირი სტატიკური ვნებითის აწმყოსთან სვანურში ფაქტია.

4. თურმეობითი პირველის კავშირი სტატიკური ზმნის აწმყოსთან ნათლად ჩანს მგერულშიც. თურმეობითი პირველი ისევე ყურდნობა სტატიკური ზმნის ფორმას (იმ შემთხვევაში, როცა შესატყვისი სტატიკური ზმნა მოვითვება), როგორც ქართულსა და სვანურში.

ჭარუნ (წერია)	მიჭარუნ (მიწერია)
შდრ. ქა წვა (ჩანს)	მიწვა (მინახავს)
უპყრეის	დაუპყრეის
წერია	მიწერია, დამიწერია.

ყურადღებას იქცევს გრამატიკული სუბიექტის პირთა აღნიშვნა მგერული გარდამავალი ზმნის თურმეობით პირველში. პირველსა და მეორე პირში მხოლოდობითში გამოიყენება -ქ სუფიქსი, მესამე პირში - ხ, ხოლო მრავლობითში -თ I და II პირისათვის და -ან III პირისათვის. ამათში -ქ სუფიქსი მხოლოდ აწმყოში გეხვედება ყველა ზმნასთან, -ხ მხოლოდ აწმყოში გარდაუვად ზმნასთან (ტუნ - ძვეს; ჭარუნ - სწერია), -თ ყველა ნაკვთში და -ან რამდენიმე ნაკვთში აწმყოს ჩათვლით⁷. ეს იმას მოწმობს, რომ თურმეობითი პირველი მგერულში არათუ აწმყოს ფუძეს ყურდნობა, არამედ ფორმით თვით არის აწმყო.

5. როგორც დაინახეთ, თურმეობითი პირველი გარდამავალი ზმნისა, სამსავე ქართველურ ენაში ემთხვევა თავისი შესატყვისი სტატიკური ზმნის აწმყოს. საერთო გამოდის ფუძე, საწარმოებელი აფიქსები, წარმოების ყალიბის ევოლუციის ტენდენციები. ამდენად, ამ ორი ოდენობის თურთერთაკვშირი ფაქტია.

როგორდა არის ეს შესაძლებელი? რატომ არის, რომ ერთი და იგივე ფორმა გამოდის ერთ შემთხვევაში როგორც სტატიკური ზმნა, მეორე შემთხვევაში როგორც მოქმედებითი ერთ შემთხვევაში როგორც აწმყო, მეორეში - როგორც წარსული? ეს მხოლოდ იმითომ არის შესაძლებელი, რომ თურმეობითი პირველი გარდამავალი ზმნისა ისტორიულად არის არა წარსული, არამედ აწმყო, შეიძლება ვთქვათ, „აწმყო სრული“ ისეთივე მნიშვნელობისა, როგორი მნიშვნელობაც აქვს „პერფექტს“ თანამედროვე ევროპულ ენებში. მისი ფუნქციაა აღნიშნოს დასრულებული მოქმედების ფაქტი, აღნიშნოს, რომ მოქმედება მომხდარა, სულ ერთია - როდის, და მოცემულ მომენტში უკვე დასრულებულია.

თურმეობითი პირველის წარმოშობის ნათელ სურათს იძლევა „უპყრეის“ ზმნა. ამ ზმნის თავდაპირველი მნიშვნელობა არის მხოლოდ აწმყო. ის აღნიშნავს, რომ არსებობს (სტატიკური პირე) სუბიექტის მიერ ობიექტის პერსონის ფაქტი, აქედან კი განვითარებულია თურმეობითი პირველი (უპყრეის, დაუპყრეის). რომ მნიშვნელობის ამგვარი ევოლუცია შესაძლებელია, ეს ჩანს ერთპირიანი გარდაუვად ზმნის თურმეობითი პირველის მაგალითზე „წარსულად ვარ“ აშკარად აწმყოა, ამასთან სტატიკური, „წავსულვარ“ - დინამიკური ზმნაა წარსულში ისეთივე მნიშვნელობისა, როგორიც არის „დაუპყრეის“. „წარსულად ვარ“ ფორმიდან „წავსულვარ“ ფორმამდე ევოლუცია ქართულის წერილობითი ისტორიით არის დადასტურებული და უკვე არ იწყებს. მაშასადამე, ბუნებრივია „უპყრეის - დაუპყრეის“ შემთხვევაშიაც ანალოგიური შინაარსობრივი ევოლუცია ვივარაუდოთ.

როგორც ძველი ქართული, ისე სხვა ქართველურ ენათა მონაცემები მხარს უჭერენ იმ აზრს, რომ თურმეობითი პირველის პირვანდელ მნიშვნელობად სწორედ ეს „აწმყო სრული“ მნიშვნელობა ვცნოთ და მისი მნიშვნელობის სხვა ნიუანსები შემდეგ განვითარებულად მი-

⁷ საყურადღებოა, რომ ქართულშიც თურმ. პირველი გრამატიკული სუბიექტის პირთა აღნიშვნისათვის პირისა და რიცხვის მხოლოდ იმ ნიშნებს იყენებს, რომლებიც აწმყოში იხმარება: მხ. -ხ, -ფ, -დ, -ა, მრ. -ან, -უდ.

ეხიანოთ. საილუსტრაციოდ შეიძლება პირველ რიგში მოვიყვანოთ ახალი ქართული ენის ვითარება და უარყოფით წინადადებებში თურმეობითი პირველის ხმარების მაგალითები. ისეთი გამოთქმებით, როგორცაა: „ეს სურათი გინახავს?“ „მოსკოვში არ ვყოფილვარ“, სრულებით მოკლებულია თურმეობითობის გაგებას და მხოლოდ იმას გამოხატავს, რომ ზნით აღნიშნული მოქმედება დასრულებულად იფარაუდება ამ მომენტისათვის.

ამ მნიშვნელობით გვხვდება თურმეობითი პირველი წართქმით წინადადებებშიც („ამისთანები ბევრი მინახავს“), ოღონდ აქ უფრო ხშირად თურმეობითის ნიუანსი იხდევს.

თურმეობის გაგება შესაძლებელია სურათის ნაკლებად საერთოდ ნაკლებად იგონებას სევანურში. დამახასიათებელია ამ მხრივ, რომ გარდა შესაძლებელია სურათის სევანურს არაინვერსიული თურმეობითიც აქვს გამოთქმებული. ძველ ქართულშიც თურმეობითი პირველი ისეთ შემთხვევაშიც იხმარება, როცა აღსანიშნავია მოქმედება, რომელიც მომხდარა მოცემულ მომენტამდე, ხუდ ერთია – როდის, და ჩვენ მისი შედეგების მიხედვით ვმსჯელობთ. საილუსტრაციოდ შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა ძველი ქართულიდან. საყურადღებოა, რომ იმ შემთხვევაში, როცა ქართული ოთხთავი თურმეობით პირველს ხმარობს, გერმანულ ოთხთავში უმეტეს შემთხვევაში პერფექტის ფორმებია გამოყენებული:

თქვენ არახადა ვმად მისი გესმა, არცა ელევა მისი გიხილავს (ი 5,37)

Ihr habt nie weder seine Stimme gehört noch seine Gestalt gesehen.

ვამი ჩემი არდა აღსრულებულ არს (ი 7,8)

Meine Zeit ist noch nicht erfüllt.

ესე მცნებაა მომიღებებს შამისა ჩემისაგან (ი 10,18).

Solch Gebot habe ich empfangen von meinem Vater.

მე მიღებევს სოფელსა (ი. 16, 33).

Ich habe die Welt überwunden.

6. როგორც სტატიკური ვნებითის, ისე თურმეობითი პირველის დამახასიათებელი -ი-ე დაბოლოების პარალელურად შესაძლებელია პირში -ი-ა ტიპის წარმოშობაც გვხვდება ძველ ქართულში, მაგრამ იშვიათად. I და II პირში ამ ვარიანტით ნაწარმოები თურმეობითი I ძველ ქართულში ჩვენ მერ შესწავლილი ძველების მიხედვით არ ჩანს, -ი კი ყოველთვის არის სტატიკურ ვნებობის და თურმეობითშიც როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს -ი იგივეა, რაც ხოლმეობითის -ი, მაგრამ ხოლმეობითის -ი გვხვდება აგრეთვე მრავალი ზმნის აწმყოში. საკითხავია, რა გზით არის ეს -ი მოსული თურმეობით პირველში? გადმოყოლილია ის როგორც ხოლმეობითობის გაქვევებული, ფუძეს შეხორცებული ფორმანტი ხოლმეობითი მეორიდან (თუ თურმეობითი ხოლმეობითის ფუძეს იყენებს), თუ გადმოსულია სტატიკური ვნებობიდან? (ხოლმეობითის მამინ მხოლოდ იმდენად დაუკავშირდება, რამდენადაც აწმყოში -ი იგივე ხოლმეობითის -ი არის).

ვეფიქრობთ, მეორე შესაძლებელია უფრო სარწმუნოა. ჯერ ერთი, თუ დავეუშვებთ -ი სუფიქსის გადმოყვას ხოლმეობითიდან, მაშინ ის ძნელი ასახსნელი იქნება სტატიკურ ვნებობითში, სტატიკური ვნებობისა და თურმეობითის ფორმანტი იგივეობა კი ვაქტია. მეორეც, ის აუხსნელი დარება იმ ზნებში, რომელთაც აწმყოში -ი არა აქვთ, თურმეობითში და სტატიკურ ვნებობითში კი აშკარად პირველი სერის ფუძით წარმოგვიდგებიან. ასეთებია ფუძეები კადი ზმნები: უფენია – დაუფენია, აფრქვევია – დაუფრქვევია, უდრეკია და სხვ. ამგვარი მაგალითები მოწმობს, რომ -ი თურმეობითი პირველის საკუთარი მაწარმოებელია და არა გადმოყოლილი მოქმედებითი ზმნის ხოლმეობითი მეორიდან. -ი-ე დაბოლოება ქართულის წერილობით ძველებში დადასტურებული ისტორიის მანძილზე უკვე თურმეობითის საკუთარი მაწარმოებელია. მისი ხმარება მორფოლოგიურ ნორმად არის ქცეული.

ეს გარემოება ხსნის ერთ-ერთ დაბრკოლებას გარდაივლილი ზმნის თურმეობითი პირველისა და სტატიკური ვნებობის აწმყოს დაკავშირებისათვის, სახელდობრ იმას, რომ რაც ზმნას აქვს თურმეობითი პირველი, მაგრამ არ მოეპოვება შესატყვისი სტატიკური ვნებობით (მაგალითად „უქრია“ ტიპის ზმნები). თუ -ი-ე-ია ფორმანტით წარმოება მორფოლოგიურ ნორმად არის ქცეული უკვე უძველეს ქართულში, შესაძლოა ამ მორფოლოგიური ნორმის გაგრძელება „უქრია“ ტიპის ზმნებზედაც ვივარაუდოთ.



მეორე და უმთავრესი დაბრკოლება თურმეობითი პირველისა და სტატიკური ენების დაკავშირებისათვის ის არის, რომ თურმეობითი პირველი იყენებს მოქმედებისას სისხლისათებულ თემის ნიშნებს: **-ებ, -ობ, -ოფ, -ემ.** არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად ამ მოქმედებითის ფუძისათვის დამახასიათებელი სუფიქსების გამოყენება თურმეობით პირველში მეორეულია და ზმნის გააქტიურებით არის გამოწვეული. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ამ თემის ნიშნების გამოყენება მაინც ვერ დაჩრდილავდა თურმეობითი პირველისა და სტატიკური ენებითის აწმყოს ურთიერთკავშირის ფაქტს. ასეთ შემთხვევაში, როცა თურმეობითის ფუძეში მოქმედებითის სუფიქსები ჩანს, ამოსავლად დაგვრჩებოდა მასდარი, რომელიც მოქმედებითი გვარის ზმნებიდან გადმოყოლილ ნიშნებს შეიცავს: ცნობა - უცნობიეს, ცემა - მიუცემიეს... ასეთი ვარაუდის საბუთად ისიც გამოდგებოდა, რომ ორიპირიანი გარდაუვალი ზმნის თურმეობითი პირველი, რომელიც აგრეთვე **-იე** ტიპის წარმოებას მისდევს, აშკარად მასდარის ფუძეს იყენებს:

დგას	ადგენს	დგომა	დასდგომა
წვეს	აწვეს	წოლა	დასწოლა
ძღება	აძღობს	ძღომა	მისძღომა
წვდება	აწვედნს	წვდომა	მისწვდომა
უძღვება		ძღოლა	გასძღოლა
ჯდება		ჯდომა	დასჯდომა
იცის		ცოდნა	სცოდნია
რჩება	არჩენს	რჩომა	დარჩომა (მდრ. რჩენა - დარჩენია)
სკდება	ხეთქს	სკდომა	გასსკდომა...

ზემოთქმულს ისიც დაუჭერდა მხარს, რომ **-იე** ტიპის წარმოება სტატიკურ ზმნებთან უძველესი მოვლენაა. იგი გულისხმობს წარმოებას არაზმნური (სახელური ან გაუდიფერენცირებული) ფუძისაგან. მაშასადამე, ამ ყალიბით მასდარისგან ზმნის წარმოება, ე. ი. მისი ხელახლა „გაზმნავება“ მოულოდნელი არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ეს წარმოება (სტატიკური ენებითის შემთხვევაში) დღეს სახელურ ფუძეებთან გვხვდება: აქავია, აშავია და სხვ.

7. თურმეობით პირველში ძველსა და ახალ ქართულში **-ის** წინ ხშირად ჩნდება **-ნ**. ახალ ქართულში განსაკუთრებით ხშირია ეს აღმოსავლურ კილოებში.

ძვ. ქართულის გაიპოვნის	ახ. ქართულში გაიპოვინა გითოხინა გითხოვინა გაიკოცინა გიტყორცინა გცოდნინა უყოდნინა ულეწვინა უსესხინა
----------------------------------	--

ამ **-ნ**-ს წარმოშობა ნათელი არაა. მორფოლოგიური ფუნქცია მას არა აქვს არც დღეს, არც ქართულის წერილობით ძეგლებში. ის ფუძეში შესული უძველესი სუფიქსის ნაშთი უნდა იყოს. ის გვხვდება ზოგი ზმნის პირიან ფორმებში: კოცნის, თოხნის, ტყორცნის. ამ ზმნების თურმეობითში ის შეიძლება პირიანი ფორმიდან მომდინარედაც მიგვეჩინია. მაგრამ რჩება „გცოდნინა, გაიპოვინა, გითხოვინა“ ზმნები, სადაც **-ნ** პირიან ფორმებში არ არის. ასეთ ზმნებში ის მასდარიდან მომდინარედ უნდა ეცნოთ. ამდენად, თურმეობითისთვის აქაც მასდარი უნდა ვიგულოთ ამოსავლად. სხვა შემთხვევებში **-ნ** ანალოგიით შეიძლება იყოს გაჩენილი, როგორც ეს ხანათმცენიერო ლიტერატურაშია აღნიშნული.

არსებობს თურმეობითში **-ნ**-ს გაჩენის სხვა ახსნაც. მას ხსნიან იმ **-ნ**-ს ანალოგიით, რომელიც თურმეობით მეორეში გვხვდება. ამგვარი ახსნა რომ მართებული იყოს, მაშინ **-ნ** სისტემატურად უნდა ყოფილიყო თურმეობით პირველში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ **-ნ** მომდი-



ნარეობს -ენ სუფიქსისაგან, რომლიც ზმნის ფუძის მაწარმოებელია (ივ. ქავთარაძემქსლმონთქსს

თუ ნათქვამი სწორი აღმოჩნდებოდა, მივიღებდით ასეთ სურათს: თურმეობითი პირველი იქნებოდა იგივე სტატიკური ზმნის აწყოთ „უპირეს“ ტიპის ზმნეში და -აგ, -ამ თემის ნიშნიან ზმნეში, რომელთაც შესატყვისი სტატიკური ვნებითი აქვთ. აქედან -ი-ე ვალით წარმოების გაერკვლებას ვივარაუდებდით, ერთი მხრივ, „უქრია“ ტიპის ზმნეზე (რომელთაც შესატყვისი სტატიკური ვნებითი არ მოეპოვებათ) და, მეორე მხრივ, თემის ნიშნიან მასდარებზე, რომელთაც გამოყენებულთ გამოვიდოდა როგორც ფუძე თურმეობითის წარმოებაში. უცნობივს - უცნობა, მიუცნობის - მიუცნობა ტიპის დაბირისპირება აიხსნებოდა, როგორც ერთი და იმავე ზმნის პარალელური წარმოება ორივე ვარიანტით.

8. ქართული თურმეობითი პირველისა და სტატიკური ვნებითის -ი სუფიქსის შესატყვისი მგერულში არის -უ.

მიტახ-უ-ნ (მიტხია). შდრ. ძ-უნ (ძვეს)
მიჭარ-უ-ნ (მიწერია), ჭარ-უ-ნ (სწერია)

ეს -უ თემის -უნ ნიშნის ნაშთად ვერ მიიჩნევა, რადგანაც სისტემებზე გატარებულია როგორც იმ ზმნათა თურმეობითში, რომელთაც ეს თემის ნიშანი აქვთ, ისე იმ ზმნათა თურმეობითშიც, რომელთაც ეს თემის ნიშანი არა აქვთ.

ტახუნს (ტეხს) გუტახ-უ-ნ (გაუტეხია)
მაგრამ: რადგანს (დაბარაკობს) ურაგად-უ-ნ (ულაბარაკია)

ქართულის თურმეობითი პირველის დაბოლოების -ე ელემენტის შესატყვისი მგერულში არ მოიპოვება.

ქართული თურმეობითი პირველის -ა სუფიქსის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს არის „არს“ მეშველი ზმნის ნაშთი (ა. შანიძე). -ი სუფიქსი ვნებითი გვარის მიმდგომის -ილ სუფიქსის ნაშთად არის მიჩნეული (ნ. მარი). თუ ეს მოსაზრება სწორია, იგი თანაბრად გამოდგება როგორც გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველის, ისე სტატიკური ვნებითის -ია დაბოლოების ახასხენლად.

მაგრამ თურმეობითი პირველისა და სტატიკური ვნებითის ფუძე შეკვეცილ მიმდგომას არ შეიძლება წარმოადგენდნენ, რამდენადაც აქ ფუძეში ყოველთვის -ი გვხვდება, მიმდგომის სწარმოებული კი ყოველთვის -ილ სუფიქსი არ არის. მაგალითად:

დადგინებული, მაგრამ თურმეობითია: დამიდგინებებს...

ა. შანიძის მოსაზრების სახარებდლოდ დაბარაკობს ის გარემოება, რომ ამგვარ წარმოებაში გრამატიკული სუბიექტის პირველ და მეორე პირთან „ვარ“, „ხარ“ მეშველი ზმნაა გამოყენებული: „უნახივარ, უნახიხარ“, აგრეთვე: „უხატეხარ, ვწერეხარ“ და სხვ. ამავე ახსნის სახარებდლოდ დაბარაკობს ისიც, რომ ორპირიანი გარდაუვალი ზმნის თურმეობითი მეორეში მეშველი ზმნის ნაშთია გამოყენებული (აღმოსავლურ დიალექტებში):

სეოდნია, მაგრამ: სეოდნიყო, სეოდნიყო.

ფიქტობთ, არც ერთი ამ ორი ფაქტიდან გადამწყვეტი მნიშვნელობისა არ არის. პირველი ისევე მიღებული, როგორც „უხივარ, ვდგავარ“ ზმნები, ხადაც „ვარ“ მეშველი ზმნა დართულია „უხი“, „ვდგავ“ სტატიკურ ზმნებს. ეს მოვლენა დამახასიათებელია არა მარტო ქართული სათქვის, არამედ სვანურისთვისაც (შდრ. სვანური: სგურხვი || სგურ - ვხივარ). იმავე ტენდენციამ, რომელმაც გამოიწვია „ვარ“ მეშველი ზმნის დართვა სხენებულ სტატიკურ ზმნებზე, გამოიწვია მისი დართვა სტატიკურ ვნებითსა და თურმეობით პირველზედაც როგორც ქართულში, ისე სვანურში: ვაბივარ, ვუნახივარ... ხომარახვი (ეუშხადეხივარ). პირველ შემთხვევაში (ვხი-ვარ... სგურ-ხვი) მეშველი ზმნის დართვა აშკარად მეორეული მოვლენაა. მასხასადამე. მეორეული უნდა იყოს ის თურმეობითისა და სტატიკური ვნებითის შემთხვევაშიც.

რაც შეეხება გარდაუვალი ორპირიანი ზმნის თურმეობითი მეორეში „ყო“ მეშველი ზმნის გამოყენებას, ის შეიძლება თურმეობით პირველში შემოღებული მეშველ-ზმნიანი წარმოების თურმეობით მეორეში გად-ტანით აიხსნას. სტატიკური ვნებითის ნაშთში მეშველიანი წარმოება



არ გეხედება.

ა. შანთიას მისაზრების სახარებლოდ თითქოს ხევსურული ორპირიანი გარდაუვალი ზმნის თურმობითი ლაპარაკობს. ხევსურულში ასეთ შემთხვევაში -ა ნიშნის ადგილას გვაქვს -ას, რომელიც აშკარად „არს“ (ხევსურულად: ას) მეშველ ზმნას წარმოადგენს. თუ ამ -ას ნიშნის თურმობითისათვის პირველადად ვცნობდით, მაშინ ისეთი ფორმები, სადაც -ას ელემენტი არა გვაქვს, უკანასკნელის მოკვეციის შედეგად უნდა ჩაგვეთვაღა.

ხევსურულში გეხედება: დაგვედგომიგ - დაგვედგომიგ-ას
სცოდნივ
ხქიენებოგ...

შდრ. ხყონივას || ხყონივ
ხქონივას
გაზძლოდოის || გაზძლოდივას
ჩასწვევივას || მისწვევი
ზდგომივას სულ
მიახლოებოვივას
გახკვიდოის || გახკვიდივას...

მაგრამ ამის მიხედვით ზოგადი დასკვნა ვერ გაკეთდება. ხევსურულში ამგვარი წარმოება მოუღის მხოლოდ გარდაუვალ ორპირიან ზმნებს. არც გარდამავალი ზმნის თურმობითი პირველში, არც სტატიკურ ენებითში -ას-ით გათავებული ფორმა არ გეხედება. ასეთი წარმოება მიღებული უნდა იყოს I და II პირთა ფორმების გავლენით „მივსწვევივარ... მისწვევივას“... რაც შეეხება -გ-ს განქნას (მისწვევი), ის მიღებული უნდა იყოს ან პირველი პირის ფორმის ანალოგიით, სადაც -ვ მეშველ ზმნაში პირველი პირის ნიშანია (მივწვევი-ვ-არ) ან -ავ თემის ნიშნით ნაწარმოები „გაუკეთებავ, დაუკიდებავ“ ტიპის ზმნათა ანალოგიით, სადაც -გ-ს ქონა თურმობითი პირველისთვის მორფოლოგიურ ნორმად არის ქცეული.

-ა სუფიქსის წარმომავლობა მეშველ ზმნისაგან როგორც სტატიკურ ენებითში, ისე თურმობითი პირველში მოსალოდნელი იყო ქართველურ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო კონტექსტის მიხედვით⁸, რამდენადაც ამ ენებში გვაქვს სტატიკურ ზმნასთან მეშველი ზმნის გამოყენების ფაქტები. მაგრამ ქართველური ენების ფაქტობრივი ვითარება მაინც არ გვაძლევს -ას მიმართაც ამგვარი ვარაუდის უფლებას: მეგრულში მეშველი ზმნა იხმარება ერთპირიანი გარდაუვალი ზმნის თურმობითი პირველში (აღწერითი წარმოება), მაგრამ სრულებით არ ივარაუდება გარდამავალი ზმნის თურმობითში (შეიძლება ასეთად მიგვეჩნია -ქ სუფიქსი, მაგრამ ისიც მხოლოდ I და II პირში).

-ა, რომელიც ვლინდება სტატიკური ენებითის აწმყოსა და გარდამავალი ზმნის თურმობითი პირველში მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირში, იგივე უნდა იყოს, რაც -ა, რომელიც ენებითში ენაცვლება მესამე პირის ძველ ნიშნას: თეთრდების - თეთრდება, დგების - დგება. რომ სტატიკური ენებითის აწმყოში და მოქმედებითის თურმობითში ეს -ა ისეთივე მეორეული უნდა იყოს, როგორც ამ ენებითში, იქიდან ჩანს, რომ მრავლობით რიცხვში ორივე შემთხვევაში ის ნიშნები გამოიყენება, რომლებიც -ს ან -დ, -ნ პირის ნიშნებს შეესაბამება და არა -ას.

დგების, დგება, მაგრამ: დგებიან
უქრიეს, უქრია - გაუქრიან
პგონიეს, პგონია - პგონიან...

ამგვარად, თურმობითი პირველისა და სტატიკური ენებითის აწმყოს წარმოების -იე ვარიანტის შეცვლა -ია ვარიანტით ისევე უნდა აიხსნას, როგორც „თბების“ ტიპის წარმოების შეცვლა „თბება“ ტიპით აწმყოში.

რაც შეეხება -ვ სუფიქსს (უპერი-ე, დაუდგინებო-ე), მისი მომდინარეობა მეშველი ზმნისაგან ისევე მოსალოდნელია ქართველურ-კავკასიურ ენათა კონტექსტში, როგორც -ასი, მაგრამ ასეთი ვარაუდის სახარებლოდ საბუთები ჯერჯერობით არ ჩანს. ამ მხრივ ხაინტურესო იქ-

⁸ ქ. ლომთათიძე, ქ სუფიქსი მეგრულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, 1946.



ნებოდა იმის ცოდნა, -ა ენაცვლება ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში -უ-ს, თუ უნდა შევხვედეთ და მის ჩაჯარნანას იწვევს, ე. ი. „შუშობისა“ ფორმას წინ უსწრებდა „შუშობისა“ ფორმის გამოყენება არა? ბოლოდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ აქ -უ-ს მოკვებისთან გვაქვს საქმე.

9. გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე ქართულში თავის შესატყვის პრეფიქსიანი ვნებითის რელატიურ ფორმას ემთხვევა. ერთი და იგივე ფორმა კონტექსტის მიხედვით შეიძლება მესამე სერიის ფორმაც იყოს და მისი შესატყვისი ვნებითის მეორე სერიის ფორმაც. სინტაქსური კონსტრუქცია ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა.

მეორე სერია (ვნებითი)

დამეწერა მე იგი
დამეწეროს მე იგი

მესამე სერია (გარდამავალი)

დამეწერა მე იგი
დამეწეროს მე იგი

ამგვარადვე ეწარმოება თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე იმ ზმნებსაც, რომელთა შესატყვისი პრეფიქსიანი ვნებითი ენაში არ მოიპოვება:

მომეკლა მე იგი
მომეკლას მე იგი

გამეტყუა მე იგი
გამეტყუოს მე იგი

თურმეობითი მეორისა და კავშირებითი მესამის სხვა წარმოება გარდამავალ ზმნებთან ქართულმა არ იცის.

სტატიკურ ზმნას ქართულში, როგორც ცნობილია, მეორე სერიის წარმოება საკუთარი ფუძისაგან არ შეუძლია. სტატიკური ვნებითი და ზოგი -ავ ნიშნიანი ზმნა, რომელიც მნიშვნელობით სტატიკური ვნებითის ტოლია, ნამყო დროის გამოსახატავად თავისი შესატყვისი დინამიკური ვნებითის აორისტის ფორმას იყენებს, ხოლო კავშირებითის გამოსახატავად - მის კავშირებით მეორეს.

უპყრიეს - უპყრა, უპყრას
აბია - ება, ებას
უძღავეს - ეძღო, ეძღოს
სძინავეს - ეძინა, ეძინოს
ანებავენ - ენება, ენებოს

(უპყრობის ზმნის II სერიის ფორმები)
(ებმების ზმნის II სერია)
(ეძღლების „ „)
(ეძინების „ „)
(ენებების „ „)

-ამ თემის ნიშნიანი სტატიკური ზმნები ქართულში მცირეა. მათ ნამყო უწყვეტლის სუფიქსით ვხვდებით ახალ ქართულში:

ჩასდგამს, მოსდგამს, მოსდგამდა, მოსდგამდეს...

მიუხედავად ამისა, არ არის შეუძლებელი ეს მოვლენა მეორეულად მივიჩნიოთ ისევე, როგორც ბევრ სხვა ამგვარ შემთხვევაში, და „დგამს“ ზმნის ნამყოლ „იდგა“ ვივარაუდოთ ისტორიულად. მაშინ -ავ და -ამ თემის ნიშნიანი ზმნები ისევე მოექცეოდა ერთ სიბრტყეზე, როგორც ეძევა თურმეობითი პირველის წარმოებისას.

ამგვარად, გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე, ერთი მხრივ, და სტატიკური ზმნის ნამყო და კავშირებითი, მეორე მხრივ, შესატყვისი დინამიკური ვნებითის აორისტისა და კავშირებითის ფორმებს იყენებს. ამიტომ, თუ გვაქვს ერთი ძირიდან ნაწარმოები მოქმედებითი და სტატიკური ვნებითი, პირველის მეორე თურმეობითი მეორის ნამყოლ დაემთხვა, ხოლო პირველის მესამე კავშირებითი - მეორის კავშირებითის.

სტატიკური
ეპყრა, ეპყრას
ება, ებას
ეწერა, ეწეროს

მოქმედებითი (მესამე სერია)
დაეპყრა, დაეპყრას
დაება, დაებას
დაეწერა, დაეწეროს

10. სვანურში გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორე დინამიკური ვნებითის აორისტთან სიახლოვეს გვიჩვენებს. „ნამყო წინაწარსულს ნამყო სრულისაგან აორისტში გამოყენებუ-



ლი ვნებითის მაწარმოებელი ბოლოსართი ასხეავეს⁹. ეს ბოლოსართია ან თაქსინი დასაწყისი ტური ვარიაციებით. მოქმედებითი გვარის ზმნას ის მხოლოდ თურმეობით მეორე მხარეს ნამიკურ ვნებითს – მხოლოდ აორისტში.

მოქმედებითი

მიხტაგჳან (მეხატა)
ჯიხტაგჳან (გეხატა)
ხოხტაგჳან (ეხატა)

დინამიკური ვნებითი

ათეშიხან (დაეწვი)
ათშიხან (დაიწვი)
ადშიხან (დაიწვა)

ამგვარი დამთხვევა ქართულის ანალოგიურია.

იგივე პნ სუფიქსი გამოყენებულია სტატიკურ ზმნათა გარკვეული ჯგუფის ნამყო დროის საწარმოებლად. ეს სწორედ ის სტატიკური ზმნებია, რომელთაც აწყმოში თურმეობით პირველთან ხაერთო -ა ბოლოსართი აქვთ.

აწყმო

ხულვა (აქეს)
ხოყდანა (უჭირაეს)
ხამთქჳან (ხნეყვია)
ხაეხა (მქვია)
ხაირა (აწყრია)
ხაბჳა (პგონია)
ხაშჳადა (აჭყდია)
ხამიყდა (შეუძლია)
ქა წჳა (ჩანს)

ნამყო

ხულჳან || ხულჳანდა (ქჳონდა)
ხოყდანან (უჭირა)
ხამთქჳან (ხნეყოდა)
ხეჳან(და) (ერქვა)
ხეირან(და) (ეწურა)
ხებჳან(და) (ეგონა)
ხეშჳან (ეჭყდა)
ხემიყან (შეუძლო)
ქა წჳან(და) (ჩანდა)

აქ -და სუფიქსი ნამყო უწყვეტლისაა. ამ ფორმებში ის შეორეულია, რაც პარალელური ხულჳან – ხულჳანდა ფორმების არსებობიდან ჩანს. მისი დართვა გამოწვეულია იმით, რომ ხულჳან თუმცა წარმოშობით წყვეტილის ფორმაა, მნიშვნელობით უწყვეტელს უტოლდება. იგივე მოუღენაა ქართულში: სძინაეს – ეძინა (შდრ. არალიტერატურული ახალი ფორმა: სძინავდა).

თუ მოქმედებითსა და ამგვარ სტატიკურ ზმნას ერთი ფუძე აქვს, პირველის მეორე თურმეობითი ისევე ვითხვევა მეორის ნამყოს, როგორც ქართულში.

	სტატიკური		მოქმედებითი
აწყმო	ნამყო	თურმეობითი I	თურმეობითი II
ქუ წჳა	ქა წჳან (ჩანს, ჩანდა)	მიწჳა	მიწჳან (მინახეს, მენახა)
ხორკადა	ხორკალან (ურეკია, ერეკა)	ქა ხორკადა	ქა ხორკალან (გაურეკავს, გაურეკა)
შდრ.	უყერეს ეყერა	დაუჳერეს	დაეჳერა

ანალოგიის სისრულეს ქართულთან ის უშლის ხელს, რომ ქართულში გარდამავლი ზმნის თურმეობითი მეორეც და შესაფერი სტატიკური ვნებითის ნამყოც აუცილებლად ერთი და იმავე უ პრეფიქსით არის წარმოდგენილი (ეწურა – დაეწურა). ორივე ვითხვევა ერთმანეთს და შესატყვისი დინამიკური ვნებითის რელატიურ ფორმასაც, თუ კი ამ ზმნას პრეფიქსიანი ვნებითი მოვსოვება (ეწურა იგი, დაეწურა იგი მას, დაეწურა მას იგი). სვანურში კი მოქმედებითი გვარის თურმეობით მეორეში ქცევის აღხანიშნავად ო/ი პრეფიქსები იხმარება, ვნებითი გვარის სახხვისო ქცევის აორისტში – ო/ი რიგიც და უ/ც, ხოლო სტატიკურ ზმნათა ნამყოში

⁹ უ თოფურია, სვანური ენა, ზმნა, გვ. 178.



უშთაფრესად **ჟ**. უფრო იშვიათად **ო/ი** რიგში¹⁰. მაგრამ სხვნებული სამი ნაკეთის (სტატიკური) ნამყო, ვნებითის აორისტი, მოქმედებითის თურმეობითი მჟორე) ურთიერთმიმართვის იგივეობას ქართულსა და სვანურში ეს გარემოება მაინც ვერ დანრდილავს. ჯერ ერთი, ის ფაქტი, რომ ან სუფიქსი ამ სამ ნაკეთში გვაქვს და არსად სხვაგან არ გვხვდება უღვლილების სისტემაში, ამ სამი ნაკეთის ფუძეთა იგივეობაზე მიუთითებს, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განსხვავება ქცევის პრეფიქსებში. მჟორეც, **ჟ** და **ო/ი** პრეფიქსთა პარალელური არსებობა სტატიკურის ნამყოსა და ვნებითის აორისტში ნებას გვაძლევს მათი ამგვარივე პარალელური ხმარება ისტორიულად მოქმედებითის თურმეობითი მჟორისთვისაც ვივარაუდოთ. თუ ამას დაეუქმებდით, მაშინ **ო/ი** ქცევის პრეფიქსთა გაბატონება თურმეობით მჟორეში თურმეობითი პირველის გავლენისთვის უნდა მიგვეწერა, სადაც მხოლოდ ეს პრეფიქსები იხმარება.

ჯითხან („გეშოვა“ ვნებითი) და ჯითხან („გეშოვა“ თურმეობითი)
შდრ.: ჯითხა („გიშოვია“)

გახათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: სვანურში სტატიკურ ვნებითს ნამყოში საარვისო ქცევის ფორმებიც შეიძლება პქონდეს.

ქა წვა (ჩანს) - ქა წვან(და) (ჩანდა)

ქართულში კი სტატიკური ვნებითის ნამყო ყოველთვის **ჟ** პრეფიქსითაა წარმოდგენილი, რაც სათანაო, სასხვისო ან სახელო ფორმას გულისხმობს:

უყრია	ეყარა
აყრია	ეყარა
პყრია	ეყარა

უნდა ვიფიქროთ, რომ სვანურის თურმეობით მჟორეში ქცევის აღნიშვნა იმიტომ არის განსხვავებული ქართლისაგან, რომ განსხვავებულია შესატყვისი სტატიკური ზმნის ქცევის აღნიშვნა ნამყოში.

II გარდამავალი ზმნის კავშირებითი მესამე ქართულსა და სვანურში ისეთსავე შეფარდებაშია თურმეობით მჟორესთან, როგორშიც ვნებითის კავშირებითი მჟორე წყვეტილთან და სტატიკური ვნებითის კავშირებითი მის ნამყოსთან:

ქართული

სტატიკური: ეყრა - ეყრას	ეწერა - ეწეროს
ვნებითი:	დაეწერა - დაეწეროს
თურმ. II დაეყრა - დაეყრას...	დაეწერა - დაეწეროს...

სვანური

სტატიკური: ხეირან - ხეირენს (ეწერა - ეწეროს) ქა წვან - ქა წვენს (ჩანდა - ჩანდეს)	
ვნებითი: ადშიხანს - ადშიხენს (დაიწვა - დაიწვეს)	ჩვადმენან - ჩვადმენენს (დაბერდა - დაბერდეს)
თურმ. II: ხოირან - ხოირენს (ეწერა - ეწეროს)	ხოწვან - ხოწვენს (ენახა-ენახოს) ¹¹

ლაშხურში კავშირებითი მესამის ფუძეს ზოგჯერ კავშირებითი პირველის -დგ მაწარმოებელი ერთვის. სხვა კიდობებში იგივე ფორმანტი ერთვის სტატიკური ვნებითის კავშირებითის პირველ შემთხვევაში მისი დამატება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ კავშირებითი მესამის შინაარსობრივი შეფარდება თურმეობით მჟორესთან ისეთივეა, როგორიც კავშირებითი პირველისა უწყვეტელთან. მჟორე შემთხვევაში ის იმიტომ არის გამოყენებული, რომ სტატი-

¹⁰ ქ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 178-181; 203-204.
¹¹ ქ. თოფურია, სვანური ენა, I, გვ. 199, 205, 178-180, 181.



კური ვნებითის ნამყო და კავშირებითი (წარმოშობით აორისტი და კავშირებითი ვანდელ ენაში უწყვეტლისა და კავშირებითი პირველის ფუნქციით გამოდის.

12. მეგრულში მესამე სერის ნაკეთა ურთიერთმიმართება პრინციპულად განსხვავებულია იმისაგან, რასაც ქართულს და სვანურს გვიჩვენებს. გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე ისევე იწარმოება თურმეობითი პირველისაგან, როგორც კავშირებითი პირველი და უწყვეტელი აწმყოსაგან.

მიჭარუნ(ნ) - მიჭარულუ - მიჭარუდას (მიწერია, მეწერა, მეწეროს).

ეს ვითარება თანხვედა სტატიკური ვნებითის ვითარებას, სადაც ნამყო და კავშირებითი აგრეთვე აწმყოს ფუძისაგან იწარმოება:

ჭარუნ - ჭარულუ - ჭარუდას (წერია, ეწერა, ეწეროს).

მაგრამ არ თანხვედა დინამიკური ვნებითის აორისტსა და კავშირებით მეორეს მაშინ, როცა ქართულსა და სვანურში ეს ჩვეულებრივია.

13. ქართულშიც და სვანურშიც გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში ერთმანეთს უპირის-პირდება, ერთი მხრივ, თურმეობითი პირველი და, მეორე მხრივ, თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე.

ა) თურმეობითი პირველი თავისი ფორმით აწმყო, თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე - მეორე სერის ფორმები.

ბ) თურმეობითი პირველი თავისი ფორმით სტატიკურია, თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე - დინამიკური.

მესამე სერის ნაკეთა წარმოქმნა დასახელებულ სამ ნაკეთზე არ ჩერდება. ძველ ქართულში შენიშნულია „მესამე ხოლმეობითი“ (სულ რამდენიმე შემთხვევა):

ებრძანის (ცხოვრ. იოვანესი და ვფთვიმესი, 58,11)

ბრძოლა ეცის... შეგერბის... განვეღნიან, მოვეხრნიან (გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება)

თაგს-ედვის (იქვე)

ეტვირთენიან (ხრონოლრ. 168)¹².

ეს ნაკეთი როგორც ფორმით, ისე შინაარსით იმეგარსავე შეფარდებაშია თურმეობით მეორესთან, როგორშიც ხოლმეობითი მეორე აორისტთან. ენაში ის არ დამკვიდრდა, ალბათ, ხოლმეობითის საერთო გაქრობის მიზეზით.

ახალ ქართულში გვაქვს ისეთი ფორმები, როგორიც არის „გავგეუნება“ „გავაონილი გექნება“ ალბათ, გავიგონია“-ს მნიშვნელობით (გარე კახეთში მსმენია). ეს არის მომავლის ნაკეთი იმ დინამიკური ვნებითისა, რომლის აორისტი და კავშირებითი მეორე თურმეობითი მეორე და კავშირებით მესამეს ქმნის. ასეთი წარმოება იშვიათია, მაგრამ პროლექტიულია ცოცხალ მეტყველებაში.

ორივე სხვებულს ნაკეთი თავისი წარმოებით თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეს ეკედლება და უპირისპირდება თურმეობით პირველს.

14. ამგვარად, ქართულისა და სვანურის უღვლილების სისტემაში გვაქვს სამი სხვადასხვა ნაკეთი, რომლებიც იმდენად ემთხვევა ერთმანეთს ფორმის მხრივ, რომ შეუძლებელია მათ შორის გენეტური კავშირი არ ვიგულოთ. ეს ნაკეთებია: სტატიკური ზმნის ნამყო და კავშირებითი, დინამიკური პრეფიქსიანი ვნებითის აორისტი და კავშირებითი მეორე, გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე. სტატიკური ვნებითი რომ ნამყოსა და კავშირებითში დინამიკური ვნებითის ფორმებს სესხულობს, ეს ფაქტია, მაგრამ რა მიმართებაშია მათთან გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე? სტატიკური ზმნის ნამყოსა და კავშირებითის ფორმებს ივენებს იგი თუ დინამიკური ვნებითი აორისტი-კავშირებითისა? ვფიქრობთ, რომ საკითხი პირველი შესაძლებლობის სახარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ასეთი გადაწყვეტის სახარგებლოდ დაპარაკობს მეგრულის ვითარებაც, სადაც

¹² ა. შანიძე, ერთი უცნობი შქარივი ძველ ქართულში, გვ. 4-10.



გვაქვს პრეფიქსიანი დინამიკური ვნებითი, მაგრამ თურმეობითი მეორე მაინც არსებობს ტიპური ვნებითის ნამყოფი იყენებს, ხოლო კავშირებითი შესაძლოა მის კავშირებითს:

ჭარუნ - ჭარულუ - ჭარუდას (წერია, ეწერა, ეწეროს)
მიჭარუნ - მიჭარულუ - მიჭარუდას (დამიწერია, დამეწერა, დამეწეროს).

ასეთი გადაწყვეტა უდავოდ მოხალღნდელია, თუ მართალია ვარაუდი, რომ თურმეობითი პირველი არის სტატისკური ვნებითის აწყო. მაშინ თურმეობითი მეორე და კავშირებითი შესაძლოა იქნება ამავე ზმნის ნამყოფი და კავშირებითი, გამოხატული იმ დინამიკური ვნებითის ფორმით, რომელსაც სტატისკური ზმნა ნამყოფა და კავშირებითის გამოხატავად იყენებს. შესაძლოა სერიის ნაკვთთა შინაარსობრივი შეფარდებაც ამგვარ ვარაუდს ადასტურებს. ეს შეფარდება ისეთივეა, როგორც პირველი სერიის ნაკვთთა აწყო-უწვევტელ-კავშირებითისა. პირველი თურმეობითი გამოხატავს დასრულებული მოქმედების არსებობის ფაქტს აწყოში, მეორე თურმეობითი გამოხატავს ამგვარი ფაქტის არსებობას იმ მომენტში, რომელსაც საუბარი ეხება (აქედან - თანამდევრობის გაგება). ხოლო კავშირებითი შესაძლოა - ამგვარი ფაქტის არსებობის შესაძლებლობას ან სურვილს. საყურადღებოა, რომ კავშირებითი შეიძლება გამოხატავდეს ამგვარი ფაქტის არსებობას მომავალშიც, ე. ი. გვინებდეს, რომ ესა და ეს მოქმედება დასრულებული იქნება ამა და ამ დროისათვის (ეს გამომდინარეობს კავშირებითის ფუნქციიდან - აღნიშნის მომავალი დრო).

„იხდრე არღა ყვიწნოს ქათამსა, სამ გზის უვარ-მყო მე“ (მათე, 26,75).

თურმეობითობის გაგება თურმეობითი პირველის მსგავსად არც ამ ორ ნაკვთში იგრძნობა ძველი ქართულის ძველებში.

15. შესაძლოა სერიის ნაკვთთა შინაარსობრივ ურთიერთობაზე ნათელ წარმოდგენას მოგვცემს მათი შედარება ევროპული ვნების „პერფექტის“ დროებთან.

ინგლისური	გერმანული	ფრანგული
აწყო პერფექტი: I have seen	Ich habe gesehen	j' ai vu შდრ. მინახავს
ნამყო პერფექტი: I had seen	Ich hatte gesehen	J' a vais vu მენახა

ქართული გარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, შინაარსობრივად უდგება გერმანული, ინგლისური და ფრანგული გარდამავალი ზმნის პერფექტს, ხოლო ქართული თურმეობითი მეორე ამ ვნების პლუსკუამპერფექტს, ანუ „წარსულ პერფექტს“. რაც შეეხება გარდაუვალ ერთპირიან ზმნას, მისი პერფექტის დროთა წარმოება ევროპულ ვნებში ზუსტად იმეორებს ქართულის თურმეობითობებს როგორც შინაარსით, ისე ფორმით.

გერმანული	ქართული
Ich bin gegangen	წარსლულ ვარ
Ich war gegangen	წარსლულ ვიყავ

მსგავსი შინაარსის გამოხატავად სხვადასხვა ენამ მსგავსი ხაშუალება გამოიმუშავა.

16. ორპირიანი გარდაუვალი ზმნის თურმეობითი მეორისა და კავშირებითი შესაძლოა წარმოება სხანურში გარდამავალი ზმნის ყალიბის მისდევს. თურმეობითი მეორე იმავე -ან სუფიქს დართავს, რასაც გარდამავალ ზმნასთან, კავშირებითი შესაძლოა კი იმავე -უნ სუფიქსით წარმოგიდგება.

ხეყენჰნ	(ყოლოდი)	ხეყენჰნ (ყოლოდე)
ხეყენჰნ	(ყოლოდი)	ხეყენჰნ (ყოლოდე)
ხეყენჰნ	(ყოლოდა)	ხეყენჰნს (ყოლოდეს)

ქართულში საწინააღმდეგო ვითარება გვაქვს. თურმეობითი მეორე და კავშირებითი შესაძლოა რელატიურ გარდაუვალ ზმნას თურმეობითი პირველისაგან ეწარმოება -ოდ უწვევტლისა და -ე

კავშირების ფორმანტა საშუალებით.

სკოდნია – სკოდნოდა – სკოდნოდეს.

ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ თურმეობითი მეორე ენაში გაგებულა როგორც თურმეობითი პირველის ნამყო უწყვეტელი, ხოლო კავშირებითი მესამე – როგორც მისი კავშირებითი. გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორისა და კავშირებითი მესამის წარმოებასთან შედარებით ასეთი წარმოება გვიანდელი უნდა იყოს: ის გულისხმობს მესამე სერის მწკრივითა დასრულებული სისტემის არსებობას შინაარსობრივი შეფარდებით: აწყო, უწყვეტელი, კავშირებითი. მაგრამ გასარკვევია: გეჭონდა ამ ზმნებში ვარდამავალი ზმნისათვის დამახასიათებელი წარმოება, რომელიც მერე -ოდ წარმოებით შეიცვალა, თუ ამგვარ ზმნებს თურმეობითი ხაერთოდ არ ეწარმოებოდათ და მათი მესამე სერია ხაერთოდ გვიანდელი წარმონაქმნია.

უძველეს ძეგლებში ორპირიანი გარდაუვალი ზმნის თურმეობითი ხაერთოდ არ გვხვდება. ჩნდება შედარებით გვიან.

ის გარემოება, რომ -ოდ სუფიქსი, რომელიც რეატიური გარდაუვალი ზმნის თურმეობითი მეორეში იხმარება, უძველესი ფორმანტა, „სკოდნოდა“ ფორმების გვიანდელად მიჩნევისათვის დაბრკოლება ვერ იქნება. თუმცა ეს სუფიქსი ძველია, მაგრამ დღესაც ცოცხალი ფორმანტა, მაშასადამე, შესაძლებელია ენამ იგი იხმაროს ახალ ნაკეთში, თუ კი შესაფერისი შინაარსის აღნიშვნა გახდება საჭირო. ამის მაგალითად შეიძლება გამოვლავს „ბნელოდა“ „ცხელოდა“ ტიპის ზმნები, სადაც -ოდ ფორმანტის დართვა აშკარად შემდეგდროინდელი მოვლენა (აწყოში: ბნელა „ბნელ არს“, ცხელა „ცხელ არს“).

შეიძლება დავასკვნათ: ვარდამავალი ზმნის თურმეობითი პირველი ქართულურ ენებში წარმოადგენს ისტორიულად სტატიკური ზმნის სახევის ქცევის აწყოს.

თურმეობითი მეორე შესატყვისი სტატიკური ვნებითის ზმნებთან იგივეა, რაც ამ ზმნათა ვნებითის ნამყო. ასევე კავშირებითი მესამე წარმოადგენს შესატყვისი სტატიკური ვნებითის კავშირებითს. იმ მოქმედებით ზმნებზე, რომელთაც სტატიკური ვნებითი არ მოეპოვებათ, მესამე სერის წარმოებისას არსებული მორფოლოგიური ნორმა გავრცელდა.

მაშასადამე, ვარდამავალი ზმნის მესამე სერია ქართულურ ენებში მიღებული ჩანს სტატიკური ვნებითის აწყოსა, ნამყოსა და კავშირებითისაგან მხოლოდ მნიშვნელობის ვოლუციის შედეგად. უკანასკნელმა ასახვა ვერ პოვა ფორმაში რომელიმე მაწარმოებლის სახით (თუ არ ჩავთვლით, ერთი მხრივ, პრევერბის დართვას სამსავე ქართულურ ენაში, რაც არსებითი არ არის, და, მეორე მხრივ, სხვაობას ქცევის აღნიშვნაში სვანურში, რაც აგრეთვე ვუძეს არ ეხება).

- ღუაწლი კეთილი მოგიდგაწებებს: ხანძთ. იმ 29.
რომელთა დაძვირებებს უგალი: იობ. 8, 13.
ღედაუნა დაძვირებია: ი. გოგებ. II, 375.
ღიდ ხანს არ დაძვირებია ესმას: გ. წერეთ. 34,18.
არა სხესხა... ხუმდრებულისაგან ჰქონებია: ტიბიკ. 52,9.
ნათესავთა ჩემთა... მიმსახურებია: ტიბიკ. 10,17.
როგორც უმსახურებიათ, ისევე მსახურონ: დოკუმ. I, 394 (1738 წლ.).
მაშანი და პაპანი თქუენნი... ერთგულელებასა შიგან დაპოცილან და ჩუენთა გუართათეს
უმსახურებიათ: საქ. სიძე. I, 2(1451 წ.).
ორი დღე მკა, ორი დღე ბარვა დამიდებია: დოკუმ. I, 15 (1603 წ.).
სხუაი არაი ეისი მომიხმარებებს: რკონის სიგელი: ქრონიკ. II, 134,8.
რა გუარიცა ამას წინათ ჰქონებია: დოკუმ. I, 3 (1477 წ.).
როგორც თქუენს მამა-პაპას ჰქონებია, ისეთ თქუენთვის გვიბოძებია: საქ. სიძე. III, 453
(1739 წ.).
ძალიან საქმე ჰქონებიათ: ე. ნინოშე. I, 15,18.
რომ სხვაზე მდიდრულად მქონებოდა სახლი მორთული: ლ. არდაზ. 67, 25.
რომ სალიტერატურო ფონდი მქონებოდა: ი. გოგებ. I, 432.
ვისიც სიყვარული უნდა ჰქონებოდა: აკაკი, IV, 331,16.
თითქოს მერე თვალიც შუშის ჰქონებოდეს: რ. გვეტ. კრებ. 1948 წ. 88, 28.
- აქედან და ქვემოთ აღწერილი მაგალითებიდან ჩანს, რომ აწმყო-მყოფადის -ებ სუფიქსი
გადაყვება პირველ და მერე თურმეობითში აგრეთვე ისეთ ზმნებს, რომელნიც ნაკლები
ნაკეთების შესავსებად ვნებითის ფუძეს იყენებენ; ამავე რიგისა ჩვეულებრივ ზოგიერთი უ-
პრეფიქსიანი ვნებითიც: იცის: ეცო დ ი ნ ე ბ ა – სცოდნებია; ე ს ა ხ ე ბ ა – ჩახახებია:
- თითქოს სდომებია მთელი საფლავი... გულში ჩაიკრასო: ილია, II, 324.
მაგას ქე სდომებია მაცის საცოლო: ა. ფურც. 50.
უფროსის სდომებია თავის ცოლისდა ანდრისა გაურვიოს: ი. ეკალ. 37,15.
თუ შენი სული ჩაჰსახებია ვისმე: ილია, II, 61.
ომი დაღვივია, შეილო, მამას არ დაკითხებისარ: ლ. ქიან. II, 40.
შეიძლება ჩვენს უნებურად მტრის მხვერავებს შეგჩებებოდეს: მის. მრველ. 51.
არ იფიქროთ, რომ მე შურისძიება მდომებოდეს: აკაკი, 380.
რაც ავს კაცს დამართებოდეს: დოკუმ. I, 49. (1673 წლ.).
- მაგრამ უ-პრეფიქსიანი ვნებითი გვარის იმ ზმნებისათვის, რომელთაც აწმყო-მყოფადში
-ავ თემატური სუფიქსი აწარმოებს, თურმეობითის უფრო ძველი და ტიპობრივი სახეობაა
დაძვირებულნი სალიტერატურო ენაში. ამ ძველი სახეობისათვის ამოსავალია აწმყოს უძვე-
ლესი გარიანტი, რომელიც -ებ სუფიქსით არაა გართულებული: მალ-ავ-ს: ე-მალ-ვი-ის (შდრ.
ე-მალ-ებ-ი-ს), აქედან: და-მალ-ვი-ა. ასეა ყველა -ავ სუფიქსიანი ზმნა: დამართვია (ილია, II,
238), დაფარვია, დაკარგვია და ა. შ.
- თურმეობითის ფუძის წარმოება ამ ხაზით როდი წარმართა, როცა შემთხვევაში აწმყოსუ-
ლი -ებ სუფიქსი ან შეცვალა -ნ სუფიქსმა, ან ზოგჯერ ნაწარმოებ ფუძესაც კი დაერთო (მა-
გალითად: ეძებს || ძებ-ნი-ის: მომეტებ-ნ-ა: ა. ყაზბ. 152; შობ-ს, შვა-ს: უშობ-ნ-ია; ი. გოგებ. I, 158.
შდრ. ძველი ქართული: არამე მაგას უშობზე შენ: კიმ. I, 136,29). ამგვარად, ზემოთ განხილუ-
ლი ზმნური ფუძეები ან ტიპობრივად მათთან ახლო მდგომი, შემდგენიარადაც იხმარება დი-
ტერატურაში:
- ლაშქარი მითხოვნია: საქ. სიძე. I, 34 (1611 წლ.).
ამილახორისაგან მიშოვნია: იქვე.
უგლოვნია და დაუმარხია: ი. გოგებ. I, 494; ი. მანაბ. II, 483.
სიკოს სამი წლის გლოვის შემდეგაც არ დავიწყნია... დედა: ე. ნინოშე. II, 245,37;
I, 128,22.
რაც მთავარია, დაგვიწყნიათ: მის. მრველ. 9.



რავა დამეიწინია... ჩემი ხელმოხა: ა. ბელიაშვი. იუმ. 31,32.

არ დაგვიწინათ ცეკვი: რ. გვეტ. 10.

ბავშვებს არ დაეიწინათ... მშვენიერი წიგნი: „ლიტ. და ხელოვნ.“ 1952, LVII, 2.

შენ ბატონობა გდომნია: ბან. 448,9.

არც იმის უბედურება მდომნია: ილია, II, 421.

ანალოგიით -6 ჩნდება კაუზატივის ფუძის მქონე სახელებში და ზმნებში: მირთმე-ნა, ჭმე-ნა (ავსახუთის საკათალიკოსოს გლეხთა დავთარი, XVI - XVII სს., გვ. 56); ამის ფუძე-ქაშად მომირთმე-ნა: საქ. სიძე. III, 128 (1578 წლ.). -ებ შეცვალა -ნამ აგრეთვე ტყორც-ნა, ტყორც-ნის ფუძეებში.

ძველ ქართულში ზოგიერთი ზმნისათვის პირველი თურმეობითის საწარმოებლად აწყმოს საზიარო ფუძე იყო გამოყენებული, ახალში იგი მეორე სერიის (ნამყო წყვეტილის) ფუძით შეიცვალა, ანდა პირიქით¹². ვფიქრობთ, ამ ასპექტში უნდა შეიძლება დავსვათ საშუალო გვარის ზმნათა პირველი თურმეობითის ფუძის განხილვა. საგულისხმოა, რომ საშუალო ზმნათა მონაცვლე ფუძე (დანაკლისი ნაკეთების შესახებად გამოყენებული) -ებ სუფიქსიანია და ეს სუფიქსი თურმეობითში ჩვეულებრივ გადასყვებოდა ხოლმე. როგორც ზემოთ აღწერილი ერთი ტიპის მაგალითებიდან ჩანს, ეს წესი დაცულია უფრო ადრინდელ ძეგლებში და ნაწილობრივ თანამედროვე სალიტერატურო ენაშიც (შდრ. უყვარს: უყვარ-ება - ჰყვარ-ება-ი...). მაგრამ აქეს, ჰყავს ზმნებში და აგრეთვე როგორც გარდასავალ ფუძეებში მასდართან ან მეორე სერიასთან სახიარო ფუძე გამოყენებული. ასე, რომ ამ სახით საკმაოდ გავრცელებული და ზოგიერთი მათგანი უკვე დამკვიდრებულიცაა (მაგ. ჰქონია):

სასაფლაო არა ჰქონიათ: საქ. სიძე. III, 178. (1797 წლ.).

ჭელი ჰქონდეს და ამ წესით ემსახუროს: დოკუმ. I, 29 (1645 წლ.).

ორი დღე მუშაობა დამიდვია: დოკუმ. I, 15 (1716 წლ.)...

პირველი თურმეობითის აწყმოსე დაყრდნობილი ფუძიდან თანდათანობით იღვენება -ავ, -ებ სუფიქსები და მათ ადგილს -6 სუფიქსი იჭერს.

-ავ სუფიქსიანი ზმნები. I და II თურმეობითი:

შენთვის რამდენჯერ შემომიფიცნია: საქ. სიძე. III, 35 (1788 წლ.).

შინ არ შემოუხედნია: ილია, II, 43.

ლაპარაკი ვერ გაუბედნია: ი. გოგებ. I, 213.

როგორ გაგებდნიათ ხელის მოწერათ: აკაკი, I, 46.

არც ჩემს თვალს წაუკითხნია: ი. გოგებ. I, 420.

არავისთვის არ მიუბამნია: ი. ჯავახ. ხისტ. მწერლ. I, 288.

თავი არ დაუზოგნია ნიკოს გამოზრდაში: აკაკი, I, 88.

უყოფელი ნდობა დაუკარგნია მოყვასთა შორის: ი. გოგებ. I, 158.

ძლიერ მოუშართნია ხელი სკოლისათვის: ი. გოგებ. I, 151.

საქმე უფრო კიდევ აუწეწნია: ი. გოგებ. I, 181.

„წყალსაც უზიდნია ცხორიცა და ქვეყანაც“: ა. ყაზბ. II, 74.

ბუნებულს თვალები დაუხუჭნია: ი. გოგებ. I, II, 58.

მომილოცნია, თბილის-ქალაქი: გ. ლეონ. სამგ. 15,11.

სიმინდიც უპარნია ამ არამზადას: ხ. შანშ. მოთხრ. 225.

ჩემნი ამბავი გეკითხნა: საქ. სიძე. III, 77 (1798 წლ.). ასევე: ი. გოგებ. I, 329; ილია, II, 37;

დ. ქიან. II, 10; ხ. შანშ. მოთხრ. 101.

ნათესაენი თან მოჰყოლოდნენ და ეფიცნათ: საქ. სიძე. II, 127 (1706 წლ.).

ვერვის გაებედნა წასულთ: ახალი ქცა 36,13. ასევე: ი. გოგებ. I, 407; ი. ჯავახ. ხისტ. მწერლ. I, 231; დ. ქიან. II, 64, 174.

რომ... ცალმხრივ არ შეეხედნა: ი. გოგებ. I, 433. ასევე: დ. ქიან. II, 38; ხ. შანშ.

¹² არნ. ნიქობაძე, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში: ლიტერატურული ძიებანი, III, 1943, გვ. 134.

მოთხრ. 278.

უკანასკნელი ვალდებული იყო... ფინხი... ეზიდნა: ი. გველე. 214,13;

დარაბის ჭკურტუნიდან ეზვერნა: ს. შანშ. 36.

ღრუბლები აღისფრად შეედებნა: ს. შანშ. 187.

კარგა ხანია გადაელახნათ ძველი ჩეგულება: მიხ. მრველ. მოთხრ. 6.

გზა და ბილიკი... მტვერს გადაელესნა: იქვე. 104.

ქალი ცდილობდა იმედი დაეთესნა ადამიანის გულში: იქვე. 84.

ეკიმისათვის მიგემართნათ და არა ჩემთვის: ი. მანაბ. II, 78.

შარვლის ტოტები ჩაეკეცნა ჩექმებში: ილია, II, 195.

რომ მფორეებს... პირველებს... მაგალითის მიხედვით წაებამნოთ: ი. გოგებ. II, 136.

საერთო წესისა და ძველი ლიტერატურული ნორმის მიხედვით თითქოს -ებ სუფიქსი უნდა აქონოდა პირველსა და მფორე თურმეობითში ქვემოთ ჩამოთვლილ ზმნებს, მაგრამ უფრო ხშირად არის ამგვარადც:

ბერუა დაუპატიენია ღვინოსა: ი. გოგებ. I, 179.

ზოგჯერ ავტორი თვით მოთხრობას გაუტაცნია: ი. ჯავახ. საისტ. მწერლ. 130; ასევე:

ი. გოგებ. I, 260; ვაჟა I, 166,34; ილია, II, 31; მიხ. მრველ. 85; უიარაღო, მამულ. 85.

არ უღალატნია სინიღისხათვის: გ. ჩიქოვანი, კრებ. 1948, 533,18; ასევე: მიხ. მრველ.

158,7; „ლიტ. და ხელოვნ.“ 1952, № 31, გვ. 4.

მშვენიერი ნაწარმოები შეუმატნია ჩვენი ლიტერატურისათვის: ი. გოგებ. I, 136.

თითო წინადადების მეტი არ გამოუმეტნია: ი. ჯავახ. საისტ. მწერლ. I, 204.

ჭველ სხვაგან მოუკიდნია: საქ. სიძვ. III, 323 (1797 წ.). ასევე: ი. გოგებ. I, 69; 78.

ჩემს გამძღვლს სწყენია და ეს უპასუხნია: აკაკი, I, 4; ასევე: ი. გოგებ. I, 550; ილია, II,

87; „ლიტ. და ხელოვნ.“ 1952, № 31, გვ. 2.

პატარა მოწაფეს უკარნახნია: ს. შანშ. მოთხრ. 317.

სამზარეულოში მოუკალათნია: ნ. ლორთქ. II, 26; ასევე: თ. რაზიკ. 373, 14; ი. გოგებ.

მოთხრ. 57.

ორპირობა არახოდეხ მიკადრნია: ი. გოგებ. I, 424.

მეც მოვგონებთვარ გაჭირების ჭამს და აი, გაუმარჯენია კიდევ; ლ. ქიან. მოთხრ.

კრებ. 373.

წეროს დაეპატიენა და ქოთანში მოეხარშა საჭმელი: ილია, II, 410; ასევე მიხ. მრველ. 3.

სახალხო სკოლისათვის აეკიდნა კისერზე ეს მოვალეობა: ი. გოგებ. I, 101; ასევე:

თ. რაზიკ. 211,12; ა. ყაზბ. I, 18; კ. ლორთქ. 380; 385; მიხ. მრველ. 82.

რადგან ხმის უმეტესობა დაადგენდა, ის უეჭველად თვითველ წვერსაც უნდა ეკისრნა:

აკაკი, I, 105; ასევე: ი. გოგებ. I, 65, 246.

დაცვა და ველარ ადგა, ფრთაში ძაღლს ეღალატნა: გ. ლეონ. სამგ. 79, 4.

ვერ ჰპოვებდა ვერც ვერაფერს ძლიერს და მტკიცეს, რომ ესღა ეკარნახნა მისთვის:

ბარნოვი, ფერად-ფერად 354,25.

ცდილობდა... აღერსისათვის თავდაჭერილი ღიმილით ეპასუხნა: მიხ. მრველ. 25.

უნის მეტად გაეტაცნა: ა. ყაზბ. I, 120,23; ასევე: ბარნოვი ფ.ფ. 320,10; ბ. ჩხეიძე 558,40;

ს. შანშ. 58; ი. გოგებ. მოთხრ. 73.

რომ მოწაფეების რაოდენობას ემატნა: ი. გოგებ. I, 266.

რომ თავი არ გამოუმეტნა, მეფეც დატყვევებული შეიქნებოდა: ი. გოგებ. მოთხრ. 288.

გადებობტნა უშველებელს სავსე რუმბუდ: ილია II, 229.

ცუცხლთან... ახლო... მოეკალათნა... კატას: ლ. ქიან. II, 39,55.

მირიფე უფანაურამდე ცხენი მექირავნა: ილია, II, 23.

ზოგთ მკედრების თავში დაებუნდათ: ი. მანაბ. I, 53.

გადაწყვეტილი აქონდათ ან გაემარჯენათ, ან ბრძოლის ველზე დახოცილიყვნენ:

ი. გოგებ. მოთხრ. 68.

აღნიშნულ შემთხვევებში -ნ სუფიქსი გამოდის -ებ სუფიქსის მინაცვლელ პირველსა და მფორე თურმეობითში მაშინ, როცა აწქეშში ზმნა -ებ ნიშნინია. რაც შეეხება -ავ სუფიქსი-



ნებს (პ-ხედ-აგ-ს), თურმეობითებში გამოვლენილი -ნ აქ ანალოგიით განიხილია. მანკელისხობა, რომ დადასტურებულია ზმნის პარალელური ფორმები -ნ და -ვბ სუფიქსით მხარეთ-მხარეთობითში და მათი თანაბარი მნიშვნელობით ხმარება:

-ვბ სუფიქსით:

- ჩხა-მახობე თქვენთვის მიჩუქებია: გ. ერისთავი, გაყრა, 157.
- მეთხოზა მიჩუქებია შენთვის: ილია, II, 214.
- ახანურობა მიჩუქებიაო: ე. ნინოშვი. I, 6,9.
- სიცოცხლე უჩუქებია შენთვის: დ. მანხანელი, 21.15.
- რაკი გაუმინდვრებია და გაუგაცნია, როგორღაც ის დევგირული ხმა ჩასწყვეტია [თურგს]; ილია, II, 9.
- შემცდარხარ, ვერ გიანგარიშებია კარგად: ლ. ქიან. II, 42.
- კერძო ინტერესებით არ მიხელმძღვანელებია: იქვე, 101.
- ქულაჯა ეჩუქებია: გ. წერეთელი, მოთხრ. 448,3, ასევე: ა. ყაზბ. მამის მკვლ. 211,39; კ. ლორთქიფ. 289,3.
- შესაძლებლად ვცანი ეს ქალი თეატრში დამეპატიებინა: ჭ. ლომთ. II, 63,1.
- ბევრჯერ დაუეპატიებიაო: გ. წერეთ. 156,3, ასევე ვაჟა, V, 60,2.
- დიდისა და საზოგადოებათვის... არ მიღალატებია: აკაკი, I, 72.
- რომ დესპინე გაეტაცებინა დილაძე: ე. ნინოშვი. II, 162,3.
- სავევრელას შეიღდი მოემარჯვებინა: შ. არაგვისპ. 198.
- პასუხი ვეღარ მოეხერხებინათ: ა. ყაზბ. ელგუჯა, 122,1. ასევე: აკაკი, IV, 405,19.

-ნ სუფიქსით¹³:

- ფშაველეთისათვის უჩუქნიათ პანკისი და ალვანი: «ლიტ. გაზეთი», № 15, 1954, გვ. 4. [„გოგოთურ და აფშინაში“] ვაჟას თავის თავი უგულისხმნია გოგოთურის სახით: იქვე.
- სხვა აღარაეინ უნდომნია: ილია, II, 325.
- „უნდა მეხერხნა რამე, რომ საწყალი გოგო მახეში არ გაბმულიყო“: ილია, II, 89.
- კომისია იყო არჩეული, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შეემუშავნა... წესდება: ვ. გუნია, 156.
- ფრთხილობდა მედუქნე – ზედმეტი არ ეანგარიშნა: ს. შანშ. 180.

ამგვარად, აქ განხილულ ფუძეებში ცხადია -ნ და -ვბ სუფიქსების მონაცვლეობა არსებითი ფუნქციური განსხვავებულობის გარეშე. რამდენადაც მეორე თურმეობითი ახალ ქართულში, ჩვეულებრივ, პირველი თურმეობითის ფუძეს ემყარება, ამდენად უანგარიშებია და ეანგარიშნა ტიპი უნდა მიეინიშნოთ ერთი და იმავე აღნაგობის ზმნის ორ მონაცვლე ფორმად, თითოეული მათგანი შეიძლება დასტურდებოდეს ორივე ნაკვეთში.

აღწერილ ზმნურ ფუძეთა უმეტესობის დამახასიათებელი ისაა, რომ აწმყო-მყოფადის ფუძეს აქ -ვბ სუფიქსი აწარმოებს. მაგრამ ამის მოუხედავად -ნ აქაც ჩნდება. იგი გვაქვს სწორად -ი სუფიქსიან ან ფუძედრეკად და მარტივთემიან ზმნებშიც:

- ესე ყოველი... მოგვიყიდნია: საქ. სიძე, II, 117.
- ერთი ჩითმერდინი უყიდნია: ილია, II, 145.
- ჯოჯი ვეღარ გაუყიდნია: მის. მრველ. 99. ასევე: უიარაღო, 1954, 85.
- „კბილით ხორცი მიგლეჯნია... ჩემი სისხლი მიწოვინა“: ილია, II, 105.
- არც ნათესავები დაუხოცნიათ თქვენთვის: ს. შანშ. 15.
- ბატონის გული ცხელი ტყვიით გაუხვრტენია: ა. ფურც. 4.
- სოსანას ძლიერ უნდოდა თან გაეყოლოდა ან ეშეულნა როგორმე მისთვის: ი. გოგობ. მოთხრ. 312. ასევე: მის. მრველ. 218.
- კარგი იქნებოდა სახხვისოდ არ გაეხადნა თავი: ილია, II, 285.

¹³ მაგალითები შეადარე აგრეთვე ზემოთ.



აქ მოვეყარნათ თავი აღვანედ მწვემსებს: მის. მრველ. 7.

მულია დიდხანს ილოკავდა თავის იარას... რომ სისხლის დენა შეეწვიტინა მისი მითხრ. 78.

პირველი რიგები ზერისა უკვე ჩამოეკრფინა... ახალგაზრდობას: მის. მრველ. 71.

ყველა ცდლობდა თავისი გრძნობები ამ ხელისმოწერაში ჩაეკსოვნა: მის. მრველ. 16.

საქართველოს დასცემოდნენ და ჩხუბი აეტეხნათ: ი. გოგუბ. 223, 289.

როცა ხევიანს გაიფილიდა... წინიდანაც სროლა აეტეხნათ: დ. ქიქ. II, 71.

არ ვიცოდი, რომ უნდა დამეზღვევინა: ს. შანშ. 282.

„მიწვევინა უღელი“: ილია, II, 40.

ხანდრო... ხალხს აივინს მოაჯიროთან მიეგულიტინა: მის. მრველ. 139.

მოვეყანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ზმნის ფუძის აგებულებას -ნ სუფიქსის განენისათვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მისი შენარჩუნებისათვის ფუძისეულ თანხმობებს ერთგვარი გაკლენა შეიძლება ჰქონდეს.

რატომ და როგორ განხდა აქ -ნ სუფიქსი?

ცნობილია, რომ პირველი თურმეობითი აწმყოს ფუძეს იყენებს, მეორე თურმეობითი კი წვეტილის ფუძეს ეყარება. მაგრამ ეს ჩვეულებრივია ახალი ქართულის ზოგი მაგალითის ჩვენებით. საქმე ისაა, რომ სხვა შემთხვევებში პირველი თურმეობითი აწმყოს ფუძესაც იყენებს და წვეტილისასაც. „თურმეობითი პირველის წარმოების სხენებული ორი ტიპიდან უფრო ძველი ის ტიპი უნდა იყოს, სადაც ამოსავალია აორისტის ფუძე (მეორე ჯგუფის დროთა ფუძე)“¹⁴. ამდენად სარწმუნოა, რომ ზემოთ აღწერილ ფორმათაგან უფრო ძველია ის ფუძე, რომელშიც -ვბ სუფიქსი არა ჩანს. მართალია, -ვბ სუფიქსიანი წარმოება ძველ ქართულში გვაქვს (მოუღებებს, მოგიღუაწებოებს...), მაგრამ იგი ერთგვარი ნეოლოგიზმი ჩანს, რასაც, სხვათა შორის, ახალში ზოგი ზმნის უსუფიქსო ფორმებით შეცვლაც ადასტურებს. ახალი ქართულის მიუღია, მიღეაწია... ტიპის ზმნები სალიტერატურო ენის ფუძე-დალაქტების შემონატანი ჩანს.

იგივე შეიძლება ითქვას მეორე თურმეობითის შესახებაც: ახალ ქართულში აქ აწმყოს (resp. თურმეობითი პირველის) ფუძეც გვაქვს და წვეტილისაც. გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითი სახეებით ემთხვევა ე- პრეფიქსიან ზმნათა წვეტილს: მოქმედებითი დააწერა, დაუხოცა; ენებითი დაეწერა, დაეხოცა. ეს დაეწერა, დაეხოცა ამავე დროს გარდამავალ ზმნათა მეორე თურმეობითიცაა. ეს უფრო სავარძნობი იყო ძველ ქართულში, რადგანაც ენებითის ე- პრეფიქსიანი წარმოება უფრო გავრცელებული იყო ზოგიერთ ფუძეში, ვიდრე -დ სუფიქსიანი: აღეღნიშნა, აღეხრულა, დაემკედრა, დაემყარა...¹⁵

ძველ ქართულში სისტემებურ გატარებულია მეორე თურმეობითის ამგვარი წარმოება. ამოსავალი ფუძე არა პირველი თურმეობითი, არამედ ნამყო წვეტილი. ასეთი ვითარება სწორად უნდად მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ზოგ ქართველ მწერალთანაც შეინიშნება. მსგავსი ვითარება ქართული ენის მთის დიალექტებში, აგრეთვე ინგილოურში, ფერეიდნულში, ქიზიურში.

რამეთუ იგი ნეტარსა დედასა ფებრონიას განუხარდა და მამისა გრიგოლისდა დამოწაფა: ხანძთ. პ. ინგოროყვას გამოც. 87,25.

სინოთგანვე ღუნოე და ცოროც არა შეკვდა პირსა მისსა, ვინათჳან ქრისტესსა განეკუთნა სული თვისი: იქვე, 14,8.

[გრიგოლ] აღზრდილ იყო კელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა... რომელსაცა ეწეილა: იქვე, 14,1.

შემდგომად სამისა დღისა შეველით ნავსა, რომელსა დაეზამთრა მას ჭალაკსა შინა: საქმე მოციქ. 28,11.

და ერდეს მას, რამეთუ მრავლით ეამითან გრძნებითა განეკურნეს ივინი: იქვე, 8,11. რომელნი ბრძოლასა შინა დაშურეს და რომელნი მცველად დაეტევნეს, მათ ვერვე მისცა დავით ნაწილი; კიმ. II, 184,20.

¹⁴ არნ. ნიქოპაძეა, თურმეობითი პირველის წარმოების ერთი თავისებურება ქართულში: ლიტერატურული ძიებანი, III, 1943, გვ. 137.

¹⁵ ა. შანშე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 368.

რეა წელი დაეყო სუკავს ლაურასა განმკებლობასა და სკუთოპოლისს
ნახტური: კიმ. II, 216,31.

ესენი იყვნეს, რომელთა შვეჩუნენ თქუშული კრებულისა ქალკიდონისა: კიმ. II, 180,6.
და მოეზადა ყოველი სპკმარი: კიმ. II, 209,6.

მოვიდეს... ძენი და ცოლი მისი უდაბნოდ, სადა-იგი დაებანაკა მთასა მას სინას: გა
მოსვლათაა, 18,5.

მეფე გიორგის სოფელი ებოძა თქვენთვის: საქ. სიძე. II, 332 (XVII ს.).

ამის მუტი ამბავი არ ვიცოდი, რომ მომესხენა: საქ. სიძე. III, 32, 1787 წ.

მეორე ოქმი კიდევ ამიღახვარ მდივანბეგზედ ებრძანა: დოკუმ. I, 65. (1680 წ.).

სიგელი ვნახეთ, ესრეთ ეწერა და გაერთვა: საქ. სიძე. I, (1611 წ.).

რუს წყალი მარნეულელთ მოენდომათ: საქ. სიძე. I, 1706 წ.

საყდარი გაეკეთა და გაეახდებინა: თ. ჟორდანი, ქართლ-კახ. საბუთ. 33. (1710 წ.).

ბატონს თეიმურაზსაც ვერეთ დაემტკიცა: საქ. სიძე. III, (511, 1710 წ.).

ტაძარი თქუენი სულეკურთხეულთა ჳკლმწიფეთა... აღებადღენეს და ედიდნეს: დოკუმ.
I, 415, (1746 წ.).

ჯგუფად მომგროვდა ყოველიფერი, რაც კი დამეტრევა ჩემს... ჳკვეანაში; ილია, II, 11.
დაეკვირვა თვალი ხატებისათვის და ტუჩებს აცმა ცუნებდა: ილია, II, 440.

მრავალ საეკუო სულიერებს შეეძლოთ შიშინობის დროს აქ თავი შეეფერათ: ილია,
II, 130.

კერასთან ცეცხლის შორი-ახლო ძაღლი იწვა... თავზედ ბანჯგლიანი კული გადმოე-
ფარა, ცხვირი კუდის ბოლოში წაყო და ეძინა: ილია, II, 321.

„გაღებულთავე ჩემთვის ბაკში, ერთი ღაზათიანად გამოემძინა“: ილია, II, 235.

სულელს ფიქრადაც არ მოუვიდა, რომ თითონ გაეგებინა ყველაფერი: ილია, II, 209.

ვერ მოეგონა, სად ენახა: ილია, II, 231. ასევე: ს. შანშ. 125; უიარაღო, 114.

აუტოროს... უნდოდა... განეხიარა მკითხველისათვის თავისი საგრამატიკო მოსაზრებანი:
ი. გოგუბ. I, 159.

რომ მის სისხლისთვის მიმენიჭოს მეფის ღირსება: ი. შანშ. I, 38.

რომ ჩემს დღეში არ წამეჭეზოს ჩემი ხელმწიფე: ი. შანშ. I, 36.

მე ვალად მყოფ მორჩილება გამომეცხადა: ი. შანშ. II, 16.

გაიგე, როგორ დაემცირა თავი ღორდ მასტინგს იმ დედაკაცის წინაშე: ი. შანშ. I, 8.
ცოტა რომ გამეჭარვა მისი წუხილი, ბაასი ისევ შექსპირზე ჩამოვაგდე: ვ. გუნია, 161.

განიერი... შარვალი წინდებში ჩაეტანა: კ. ღორთქ. 380.

ნანას არ უნდოდა დაეჯერა: „ლიტ. გაზ.“ 1954, № 13, გვ. 3.

ამგვარად, კონტექსტის გარეშე გადმოეფარა, ეკურთხა, ჩაეტანა... შეიძლება
ვნებითის ნამყოფევილიც იყოს და გარდამავალი ზმნის თურმეობითი მეორეც. მაგრამ ეპო-
ქათა განმავლობაში ვინს გრამატიკული წყობა იცვლება, იგი უფრო დახვეწილი და სრულ-
ყოფილი ხდება, ენა თავიდან იშობებს ომონიმურ ფორმებს, სცვლის მას უნიფიცირებული
ფორმებით. უნიფიკაციის შედეგები გამოჰქვამდა როგორც ვნებითი გვარის ზმნათა წარმოე-
ბაში, ისე თურმეობითი მეორის გამოხატვაში. თუ ძველ ქართულში ვნებითის პრეფიქსიანი
წარმოების გვერდით სუფიქსიანი აქა-იქ შეინიშნება (მაგალითად: გან-ე-მტკიც-ნეს ფერკნი
მისნი || გან-ე-მტკიც-ნეს ფერკნი მისნი: საქმე მოციქ. 3,7 ა, გ), ახალ ქართულში უკანასკნე-
ლი საბოლოოდ დამკვიდრდა ან მკვიდრდება. ჩვეულებრივია: უპირისპირდება, გაუმკლავდა⁶
განუმტკიცდა და სხვა¹⁷, ნაცვლად ეპირისპირება, გამკლავა, განმტკიცა... ფორმებისა, თურ-
მეობითი მეორისათვის კი პირველი თურმეობითის ფუძე ექნა გამოყენებული. ასე რომ, პირ-
ველსა და მეორე თურმეობითს შორის ფუძეთა წარმოების მხრივ ძირითადად ისეთი მიმართუ-
ბა დამყარდა, როგორც ახალ ქართულში აწმეოსა და ნამყოფე უწვეტელს შორის: გააკე-
თებეს - გაუკეთებია, ხოლო გააკეთა - გაეკეთა წყვილების ნაცვლად სალიტერა-
ტურო ენაში გვაქვს: გააკეთებეს - გაუკეთებია - გაეკეთებინა. ამიტომია, რომ

¹⁶ შდრ. გამოგუემკლავება: ილია, II, 1941, გვ. 171.

¹⁷ იქ ქაკეთარაკე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 311.



მეორე თურმეობითის ზემოთ მოყვანილმა ფორმებმა გადმონაშთის სახე მიიღო და უმჯობესად შემთხვევაში **-ებ-ინა** დაბოლოებით შეიცვალა: დაეკვირვა → დაეკვირვებინა ცირა → დაემცირებინა, გამექარვა → გამექარვებინა და ა. შ.

მაგრამ მეორე თურმეობითში **-ებ** აღმოჩნდა იმ შემთხვევებში, როცა იგი პირველ თურმეობითშიც მოიპოვებოდა. სხვა შემთხვევაში ამის ადგილზე **-ნ** სუფიქსი შეინიშნება. ამიტომ ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მეორე თურმეობითის ფორმები ეკუთვნის **-ნა** (ი. ჯავახიშვილი, საისტ. შწერლ. I, 169) და ეკუთვნის **-ებ-ინა** ერთდროულად, მაგრამ სხვადასხვებან ჩნდება: მათ გამოყენებაში თავდაპირველად დიალექტური სხვადასხვაობა შეიმჩნევა (**-ებ** უფრო დახველური ფენის კუთვნილება ჩანს). ასეა თუ ისე, ამ სუფიქსების გამოყენებას შედეგად მოჰყვა გარდაუვალი ზმნის ნამყოფევეტილისა და გარდამავალთა მეორე თურმეობითის ფორმათა განსხვავება. საგულისხმოა, რომ **-ნ** სუფიქსის გამოყენება მეორე თურმეობითში, განსაკუთრებით ისეთ ზმნებთან, რომელთაც აწმყოში **-ებ** ნიშანი არა აქვთ, გარკვევით აუღენს დაპირისპირებას ნამყოფევეტილსა და თურმეობითს შორის გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში:

- ნამყოფევეტილი
შეელახა = შეილახა მისი
- „იქნებ არ წასულა და მე დამემალა“:
ა. ყაზბ. 533.
- გაძღა ცხვარი და დაეყარა: თ. რახიკ.
210, 1.
- მაგდენი ფიქრით ფერი სულ დაეკარგა:
შ. არაგვისპირელი, II, 517.
- დაეხარჯა = დაიხარჯა მისი
- აეიდა = აკიდეს მას
- დაებდა = დაიბადა მისი
- ებრძოლა = ბრძოლა გაუმართა
- მოელაპარაკა = მოლაპარაკება აწარმოა
- ეთამაშა = ითამაშა მასთან

- თურმეობითი მეორე
რომ... თავმოყვარეობა მისი არ შემელახნა:
ი. გოგებ. I, 311.
- მაგიდას დაყრდნობოდა და სახე მკლავებში
ჩაემალნა: ხ. შანშ. 58.
- აქ მოყვარნათ თავი აღვანელ მწვემსებს:
მიხ. მრველ. 7.
- თუნდაც თოკი არ დაეკარგნა: ხ. შანშ. 269.
- იმის დრო ხომ მქონდა, რომ მეგობრებში...
დრო დამეხარჯნა (პრეს.).
- შესაძლოდ რაცხდა... სკოლისათვის აეკიდნა
კისურზედ ეს მოვალეობა: ი. გოგებ. I, 101.
- ამ მოვლენას უნდა დაებადნა ის უცნაური
შეცდომა: ი. გოგებ. I, 176.
- ყველა სწარმოს რომ... მეტი ენერგიით
ებრძოლნა (პრეს.).
- „მე მინდოდა დათიკოსთან მომელაპარაკნა“.
ილია, II, 99.
- იმის დრო ხომ მქონდა, რომ ამხანაგებში
პრეფერანსი მეთამაშნა (პრეს.)

ამჟვარივეა წარმოებით **გაეხადა** და **გაეხანდა**, **დაეკითხა** და **დაეკითხნა**, **მოეთხოვა** და **მოეთხოვნა**, **ჩაიკეცა** და **ჩაეკეცნა** და რიგი სხვა, რაც ლიტერატურაში იხმარება. რაც შეეხება პირველ თურმეობითს, აქ **-ნ** სუფიქსი მეორე თურმეობითში გაჩენის იმედროულად ვლინდება. ასე, რომ ძნელია თქმა – იგი აქ მეორე თურმეობითში ანალოგიით იყოს გაჩენილი¹⁸. ეს იმით უფრო ნაკლებ სარწმუნოა, რომ პირველი თურმეობითი ზოგჯერ სხვაგვარადაა ნაწარმოები, ვიდრე მეორე (შდრ. **დაეხარჯნა** და **დაუხარჯავს**). თუ ანალოგიაზე მივსვამთ საქმე, მაშინ **-ნ** ორივე თურმეობითში ანალოგიით შეიძლება იყოს გავრცელებული. და ამ ანალოგიის საფუძველი, როგორც ეს აღნიშნულია, ისეთი ზმნები იქნებოდა, რომელთა ფუძეში **-ნ** მოიპოვება (შოენა, პოენა, მოთხოენა და მისთ). დამახასიათებელია, რომ **-ნ** სუფიქსი დინამიკური გარდამავალი ზმნების თურმეობითშია, ხოლო სტატიკური გარდაუვალი ზმნების აწმყოში იგი არ შეიძლება. ამიტომ გვაქვს, ერთი მხრით: უხარია, უწერია, უთესია, უყენია (ურეში ეზოში უყენია), და, მეორე მხრით: უხარ-ნ-ია, უწერ-ნ-ია, უთეს-ნ-ია, [მ]ოუყენ-ებ-ია. მართალია, უკანასკნელი ფორმები უზმნისწინოდ

¹⁸ შდრ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 455, § 493.



არ იხმარება (და ამითაც განსხვავდება სტატიკური აწმოსაგან), მაგრამ **-ნ**-ს სტატიკურად ინც ანგარიშგასაწევი:

გაუხარნია მის ჭროლა თელას: ს. შვალობლ. I, 180,4.
ვისაც სიურმეში არ **გაუხარნია**: კ. გამსახურდია, დიდოსტ. 82,21.
ცოტაოდენი სიკეთე **დამითუნსია**: ი. გოგუბ. I, 314.

მაგრამ ძირითადი განსხვავება **-ნ** სუფიქსიანი ზმნებისა სხვა ფორმებისაგან აქაც მინც ამოსავალი ფუძის თავისებურებაში მდგომარეობს: **-ნ** სუფიქსი გეხვდება ისეთი საშუალო გვარის ზმნებში, რომელთაც გარდამაგალ ზმნათაგან აქვთ ნახესხები ფორმები, ანდა ხათავისო ქცევას აწარმოებენ განსხვავებულად¹⁹. ამიტომ ძირითადად პარადიგმა ასეთია: ხარობს – გაიხარა – გაუხარნია; ახარებს – გაიხარა – გაუხარებია:

ვინ იცის, რამდენი... ქერივი თუ ობოლი **გაიხარებიათ** სიძარღლით: ლ. არდაზ. 167,9. [ბაღდაძე] დამინერგავს გულში და... ცრემლით **გამიხარებია**: ა. ჭუმბაძე, 190,10.
დაამუშავებს – დაამუშავა – დაუმუშავებია; მუშაობს – იმუშავა – უმუშავებია; ჩემთვის **მიმუშავებია**: საქ. სიტყ. III, 529, (1789 წ.).
მოძღვარს სეინდისიერად **უმუშავებია**: ი. გოგუბ. I, 149.
რაც გიორგი მთაწმინდელს **უმუშავებია**: ი. ჯავახიშვი. I, 148.
ახალგაზრდობასთან ბევრი **უმუშავებია** სტუდიის მთავარ რექტორს: (პრეს.).
აგემებს – აგემა – უაგემებია; იგემებს – იგემა – უიგემებია;
ბევრს თქვენგანს ზანთრის სუსხი ამის მებრად არ **უაგემებია**: თ. რაზიკ. 377,5.
ვისაც ოდესმე სიყვარული გამოუცვლია, მას **უაგემებია** თვით სიკვდილი: კ. გამსახურდია, დიდოსტ. 233,22.
ასესხებს – ასესხა – უსესხებია; ისესხებს – ისესხა – უსესხებია;
რაც მედიცინაში უებარი წამალია, ექიმებს ხალხისაგან **უსესხებია**: ი. გოგუბ. I, 156.
ბევრჯერ **გვისესხებია** მისგან ფული. გ. წერეთელი, 177,11.
დააფიქრებს – დააფიქრა – დაუფიქრებია; ფიქრობს – ფიქრა – უფიქრებია;
დიდხანს აღარ **უფიქრებია**: ილია, II, 78.
ილიკოს გაქცევა აღარ **უფიქრებია**: ი. ეკალაძე, რწ. 9,18, ასევე თ. რაზიკ. 231,17;
გ. ნინოშვი. II, 228, 23...
ავტორს ყველაფერი წინდაწინვე **მოუფიქრებია**: ი. ჯავახ. ხასიტ. შწერლ. I, 67.

ამგვარადვე უნდა აიხსნას **უსაუზმნია** (ს. შანშ. 297), **ულაპარაკნია** (ნ. ლორთქ. თხზ. 162), **უავადმყოფნია** (ფ. გოგინაშვილი, ი. გოგუბ. კრებ. 280) **უმოქმედნია**, **უნადირნია** (გ. წერეთ. 382,30), **უქიფიფნია** (ილია, III, 26), **დაუძინია** და **დაუძინებია** ზმნების ხმარება თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურასა და პრესაში.

მართალია, **-ნ** და **-ებ** სუფიქსების გამოყენებაში ასეთი განაწილება იგრძნობა, მაგრამ ეს არაა ძველი მოვლენა; მათი მონაცვლეობა მათი ოდინდელი ერთობის მანერნებელია. ამგვარი მონაცვლეობა ერთსა და იმავე ფუძეში ზვეთიაც აღინიშნა: გაუმარჯვებია || გაუმარჯვენებია; დაუმსახურებია || დაუმსახურებია (ი. გოგუბ. I, 158); დაუმართებია || დაუმართებია (ლ. ქიან. II, 26) და სხვ.²⁰ დანარსენ შემთხვევებში **-ნ** ფონეტიკურ მიზეზთა გამო არ ჩანს, თორემ **-ებ** სუფიქსის მონაცვლედ ის ივარაუდება: დასცვლია || დასცვლებია, პყოლია || პყოლებია ტიპის ფორმები ამის დამადასტურებელია. თუ ფონეტიკური პირობა დამაბრკოლებელი არაა, **-ნ** სუფიქსი თითქმის ყოველთვისა წარმოდგენილი. საყურადღებოა, რომ რამდენიმე ენებითი გვარის ზმნაში დღეს ხალიტერატურო ენაში **-ნ** სუფიქ-

¹⁹ ამის მიხედვით არის განსხვავებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ფორმები: გაიჭრიალეს – გაუჭრიალნია; დააძახებს – დაუძახებია; დაუძახებს – დაუძახნია, თუმცა **-ნ** და **-ებ** სუფიქსების ხმარებაში ნორმატიულობის პრინციპი არაა დაცული: აინავარდებს – აუნავარდნია, მაგრამ გაინავარდებს – გაუნავარდნია || გაუნავარდებია; გაუტაცნია || გაუტაცებია...
²⁰ შერ. დააძახებინა-ნ მნიშვნელობით იმერსულში დააძახებნია (იმან ემრი ქნა, თელალს დააძახნია: TP. VII, გვ. 61).



სის გავრცელებისაკენ უფროა მიდრეკილება: შესცივდა - შესცივნია (შდრ. მოკშივედა - მოკშივნია (შდრ. მოკშივებია), ასტიკვდა - ასტიკვნია (შდრ. ასტიკვებია), მოუნდა - მოხდოვნია (შდრ. მოხდომებია), ჯანი გაეარდა - ჯანი გა-
ვარდნია (ილია, II, 160) და ა. შ.

მაგრამ ასეთი წარმოება ყველგან არ დამკვიდრდა. ვნებით გვარის ორპირიან ზმნათათვის თურმეობით პირველში ხან -ენ სუფიქსიანი ფუძეა (დახავლურ დიალექტებში უპირატესად), ხან მასდარის ფუძე დახვდა: დახვედომია და დახვედუნია; მოუკვდა: მოკვედომია და მოკვედუნია; დარჩა: დარჩომია და დარჩენია; გადახდა: გადახდომია და გადახდუნია.

-ენ სუფიქსიანი ფორმები აქ იმ სიბრტყეზე უნდა იქნეს განხილული, რაზედაც დამართნია ტიპის ზმნებში. ეს კია, რომ -ენ აქაც ახალია²¹ და ორი ვარიანტიდან უფრო ძველია ის, რომელიც მასდარის სახიარო ფუძეს იყენებს. ამგვარად, ამ რამდენიმე ზმნასთან გამოვლენილი -ენ სუფიქსი გვაფიქრებინებს, რომ -ე ხმოვანი უნდა მიუძღოდეს -ნ თანხმოვანს ყველა ზემოთ განხილულ ზმნაში. ასეთი სუფიქსი სხვა შემთხვევაშიც გვაქვს: შდრ. აღვაგზებს და აღვაგზუნს.

სიბორჯილსა აღვაგზებს: ექუსთა დღეთაჲ. 102, 23.

აგზებდეს მდღელი იგი შეშასა: ღვეტი. 6, 2.

რამთა შეუგზნან ალი ცეცხლისაჲ: კიმ, II, 24,7.

მართალია, ასტიკვდა - ასტიკვნია ვნებით გვარის ზმნაა, მაგრამ -ნ სუფიქსი ყველგან ვნებითის როდია თურმეობითებში. ეს სუფიქსი სხვა ნაკლის ფორმაშიც გვაქვს და არაენებითშიც. საზოგადოდ, ვნებითის ნიშნად მისი მიხნევა გაჭირდებოდა. მაგალითების შესწავლით ირკვევა, რომ იგი ჩნდება ერთსა და იმავე დროს პირველსა და მეორე თურმეობითში. თუ პირველ თურმეობითშია, მორეჟიც გადაკვეება (შდრ. მოსულიყვნეს ოსებთან და შეხვეწნოდუნს: საქ. სიძე, III, 376, 1769 წ.). რიცხვს მნიშვნელობა არა აქვს: მხოლოდობითშიცაა და მრავლობითშიც. ამგვარად, მიყიდნია, გამიტკვნია ზმნებში ვერ იქნება -ნ ვნებითისა ისევე, როგორც სხვა ზმნებში, რომელთა სინტაქსური მნიშვნელობა გარკვევით მოქმედებითია. ისიცაა მხედველობაში მისადები, რომ -ნ სუფიქსის ხმარებას თურმეობითში ასე თუ ისე სისტემური ხასიათი ეძლევა XIV-XV საუკუნეებიდან. ცნობილი კია, რომ ამ დროისათვის -ნ, როგორც ვნებითის სუფიქსი, მკვდარია. ის არ იხმარება აღარც ნახსენებლად ფუძეთა ვნებითის საწარმოებლად, არც მით უფრო სხვა ზმნეში.

დასტურდება, რომ ეს -ნ (←-ენ) ზმნური ფუძის ისეთივე საწარმოებელი სუფიქსია, როგორიც -ან, -ონ, -ეჲ და სხვები, გამოყენებული სხვადასხვა სერიის ფორმებში²². ეს -ნ გვექნება ერთი ტიპის ზმნებში და მათი ანალოგიით აქაც გავრცელდა. ყურადღებას იქცევს -ნ (←-ენ) სუფიქსის ხმარება რიგ შემთხვევაში იქ, სადაც სხვა მაგალითების მიხედვით -ებ სუფიქსიცაა ცნობილი (მოუ-მატ-ებ-ია || მოუ-მატ-ნ-ია...), რამდენადაც სარწმუნოა, რომ სახელისა და ზმნის ფუძეში -ებ სუფიქსი ერთი და იგივე ოდენობა ეგნებურად და ისტორიულად²³, ხოლო სახელის მორფოლოგიურ კატეგორიაში გამოყენებული -ნ და -ებ სუფიქსები სემანტიკურად აგრეთვე ერთი და იგივეა²⁴. ამდენად ცხადია, რომ -ნ-ს იგივე ფუნქცია აქვს მოუმატ-ნ-ია-ში, რაც -ებ-ს ამავე მოუმატ-ებ-ია-ში. ამ სუფიქსის გაჩენასა და დამკვიდრებას რამდენიმე შემთხვევაში შეგვიძლია კიდევ ვაღვეწოთ თვალი ქართული ენის ისტორიაში. ცნობილია, რომ ძველ ქართულში სტატეკური ზმნა მარტივი ფუძით იხმარებოდა კ-მატ-ს. როდესაც ახალ ფორმათა წარმოების შესაძლებლობა და საჭიროება წარმოიშვა, დიალექტების მიხედვით სხვადასხვა სუფიქსი იქნა გამოყენებული, ერთი მხრით: მოუ-მატ-ებ-ია, მეორე მხრით, მოუ-

²¹ შდრ. გადახდომია || გადახდუნია (ს. შანში 5): ხედ (კედ) ფუძეს ერთის -ენ.
²² შდრ. დაიცავს - დაიცვევ, დაკვადგ-ურ -
²³ ივ. ქავთარაძე. ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში: 1954, გვ. 93.
²⁴ არნ. ჩიქობავა. მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისათვის ქართულში: იმერელ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 72-73.



მატ-ნია, მაშასადამე ვუმატებ || ვუმატენ²⁵... სწორედ ისეთ შემთხვევაში აქტიურად სუფიქსთა მონაცვლეობას, როდესაც ზმნის ფუძე ოდინდელი მარტივი ფუძეა და თუმატურ-მისანთა დართვა, ასე ვთქვათ, ჩვენ თვალწინ ხდება. ლიტერატურაში დასტურდება დაიკვეხებს და დაიკვეხნის²⁶ იმიტომ, რომ შესაძლებელია იკვეხს, რაც ამოსავალია ორივე მათგანისათვის:

- ვვრა არის? მე კი არ დავდგებოდი ხოლმე გაჯენებულ ცხენზე ჩემ პატარა ბიჭობაში! - დაიკვეხა ლუარსაბმა.
 - ნუ იკვეხ.
 - განა კვეხნისათვის ვამბობ? (ილია, II, 196).
- ვერც ერთი კავკასიის ნაწილი ვერ დაიკვეხებდა ამისთანა მყუდროებას: ი. გოგუბ. I, 407.

ბუნებრივია, რომ ორი ასეთი სუფიქსის გამოყენებას შემდეგში დაკავშირებოდა სათანადო დიფერენციატია მნიშვნელობის მიხედვით. -ნ სუფიქსი გამოყენებული იქნა წყვეტილის ვნებისათვისგან მოქმედებით მჭორე თურმეობითის გასარწვევად²⁷, ერთი მხრივ, აქტივისა და მდიო-აქტივის ფორმათა სადიფერენციაციოდ, მეორე მხრივ²⁸, თუმცა ამ სუფიქსის გარეშეც თურმეობითში რიგი ზმნური ფუძე იხმარება ახალ ქართულში:

- დაუიწვია („მნათობი“. № 6, 1954, გვ. 128), გიკისრია (აკაკი, 153).
- უკისრა (ი. შანაბ. II, 249, 19), გაუტაცია (გ. ლეონოძე, 442,18).
- დაუკიდათ (ი. ელფუთურიძე, 51,24), დაუძახია (შ. არაგვისკ. I, 126).
- მისაუბრია (ლ. ქიან. 146), დახოცია (კ. ლორთქ. 24,5; მიხ. მრველ. 99) ამოუკენია (ს. შანშ. 41)...

მენახა (ილია, II, 11), გაგებეთქა, გაგყვარა (ილია, II, 424), აეკრიფა (მიხ. მრველ. 137), გაემარჯვა (უიარაღო, 24), გადაეტეხა (მიხ. მრველ. 126), ამოკითხა (მიხ. მრველ. 81), მუპასუხა (ს. შანშ. 315), გაემართათ (ს. შანშ. 109), აეკიდა (ს. შანშ. 17), ეკადრა (ი. გოგუბ. 73), დაეზილათ (ილია, II, 264), დანახათ (ილია, II, 252), ჩაეშალა, შეეღაბათ (ი. გოგუბ. 295), მოეკარათ (ილია, II, 426), ჩამოეყვანათ (ილია, II, 24), გაეწეხათ, გაეტეხათ (ა. ყაზბ. I, 22), ყვირა (ა. ყაზბ. I, 13), დაეპატიჟათ (ს. კლდ. 169,14), მოემარჯვა (ს. შანშ. 104), მოეკალათათ (ბაჩანა, 371,20), გეულისხმა (ა. შანიძე, გრამატ. საფუძელ. 29).

შინაარსობრივი განსხვავებისათვის -ნ-ს გამოყენება მეორეული, შედარებით გვიანდელი მოვლენა ჩანს. თავდაპირველი მისი ფუნქცია - ზმნური ფუძის საერცობად გამოყენებაა. პირველი თურმეობითი ვერდნობა ძველი პერმანსივის ფუძეს, რომელსაც შემდეგში ცნობილი -ავ-ებ აფიქსები წერ კიდევ არ მოუდიოდნენ. ამიტომ თ-ს-ი-ს - უთესია ტიპი უფრო ძველია, ვიდრე თესავს - უთესავს. ეს უკანასკნელია ძველ ქართულში გამოუმუშავებული, წიგნური ტრადიციით განმტკიცებული და ლიტერატურულ ნორმად დამკვიდრებული. დანარჩენ შემთხვევებში ამნაირი ფორმები სწორედ ამოსავალ ფუძეში განსხვავებული ვითარებით უნდა აიხსნას. თუ აწმყო იხმარებს ფორმას გვიდასტურებს, პირველ თურმეობითში მოსალოდნელია მოუხმარებია, ხოლო იხმარს, ცვეთს, კვეთს, ტეხს... ტიპის ფუძეებში ასევე გაუფრცობველ ფუძეს გამოიყენებს თურმეობითიც. ოდნოდ ანალოგიით -ნ სუფიქსიანი ფორმებიცაა დადასტურებული²⁹.

თუ -ნ ზმნური ფუძის საწარმოებელი სუფიქსია, რატომ არაა აუცილებელი მისი ხმარება

²⁵ ზმნის თემატურ სუფიქსთა მონაცვლეობით დიალექტთაგან ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს მესხურ-ჯავახური (აკეთებ-ს || აკეთენ-ს... შ. ძიძიგური, ძეგანი ქართული დიალექტოლოგიიდან, 1954, გვ. 142. ა. შარტოროსოვი, ჯავახურის მესხურთან მიმართების საკითხისათვის: პუშკინის სახელობის თბილისის პედ. ინსტიტუტის შრომები, 1950, ტ. VIII, გვ. 295).

²⁶ შდრ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, 1953 წ., სვ. 361.

²⁷ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 421-453, § 492.

²⁸ იქვე გვ. 421, შდრ. გვ. 488.

²⁹ შედარებით ერთფეროვნებას ამ მხრივ ვპოულობთ იაკობ გოგუბაშვილის ნაწერებში: უხმარნია (I, 88), შეგაკეთონათ (I, 138). აეტეხნათ (მოთხ. 223).



ყველა ფ ტიპის ზნნაში? -6 მართლაც, არ გვხვდება ყველგან. ზოგჯერ ერთი წყვილია კი მის ხმარება-უმხარებლობას ვედიანტურებს³⁰. ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რაც უფრო უფრო ტერატურო ენაში გამოყენებით ჯერ კიდევ ახალია და ფართოდ გავრცელებული არაა. -6 სუფიქსის ნაკლებ გავრცელებაში გარკვეულ შემთხვევებში უდავოდ წიდი უტყვს ფონეტიკურ პროცესს: ღ, რ, ნ ნარნარა თანხმოვნებზე დამთავრებულ ფუძეებთან იგი უმეტეს შემთხვევაში იკარგება. უსარგებლნია (ი. ჯავახ. 88) და ესარგებლა (ი. ჯავახ. 73). გამოსულა შქრია || გამოსულა შქრნია (იქვე, 247), ეცხოვრა || ეცხოვრნა (იქვე, 185), გადაუფიქრია || მოუფიქრნია (იქვე, 247; 67)... მისი გაუჩინარება თანხმოვანთა შუგავით უნდა აიხსნას. ამიტომაც ყოველთვის: გაუშლია, ჩაუყრია, მოუხდია... მაგრამ ჩვეულებრივ: გაეშალნა, ჩაეყარნა, მოეხადნა...

კითხვა ისმის: რა პროგრესულ მოვლენას წარმოადგენს ამ სუფიქსის გამოყენება, აქვს თუ არა ფართოდ გავრცელების პერსპექტივა, შეიძლება თუ არა დამკვიდრდეს იგი საყოველთაოდ დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში?

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა სახელმწიფო კომისიამ ამ კითხვას 1936 წელს უარყოფითად უპასუხა და პარალელურ ფორმათაგან - დაუტკერია || დაუტკერნია, გაუტკცხია || გაუტკცხნია... მართებულად ჩათვალა და მიიღო პირველი³¹.

მართლაც, -6 სუფიქსი თურმეობითის ფორმებში არც ისე ძველი მოვლენაა სალიტერატურო ენაში. მართალია, თითქმის ხუთი საუკუნის ისტორია აქვს მის ხმარებას ქართულ-კახურ დიალექტებში, მაგრამ იგი უპირატესად შეინიშნება ისეთ ფუძეებში, რომლებშიც სხვა ნიშნები იყო უკვე გამოყენებული (-ავ, -ამ, -ებ...). საგულისხმოა ისიც, რომ -6 სუფიქსი თანაბრად არაა გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში დღეს. ზოგადალექტმა იგი სრულყოფით არ იცის (ხევსურული, თუშური, ფშაური, მესხურ-ჯავახური, რაჭული, იმერული, გურული...), ამდენად, დღევანდელ ქართულ მეტყველებაში იგი ჯერ კიდევ არაა საკმარისად გავრცელებული.

-6 სუფიქსი თავდაპირველად შეიმჩნევა ქართულ-კახურში, როგორც ზნნური ფუძის საწარმოებელი ნიშანი. შემდეგში იგი გამოყენებულ იქნა გარდამავალი და გარდაუვალი ზნნების სხვადასხვა ნაკეთების სადიფერენციაციოდაც, მაგრამ რიგ შემთხვევაში მისი გრამატიკული დანიშნულება გაუჩინარებულა. ამითაც აიხსნება, რომ -6 სუფიქსიანი და უსუფიქსო ფორმები ან გვერდიგვერდ იხმარება (მიყვლია || მიყვლია; ამტკცხა || ამტკცხნა³², „ლიტ. გზა.“ 1954, 27.VIII, გვ. 4), ან სრულყოფითაც არა გვაქვს იგი... მიყვია - მიყვია, აუვლია - აუვლია, დაუგვლია - დაუგვლია, შეუქცია - შეუქცია, გაუზრდია - გაეზარდა, დაუქვლია - დაეკვლია, განუცვლია - განეცვლია, გაუშვია - გაეშვა, შეკხედრია, დასტეხია, ჩაქცეცია, დამალვია და ა. შ.

შემთხვევით დამხვავებულ სხვადასხვა ნაკეთის ფორმათა გარჩევისათვის -6ს გამოყენების აუცილებლობა სრულყოფითაც არ იგრძნობა, განსხვავება უმისოდაც გვაქვს კონტექსტში როგორც მორფოლოგიურად, ისე სინტაქსურად. მორფოლოგიურად: ერთი ტიპის ზნნების დიდი წიდი უზნისწინა და თუთხისწინა, მეორე ტიპისა კი ზნისწინიანი ან თუთხისწინიანი შტრ. მუშაობს და დაამუშავებს: უმუშავია³³ და დაუშუშავ-ებ-ია; ვარჯიშობს და ავარჯიშებს: უვარჯიშია და უვარჯიშ-ებ-ია...

რაც შეეხება მეორე თურმეობითს, იგი ახალ სალიტერატურო ქართულში -ებ სუფიქსიანი ზნნებთან უფრო და უფრო ფართოდ იყენებს პირველი თურმეობითის ფუძეს, ძალიან იშვიათად ნამყოფი წყვეტილისას: აწმყო: გაიტაცებს, დატოვებს, დაბადებს, უღალა-

³⁰ არაა, ჩვეულებრივ, ილიას ნაწერებში, თანამედროვე მწერალთა ნაწერების დიდ უმეტესობაში, პრესის ენაში.

³¹ სალიტერატურო ქართულის ნორმები, I, 1936, გვ. 34-39; ხადავო ხაკითხები დროთა მესამე ჯგუფის წარმოებისას (არნ. ნიქოპაპას მოხსენების მიხედვით).

³² ასეთი ფაქტები შეინიშნება ი. გოგებაშვილის (მოთხრ. გვ. 48, შტრ. გვ. 51), ილიას (II, 264; 259), აკაკის (თავდას. 428; 447), ი. ეკვლიას, შ. არაუჯის-პირელისა და სხვათა ნაწერებში.

³³ -6 სუფიქსიანი ფორმებს (უმუშავნია, უმხახურნია, უვარჯიშნია, უტკმნია...) ვხვდებით მხოლოდ ქართულ-კახურში, რომლის გავლენითა და მიბადებითაც აიხსნება მათი ხმარების შემთხვევითი მხატვრულ ლიტერატურასა და პრესაში.



ტებს, აპკიდებს... თურმობითი პირველი: გაუტაცებ-ია, დაუტოვე-მარჩინა დაუწინა
ბად-ებ-ია, უდაღატ-ებ-ია, აუკიდ-ებ-ია... თურმობითი მეორე: გატაცებ-ია, დატაცებ-ია
ნა, დაეტოვე-ებ-ინა, დაებად-ებ-ინა, ეღაღატ-ებ-ინა, აეკიდ-ებ-ინა... (და
არა გაეტაცა ან გაეტაცნა და მისთ).

სინტაქსური საფუძველი ამ განსხვავების იმაში მდგომარეობს, რომ მესამე სერიაში
სხვაგვარია ქვემდებარე-დამატებისა და შემასმენლის ურთიერთობა, მეორეში - სხვაგვარი:
მეორე სერიაში (ნამყო წვეტილში), როცა შემასმენელი უ-პრეფიქსიანი ვნებითა, მას ქვე-
დებარეც ითანხმებს მრავლობით რიცხვში და გარკვეულ შემთხვევაში ირიბი დამატებაც:

- დაედუპა შვილი სანათას.
- დაედუპნენ შვილები სანათას.
- დაედუპათ შვილი ფშაველებს.

მეორე თურმობითში კი შემასმენელს ითანხმებს მხოლოდ რეალური სუბიექტი, ირიბი და-
მატება არა გვაქვს, პირდაპირი დამატება ჩვეულებრივ არ ითანხმებს. ამას გარდა, განსხვავე-
ბას სხვადასხვა ტიპის ზმნებში, -ნ სუფიქსის გარეშე. ზმნასთან შეწყობილი პირებიც იძლევა:
უმუშავია, უმსახურია - მას; დაუმუშავებია, დაუმსახურებია - მას იგი.

ამგვარად, ფორმათა გასარჩევად უფრო არსებითი ნიშნები და კონტექსტი გვაქვს. სხვა
საშუალებების გამოყენება ამ დანიშნულებით გამოიწვევდა ფორმათა სიტყვებს ენაში. თუ კი
ახეთი სატიროება მხედველობაში არაა მიღებული და მითქვამს, მიმაღავს, მინახავს
(აწყო, resp. თურმობითი პირველი) ფორმების გვერდით დაშვებული არაა სალიტერატურო
ენაში მითქვია, [დამიმაღია, მინახია (საკუთრივ თურმობითისათვის), ცხადია, ამგვარ-
ვე უნდა იქნეს დამოკიდებულება -ნ სუფიქსის მიმართაც.

უყიღია - უყიღნია, გაეტეხა - გაეტეხნა, უმუშავია - უმუშავნია... ისეთ
მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორშიაც გაკვიდვიოდა - გაკვიდვიყო, გატეხოდა
- დატეხიყო, დამუშავებოდა - დამუშავებოყო... ძველია და უფრო გავრცელებ-
ული პირველი სახეობები.

ამგვარად, -ნ სუფიქსიანი ფორმები სრულებით გაუმართლებელია ისეთ ფუძეებში, რო-
მელთაც აწყმო-ყოფადში აღარმოებს -ავ, -ამ, -ებ სუფიქსები. პარალელურ ფორმათაგან: და-
ვიწეებია || დავიწყნია || დავიწყია; დაუკიდებია || დაუკიდნია || დაუკი-
დია; დაეტოვებინა || დაეტოვა... უნდა დარჩეს მხოლოდ -ებ სუფიქსიანი, როგორც
უფრო ძველი და გავრცელებული, გრამატიკულად სწორი და სალიტერატურო ენის განვითარ-
ების პერსპექტივისათვის შესაფერისი. იგივე შეიძლება უმუშავ-ნ-ია ტიპის
ზმნათა (ე. წ. მედიაქტიურ ვარჯიშობს, ვიქრობს, ცხოვრობს, ნადირობს, სადილობს,
საუზმობს, ტრიალებს, ლაპარაკობს, ქადაგობს, ყარაულობს, უბახის, მოქმედებს, ყბელობს,
არშეიობს, ნავარდობს...) შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ -ნ სუფიქსიანი ფორმები აქ, ამ ბო-
ლო დროს თითქოს უფრო ვრცელდება და სალიტერატურო ენაშიც ღამობს დანერგვას.

მიმლეობის წარმოება ქართულში¹

მიმლეობა ზმნის ფუძიდან ნაწარმოები სახელია, ნაზმნარი ზედსართავი სახელი. როგორც სახელს, მას ყველა ის მორფოლოგიური კატეგორია აქვს, რაც ამა თუ იმ ენაში სახელს მოეწვევა. ამავე დროს მიმლეობა ჩვეულებრივ ზმნის რომელსაზე (ან რამდენსაზე) გრამატიკულ კატეგორიასაც გამოხატავს. ამით განსხვავდება იგი ზმნის ფუძიდან ნაწარმოებ არსებით სახელთაგან – მოქმედ პირთა სახელებისაგან.

ქართულში მიმლეობის წარმოების განხილვის დროს ჩვენ ძირითად მიზანს შეადგენს მიმლეობის წარმოების ისტორიის, მისი ნაშთაღებებისა და განვითარების გზების გათვალისწინება. მიმლეობათა წარმოების ისტორიული ვითარების გასათვალისწინებლად კი უნდა გაირკვეს, რამდენად დამახასიათებელია ისტორიულად მიმლეობისათვის ზმნის გრამატიკული კატეგორიების გამოხატვა.

იმ ენებში, სადაც დროისა და გვარის კატეგორია მოეპოვება მიმლეობას, უნდა გვეჩინოს მოქმედებითი გვარის მიმლეობა სამივე დროისა და ვნებითი გვარის მიმლეობა აწმყო, ნამყო და მყოფადი დროისა. მაგრამ ენათა დიდ უმრავლესობაში ასეთი სიზუსტე წარმოებისა არ არის დაცული. რით არის ეს გამოწვეული?

ეს კითხვა ქართულში მიმლეობათა წარმოების განხილვის დროსაც დგება და ახსნას თხოვლობს. ამგვარად, მიმლეობაში დროისა და გვარის გამოხატვის საკითხია გასარკვევი და ამასთან დაკავშირებით კი მიმლეობის ფუძისა და მაწარმოებელ აფიქსთა ანალიზია საჭირო.

ქართულში მიმლეობა² გაირჩევა დროის, გვარისა და ასპექტის მიხედვით. გვაქვს სამი დროის – აწმყო, ნამყო და მყოფადი დროის მიმლეობა. მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმლეობები, სრული და უსრული ასპექტის მქონე მიმლეობის ფორმები.

ქართულში მიმლეობა იწარმოება ზმნის ფუძიდან; ე. ი. ზმნის იმ ნაწილიდან, რომელიც აცდვრით გრამატიკული კატეგორიის მატარებელი არ არის და რომელიც საერთოა ზმნის ყველა პირის, დროის, ქცევისა და ა. შ. ფორმებისათვის. ზმნის ფუძეზე გარკვეული აფიქსების დართვით ვიღებთ მიმლეობას.

მიმლეობას აწარმოებს: ა) პრეფიქს-სუფიქსი, ბ) მხოლოდ პრეფიქსი, გ) ოდენ სუფიქსი. აქედან სუფიქსური წარმოება ნამყო დროის მიმლეობაში გვაქვს მხოლოდ; პრეფიქსულ-სუფიქსური და ოდენ პრეფიქსული წარმოება სამივე დროის მიმლეობაში შეიძლება შეგვხვდეს.

პრეფიქსულ მიმლეობა წარმოებაში გვხვდება **მ**, **სა**, **ნა** | **ნე**. მიმლეობის მაწარმოებელ პრეფიქსთაგან **სა**- პრეფიქსიანი მიმლეობა მყოფადი დროისაა, **ნა** | **ნე**- პრეფიქსიანი წარმოება ნამყო დროისა, **მ**-იანი წარმოება აწმყო და ნამყო დროისა.

მ-პრეფიქსიანი მიმლეობა აქვს გარდამავალ ზმნებს (მ-ცემ-ელ, მ-ტანჯ-ე-ელ, მ-დებ-ელ, მ-თეს-ე-ელ...), გარდაუვალ უგვარო დინამიკურსა (მ-ყრ-ა-ლ, მ-შო-არ, მ-ყო-არ, მ-წყუ-არ...) და სტატიკურ ზმნებსაც (მ-ფრინ-ე-ლ, მ-ტირ-ა-ლ, მ-დუ-მ-არ, მ-როკ-ე-ლ...). გარდამავალ ზმნათაგან და სტატიკური ზმნებიდან **მ** პრეფიქსით (ხმოვნითურთ) ნაწარმოები მიმლეობა აწმყო დროისაა, გარდაუვალ უგვარო დინამიკურ ზმნათაგან ნაწარმოები მიმლეობა კი ნამყო დროისა.

მ-პრეფიქსით ნაწარმოები მიმლეობა ყოველთვის სასუბიექტოა, ე. ი. ეტოლება შესაბამისი ზმნის სუბიექტს. ცალკე დგას მხოლოდ ინვერსიული სტატიკური ზმნები. აქ **მ**- თავსართიანი მიმლეობა ხაოთიექტოა, უდრის შესაბამისი ზმნის გრამატიკულ ობიექტს (მაგრამ რვაღურ სუბიექტს): მ-ო-ღურა – „ვისაც სძულს“, მო-ყურა-ე – „ვისაც უყვარს“, მოკერე – „ვისაც უკერს“ (და ვიყუ რაე ამა საქმისათვის? მოკერე, კიმენი I, 297, 20).

სა- პრეფიქსიანი მიმლეობა იწარმოება გარდამავალ ზმნათაგან და ინვერსიულ სტატიკურ ზმნათაგან. ერთპირიან ზმნას (სტატიკურსა თუ დინამიკურს) **სა**- (აგრეთვე **ნა** | **ნე**)- პრეფიქსი-

¹ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 67, თბ., 1957.

² ტერმინი „მიმლეობა“ ხელფუნერად არის ნაწარმოები, არ არის ზუსტი და არ გადმოსცემს იმ შინაარსს, რასაც ამ ტერმინით გამოხატული გრამატიკული კატეგორია აღნიშნავს. უპირატესობა ამ ტერმინისა იმაში მდგომარეობს მხოლოდ, რომ იგი ტრადიციით არის დამკვიდრებული საეცოლოლო ლიტერატურაში.



ანი ფორმები მიმღეობის ჩვეულებრივ არა აქვს. თუმცა აქა-იქ ერთპირიან ზმნურ-მთავრებს სა-პრეფიქსიანი ფორმებიც მოეპოვება, მაგრამ ისინი დროს არ გამოხატავენ მხრულ-მთავრებს ან მოქმედების ადგილს (სა-რბ-ი-ელ, სა-დგ-ურ...), ან იარაღს, რითაც მოქმედება წარმოებს. გარდაიპყრება ზმნათაგან სა-პრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობა მყოფადი დროისაა, ხოლო იმავე პრეფიქსით სტატიკურ ინვერსიულ ზმნათაგან ნაწარმოები მიმღეობა დროს არ აღნიშნავს (სა-ყურ-ელ, სა-ძულ-ელ, სა-წად-ელ...).

დროის მომენტი დაჩრდილულია იმ ფორმებშიც, რომლებიც ვახუშტისტიკურად ამის გამოყენება, რომ იარაღისა და მოქმედების ადგილის აღნიშვნულ მიმღეობებში პრევერბიანი ვარიანტები არ გვხვდება. პრევერბის დართვის შემთხვევაში მყოფადი დროის მიმღეობას ვიღებთ: სა-ზრდ-ელ და გა-სა-ზრდ-ელ, სა-გვებ-ელ და ა-სა-გვებ-ელ, სა-თხრ-ელ და გა-სა-თხრ-ელ...

მიმღეობის მაწარმოებელ პრეფიქსად გვხვდება თანხმოვანი ხმოვნის თანხლებით და უხმოვნოდაც. ს პრეფიქსთან მუდამ ა ხმოვანი გვაქვს, ხ-სთან - ა და ე ხმოვნები, შ-პრეფიქსით უხმოვნოდაც არის გამოიყენებული და ა, ზ, თ ხმოვანთა თანხლებითაც. ქართულში მიმღეობათა წარმოების ერთ-ერთი საკითხია, გაირკვეს რა ფუნქციის მქონე არიან ეს ხმოვნები და საერთოდ არის თუ არა შესაძლებელი მიმღეობის მაწარმოებელ პრეფიქსთა დაშლა ხმოვნი და თანხმოვნითს ელემენტებად?

მიმღეობის მაწარმოებელ პრეფიქსთა დაშლის შესაძლებლობას ის გარემოება იძლევა, რომ ერთსა და იმავე თანხმოვანთან სხვადასხვა ხმოვანი გვხვდება და ისიც, რომ ხმოვანი მაწარმოებელთა გვერდით გვაქვს პრეფიქსის უხმოვნო ვარიანტებიც.

მაგრამ ერთია დაშლის შესაძლებლობა და მეორე - თითოეული ელემენტისათვის ფუნქციის დაქვანა. კითხვა დგას: აქვს თუ არა ხმოვნი ელემენტს გარკვეული ფუნქცია?

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსის ხმოვნი ელემენტს კავშირი უნდა ჰქონდეს ზმნის ფუძის პრეფიქსულ ხმოვანთან³.

ამ ვარაუდს გარკვეული დაბრკოლებები ხვდება წინ:

1. სხვადასხვა ხმოვანი მხოლოდ შ-პრეფიქსთანაა გვაქვს. ხ-სთან მხოლოდ ა ხმოვანი გვხვდება. ნაწილობრივ ეს თქმის ნა-პრეფიქსის შესახებაც.
2. ზმნის ფუძეს ხშირად ი ხმოვანი აწარმოებს; მიმღეობის ფორმებში ი პრეფიქსი არ ჩანს.
3. და პირიქით, ზმნის ფუძის მაწარმოებლად არა გვაქვს თ პრეფიქსი; მიმღეობის წარმოებაში პრეფიქსთან თ ხმოვანი იღებს მონაწილეობას.
4. მიმღეობის წარმოებაში მონაწილე პრეფიქსები (ხმოვნიურთ) გვხვდება სახელისაგან ნაწარმოებ სახელებშიც. თუ მიმღეობაში პრეფიქსის ხმოვნიანი ნაწილი ზმნის ფუძის მაწარმოებელი პრეფიქსია, რა ფუნქცია აქვს იმავე ხმოვნებს სახელებში?

მაგრამ ჩამოთვლილ დაბრკოლებათა მიუხედავად ეს ვარაუდი ბევრ შემთხვევაში მართლდება.

კერძოდ, როცა ა ხმოვანი გვხვდება შ-პრეფიქსთან ერთად, იგი ზმნათა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ფუძის მაწარმოებელი პრეფიქსია: მა-ჰო-ბელ - ამაკობს, მაქებელ - აქვს, მაშებელ - აშენებს, მაწუყებელ - აუწყებს, მაგინებელ - აგინებს...

გამონაკლისია მხოლოდ მიმღეობის სამი ფორმა: მა-ძლ-არ, მა-შურ-ალ, მა-ვალ. მთელ რიგ შემთხვევებში ე ხმოვანიც ზმნის ფუძის მაწარმოებელი პრეფიქსი ჩანს: მეტყუელ - ეტყვის, მეძიებელ - ეძიებს, მეტყუებელ || მეტყუებარ - მტყუბდა...

თ ზმნის ფუძის მაწარმოებელ პრეფიქსად არ გვაქვს ქართულში და საერთოდ თ ხმოვანი, როგორც აფიქსი, ბევრ შემთხვევაში მეორეულია და ფონეტიკურ ნიადაგზეა მიღებული. არის თუ არა შესაძლებელი მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსის ხმოვნი ელემენტის თ-ს ახსნა ფონეტიკურ ნიადაგზე.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს იმ ზმნათა მიმღეობის ფორმები, რომელთა ფუძეს ი ხმოვანი აწარმოებს; მიმღეობაში შეხაბამისად პრეფიქსთან თ ხმოვანია წარმოდგენილი: მო-ყურ-არ - მი-ყურ-არ, მო-ძლ-არ - მი-ძლ-ეს, მო-სწრაფ-ე - ი-სწრაფ-ი-ს, მო-ცინ-არ - ი-ცინ-ი-ს, მო-

³ იხ. ა) G. deeters, das khartvelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 225, § 425, 413, 434.

ბ) არ. ნ. ნიქობაძე, სახელის ფუძის უხველესი აგებულება ქართველურ ენებში, § 85, გვ. 214.



კერ-ე - მი-კერ-ს, მო-ცალ-ე - ი-ცალ-ის, მო-ურ-ე - ი-ურ-ე-ის, მო-ქმ-ედ - ი-ქმ-ედ-ის, მო-ქმ-ედ-ულ - ი-ქმ-ედ-ის, მო-ნან-ულ - ი-ნან-ის, მო-ღუაწ - ი-ღუაწ-ის, მო-თმინ-ე - ი-თმინ-ის, მო-ბრძავ (სულ-მობრძავი) - ი-ბრძავ-ის, მო-ბრავ - ი-ბრავ-ის, მო-ზარდ-ულ || მო-ზარდ - ი-ზარდ-ება, მო-რე - ი-რე-ე.

ფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ **ი** პრეფიქსიანი ზმნები მიმღეობაში **ო** ხმოვანს გამოავლენენ. ასეთი დამთხვევა გარკვეული კანონზომიერების ხასიათს ატარებს.

მაგრამ საკმაო რაოდენობით არის იმის მაგალითებიც, როცა ზმნას **ი** პრეფიქსი არ აწარმოებს, მაგრამ მიმღეობაში **ო** პრეფიქსი გვაქვს (მო-რ-იდლ - ერის, მო-რ-ბედ - რბ-ის, მო-კუ-დავ - კუდავს, მო-სავ - ვვსავ...). **ო** ხმოვნის არსებობა ასეთ შემთხვევაში ანალოგიას მიყუარება: ენაში იყო გარკვეული ყალიბი მიმღეობის წარმოებისა და მისი გამოყენება შეუძლო სხვადასხვა პრეფიქსით წარმოებულ ზმნას.

მაინც აღსანიშნავია, რომ ის ზმნები, რომლებიც, ასე ვთქვათ, უმართებულოდ გამოავლენენ მიმღეობაში **ო** ხმოვანს, ძირითადად სტატიკური ზმნებია: მო-ტულ-ე, მო-სურნ-ე || მო-სურნ-ე, მო-რცხ-ი, მო-თნ-ე, მო-სავ, მო-რ-იდლ, მო-რ-ბედ, მო-შურნ-ე...

სტატიკურ ზმნათა უმრავლესობაში **ი** სტატიკურობის მორფოლოგიური ნიშანი (რომელიც ისტორიულად დიურატორული ასპექტის მაჩვენებელია) წარმოდგენილია, მაგრამ იგი სუფიქსად გვხვდება ყოველთვის.

იქნებ მიმღეობის ამ ფორმათა მიხედვით ვივარაუდოთ, რომ ამ ასპექტისეული **-ი** აფიქსის ადგილი ზმნაში არ იყო იმთავითვე ფიქსირებული და იგი შეიძლება პრეფიქსადაც მოგველინებოდა.

ამ მხრივ საინტერესოა ზოგ ინვერსიულ სტატიკურ ზმნაში **ი** პრეფიქსის გამოვლენა I და II პირში (III-ში **ი** → **უ**), რომელიც არც ქვევსა და არც უნებთით გვარისა: მი-ყუარ, გი-ყუარ, მი-კერ-ს, გი-კერ-ს, მი-ხარ-ის.

რას უნდა გამოეწვია მიმღეობის ფორმებში **ი**-ს **ო**-დ შეცვლა? დაბიალიზაციის პროცესით ამის ახსნა გაკარგებოდა იმის გამო, რომ **შ** პრეფიქსთან **ა** და **ე** ხმოვნებზე გვხვდება და ამ გვარ ფონეტიკურ პროცესს ადგილი არა აქვს.

საფიქრებელია, რომ მი-მ მოგვკა **მო** გარკვეულ დიალექტში. იქნებ ამ ფონეტიკურ პროცესს ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ **ი**-იანი ფორმა მიმღეობისა ზმნის პირიან ფორმას დაქმთხვოდა ბევრ შემთხვევაში: მი-ყუარ-ე, მი-ტულ-ე, მი-თმინ-ე, მი-წყალ-ე, მი-სურნ-ე...

ქართული მეტად მდიდარია მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსებით, ჩვეულებრივ სუფიქსები პრეფიქსთან ერთად არიან წარმოდგენილი მიმღეობაში. მხოლოდ **-ილ** და **-ულ** სუფიქსები პრეფიქსის გარეშეც აწარმოებენ მიმღეობას. ოდენ სუფიქსიანი წარმოება მიმღეობისა ნამყოფი დროსადა ყოველთვის. მიმღეობის მაწარმოებელი სხვა სუფიქსები სხვადასხვა დროსა და გვარის მიმღეობებში გვხვდება.

განსაკუთრებით პროდუქტიულია ქართულში მიმღეობის მაწარმოებელი **-ელ** სუფიქსი. იგი **მ**, **მა**, **მე**, **მო** პრეფიქსებთან ერთად აწარმოებს სასუბიექტო მიმღეობას გარდამავალი და გარდაუკალი სტატიკური ზმნებიდან. იმავე გარდამავალ ზმნათაგან **-ელ** სუფიქსითა და საპრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობა კი საბიბექტოა, ე. ი. უდრის ამოსავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს.

ნამყოფი დროს მიმღეობაში **ნა** პრეფიქსთან ერთად **-ელ** სუფიქსი არ გვხვდება, თუ მიმღეობის ფორმად არ მივიჩნიეთ **ნა**-თ-ელ - ნაწარმოები სახელი (შდრ. **ა**-თ-ევ-ს, **გან**-თ-ენ-ა, **თ**-ენ-დ-ება, **გან**-თ-ი-ად).

ოდენ **-ელ** სუფიქსი ჩანს მიმღეობის მაწარმოებლად მიმღეობის განმკველ ფორმაში. „განკმ-ელ“ რომ მიმღეობის ფორმაა, ამას პრევერბი ცხადყოფს. მხოლოდ კითხვა ისმის, ხომ არ არის ამ ფორმაში **მ** პრეფიქსი დაკარგული ფონეტიკურ ნიადაგზე **ნ**-ს მეზობლობაში? ასეთი შესაძლებლობა გამოირცხლება არ არის. მაგრამ, მეორე მხრივ, იქნებ პრეფიქსის უქონლობა შინაგან კავშირში იყო პრევერბის დართავსთან (შეადარე ანალოგიური ვითარება ტანურ მიმღეობაში).

კმების „შინისაგან (რომლის მიმღეობაც არს „განკმელ“) განმკმარ მიმღეობის ფორმა იყო მისაღწერილი, რომელიც გვხვდება კიდევ. მაგრამ გვაქვს „კმელ“ ზედსართავი სახელიც. „განკმარ“ მიმღეობა და „კმელ“ ზედსართავი სახელი შინაარსით საკმებით ფარავს ერთმანეთს (შდრ. ამ მხრივ „დიდი“ და „გადიდებული“). ამიტომ, შესაძლებელია, „განკმელ“ ფორმა-

ში გან პრევერბიანი ზედსართავი სახელი გვექონდეს: „კმულ“ გაიზარეს როგორც მიმღეობის და პრევერბის დართავი აღარ იყო შეუძლებელი.

ელ სუფიქსს მიმღეობათა წარმოებაში ხშირად არ ენაცვლება. გვაქვს ამ აფიქსთა პარალელურად ხმარების შემთხვევები: მ-ხედვ-ელ || მ-ხედვ-არ, მ-ზრახვ-ელ || მ-ზრახვ-ალ-მ-ზრახვ-არ, საყუდ-ელ || საყუდ-არ...

არ სუფიქსი გვევლება გარდამავალ ზმნათაგან ნაწარმოებ აწყო დროის მიმღეობებში მ-სუფიქსთან ერთად, მყოფად დროის მიმღეობაში სა-პრეფიქსთან ერთად და ნამყო დროის მიმღეობაში ნა-პრეფიქსთან ერთად. ნამყო დროისაა აგრეთვე დინამიკურ უგვარო ზმნათაგან მ-პრეფიქსითა და -არ სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობებიც.

-არ სუფიქსი შედის რთული სუფიქსის -არ-ეს შემადგენლობაშიც, რომელიც მხოლოდ მ-პრეფიქსთან ერთად გვეხდება და აწარმოებს მიმღეობას გარდაუვალი სტატიკური ზმნებიდან: მ-წუხ-არ-ე, მ-ღუძ-არ-ე, მ-ღუძ-არ-ე, მ-ბრწყინვ-ალ-ე ← მ-ბრწყინვ-არ-ე...

-არუ-სუფიქსი რთულია (არ+უ), რადგან:

1. ქართულიათვის არ არის დამახასიათებელი ორმარცვლიანი მაწარმოებელი აფიქსი. ყველა რთული აფიქსი იშლება: იურ←იერ, ეულ←ევ-ულ, იად←იერად... და

2. მიმღეობის წარმოებაში გვეხდება -არ სუფიქსიცა და -უც ცალ-ცალკე.

-არ სუფიქსი უნდა აღვადგინოთ სუფიქსად მიმღეობის იმ ფორმებში, სადაც მიმღეობის მაწარმოებლად ოდენ რ თანხმოვანი გვაქვს: მ-კუეთ-არ, მ-ძოვ-არ, მ-წუხ-არ... ოდენ თანხმოვანი წარმოების გვერდით მოიპოვება პარალელური -არ სუფიქსიანი ვარიანტებიც: მ-ძოვ-არ, მ-წუხ-არ-ე...

უხმოვნო, რ თანხმოვანი წარმოება მიმღეობისა იმ კილოსი და დროის კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს, სადაც და როცა ინტენსიური დინამიკური მახვილი მოქმედებად.

-ე სუფიქსი მიმღეობაში გვეხდება მ-, მე-, მო-პრეფიქსებთან ერთად აწყოთ მიმღეობაში. მყოფად დროის მიმღეობაში -ე სუფიქსი მიმღეობის მხოლოდ ორ ფორმაში ჩანს აშკარად: სა-ქმ-ე და სა-ვ-ე.

მაგრამ -ე გვაქვს მიმღეობის მაწარმოებელ სუფიქსად სხვა შემთხვევებშიც: სა-თნ-ო←სა-თნ-ეუ (←სა-თნ-ეუ-ე, სა-შ-ო←სა-შე-ე←სა-შე-ე, სა-ს-ო←სა-სე-ე←სა-სე-ე, სა-ც-ო←სა-ცე-ე←სა-ცე-ე)... ო მიმღეობის ამ ფორმებში პირველადი არ არის და ზმნის ფუძისხელი -ეისა და მიმღეობის მაწარმოებელი -ე სუფიქსის შერწყმის გზით არის მიღებული. იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნული ფონეტიკური საფუძველი არ ჩანს (სა-წინ-ო, სა-ჩინ-ო, სა-სწავ-ალ-ო...) ოს არსებობა ანალოგიით უნდა აიხსნას.

-ურ, -ედ, -ალ სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობის ფორმები შედარებით იშვიათად გვეხდება. -ედ სუფიქსი მიმღეობის მხოლოდ ორ ფორმაში დასტურდება: მო-ქმ-ედ, მო-რბ-ედ.

-ალ სუფიქსის გამოყენების არეც ძალზე შეზღუდულია უკვე ძველ ქართულში: მო-მკ-ალ, სა-მკ-ალ, და-მღბ-ალ, და-მღპ-ალ⁴. -ალ სუფიქსს გამოყოფს მიმღეობის მაწარმოებლად იგ. ჯავახიშვილი მძეუ-ად ფორმაშიც (ამოსავალია ძეუ-ეს ზმნა⁵).

მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი ჩანს ნამყო მიმღეობის ზოგ ფორმაში -ევ სუფიქსიც: ნა-ქმ-ევ (შდრ. ნა-ქმ-არ), ნა-ღუძ-ევ⁶.

იშვიათად გვეხდება მიმღეობის მაწარმოებლად -ან სუფიქსიც მ-პრეფიქსთან ერთად: მ-

⁴ მიმღეობის „დამღბალ“ და „დამღპალ“ ფორმებში შესაძლებელია ალ←არ. მიმღეობის ეს ფორმები დინამიკური უგვარო ზმნებისაა, რომელიც მხოლოდ მ-პრეფიქსითა და არ სუფიქსით აწარმოებენ მიმღეობას. ამასთან ერთად საგულისხმო იხილ არის, რომ ამოსავალი ზმნების ფუძეში ორსავე შემთხვევაში დ თანხმოვანი გვაქვს. ამიტომ ასომილაციის პროცესიც გასათვალისწინებელია.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 213-232.

⁶ საინტერესოა, რომ სვანურში, რომელიც მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსებით მეტად ღარიბია, ნა-პრეფიქსით ნაწარმოები მიმღეობა უს გამოავლენს: ნა-ტიხ-უ – „ნაბრუნები“, ნა-კიდ-უ – „ნაღვები“: ეს უ ქართულის -ევ სუფიქსს უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც სწორედ ნაწინ პრეფიქსებთან გამოყენდება ქართულშიც.



ტყუან, მტიყან, მსიყან, მციყან... სპეციალურ ლიტერატურაში მიმღეობის ამ ფორმებში გამოვლინებული -ან მიმღეობის მაწარმოებელ სუფიქსად არის მიხნეული⁷.

მაგრამ -ან სუფიქსი გამოვლინდება გარკვეული ტიპის ზმნათა მიმღეობებში. ეს ის ზმნებია, რომლებსაც აწმყოში შესამე სუბიექტური პირის ნიშნად ა აქვთ: კიჟა, ყიჟა, ჩიჟა, ციჟა, ტყიჟა, ჩხაჟა...

ან ელემენტის გამოვლენა მხოლოდ ამ ტიპის ზმნათა მიმღეობებში ვგვხვდებით, ხომ არ არის ან ზმნის ფუძის კუთვნილება და არა მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი?

არ უნდა იყოს ვამორიციხული, რომ ამ ტიპის ზმნებში ა-ან (ნ-ს დაკარგვა აუსლავურში არ არის უცხო ფონეტიკური მოვლენა ქართულური ენებისათვის). -ან იქნებ შესამე სუბიექტური პირის უძველესი ნიშანი იყოს, რომელიც მთლიანი სახით მიმღეობის ამ ფორმებშია შემონახული.

-ილ და -ულ სუფიქსები მიმღეობას პრეფიქსის გარეშეც აწარმოებენ, დროის მიხედვით -ილ და -ულ სუფიქსიანი მიმღეობა ნამყო დროისაა და ამოსავალი მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირ ობიექტს უდრის. -ულ სუფიქსი ჩვეულებრივ ბაგისმიერი ბგერით დაბოლოებულ ზმნათა მიმღეობაში გვაქვს; ამიტომ, შესაძლებელია, იგი -ილ სუფიქსისაგან მომდინარეობდეს ო-ს ლაბილიზაციის შედეგად⁸. მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში -ულ დამოუკიდებელი მორფოლოგიური ოდენობა ჩანს: ქმნ-ულ, შჯ-ულ, გაჟთ-ულ, მხაჯ-ულ, მო-ხაჯ-ულ, მო-ქაღ-ულ, მო-ნან-ულ, მო-ციქ-ულ... ამ მაგალითებში ლაბილიზაციის პროცესისათვის საფუძველი არ ჩანს.

როგორც აღვნიშნეთ, მიმღეობის მაწარმოებელი ყველა სუფიქსი გარდა -ილ და -ულ სუფიქსებისა მხოლოდ პრეფიქსთან ერთად აწარმოებს მიმღეობას. აღსანიშნავია, რომ ოდენ სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობა ჩვეულებრივ პრევერბიანია (უპრევერბო ფორმები სუბსანტივებს წარმოადგენენ: თხრილი, კრებული, წერილი...). პრევერბის დართვა და პრეფიქსის უქონლობა თითქოს შინაგან კავშირშია ერთმანეთთან. ყუფქრობთ, არ უნდა იყოს შეუძლებელი პრეფიქსის უქონლობა ოდენ სუფიქსიან წარმოებაში პრევერბის არსებობით ავხსნათ (ანალოგიური ვითარებაა მეგრულ-ჭანურშიც).

მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსები უარყოფითი ფორმების წარმოებაშიც იღებენ მონაწილეობას. მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსები უარყოფით ფორმებში არ გვხვდება. გვაქვს მხოლოდ უ- პრეფიქსი, რომელსაც უარყოფითობა უკავშირდება სწორედ, მიმღეობის უარყოფითი ფორმები ნამყო დროის საობიექტო მიმღეობებს აქვთ. სასუბიექტო მიმღეობას საპირისპირო უარყოფითი ფორმები არა აქვს და სათანადო შინაარსი გადმოიცემა სასუბიექტო მიმღეობის დადებით ფორმაზე უ-პრეფიქსის დართვით: უმბარ (ხოლო უკუეთუ, უმგბარ იყვის, ი. და ყვთ. 70, 12), უმცხორობელ (შეუძლებელ იყოს სოფელი და უმცხორობელ ცხოვრება - ეკლ. 163,27), უმცვალებელ (და შეცვალა... უძრავი შემცვალებლად და მოძრავი უმცვალებელად. შტბ. მრ. გვ. 10)... ახალ ქართულში სასუბიექტო მიმღეობის უარყოფითი ფორმები აღწერილია იწარმოება „არა“ ნაწილაკის დართვით მიმღეობის დადებით ფორმაზე: არგამკეთებელი, არმცოდნე... თუმცა ამგვარი წარმოება ძველ ქართულშივეა დადასტურებული ნუწარსაწყმედელი, არამწუჟკარი...

მაგრამ გვაქვს უდავო მაგალითებიც იმისა, როცა უარყოფითი მიმღეობა შინაარსით (და არა მხოლოდ წარმოებით) უპირისპირდება სასუბიექტო მიმღეობას: უტყუ და მეტყუელი, ურნ და მო-რნი-ელ, უდწა და მო-დწა, უკუღავ და მო-კუღავ, უხმ და მ-სმენ-ელ, უქმ და მ-ქმნ-ელ; ახალ ქართულში: უქნარა კაცი, უთქმელი კაცი (საპირისპირო ფორმებია: მქმნელ, მოქმელ).

ცნობილია, რომ ქართულს მიმღეობის ფორმათა მრავალფეროვნება ახასიათებს, რაც წარმოების ხაშუვლებათა მრავალფეროვნებით არის გამოწვეული და რასაც ძირითადად მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსები და პრეფიქსის ხმონითი ნაწილი ქმნის.

ამიტომ ქართულში მიმღეობათა წარმოების განხილვის დროს უპირველესად ყოვლისა უნდა გაირკვეს მიხეზები მიმღეობის წარმოების მრავალფეროვნებისა.

⁷ არნ. ნიქობაჟა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულურ ენებში, გვ. 95, § 39.
⁸ ა) G. deeters, das khartvelische Verbum, გვ. 225, § 424.
 ბ) ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 593, § 59.



დამახასიათებელია ამ მხრივ აკ. შანიძის შენიშვნა ამ საკითხზე: „არსად არ მინახავს ქართული ერთმანეთში სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კილოს ქონება, როგორც მძიმეების ფორმებში“⁹.

ამგვარად, წარმოების საშუალებათა მრავალფეროვნების ახსნა სხვადასხვა მიზეზით შეიძლება:

I. შესაძლებელია ქართულში ერთი და იმავე შინაარსის მქონე მიმღობის სხვადასხვა ფორმათა არსებობა იმაზე მიუთითებდეს, რომ საქმე გვაქვს სხვადასხვა დიალექტურ მონაცემთან.

ძველ ქართულში მიმღობის სხვადასხვა ფორმათა არსებობა უკვე იმის მაჩვენებელია, რომ ძველ ქართულშივე (ხამწერლო ენაში) იყო შედრელებული სხვადასხვა დიალექტის მონაცემები. ამიტომ ერთ-ერთი ძირითადი და საკითხი მიმღობათა წარმოების ქართულში არის გაშიჯვნა სხვადასხვა დიალექტური მონაცემისა, მიმღობის წარმოების ტიპების განაწილება დიალექტთა მიხედვით.

მიმღობათა წარმოების მხრივ ქართულის დიალექტებში ცოტად თუ ბევრად მხვაგვის ვითარებაა. არსებითი ხასიათის სხვაობა მათ შორის არ შეინიშნება. ცალკე ღვას მხოლოდ ინგილოური, რომელიც მიმღობათა წარმოებაში რიც თავისებურებებს გამოავლენს:

1. ნა-პრეფიქსიანი მიმღობა ნამყო დროის საობიექტო მიმღობის გარდა აწმყო დროის სასუბიექტო მიმღობის გამოსახატავად იხმარება; ე. ი. გვაქვს იქ, სადაც მ-პრეფიქსიანი მიმღობა მოსალოდნელი: დანაგდევ - დამგდები, ნაქნარ - მყოფი, ნაცოდნ - მცოდნე...

2. უარყოფითი მიმღობის ფორმების უარყოფითობის უ-პრეფიქსი პრეფერის წინაც გამოიხმარება: უ-მო-უ-ფიქრველ, უ-გო-უ-ყიდელ...

3. მყოფადი დროის მიმღობებში, მიმღობის მაწარმოებელი სა-პრეფიქსის თანხმოვნით ნაწილი პრეფერის დართვის შემთხვევაში იკარგება: მა-ა-კრ-ელ, და-ა-მელ, მა-ა-კლოლ...

4. მყოფადი დროის გამოსახატავად ინგილოურს საეკლოურს ნაკვით არ მოეყოლება. სათანადო შინაარსს აქ გადმოსცემს მყოფადი დროის სა-პრეფიქსიანი ფორმა მიმღობისა, რომელსაც სუბიექტური პირის აღსანიშნავად ერთვის მეშველი ზმნა: წა-ა-ყონ-ე ვარ - წავეყვან, საქვევარ - ვიხამ...

საინტერესოა, რომ უფრო ენაშიც მყოფადის წარმოების იგივე პრინციპი გვაქვს, რაც ინგილოურში.

მიმღობათა წარმოების განხილვამ ქართულ დიალექტებში გვიჩვენა, რომ ქართული ენის დიალექტთა თანამედროვე მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მიმღობის წარმოების ტიპები დიალექტთა მიხედვით განაწილდეს.

დიალექტური ფორმების გამოყოფის შეუძლებლობა, საფიქრებელია, დიალექტებზე სალიტერატურო ენის გავლენით იყოს გამოწვეული. ეს გავლენა, შესაძლებელია, ძველი ქართული სალიტერატურო ენის ეპოქაშივე დაწყებულიყო საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდგომ.

მაგრამ ერთი გარემოებაც არის გასათვალისწინებელი: მიმღობის წარმოებაში მონაწილე ყველა სუფიქსი უპირველეს ყოვლისა მარტივ არსებითსა და ზედსართავ სახელებში დასტურდება. ამ აფიქსთა ფუნქციისა მოახდინოს გაუდიფერენცირებელი ფუძის (ძირის) როლოც სახელის ფუძის კონკრეტისადაც. სუფიქსთა (სახელის ფუძის დეტერმინანტთა) ამგვარი ინტერპრეტაციით იხსნება იმავე სუფიქსთა არსებობა მიმღობაშიც. მიმღობაში ეს სუფიქსები, ზმნურ ფუძეს რომ სახელად აქცევს¹⁰.

სახელის ფუძის ყველა დეტერმინანტი, რომელიც მიმღობის მაწარმოებელ სუფიქსებად გვევლინება, იმავე დროს, ქართულის ყველა დიალექტში გვხვდება. ამიტომ დიალექტს შეუძლო ყველა დეტერმინანტი გამოყენებისა მიმღობის საწარმოებლად.

არც ეს მომენტია გამოსარჩხავი, როცა მიმღობათა წარმოებაში დიალექტური ტიპების გამოყოფის შეუძლებლობაზე ვლაპარაკობთ.

II. მიმღობის ფორმათა მრავალფეროვნება შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ საქ

⁹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 588, § 584.

¹⁰ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.



მე გეკონდებს ქართული ენის განვითარების სხვადასხვა პერიოდისათვის დამახასიათებელ წარმოებასთან.

ძველსა და ახალ ქართულს (ვეფლისხმობთ XII-XIX სს. ქართულს) შორის მიმდებობათა წარმოების მხრივ არსებითი ხასიათის სხვაობა არ დასტურდება. მიმდებობის წარმოების ჩამოყალიბების პროცესი ძველ ქართულშივე დამთავრებული და იმტომ.

ძველ ქართულში დადასტურებული მიმდებობის წარმოების ყველა ტიპი ახალ ქართულშიც გვხვდება; მაგრამ ზოგიერთი წარმოების მოქმედების არე შეზღუდულია. ეს წარმოების ის ტიპებია, რომლებიც ძველ ქართულშივე არ იყო პროდუქტიული.

ძველსა და ახალ ქართულს შორის მიმდებობათა წარმოებაში სხვაობა ძირითადად იმაში შეინიშნება, რომ ახალი ქართული უპირატესობას აძლევს მიმდებობათა ოდენ პრეფიქსიან წარმოებას; მაშინ, როცა ძველი ქართულისათვის პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება იყო დამახასიათებელი.

საკუთრივ ლიტერატურაში ოდენ პრეფიქსული წარმოების გაბატონება ახალ ქართულში სუფიქსთა ფუნქციის დაზღვევით არის ახსნილი¹¹. მიმდებობის მაწარმოებელ სუფიქსთა ფუნქცია რომ სავსებით დაზღვეულია, ეს უპირველეს ყოვლისა იქიდან ჩანს, რომ მისი უკონტროლო მიმდებობაში მნიშვნელობის ცვლილებას არ იწყვეს.

სუფიქსი მიმდებობის საწარმოებლად ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, კერძოდ, ენაში გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედების პერიოდში, აუცილებელი იყო. სუფიქსის საშუალებით ზმნის კლასიფიკაცია ფორმა ნაზმნარ სახელად ფორმდებოდა.

პირობა უღვლილებასე გადასვლის შემდეგ კი მიმდებობა, რომელიც ძველი მაწარმოებლობით (ე. ი. კლასის ნიშნებით) დარჩა გაფორმებული, ზმნის პირიანი ფორმისაგან განსხვავებული იყო. ამის გამო სუფიქსის ფუნქციაც დაიზღვეოდა.

მაგრამ გრამატიკული კლას-კატეგორიის არსებობის კვალი უკვე ძველ ქართულშივე არ იგრძნობოდა. ასეთ შემთხვევაში რთი ახსნათ ის გარემოება, რომ უსუფიქსო წარმოებამ ძველ ქართულშივე არ მოიკიდა ფეხი?

ძველ ქართულში მიმდებობის საწარმოებლად პრეფიქსთან ერთად სუფიქსის გამოყენება ტრადიციას უნდა მიეწეროს. სუფიქსის დართვის საჭიროება იმ დროის გადმონაშთია ძველ ქართულში, როცა მისი დართვა ზმნის ფუძისაგან სახელის გასაფორმებლად იყო აუცილებელი.

მიმდებობათა წარმოების მრავალფეროვნების მიზეზების რკვევას გათვალისწინებული უნდა იყოს მესამე მომენტიც: შესაძლებელია, მიმდებობის ფორმათა მრავალფეროვნება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ სხვადასხვა ტიპის ზმნები (გარდამავალი თუ გარდაუვალი, სტატიკური და დინამიკური, მოქმედებითი თუ ვნებითი გვარისა) მიმდებობის საწარმოებლად სხვადასხვა მაწარმოებელს იყენებდნენ.

ეს კითხვა გადატრიალი იქნება მიმდებობის წარმოებასთან დაკავშირებული ორი ძირითადი საკითხის განხილვის შემდეგ: რთი და რისგან იწარმოება ქართულში მიმდებობა; ე. ი. როცა გაანალიზებული იქნება მიმდებობის საწარმოებლად გამოყენებული ზმნის ფუძე და მიმდებობის მაწარმოებელი აფიქსები.

მოქმედებითი გვარის ზმნას ქართულში სამივე დროის მიმდებობა აქვს: აწმყო, ნამყო და მყოფადი დროისა. აწმყო დროის მიმდებობა სასუბიექტოა, ე. ი. უდრის შესაბამისი ზმნის სუბიექტს, ხოლო მყოფადი და ნამყო დროის მიმდებობები ამოსავალი მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირ ობიექტს გამოხატავს.

მოქმედებითი გვარის ზმნას არა აქვს სასუბიექტო მიმდებობა ნამყო და მყოფადი დროისა და საობიექტო მიმდებობა აწმყო დროისა. ენაში ხშირად ამ ფორმების გამოხატევა საჭირო და საინტერესოა, რა საშუალებებს მიმართავს ამისათვის ენა?

ახალ ქართულში ნამყო და მყოფადი დროის მიმდებობის შინაარსს გადმოსცემს აწმყო დროის მიმდებობის პრევერბიანი ფორმა: მკითხველი - „ვინც კითხულობს“, წამკითხველი - „ვინც წაიკითხავს“ ან „ვინც წაიკითხა...“ მაგრამ პრევერბი ვერ ქმნის სხვაობას მყოფადი და ნამყო დროის მიმდებობებს შორის.

მაგრამ ნამყო დროის სასუბიექტო მიმდებობის გამოსახატავად ენა სხვა საშუალებასაც მი-

¹¹ იქვე, გვ. 126, § 47.



მართავს: ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის წინ დაისმის ამოსავალი ზმნის, კერძოდ, ობიექტი და ეს როული ფუძე მთლიანად მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტს გამოხატავს: ხმალამოწვდილი, პირდადებული, ცხვირაწუელი... ეს წარმოება ძველ ქართულშივეა ფართოდ გავრცელებული: ნათელდებული, თმაგარდატევებული, ბუნებაშეცვალებული, პირდაყოფილი...

პირნობი ამ წარმოებისა და მახასიათებელია იბერული-კავკასიური ენებისათვის. ამიტომაც წარმოების ეს ტიპი არ შეიძლება ძველი არ იყოს¹².

ამ წარმოებაში გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს პირდაპირი ობიექტის ადგილს. თუ ის წინ უძღვის მიმღეობის ფორმას, მთლიანად მიმღეობა სასუბიექტოა: ხმალამოწვდილი - „ეინც ხმალი ამოწვდა“. კომპოზიტი მონაწილე ფორმა მიმღეობისა ცალკე აღებული კი საობიექტოა - ამოწვდილი ხმალი.

არსებითად ასეთსავე წარმოებასთან გვაქვს საქმე „ნაცარქექისა“ ტიპის მიმღეობებშიც. სახელადი ნაწილი კომპოზიტისა აქაც შესაბამისი ზმნის პირდაპირი ობიექტს წარმოადგენს. მიმღეობის ეს ტიპი ახალ ქართულშია (ხეპირმეტყველებლბა, ზღაპრებში) გავრცელებული: ნაცარქექია, კაციჭამია, დოღლაპია, ხატიპარია, ჩიტრეკია, ნემსიყლაპია, გუდაბერეკია...

ამ ტიპის მიმღეობებში ზმნური ნაწილი ბრძანებითის ფორმით არის წარმოდგენილი: ნაცარქექია-ნაცარქექია, - ნემსიყლაპია-ნემსიყლაპა. ე დაევიწროებულია ა სუფიქსის დართვის გამო. მეგრულში ი. ყიფშიძეს დადასტურებული აქვს კომპოზიტ მიმღეობათა ისეთი წარმოება, როცა სახელადი ნაწილი შესაბამისი ზმნის პირდაპირი ობიექტს წარმოადგენს, ხოლო მეორე ნაწილი ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმას მცირე პირისა: უშეკური-კორობი - „ვაშლის შეშერები, [ვაშლი-კრიფე], ჩაკა-ზიდი - „კალათის შხიდაგი“ [კალათი-ზიდე]¹³...

რომ „ნაცარქექისა“ ტიპის მიმღეობაში სუფიქსისეული ი-ე და თვით მიმღეობა ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმაა, ამას ისიც მოწმობს, რომ ამ ტიპის წარმოებაში მხოლოდ ის ზმნები მონაწილეობენ, რომლებიც ბრძანებითში ე-ს გამოთვლებენ: ყლაპე, ბერტყე, ჭამე, რეკე- (და არა გვაქვს კაცი-კლია, შეში-ჭრია, და ა. შ. ფორმები). რადგან ზმნური ნაწილი კომპოზიტის ამ ფორმებში ზმნის პირიანი ფორმაა, სახელადი ნაწილის ი სუფიქსი არ შეიძლება ნათესაობით ბრუნვის ნიშნისეული იყოს.

ა სუფიქსი ამ წარმოებაში მასუბსტანტივებელი ელემენტი ჩანს.

მიმღეობა იწარმოება აგრეთვე უგვარო დინამიკური ზმნებიდან (ე. წ. უნიშნო ვნებითი გვარის ზმნებიდან). ამ ტიპის ზმნებს მხოლოდ ნამყო დროის მიმღეობა აქვს: გამობარი, გამშრალი, გამხმარი, მკვდარი, მამურადი... აწმყო და მყოფადი დროის მიმღეობის ფორმები დინამიკური უგვარო ზმნებს არა აქვს. როცა ეს შინაარსია გამოხატავი, ენა საწარმოებლად იყენებს არა ზმნის ფუძეს, არამედ მასდარისას და სათანადო აფიქსით დართული აწარმოებს აწმყოს (მ-პრეფიქსით) და მყოფადის (სა-პრეფიქსით) მიმღეობებს: მ-მომ-ელ - „ეინც ძერება“, მ-შრომ-ელ - „ეინც შურება“, სა-ცხრომ-ელ - „რაც დაცხრება“, სა-შოიმ-ელ - „რაც დაშთება“¹⁴...

მიმღეობის ფორმები სტატიკურ ზმნებსაც აქვთ (აქ შედის ე. წ. საშუალო გვარის ზმნებიც). ერთპირიან სტატიკურ ზმნებს მხოლოდ სასუბიექტო მიმღეობის ფორმები აქვთ მ-პრეფიქსით ნაწარმოები. ინვერსიულ სტატიკურ ზმნებს კი მიმღეობის ორ-ორი ფორმა აქვთ: მოკურ-ე და სა-კურ-ელ, მო-ძულ-ე და სა-ძულ-ელ, მო-კურენ-ე და სა-კურენ-ელ, მო-თნ-ე და სა-თნ-ომ. მ- და სა-პრეფიქსიანი ფორმები დროის მიხედვით არ არიან დაპირისპირებული.

ამგვარად, ქართულში მიმღეობა იწარმოება მოქმედებითი გვარის ზმნებიდან, უგვარო დინამიკური ზმნებიდან და უგვარო სტატიკური ზმნებიდან. ამასთან თითოეულ მათგანს არ ახასიათებს მიმღეობის წარმოების მხოლოდ ერთი გარკვეული ტიპი. მ-არ წარმოება მიმღეობისა, მაგალითად, დამახასიათებელია არა მარტო დინამიკური უგვარო ზმნებისათვის, არამედ ამავე პრეფიქს-სუფიქსით აწარმოებს მიმღეობას მოქმედებითი გვარის ზმნებიცა და სტატიკური ზმნებიც.

¹² არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 77, § 45, შენიშვნა.

¹³ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с х рестоматиею и словарем, СПб, 1913, გვ. 131, § 129.

¹⁴ ამოსავალი ფუძე მასდარისეულად მივიჩნით იმის გამო, რომ ი-ომ, -ოლ სუფიქსები მხოლოდ მასდარში გვხვდება.

დროის გამოხატვის საკითხი მიმდევრებათა წარმოებაში

დრო ზმნის გრამატიკული კატეგორიაა, მაგრამ მიმდევრებაც, როგორც ნაზმნარი ზედსართავი სახელი, დროის მიხედვით არის განსაზღვრული. ქართულში სამი დროის მიმდევრება გვაქვს: აწმყო, ნაწმყო და მყოფადი დროისა. დროის გამოხატვის მომენტითაა, რომ მიმდევრებას ხელისაგან ნაწარმოებ სახელს უპირისპირდება.

იმ ენებში, სადაც მიმდევრება დროის მიხედვით არის განსაზღვრული, დროის გამოხატვა ეკისრება მიმდევრების ნაწარმოებლად აღებულ ზმნურ ფუძეს (მაგალითად ხუნძურში) ან მიმდევრების ნაწარმოებელ აფიქსს (მაგალითად, უდურში).

რა ვითარებაა ქართულში? გამოიხატება თუ არა მიმდევრებათა წარმოებაში დრო გრამატიკულად და დროული ვაგება ზმნურ ფუძესთან არის დაკავშირებული თუ არა? სხვაწარად რომ ვთქვათ: ნაწმყო მიმდევრება ზმნის ნაწმყო ფუძეზე არის დამყარებული და შენაბამისად აწმყო მიმდევრება თუ იყენებს ამოსავლად ზმნის აწმყო ფუძეს?¹⁵

მიმდევრების ფუძეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ნაწარმოებლად გამოყენებული ზმნის ფუძე არ იძლევა დროულ განსხვავებას. მიმდევრებათა აბსოლუტური უმრავლესობა (აწმყო და ნაწმყო დროისა) ნაწარმოებლად იყენებს ზმნის აწმყო ფუძეს:

- მ-ყოფ-ელ - ნა-ყოფ, ყო-ფ-ილ - სა-ყოფ-ელ
- მ-შობ-ელ - ნა-შობ, შობ-ილ - სა-შობ-ელ
- მ-ტაცებ-ელ - ნა-ტაცებ
- მ-ცემ-ელ - ცემ-ულ - სა-ცემ-ელ
- მ-ცემ-ელ - ცემ-ულ
- მ-ცხებ-ელ - ცხებ-ულ
- მ-ღებ-ელ - ღებ-ულ
- და-მზადებ-ელ - და-ზადებ-ულ
- მა-უწყებ-ელ - უწყებ-ულ
- მა-გინებ-ელ - გინებ-ულ
- მა-ქებ-ელ - ქებ-ულ - სა-ქებ-ელ
- მ-ქადაგებ-ელ - ქადაგებ-ულ
- მა-შენებ-ელ - შენებ-ულ - სა-შენებ-ელ
- მა-შფოთებ-ელ - ალ-შფოთებ-ულ
- მა-ხარებ-ელ - ხარებ-ულ
- მ-პყრობ-ელ - პყრობ-ილ - სა-პყრობ-ელ
- მა-ენებ-ელ - ენებ-ულ - სა-ენებ-ელ...

არაფერს გვეუბნება ნაწარმოებელი ფუძე ერთმან ზმნათა მიმდევრებში იმის გამო, რომ ამ ზმნებს საერთო ფუძე აქვს აწმყოსა და აორისტში.

(მ-წერ-ელ - წერ-ილ, მ-ჭამ-ელ - ჭამ-ულ, მ-თხოვ-ელ - თხოვ-ილ...)

ერთი შეხედვით თითქოს ნაწარმოებელი ფუძის მიხედვით არიან დაპირისპირებული ავთუქის ნიშნისა ზმნათაგან ნაწარმოები მიმდევრები: მ-ხილ-ვ-ელ და ხილ-ულ, მ-ტანჯ-ვ-ელ და ტანჯ-ულ, მ-კლვ-ელ და (მო)-კლ-ულ, მ-ფარ-ვ-ელ და ფარ-ულ... მაგრამ ამ შემთხვევებშიც ზმნის აწმყო ფუძე ამოსავალი ნაწმყო მიმდევრებისათვის: ხილ-ულ←ხილ-ვ-ილ, ტანჯ-ულ←ტანჯ-ვ-ილ, მო-კლვ-ულ←მო-კლვ-ილ, ფარ-ულ←ფარ-ვ-ილ...

მიმდევრების ფუძეთა ანალიზით ირკვევა, რომ მიმდევრების ნაწარმოებლად გამოყენებულ ზმნის ფუძესთან არ არის დაკავშირებული დროის აღნიშვნა მიმდევრებაში.

არც მიმდევრების ნაწარმოებელი სუფიქსები მიუთითებენ დროზე: მიმდევრების ნაწარმოებელი თითოეული სუფიქსი სხვადასხვა დროის მიმდევრებში ვხვდებით.

ამაქმად და ძველ ქართულშიც დროის გამოხატვა მიმდევრებაში პრეფიქსებთან არის დაკავშირებული: მ- აწმყო მიმდევრებას აწარმოებს, სა- მყოფადისას, ნა || ნე ნაწმყო დროის მიმდევ-

¹⁵ მყოფადი დროის გამოხატვის საკითხი ამოსავალი ზმნის ფუძის მიხედვით იხსნება იმის გამო, რომ მყოფადი დროის გამოხატვა საკუთარი ნაკითხი ძველ ქართულში არ არსებობდა.



ბას. მაგრამ ისტორიულად არც პრეფიქსები უნდა ყოფილიყვნენ დროის გამოხატულებად მენტები.

პრეფიქსებით დროის აღნიშვნის საკითხი მოხსნილია უკვე იმ დებულებით, რომ იგივე მ-, ხა-, ნა- აფიქსები სახელისაგან ნაწარმოებ სახელებში გვაქვს, სადაც დროის აღნიშვნა გამო-
რიცხულია.

ისტორიულად არც პრეფიქსთან და არც სუფიქსთან არ არის დაკავშირებული დროის გა-
მოხატვა მიმდევობაში. ასეთ ვითარებაში მოხალოდნელი იყო სწორედ, რომ ზმნის ფუძეს მოე-
ცა მითითება დროზე; მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არც მიმდევობის საწარმოებლად გამოყე-
ნებული ზმნის ფუძე იძლევა დროის გაგებას.

მაშასადამე, გრამატიკულად დრო მიმდევობაში იმთავითვე არ ყოფილა გამოხატული.

მიმდევობათა წარმოებაში დროის აღნიშვნის მეორეულობაზე ისიც მიუთითებს, რომ ზმნის
ერთი ფორმიდან ყველა დროის მიმდევობა არ იწარმოება:

1. მოქმედებითი გვარის ზმნის სასუბიექტო მიმდევობა მხოლოდ აწმყო დროისაა და არა
გვაქვს მიმდევობის ნამყო და მყოფად დროის ფორმები. ამავე ზმნებიდან ნაწარმოები საობი-
ექტო მიმდევობები კი ნამყო და მყოფად დროისაა. აწმყო დროის საობიექტო მიმდევობები კი
არა გვაქვს.

2. დინამიკურ უგვარო ზმნებს მხოლოდ ნამყო დროის მიმდევობის წარმოება შეუძლია.

3. სტატიკურ ზმნათა მიმდევობებში საერთოდ მოხსნილია დროის გამოხატვის საკითხი.

ამჟამად მიმდევობათა წარმოებაში დროის კატეგორია გამოხატულია, მაგრამ დროის მიხედ-
ვით განსხვავებული მიმდევობები შედარებით ახალი ვითარების ამსახველია. ისტორიულად
კართული ზმნის მიხედვით დაპირისპირებული მიმდევობის ფორმები არ უნდა გვქონოდა.

რადგან მიმდევობათა წარმოებაში დროის კატეგორია იმთავითვე არ იყო გამოხატული, არ
არის გამორიცხული შესაძლებლობა, მიმდევობათა ჩამოყალიბება ზმნის უღვლილებაში დრო-
ის კატეგორიის წარმოქმნამდე ვივარაუდოთ.

მაგრამ გარკვეული დაბრკოლებები ამ ვარაუდს მაინც ელოდება წინ: თუ დავეუშვებთ, რომ
მიმდევობა ჩამოყალიბდა იმ ხანაში, როცა დროის კატეგორია არ იყო წარმოქმნილი და ზმნის
უღვლილება განარჩევდა ასპექტებს (ე. ი. გექონდა მხოლოდ ორი ძირითადი ნაკეთი: აორისტი
და ხოლმყობითი), მაშინ მიმდევობის საწარმოებლად გამოყენებული ზმნის ფუძე მარტივი უნ-
და იყოს დრო-კიდობა მერვე წყებისა; მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მიმდევობა ჩვეულებრივ
ზმნის აწმყოს ფუძეს იყენებს ამოსავლად.

და მაინც გვაქვს მიმდევობის ფორმათა ერთი წყება, რომლებიც ამ ვარაუდს (ე. ი. იმას,
რომ მიმდევობათა ჩამოყალიბება დროში წინ უსწრებს ზმნის უღვლილებაში დროის კატეგო-
რიის წარმოქმნას) უჭერს მხარს. ეს ის მიმდევობებია, რომელთაც საწარმოებლად გამოყენებუ-
ლად აქვთ ზმნის მარტივი, დრო-კიდობა მერვე წყების ფუძე: პირ-მ-შე-ე, სა-შ-
ო (←სა-შე-ე), ხა-შ-ტ, ნე-შ-ტ, ნე-რ, ხა-შ-ხ-ელ, მ-შ-ხ-ელ, მ-კურ-ად, მო-კი-ხ-არ, მ-ტ-
ი-ელ, სა-ბ-ელ, ხა-რ-ტ-ელ, ნე-ს-ტ, მ-ხ-ელ, მ-ხ-რა-ხ, შე-მ-რა-ც-ხ, შე-ურ-ა-ც-ხ, მო-ღ-უ-ა-წ, სა-ტ-
ურ-ც, უ-ს-მ, უ-რ-ს, ზა-მ-თ-არ...

აღსანიშნავია, რომ დინამიკური უგვარო ზმნები (ე. წ. უნიშნო ენებითები) მიმდევობის წარ-
მოებისათვის ამოსავლად იყენებენ მხოლოდ ზმნის მარტივ ფუძეს: მ-კურ-ად, მ-ძ-არ, მ-
შურ-ად, მ-წყუ-ად, მ-შთ-არ, მ-გ-არ, მ-წყ-ად, მ-დ-არ, მ-ტ-არ...

ამ ტიპის ზმნები კი უძველესი ხანის ზმნებად არიან მიჩნეული სპეციალურ ლიტერატურ-
აში (ა. კ. შანიძე, ქ. ლომთათიძე).

მიმდევობის ეს ფორმიტივა და მიმდევობათა წარმოებაში დროის გამოხატვის მეორეულო-
ბაც მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ შეუძლებელი არ არის მიმდევობათა ჩამოყალიბება
ზმნის უღვლილებაში დროის კატეგორიის წარმოქმნამდე ვივარაუდოთ.

აწმყოს ფუძის გამოყენება მიმდევობის საწარმოებლად შედარებით ახალი ვითარების ამ-
სახველია, კერძოდ, აწმყოს წყების დრო-კიდობა ჩამოყალიბების შემდეგდროინდელი. დროის
აღნიშვნა მიმდევობაში ამ ხანიდან უნდა დაწყებულიყო; ოღონდ დროზე მითითება დაეკისრა
არა ზმნის ფუძეს, არამედ უფუნქციოდ დარჩენილ აფიქსებს.

თუ ზმნის უღვლილებაში დროის კატეგორია უკვე ჩამოყალიბებული იყო, რატომ იმა-
ვითვე არ გამოიხატა დრო მიმდევობათა წარმოებაში და მერე დაეკისრა ეს ფუნქცია მიმდევ-
ობის საწარმოებლად აფიქსებს?

რადგან მიმღეობის ფორმებში ისტორიულად დროის კატეგორია არც გრამატიკულად და არც საწარმოებლად გამოყენებული ზმნის ფუძით არ არის გამოხატული, ცხადია, მიმღეობათა წარმოებაში დროის გამოხატვა მჭორეულია.

თავისთავად დროის გამოხატვის მჭორეულობა მიმღეობათა წარმოებაში საინტერესოა მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება მასდარისა და მიმღეობის დიფერენციაციის მჭორეულობის შესახებ¹⁶. მასდარში დროის გამოხატვის საკითხი მოხსნილია. მიმღეობაში დროის გამოხატვის მჭორეულობა ამ მხრივაც მოსალოდნელი იყო.

გვარის გამოხატვის საკითხი მიმღეობათა წარმოებაში

როგორ დგას გვარის გამოხატვის საკითხი მიმღეობათა წარმოებაში? სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მიმღეობას მოეყოლება გვარის კატეგორია. მიმღეობის ფორმები გარდა დროისა გვარის მიხედვითაც არიან დაპირისპირებული: მა-შენებ-ელ – „ვინც აშენებს“ – მოქმედებით გვარის მიმღეობაა, სა-შენებ-ელ აშენებ-ელ – „რაც აშენდება“, „რაც აშენდა“ – ენებით გვარისა.

რა გვაძლევს მიმღეობის ამ ფორმების ენებით გვარისად მიწვევის შესაძლებლობას? – მხოლოდ შინაარსი. საჭიროა გავარკვეოთ არის თუ არა მიმღეობათა წარმოებაში გვარი გამოხატული გრამატიკულად, რამდენად დამახასიათებელია ისტორიულად გვარის გამოხატვა მიმღეობისათვის?

ამ საკითხის გასარკვევად გაანალიზებული უნდა იქნეს მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსები და მიმღეობის საწარმოებლად გამოყენებული ზმნის ფუძე. ფუძეთა ანალიზით გარკვეული იქნება, გვაქვს თუ არა მიმღეობათა წარმოებაში გვარის გამოხატვლად იგივე აფიქსები, რაც ზმნის პირიან ფორმაში გვხვდება; ე. ი. მიუთითებს თუ არა ზმნის ფუძე გვარზე. ხოლო აფიქსთა ანალიზი გარკვევს, ენებით გვარის მიმღეობას მოქმედებით ან უგვარო ზმნათა მიმღეობის ფორმათაგან განსხვავებული მაწარმოებლები აქვს თუ არა; ე. ი. დაკავშირებულია თუ არა გვარის გამოხატვა მიმღეობის მაწარმოებელ აფიქსთან.

მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსები ვერ ჩაითვლება გვარის აღნიშნვლად იმის გამო, რომ თითოეული მათგანი გვხვდება როგორც მოქმედებით, ისე ენებით და უგვარო ზმნების მიმღეობებშიც.

იგივე ითქმის მიმღეობის მაწარმოებელ პრეფიქსთა შესახებაც.

მიმღეობათა წარმოებაში გვარის გამოხატვის საკითხის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენებით გვარის მიმღეობის ფუძეთა ანალიზს. თუ მიმღეობათა წარმოებისათვის გამოყენებულია ენებით გვარის ზმნის ფუძე, ცხადია, მიმღეობის ეს ფორმები ენებით გვარისად ჩაითვლება.

ენებით გვარის ზმნის ფუძეები მოქმედებით გვარისაგან ენებითის აფიქსებით განსხვავდება. ენებით გვარის მაწარმოებელია **ი-** და **ჟ-** პრეფიქსები, **-დ** სუფიქსი. გვაქვს თუ არა ეს აფიქსები ენებით გვარის მიმღეობის საწარმოებლად გამოყენებულ ზმნათა ფუძეებში? ენებით გვარის მიმღეობად მიწვეულ ფორმებში არსად არა ჩანს ენებითის მაწარმოებელი აფიქსები. ყველგან საწარმოებლად გამოყენებულია მოქმედებით გვარის ზმნის ფუძე: სა-შენებ-ელ, შენებ-ელ, გაკეთებ-ელ და ა. შ. – ენებით გვარის მიმღეობები ამოსავლად იყენებენ მოქმედებით გვარის ზმნის ფუძეს. ენებით გვარის ზმნა რომ გვექონოდა მიმღეობის ამ ფორმებში გამოყენებულ, ამ მიმღეობებს უშემდეგი სახე ექნებოდათ: *სა-შენებ-ელ, *შენებ-ელ, *გაკეთებ-ელ და ა. შ. მიმღეობის ამგვარი ფორმები კი ენაში არ გვხვდება.

რომ ენებით გვარის ზმნებიდან მიმღეობა არ იწარმოება, ამაზე ფუძედრეკადი ზმნების მიმღეობებიც მიუთითებენ. ნამყო დროის ენებით გვარის მიმღეობანი ფუძედრეკადი ზმნებისა **ჟ-** შვიცავენ: დრეკ-იდ, წვერ-იდ, წუჟ-იდ... და ეს იმიტომ, რომ ეს მიმღეობებიც მოქმედებით გვარის ზმნის აფიქსის ფორმისაგან არის წარმოებული.

რადგან ენებით გვარის არ არის გამოხატული მიმღეობაში, ამიტომ გვარის გამოხატვის საკითხი მიმღეობათა წარმოებაში საერთოდ იხსნება და არც გვარის მიხედვით დაპირისპირ-

¹⁶ არნ. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953.



ბული მიმღობის ფორმები გვაქვს. ამიტომაც მიმღობათა წარმოება იმ დროისაგან უნდა მივიხსინათ, როცა ზმნის უღვლილებაში გვარის კატეგორია არ იყო ჩამოყალიბებული და ზმნის გარდამავლობა-გარდაუვლობის მიხედვით იყვნენ დაიპირისპირებული (მთის კავკასიურ ენებში ახლაც არ არის ჩამოყალიბებული გვარის კატეგორია. ზმნა გარდამავალია, მაგრამ არ არის მოქმედებითი გვარისა; ისევე, როგორც გარდაუვალი ზმნა არ არის ენებითი გვარისა).

ჟ. წ. ენებითი გვარის მიმღობები გარდამავალი ზმნისაგან არის ნაწარმოები და თავდაპირველად მხოლოდ გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს აღნიშნავდნენ, ხოლო გვარის ჩამოყალიბების შემდეგ ენებითი გვარის მიმღობის საწარმოებლად ენამ იმიტომ არ გამოიყენა ენებითი გვარის ზმნის ფუძე, რომ გარდამავალი ზმნის სასუბიექტო მიმღობით ენებითი გვარის ზმნის სუბიექტის გამოხატვაც შეიძლებოდა (მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირი ობიექტი ენებითი სუბიექტად გვევლინება და იმიტომ). ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ მ-პრეფიქსიანი (ჟ. ი. გარდამავალი ზმნის სუბიექტს რომ აღნიშნავს) მიმღობა ენებითი გვარისა არა გვაქვს.

იმ მცირე შემთხვევებში, როცა მიმღობა ენებითი გვარის ზმნიდან იწარმოება, მიმღობის ფუძეში ენებითის ნიშანიც არის წარმოდგენილი: გა-მ-ტ-ქ-დ-არ, გა-მ-ს-ქ-დ-არ, მო-ძ-რ-ავ, მო-ზ-არ-დ-ულ (ზმნის ფუძისეულ ი-ს რომ ო ენაცვლება მიმღობაში, ამის შესახებ უკვე იყო ნათქვამი). საინტერესოა, რომ „გამსქედარი“, „გამტყედარი“ ფორმები ძველ ქართულში არ გვხვდება. მიმღობის ეს ფორმები შედარებით ახალი წარმოებია ჩანს.

ენებითი გვარის ზმნის მიმღობებია აგრეთვე მ-ფრინ-დ-ალ (გადაამფრინდალას მ-შინ ქალუნდაური სანისკე, ბ. გ. 159, 14), გა-უ-ფრინ-დ-ომ (გალეფრინდი გაუფრინდომსა ჯარის წყაროს ხევისსა, ბ. გ. 178, 11), ა-ტირ-დ-ომ-იდ (ატირდომიდ ვინ გააცინის, ილია: II, 27). მიმღობის ამ ფორმებში ენებითის დ მაწარმოებული წარმოდგენილია.

ცხადია, მიმღობის ეს ფორმები ზმნის უღვლილებაში გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგდროინდელია.

რადგან მოქმედებითი გვარის ზმნას აწმყო დროის საობიექტო მიმღობის ფორმები არ მოუპოვება, ენას არა აქვს შესაბამისად ენებითი გვარის ზმნის სუბიექტის გამოხატავი ფორმაც აწმყო დროისა. მაგრამ ენაში ხშირად ამ შინაარსის გამოხატვა საჭირო და ენა ამისათვის სხვადასხვა საშუალებას მიმართავს:

1. ენებითი გვარის აწმყო დროის მიმღობის შინაარსს ენა სოვჯერ მოქმედებითი გვარის ფორმითვე გადმოსცემს:

- შე-მ-წ-ე - ვინც შეაწვეს და შეეწეა
- მო-მ-რ-ევ - ვინც ურევს და ვინც ერევა
- შე-მ-ბ-მ-ელ - ვინც აბამს და ვინც შეებმის
- და-მ-ს-ხ-მ-ელ - ვინც ასხამს და ვინც ესხმის¹⁷...

2. მაგრამ ენა ცდილობს ენებითი გვარის აწმყო დროის მიმღობები მოქმედებითი გვარის სასუბიექტო მიმღობისაგან განსხვავებულად აწარმოოს. ჩვეულებრივ ეს არის ოდენ მე- | მო-პრეფიქსებით ნაწარმოები ფორმები მიმღობისა: მე-თრევი - „რაც ეთრევა“, მო-რევი - „რაც ირევა“, მე-წაველი - „რაც იწველება“, მე-ტეხი - „რაც ტყდება“, მე-რევი - „რაც ირევი“, მო-ზარდი - „რაც იზრდება“.

საინტერესოა, რომ ენებითი გვარის მიმღობის ამ ფორმებში მ-პრეფიქსი გვაქვს წარმოდგენილი. მ-პრეფიქსის გამოყენება ამ წარმოებაში იმაზე მიუთითებს, რომ მისი ფუნქციაა შესაბამისი ზმნის სუბიექტის აღნიშვნა და გახაზავს იმ ფაქტს, რომ სა- და ნა-პრეფიქსით ნაწარმოები მიმღობა მოქმედებითი გვარის ზმნის კუთვნილებაა.

3. იშვიათად აწმყო დროის ენებითი გვარის შინაარსს გადმოსცემს მოქმედებითი გვარის ზმნის ნაყოფი დროის საობიექტო მიმღობაც:

„ქინდა ყოველთა არახილულთა და ხილულთა... წარმოაჩინნა...“ (ეკლ. 2,17).

„ყოველი არსი, სულიერი თუ უსული, ხილული თუ უხილავი, ერთხადიამავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება (აკაკი IV, 9). აქ ხილული ენებითი გვარის ზმნის სუბიექტს გამოხატავს: ხილული - „თავალი დასახაი“, „რაც იხილება“.

¹⁷ იხ. აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 603, § 605.



„ზოგს ოცი კაცი ჰყვანდა, ზოგს ოცდაათი ჰყვანდა ცხერის მიხედვლითა“ (გუფთაქმურთა წიგნის მითითებით).

4. ვნებითი გვარის აწყო დროის მიმდევრობის შინაარსის გადმოსაცემად გამოყენებულია აგრეთვე მასდარი მიმართულებით ბრუნვაში: ჭკდადი - „რაც იტყვება“, დრგკადი - „რაც იდრკება“, მსხვრევადი - „რაც იმსხვრევა“...

ეს წარმოება ძველ ქართულშიცაა საქმოდ გავრცელებული: განხრწნადი, დაცემადი, დაჯწნობადი, დავიწყვადი, ჭამადი...

ამგვარად ნაწარმოები ფორმები პოტენციადის (შესაძლებლობის) გაგებას შეიცავენ. მიმდევრობათა წარმოებაში გვარის საკითხის გარკვევისთან დაკავშირებით ერთი კითხვა დგას: რამდენად ზუსტია ტერმინები „მოქმედებითი გვარის მიმდევობა“, „ვნებითი გვარის მიმდევობა“, „საშუალო გვარის მიმდევობა“?

ტერმინის ქვეშ „ვნებითი გვარის მიმდევობა“ შეიძლება ის იგულისხმებოდეს, რომ მიმდევობა ნაწარმოებთა ვნებითი გვარის ზმნიდან (ეს ტერმინი ასეთი გაგების შესაძლებლობას უთუოდ იძლევა). ამიტომ აქ არა მარტო ტერმინის საკითხი დგას, არამედ მას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

რადგან ვნებითი გვარის ზმნიდან მიმდევობა არ იწარმოება, ხოლო საშუალო გვარის შესახებ საეტიკლო დიქტარტურაში გარკვეული აზრი არსებობს (კერძოდ, უარყოფილია ამ გვარის ცალკე გამოყოფა) და, მაშასადამე, საშუალო გვარის მიმდევობაზედაც ვერ ვილაპარაკებთ, ამიტომ სრულიად გამართლებული იქნება, თუ ამ ტერმინების ნაცვლად გამოვიყენებთ ქ. ლომთათიძის მიერ ხმარებულ ტერმინებს „სუბიექტური მიმდევობა“, „ობიექტური მიმდევობა“¹⁸. ეს მიზანშეწონილი იქნება, თუნდაც მხოლოდ ტერმინს შევხებოდეს საკითხი.

წარმოების მიხედვით შესაძლებელია უფრო ზუსტი იყოს ტერმინები: „სასუბიექტო მიმდევობა“, „საობიექტო მიმდევობა“; ე. ი. სუბიექტისათვის განკუთვნილი და ობიექტისათვის განკუთვნილი მიმდევობა.

მიმდევობის ფუძეთა ანალიზი

მიმდევობის საწარმოებლად გამოყენებული ზმნის ფუძეთა ანალიზი, გარდა იმისა, რომ მიმდევობაში ზმნის გრამატიკული კატეგორიების გამოხატვის საკითხს არკვევს, სხვა მხრივაც არის საინტერესო. კერძოდ, ზოგი მიმდევობის ფუძეთა ანალიზმა, შესაძლებელია, გარკვეული ზმნის ფუძეთა აგებულებას შექი მოკვიროს.

მიმდევობა ჩვეულებრივ საწარმოებლად იყენებს შესაბამისი ზმნის აწყოფის ფუძეს; მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში მიმდევობის ფორმებში ისეთი ელემენტებია წარმოდგენილი, რომლებიც არც მიმდევობის საწარმოებლად მიიწვევა და არც ამოსავალი ზმნის ფუძეში დასტურდება. ეს უცნობი ელემენტებია ძირითადად -ნ-, -ვ-, -ფ-. ასახსნელია ამ ელემენტთა ფუნქცია და დანიშნულება.

ფაქტობრივ ამ საკითხის გარკვევა ზმნის ფუძის ანალიზის საქმეა და მიმდევობათა წარმოებას არ შეეხება, მაგრამ ვინაიდან ეს ელემენტები მიმდევობის ფორმებში გამოვლინდება (ხშირად მასდარშიც) და ზმნის პირის ან ფორმებში არ გეხვდება, ამიტომ ეს საკითხი მიმდევობათა წარმოების განხილვის დროსაც დგება.

-ვ ელემენტი (-ავ) წარმოდგენილია მიმდევობის შემდეგ ფორმებში და არა გვაქვს შესაბამისი ზმნის ფუძეში: მთ-კუდავ (კულები-ს), მ-შჯ-ავ-რ (შჯ-ი-ს), მ-ხურ-ვ-ვ-ვ-ვ (ხურ-ს), ს-ა-კვრ-ვ-ვ-ვ (უკვრ-ს), მ-ო-სურ-ვ-ვ-ვ, ს-ა-სურ-ვ-ვ-ვ (სურ-ი-ს), წარ-ძღუან-ვ-ვილ (წარ-უძღუან-ვ-ს).

-ავ ელემენტი უნდა აღვადგინოთ მიმდევობის შემდეგ ფორმებში: ს-ა-მ-კ-ა-უ-ლ-ავ-ი-ლ, ს-ა-ს-წ-ა-უ-ლ-ავ-ი-ლ, ს-ა-ს-წ-ავ-ი-ლ, შ-ე-მ-კ-უ-ლ-ავ-ი-ლ, ს-ა-წ-ა-უ-ლ-ავ-ი-ლ, ს-ა-წ-ავ-ი-ლ, ს-ა-ც-ნ-ა-ურ-ავ-ი-ლ, უ-ც-ნ-ა-ურ-ავ-ი-ლ, უ-ც-ნ-ავ-ი-ლ.

-ნ ელემენტი მიმდევობის შემდეგ ფორმებში გეხვდება: მ-ტ-კ-ი-ვ-ნ-ე; დედაკაცი ვინმე ძუძუთა მტკივნეულ ევედრებოდა წ-დ-სა მას (ციმენი, I, 291, 8); მ-ო-კ-ვ-რ-ნ-ე; და ვიყავ რამ ამის

¹⁸ ქ. ლომთათიძე, თბილისი ტიბის ზმნის ისტორიისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. IV, 1953.



ქართული ენის
სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

საკმისათვის მოკვრე (კიმენი, I, 297, 20); მო-ს-ურ-ნ-ე-ე; და მოვიდა მათდა სახელმწიფო ბიბლიოთეკაში
კაცი ღმრთისაი მოსურნეთა მათ თანა (ხანძო, ლ. 12) მო-ურ-ნ-ე-ე; და უვის ვინმე კაცი... მო-
ურნე და მხრუნველი ექსორიობასა შინა (ეკლ. 35, 29). (ახალი ქართულის „კოლმეურნე“, „მე-
ურნეობა“.)

მო-წე-ნ-ულ, შე-სა-წე-ნ-ულ, პოე-ნი-ლ, მო-მ-პოე-ნ-ებ-ულ, მ-დინ-არ-ე, დამ-ტე-ნ-ულ, შე-უ-
რე-ნ-ულ, და-უ-ღე-ნ-ულ, მ-რ-ბ-ენ-ულ...

ეს ელემენტი არა გვაქვს შესაბამისი ზმნის ფუძეში და წარმოდგენილია მიმღეობის შემ-
დეგ ფორმებში:

ჭამ-ებ-ულ: დაუკლა მას ზუარაკი იგი ჭამებული (ლ. 15, 30 DE).

შინაარსით „ჭამებული“ მიმღეობის კაუზატორი ფორმაა. ეს კაუზატორის მავარამოებელი
ჩანს. მაგრამ თეთი ზმნა კაუზატორის მაჩვენებლად -ვე-ს გამოავლენს: ა-ჭამ-ევ-ს.

მ-ც-ვალ-ებ-ულ: ქუყანისა ცად შემცვალებულსო (ხანძო, ა. 10)

მ-თ-ხ-რ-ებ-ულ: და ორნივე შთაცვვიან მოხრებულსა (მთ. 15. 14 C || DE)

უ-ც-ვებ (შდრ, უ-ვიც): უცებ ხარ შენ მეფე სასმენელთაგან და სახედველთაგან (კიმენი I,
152, 18).

როგორც აღნიშნული იყო, მიმღეობის ზემოთ ჩამოთვლილ ფორმებში წარმოდგენილი
ელემენტები ამოსავალი ზმნის ფუძეში არ დასტურდება; ამიტომ შეიძლება ეს ელემენტები
მიმღეობის მავარამოებელ სუფიქსებზედ მიგვეჩინა. მაგრამ ამ ვარაუდს გარკვეული დაბრკოლე-
ბები ახლავს: ჯერ ერთი, მიმღეობის ამ ფორმებში მიმღეობის მავარამოებელი სხვა სუფიქსი
გვაქვს: მეორე - იგივე ელემენტები მასდარის ფუძეშიც გამოვლინდება სწორად (პოე-ნ-ა,
ცვა-ლ-ა, სურ-ვი-ლი-ი, დ-წ-ა...)

ამიტომ ეს ელემენტები ზმნის ფუძის კუთვნილება უნდა იყოს. მიმღეობებში მათი ადგი-
ლის მიხედვით ისინი ზმნის თემის ნიშნის მორფოლოგიურ კევივალენტად უნდა დავსახოთ.
მიმღეობის ეს ფორმები იმით არის საინტერესო, რომ მათი საშუალებით შესაძლებელია
აღვადგინოთ ზმნის ისეთი ფორმები, რომლებიც არა თუ დღეს, ძველ ქართულშიც არ დას-
ტურდება. მიმღეობის ამ ფორმათა მიხედვით აღდგენილი ზმნები ამ სახისა უნდა ვოფილიყო:
*კუდავს, *კურავს, *სჯავს, *კურავს, *ცნავს, *სურავს, *თხრავს, *იცეხს...
საფიქრებელია, ზმნის ეს ფორმები ქართულის რომელიმე დიალექტის კუთვნილებას წარ-
მოადგენდნენ.

აღდგენილი *სჯავს ზმნის მიხედვით მ-საჯ-ულ || მო-საჯ-ულ მიმღეობის ფორმებში შეიძ-
ლებდა -ულ სუფიქსი აღარ გამოეყოთ: მ-საჯ-ულ←მ-საჯ-ა-ულ (ამოსავალი იქნებოდა აღდგე-
ნილი *სჯავს ზმნა).

შესაძლებელია, სხვა შემთხვევებშიც -ულ სუფიქსი მიმღეობის ფორმებში ამ გზით იყოს
მიღებული და არ იყოს პირველადი. სა-მ-კ-ა-ულ, სა-წე-ა-ულ მიმღეობის ფორმები ამის შესაძ-
ლებლობას იძლევა.

გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ მო-ციქ-ულ, მო-ქად-ულ, მო-ნან-ულ ფორ-
მებში -ულ არ იყოს პირველადი. ამ ვარაუდს ის გარემოებაც უჭერს მხარს, რომ მიმღეობათა
ოდენ სუფიქსურ წარმოებაში -ულ მომდინარეობს -ილ სუფიქსიდან.

თუ პრეფიქსულ-სუფიქსურ წარმოებაშიც -ულ სუფიქსი არ არის პირველადი, მაშინ ყველა
შემთხვევაში ის ფონეტიკურ ნივთიერება იქნება მიღებული. თუ ეს ასეა, მაშინ პრეფიქსთან ერთ-
ად ქართულში -ილ სუფიქსი გვექნება დადასტურებული მიმღეობის ამ ფორმებში.

როგორც აღნიშნული იყო, მიმღეობა ამოსავლად ზმნის აწმყოს ფუძეს იყენებს. აწმყოს
ფუძის მავარამოებელი ელემენტები (თემის ნიშნები) მიმღეობებში ჩვეულებრივ წარმოდგენი-
ლია:

- ებ: და-მ-ბად-ებ-ულ, მ-დალად-ებ-ულ, მ-გზ-ებ-ულ
- ავ: მ-პარ-ავ, მ-კლ-ავ-ულ, მო-ბაძ-ავ...
- ამ: სა-ბ-მ-ელ, სა-სუ-მ-ელ, სა-ც-მ-ელ...
- ემ: სა-ც-ემ-ელ, მ-ც-ემ-ელ...
- ობ: მ-გ-ობ-ულ, მ-პერ-ობ-ულ...
- ოფ: ნა-ყოფ, მ-ყოფ-ულ

ევ: სა-კუმ-ვე-ელ, აღ-რ-ე(ვ)-ულ, რ-ე(ვ)-ულ...
ენ: მ-რქენ-ალ, მ-კე-ენ-არ...

მაგრამ **ო** თემის ნიშნისა ზმნების მიმდევობებში არ ჩანს **ო** ელემენტი: ზრდ-ის - მ-ზრდ-ელ, სა-ზრდ-ელ, მკ-ის - მო-მკ-ად, სა-მკ-ად; ხრწნ-ის - მ-ხრწნ-ელ, სა-ხრწნ-ელ, თხრ-ის - სა-თხრ-ელ, მ-თხრ-ელ...

საინტერესოა, რომ იმ ზმნათა მიმდევობები, რომელთაც **ო** აქვთ აწმყოში, **ო**-ს ნაცვლად -ნ, -აჟ ელემენტებს გამოავლენენ: სურ-ის - მო-სურ-ნე | მო-სურ-ეჟ, იურ-ის | მო-ურ-ნე, სჯ-ის - მ-შჯ-ავრ, დ-ის - მ-დ-ინ-არ-ე | მ-დ-ენ-არ-ე... **ო** სუფიქსის მიმდევობაში ზოგჯერ -ებ-იც ენაც-ვლება: თხრ-ის - მ-თხრ-ებ-ელ, ცვლ-ის - მ-ცვლ-ებ-ელ, იც-ის - უ-ც-ებ...

მიმდევობის ამ ფორმათა მიხედვით -ნ, -აჟ, -ებ ელემენტები **ო** სუფიქსის მორფოლოგიურ მონაცვლედ უნდა მივიჩნიოთ.

მაგრამ კატეგორიულად მტკიცება იმისა, რომ **ო** სუფიქსი არა გვაქვს მიმდევობის საწარმო-ებლად გამოყენებული ზმნის ფუძეში, არ შეიძლება: **ო** იქნებ ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს და-კარგული მიმდევობის მაწარმოებელი სუფიქსის დართვის გამო. ამ მხრივ საკუთისხმოა ის ფაქტი, რომ **ო** თემის ნიშნისა ზმნათა აწმყო დროის მიმდევობებში მიმდევობის მაწარმოებელი სუფიქსი ყოველთვის არის წარმოდგენილი (მ-თხრ-ელ, მ-კრ-ელ, მ-ყვირ-ად, მ-ხრწნ-ელ, მ-თლ-ელ, მ-ქმნ-ელ...)¹⁹.

მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ **ო** სუფიქსის წარმოდგენა მიმდევობის ფუძეში არ იყო აუცილებელი.

-**ო** სუფიქსის ფუნქცია გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში. იგი ისტორიულად დიუ-რატული (განგრძობითი) ასპექტის მანუქნებული ზმნაში²⁰.

-**ო** რომ არა გვაქვს მიმდევობის ფუძეში წარმოდგენილი, ეს იმაზე ხომ არ უნდა მიუთითებ-დეს, რომ დიურატული ასპექტის გამოხატვა მიმდევობაში აუცილებელი არ იყო. ამის დაშვე-ბა თითქოს შესაძლებელია: მიმდევობა ნაზმნარს ზედსართავი სახელია და ზედსართავის მსგავსად რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს საგანს. სტატიკური ზმნაც (განგრძობითი ას-პექტი და სტატიკურობა) შინაგან კავშირშია ერთმანეთთან. სტატიკური ზმნა დიურატული ასპექტისაა (ყოველთვის) საგნის მფლობარობას აღნიშნავს და ეს მფლობარობა თვისების მსგავსად უცვლელია, ერთგვაროვანია. სტატიკურობა და მიმდევობის შინაარსი ერთგვარად ფა-რავს ერთმანეთს. ამიტომ სტატიკურობის, დიურატულობის -**ო** სუფიქსი შეიძლება არც გვექ-ნოდა მიმდევობის ფორმებში.

თუ ეს ახსნა მართებულია, მაშინ სტატიკურ ზმნებს მიმდევობა არ უნდა აქონდეს. მაინც აღსანიშნავია, რომ სტატიკურ ზმნათა დიდ უმრავლესობას არც დღეს ეწარმოება მიმდევობის ფორმები.

სტატიკური ზმნებისაგან მიმდევობის წარმოება რომ არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებ-ელი, ამას მიმდევობის ის ფორმებიც მოწმობენ, რომლებიც ზმნის პირიან ფორმას წარმოდგე-ნენ. აღსანიშნავია, რომ ევლავა ეს ფორმა მიმდევობისა ან სტატიკური ზმნა ან დინამიკური ზმნა დიურატული ასპექტით. „არისი“, „ღირსი“, „ხერთვისი“, „მიყუარ“, „მსგავსი“ - ზმნის პი-რიანი ფორმებიცაა და იმავე ზმნის მიმდევობებიც.

მიმდევობათა წარმოების ჩამოყალიბების გზა

მიმდევობის წარმოების შესწავლა გულისხმობს მიმდევობის წარმოების ჩამოყალიბების გზებს, თუკი ამის შესაძლებლობას მასალა იძლევა.

ამ მხრივ ქართულის მიმართ რისამე კატეგორიულად მტკიცება არ იქნებოდა სწორი; მაგ-რამ ქართულის მასალა იბერულ-კავკასიურ ენათა მონაცემების მოშველიებით გარკვეული

¹⁹ საფიქრებელია, სუფიქსის დართვის აუცილებლობა ითან ზმნათაგან ნაწარმოებ მიმდევობებში იმით არის გამოწვეული, რომ სუფიქსის გარეშე მიმდევობა სახელობით ბრუნვაში ზმნის პირიან ფორმას და-მიხსენივდა: მ-ყიდ-ი, მ-ტყორც-ი, მ-ტყენ-ი... ამას ისიც მოწმობს, რომ ითან ზმნათაგან ხა- და ნა- პრე-ფიქსით ნაწარმოებ მიმდევობებში არ არის აუცილებელი სუფიქსის წარმოდგენა: ხა-ცერ-ი, ნა-ცარ-ი, ნა-ყიდ-ი, ხა-ტყორც-ი... მიმდევობის ეს ფორმები ზმნის პირიან ფორმას ვერ დაემთხვევა და იმიტომ.

²⁰ იხ. არნ. ნიქობაძე. ვრტატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერულ-კავკასიურ ენებში, I, 1948.



ვარაუდებისა და მოსახრებათა გამოთქმისათვის შესაძლებლობას მიიძღვება. ქართულში მიმდებარა ზმნის გრამატიკული კატეგორიებიდან გვარისა და ხატვა შეუძლია. ა. შანიძის აზრით, მიმდებარა მოეპოვება აგრეთვე გეზი, ორიენტაცია (რომლებიც; იმავე ავტორის აზრით, ზმნის გრამატიკულ კატეგორიებს წარმოადგენს), ასპექტი და კონტაქტი²¹. ამათგან გეზი, ორიენტაცია და ასპექტი (ახლანდელი გავებით) ზმნისწინთ გამოხატვასა და თავად მიმდებარა არ აღინიშნება. კონტაქტი (კავსატევი) კი ზმნის ფუძეშია გამოხატული, მაგრამ ზმნის კავსატეური ფორმისაგან მიმდებარა ჩვეულებრივ არ იწარმოება.

მიმდებარა წარმოებაში დროისა და გვარის გამოხატვის საკითხის განხილვისას გამოირკვა, რომ მიმდებარა ისტორიულად არც დროსა და არც გვარს არ აღნიშნავდა.

მიმდებარა პრეფიქსულ წარმოებაში პრეფიქსი მიუთითებს ერთდროულად დროსა და გვარზედაც. მ- პრეფიქსიანი წარმოება აწმყო დროისაა, ნა- პრეფიქსიანი წარმოება ნამყო დროისა, სხ- პრეფიქსიანი - მყოფი დროისა; შ-იანი წარმოება მოქმედებითი გვარისაა, ნა- და სხ- პრეფიქსიანი წარმოება ვნებითი გვარისა.

ოდენ სუფიქსულ წარმოებაში კი სუფიქსი ჩანს დროისა და გვარის გამოხატველი (-ელ და -ულ სუფიქსიანი წარმოება ვნებითი გვარისა და ნამყო დროისა). პრეფიქსულ-სუფიქსურ წარმოებაში სუფიქსი უფუნქციო ჩანს და გვარსა და დროს პრეფიქსი გამოხატავს.

ქართული ავღლუნაციური ტიპის ენაა და ავღლუნაციურ ენათა პრინციპის საფუძველზე ყოველ აფიქს თავის ერთი ფუნქცია შეიძლება აქონდეს.

რადგან ოდენ პრეფიქსულ წარმოებაში პრეფიქსი დროისა და გვარის გამოხატველი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ერთი ფუნქცია აქონდა ისტორიულად. იგივე ითქმის პრეფიქსულ-სუფიქსურ წარმოებაში მიმდებარა მაწარმოებელი პრეფიქსის შესახებ; ხოლო სუფიქსს, რომელიც ამაჲად უფუნქციო ჩანს, არ შეიძლება ისტორიულად ფუნქცია არ აქონოდა.

ზევით შევნიშნეთ, რომ ამ ორი ფუნქციიდან, რომელიც მიმდებარა მაწარმოებელ აფიქსებს დაქვთ დაკისრებული, არც დროისა და არც გვარის აღნიშნა არ არის პირველია. მაშინ რა ფუნქცია აქონდა ამ აფიქსებს ისტორიულად?

მიმდებარა მაწარმოებელი პრეფიქსი ახლაც აშკარად შესაბამისი ზმნის სუბიექტისა და ობიექტის მაჩვენებელი ჩანს: მ- მოქმედების სუბიექტზე მიუთითებს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა მიმდებარაში, სხ- და ნა- პირდაპირ ობიექტზე ამტომ მოსალოდნელი იყო მიმდებარაშიც სუბიექტისა და ობიექტის იგივე მაჩვენებლები გვექონოდა, რაც ზმნაში გვაქვს. ზმნაში სუბიექტი და ობიექტი პირის მიხედვით გაირჩევა; მიმდებარაში პრეფიქსი იმავე სუბიექტსა და ობიექტს აღნიშნავს, მაგრამ პირის გაურჩევლად. ამავე დროს ზმნაში მ- პრეფიქსი სუბიექტის ნიშნად არა გვაქვს (იგი ობიექტის მაჩვენებელია) და ნ-, ს- კი ობიექტს არ აღნიშნავს.

ცხადია, მ-, ნ-, ს- მიმდებარა მაწარმოებელი პრეფიქსები ზმნის სუბიექტური და ობიექტური პირის მაჩვენებლები არ არიან.

სპეციალურ ლიტერატურაში მიმდებარა მაწარმოებელი პრეფიქსები გრამატიკული კლასის მაჩვენებლად არის მიჩნეული. მ ადამიანის კლასის აღმნიშვნელი იყო, ნ-, ს- ნითვის კლასისა²².

თუ მიმდებარა მაწარმოებელი პრეფიქსები ისტორიულად გრამატიკული კლასის ნიშნება, რომლებიც ამოსავალი ზმნის სუბიექტსა ან ობიექტს აღნიშნავდნენ, მაშინ ამ გრამატიკული კატეგორიის მოქმედების პერიოდში გარდაუვალ ზმნას ვეწებოდა სუბიექტის აღმნიშვნელი საში (ორი ძირითადი) ფორმა მიმდებარაში: მ- პრეფიქსიანი ფორმა მიმდებარა სუბიექტ-ადამიანს გამოხატავდა, ნ-, ს- პრეფიქსიანი ფორმა - სუბიექტ-ნივთს. მ- პრეფიქსიანი სასუბიექტო მიმდებარა დღესაც აქვს გარდაუვალ ზმნას. არ დასტურდება ს- და ნ- პრეფიქსიანი ფორმები სასუბიექტო მიმდებარაში.

ცვლილებები მიმდებარათა წარმოებაში გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლის შემდეგ უნდა ვივარაუდოთ. როცა ენაში აღარ იყო დაპირისპირებული ნივთი და ადამიანი, ბუნებრივია, სუბიექტის გამოხატვად მიმდებარა ერთი ფორმა დარჩენილიყო. მ- პრეფიქსიანი ფორმა მიმდებარაში კი იმის გამო დარჩა სუბიექტის აღსანიშნავად, რომ მ- ადამიანს, აქტიურს აღ-

²¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, გვ. 586, § 582.

²² იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უფველი აგებულება ქართულურ ენებში, თბილისი, 1942.

ნიშნავდა; სუბიექტი – მოქმედების შემსრულებელი კი ჩვეულებრივ ვინ კლასის სახელმძღვანელოში?

გარდამავალ ზმნას აქვს სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობის ფორმებიც. თუ გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედების პერიოდშიც ასეთ ვითარებას ვიგულისხმებთ, მაშინ სასუბიექტო და საობიექტო მიმღეობები ფორმით ერთმანეთს დაემთხვეოდა.

მაგრამ გარდამავალი ზმნის მიმღეობაში მორფოლოგიურად მხოლოდ ერთი აფიქსია წარმოდგენილი. ის ან ობიექტის კლასის მანევრებული იყო ან სუბიექტისა. ასეთ პირობებში როგორღაც არის შესაძლებელი ერთმა და იმავე ფორმამ მიმღეობისა მოქმედების სუბიექტსა და ობიექტზეც მიუთითოს. თეორიულად ეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამის დაშვების შესაძლებლობას შთის კავკასიურ ენათა მონაცემები იძლევა.

ბაცბურში გარდამავალი ზმნის მიმღეობა მხოლოდ პირდაპირი ობიექტის კლასს აღნიშნავს, მაგრამ იმის მიხედვით თუ რა პოზიცია უკავია მიმღეობის მიმართ პირდაპირი ობიექტს, ის შეიძლება მოქმედების სუბიექტსაც ეტოლებოდეს და პირდაპირი ობიექტიც აღნიშნოს: „დაყინ“ მიმღეობის ფორმა ცალკე აღვყული ქართულის საობიექტო მიმღეობასაც უდრის („შუჭმული“) და სასუბიექტო მიმღეობასაც („მჭამელი“), თუ პირდაპირი ობიექტი წინ უძღვის მიმღეობის ფორმას, ის გარდამავალი ზმნის სუბიექტს აღნიშნავს. ფჰჰორ დაყინ – ვახშმის მჭამელი (ვახშამ-ნაჭამი); თუ ობიექტი მოსდევს მიმღეობას, ის გარდამავალი ზმნის ობიექტს უდრის; დაყინ ფჰჰორ – შუჭმული ვახშამი (ნაჭამი ვახშამი).

ქართულში სახეებით ანალოგიური წარმოება გვაქვს „ხმაღამოწვედილის“ ტიპის მიმღეობებში.

ქართულშიც გრამატიკული კლას-კატეგორიის მოქმედების პერიოდში გარდამავალი ზმნის მიმღეობაში ობიექტის კლასის ნიშანი იყო წარმოდგენილი, ხოლო მიმღეობა შეიძლება სასუბიექტოც ყოფილიყო.

გარდამავალ ზმნას დღესაც მიმღეობის სამი ფორმა აქვს: მ, ს- და ნ- პრეფიქსიანი; ამათგან მ- პრეფიქსიანი ფორმა მიმღეობისა სასუბიექტოა, ს- და ნ- პრეფიქსიანი ფორმები მოქმედების ობიექტს აღნიშნავენ.

ნ- და ს- პრეფიქსები მიმღეობაში ობიექტის მანევრებლად დარჩა; ეს იმით აიხსნება, რომ ობიექტი პასიურს, უმოქმედოს წარმოადგენს და მას ნიუთის კლასის ნიშანი განეკუთვნა, მიმღეობაც მხოლოდ ობიექტზე მიუთითებს.

მ- პრეფიქსიანი ფორმა მიმღეობისა სასუბიექტოა; მხოლოდ მ- პრეფიქსი უკვე მოქმედების სუბიექტის მანევრებელია და არა პირდაპირი ობიექტისა. სუბიექტზე მითითება კი მიმღეობაში ზმნის ფუძის ვაკტივების შემდეგ, ე. ი. აწმყოს წყების დრო-კალითა ჩამოყალიბების შემდგომ უნდა დაწვებულიყო, როცა ზმნაში სუბიექტის აღნიშვნაც გახდა აუცილებელი. ამიტომვე მიმღეობის მ- პრეფიქსიანი ფორმა აწმყო დროისა.

რა ფუნქცია ჰქონდა მიმღეობის მაწარმოებელ სუფიქსებს? მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსების ფუნქცია გარკვეულია მონოგრაფიაში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულურ ენებში“²³.

მიმღეობა ნაზმნარი ხედსართავი სახელია, ზმნის ფუძიდან ნაწარმოები სახელი. იმისათვის, რომ ზმნისაგან სახელი მიგვეღო, ბუნებრივი იყო სახელის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი გამოვეყენებინა ენას. პრეფიქსს, რომელიც მიმღეობის წარმოებაში იღებს მონაწილეობას, არ შეეძლო ზმნური ფუძე სახელად ექცია. პრეფიქსი გრამატიკული კლასის ნიშანი იყო და თანამართად დამახასიათებელი როგორც ზმნისა, ისე სახელისათვის. ზმნურ ფუძეს სახელად სწორედ მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი აქცევდა.

ამგვარად, მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსებიდან პრეფიქსი გრამატიკული კლასის მანევრებელი იყო ისტორიულად, ხოლო სუფიქსი სახელის ფუძის დეტერმინანტი, რომელიც ზმნურ ფუძეს სახელად აქცევდა. დროსა და გვარზე მითითება ამ აფიქსებმა მას შემდეგ იკისრეს, როცა მათი პირვანდელი ფუნქცია დაიხრდილა.

რადგან ისტორიულად მიმღეობაში არც გვარი და არც დრო არ გამოიხატებოდა, მიმღეობა ზმნის ფუძიდან ნაწარმოები ჩვეულებრივი სახელი უნდა ყოფილიყო (დროისა და გვარის მიხედვით განუსაზღვრელი), რომელიც მხოლოდ სუბიექტის ან ობიექტის კლასს აღნიშნავდა.

²³ იხ. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულურ ენებში, თბილისი, 1942.



გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლისა ან ზმნის უღვლილებაში დროის განმარტების ხაზით მოყვლიბების შემდეგ ზმნის ფუძიდან ნაწარმოები სახელი მიმღეობად ჩამოყვლიბდება: გრამატიკული კლასის ნიშნებმა დროისა და გვარის გამოხატვა იკისრეს.

ასეთი უნდა იყოს ქართულში მიმღეობათა წარმოების ჩამოყვლიბების გზა, მაგრამ თითქოს შესაძლებელია უფრო აღრინდელი საფეხურების გათვალისწინებაც.

ვიდრე ზმნის ფუძისაგან სახელს მივიღებდით, მიმღეობას სხვა ფორმა და შინაარსი უნდა ჰქონოდა.

მიმღეობას, როგორც სახელს, ისტორიულად მიმღეობის მაწარმოებელი სუფიქსი აფორმებდა.

მაგრამ ქართულში გვხვდება უსუფიქსო მიმღეობათა ერთი ტიპი, რომელიც ძველისძველი ვითარების ამსახველად არის მიჩნეული და რომლის სიძველე დოკუმენტობრივად მტკიცდება²⁴. მიმღეობის ეს ფორმები ქართული ენის უძველეს ძეგლებშია დადასტურებული. დამახასიათებელია, რომ მიმღეობის ამ ფორმებში ზმნის მარტევი ფუძეა მოცემული, რაც მათ სიძველეს განაზავს: მე-ოტ, მე-ოხ, ურნ, მო-ღუაწ, უ-ღუაწ, უ-ქმ, უ-ტყუ, უ-სმ, მ-ხედ, მ-ზრახ, ნერგ, ნე-შტ, ნე-სტუ.

მიმღეობის ეს ტიპი ერთი მხრივ იქცევის ყურადღებას: არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მიმღეობების ამ ფორმებში სუფიქსი არა გვაქვს.

რაკი მიმღეობის ჩამოყვლიბების დროს გრამატიკული კლასის კატეგორია ცოცხალი იყო და ზმნის გრამატიკული კლასის მიხედვით იუღვლიდა (ნაცვლად უფრო გვიანდელი პიროვანი უღვლილებისა), მაშინ ზმნის კლასოვანი ფორმა და უსუფიქსო ფორმა მიმღეობისა ერთმანეთს დაემთხვეოდა: პრეფიქსები **მ**, **ნ**, **ხ** ობიექტის ან სუბიექტის კლასის მიჩვენებლები იქნებოდა ზმნისა და მიმღეობაშიც (იმის მიხედვით გარდაამართა იყო ზმნა თუ გარდაუვლი).

რომ ისტორიულად შესაძლებელი იყო მიმღეობის ფორმა ზმნის კლასოვან ფორმას დამთხვეოდა, ამას დღევანდელი ქართულის მახალაც ცხადყოფს.

მიმღეობის ფუნქციით ქართულში ზმნის პირიანი ფორმებიცა გვხვდება: „არსი“, „ღირსი“, „მსგავსი“, „ხერთვისი“ – ვართ ჩუენ ხერთვისისა ერთისანი... (ქიმენი, II, 23, 24), „იქცევისი“ – და დადგინა ქერობინი მოტყენარე და მახვილი იქცევისი დაცვად გზისა ცხორებისსა (დაბ., 3¹ 24), „იძრვისი“ – არს რომელიმე იძრვისი, რომელი იწოდების გრძლადი (მჭკეთ, იხ.,) „მრწამსი“ – მრწამსისა იტყოდა და ცრემლოდა (ქიმენი I, 170,35), „მოყვარი“ – მიყვარი სიძისად მის, რომელი დგან და ისმენს (ი. 3, 29 C; DE რედაქციაში: „მეგობარი სიძისა“).

ზმნის პირიანი ფორმა რომ მიმღეობის ფუნქციით გამოიყენებოდეს, ამის მაგალითებს უხვად გვაწვდის ჭანური (ი. ყოფშიძე შვერულშიც ადასტურებს ამის მაგალითებს). ეს კი იმას მოწმობს, რომ ქართველური ენებისათვის ზმნის პირიანი ფორმით მიმღეობის შინაარსის გამოხატვა და შემდეგ მისი სახელად ქცევის შესაძლებლობა არ უნდა ყოფილიყო შეუძლებელი.

ვანსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ მიმღეობის ეს ფორმები სტატიკური ზმნებია იმავე დროს. სტატიკური ზმნა კი დროის მიხედვით შეხლდუღვლია; ფაქტობრივ დროის კატეგორია სტატიკურ ზმნებს არა აქვთ. ე. ი. ზმნის ისეთ ფორმას შეიძლებოდა ჰქონოდა მიმღეობის ფუნქცია, რომელიც დროის მიხედვით არ არის ვანსაზღვრული.

მეორე მხრივ, ზმნის ის ფორმები, რომლებიც მიმღეობის შინაარსსაც გადმოსცემენ, დინამიკური ზმნის დიურატიული ასპექტის ფორმას წარმოადგენენ (იძრვისი, ხერთვისი, იქცევისი).

ზმნა სტატიკურ-დიურატიული საწყისით მინიმალურად განსხვავდება სახელისაგან (არნ. ჩიქობავა), დიურატიულობის ი სუფიქსის გამოა, რომ ზმნის პირიანი ფორმა იმავე დროს მიმღეობის შინაარსსაც გადმოგვცემს.

თუ ისტორიულად მიმღეობათა წარმოების უსუფიქსო ტიპია ძველი, მაშინ დინამიკურ ზმნას მიმღეობის შინაარსის შექმნის უძველესი მაგალითი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დიურატიული ასპექტის ფორმით იქნებოდა მოცემული.

ამიტომ დინამიკურ ზმნათა უსუფიქსო მიმღეობებში, რომლებიც გრამატიკული კლას-კატეგორიის მიქმედების პერიოდში ზმნის კლასოვან ფორმას ემთხვეოდა, დიურატიულობის ი სუ-

²⁴ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 126, § 47.



ფიქსი უნდა გვექონოდა (საინტერესოა, რომ სვანურ მიმდევობასა და მასდარშიც არის შერწყნილი).

მაშასადამე, მიმდევობის წარმოების ჩამოყალიბების გზა ქართულში შესაძლებელია ასეთი ყოფილიყო: თავდაპირველად მიმდევობის შინაარსს გამოხატავდა ზმნის პირიანი (კლასოვანი) ფორმა დიურატიული ასპექტით; შემდეგ მიმდევობის მაწარმოებელ სუფიქსთა დართვით მივიღეთ დროისა და გვარის მიხედვით განუსაზღვრელი ნაზმნარი სახელი, ხოლო ენაში გრამატიკული კლას-კატეგორიის გაქრობის შემდეგ - ნაზმნარი ზედსართავი სახელი, რომელიც უკვე ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიებსაც აღნიშნავს.

შემოკლებათა განმარტებები²⁵

- დაბ. = დაბადებისა, წიგნი ძუელისა აღთქემისანი, ა. შანიძის გამოცემა, ტ. I, ნაკვეთი I, თბილისი, 1947 წ.
- ველ. = თარგმანებად ველესიასტისაჲ მიტროფანე ზმერნელ მიტროპოლიტისაჲ, კ. კეკელიძის გამოცემა, ტფილისი, 1920 წ.
- ი. და ეფთ. = ცხოვრებაჲ... იოვანესი და ეფთემესი... გამოხატავდა დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბილისი, 1946 წ.
- ი., დკ., მრკ., მთ. = იოვანე, დლუკა, მარკოზ, მათე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1946 წ.
- კიმენი = ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, კ. კეკელიძის გამოცემა ტ. I, ტფილისი, 1918 წ.; ტ. II, თბილისი, 1946 წ.
- მჭეტთ = მჭეტთათვის სახისა სიტყუაჲ. ნ. მარის გამოცემა, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VI, С-116., 1904.
- შტბ. მრ. = შატბერდის მრავალთავი, S 1141, ხელნაწერი, ხაქ. მუზეუმი.
- ხანძთ. = შრომაჲ და მოღვაწებაჲ... გრიგოლისი... ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, ნ. მარის გამოცემა, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VI, С-116., 1911.
- ბ. გ. = ბესარიონ გაბუური, კვესურული მახალები, ა. შანიძის რედაქციით, წელიწადუელი, I-II, 1923-1924 წ. წ.
- აკაკი = აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. IV, თბილისი, 1948 წ.
- ილია = ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, პ. ინგოროყვას და აღ. აბაშელის რედაქციით, 1926 წ.

²⁵ მოგვეყვას მხოლოდ ის ტექსტები, რომლებიც დამოწმებული გვაქვს ამ წერილში.

არსებითი სახელი¹

არსებითი სახელი, სუბსტანტივი, მეტყველების ნაწილი; დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა, რომელიც აღნიშნავს საგანს. გრამატიკული ნიშნების მიხედვით სახელი ითვლება ყველაფერი (მატერიალური საგნები თუ არამატერიალური, განყენებული საგან-ცნებები და მოვლენები), რასაც დაესმის კითხვა ვინ? ან რა? (აღამიანი, დედამიწა, სამშობლო, თავისუფლება). ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელთან ერთად არსებითი სახელი განეკუთვნება სახელთა კლასს. ხასიათდება ფართო სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობებით; იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით; წინადადებაში უპირატესად ასრულებს ქვემდებარისა და დამატების ფუნქციას; გამოიყენება აგრეთვე განსაზღვრებად, გარემოებად და შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად.

გამოიყოფა არსებითი სახელთა უთიერთგადამკვეთი დექსიკურ-გრამატიკული ჯგუფები: სულიერთა და უსულითა, ადამიანთა და არაადამიანთა (ვინ ჯგუფი და რა ჯგუფი), საკუთარი და საზოგადო, კონკრეტული და აბსტრაქტული, კრებითი, ნივთიერებათა და მოქმედებისა, რომლებიც ფორმალრობის, სიტყვაწარმოებისა და სიტყვათშესამებადობის თვალსაზრისით საკუთარ ქვესიტყმებს ქმნიან.

სულიერთა ჯგუფს განეკუთვნება სულიერ, საკუთარი ძალით მოძრავ ცოცხალ არსებთა - ადამიანთა და ცხოველთა სახელები: ქალი, მეგობარი, ციყვი, თევზი. უსულითა ჯგუფს განეკუთვნება უსული, საკუთარი ძალით გადაადგილების უნარს მოკლებულ საგანთა სახელები: ცა, ვარსკვლავი, ზღვა, მთა. უსულითა ჯგუფშია გაერთიანებული მცენარეთა სახელები: ცაცხვი, ია... სულიერთა ჯგუფის სახელებს შეეწოდა ჰეგის ზმნა (შვილი, ძაღლი, მანქანა ჰეგის), უსულითა ჯგუფის და მათთან გათანაბრებულ სახელებს - აქვს ზმნა (მაშუღელი აქვს).

ქართულში ადამიანთა, გონიერ არსებთა სახელები გამოიწვლია სხვა ცოცხალ არსებთა სახელებისაგან. ეს უკანასკნელნი უსული, არაგონიერი საგნის სახელებთან არიან გათანაბრებული. ადამიანთა (გონიერთა) ჯგუფში გაერთიანებულია ადამიანთა, ღვთიურ და მითოლოგიურ არსებთა სახელები. დაესმის კითხვა ვინ? (აქედან - ტერმინი ვინ ჯგუფი): ღმერთი, ანგელოზი, ადამიანი, მწყემსი, დევი. არაადამიანთა (არაგონიერთა) ჯგუფს განეკუთვნება სხვა დანარჩენი სულიერი (ცხოველების, ფრინველების, წყლის ბინადრების, ქვეწარმავლების, მწერების) და უსული საგნის სახელები. დაესმის კითხვა რა? (აქედან - ტერმინი რა ჯგუფი): ვეფხვი, ორბი, დელფინი, მდინარე, სახლი.

ადამიანის სახელებს სადაურობის მაწარმოებლად უპირატესად -ელ სუფიქსი მოუღის (კახელი გუგუნი), არაადამიანთა სახელებს - -ურ სუფიქსი (კახური ღვინო).

საკუთარი სახელი სახელს ხდებს ერთ რომელიმე საგანს (გეორგი, ბაგრატიონი, საქართველო, გელაი). საზოგადო სახელი აღნიშნავს მრავალ ერთგვარ საგანს (ქალაქი, ქვეყანა, დავით, მეგობი). საკუთარი სახელით საგნის ერთადერთობის ხაზგასმა, მისი ინდივიდუალიზაცია ხდება, საზოგადო სახელით - ერთგვარ საგანთა განზოგადება.

საკუთარ სახელებში გამოიყოფა შემდეგი თემატური ჯგუფები: გეოგრ. სახელები - ტოპონიმები, ადამიანთა (პირთა) სახელები - ანთროპონიმები, ღმერთების სახელები - თეონიმები, ხალხთა და ტომთა სახელები - ეთნონიმები, ცხოველთა სახელები - ზოონიმები, ციურ სხეულთა სახელები - კოსმონიმები და სხვ.

საკუთარი სახელები, როგორც საგნობრივი მნიშვნელობისაგან მეტ-ნაკლებად დაცლილი სიტყვები, ენის ჩვეულებრივ განმარტებით დექსიკონში არ შეაქვთ (გამონაკლისია მხოლოდ ეთნონიმები). ამ დექსიკის თავმოყრა ონომასტიკურ დექსიკონებში ხდება. მას ენათმეცნიერების სპეციალური დარგე ონომასტიკა შეისწავლის.

საზოგადო სახელებთან შედარებით, საკუთარ სახელთა რიცხვი გაცილებით მცირეა. მათი ფორმალრობითი და სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობები შეზღუდულია. საკუთარი სახელები დექსიკის ნაკლებად ცვალებად და ნაკლებად შევსებად სფეროს განეკუთვნებიან.

¹ ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.



ადამიანთა სახელებს განმეორების მაღალი სიხშირე ახასიათებს, გეოგრაფიულ სხვაობებში და მოხვევას შემთხვევითი ხასიათი აქვს.

საკუთარ სახელებში ცალკე ჯგუფად გამოყოფენ მოცულობით დიდ და სემანტიკურად მრავალფეროვან ლექსიკას - ე. წ. სახელწოდებებს. ესენია მხატვრული ნაწარმოებების, ჟურნალ-გაზეთების, დღესასწაულების, სხვადასხვა კულტურული თუ საყოფაცხოვრებო ობიექტების (თეატრების, კაფე-ბარების...), დვინობების, სერიული წარმოების, საგანთა და მისთ. სახელები. სახელწოდებად, საკუთარ სახელთან ერთად, ფართოდ გამოიყენება საზოგადო სახელიც, რომელიც კონტექსტში საკუთარი სახელის ფუნქციას ასრულებს. მაგ.: ლექსი „შერანი“, ჟურნ. „ცისკარი“, დღესასწაული „გიორგობა“, სასტუმრო „მეტეხი“, გემი „საქართველო“, ლუდი „მატილი“ და მისთ. ლექსიკის ეს ნაწილი, აღსანიშნი ობიექტების მსგავსად, სწრაფად იცვლება და ივსება ახალ-ახალი სახელებით. სახელდება ადამიანთა მიზანმიმართული საქმიანობის შედეგია და მასში ყოველთვის ირეკლება სახელმძღვანელო კოლექტივის კულტურა და გემოვნება.

კონკრეტულია სახელი, რომელიც აღნიშნავს კონკრეტულ საგნებს, ფაქტებსა და მოვლენებს. ბუნებაში რეალურად არსებულ საგანთა სახელების (კაცი, ადამიანი, მზე, შენობა, ყვავილი) გარდა, აქ არამატერიალურ საგანთა სახელებიც შემოდის (დრო, საუკუნე, მიზანი, ფიქრი, დარდი). აბსტრაქტული სახელი ნაწარმოები (მოტივირებული) სახელია, აღნიშნავს ვანყენებულ საგან-ცნებებს, იხმარება მხოლოდობითი რიცხვის ფორმით (ამაოება, დიდება, ჭეშმარიტება, მშვიდობა, სიკეთე).

კრებითი სახელი ლექსიკურად (მხოლოდობითი რიცხვის ფორმით) გამოხატავს ერთგვარ საგანთა სიმრავლეს, კრებულს, როგორც ერთ განუყოფელ მთელს. პირველადი კრებითი სახელებია: ერი, ხალხი, თემი, ფარა, ჯოჯი, რემა. ნაწარმოები კრებითი სახელებია: ვლადიკლავი, თავდაზნაურობა, ნაძენარი, ბეწვეული, ვერცხლყული.

ნივთიერებათა სახელები აღნიშნავენ ერთგვაროვან ნივთიერებებს, რომელთა დანაწილება, აწონა და გაზომვა შეიძლება, ცალკეულ საგნებად წარმოდგენა კი - არა. ნივთიერებათა სახელებს განეკუთვნება მეტალების, მინერალების, კვების პროდუქტების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, სხვადასხვა მასალების, ქსოვილებისა და მისთ. სახელები (ოქრო, გრანიტი, ღვინო, ხორბალი, ხეტყე, ფარნა).

მოქმედების სახელები ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები სახელებია, აღნიშნავენ მოქმედებას ან მდგომარეობას (ხატვა, კეთება, დგომა, წოლა). მოქმედების სახელის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ტერმინები საწყისი და მასდარი.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; კვაჭაძე ლ., ქართული ენა, I, თბ., 1981; Русская грамматика, I, М., 1982.



ზედსართავი სახელი¹

ზედსართავი სახელი, ადიექტივი, მეტყველების ნაწილი; დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა, რომელიც გამოხატავს საგნის ნიშან-თვისებას. ზედსართავი სახელის კითხვებია: როგორ? რომელი? სადაურთ? როდინდელი? (დიდი სახლი, თეთრი იასამანი, უღრუბლო ზეცა, ქართული საგალობლები, საშვილიშვილო საქმე, შარშანდელი თოვლი). ზედსართავი სახელი მიეკუთვნება მსახდრეულ სახელებს. იბრუნვის როგორც ატრიბუტული (შეთანხმებული) მსახდრელი; წინადადებაში ასრულებს ატრიბუტული განსაზღვრების ფუნქციას, გამოიყენება აგრეთვე შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად („ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“. ივ. მაჩაბ., თარგმ.).

ტრადიციულად იმიჯნება ერთმანეთისაგან ზედსართავი სახელთა ორი ძირითადი ჯგუფი: ვითარებითი, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას ასახელებს უშუალოდ, სხვა საგანთან მიმართების გაურთქმე (წითელი ვაშლი, კეთილი კაცი, ეჭარი, ვიწრო, ფართო, ბოროტი, კეთილი, მლაშე, მცირე, მტკიცე, წმინდა, ჭკუშარიტი, ბრმა, ყრუ, ცრუ... წარმოდგენილი მასალა შედგენილობის მიხედვით არაერთგვაროვანია. ისტორიულად მარტივფუძიან (საკუთარ თუ ნასესხებ) ზედსართავ სახელთან ერთად მისი შეესება ხდებოდა (და ხდება) დაბინდული სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ნახსენებარ ზედსართავი სახელისა და იმ მიმდებარების ხარჯზე, რომლებსაც დაკარგული აქვთ ხმნური კატეგორიები. ამიტომ, ვითარებითი ზედსართავი სახელის პირველადობისა და არამოტივირებულობის შესახებ მსჯელობისას, ამოსავლად თანამედროვე ქართლის ვითარება ივარაუდება.

ვითარებითი ზედსართავი სახელი ვარკვეული გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებებით ხასიათდება: ა) აწარმოებს ხარისხის ფორმებს (დიდი – უდიდესი – მოდილი); ბ) უნარი აქვს ეგვეშ შინაარსი აღწერითი ფორმითაც გადმოსცეს (ძალიან დიდი – ოდნავ დიდი); გ) ქმნის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე (ანტონიმურ) წყვილებს (დიდი – პატარა, მაღალი – დაბალი); დ) აქვს ზმნიზღდური ფორმები (ჩქარი – ნქარი, კარგი – კარგად); ე) აბსტრაქტულ სახელებს უპირატესად სი – ე აფიქსებით აწარმოებს (ახალი – ხიახვდ, ღრმა – ხიდრმე). ეს ნიშნები ყველა ზედსართავი სახელისთვის ერთნარად დამახასიათებელი არ არის. ბრმა, ყრუ, ცრუ, ნელი, ნუში... აბსოლუტურ, მუდმივ ნიშანს გამოხატავს, ამიტომ ხარისხის ფორმებს ვერ აწარმოებს; ხარისხის ნაკლებოვანი სისტემით ხასიათდება: წმინდა – უწმინდესი, ახალი – უახლესი... ფერის და ნაწილობრივ, ზომის აღმნიშვნელი სახელისთვის ბუნებრივი ჩანს ოდნობითი ხარისხის ფორმები: წითელი – მოწითალო, ყვითელი – მოყვითალო (უწითლესი, უყვითლესი გრამატიკულად დასაშვები ფორმებია, თუმცა ეს მნიშვნელობა სალიტერატურო ენაში უპირატესად აღწერითად გადმოიცემა: შუქი წითელი, ხასხასა მწკანე, ქათქათა თეთრი), ასევე: დიდი-მოდილი, კრძელი-მოგრძო... ზოგი სპეციალისტი ამ ფორმათა წარმოშობას სიტყვაწარმოებას უკავშირებს (თ. ზურაბიშვილი).

მიღებული შეხედულების თანახმად, ხარისხის ფორმები, საზოგადოდ, ვითარებითი ზედსართავი სახელის კომპლექსა, მიმართებითი ზედსართავი სახელი ამ უნარს მოკლებულია. ის ნიშან-თვისება, რომელსაც იგი გამოხატავს (მქონებლობა – უქონებლობა, წარმომავლობა, დანიშნულება...) საგანს შეიძლება ახასიათებდეს, ან არ ახასიათებდეს. ამ თვისების მეტრაკლები ოდენობით წარმოდგენა კი შეუძლებელია. თუ რომელიმე მიმართებითი ზედსართავი სახელი ხარისხის ფორმას აწარმოებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას დაკარგული აქვს მიმართებითობა და ვითარებითად არის ქვეული (ა. შანიძე). ეს ზედსართავებია: ძლიერი (ძალ-იერი), ღონიერი, გონიერი, ბუნდნიერი, მშვენიერი, გემრიელი, ჭკვიანი (ჭკუ-იანი), პატიოსანი (პატი-ოსანი), მნიშვნელოვანი, გულთაიდი, დიადი (დიდ-ად-ი), ძვირფასი, ერთგული, კეთილშობილი.

¹ ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.



ნაცვალსახელი¹

ნაცვალსახელი, სიტყვა, რომელიც მიუთითებს საგანზე ან მის თვისებაზე. სახელწოდება მიღებულია ორი სიტყვის შეერთებით: ნაცვალ + სახელი. ადრინდელ გრამატიკულ ლიტერატურაში ამ ტერმინმა არსებითი როლი შეასრულა ნაცვალსახელის რაობისა და მნიშვნელობის დადგენაში. იგი განისაზღვრებოდა ისეთ ენობრივ ერთეულად, რომელიც სახელის ნაცვალად, მის მავრებად იხმარება. მაგ., გაიოს რექტორის „ქართულ ღრამმატიკაში“ (1789) იკითხება: „ნაცვალ-სახელი არს ნაწილი სიტყვისა, რომელიც ნაცვალად სახელისა დაიდების სიტყვათა შინა“. ასეთი განმარტება სხვადასხვა რედაქციით დღესაც ძალაშია როგორც ქართულ, ისე სხვა ენების ნორმატიულ განმარტიკებში. დახასიათება ზოგადად სწორია, მაგრამ სრული არ არის, რადგან იგი ერთნაირად არ მოიცავს ყველა ნაცვალსახელს. ტრადიციული განმარტება არ გამოდგება, მაგ., I და II პირის ნაცვალსახელების მიმართ, რომლებიც მოქმედებისა და თანამოსაუბრის, ე. ი. პირის საერთო, ზოგადი სახელებია. ცნობილია, რომ სახელი ზმნას შეეწეობა III პირის ფორმაში, ამიტომ სინტაქსურად ეს ნაცვალსახელები არ შეიძლება იხმარებოდეს სახელის ნაცვალად. ყოველ შემთხვევაში, მათ მიერ სახელის შეცვლა ისე, რომ არ დაირღვეს წინადადების მოვლი წეობა, შეუძლებელია. ამდენად, ნაცვალსახელი შეიძლება განისაზღვროს ისეთ სიტყვად, რომელიც წინადადებაში უშთავრესად არსებითის, ზედსართავის ან რიცხვითი სახელის ეკვივალენტად გვევლინება.

ანტიკური გრამატიკული ლიტერატურიდან დღემდე, მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით, ნაცვალსახელის ძირითადად დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად იყო მიჩნეული. თუ ამოვალთ იქიდან, რომ „მეტყველების ნაწილი მორფოლოგიის ცნება და ამ ცნების დადგენისას საფუძველი მორფოლოგიური ნიშანი უნდა იყოს“ (ან. ჩიქობავა) და, ამავე დროს, თუ გავითვალისწინებთ ნაცვალსახელთა ძირითად დანიშნულებასაც, იმინი ცალკე მეტყველების ნაწილად არ გამოიყოფა. ერთი ნაწილი შეიძლება არსებით სახელთა ცალკე გაერთიანდეს, სხვები კი – ზედსართავებს დაუკავშირდეს. ამის მიხედვით, ყველა ნაცვალსახელი შევა სახელის შემცველ მეტყველების ნაწილში, თუმცა მიხვან მინც განსხვავდება. ნაცვალსახელის ძირითადი თვისება არის აბსტრაქციის თავისებურება. აბსტრაქცია, ძირითადია, მეტ-ნაელებად ახასიათებს ყველა მეტყველების ნაწილს, მაგრამ ზოგადისა და კერძოს შეთავსება ისე, როგორც ეს ნაცვალსახელშია მოცემული, სხვა მეტყველების ნაწილისათვის არ არის ნიშანდობლივი. სახელისათვის მთავარია ის, თუ რას აღნიშნავს, ნაცვალსახელისთვის კი – როგორ აღნიშნავს. არსებითი, ზედსართავი (აგრეთვე რიცხვითი) სახელი მორდაირ ახსებებს საგანს, მოქმედება-მდგომარეობას, აღნიშნავს მის ნიშან-თვისებას, ხარისხსა და რაოდენობას, ნაცვალსახელი კი ზოგადად, განყენებული სახით მიუთითებს მათზე. სხვადასხვაგვარ სიტუაციაში, ხმარების ცალკეულ შემთხვევებში იგი ავლენს კონკრეტულ მნიშვნელობასაც.

XIX ს. I ნახ-იდან ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ნაცვალსახელთა კლასიფიკაციას საფუძვლად სხვადასხვა პრინციპი ედო. განსხვავებული იყო აგრეთვე ნაცვალსახელთა ჯგუფების რაოდენობა და მათი აღნიშნული ტერმინებიც. თანამედროვე გრამატიკული ლიტერატურის მიხედვით, გამოიყოფა ნაცვალსახელთა შემდეგი ჯგუფები: პირის (მე, შენ, ჩვენ, თქვენ...) (იხ. პირის ნაცვალსახელები), კუთვნილებითი (ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, მისი...), წევრებითი (ეს, ვე, ის ა იგი, ასეთი...), კითხვითი (ვინ? რა? რომელი? როგორი?...), მიმართებითი (ვინც, რაც, რომელიც, როგორც...) ურთიერთობითი (ერთმანეთი), განსაზღვრებითი (თვით, თვითონ, თითოეული, ყველა, ყოველი...), განუსაზღვრებლობითი (ვინმე, რამე, რომელიმე, ზოგი, ზოგიერთი...), უარყოფითი (არაინ, ვერაინ...).

გრამატიკული თვალსაზრისით, ნაცვალსახელებს სხვა სახელებთან აქვთ მსგავსებაც და განსხვავებაც. განმასხვავებელი თვისება ისაა, რომ მათ არ მოვარებათ ერთიანი მორფოლოგიური ყალიბი. მაგ., I და II პირის ნაცვალსახელები ბრუნვათა მიხედვით არ იცვლება,

¹ ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.



მათ მრავლობითი რიცხვი მორფოლოგიურად არ ეწარმოებათ; კითხვითი ნაცვალსახელები (მათი ბრუნვისათვის სულ ორ ფორმას გვიჩვენებს (ვინ - სახელობითი და მოთხრობითი) - მიცემითი და ნათესაობითი), მრავლობითი, ხეულებრივ, არ ეწარმოება; ძირეული ჩვენებითი ნაცვალსახელები ბრუნვითა ფორმებს უპირატესად სუბლექტურად აწარმოებენ, ორ სხვადასხვა ფუძეს იყენებენ: ერთია სახელობითისათვის - ამა, მაგა, იმა, იმ; ყველა ეს ნაცვალსახელი სახელობითში ფუძის სახით იხმარება. მოთხრობითში მათ ორგანულ წარმოება ახასიათებთ: მა-ნ, ამა-ნ, იმა-ნ, მაგა-ნ. რაც შეეხება კუთვნილებით და ზოგიერთ სხვა ნაცვალსახელს, ისინი თავიანთი დანიშნულებით მსაზღვრელი სიტყვებია და ისე იბრუნებიან, როგორც ზედსართავი სახელები.

ლიტ.: შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, თბ., 1953; მარტიოსოვი ა., ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964; ჩართოლანი ნ., ჩვენებითი ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, თბ., 1985.

რიცხვი¹

რიცხვი, ლოგიკურ-გრამატიკული კატეგორია. ლოგიკური თვალსაზრისით, რიცხვი გულისხმობს სემანტიკურ ოპოზიციას: ერთი – ერთზე მეტი. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ორი, სამი, ოთხი და ა. შ. გარდა ამისა, არსებობს ჯგუფი ე. წ. უთვლადი საგნებისა, რომელთა რიცხვის გაგება განსხვავებულია თვლადი საგნების რიცხვის გაგებისაგან. გრამატიკული თვალსაზრისით, რიცხვის კატეგორია ემყარება სემანტიკურ ოპოზიციას: მხოლოდობით – მრავლობითი, რაც ენათა უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი. ზოგ ენაში გვხვდება ორობითი, სამობითი და ა. შ. რიცხვიც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სპეციალურ ლიტერატურაში რიცხვის წარმოების ორი სისტემა გამოყოფილი: ლოგიკური და გრამატიკული, რომელთა თანხვედრა არსებით სახელებში ხდება. სხვაგვარად, რიცხვი არის ენობრივი აზროვნების ობიექტთა (საგანთა) რაოდენობრივი მახასიათებელი, რომელიც მხოლოდ არსებით სახელებსა და პირის (ჩვენებით) ნაცვალსახელებს შეიძლება ჰქონდეს. დანარჩენ მეტყველების ნაწილებს რიცხვი სინტაქსურად ეწარმოება. კერძოდ, სახელი ან ნაცვალსახელის რიცხვის ფორმას ეთანხმება ზმნის ფორმა. ასევე, ზედსართავი სახელის ფორმაც გამოხატავს მიმართებას არსებითი სახელის რის ფორმისადმი. ორსავე შემთხვევაში გვაქვს რიცხვი შეთანხმება, რომელიც სინტაქსური კატეგორია და არა ლოგიკური.

სახელის მრავლობითი რიცხვი გულისხმობს სიმრავლის (რაოდენობრიობის) ცნებას, რომელიც ყველა ენაში ერთნაირად აღიქმება, ამავე დროს ლოგიკურად და გრამატიკულადაც ერთი და იგივე ოდენობაა. სახელის მხოლოდობითი რიცხვი ერთის გაგებას ემყარება, თუმცა ისიც პირობითია და დამოკიდებულია ამა თუ იმ ენის მხოლოდებულებაზე.

ზმნის რიცხვის ფორმა გუთხვევებს, მოქმედებს ერთი, თუ ერთზე მეტი პირი. ამდენად, მრავლობითობის გაგება საკუთრივ ზმნაში კი არ დევს, არამედ ქვემდებარე-სუბიექტში, ანუ „ისინი მოდიან“ გამოხატავს არა იმდენად „სიარულს“, რამდენადაც „მოსიარულეებს“. ესაა გრამატიკული მოვლენა, რომლის საფუძველზედაც გამოიყოფა რიცხვის მორფოსინტაქსური კატეგორია.

ამრიგად, რიცხვის კატეგორია მოიცავს ენის მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ დონეებს. შესაბამისად, ერთი მხრივ, რიცხვი გრამატიკული კატეგორიაა, მეორე მხრივ, ის დექსიკურ კატეგორიათა სფეროსაც განეკუთვნება. აქ იგულისხმება რიცხვითი სახელები, რაოდენობის აღმნიშვნელი სახელები, როგორცია „ბევრი“, „მრავალი“ და ა. შ.

ქართულში გრამატიკული რიცხვის წარმოება აფიქსთა საშუალებით ხდება. არსებობს მრავლობითის აღმნიშვნელ მორფემათა სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია: რიცხვი წარმოქმნის კატეგორიად არის მისწეული, ამიტომაც სახელის მრავლობითის მაწარმოებელი -ებ სუფიქსი წარმოაქმნელ აფიქსთა რიგში დგას (ა. შანიძე). ფლექსიურ და დერივაციულ აფიქსთა გვერდით გამოყოფილია ე. წ. გარდასავალი ტიპის აფიქსები – ებ მორფემა სახელებში და -თ – ზმნაში (არნ. ჩიქობავა). მესამე თვალსაზრისით, სახელთა მრავლობითობის -ნ და -ებ სუფიქსები, მსგავსად პირთა მრავლობითის -თ, -ენ სუფიქსებისა ზმნაში, დექსიკურ მნიშვნელობას ვერ ცვლიან ფორმებში, ისინი მხოლოდ ფლექსიური ელემენტებია (თ. უთურგაიძე). რამდენადაც ზმნას რიცხვი სინტაქსურად ეწარმოება, ზმნაში გამოყენებული რიცხვის ფორმანტები ოდენ ფლექსიური ელემენტები შეიძლება იყოს. სახელებში განსხვავებულად დგას საკითხი, რადგან ამოსავალია რიცხვის ლოგიკურ-სემანტიკური გაგება, ერთისა და მრავლის სემანტიკური ოპოზიციისა.

ქართულ ენაში სახელის მრავლობითის წარმოება ხდება -ებ, -ნ და -თ სუფიქსებით. ამთგან -ებ ძველ ქართულში ნაკლებად იხმარებოდა, ძირითადად უსულყო საგნების ან „სოციალურად პასიურ არსებათა“ აღმნიშვნელ სახელებთან (კ. დონდუა). შესაბამისად, -ებ მორფემას არ ჰქონდა სინტაქსური ძალა. ამ ფუნქციით აღჭურვილი იყო წით-იანი მრავლობითი. მაგრამ იმთავითვე არსებობდა სხვაობა: -ებ მორფემით რის წარმოების ავლუტინაციური პრინ-

¹ ქართული ენა, ენციკლოპედია, თბ., 2008.



ციხია გატარებული - ყველა ბრუნვაში წარმოდგენილია -ვბ სუფიქსი, როგორც არიქსუქს ფორმანტი და მას ერთვის ბრუნვის ნიშანი. ამას ვერ ვიტყვი -თ-სუფიქსზე, რომელიც ერთდროულად რიცხვისა და ბრუნვის ნიშნის ფუნქციებს ითავსებს. -ნ მორფემა ოდენ რიცხვის აღმნიშვნელია, მაგრამ მხოლოდ ორ ბრუნვაში - სახელობითსა და წოდებითში. სახელისა და ხმნის ხიარი რიცხვის ფორმანტებია სწორედ -ნ და -თ ვლექსენტები, რომლებსაც ოდენ ვლექსიური ფუნქცია თუ შეიძლება ჰქონდეს. ამ თვალსაზრისით ცალკე დგას -ვბ მორფემა. მისი თავდაპირველი ფუნქცია, როგორც ჩანს, სემანტიკური ოპოზიციის (ერთი - ერთზე მეტი) იმ წვერის მარკირება იყო, რომელიც სიმრავლეს აღნიშნავდა. -ვბ კრებითობის სუფიქსმა მოგვიანებით შეიძინა სინტაქსური ძალა, რომელიც ქართული ენის დიალექტებში დღესაც მერყეობს. იმავე დიალექტებში შეინიშნება ტენდენცია -ვბ მორფემის სიტყვაწარმოებითი ფუნქციით ხმარებისა.

არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის გამოხატვა ხშირად სახელური ძირის სემანტიკაზე დამოკიდებული იხეით სახელები, როგორიცაა აბსტრაქტული, გეოგრაფიული, საკუთარი, ნივთიერების, აგრეთვე რიცხვითი სახელები, მასდარები (საწყისი) მხოლოდობითი რიცხვის ფორმით იხმარება. მრავლობითობის ნიშნით მათი მარკირება მხოლოდ გარკვეულ კონტექსტშია შესაძლებელი. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ხდება აღსანიშნის გაახრება თვლად საცნად. მაგ. (1) ქვევრში ღვინო ასხია; (2) მარნის თაროზე ღვინოები აწყვია. (1) პირველ წინადადებაში ღვინო ვერ გადმოიცემა მრავლობითის ფორმით, რადგან კონტექსტით ნაგულისხმევა სიტყვის პირველი მნიშვნელობა „სითხე“. (2) მეორე წინადადებაში მრავლობითის ფორმა - ღვინოები - დასაშვებია, რადგან კონტექსტით ხდება მნიშვნელობის სხვაგვარად გააზრება. იგულისხმება ჭურჭული (მაგ., ბოთლი), რომელშიც სითხე (ღვინო) ასხია. მოქმედებს გეონომიის წესი, როცა სუბსტანტივი ჩავარდება და მსახლრელი ითავსებს მის მნიშვნელობას. წინადადება: „მარნის თაროზე ღვინოები აწყვია“ იგივეა, რაც: „მარნის თაროზე ღვინის ბოთლები აწყვია“.

აღამიანის საკუთარი სახელიც შეიძლება მრავლობითის ფორმით გადმოიცეს, როდესაც ისინი იძენენ საზოგადო სახელის ფუნქციას: „დმერთმა გაზარდა დაფიციები, თამარები...“ დასაშვებია რიცხვითი სახელის მრავლობითის წარმოებაც, თუ იგი შეუთავსებელია სემანტიკით და იტვირთება და სუბსტანტივად გაიყვება: „ბავშვმა ხუთები მიიღო“ და ა. შ. ასევე მასდარები, რომელიც, ჩვეულებრივ, მრ. რიცხვს არ იწარმოებს, გარკვეულ კონტექსტში შესაძლებელია ამ ფორმით წარმოგვიდგას: „ნატარდა საკონტროლო წერები“.

თავისებურია ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაც. ზოგს მხოლოდ წარიანი ფორმები გააჩნია: რა-ნი, ყოველ-ნი, იკო-ნი... ზოგს - ორივე: წარ-იანიც და ებ-იანიც: ჩემ-ნი / ჩემ-ებ-ი; სხვა-ნი / სხვ-ებ-ი... ზოგიერთს კი საერთოდ არ ეწარმოება: რამდენი, არავითარი, რომელიმე... თუმცა სასაუბრო ენაში კი გვხვდება ასეთი ფორმებიც: ვისები, ვინმეები, რამეები. როგორც ჩანს, ნაცვალსახელთა რიცხვის გრამატიკული გამოხატვის პროცესი გვიანდელია. საგარაულოა, რომ თავდაპირველად ერთისა და მრავლის გარჩევა დექსიკური სუპლემენტივობით ხდებოდა: მე “ ჩვენ, შენ” თქვენ.

ქართულითვის უცხო არ არის მრავლობითის ფორმათა დექსიკალიზაციის პროცესიც. მაგ. დაეთი-ნი, დოცვა-ნი ტიპის სახელებს მრავლობითი რიცხვის გაგება არ ახლავს. ამგვარი ფორმები ხშირია გეოგრაფიულ სახელებში, როგორიცაა რკო-ნი, კოშკ-ები, მოწამეთა... აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ ტოპონიმებში შემონახულია -ვე, -ეთ რიცხვის სუფიქსები (ა. შანიძე).

ლიტ.: ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; დონდუა კ., რწეული ნაშრომები, I, თბ., 1967; შანიძე ა., თხზულებანი, III, თბ., 1973; უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბ., 1986; ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ორმაგსუფიქსიანი მრავლობითი გუშინ და დღეს¹

-ეუ-იანი (ანუ პირველი) და ნარ-თანხანი (ანუ მეორე) მრავლობითის ფორმები უხსოვარი დროიდან თანაარსებობს გვერდიგვერდ ქართულ ენაში, ოღონდ თუკი ნართანხანი მრავლობითი ძველ ტექსტებში უფრო ხშირად იყო გამოყენებული, ვიდრე -ეუ-იანი, ამჟამად პირიქით არის: ეუ-იანია უფრო გავრცელებული ნართანხანთან შედარებით.

იმეითად ორივე სუფიქსი ერთდროულად გამოიყენებოდა.

აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ვკითხულობთ: „სასაუბრო ენაში ხშირად გვხვდება ორმაგი სუფიქსი მრავლობითში. სალიტერატურო ენა ამას გაუბრბის, მაგრამ შეიძლება სადმე შეგვხვდეს“, და იქვე ბატონი აკაკი ორმაგსუფიქსიანი მრავლობითის ნიმუშებად იმოსწებს ფორმებს ალექსანდრე ვაზბეგის თხზულებებიდან: „ასამდინ მსურველი გამოვიდა ჩურჩქუბთავან, თუშუბთავან და დანარჩენ მთიელ ქართულებთავან“, „სხვა დახორცილებთ შორის“, „ერთს იმ ბილიკებთავანზე“ (შანიძე ა., 1973: §112).

მაგრამ ეს ორმაგსუფიქსიანი მრავლობითის გუშინდელი დღეა. ამჟამად სალიტერატურო ენა ამგვარ ფორმებს აღარ გაუბრბის. დღეს მრავლობითში ორმაგ სუფიქსს შეიძლება შევხვდეთ გამოჩენილ პროზაიკოსთანაც და პროფესიონალ ენათმეცნიერთანაც.

მაგალითები:

„ჭურჩაღობთავან რამდენიმე გოგონას, მოცქევისა თუ დაღაგებული სახის მიხედვით, ეტყობოდა ოჯახიშეილობა...“ (რეზო ჭეიშვილი, „ლიტერატურული საქართველო“, 2001, №8, გვ. 1);

„ფსიქიატრულ სტაციონარებს, რომლებთაც ჩვენდაუნებურად, ხშირად შეგნებულდაც, საღიფეს ვუწოდებთ, გვერდს ვუვლით ხოლმე“ (რეზო ჭეიშვილი, „ლიტერატურული საქართველო“, 2001, №8, გვ. 16);

„წარმოდგენა არ გვექონდა მასონთა დოკუმბუ, რომლებთაც საქართველოში, ფაქტიურად, არც შემოუწევიათ“ (რეზო ჭეიშვილი, გახ. „მწერლური ცხოვრება“, 2005, 30 ოქტომბერი - 14 ნოემბერი, №7, გვ. 9);

„სირბილაძეებს, დიდბარიძეებს, ებაურიძეებს (ისინი საამქვეყნოდ აღარ ეწერენ), ისე როგორც ბარე ორსა და ბეგრსა, ვისაც ვკითხებოდა, არა გაუგიათ-რა“ (რეზო ჭეიშვილი, „ჯვარისა“, „კალამასობა“, 2007, №2 (10), გვ. 3).

„...დღეამდინარე - მტკვარი - დაუპირისპირა საქართველოს დანარჩენ მდინარეებს, რომლებთაც, თუ ენის ამოღებაა, მართლაც არ ამოვლებათ ენა, რადგან მტკვარი ყველა მათგანზე დიდია...“ (ალექსანდრე ფოცხიშვილი, „ლიტერატურული საქართველო“, 2007, №6, გვ. 7).

ასეთ შემთხვევებში ორი სუფიქსის გამოყენება შეიძლება ასე აგვეხსნა: რადგან -თ სუფიქსი ორ ფუნქციას ასრულებს (გამოხატავს მრავლობითი რიცხვს და ბრუნვას), იგი ერთ ფუნქციას (მრავლობითობის გამოხატვას) „ეთმობს“- ებ სუფიქსს და თითონ მხოლოდ ბრუნვას აღნიშნავს. მაგრამ საქმე ის არის, რომ -თ სუფიქსით გამოიხატება სამი ბრუნვა (მოსხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი), თანდებობის ამ კონტექსტის გარეშე -თ სუფიქსიანი ფორმის ბრუნვის გარკვევა შეუძლებელია. ეს ორმაგსუფიქსიანი ფორმებშიც ასეა. ამდენად, -ეუ სუფიქსი ასეთ შემთხვევებს ვერ „შეუღობს“.

იქნებ სტილისტიკურ დონეზე მოეძებნოს რამე ასხნა ასეთ ფორმებს?

პარალელური ფორმები - რომლებსაც // რომელთაც, ჟურნალისტიკისგან // ჟურნალისტ-ტოვან - მნიშვნელობით ერთნი არიან და მხოლოდ სტილისტიკურ დონეზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: პირველი სტილისტიკური ნეიტრალური არიან, მეორე კი არქაულად და შიდალფარდოვნად ეღერენ და სათანადო სტილისტიკური ეფექტის შექმნას ემსახურებიან.

ვერ ვიტყვი, რომ ორმაგსუფიქსიანი ფორმა რაღაც საშუალო იყოს ამათ შორის (არც მთლად არქაული, არც მთლად ნეიტრალური), ან სულაც რაიმე სრულიად ახალი სტილისტიკური ნიუანსის გადმოცემა ხერხდღერდეს მისი მეშვეობით. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ამგვარ პრეტენზიას ის ვერ აცხადებს.

¹ ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბ., 2007.

ვერც იმას ვიტყვით, რომ ზემოთხსენილ ციტატებში ეს ფორმები მდაბიური ტაციოსთვის გამოყენებით ავტორებს.

ამრიგად, ვიდრე ორმაგსუფიქსიანი მრავლობითისთვის რაიმე მკაფიო ფუნქცია გამოიკვეთებოდეს, მანამდე ეს ფორმები სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს და მათ კვლავინდებურად თითოსუფიქსიანი მრავლობითის ფორმები უნდა გამოვლინოთ.

* * *

გვხვდება თუ არა ორმაგსუფიქსიანი მრავლობითი სახელობითში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გავეცნოთ ამონარიდს შალვა საბაშვილის წერილიდან, „წერის მაღალი კულტურისათვის“ (ლიტერატურული საქართველო“, 16. 03. 2007, №10, გვ. 5): „საინტერესო სახის შეცვლა ფრაზაში: „მაშინ ოცი-ოცდაერთი წლისანები ვიყავით“, უფრო სწორად, საინტერესოა ფორმა „წლისანები“, კურიოზულიც კი. იგი მცდარია. მართლაც, ერთ ადამიანზე ითქმის: „ოცდაერთი წლისა“, რამდენიმეზე კი – „ოცდაერთი წლისები“, ან „ოცდაერთი წლისანი“. ორივე სუფიქსი – „ებ“ და „ანი“ – მრავლობით რიცხვს აწარმოებს. პირველს „ებიანი ფორმა“ ჰქვია, მეორეს კი „ნართანიანი ფორმა“ (ამ უკანასკნელის ნიმუშები სხვადასხვა ბრუნვაში არის „კაცნი“, „კაცთა“). მაშასადამე, წლისები“ და „წლისანი“ აშკარად მიგვითითებს, რომ საუბარია ადამიანთა სიმრავლეზე. მაშ, „წლისანები“ რაღაა? სწორედ რომ კურიოზული ფორმა, ვინაიდან მასში მრავლობითი რიცხვის წარმოების ორი სხვადასხვა ხერხი, ორი სხვადასხვა სუფიქსი („ებ“ და „ანი“) ერთდროულადაა გამოყენებული. ეს ზედმეტი სხვადასხვაობა ოპერაციას, ვუქრობ, ავტორმა უნებლიეთ მოახდინა, მაგრამ იგი სხვებს შეუძნეველი არ უნდა დარჩენილიყო“ (დამოწმებულია ფრაზა ვინო ჩხიკვაძის შინაბრუნვიდან „ღული“, „კალმასობა“, 2006, №1, გვ. 10).

მეორე მაგალითი ორმაგსუფიქსიანი მრავლობითისა სახელობითში, რომელზედაც შალვა საბაშვილმა მიგვითითა, ასეთია: „კუკიაზე არიან ჩემი ხნისანები, რომლებსაც არაფერი სტკივთ, თამარჯან“ (აღან თორელი, „მაირიკი“, „ლიტერატურული საქართველო“, 24. 11. 2006, გვ. 13).

ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს საზღვრულის გარეშე წარმოდგენილ მართულ ანუ ნათესაობით ბრუნვაში მდგარ მსახვერდელთან, რომელიც იმის გამო, რომ უსახვერდოდ დარჩა, იძულებულია თვითონ დაითოს ბრუნვის ნიშნები ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შემდეგ, საზღვრული, რომელიც გამოტოვებულია, ადვილი აღსადგენია: „ოცი-ოცდაერთი წლისანი“ გულისხმობს ოცი-ოცდაერთი წლის ახალგაზრდებს, „ქეში ხნისანი“ გულისხმობს ჩემი ხნის ადამიანებს. წინა მაგალითებისაგან განსხვავებით აქ ჯერ მეორე მრავლობითის სუფიქსი გვაქვს (ნ) და შემდეგ – პირველისა (ებ).

განსახილავი ფორმები (წლისანები, ხნისანები) ჩვენი აზრით, ანალოგიის გზით უნდა იყოს მიღებული, კერძოდ, დაბოლოებით ეს სიტყვები -ოვან სუფიქსიანი ზედსართავეების მრავლობითის დაბოლოებებს ჰგავს: ძალოვანი // ძალოვანები, (მცირე)წლოვანი // (მცირე)წლოვანები და მისთ. წლისანები და მსგავსი ფორმები შეიძლება წლოვანების ტიპის წარმოების ანალოგიით მიღებულად მივიჩნიოთ.

სხვა შემთხვევა სახელობითში მრავლობითის ორმაგი სუფიქსის გამოყენებისა ჩვენთვის ცნობილი არ არის. არსებით სახელებში ამგვარი რამ შეუძლებელი ჩანს: ძნელი წარმოსადგენია ვინმემ, თუნდაც საუბარში, თქვას ქალაქებნი ან ქალაქები, კაცებნი ან კაცები, თუმცა თითქოს შესაძლებელი ჩანს ასეთი გაარსებითებული ზედსართავეების გამოჩენაც: დიდებნი, მართლებნი, გამმეღვებნი და მისთანანი, რაც ფუნქციას მოკლებული და, ამდენად, გაუმართლებელი იქნება.

ზმნიზედის სწავლების ზოგიერთი საკითხი¹

ზმნიზედა სწავლების თვალსაზრისით ერთ-ერთი როული და „დაჩაგრული“ მეტყველების ნაწილია. ამაზე ჯერ კიდევ 50-იან წლებში მიუთითებდნენ მკვლევარები².

ზმნიზედის სწავლების სირთულეს იწვევს ე. წ. ზმნიზედის ფუნქციით ნახშირი სიტყვების როდენობა და ფორმათა ნაირგვარობა. ზმნიზედააა ჩათვლილი: ა) ვითარებით ბრუნვაში დასმული ყველა ზედსართავი და რიცხვითი სახელი (კარგად, მშვიდად, ბევრად, ორად, ხუთად...), კრებითი არსებითი სახელები (ჯგუფად, მწკრივად...); ბ) მოქმედებით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელები (გაგვივებით, სიყვარულით...), ადგილმდებარეობის, დროისა და ზომა-წონის არსებითი სახელები (გვერდით, მოშორებით, დილით, წლით, დროებით, ტონობით, ურმობით...), რიცხვითი სახელები (ასობით, მილიონობით, ბევრით, მეასედით...), ოსხული არსებითი სახელები (დროგამოშვებით, დაბალუით, გულისტკენით...), შორისდებოლები და ნაწილაკებით (ვით, ჯურჯურბით, ვიშვიშით...), გ) მიცემით ბრუნვაში დასმული ზოგი არსებითი და ზედსართავი სახელი (დღეს, წელს, ძირს, დიდხანს, პირს, შორს, ახლოს).³

გამოდის, რომ ზმნიზედის ფუნქციით შეიძლება იხმარებოდეს ზმნის გარდა ყველა სიტყვა. სამეცნიერო ლიტერატურაში კი ზმნიზედის ფუნქციით სხვა სიტყვათა გამოყენების ნაცვლად საუბარია ზმნიზედათა ჯგუფების სიმრავლეზე, რაკი ზმნიზედად მიიჩნევენ ზმნიზედად გამოყენებულ ზოგ ზედსართავსა და რიცხვით სახელს, არსებითსა და ნაცვალსახელს და ა. შ.

ეს, ჩვენი აზრით, დოვიკურ შეუსაბამობას იწვევს: როცა მეტყველების ნაწილთა ფუნქციანუ ვლასობით, მხედველობაში გვაქვს ის, თუ რას აღნიშნავენ ისინი, სიტყვათა როგორ ერთობლიობას აერთიანებენ ერთი ნიშნის ქვეშ. მაგ., არსებითი სახელის ფუნქცია საგნის აღნიშვნაა, ზედსართავი სახელისა კი - საგნის ნიშან-თვისებისა. ეს სიტყვები ხშირად იხმარება ერთმანეთის ფუნქციით (ბრამ მანქანა ვერ დაინახა; ერთი ურეში შეშა გაყიდა), მაგრამ ამის გამო „ბრამ“ არსებითი სახელია, ხოლო „ურეში“ - ზედსართავი, არაფერ იტყვის. მაშ რატომ ითვლება შესიტყვებებში „რბა დღურჯად კამაქმებს“ და „ღურჯი ტბის სიკამაქმე“ - „ღურჯი“ ხან ზედსართავ სახელად, ხან კი ზმნიზედად? ჩვენი აზრით, ასეთი შეუსაბამობის სათავე შემდეგში მდგომარეობს:

ზმნიზედის გრამატიკულ-სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში გარემოების გადმოცემა და ამიტომ ყველა სიტყვა, რომელიც გარემოებას გამოხატავს, სპეციალურ ლიტერატურაში მორფოლოგიური თვალსაზრისით ზმნიზედააა მიჩნეული.

გრამატიკულ ლიტერატურაში წარმოდგენილი განსახედრების მიხედვით, ზმნიზედად ითვლება ყველა ის სიტყვა, რომელსაც: ა) დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და ბ) ფორმალურად სიტყვად იქცევა. პირველივე ზმნიზედები აქმაოფილებენ ამ ორივე მოთხოვნას. იგივე ვერ ითქმის მეორეულ ზმნიზედებზე, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში სხვა მეტყველების ნაწილებისაგან მიღებულად ითვლებიან „ძირითადი მნიშვნელობისაგან დაცლისა“ და „ფორმის გაქვევების“ შემდეგ.

როგორც ცნობილია, სიტყვის მნიშვნელობა იცვლება მაშინ, როცა მეტ-ნაკლებად იცვლება აღსანიშნი. მაგალითად:

ქუდი - აღნიშნავს საგანს („აღამიანის თავზე დასახურავი“);⁴

ქუდიანი - აღნიშნავს ნიშანს („კვისაც ქუდი ახურავს“);

საქუდე - ნიშანია („სქუდისათვის განკუთვნილი“) და ა. შ.

ასევე, წითელი - ნიშანია;

წითლდება - მოქმედებაა („წითელ ფერს იღებს“);

¹ ქართული ენის და ლიტერატურა სკოლაში, 1-4, 1987.
² შ. თალაკვაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდთა, თბ., 1959; შ. ჩინწალაძე, ქართული ზმნიზედის სწავლება სკოლაში, თბ., 1955.
³ მაგალითები ამოღებულია შ. ჩინწალაძის დასახ. ნაშრომიდან.
⁴ განმარტებისათვის გამოყენებულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I-VIII, 1950-1965.



სიწითლე – აბსტრაქციაა („წითლის თვისება, წითელი ფერის ქონა“). თამაზად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ მოყვანილ ყველა ერთეულს (ქუდი-ქუდი, წითელი-წითელი) დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, ე. ი. ყოველი მომდევნო ერთეული „დაცლილია ძირითადი მნიშვნელობისაგან“.

ენახით, როგორ არის ეს მომენტი წარმოდგენილი ზმნიზედის შემთხვევაში. განვიხილოთ წინადადებათა წყვილები:

- 1. მატარებელი **ზანტად** დაიძრა;
- 2. **ზანტი** კამეჩი გზახე მიიზღაზნება.
- 1. **ღურჯად** მოლაპლაპე ტბა გამოინდა;
- 2. **ღურჯე** ცახე მზე ანათებს.
- 1. **მდუმარედ** იჯდა;
- 2. **მდუმარე** დამე შიშის მომგერელია.
- 1. შეიკრა **მრისხანედ** წარბი;
- 2. **მრისხანე** ბატონის შიშით ყველას გული უსკდება.
- 1. ხალხი **ორად** გაიყო;
- 2. **ორ** აბაზად გაყიდა.
- 1. იქ **ჯგუფად** ისხდნენ ბუზები;
- 2. მოსეირნეთა **ჯგუფი** ტყეში გაუჩინარდა.
- 1. ეს **ისეთნირად** მითხრა, რომ...
- 2. **ისეთნირი** ხმა მომესმა, რომელიც არასდროს გამიგონია.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილ წინადადებაში არავითარი „მნიშვნელობისაგან დაცლა“ და „დამოუკიდებელი მნიშვნელობის“ მიღება არ ხდება. აქ სიტყვამ მხოლოდ ფუნქცია იცვალა: „ეთარებით ბრუნვაში დაყენებული ზედსართავი (ან მიმღებობა)⁵, როგორც ამას ძველი გრამატიკოსებიც აღნიშნავდნენ, ზმნიზედის ფუნქციითაა აღჭურვილი“⁶. ზმნიზედის სინტაქსური ფუნქცია კი ამ შემთხვევაში ვითარების გარემოების გამოხატვაა, რაზედაც ადრეც გვქონდა ლაპარაკი.

გარდა ამისა, ზმნიზედის შესწავლამდე, სახელებისა და ზმნის ანალიზის დროს ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ ენაში არსებობს სიტყვის მნიშვნელობის მცვლელი (ე. წ. წარმოქმნელი) და სიტყვათა შორის ურთიერთობის აღმნიშვნელი (ე. წ. მიმოსახრელი) აფიქსები.

წარმოქმნელი აფიქსები სიტყვის მნიშვნელობის ცვლასთან ერთად ხშირ შემთხვევაში ფუნქციასაც უცვლიან მას:

- ხერხ-ი – ხერხ-იან-ი
- ხერხ-აფ-ს
- ა-ხერხ-ებ-ს
- მო-ხერხ-ებ-ულ-ი
- შავ-ი – სი-შავ-ე
- ა-შავ-ებ-ს
- შავ-დ-ებ-ა
- ორ-ი – ორ-ობ-ით-ი
- გა-ორ-დ-ა
- ჩემ-ი – ჩემ-ეულ-ი
- ჩემ-ობ-ა (შენეუმობა)
- უ-ჩემ-ო-დ

⁵ ამით უნდა დაემატოს ყველა რიცხვითი სახელი, ზოგი არსებითი სახელი და ნაცვალსახელი, როგორც შემოთავაზებულია.

⁶ ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980, გვ. 592.

წერ-ს - წერილ-ი
და-ი-ჩემ-ა
მ-წერ-ალ-ი
და-წერ-ილ-ი

მიმოსახრულ აფიქსებზე კი, კერძოდ, ბრუნვის ნიშნებზე, მოსწავლეებს ასეთი კატეგორიული დებულება ეძლევათ სახელმძღვანელოში: „ერთი და იგივე სახელი მნიშვნელობის შეუცვლელად შეიძლება შეიდი სხვადასხვა ფორმით შეგვეხედეს“⁷. მაშასადამე, მათ იციან, რომ

შავი	ქულ-იან-ი
შავ-მა	ქულ-იან-მა
შავ-ს	ქულ-იან-ს
შავ-ის	ქულ-იან-ის
შავ-ით	ქულ-იან-ით
შავ-ად	ქულ-იან-ად
შავ-ო	ქულ-იან-ო

ფორმები ტოლფასია მნიშვნელობით და წინადადებაში სხვა სიტყვებთან საურთიეროდ იხმარება. ზმნიზედის სწავლებისას კი ვეუბნებით, რომ სახელი რომელიმე ფორმით „ქვეყნდება“ და ეს გაქვეყნებული ფორმა სხვა მეტყველების ნაწილია, რომელიც ერთვის ზმნას.

მეცნიერული თვალსაზრისით, შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდეს იმას, „შავად“ ზმნიზედა იქნება თუ ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა, მაგრამ მოსწავლეებს უჭირთ ამ რთული პროცესის ცხადად წარმოდგენა. სასკოლო სახელმძღვანელოში და საენათმეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი აღნიშნული ფორმულა ასე შეიძლება გამარტივდეს: ვითარებით ბრუნვაში დასმული ზედსართავი სახელი რჩება იმავე მეტყველების ნაწილად ანუ ზედსართავ სახელად, ოღონდ მას სინტაქსურად ვითარებითი გარემოების ფუნქციის გამოხატვა დაეკისრება.

გრამატიკის ერთ-ერთ ოდითგანვე საინტერესო და სადავო საკითხს მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია წარმოადგენს. იმის მიხედვით, თუ რას ავიღებთ საკლასიფიკაციო პრინციპად (შინაარსს, ფორმას თუ ფუნქციას), სიტყვათა სხვადასხვა დაჯგუფებებს მივიღებთ. არა მარტო სიტყვათა, ნებისმიერი სიტყმის ელემენტთა კლასიფიკაციისას, როგორც წესი, ორ საკვლადებულო მოთხოვნას ითვალისწინებენ: 1. სიტყმის არც ერთი ელემენტი არ უნდა დარჩეს კლასიფიკაციის გარეთ; 2. ერთი ელემენტი მხოლოდ ერთ ჯგუფში უნდა შედიოდეს. ჩვენ შემთხვევაში კი „შავი“ და, საერთოდ, ყველა ზედსართავი სახელი ყოველგვარი შინაარსობრივი ცვალებადობის გარეშე ერთდროულად ორი კლასის წევრი გამოდის - ზედსართავი სახელიცაა და ზმნიზედაც. აქ შეიძლება შემოგვედავონ: შინაარსი თუ არ იცვლება, ფუნქცია ხომ არის განსხვავებული, მაგრამ გავიხსენოთ ანალოგიური ვითარება: ნათესაობითში დასმული არსებითი სახელი ანუ მართული მსახლრეული წინადადებაში განსახლდრების ფუნქციას ასრულებს, იმ სინტაქსურ ფუნქციას, რომელშიც, ჩვეულებრივ, ზედსართავი სახელი გვევლინება ხოლმე, მაგრამ არავის უთქვამს კონსტრუქციაში „ხის სახლი“- „ხის“ ზედსართავი სახელიაო.

„ვითარებითი ბრუნვის ფორმით (ზოგჯერ ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივი შეკვეცით) წარმოდგენილია შემდეგი ზმნიზედები: ჩქარა (ჩქარად), ნელა (ნელად), მალა (მალდა)“⁸

მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილია ზედსართავი სახელისა და ნაწარმოები ისეთი ფორმები, რომლებიც მოქმედების რაკვარობას ან ადგილმდებარეობას გამოხატავენ და მნიშვნელობითაც, ფორმითაც და ფუნქციითაც ზმნიზედებია. ენამ მათი ზედსართავი სახელებისაგან გამოსაყოფად თითონვე მონახა საშუალება - მოაკვეცა ბრუნვის ნიშნის ბოლო თანხმოვანი, აქცია „გაქვეყნულ“ ფორმად და მოსპო ზედსართავ სახელთან მათი გაიგივების შესაძლებლობა. დღეს ენაში ერთმანეთის გვერდით არსებობს პარალელური ფორმები:

მადალი - მადლა

⁷ ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, დ. კვაჭაძე, ქართული ენა, V კლ. სახელმძღვანელო, თბ., 1983, გვ. 32.
⁸ ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980, გვ. 591.

დაბალი - დაბლა
 ხელი - ხელა
 ჩქარი - ჩქარა
 კარგი - კარგა (კარგა მოზრდილი ლექსა)
 მართალი - მართლა

მათი ერთმანეთში არევა გამოირიცხვლია. იმავეს ვერ ვიტყვით მეორე შემთხვევაზე: „მიცემითის ფორმით წარმოდგენილია შემდეგი ზმნიხედები: ძირს, ახლოს, შორს, ხალხს, დილას, დღეს, წელს...“ დასახელებულ ზმნიხედათაგან ზოგი არსებითი სახელისაგან არის მიღებული (ძირს, ხალხს, დილას...), ზოგი - ზედსართავი სახელისაგან (ახლოს, შორს). ამ შემთხვევაში ენამ, როგორც ჩანს, ვერ მიაღწია ფორმოზოგი ცვლილებას, სამაგიეროდ, ამ ფუძეთა ჩვეულებრივი მიცემითის ფორმა შინაარსობრივად ისე დასცილდა თავის „გაქჟავებულ“ ვარიანტს, რომ დღეს ისინი უფრო ომოფორმებად აღიქმებიან, ვიდრე ერთსა და იმავე სიტყვებად: მათ ერთმანეთთან პირდაპირი შინაარსობრივი კავშირი დაკარგეს:

ძირს - დაბლა, ქვევით, ქვემოთკენ;
 ძირ-ი (ძირ-ს) - რაიმე საგნის ან მოვლენის ქვედა ნაწილი.

მაშასადამე, ყველა ზედსართავი სახელი და რიცხვითი სახელი, ზოგი არსებითი სახელი და ნაცვალსახელი „ძირითადი მნიშვნელობისაგან კი არ იცლება“ და ზმნიხედად კი არ იქცევა, ფუნქციას იცვლის და წინადადებაში ვითარების გარემოების როლში გამოდის.

როგორც აღნიშნული იყო, სამეცნიერო ლიტერატურაში ითვლება, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული ყველა ზედსართავი სახელი და რიცხვითი სახელი, ზოგი არსებითი სახელი და ნაცვალსახელი „გადაქცეულია ვითარების ზმნიხედად“.

ეს „გადაქცევა“ ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: რაკი ვითარების გარემოება ვითარების ზმნიხედით უნდა იყოს გადმოცემული, ხოლო ზმნიხედა თავისთავად ფორმაცვლელი სიტყვაა, სხვა გამოსავალი არ არის, გარემოებად გამოყენებული სახელები ვითარებით ბრუნვის ფორმით გაქჟავებულ ფორმად უნდა გამოვიცხადოთ. მაგრამ დავიწყებულია ის გარემოება, რომ, რაკი ზმნიხედა ზმნას „განსახლურავს“, ხოლო ზმნა, როგორც ცნობილია, მასზე დამოკიდებული მეტყველების ნაწილის ფორმის თავისუფლებას „ვერ იტანს“, თავისთავად ვიღებთ „გაქჟავებულ“ ფორმებს. განვიხილოთ ორი შეხიტყვება:

თავს კარგად მანჯენებს - თავს ბავშვად მანჯენებს.
 თავი კარგად მომანჯენა - თავი ბავშვად მომანჯენა.
 თავი კარგად მოუნჯენებია - თავი ბავშვად მოუნჯენებია.

რატომ არის გაყრდილი, გაქჟავებული ფორმა „კარგად“, „ბავშვად“ კი არა? თუ ზმნას არსებითი სახელისაგან შეუძლია ვითარებით ბრუნვის ფორმა მოითხოვოს, ზედსართავი სახელისაგან რატომ არ შეუძლია? რატომ ითვლება, რომ „ბავშვად“ არსებითი სახელია უბრალო დამატების ფუნქციით, ხოლო „კარგად“ ზმნიხედაა და არა ზედსართავი სახელი ვითარების გარემოების ფუნქციით? აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვითარებით ბრუნვის ფუნქცია „ვითარების“, მოქმედების რაგვარობის გამოხატვაა და ზედსართავ სახელს, რომელიც არსებით სახელს ახასიათებს, იგი სულაც არ სჭირდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მსახვევრელ-სახვევრულის ე. წ. შებრუნებულ წყობას, რომელიც თანამედროვე ქართულში ძალიან იშვიათია):

შავად დაულამდა - შავ დღედ დაულამდა.
 ორად გაიყო - ორ ნაწილად გაიყო.
 ჩემად მომჩენენა - ჩემ წიგნად მომჩენენა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: 1) ვითარებით ბრუნვაში



დასმული ყველა ზედსართავი სახელი და რიცხვითი სახელი, ზოგი არსებითი სახელი ნაცვალსახელი ფორმის გაქვევების გამო სხვა მეტყველების ნაწილად კი არ აღიქვამილს, არამედ უფრო ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ ისინი, ძირეული ფუნქციისაგან განსხვავებით, გარემოებადაც გამოიყენებიან წინადადებაში.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ზმნიზედებად ჩაითვლება:

ა) ე. წ. პირველადი ზმნიზედები, რომელთა ფორმაც დღევანდელი თვალსაზრისით, მართლაც, გაქვევებულია: გუშინ, ხვალ, აქ, იქ, წინ, უკან...

ბ) მეორეული ზმნიზედები, რომლებიც

1. ფუძის გაორმაგებითაა მიღებული: ადგილ-ადგილ, ხშირ-ხშირად, ნაჭერ-ნაჭერ, თანდათან, შორი-შორს...

2. სახელის ფუძითაა წარმოდგენილი: ძლიერ, ნაკლებ, ძალიან...

გ) მეორეული ზმნიზედები, რომლებიც სიტყვათწარმოქმნელი აფიქსების დართვითაა მიღებული:

1. „-ობით“ – ზაფხულობით, წლობით, ურმობით, ტონობით, დილაობით...

2. „-ობლივ“, „-ობრივ“ – ფუთობლივ...

3. „-ივ“¹⁰ – მარჯვნივ, მარცხნივ, მიწვივ, ნაწილობრივ...

4. „ჯერ“ – „ხელ“ – „ვხის“ ნაწილაკდართულნი – ორჯერ, ათჯერ, ერთხელ, მრავალჯის, სამგჯის...

დ) მეორეული ზმნიზედები, რომელნიც ბრუნვის ფორმის მოდიფიკაციით არიან მიღებულნი:

1. ზედსართავი სახელის ვითარებითი ბრუნვის ნიშანს ეკეცება ბოლო თანხმოვანი: მაღლა, დაბლა, მაგრა, ნელა, ჩქარა...

2. არსებითი და ზედსართავი სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა „ქვევდება“ და მნიშვნელობაც ეცვლება: დღეს, წელს, შორს, ძირს...

¹⁰ „ივ“ სუფიქსი ძველ ქართულში მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი იყო.

თანდებული ქართულში¹

თანდებულები მომდინარეობენ ცალკე დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვათაგან. თავისთავადი სიტყვები ხშირი მხარებისაგან დროთა ვითარებაში ისე გაცნობენ, რომ ნაწილაკებად იქცნენ. ნაწილაკები მხოლოდ სხვა სიტყვასთან ურთიერთობისას ასრულებენ გარკვეულ ფუნქციას და მათი დექსიკური მნიშვნელობაც მაშინ მჟღავნდება. ზოგიერთ ენაში დღესაც არის დარჩენილი კვალი ამ ოდესღაც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა პირვანდელი ბრუნვისა. ბერძნულში კარგადაა დაცული *ἐν* და *παρῖ* წინდებულთა ბრუნების ოდინდელი სახე: *ἐνί* (ადვილ. ბრ.: *ზე, ში*); *παρῖ* (ადვილ. ბრ.), *παρά* (მიც. ბრ.), *παρά* (ინსტრ.) *παρῶς* (ნათხ. ბრ.).

ისტორიულად თანდებული სახელს რომ მიეკვდლა, დაკარგა დამოუკიდებელი მნიშვნელობა და თავის მხრით გავლენა მოახდინა სახელთა ბრუნების სისტემაზე. პროცესი ისე შორს წაიდა, რომ თანდებულიანმა ბრუნვამ ნაწილობრივ შეავიწროვა და რიგ შემთხვევაში განდევნა კიდევ ზოგიერთი დამოუკიდებელი ბრუნვა. ასეთი ბუდი ეწია ბრუნვებს, მაგ., ფრანგულსა და ინგლისურში. რუსულში წინდებულიანმა ბრუნვამ შესცვალა ოდინდელი ადგილობრივი ბრუნვა. ქართულში ე. წ. დაცეპითის ბრუნვას მოგვიანებით თანდებულიანი ფორმა შეეცვალა. ასევე, ლოკატივის მნიშვნელობის მიცემითის ადგილი თანდებულიანმა მიცემითმა დაიჭირა. ამას გარდა, სახელზე თანდებულის დართვამ ქართულში გამოიწვია ისიც, რომ ზოგიერთი ბრუნვის ფორმებს დაეკარგათ ბრუნვის ნიშანი და გარეგნულად ფუძეს დაემსგავსნენ (სახელ+ში, ამხანაგ+თან, მაგიდა+ზე, დღე+მდე).

თანდებულები ქართულში იმავე ფუნქციას ასრულებენ, რასაც სხვა ენებში წინდებულები. არსებითი განსხვავება ისაა, რომ წინდებული წინ უძღვის სახელს, თანდებული კი მოხდევს მას. მაგრამ ეს განსხვავებაც უმნიშვნელო აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ განვითარების იმ გზას, რომელიც გაიარეს წინდებულიანმა ენებმა. მაგ., გერმანულში შენიშნულია, რომ რიგი წინდებულები, რომლებიც ჯერ ახლო კავშირში იყვნენ ზმნისართებთან, წინ კი არ უძღოდნენ სახელს, არამედ მოსდევდნენ მას. თანამედროვე გერმანულში მრავალ ამ რიგის წინდებულს აქა-იქ შემორჩენილი აქვს ძველი წესი, ასეთებია: *durch, über*, როდესაც დროს აღნიშნავენ. მაგ. *drei Tage durch, den Tag über... Nach* შეიძლება სახელის შემდეგ გვევლინებოდეს მაშინ, როცა იგი გამოხატავს 'თანახმად' ('*совместно, по*'), მაგ., *dieser Methode nach, meiner Meinung nach*. ასევე იხმარება *gemass. Zu* გამოყენებულია სახელის შემდეგ, როცა იგი გადმოსცემს მოძრაობის მიზანს, მაგ., *er strebt dem Ziele zu*. სახელის შემდეგ შეიძლება იყოს აგრეთვე: *entgegen, gegenüber, zuwider, zufolge, wegen* და სხვ. Halber კი ყოველთვის პოსტოპოზიციურად იხმარება². ასევე რუსულში *рядом* წინდებული ზოგჯერ სახელს მოსდევს.

ასე იყო ძველ ქართულშიც: ნაწილაკი სახელთან წინდებულადაც გვევლინებოდა და თანდებულადაც.

თანდებული ერთვის არსებითს, ზედსართავსა და რიცხვით სახელებს, ნაცვალსახელებს, ზმნისართებსა და სახელზმნას ამა თუ იმ ბრუნვაში. სხვა ენების მსგავსად, ქართულში თანდებული იხმარება არსებ ბრუნვებთან. მოთხრობითი და წოდებითი თანდებულს ვერ იუკვებს. სახელობითთან მხოლოდ ვით თანდებული გვხვდება და ისიც მოკვიანო პერიოდის ქართულში. მიხი საბოლოოდ ჩამოყალიბება ჯერაც არ არის დასრულებული.

თანდებული ჩვეულებრივ ერთ რომელიმე ბრუნვას ერთვის, ზოგი კი ორსა და სამსაც მოითხოვს, მაგრამ სხვადასხვა ბრუნვასთან ხმარებული თანდებული სხვადასხვა ფუნქციის მქონეა, რუსულში, მაგ., წინდებული *в*, *на* ბრალდებითსა და წინდებულაში ბრუნვებს ერთვის, გერმანულში კი *an, auf, hinter, neben, in, über, vor, zwischen* – ბრალდებითსა და მიცემითს, მაგრამ ამ ბრუნვათა გამოყენებაში ის განსხვავდება, რომ პირველთან კითხვაზე ხად? (*где? wo?*) საგ-

¹ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I. 1946.

² Л. Р. Зиндер и Т. В. Сокольская, Научная грамматика немецкого языка, გვ. 79.



ნის ადგილმყოფობას უჩვენებენ, ბრალდებითან კი კითხვაზე საითქენ? (куда? ~~вспомните~~ მართულებას. რუსულში сошел с вершины, ростом с сестру, говорил со мною, с წინადადებაში (ნათესაობითან) გადმოსცემს მიმართულებას, მეორეში (ბრალდებითან) – შედარებას, მესამეში კი (მოქმედებითან) თანაობას. ასევე ქართულში გან თანდებულე კითხვაზე ვისგან? რისგან? ნათესაობითს ერთობ და გამოხატავს მოქმედების ჩამდგენს ან მასხლას, რისგანაც რამე კეთდება, ხოლო მოქმედებითან კითხვაზე საიდან? – გამოსავალ პუნქტს ადგილისას თუ დროისას.

ქართველური ენებიდან მხოლოდ ქართულია მდიდარი თანდებულებით. მეგრულ-ჭანური და სვანური შედარებით ღარიბია. ამასთან, ჭანურის ოთხი თანდებულიდან კალა, ნი, ქიხ, კელე უკანასკნელია ბგერითი შედგენილობით და მნიშვნელობითაც ქართულ კენ (← „კერძო“) სხვატყვისი³. სვანური იმით განსხვავდება მეგრულ-ჭანურისა და თვით ქართულისაგან, რომ ზოგიერთი კავკასიური ენის მსგავსად, იყენებს ორ თანდებულს ერთად (ღმშ. ღურ-თუჯი = სახურაიეს-კენ+ზე, კოჯ-თუჩისა = კლდისა-კენ+ში: -თუჯი = -კენ+ზე, -თუჩისა = -კენ +ში), თუმცა მსგავს მოვლენას ვხვდებით ხვესურულშიც⁴.

მიუხედავად იმისა, რომ სხვა ენების წინდებულთა ფუნქციას ქართულში ზმნისწინები და თანდებულები ასრულებენ, ქართულს მაინც არ ახასიათებს უკანასკნელთა (თანდებულთა) სიმცირე.

თანდებულები, რომლებიც სახელს თავშიც ერთოდნენ და ბოლოშიც (შინა, ზედა, თანა), ამჟამად მხოლოდ მოსდევენ მათ. სახელის შემდეგ განმტკიცდნენ თანდებულის ფუნქციის მქონე ზმნისართებიც (ქვეშ, ქვევით, ზევით, წინ, გარეთ, გარშემო და სხვ.), თუმცა ზოგი მათგანი (როგორცაა: მსგავსად, ნაცვლად, გარდა, მახლობლად და სხვ.) სახელის წინაც გვხვდება, მაგრამ, როგორც დ. კარიჭაშვილი შენიშნავდა, მათი ასე ხმარება ეუცხოვება ახალ ქართულს⁵.

ძველი ადგილი შეინარჩუნა თითქმის ყველა ერთმარცვლიანმა თანდებულმა: -გან, -ურთ, -მდის, -თვის, -ებრ, -დამ და სხვა.

შეიცვალა ურთიერთობა ბრუნვებისა თანდებულებთან. გამო თანდებული ძვ. ქართულში იხმარებოდა მოქმედებისა, ნათესაობისა და ვითარებით ბრუნვებთან, ამჟამად მხოლოდ ნათესაობითს მართავს. ანალოგიურია -კენ (კერძო) თანდებულის გამოყენება ბრუნვებთან. ზედა, თანა, წინაშე თუ ნათესაობისა და მიცემით ბრუნვას ითხოვდნენ, ახლა ზე, თან მხოლოდ მიცემითს დაერთვის, წინაშე კი – ნათესაობითს.

ისტორიულად ცვლილება მოუვიდა არა მარტო თანდებულს, არამედ სახელის ბრუნვითს ფორმასაც მასთან თანდებულის შერწყმის გამო. ასე, მაგ., შინა, ზედა თანდებულებს მოეკუცათ -ნა, -და ელემენტები და სახელმა დაკარგა მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს თანდებულთა თავკიდურ შ და ზ თანხმოვანთან მეზობლობის გამო. ბრუნვის ნიშანი შემორჩა მხოლოდ მესამე პირის ნაცვლასახელს (მასში), -ში თანდებული ზოგ კილოში იქცა ჩოდ.

თანა თანდებულსაც მოეკუცვა ბოლო ხმოვანი (-ა). მისი დართვისას ბოლოთანხმოვინან სახელეს ეკარგებათ მიცემითის ნიშანი -ს.

(კერძო→) კენ თანდებულმა ახალ ქართულში და დიალექტებში იცვალა სახე: კელ, კე, კა, კა მენ, ყმ

ასევე ნაირსახოვანია თვის თანდებული კილოებში: თვინ, თვი, თუნ, და მდე თანდებულიც: მდის, მდისი, მდისინ, მდი, მდინ, მდენ, მდენი.

ზოგი ფუნქცია დაკარგა გამო, გარეშე თანდებულს, გაუფართოვდა დანიშნულება ში, ზე, გან, თან, თვის თანდებულებს და თანდებულის ფუნქციით ხმარებულ ზმნისართებსაც.

შეიზღოდა ურთ თანდებულის ხმარების სფერო.

ხმარებიდან გამოვიდა თუნერ, წიად, წილ და მათი ფუნქცია იკისრეს სხვა თანდებულებმა. მოგვიანო ქართულში გამოვლინდა ვით, დამ თანდებულები, პირველი განმტკიცდა თანა-მედროვე სალიტერატურო ენაში, მეორე კი ხმარებიდან გავიდა.

³ არნ. წიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალოზი, გვ. 65-66.

⁴ ვ. თოფურია, ბრუნვების სისტემისათვის დაკურ ენაში: საქ. მუხუების მოამბე, Xb, გვ.

⁵ ქართული ენის გრამატიკა, ეტიმოლოგია, 1930, გვ. 126.



* * *

თანდებულაი ნაწილაკი, რომელიც სახელს მართავს გარკვეულ ბრუნვაში. ასევე უნდა გავხსენებთ თანდებულად მიღებულ ნაწილაკებს, რომლებიც თანდებულად იღობიან მათგან, ვინც მათგან დაიწყო წერა: „თანდებულები არიან ორგვარნი: წინამძღოლნი და მიმყოლნი. წინამძღოლებად იწოდებიან ისინი, რომელნიც სიტყვას თავში მოეხავებიან და გვიწვევენ მოქმედების მიმართულად, ანუ კიდევ სახის სისრულეს (აღ), გან(ა), ჩა, შე, აღმა, შემო, მიმო, გადა, უკვ და სხვ. მიმყოლნი თანდებულნი სიტყვას ბოლოში მოესმინა. ესენი არიან: ში, ზე(ღ), ურთ, ვით, გაყო, ებრ, თვის, დმი, მდე, კენ, ვე და სხვ.⁶

ასევე გაერთიანებული აქვს თანდებული და ზმნისწინი დ. ყიფიანს⁷. ზმნისწინი თანდებულად არის კვალიფიცირებული დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაში⁸. მ. ჯანაშვილის აზრით, ზმნისწინები სახელს თავში დასმულად თანდებულებია⁹. გ. ფირაღოვი ცოტა სხვანაირად ყოფს ზმნისწინებს და თანდებულებს: „თანდებულნი არიან განყოფილნი და განუყოფლნი“. მისთვის შინა, შორის, თუხ, მდე, ზედა... თანდებულები არიან განყოფილნი, განუყოფლნი კი: ქუმ, ვი, შე, გარდა, გან. მაგ., ქუმ-მდებარე, ვი-მსახურე, შე-ვიყვარე, გან-ვიხილდე.¹⁰ აქ ზმნისწინს რომ თავი დაეკარგებოთ, პირველი პირისა და ქვეყის მიზანი უი- თანდებულად არის გამოცხადებული. კლ. იოსელიანი მი, მო, შე, შა, ჩა და მსგავსო უწოდებს განმავითარებელ მარცვალს, „რომელნიცა მოეხავებიან სიტყვსა ნაწილთა“, და ყველა ამას თანდებულთან ერთად იხილავს.¹¹

ერთი შეხედვით კაცი იფიქრებდა, რომ ზმნისწინისა და თანდებულის ერთად მოქცევა უბრალო სახელწოდების საქმეაო. მაგრამ ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ავტორებს უნდა გაემიჯნათ ზმნისწინისა და თანდებულის მორფოლოგიური და სინტაქსური ფუნქცია, თუნდაც ისე, როგორც ეს ანტონის გრამატიკაშია. ანტონი ზმნისწინებსა და ნაწილაკებს ასეთ მავალითებში - ადვილებ, მივიღებ, მიმოვხრი, შთავად, დავმსჯელები, ვაიწყხდი, თანა-გქმობი, აუღვარებოცა, დაიწყებოცხე, ვალსადამე და სხვ. თანდებულებს არ უწოდებს. „ხოლო ესე ერთართარ არ შიხაძლო თანდებულად თქმა, თუცა არ იქუნესმცა სახელთა ზედა დართულ, ხოლო თანდებულნი საკუთრად ივინი არიან, რომელნიცა აღაშენებენ ბრუნუ ახა, ანუ ითხოვენ“¹² (დაყოფა ჩვენია. - ა. მ.). ანტონი სრულიად სამართლიანად ზმნისწინებსა და სხვა ნაწილაკებს არ თვლის თანდებულად, რამდენადაც მათთვის არაა დამახასიათებელი მართთა ბრუნვა¹³.

ზმნისწინებს თანდებულებს უწოდებს თ. ჟორდანიაც, მაგრამ მათ მაინც განასხვავებს ერთმანეთისაგან. „არიან თანდებულნი საზმნებონი, რომელნიც შეუერთდებიან ზმნათა და არა ითხოვენ ბრუნვათა, მაგ.: გა, წა, მე... და სხვ.“¹³

ზმნისწინი და თანდებული გამოიხსენიან და ცალკეა განხილული ზ. შანშოვაის, ა. ბაიბაძის, დ. კარიჭაშვილის, ხ. ხუნდაძის, ი. ნიკოლაიშვილის, არ. ქუთათელაძის გრამატიკებში.

რიგი ზმნისწინებისა და თანდებულების აღრევა უთუოდ იმიტომ ხდებოდა, რომ გარეგნულად მსგავსნი გუნერადაც ერთი და იგივე არიან. ზოგი მათგანი ზმნისწინის ზმნისწინის როლს ასრულებს, სახელთან კი - თანდებულისას და ორივე შემთხვევაში ძირითადი ფუნქცია თითქმის ერთი და იგივეა. ასეთია, მაგალითად, გან¹⁴ შე- ზმნისწინიც ისეთივე წარმოშობისა ჩანს, როგორც ში- თანდებული. ამაზე მოუთითებს მათი მსგავსება მნიშვნელობის მხრივაც.

⁶ ქართული სწორმეტყველება, პირველი წიგნი, გვ. 154.
⁷ ახალი ქართული გრამატიკა, გვ. 131.
⁸ ქართული ღრამატიკა, გვ. XXVIII.
⁹ ქართული გრამატიკა, გვ. 128.
¹¹ პირველ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამატიკისა, 1840, გვ. 79.
¹² ქართული ღრამატიკა, გვ. 99.
¹³ ქართული გრამატიკა, გვ. 154.
¹⁴ ვ. ბერიძე, საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 4, გვ. 382-383.



თანდებულები **მი, მო**, რომლებიც სახელის წინაც იხმარება და შემდეგაც (მაგ. **ქვემოთაშენი**, **მოქალაქე**, **მისდაძი**, **ჩემდაძი**), ზმნისწინადაც არის გამოყენებული (მი-ვიდა, **მისწინა**, **მისკენ**). ცალკურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მი და მო თანდებულთა გადატანა სახელის ბოლოს მარჯვენაგან ახალი ეტაპისა ქართ. სალიტ. ენის ისტორიაში“¹⁵.

ისტორიულად ზმნისწინისა და თანდებულის კავშირზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი ზმნისართ-თანდებულში ელემენტად შედის ზმნისწინი **მი, მო**, ად: მიმართ, გარშემო, გამო, წიად.

თუ მივიგონებთ, რომ მეტი წილი თანდებულებისა დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვიდან – ზმნისართებიდან მომდინარეობს და ზმნისწინებიც ამგვარივე წარმოშობისა არიან, მაშინ სრულიად ბუნებრივი აღმოჩნდება მათი გენეტური კავშირი. ეს კავშირი ამაჟამადაც ხელშესახება რუსულ ენაში. აქ რამდენიმე რთული შედგენილობის წინდებულები (мат, ради, кроме და სხვ.) არ გვევლინება ზმნისწინად, თორემ თითქმის ყველა მარტივი წინდებულში ამავე დროს ზმნისწინადაც იხმარება, ასეთებია, მაგ., в, за, из, на, на, на და სხვ.

მიუხედავად ამისა, არც რუსულში და, მით უმეტეს, არც ქართულში არ შეიძლება გავითვალთვალოთ ეს ორი გრამატიკული კატეგორია. ზმნისწინი ზმნასთან იხმარება და, მიმართულების აღნიშვნის გარდა, ასექტს აწარმოებს, დროს განასხვავებს და სხვ. თანდებულში კი სახელს გარკვეულ ბრუნვაში მართავს და სხვადასხვა ბრუნვასთან სხვადასხვა ფუნქციას აქვს. თანდებულში სახელის კატეგორიაში შედის, ზმნისწინი კი – ზმნის კატეგორიაში.

თანდებულთა შესახებ გრამატიკული ლიტერატურის მოკლე დახასიათების შემდეგ გადავალთ თვით თანდებულთა მიმოხილვაზე¹⁶. აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი თანამიმდევრობა დაეიკვათ: უწინარეს ყოვლისა წარმოვადგინოთ ამაჟამად მარტივი შედგენილობის, ერთმარცვლიანი თანდებულები, შემდეგ ორ- და მეტმარცვლიანი თანდებულები, რომლებიც ცალკე იწერებიან, და ბოლოს ზმნისართები, რომლებიც თანდებულის ფუნქციასაც ითავლებენ. ამოსავლად ახალი ქართულია აღებული. თანდებულები თავის მხრივ დაჯგუფებულია ბრუნვათა მიხედვით და, შეძლებისდაგვარად, გამოვლინებულია თითოეული მათგანის მნიშვნელობა. კლასიფიკაციისას ამოსავლად სემანტიკური პრინციპი ვერ გამოდგა, რამდენადაც თანდებულთა მეტ წილს მრავალი ფუნქცია აქვს.

I. მარტივი ერთმარცვლიანი თანდებულები

1. ზედა → ზე

ძველ ქართულში იხმარება ზედა. იგი ამ სახით ე. წ. საშუალ ქართულშიც გადმოვიდა და მე-19 საუკუნის მწერალთა ენაში (როგორიცაა ნ. ბარათაშვილის, ად. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის ენა) არაქმნებდა გვევლინება. საშ. ქართულშივე მის კვეცვება და ელემენტი და -ზე უერთდება სახელს. ზს გავლენით სახელი პკარგავს მიცემით ბრუნვის ნიშანს -სს და შთაბეჭდილებაა, თითქოს უშუალოდ უკავშირდებოდეს იგი სახელის ფუძეს: სახელსა ზედა → სახელსა ზედ → სახელსზე → სახელზე. არა ჩანს, რომ პროცესი ამგვარი ცვლილებისა ერთდროულად ან გარკვეული თანამიმდევრობით მომხდარიყო. მაგ., „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სამივე სახე: **ზედა, ზედ, ზე**. 1707 წლის დოკუმენტში მოიპოვება რამდენიმე ფორმა, სადაც ზედა შერწყმულია სახელთან და ბრუნვის ნიშანი – სც შემონახულია: მაშულსზედა (დოკუმენტები, 182)... მაგრამ ამაზე ადრინდელ ძეგლებში დასტურდება ფორმები, რომელთაც ბრუნვის ნიშანი დაკარგული აქვთ და თანდებულში შეკვეცილი სახითაც დაერთვის (**ზედ, ზე**). ეს თანდებული სრული ფორმის დაცულია ხალხურ ლექსებში, მაგ.: კურდღელმა თქვა: ხირგვში ვზივარ, ვერვინ მოვა ჩემსზედაო, გავიხედე სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო...

¹⁵ ა. შანიძე, მეფე თანდებულის გენეზისათვის: საქ. სსრ მეფ. აკად. მოამბე, III, № 4, გვ. 370.

¹⁶ შეგნებულად გვერდს უხუჯვით იმ შეცდომათა აღნუსხვის, რომელთაც უშუალოდ გრამატიკოსები თანდებულთა კვალიფიკაციისას; მაგ., თანდებულად მიანითა -დში -დამი (უაიო ზს, ჩუბინაშვილსა და სხვ.) მაშინ, როცა იგი ვითარ. ბრუნვის -დში-და სუფიქსისა და -ში თანდებულსთან შედგება (ვ. თ. ფურია: ენობის მოამბე, I, გვ. 119); გაუგებარია როცა -მეთქი, -ოქი ნაწილაკები თანდებულში აქვს მოქცეული დ. ყიფიანს.



საშუალო ქართულის ზოგიერთ ძეგლში არის შემთხვევა, როცა სახელს ბრუნეჲქ (ბრუნეჲქ) მიკვეცილი არა აქვს **ზე** თანდებულთანაც: დაზარესზე (თეიმურაზ II, 32)...

თანამედროვე ქართულში მიკვეცილი ბრუნეის ნიშანი **ზე** თანდებულის დართვისას მხოლოდ მესამე პირის ნაცვალსახელშია შენარჩუნებული (მასზე, შდრ. ძმაზე...), ყველა სხვა სახელთან კი ბრუნეის ნიშანი იკარგება.

საშუალო ქართულში თუ, ერთი მხრით, **ზედა** თანდებული გამარტივდა და **ზე**მდის დავიდა, მეორე მხრით, მას ბოლოში დართო **ნ** ელემენტი (←ნა) და მივიღეთ ზედან.¹⁷ ამ სახით იგი მი-19 საუკუნეშიდის მიდის, თუმცა სპორადულად ზოგიერთ კილოში დღესაც იხმარება.

ტაროელ შავსა ზედან ზის (ვ. გ. 1409); კადან ზედან დამალულ იყენეს (ვისრ. 22); მოხუდით კარსა ზედან (საქ. სიძე. III, 186); დილაზედან (თეიმურაზ II, 78), ცეცხლზედან (გრ. ორბელიანი, 41), ბიჭებზედან, შინდებზედან (მესხური)¹⁸.

ზე || **ზედ** თანდებული დიალექტებში ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის. მაგ.: ხვესურეთში **ზ** თანხმოვანი რს შემდეგ ძვ არის ქცეული: კადან ზედან დამალულ იყენეს (ხვეს. პოეზ. 13)... შემოატარულში ხმოვანყოფიან სახელებთან **ზე** თანდებული მარტივდება – იკარგება ზ: კალოე (←კალოზე), ტბაე (←ტბაზე), მთაე (←მთაზე) და მისთ¹⁹.

ზედას პარადელურად უნდა გვეკონდეს **ზენა**, რაც შემონახულია იმერულში **ზენ** სახით: ფხარზენ, დილაზენ, სტოლზენ²⁰.

ხვესურულსა, ფშაურსა და მთარაჭულში დაწეებით ბრუნეის -ით სუფიქსი ხშირად ერთვის **ზე**, ში თანდებულთან ფორმას. „ამ შემთხვევაში ადგილი, საიდანაც რაიმე გამოდის, მეტი სისწორითაა აღნიშნული“²¹ მაგ.:

ცხენზეით ჩამადიოდა = ცხენზე იჯდა და იქიდან ჩამოდიოდა; ერკელე ბატონიშვილი ტახტზეით გარამკვდარიო (ხვეს. პოეზ. 19); ვმადსა ნუ შამხსნით წელზეით ჳვესურთად კაის მქნელია (გაბურ. 161)...

ასეთი ფორმები არ არის დამახასიათებელი ხალიტურატურო ქართულისათვის. ამ მხრივ მთის ზოგიერთი კილო განცალკევებით დგას ქართულისაგან. ასევე „ეფფხისტყაოსანში“ ბრუნეაში ხმარებული თანდებულანო ფორმა „მან სხვა უხმოს მკურნალი და შაჯაშისა შემტყვევბარი“ (უნიფ. გამოცე. 662) სრულიად უჩვეულია ქართულისათვის. სხვა გამოცემაში ამ ფორმის მაგიერ არის: „... და მაჯისა შემტყობარი“.

ადგილის მიხედვით ძვ. ქართულში ზედა ჩვეულებრივ სახელს მოსდევს, მაგრამ არაიშვიათად სახელის წინაც იხმარება. ე. წ. საშ. ქართულში სახელის წინ სპორადულად გვხვდება ახალ ხალიტურატურო ქართულში კი წინ სრულებით არა ჩანს: საბოლოოდ განმტკიცდა ბოლოში.

ზედა თანდებული ერთვის არსებითს, ზედსართავსა და რიცხვით სახელებს, ნაცვალსახელებსა და სახელზმნას. ამას გარდა, ძვ. ქართულში იგი **ეკრძო** ზმნისართის წინაც იხმარება:

შოაქციე ზედაკერძო მისსა ბუნებაჲ წყალთაჲ (ანტიოქ. 129 27-გ); და ვიხილმ ლანკანასა ზა... კრავი ერთი... და ზა ეკრძო მისა ტრედი ერთი ფვ ბრწყინვალმ (Опис. 112) (შდრ. შინაკერძო).

ძველ ქართულშივე **ზედა** ერთვის ნათესაობით ბრუნეაში დასმულს ზედან'ს და ვიღვბთ ზმნისართს **ზედას-ზედა**: ზედაას-ზედა მიუწერდა ებისტოლეთა ერსა მას (კომ. 131); მოვალნ მისა ზედაას ზა და ეტყვნ მას (ბოლნ. 501). საშ. ქართულში კი **ზედას-ზედა** ზმნისართი იღვბს **ზედა-ზედ** ან **ზედი-ზედ** სახეს.

ძვ. ქართულში **ზედა** და ახალში **ზედ** იხმარება ზმნისართის ფუნქციით. იგი წვევრია კომპოზიტისაც; ზედამიწვევით (ახ. ქართ. ზედმიწვევით), ზედაპირი და სხვ.

17 -ნს დართვაზე მიუთითებს სენარეი ეი || ჳნ „ზე“ და -ნით გართულებული წინაშენ. მაგ.: დ`თის წინაშენ მე დავით... ამის მოწამე ვარ (საქ.სიძე. I, 153₂).

18 შ. ძიძიგური, მესხური დიალექტის აღწერით ანალოზი: ენიშქის მოამბე, X, გვ. 244.

19 შ. ძიძიგური, შემოატარული დიალექტის თავისებურებანი (წაკითხულია მოხსენებად ქართვ. ენათა განვ. ხელომზე 1944 წლ. ნოემბერში).

20 Ш. Дзидзигури, К характеристике нижнеимерского говора: Пам яти акад. Н. Я. Марра, გვ. 127.

21 ა. შანიძე, ქართული კილოები შიშაში, გვ. 195.



ზევით და ქვევით ან ზემოთ და ქვემოთ ზმნისართები ახალი წარმოებისაა, შემოქმედებულია ამთ მოვადეობას მხოლოდ ზე და ქვე ასრულებდა:

ზე აღამაღლა ბუნებად აღამანთა (სახულ. რბ 38); აღტყორცა ზე აერთა (ხან-მეტი, 391)²² (შდრ. ქუე: რ ი ქუე იდვა აღადგინა და რ ი ზე იყო არა უტკეებს (ბოლნ. 42 1-2).

ზე შემორჩენილია ზეცა სახელში, რომლის საპირისპიროა ქუეყანა: გამომწნდი ყოველთა დაბადებულთა ზეცისა და ქუეყანისათა (სახულ. ოდ¹⁵³).

ძვ. ქართულში ზედა თანდებული სახელს მართავედა მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვაში. მაგ.:

მიც. ბრ.: დაერდომიდ იდვა ქუეყანასა ზედა (კიმ. 14913)
არა დაშეთს ქეა ქეასა ზედა (ქრესტ. 912)
დავარდეს პირსა ზა მათსა (პაემეტი, 614)

ნათ. ბრ.: მოიწია... სამეზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყელულებაცა (შუშ. 39)
განრისხნა ო ი სოლომონის ზა (III მეფ. 11,9)
კელი ოლისა იყო მსაჯულისა მის ზა (კიმ. 19256)...

საშ. ქართულში ამ თანდებულების ნათესაობით ბრუნვასთან ხმარების თითო-ორიღა შემთხვევად გვაქვს. მაგ.: ასრე და ამა პირისა ზედა (დოკუმენტები, 608); წამხვე მოვიდა მის ზედა სული ღვთის მოვლინებისა (თეიმურაზ II, 1) და აზღენად არქაიზმად შეიძლება ჩაითვალოს. „გუგუხისტყავისანში“ არც ერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ ზედა ნათესაობით ბრუნვას ერთოდეს.

თანამედროვე ქართულში ზე თანდებული სახელს მხოლოდ მიცემით ბრუნვაში მართავს. ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია: კედელ ზე, მაგიდა ზე, ხე ზე და სხვ.

მიცემით და ნათესაობით ბრუნვასთან ზედა თანდებულის განსხვავებული ხმარება ძვ. ქართულში პირველად აღნიშნა კ. კეკელიძემ და ასე ჩამოაყალიბა: „უსული საგანთა აღმნიშვნელი სახელები, აგრეთვე მათი შემცველი ნაცვალსახელები (მას, რომელსა) ყოველთვის მიცემითს ბრუნვაშია“; მიცემით ბრუნვაშია აგრეთვე სულიერი საგნები რა ჯგუფისა და არსებით სახელად ვაგებულა ზედსართავი; ასევე „თუ მხედველობაში მიღებულია არა კონკრეტული რომელიმე პიროვნება, არამედ ზოგადად, განკერებულად, ეს უკანასკნელიც მიცემითს ბრუნვაშია“. მაგრამ „აღამიანის საკუთარი სახელები და მათი შემცველი ნაცვალსახელები (მის, რომლისა) ყოველთვის ნათესაობითშია. ნათესაობით ბრუნვაშია აგრეთვე „სულიერი“ საგნები ვინ ჯგუფისა (მამისა, მეფისა, დისა, მონისა, მთავარეპისკოპოსის“²³. თუ სადმე ეს წესი დარღვეულია, ამის ახსნაც მოცემული აქვს ავტორს²⁴.

ძველი ქართულის ანალოგიური მდგომარეობა სვანურში, სადაც თანდებულები ხაერთოდ დაერთვის მიცემით ბრუნვას, მაგრამ აღამიანის საკუთარი და ზოგიერთი ზოგადი სახელი ნათესაობითშია მათ მიერ მართული²⁵. მაგ.:

ღშხ. მი ხვარდ ივანეშმეჲ (ნათ.) = მე ვიყავი ივანესას, მაგრამ: მი ხვარდ მეზვებელმეჲ (მიც.) = მე ვიყავი მეზობლისას...

ბზ. მი ესღერი ივანეცახან (ნათ.) = მე მივიღიარ ივანესთან (ერთად), მაგრამ: მი ესღერი მარაცახან (მიც.) = მე მივიღიარ კაცთან (ერთად)...

ღშხ. ლარ ეშვად ივანეშხენ (ნათ.) = წერილი მომივიდა ივანესგან; ლარ ეშვად მეზვებელხენ (მიც.) = წერილი მომივიდა მეზობლისგან და სხვ.

ძველი ქართულის ეს თავიებურება ახსნილი აქვს კ. კეკელიძეს, როგორც გადმონაშ-

²² დროის გამომხატველი ზეც ვაჟე ზე ჩანს.
²³ „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში, II: ხაქსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 3, გვ. 284.
²⁴ იქვე, გვ. 285.
²⁵ ამაზე მიმითითა და სათანადო მახლაც შეარჩია ვ. თოფურიაძე.



თი ქართულში ოდესღაც გარჩეული გრამატიკული კლას-კატეგორიისა. ახსნა მისხვედები, ნახს
 რამდენადაც ეს უძველესი მოვლენა სხვა შემთხვევებშიც დადასტურებულია (იხ. ზედაპირზე
 ხიშვილი, არნ. ნიქობაძეა, კ. დონდუა)²⁶ და სწორი ჩანს დებულება(ც, რომ სხვა
 მარტივად კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური სისტემის მოშლა სხვადასხვა ქართუ-
 ლურ ენებში ერთდროულად არ უნდა მომხდარიყო: ყველაზე ადრე ეს ქართულსა და ზანურს
 (ჭანურ-მეგრულს) უნდა დასტკობოდა, უფრო გვიან – ხანურს²⁷.

მნიშვნელობის მხრივ ზედა → ზე თანდებული

ა) გამოხატავს საგნის ადგილმყოფობას ზედაპირზე. მაგ.: დაეცა მკერდსა
 ზედა ნეტარისასა (კომ. 164ჯ); შენ გზასა ზედა მახე დაუგე (ვისრ. 4916-17); მხარ ზედ
 ხელი დაკრა (ილია, III, 17)...

ძველსა და ზოგჯერ საშუალო ქართულში ამ ფუნქციის გამოსახატად უთანდებულო მიცე-
 მითიც იხმარება. მაგ., დაიდვა საფლავსა, ვითარცა მკუდარი (სახელ. იმ XX); მუორესა
 კუბოსა მწვანესა დაჯდა დედოფალი (ამირანდარეჯ. 85)... (შდრ. შინა თანდებული, გვ. 219).

ბ) გადმოსცემს დროს: სმასა ზედა უმიზნოდ გავეხ რამე უგემურად (ვტ. 1127); ამ
 სიტყვასა ზედა მას კაცსა გაეცინა (სიბრძნე სიცრ. 13); მამლის ყივიღ ზე წამოდგებო-
 და (აკაკი, 358)... საღამოზე, გაზაფხულზე, მაგრამ: ზამთარში.

ძე. ქართულში ამ ფუნქციას ასრულებს ზე, რომელიც ნათესაობით ბრუნვას დაერთვის:
 კონსტანტინე დიდისა მეფისა ზე (კომ. 4ჯ) რნი იწამნეს ანტიოქის ქლქსა ანტიოხოს მე-
 ფისა ზემ (ილია, 128).

გ) იხმარება ხარისხობან, ოდონდ ეს ახალი ფუნქცია გამოვლინდა გ. წ. საშუალო ქარ-
 თულში და ამჟამად განმტკიცებულია: შენ უკელუცე ხარ ყოველთა კეკლუცსა ზედაო
 (ვისრ. 54); თქვენზე უფროსი ვარ (თეიმ. II, 146); ქვიშაზედ უმრავლესი ჯარი ახვევია
 თურმე (ილია, 401). ძველი ქართული ამ შემთხვევაში ნათესაობითი ბრუნვის ფორმას იყენებ-
 და უთანდებულოდ.

დ) ზედა's შენეცვლა თანამედროვე ქართულში მიმათ ან წინააღმდეგე: ვით მოიხ-
 მაროს მონამან პატრონსა ზედა ხმალია (ვ. ტ. 1485); წამომართა ქართველთა მეფესა
 ზედა (ქართ. ცხ. 38)...

ე) საშუალოსა და ახალ ქართულში ზე თანდებული მოხმარებულია მნიშვნელობის გასაძ-
 ლიერებლად: განმეორებული ობიექტიდან მეორე სახელი ზე თანდებულანია: ნუ მოიბატებ
 ჭირსა ჭირზედა (ვისრ. 252); დანემებით სცლიდა ყანწს ყანწზე (დ. კლდ. 150)... ზოგჯერ
 სახელის განმეორებას ენაცვლება ზმნისართი ზედაზედ ან ზედიზედ: ამბავს ზედი-
 ზედ გაცნობებ საქმესა პატრონისასა (შან. II, 3068); პაპიროსს ზედიზედ ეწყოდა (ქიან-
 ლი).

მნიშვნელობისავე გასაძლიერებლად ზე დართულ სახელს კვლავ ზედ ზმნისართი ვებატე-
 ბა ხოლმე: საღდათებმა ზედ გვერდ ზედ ჩამოუარეს (ილია, III, 11)...

ზე თანდებულის ფუნქციები ამით არ ამოწურება. ზოგჯერ ჭირს მისი კონკრეტული და-
 ნიშნულების მოქმენა. მაგრამ აქედანაც კარგად ჩანს, რომ ძველი ქართულიდან მოყოლებული
 დღემდე ამ თანდებულმა საკმაოდ შეიცვალა ლექსიკური მნიშვნელობა. ამის შედეგია, აღ-
 ბათ, რომ ზე ზოგჯერ სხვა თანდებულის ადგილას იხმარება. მაგ.:

ის გაუყვანია დაფაზე (აკაკი, 396), შდრ. დაფასთან გაუყვანია; დიდი ნამსახური და
 გარჯილი ხარ ჩვენზედ (საქ. სიძე. I, 14) = ჩვეთის; შენ რასცა ჩემთვის იქმ, მას
 ღმერთსა ზედა (= დღვისათვის) იქმ (ვისრ. 166)... არაიშვითათად ერთმანეთს ენაცვლები-
 ან ზე და ში თანდებულები: მეც უნდა წვევიდე საყდარზე (ნინ. I, 7) = საყდარში; შენს
 მოლოდინზე (= მოლოდინში) დავმალე არაყიანი მინათ (ხეგს. პოეზ. 144)...

ამგვარად, ძველ ქართულში ხმარებული ზედა აღწევს მე-19 საუკუნემდე და რომანტი-
 კოს მწერალთა ენაში არქაიზმად გვევლინება. იგი საშუალო ქართულშივე ზემდის დადის და
 ამ სახით საბოლოოდ ბატონდება ახალ სალიტერატურო ენაში. საშ. ქართულში ელინდება

²⁶ იხ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 185-234; К. Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском: Язык и мышление, I, 43-66; არნ. ნიქობაძეა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 135-262.

²⁷ არნ. ნიქობაძეა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 261.



ზედან (← *ზედანა), რომელიც ზოგიერთ კილოში დღესაც იხმარება. იმერულში იგი ტურდება ზედა'ს პარალელურად მოსალოდნელი ზენა'ს შეკვეცილი სახე ზენ. ყველა ესენი იშლება: ზედა, ზენა, *ზედა-ნა.

2. შინა → ში

ამ თანდებულებმაც არსებითად იგივე გზა გაიარა, რაც ზედა'მ. ძველ ქართულში გაბატონებულია შინა, ზოგიერთ ძველში გვხვდება აგრეთვე შიდა და შიგან. მაგ. ნუ შთაპვარდები წყალსა მაგას შიდა (თქ. 116); შუშანიკ თრევით მოითრია თიკათა შიგან (შუშ. 27).

გ. წ. საშუაოდ ქართულში მრავლდება შინა თანდებულის სახეცვლილი ფორმები, სახედლობრ: შინ, შიგან, შიგა, შიგ, შიდან, შიდა, შიდ, ში, ჩიგა, ჩი. აი თითო-ორიოლა მაგალითი:

და იყო სვიმონ მეფე ციხესა შინ ტვილისისა (ახ. ქართ. ცხ. 163); კოკასა შიგან რაცდგას, იგივე წარმოსდინდების (გ. ტ. 1094); სიცოცხლისა შიგა ვერ აკვძვებით ღმრთისა განგებასა (ვისრ. 66); ვიბედნიეროს... ჩვენსა ერთგულად სამსახურშიდან (დოკუმენტ. 676); სანთელ შიდ (საქ. სიძე. I, 53); ფარვანანიკ ეწვროს (საქ. სიძე. III, 142, 1626 წ.)...

შიგან, შიდა. შიდ ჩვეულებრივ დოკუმენტებში გვხვდება და ისიც ხშირად იმერეთიდან გამოსულში. რაც შეეხება შიგან, შიგა, შიგ ფორმებს, ესენი მოელს საშ. ქართულს ახასიათებენ და სახელთან შეუხორცვლადაც წარმოვიდგებინა და შესორცვლადაც პირველ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი სახელს შუნარუნებული აქვს:

შინდორსა შიგან (ამირანდარეჯ. 44); ერთგულობასა შიგან (საქ. სიძე. II, 21)... მეორე შემთხვევაში კი დაკარგულია: გველი ჭანგშიგან ვკირა (თეიმ. II, 206); დღე შიგა (ამირანდარეჯ. 61); დღეშიგ (საქ. სიძე. II, 61)...

შიდ და ში ზოგჯერ შეერთებულია სახელთან, მაგრამ მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს ჯერ კიდევ არ არის დაკარგული: ვაცემასშიდ (საქ. სიძე. I, 47); მთის კაცსში (დოკუმენტ. 583)...

ახალ სალიტერატურო ქართულში შემორჩენილია მხოლოდ ში, კილოებში კი დაცულია: შიგა, შიგ, შიდ, შით, ჩი. ამათგან შიგა, შიგ ხევესურულში გვხვდება. მაგ. კვლი გურა საველოშიგა (ხევს. პოეზ. 15); ლეკთშიგ კვესურთ ჯარია (იქვე, 102)... შიდ და შით კი დასავლურ კილოებში იხმარება. რაც შეეხება ჩი'ს, იგი ახასიათებს როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ დიალექტებს; მაგ. უბეჩი, ჭალანი, ქალაქი (ხევს.), საათჩი (ქვემოიმერ.), სახჩი (ზემოაჭარული), ხანგარჩი, ბოლოჩი (ფერეიდ), ასევე: გურულსა, მთიულურსა და ინგილოურში.

-ზე თანდებულისა მხაგახდ მთის კილოებში -ში თანდებულის ბრუნვას ერთვის დაწყებითი ბრუნვის -ით დაბოლოება:

თოლ ჩამოღის ცა შიგითა (ხევს. პოეზ. 285); მთაშიგით ამბავ მაიდა (იქვე, 65); ქისტებშიგით ორი ქალი გამაერჩია (ვახუშტი. 172).

მისი ადგილის შესახებ იგივე თქმის, რაც ზედა'ზე იყო აღნიშნული: იგი სახელის წინაც იხმარებოდა და შემდეგაც, ამაჟამად მხოლოდ მოსდევს. სახელისა და სახელზმნის გარდა ძველ ქართულში იგი ერთოდა უფორმო სიტყვებსაც: მუნ, აქა, მაგ:

ქნა მუნ შინა სასწაული მრავალნი (კიმ. 19320); ილოცე მუნ შინა ფარულად (ბოლნ. 182); პონ აქა შინა მრავალი სარგებელი (Onic. 170).

შინა იხმარება ნათესაობით ბრუნვაში გაქვევებულ ნასახელარ ზმნისართთან მყის. მაგ. მყისვე შინა თქუა კაცმან მან (კიმ. 19413); დადგა მყისა შინა ფერკთა თ'სთა ზ'ა (საბა თარგმ., 18). ამ ძეგლის გამოცემული ხ. ჯანაშია შენიშნავს, რომ მიცემითის მაგიერ შინა ახარებული ნათესაობით ბრუნვასთან არის შეთანხმებული²⁸.

ზოგჯერ შინა თანდებულის დართვისას მყის ზმნისართ მიცემით ბრუნვაში მოქცევა: მოსცა მათ მყისსა შინა (კიმ. 1117). ასევე შინა ერთვის კერძო'ს: შინაკერძოთა მათ ადგილთა შევიდეს (ანტიოქ. 1154).

²⁸ არილი, გვ. 23.

შინა შედის შინაგან ზმნისართში: შინაგან მოცალე არს მუცელე 15515; ერთითა ხოლო შინაგან სიცმელთა დგა (იქვე, 200გა).

შინა წარმოდგენილია შაშინ ზმნისართში (← შას შინა), რომლის ამგვარ წარმოშობას კითხვის ქვეშ აყენებს ნ. შარი და უფრო შესაძლებლად მიიჩნევს გამოყოფს ძირი შაშ, ნათესაობითის -ინ (შაშინ) და მიცემითის -ა ფორმანტი (შაშა)²⁹.

ძველ ქართულში შინა **ზმნისართცაა**; მაგ: ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი მისი (შუშ. 21); ხოლო იგი შინა არა დახუდა (ხანძთ. 013). ამავე მნიშვნელობით შინა - შინ ახალ ქართულში: შინ მივდივარ...

შინა → ში თანდებული სახელს მართავს მიცემით ბრუნვაში, ოღონდ ახალ ქართულში, გარდა შესაშე პირის ნაცვალსახელისა, ბრუნვის -ს ნიშანი ყოველთვის იკარგება.

მნიშვნელობის მხრივ შინა → ში თანდებული

ა) გამოხატავს შიგ მყოფობას:

[შრომე]ლთა ამის ეკლესიასა შინა შეხეწიე (ქრესტ. 1გ); ჯდა იგი სახლსა შინა მისსა (მაქმერტ, 15V13-14); წყერ-ულეაშში ჭადარა გამორევი (ილია, 476). ასეთივე გაგება აქვს ამ შემთხვევაშიც: ამა საწუთროსა შიგან... ვერას გაიხარებ (ვისრ. 28); კონსტანტინე წარვიდა თათრებ შიგან (ახ. ქართ. ცხ. 36) ჭლექში იხივარება (ინნ. 1, 49).

ბ) გადმოსცემს დროს:

შაშინ იმარხვიდნ მას დღესა შინა (მაქმერტ, 20V9-10); ვიპარხე შაბათსა შინა ორ დღს (ბოლნ. 53გ); ჩემს პატარა ბიჭობაში ბევრი კარგი ნახულა (ილია, 388)...

გ) საშუალოსა და ახალ ქართულშიც ზოგჯერ ში ენაცვლება შორის თანდებულს: აქამდის მუღამ ომი იყო ჩვენში და განჯელებში (საქ. ხიდვ. III, 223); აღარა დარჩომილა რა ჩემსა და შენში სალაპარაკო (დოკუმენტ. 225)...

დ) ში იხმარება ერთნაირ საგანთა შორის ერთ-ერთის ამორჩევისას:

ყვაიელებში შენ ხარ ღარიბი, ფრინველებში შე ვარ, შგონია (თეიმ. I, 11); რად გამოერჩიე ტოლ ქალებში (არდაზ. 14).

მნიშვნელობის გასაძლიერებლად ში თანდებულიან სახელს წინ შიგ ემატება: შიგ შუა წყაღში ცხენიდამ გადმოხეხტი (ილია, 382); შიგ მარცხენა ძუძუში დაშაჩა დავეცი (იქვე. 380).

როგორც ჩამოთვლილ მნიშვნელობათგან ჩანს, ძველსა და საშუალ ქართულშიც შინა თანდებულს რაც შემთხვევაში სხვა არავითარი ფუნქცია არა ჰქონდა, თუ არა ის, რომ უფრო მეტად დაეზუსტებინა შინაარსი, რომელიც მიცემით ბრუნვას თვითონვე მოეპოვებოდა. ლექსიკური მნიშვნელობა შინა თანდებულისა ძე. ქართულში შეზღუდული იყო, ჩვეულებრივ გამოხატავდა დროსა და ადგილს და ამიტომ ამ ფუნქციის გადმოცემა მიცემით ბრუნვას უთანდებულოთაც შეეძლო. მთელი ქართულის მანძილზე თანდებულიანი მიცემითის ფუნქციას, არაიშვიათად, ვითარებითი ბრუნვაც ასრულებდა; მაგ: ავახაი შევიდა სამოთხედ (ბოლნ. 227); მარტო შევიდოდა ტაძრად (Опис. 6) რაც მიუთითებს ამ ორი ბრუნვის ზოგ მსგავს ფუნქციაზე.

ანგვარად, რომ შევაჯამოთ ნათქვამი შინა ში თანდებულის შესახებ, ასეთი სურათი გადაგვეწვდება: ძველ ქართულში გვეხვება შინა, შიდა, შინაგან; საშუალ ქართულში ამით პარალელურად გამოყენებულია შინ, შიგა, შიგ, შიდან, შიდ, ში, ჩიგა, ჩი. ახალ სალიტერატურო ქართულს მხოლოდ ში შერჩა, კილოებში კი დაცულია: შიგა, შიგ, შიდ, შით, ჩი.

ნათელია ამ ფორმათა შედგენილობაც: ში-ნა, ში-და, ში-გა, ში-დან ← *ში-და-ნა, ში-გან ← *ში-გან-ა (შდრ. ზუ-ნა, ზუ-და).

3. თანა → თან

ძე. ქართულის თანა გადმოვიდა საშ. ქართულშიც. ახალ ქართულში თანა შემონახულია ც და ვე ნაწილაკის დართვისას.

საშ. ქართულში მთავრდება პროცესი ამ თანდებულის სახელთან შერწყმისა: ხმოვანფუძია-

²⁹ Грамматика древнелит. Груз. Языка, გვ. 116.



ნი სახელეები ინარჩუნებენ მიცემითი ბრუნვის ნიშანს, თანხმობანფუძიანები კი კარგად მოქმედებენ. საშ. ქართულის ძეგლებში დასტურდება გარდაიქმნილი ფორმებიც, როდესაც დროის ხშირნიან სახელს თანდებულის წინ ბრუნვის ნიშანი შემონახული აქვს: მოაბადსთანა (ვისრ. 50), არაბსთანა (ამირანდარეჯ. 50)... საინტერესოა, რომ მსგავსი მაგალითები დღესაც მრავლად დაიძებნება ხეყსურულსა და იმერულში. აქ ჩვეულებრივია: უფროსებთანა (ხეყს. პოეზ. 167), ქალსთან (იქვე, 148), დღეებსთანაო (იქვე, 109), დებსთან, ქმრებსთან, მამებსთან (იმერულში).³⁰

არის პირიქითი მოვლენაც: ს-ს მეხოზლად თან თანდებულის თ იკარგება ხოლმე იმერულსა, გურულსა და აჭარულში: ხელმწიფეყსან, მასან...

ძე. ქართულში თანა და ახალში თან ასრულებს ზმნისართის ფუნქციასაც. იგი ზმნას ჩვეულებრივ წინ უსწრებს და იშვიათად მოსდევს კიდევ: ანგლოზნი თანა დგეს... (სასულდ. 80) 194-195); თანა ჰყვანდა კაცი ნათესავი მისი (კიმ. 252); თან მოიტანა და სხ. წარკვდა ზმნას თან მნიშვნელობას უცვლის: გვერდი აუქცია; მაგალითად: ... და ვითარცა შეუძლებელსა თანა წარეკვდეთ (ანტიოქ. 7136-37)...

განსაკუთრებით ძე. ქართულში თანა ხშირად ერთვის სახელს ახალი ცნების გამოსახატვად: თანაარსი, თანამყოფი, თანაშემოქმედი, თანაშემწე, თანასწორი, თანამდები, თანამორწმუნოება, თანამოდას, თანაგანმგებელი, თანამზრახვილი...

ხედა თანდებულის მსგავსად, თანა ძე. ქართულში სახელს მართავდა მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვაში. მაგალითად, მიცე: შევიყვანო ერთსა სენაკსა რდ არს კარსა თანა (კიმ. 2057-8); ... და ესე მიიღის ერთგზის კრიაკესა შინა კაპარსა თანა დამწინდსა მარდიითა (საბა ას. 5 14-15) და სხე. ნათ: ღირს ყოს მამისა თანა (სასულდ. ნბ 15); წმიდისა მის ცაცისა თანა ვიყვენით (ანტიოქ. 926)... გამოპრეყულია, რომ თანა თანდებულთან „თუ სახელი ცოცხალი „სულიერი“ საგნის აღმნიშვნელია, ის ნათესაობით ბრუნვაშია, ხოლო თუ „სულიერი“ – მიცემითში“³².

საშ. ქართულში თანა-სთან ნათესაობითი ბრუნვის ხმარების თითო-ოროდა შემთხვევად გვხვდება, ახ. ქართულში კი თან მხოლოდ მიცემით ბრუნვას მოითხოვს (ხესთან, სახლთან).

თანა → თან თანდებულის ფუნქცია აღნიშნოს:

ა) ადგილი, რომელიმე საგანთან სიახლოვე, ახლოს, პირას, გვერდით ყოფნა:

თავი დგა კიდესა თანა ტბისა მის ვენესარეთისასა (პაქმეტი, 193-4); შთავიდეთ ვენაჰად, რომელ არს გზასა თანა რაზისასა (ხანძთ. 0212); დააგლო იგი სუეტსა თან მის წლისისა (კიმ. 2385-6)...

ბ) თანაობა, ერთობა, ერთად ყოფნა, ერთად მოქმედება:

გამოვიდა იგი ნერსსს თანა (პაბო, 679); სლნი კორცითა თანა განბანან (კიმ. 1029); წარტყუნსა ზაქარია... და მის თან სიმრულე ვრისა (ბოდნ. 44-5); ... შენთან სიცოცხლელე შენთან სიყვდილი, შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა (ილია, 149)... ამავე მნიშვნელობით შეიძლება შეგვეხვეს თანავე: მისთანავე იყო არსენი (ხანძთ. მბ 169); მუცა პტიროდე მისთანავე (შუმ. 810-11)... ახ. ქართულში თანაობა ზოგჯერ გაბლიერებულია ერთად ზმნისართის დართით: ბათაყვამ ზალიკასთან ერთად მთას შეაფარა თავი (ლიტ. საქ. 26 სექტ. 1941 წ.)...

ძე. ქართულში ამავე მნიშვნელობისა თანა მიმართვის ასეთ კონტექსტში: მშუდობა თან თანა (ქრისტ. თეო 20, 26); მშუდობა გაქუნდეს ჩემთანა (ბოდნ. 262)...

გ) დრო:

დასასრულსა თანა გადობისასა სულიცა მის ...კორცთაგან განვიდა (ანტიოქ. 9626); კმასა მას თანა საყვრისასა... წარმოუდგე მეუფესა (ზარზმ. 15226-28)...

თანამედროვე ქართულში დროს გადმოსცემს, თუ თან თანდებულთან საწყისს (იშვიათად

³⁰ ა. შანიძე, ქართ. გრამატ. საფუძვლები, I, გვ. 68.

³¹ შ. დვინჯიური, К характеристике нижнесимерского говора... გვ. 126.

³² კ. კეკელიძე, „წინაშე“, „თანა“ და „ხელა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის... საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 3, გვ. 283.



სახელსაც ერთად ზმნისართი მოსდევს: მისხლმეებასთან ერთად ქალი გუგუნი (ქა. 103); ამ სიტყვებთან ერთად უცნობი კაცი მივიდა ქუასთან (იქვე, 68).

დროს გადმოსცემს აგრეთვე უფილაიკიანი თანა, დართული ნათესაობით ბრუნვის საწყისს: წასვლისთანავე, აშენებისთანავე და სხვ.³³

დ) მიმართულება, ვინმესთან ან რამესთან მისვლა, გაგზავნა...

ხეულე განსლვაჲ არს ჩემი ჳორცთაგან და მისვლაჲ... იესუ ქრისტეს თანა (მაბო, 70³⁸⁻³⁹); მაშინვე ვიროსთანა კაცი გაგზავნა (ვისრ. 88); მივედით იამანსა ჳაბუქსა თანა³⁴ (ამირანდარეჯ. 25) და სხვ. ძველ ქართულში ჩვეულებრივ ამას უდრის ნაგენტივარი მიმართულებით: მაშინ მოვიდა ი³⁵ იოვანისა (კიმ. 12); წარვიდე მაშისა ჩემისა და ვრჳა (ბოლნ. 36¹⁷); მოვედ ჩ³⁶ და ხავსმ მადლითა (კიმ. 103⁹)...

ე) იხმარება შედარებისას:

კანჯრის ვოგსა ღოშთან არა შექედების (შან. II, 4355)...

თან იშუბათად გან თანდებულს ენაცვლება, როცა იგი მოშორებას გადმოსცემს: ჩემი დათიკოსთან (დათიკოსგან) მოშორებაც ეხნელებოდა (ილია, 314)...

4. თვს → თვის

ნ. მარს აღნიშნული აქვს, რომ ძვ. ქართ. თვს|| თუის (ახ. ქართ. თვის) თანდებული და თვს|| თუისი (თვისი) ნაცვალსახელი მომდინარეობს თუ (← თავი) ძირიდან. იგი ამავე ძირს უკავშირებს თუნ-ს (ახ. ქართ. თვინ), რომელიც ძვ. ქართულის თუნ-იერ (თუნ-იერ) ზმნისართში გვეპოვება და, როგორც თანდებული, ძველსა და საშუალ ქართულში იხმარებოდა.³⁵ ამ აზრს იზიარებს ა. შანიძეც. მართლაც თვს თანდებულის ამგვარი წარმოშობა ეჭვიმოტანებელი ჩანს, ოდინდ იგი უშუალოდ ქართ. თავ-იდან რომ მომდინარეობდეს, ნაკლებ დასაჯერებელია, რადგანაც სათანადო ჩორმების მიხედვით თავ სიტყვის რეალუქციის შემდეგ უმარცხო უ-ს მიღება (თუ) ძვ. ქართულინათვის სრულიად უწყველია. ამიტომ უფრო ბუნებრივი იქნებოდა, როგორც ეს თვს. მარს აქვს აღნიშნული³⁶, რომ ეს თუ მიგვეჩინა შეკვეცილ სახელ თუთ ძირისა, რომლის შესატყვისია მეგრ. დუღ-ი 'თავი'. მაშინ გამართლებული იქნებოდა უმარცხო უ-ს არსებობა თვს|| თუის თანდებულში.

ძვ. ქართულში გვეხედება მხოლოდ თვს|| თუის თანდებული. მე-11 საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში დადასტურებულია თუინ ფორმაც: სიტყუანი... არათუ მდიდართათუინ ოდენ

³³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, გვ. 69.

³⁴ თანამედროვე ქართულში ნათესაობით ბრუნვასთან თანა მსგავსებას აღნიშნავს: დედისთანა, ამისთანა... ა. შანიძე ფიქრობს, რომ ეს თანა სხვა წარმოშობისაა. იგი წერს: „მსგავსება“ მნიშვნელობით მეგრულში იხმარება „ცალი“, რომელიც ქართულიდან არის გადასული: ჩქამი-ცალი (სამხისთანა)“... „ცალი“ აღსანიშნავად კი „მარცვლის“ აღნიშნული სიტყვა არის ხოლმე გამოყენებული ზოგიერთ ენაში (სპარსულში, თურქულში, სომხურში). ეს არის სპარს. დნა (რომელიც თურქულშია შესული და თანად გამოითქმის) და სომხ. პატ... „ქართული „თანა“ („მეზობლისთანა“ და „ამხანაგისთანა“-ში) არის სპარსული „დნა“ („მარცვალი“) იმ გამოთქმით, რომელიც თურქულშია დადასტურებული და იმ მნიშვნელობით, რომელიც სათანადო სიტყვას სომხურში აქვს მიღებული“. ავტორი არ უარყოფს მეორე შესაძლებლობასაც, რომ ეს თანა წარმოშობით იგივე თანა თანდებული ფორმის, რომელიც ძვ. ქართულში ნათესაობით ბრუნვასთან იხმარებოდა: თანა თანდებულის „მნიშვნელობისაგან მსგავსის“ მიღება შეუძლებელი არ არის, მაგრამ ნათელი არაა ასეთი სემანტიკური განვითარების გზები (ქართ. გრამატიკის საფუძვლები, I, 115-116).

მოუხდევდა ასეთი მრავალმხრივი თიქობისა და შედარებისა, შეიძლება შეინიშნოს, რომ „მსგავსის“ ფუნქციით თანა მხოლოდ ახ. ქართულში გვევლინება. თუმცა მხელი არ იქნებოდა ამ პერიოდში სპარსული ან თურქული ენის ისეთი რივის გაუღება გვეყარაულებინა, როგორცაა მორფოლოგიური ელემენტის (თანა-ს) სესხება, მაგრამ თანა თანდებულისათვის „მსგავსის“ მიღება შესაძლებელი ჩანს, რამდენადაც საშ. ქართულში სწორადვლად თან გამოყენებულია შედარების დროს და, მეორეც, ძვ. ქართულში ორ ბრუნვასთან ხმარებული თანა შემადგომში მიცემით ბრუნვასთან ინარჩუნებს ძველ ფუნქციას და ნათესაობითთან ივითარებს ახალს.

³⁵ Грамматика древнелит. груз. языка გვ. 94.

³⁶ Грамматика древнелит. груз. языка გვ. 95



თქმულ არს ა⁷ დ გლახაკათა (Опис. 72).

თუხს| თუის ფორმით იგი გვხვდება საშ. საუკუნეების ადრინდელ ძეგლებშიც (ცნობილი უნის გადავარდნის შემდეგ ვიღებთ თვის-ს. მის პარალელურად საშუალო ქართულში იხმარება თუინ, თეინ(ა) და თეინს ფორმა(ც; ნახვისა თუინ (ვისრ. 208), კაცისა თეინ (საქ. სიძე. III, 63), თურისათეინს (შან. II, 424)...

თვის თანდებულს -ს აქვს მოკვეცილი. საშ. საუკუნეთა ზოგიერთ ძეგლში: შვილთათვი, თანაზრდილთათვი, სიმაგრისათვი (შან. II, 3436); მიჯნურთათვი (შანაიაზ. 4), ჩვენთვი (გურამ. 32), მუჯინიბისთვი (დოკუმენტ. 82), შვილებისათვი (საქ. სიძე. II, 141).

ახ. ხალიტრატურთ ქართულში გაბატონდა თვის, კილოებში კი იხმარება აგრეთვე თეინ, თვი (როგორც ბარის, ისე მთის კილოებში), თუნ (ინგილოურსა და მესხურში), თი (ფერეიდნულში).

თუხს → თვის თანდებული უჩვენებს:

ა) დანიშნულებას, განაკუთვნილებას:

ვითარცა იგი აბრაჰამისთუხს უფალი იტყუეს (ხანძთ. იბა27); ვარდამოჰდა ზეცით... მომწყდართათუხს (სახულ. 17184-185); რომელი თქუენთუხს და მრავალთათუხს განიტუხების (უამის-წირ. ლხ34); ტარციელისათვის ცრემლი გვედის შუუშრობელი (ვ. ტ. 7)... გადაეშალა... კალთები... პაწია სტუმრებისათვის (ილია, III, 65)...

ბ) მოქმედების მიზნებს:

...სადა იგი ხიყენეს მოწაფენი დამალულ შიშისათუხს პურიათაფსა (ქრესტ. იოგ. 20, 19); ვისოს გაყრისათვის გული უმცრდებოდა (ვისრ. 128); მოგვიდე ჩვენის დიდის გაჭირებისათეინ (საქ. სიძე. I, 81)... ვიი თუ ბახვა გაება სიხხლის სამართლის საქმეში კაცის დაჭირისათვის (დ. წერ. 52)...

დანიშნულებისა და მიზნის გადმოცემისას ძველსა და განსაკუთრებით საშ. ქართულში თვის თანდებულს ხშირად სცვლის ნაგენტივარი ვითარებით: უმჯობმს არს ჩემდა სიკუდილი დ⁷თისა ჩემისათუხს (კიმ. 84-9); შუა ვარ ხვალისად (ამირანდარეჯ. 64)... ამჟამად ასეთი ფორმები მეტად დამახასიათებელია ხვესურულსა და ფშაურისათვის. ზოგჯერ მას ხმარობს ილ. ჭავჭავაძეც. მაგალითები: ერთხან მეფე ერეკლისად გამაუცხადებავ თმი თათარს (ხვეს. 161); ბევრ სახუქარცი უძღვევავ ალუდაურისად (იქვე, 174); ხოლო სამართლის თქმისად რად გინდა ჩვენი გვექმი (ვაჟა, IV, 7); თუ აქვს, რად უტრის ერთი თათისად, მეორე უჭილიისად? (ილია, III, 78). ნათესაობითის -ის ნიშნის დართულმა ვითარებითის -და ფორმანტმა დახვედურ კილოებში ურთიერთგავედნის გამო შემდეგი ფონეტიკური ცვლილება განიცადეს: ისდა → იზდა → იზა: დ-სთან ს ახიმილაციით ზ-დ იქცა და დ დაიკარგა³⁷; მარტო თვალტანადობის გულისა წაიყვანენ სადღათათ (ნინ. II, 174)... სახელითა მინდა, წყალითა წვევიდა³⁸; რატულში ადრინდელი (გარდამავალი) სახეცაა შენახული: ვლუხებიზდა, ჯიხევიზდა³⁹.

5. კერძო → კენ

ძე. ქართულში კერძო გარდა სახელისა ერთოდა ზედა და შინა თანდებულს: მოაქციე ზედა კერძო მისხა ბუნება წყაღთა (ანტოქ. 12927); მადნარსა ამხს შინაკერძო შემოვიდოდთ (იქვე, 11531)... იგი მოხდევდა აგრეთვე მიერ და წიად (მიერ კერძო, წიად კერძო), ქუემო და უკუანაგ ზმნისართებს: განვედით ლიტანიასა ქუემოკერძო ლავრასა (კიმ. 16519-20); დავდე უკუანაკერძო მით ყლ⁷თასა (იქვე, 21135-36); დადა ერთკერძო და ჳმა ყო (იქვე, 14313)...

ძე. ქართულსა და საშ. ქართულის ადრინდელ ხანაში კერძო სამ ბრუნვასთან გვხვდება: მოქმედებითსა, ვითარებითსა და ნათესაობითთან. მაგ:

მოქმედებითთან: ადგილი ერთი არს პურიასტანით კერძო (ქებათა ქება, ლღ);

³⁷ Н. Марр, Грамматика древнелит. груз. языка, გვ. 010.
³⁸ ს. ჟღენტი, გურული კილო, გვ. 66.
³⁹ შ. შიშიტაური, ქართული ენის მთარგმნელი დიალექტის ძირითადი თავისებურებანი: ენმოკის მოამბე, II, გვ. 78.



პოვეს ხახლაკი ერთი ჩრდილოეთ კერძო (შუშ. 28)...

ერთარებითთან: აღვიდა მთად კერძო მოქოხვად... კლისაბუდისა (კიმ. 182-32-33);
ვერძთ წარემართა ხანძთად კერძო (ხანძთ. ოზგუ)...

ნათესაობითან: რომელნი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ (შუშ. 15)...
ნათესაობითთან იშვიათა და, როგორც ჩანს, მას შედარებით გვიან დაერთო. ხახელის სამ
ბრუნვაში მართვა ამ თანდებულის ფუნქციის ნაირსახეობით არ აიხსნება: იგი ყველგან აღ-
ნიშნავს ადგილს ან მიმართულებას.

ახალ ქართულში კერძო-ს შეენაცვლა კენ თანდებული. იგი ხახელებთან მარტო ნათე-
საობითში იხმარება და მხოლოდ და მხოლოდ მიმართულებას გამოხატავს; მაგალითად:
სოფლისაკენ, ხახლისაკენ და სხვ. -კენ თანდებული მოქმედებით ბრუნვასთან არის
შემორჩენილი ზმნისართებში: სათკენ, აქეთკენ, ქვევითკენ, ზევითკენ. ხვევრულში ამ
ზმნისართებსაც კენ || კე-ს სახით ნათესაობითში ერთვის: იქისკე გახპატიეებენ (ხევს. პო-
ეხ. 210); საისკე მიმავალი? (იქვე, 27); მაინც იქისკენ გამწვედა (იქვე, 139)... ჩანს, ნათესაობი-
თ და მოქმედებითი ბრუნვა ერთმანეთს ენაცვლებიან.

საშ. ქართულშივე კენ-ის პარალელურად გვხვდება კე-ც: მინდორთაკე (გ. ტ. 567), ღმრთი-
საკე (ვისრ. 34), საწოლისაკე (შანაბავ. 171), მისკე (ამირანდარეჯ. 37), იმერეთისაკე (საქ-
სიძე. III, 130)...

სხვადასხვაგვარად შეიცვალა კენ თანდებული კილოებში: კე აქვს მთის კილოებს (ხე-
სურულს, ფშაურს, მთარაჭულს); მარცხნისკე (ხევს. პოეხ. 16). მიწისკე, ცისკე (ვაჟა, IV,
22)... ზოგჯერ კე შეკვეცილი და დასულია კ თანხმოვნამდის: შინისკე (ხევს. პოეხ. 217). ხე-
სურეთისაკე (იქვე, 213), კაცისაკე (ინგილოური, 231)... გუხვდება კედ, კა-ც: შინისკედ (ხევს.
პოეხ. 277), გაეიქე წისქვილისაკა (იქვე, 267); ფშაური ისრიკა (=იქითკენ), ასრიკა (=აქეთ-
კენ)⁴⁰...

მთარაჭულში კე-ს დართვისას იკარგება ნათესაობითი ბრუნვის -ს ელემენტი: ხახლიკე,
სეანებკე⁴¹.

რთე კილოებში (ინგილოური, ფერეიდნული, გარეკახური, მთარაჭული, ქვემოიმერული) კენ
თანდებული წარმოდგენილია აგრეთვე ყენ || ყეს-ს სახით. ფერეიდნულში -ყე ერთვის ნათესა-
ობისა და მიწემოთს და მნიშვნელობით შეესატყვისება მოქმედებით ბრუნვასთან ხმარებულ
-გან თანდებულს კითხვაზე საიდან? ზოგჯერ კი -კენ თანდებულს უდრის. მაგალითად: ის-
პანისაყე ქალაზი მოუვიდა (=ისპანიდან); ჩაიყავ, ამოიღე ჯიბესაკე ფული (=ჯიბიდან),
მაგრამ: თუბსაკე გუეპარნეთე (=მთებისაკენ)⁴²... ქვემოიმერულში ყენ თანდებულის გამო-
ყენებისას ნათესაობის ს თანხმოვანი -ჟსთან ერთად (ხე) წყ კომპლექსად იქცევა: ხახ-
ლიწყენ, ტყიწყენ⁴³.

ძე. ქართულში კერძო, ეტყობა, თანდებულად ჩამოყალიბების პროცესშია. ხახელის
ბრუნვაში მართვის მხრით მას ჯერ კიდევ არ გააჩნია ისეთი ძალა, როგორც სხვა თანდებუ-
ლებს: ხახელი მას ნაკლებ ანგარიშს უწევს ბრუნვაში. იგი თავისთავად ერთვის უფორმო
სიტყვებსაც. საშ. ქართულში იგი ნათესაობითთან უფრო განმტკიცდა და სისტემატურადაც
იხმარება. ამავე დროს იგი დამოუკიდებლობაც კარგავს და ხაკმაოდ ცვთება.

მასალათა ანალიზის მიხედვით კერძო-ს განვითარების ასეთი საფეხურები ჩანს: ჯერ
გეშეცევაბო ე ხმოვანი: კაცი საკერძ (ამირანდარეჯ. 5), აფხაზთაკერძ (ქართ. ცხ. 224)... შემ-
დეგში თითქოს ძ-ს დაკარგვითა და რ-სა და ნ-ს მონაცვლეობით მიღებულ იქნა კენ: ხორას-
ნისაკენ (ვისრ. 25)... უკანასკნელი სახით შემოვიდა იგი ახალ სალიტერატურო ქართულში.

საშ. ქართულის ძეგლებში არა ჩანს, ჯერ ძ დაიკარგა და შემდეგ რ-ს შეენაცვლა, თუ
ორივე პროცესი ერთდროულად მოხდა. იმის დადგენაც კი ჭირს, თუ ამ თანდებულებმა რო-

40 ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, გვ. 196.
41 შ. ძიძიგური, ქართ. ენის მთარაჭ. დიალექტის ძირითადი თავისებურებანი: ენიშკი-ს მოამბე, II, გვ.
77.
42 არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთი-
ერთობის თვალსაზრისით: წელიწადული, გვ. 32-33; მისივე, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი:
ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, VII, გვ. 214.
43 III. Дзизгури, К характеристике нижнеимеретинского говора... გვ. 126-127.



დის როგორი ცვლილება განიცადა, მაგალითად, ვეფხისტყაოსანში გვეხვებოდა **კერძო, კენ, კე-** სიკვლირთქქ

კერძო-დან კენ-ის მიღება თითქოს ადვილად მტკიცდება: ბოლოში თანხმუნისა და ხმოვნის მოკვეცა ჩვეულებრივი მოვლენაა (ეს სხვა თანდებულებსაც მოუვიდა), მაგრამ ერთგვარად ჭირს დასაბუთება **რ → ნ**. ვეგების აქ შენაცვლება კი არ გვექონდეს, არამედ კერძო-დან უშუალოდ მიღებულ **კე-ზე -ნ** — ნა ელემენტის დართვა (შდრ. ზედან, შიგან, წინა-შენ). ვაძოდის, რომ კე უფრო ძველი სახეა, ვიდრე კენ. ამ მხრივ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ვეფხისტყაოსანში კენ იშვიათია, კე კი ათეულს ითვლის.

ნ. მარი კენ-ს უკავშირებს კედა-რო-ს, რომლის რო ელემენტი მას ჩანურის მრ. რიცხვის რ-ს ფარდად მიაჩნია.⁴⁴ აქვე კითხვაა დასმული — არის თუ არა ამის შესატყვისი კედელი. კედარო-სთან კენ-ის დაკავშირებას თითქოს მხარს უჭერს ხვესურულში კედ(ა) თანდებულის არსებობა: წამაჲ არ ხოტის კედა (ხვეს. პოეზ. 105); სტუმრებ შინის-კედ ვაწიე (იქვე. 277)... მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ფაქტიური მასალა კერძო-სგან წარმომავლობას უფრო ადასტურებს, ხვესურული კედ || კედა კი უნდა შეიცავდეს -და ელემენტს ისევე, როგორც შიდა, ზედა... და იგი (-და) ფარდი უნდა იყოს -ნა-სი (კე-და || კენა, შდრ. ზე-და || ზე-ნა...).

კერძო თანდებულის კვალი ჩანს ზმნისართში ცალკე (← ცალკერძ ← ცალკერძო), ცალკერძ საშ. ქართულში აღნიშნავს: ერთ მხარეს, ცალ მხარეს, ცალ მხრივ, ცალ კვდაროს. მაგალითად: ჩემკერძ გამოხვალო (ამირანდარეჯ. 66); ხევი ცალკერძ დააგროვეს და ბზე ცალკერძ (სიბრძნე სივ. 148). ასეთი მნიშვნელობა კერძო თანდებულს სავსებით შეუფერება.

6. ებრ

ნ. მარი თავდაპირველად ამ თანდებულს ყოფდა ორ ნაწილად: ებ (=сушии) + რ (resp. რე = образ), მებრ ფორმაში კი მ განუსაზღვრელი მე (შდრ. ვინ-მე) ნაწილაკის ნარჩენად მიაჩნდა.⁴⁵ შემდეგში უარყო მან ასეთი ანალიზი და ებრ-ს სხვანაირი ახსნა მისცა: „Суффикс ebr цельное по происхождению иверское этнонимическое слово (ebr ← ber или e-[u]r, со значением, вскрываемым палеонтологически: 'дуга' → 'род || образ' (→ подробно, подробный))“⁴⁶.

მ. ბრიკთან ერთად გამოცემულ ქართული ენის გრამატიკაში ნ. მარი ამ აზრს ავითარებს და აღნიშნავს, რომ ებრ მიღებულია ბერ-ისაგან ბგერათა გადასმის საშუალებით. აქვე შედარებულია ბერ → ებრ ხალხურ ფერ-თან და ამავე კონტექსტში მოყვანილია: უ-ებრ-ო⁴⁷.

ებრ თანდებულის დაკავშირება ბერ-თან შეუძლებელია, რამდენადაც ბგერათა ისეთი გადასმა, რომ ბერ-ს -ებრ მოეცა, ფაქტიური მასალით არ დასტურდება. ებრ-ის გამოყოფა უ-ბრ-ო, უ-ებარ-ში კი სავსებით გასაზიარებელია.

მ. ანდრონიკაშვილი ებრ-ს ებარ-ისგან მომდინარედ თვლის და ასე უღის: ე + ბრ ← ე + ბარ. მისი აზრით, ე ნაშთია ეს ჩვენებითი ნაცვალსახელისა, ბარ კი იფიქვა, რაც სიტყვებში: თანაბარი (თანასწორი), ბარიბარი⁴⁸.

საბუთიანი ჩანს ებრ-ის სომხ. *բրն*-თან დაკავშირება⁴⁹.

⁴⁴ Грамматика древнелит. груз. языка, გვ. 33.

⁴⁵ Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VI, გვ. 97.

⁴⁶ О кавказской версии библии в грузинских палимпсестных фрагментах: Тексты и разыскания по кавказской филологии, გვ. 52, №5. 2.

⁴⁷ La langue géorgienne, გვ. 628

⁴⁸ -ებრ ხუფიქსი „ვეფხისტყაოსანში“ (წაკითხულია მოხსენებად სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის სხდო-მაზე 1941 წელს).

⁴⁹ პრ. აჭაროანის მტკიცებით ებრ სომხურიდან არის შემოსული ქართულში, რადგანაც ებრ-ი-ში იგი მომდინარეობს სომხ. ხ-საგან, რომელსაც აქვს ინდოევროპულ წარმოშობა. -ივ-ს დაკავშირება სომხ. ხ-თან საჭკობა.



ებრ თანდებული აღნიშნავს მსგავსებას. ზოგჯერ იგი უდრის ვით თანდებულს სიტყვას მიხედვით. მთელი ქართულის მანძილზე ზოგჯერ მას ენაცვლება მსგავსად წმინციჲს

სახელს მართავს ნათესაობით ბრუნვაში. მაგალითად: განიკურნეს სიტყვა ებრ... გრიგოლისა (ხანძთ. 6322); შაქრისაებრ ტკბილითა, ნადვლისაებრ მწარე პასუხი შეუთვალა (ვისრ. 2822-24)... ლაპარაკი დოცვისაებრ... ესმოდა (ინხ. I, 69).

ზოგიერთ კილოში ებრ იხმარება მიცემითის დაბოლოებიან ნაცვალსახელთან: შენსევეფ (← შენსაებრ ← შენსაებრ), ჩემსევეფ (← ჩემსაებრ ← ჩემსაებრ)⁵⁰.

ებრ თანდებული ერთვის ფუძესაც, ბოლოსმოწინაინებს შეიძლება ბოლო ხმოვანი მოკვეციოს: კულადე განახლებად არს პირველებრ ჳელთა საბანსითა (ხანძთ. 0834); სრქუა მას კებრადელებრ (ქრესტ. 1310); სხუად სახედ ყრმებრ არა რაა კქმენ (შუშ. 40)... მის ბედნიერებას ცაებრ გასხივებული ძვირფასი თვალი აკლდა (გ. წერ. 67).

ებრ თანდებულიანი ფორმა ზოგჯერ სახელადაა გამოყენებული და იბრუნება კიდევ: ნუცა ეძიებთ ჳორციელებრსა რასმე (ბოლნ. 2120); გულისაგან ნადვლისაებრი სიტყვა ამოყარა (ვისრ. 2025)...

-ებრ რთულდება -იე სუფიქსით და -ებრივის მქონე სახელი იბრუნება ჩვეულებრივ: ანგელზებრივისითა მოქლეობითა (ბარღაამ, 12216); თოვლებრივ თვირსა... (ილია, IV21)...

ებრ-ს -ურ სუფიქსიც დაერთვის⁵¹: სამარისებური სიხუჭ ჩამოყარა (ქიან. 30); ტანზე ნაცვამ ბევთარი ვაჟმა ფქვილებურ გაყარა (ხევს. პოეზ. 4).

საშუალსა და ახად ქართულში ებრ თანდებული რ თანხმოვნის მოკვეცივითაც იხმარება: ზოგჯერ ჳაფრანისაებრ გაყუთილდის (ვისრ. 17230); რკინის ჳახრაკისებრ მაგრა ვეჭირე (ილია, 368)...

ებრ-ს პარალელურად მთელი ქართულის მანძილზე გვხვდება აგრეთვე მებრ: შჯული-სამებრ მოს მსისა (ხანმეტი, 382); სიტყვსამებრ (კიმ. 772). მოქმედებისამებრ (საქ. სიძე. III, 274)... მებრ ძველ ქართულში და ი. ჳავეჯავეძესთანაც გამოყოფილია ხოლმე სახელისაგან და დამოუკიდებელი მნიშვნელობით იხმარება.

ი. გრიშაშვილი საპართლიანად აქვს შენიშნული, რომ მებრე-ს ამ შემთხვევაში ილია ხმარობს რუსული и тому подобный-ს მნიშვნელობით, გასაზიარებელი არაა ამავე ავტორის აზრი, თითქოს მებრევე სპარსული სიტყვა იყოს⁵².

მებრ იგივე ებრ-ია, ოლენდ, როგორც მ. ანდრონიკაშვილი ვარაუდობს, მ არის მანაცვალსახელის ნაშთი⁵³.

7. გან

ადრე ნ. მარი გან-ში (ერთ-გან, სხუა-გან, ყოველ-გან) ძირისეულად გა-ს გამოყოფდა და სპარსულ „ადგილს“ უკავშირებდა, ნ (←ან) კი მთორე მიცემითის (D II) დაბოლოებად მიიჩნდა. 1929 წ. სხვა საკითხთან დაკავშირებით ნ. მარი კვლავ დაუბრუნდა ამ ძირის ანალიზს და იგი დაუკავშირა არაბულ „მხარეს“, ვევიბე. გამოთქმით: ganāb⁵⁴.

უკანასკნელ ხანებში სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ იგი ქართველურ ენათა საერთო კუთვნილებაა. გან-ი თავდაპირველად აღნიშნავდა ადგილს. ეს მნიშვნელობა დაცულია გან თანდებულშიც: ყველგან, მისგან, თბილისითგან⁵⁵...

გან თანდებულში გა ძირეული მასალა ჩანს, რომელიც სხვა თანდებულსა და ჳმნისართშიც დასტურდება: გა-მო, გარ-ე, გარ-უ-მე, გარ-და და სხვ. (შდრ. ი-გი, ე-ბ-ე, მა-ბ).

გან სხვადასხვა სახეს იღებს კილოებში. ხევსურულში მოქმედებითან ზოგჯერ იგი გეს ფორმით გვევლინება: ადრით გე თუშეთს მავალა? (ხევს. პოეზ. 63); ოკჳშობით გე შაუდღე (იქვე, 211)... თგ → ღგ: გათენებ იღ გე წამოვა (იქვე, 89); დაბადებ იღ გე (იქვე, 81)... ხან

⁵⁰ მ. ანდრონიკაშვილი, -ებრ სუფიქსი „ვეფხისტყაოსანში“.

⁵¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 114.

⁵² ილია და მებრე: ლიტერატურული საქართველო, 1937, № 14 (36).

⁵³ ებრ სუფიქსი „ვეფხისტყაოსანში“.

⁵⁴ Арабский термин hanif в палеонтологическом освещении: ИАН, 1929, გვ. 87.

⁵⁵ ე. ბერიძე, საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქ. მეცნ. აკად. შიამბე, III, № 4, გვ. 382.



გე გართულებულია ხანითაც: ადრიდგეს მინეულია (ხევს. პოეზ. 288); სამი ალუღაორს თავი გაუნებებად ყარაულობისად (ხევს. 175) სიკვდილიდგეს ანდრონიკაშვილს დადასტურებული აქეს, რომ ხევსურულში გე ან იხმარება, როცა იგი დროს გადმოსცემს. ამავე კილოში გან თანდებულის გ თანხმოვანი გამკვეთრებულია კდ და იშვითად ჟდ «გურგან, სხვაგან, ყველგან» და სხვა ზნმისართებში: ბეკრკან ბეგურთა თითოი (ხევს. 228); ქალი არა სჯობ სხვაკენური (ხევს. პოეზ. 245); შარცხენილი ხარ ყველყანა (იქვე, 245გ). ვისრამიანშიც გეაქვს ერთი შემთხვევა კან-ის ხმარებისა: რომელი მისკან კიდე არავისგან ჳამს წყალობისა მოლოდნა.

გურულში გან თანდებული შეცვლილია გინ ფორმით დაწყებით ბრუნვაში: ვიზდგინ (← ვისითგინ) ეს საქმე მომხთარა; ჩემდგინ ნუფურს ნუ ვლი და სხვ.⁵⁶; აჭარულში გან → ქან; ბაღნების ერთქან გაყვანა ვეღარ გაბედა; შეიყარეს ერთქან⁵⁷... აშკარაა, ქ მიდებულია თ-სთან პროგრესული ასიმილაციით.

ნათესაობით ბრუნვასთან გან თანდებული აღნიშნავს:

ა) განყოფას, მოცილებას, მოშორებას:

შუნიერთა დედისა და ძმისგან მოგაშორა (ვისრ. 69)... ცხენი... ქოხისაგან საკმაოდ მოშორებით დავექნებია (ყაზბ. 216)...

ბ) წყაროს, ვისგანაც ან რისგანაც ჳმნით გამოხატული მოქმედება მომდინარეობს.

მაგალითად: რი იგი იშვა მარიაძისაგან (კიმ. 821); სამჯისხ... განამებულ ვიქმენ მამისა გრიგოლისაგან (ხანძი. 5ბ-6); შენი ვარდი ანგელო ჳისაგან დარგულია და ღმრთისაგან დაცული (ვისრ. 189); ბურჯურ მინახავს ირემი დამფრთხალა ძაღლისაგან (ილია, 306)... საერთოდ ვნებით ვკარის ჳმნებთან ყოფ. ქვემდებარე -გან თანდებულიან უბრალო დამატებად იქცევა: ს^ლიფრი სამოსელი მამისაგან მოიქსოების (ბოლნ. 4621). ახალ სალიტერატურო ქართულში ამ ფუნქციით ჩვეულებრივ მიერ თანდებულიანი ხახელი იხმარება.

გ) მასხალას, რისგანაც რამე კეთდება:

შეკქმენ მიწისგან კ^{ცი} (Опис. 161); საზრდელად მისა იყო პური ქატოცგან ქრთილსა (საბა ახ. 51); ქაღალდი ქვისგან არდეს შექმნების და არცა ღვინო ღიმოსგან (ვისრ. 272)... [ტარიღს] ბალახისაგან დაწული ქუდი დაეხურა (ქიან. 57)...

დ) მიხეზს:

რლი ძვრისაგან დაეცა (Опис. 179)... აზრდილისაგან შენობით ჩაბნელებულიყო (გ. წერ. 105)... ამ შინშენლობით -გან თანდებულის მაგიერ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გამო თანდებულებაც იხმარება, ზოგჯერ კი მოქმედებითი ბრუნვაც შეენაცვლება.

ე) ხაშ. ქართულის ზოგიერთ ძველში, განსაკუთრებით ვეფხისტყაოსანსა და ვისრამიანში, არაიშვითად იხმარება -გან-იანი ნათესაობითი იქ, სადაც ახალ ქართულში უთანდებულო ფორმაა; მაგალითად: აქეს თავისაგან იმელი, ვიყენეთ გულითა მშეიდითა (ვ. ტ. 1036; შდრ. ახ. ქართული: აქეს თავის იმელი); ავთანდილისგან შენც იცი ჩემთვის თავისა დადება (იქვე, 1470).

ვ) ხაშ. ქართულში და სპორადულად მე-19 ს. რომანტიკოსთა ენაში გან თანდებული იხმარება უფროებით ხარისხთან. გან ერთვის შესაღარებულ ხახელს, ხოლო ზედხართავი ან უფროობით ფორმითაა წარმოდგენილი, ან აღწერთ. მაგალითად: მე მზისაგან უმაღლესო ჳელმწიფეო (ვისრ. 132); ქარისაგან უმაღელ იარა (იქვე, 192); ერთგულთათუის მოწყალება გჭირს; შაქრისაგან უტკბილესი (შაჳნავაზ. 306); სიკვდილისაგან სიცოცხლე აწი ჩემი უფრო მწარვა (თეიმ. I, 21); ირმისაგან უმკვირცხლესი ჳიხევა... შესცქერის მყინვარს (აღ. ჳაგ. 20)...

პირველურად გეხედება უთანდებულო ნათესაობითიც: საქმე მჭირს სიკვდილის უარესია (შაჳნ. II, 4312); დედოფლის უღამაზესი, მეფის ცხენის უმსუქნესი და მეფის შევარდნის უმაღლესი არ იქნების (სიბრძნე სიცრ. 55)...

ამ შემთხვევაში ხაშ. ქართულშივე -გან-ის მონაცვლედ ჩნდება -ზე თანდებული და ბატონდება ახალ ქართულში: შაქარზე უტკბისი, ცხენზე უმსუქნესი და სხვ.

⁵⁶ ს. ქედნტი. გურული კილო, გვ. 67.

⁵⁷ ჯ. ნოდარდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, გვ. 32-33.



საშ. ქართულში გან თანდებულიან სახელს თუ მოსდევს ზნისხართი კიდე მნიშვნელობა აქვს გარდა თანდებულისა (ან მეტი-სა). მაგალითად: შენ გუგული ხარ, ცრემლი ხაგან კიდე არა იცი; შენ მეკლი ხარ, რომელ ვნებისაგან კიდე არას იქმ (ვისრ. 196); ღმრთისაგან კიდე ვინ იყო კაცი ამისად მსახველად! (ვ. ტ. 1180)... ამავე მნიშვნელობისა კიდევ უთანდებულო ნათესაობითანაც: მეფობისა ჩემისა კიდე რომელიცა მოხოვო, მოგცო! (სიბრძნე სიცრ. 18).

გან თანდებული ერთეის მოქმედებით ბრუნვასაც, ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდის დასტურდება ფონეტიკური ცვლილების სამი საფეხური: თი-გან → იდ-გან → იდ-ან (სოფლით-გან → სოფლიდ-გან → სოფლიდან). პირველი ფორმა ძვ. ქართულში ჩნდება, მოდის მე-19 ს-მდის და ზოგიერთ კილოში დღესაც არის შემორჩენილი, მეორე საშ. ქართულში ვითარდება და ახალ ქართულშიც იხენს თავს, მესამე კი დასტურდება მე-18 ს-ის ძველებში⁵⁸ და საბოლოოდ ბატონდება ახალ სალიტერატურო ქართულში. მაგალითად: კახეთიდან (თეიმ. II, 102), ვაჭრობიდან (სიბრძნე სიცრ. 165გ)... იგი მე-18 საუკუნის დოკუმენტებშიც ჩანს: ერთის სოფლიდან მეორე სოფელში ახახლებით (1786 წ.: საქ. სიძე. I, 157); ერეკვიანიდან (1790 წ.: საქ. სიძე. III, 57); შამშადილიდან (1787 წ.: იქვე, 26)...

მოქმედებით ბრუნვასთან გან თანდებული აღნიშნავს:

ა) ადგილს, მოქმედების დაწყების პუნქტს და მიუგებს კითხვაზე **საიდან?** მაგალითად:

კიდითგან ცისათ ვიდრე კიდემდე ცისა ესმ არს (ხანძ. პაუ-13); გუგულ იყო ფურკითა ბარკლითგან მისით (კიმ. 24430); ჳურელითაგან გუგულსა გამოიყვანებენ (ვისრ. 59); კ' ეთ შოვიდა სტამბოლითგან (საქ. სიძე. I, 61)...

ძველსა და არაიშვითად საშ. ქართულში არის შემთხვევები, როცა კითხვაზე **საიდან** მოქმედებითის ნაცვლად გან თანდებულიანი ნათესაობითი გამოვედ ქუეყანასაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა (მაბო, 64-2); ვ'რ გამოვდა უდაბნოვსაგან (ხანმეტი მრავალთ. 24ბ21-22); შუაღამე ციხისაგან ჩამოვიდა (ვისრ. 295); ყმა ცხენისაგან გარდიჭრა (ვ. ტ. 1335)...

ძვ. ქართულში ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში კითხვაზე **საიდან** ერთგან უთანდებულო მოქმედებითი: აღმოვიდა წველი იგი თუაღლით შენით (ხანმეტი, 376), მეორეგან კი გან-იანი ნათესაობითი: აღმოვიდე... თუაღლისაგან შენისა (იქვე, 379). არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წინადადებაში ერთგვარი წვერებდან ერთი უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვითაა წარმოდგენილი, მეორე კი - გან-იანი ნათესაობითით. მაგალითად: მოიწინეს... ძმანი ანტიოქიად იმით და ქალაქისაგან ლუდისა (კიმ 31-12)...

ვეფხისტყაოსანსა და ვისრამიანში კითხვაზე **საიდან** სპორადულად მიცემითი ბრუნვაც იხმარება: ... ცხენსა გარდახდა ასმათის მოსახვეველად (ვ. ტ. 1358); რა მოაბად ციხესა გაიყვანა ვისი, ცასა ერთი მზე სხუა მოემატა (ვისრ. 132)...

ბ) დროს კითხვაზე **რა დროიდან?** მაგალითად: იყო სიხარული დილითგან (კიმ. 612); გარდაცვლეთიგან მისით დაიწერა ცხორება (ხანძთ. პმ3); რამისინ გული ადრითგან წყულული იყო (ვისრ. 85)⁵⁹...

ცნობილია, რომ ძვ. ქართულში კითხვაზე **საიდან** ჩვეულებრივ უთანდებულო მოქმედებითი მოუგებდა. მაგალითად: გარდამოვარდა ზეცით ქ' ყნად (ბოლნ. 274)...

უთანდებულო მოქმედებითი ამავე ფუნქციით საშ. ქართულშიც ხშირია: ყოვლით ქუეყნით... მეცნიერნი მოიყვანნა (ვისრ. 21); ტახტით გარდიჭრა (თეიმ. I, 55); ომით მოხრული ტარიელ ხაჭურეკად სასურველია (ვ. ტ. 475); მთით ბარამდი უკლებლად თქუენთვის გუიბოძებია (საქ. სიძე. III, 140)... იგი შემორჩა მთელ რიგ კილოებს (ხევსურულს, მოხურს, ფშა-

⁵⁸ შდრ. არნ. ნიქობაძე, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ვნიშის მოამბე, I, გვ. 57.
⁵⁹ ამავე მნიშვნელობითაა, რომ მე-18 ს. დოკუმენტებსა და ზოგიერთი შვედლის ნაწერებში გვხვდება ძველადგან. მაგალითად: ძველდათგანაც სახსო და ჩვენი ყმა ყოვლიდევნით (დოკუმენტ. 557); ძველადგან თქუენი სამკუდრო იყო (საქ. სიძე. III, 156); ძველადგან სახელგანთქული (ბართაძე 35); როცა კი ძველადგან გაუგონია (ინფ. I, 8). ისე კი ჩვეულებრივია ძველიდგან. სხვა შემთხვევა, ვითარებითან რომ გან თანდებული იყოს ნახშირი, არ შეგვიხვედრია. ჩანს, გან აქ დაერთო ძველად ზნისხართს.



ურს, ინგილოურს, ფერეინულს და შიარაჭულს). ირკვევა, რომ ძვ. ქართულში უთანდებულო მოქმედებითი მხოლოდ გამოსვლებშია გამოხატული ბის დაწვების პუნქტს გამოხატავდა და იგი დროის გადმოსაცემად ჩვეულებრივ არ იხმარებოდა⁶⁰. ისიც ირკვევა, რომ ამ ფუნქციით გან თანდებული ადრე მხოლოდ ნათესაობით ბრუნვასთან უნდა ხმარებულყო, მოქმედებითთან კი მისი გამოყენება შედარებით გვიანდელია. ამას გვაფიქრებინებს: 1. ძვ. ქართულში გამოსვლის პუნქტს კითხვაზე საიდან უნაკლოდ გადმოსცემდა ე. წ. დაწვებითი ბრუნვა (უთანდებულო, მოქმედებითი); 2. ხშირად ამ ფუნქციას გან თანდებულიანი ნათესაობით ასრულებდა; 3. გან თანდებულიანი მოქმედებით დაწვებითის შინაშეულობით ძველ ქართულის ადრინდელ ძეგლებში იშვიათია; 4. გან თანდებულიანი მოქმედებით ბრუნვის პირველადი ფუნქცია დროის გამოხატვა იყო, შემდეგში მას ადგილის გადმოცემაც დაეკარა.

8. დამ

მოქმედებით ბრუნვას ერთვის დამ თანდებულიც, იგი საშუალო ქართულში ვლინდება და გადმოდის ახალ ქართულში. გრამატიკულ ლიტერატურაში დამ მიჩნეული იყო გან თანდებულის სახეცვლად: ითგან → იდგან → იდან || იდამ (მარი, კარიჭაშვილი, ქუთათელაძე). ამჟამად უდავოდ გარკვეულია მისი გენეზისი არნ. ჩიქობავას მიერ⁶¹. იგი წერს: „თუ -ამ-იანი წარმოება (სოფლიდ-ამ) -ან-იანის (სოფლიდ-ან) დაუკავშირეთ, ის ამ უკანასკნელისაგან მიღებულიად უნდა ჩაეთვალოს (და არა პირუკუ)... მაგრამ თუ ასეა, სახლიდამ, სოფლიდამ მას შემდეგლა შეიძლებოდა მიგველო, რაც სახლიდამ, სოფლიდამ სახეობას მიაღწია მოვლენის განვითარებამ, ე. ი. ისტორიულად სახლიდამ, სოფლიდამ არ შეიძლება უსწრებდეს სახლიდან, სოფლიდან- ტიპს. ის მას უნდა მოხდევდეს. ნამდვილად კი -ამ ტიპი გაცილებით უფრო ადრე ჩნდება, ვინემ ის -ან, რომლისგან მიღებულიად ეს -ამ მიანიათ“⁶². -დამ თანდებული მიღებულია დაღმა ხმისხართისაგან. ამ უკანასკნელმა გამარტივების პროცესში გაიარა რამდენიმე საფეხური: დაღმა || დაღმე → დამე (|| დამა) → დამ⁶³. აი თორიდე მაგალითი: რამინ კო შკიდაღმან... დიანახა (ვისრ. 300); საყრიდაღმენ... წარმოვიდეთ (ქართ. ცხ. 896); კბილიდაღმე... მარგალიტის ფერი გამოქრთის (თეიმ. II, 192); ჩამობრუნდა მთიდამ (შანავაზ. 712)...

თ. ქორდანიაც დამ-ს გამო თანდებულისაგან მიღებულიად თვლიდა წყლ-იდამ = წყლ-ით-გამო⁶⁴. ერთი შეხედვით დამ-ის ამგვარად მიღება ადვილი ჩანს და თავისი ფონეტიკური ცვლილებით მოგვაგონებს მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისა და გან თანდებულის ცვლას (ითგან → იდგან → იდან); დაღმა || დაღმე → დამე → დამ პროცესი კი უფრო რთული და მრავალმხრივია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ იქნებოდა სწორი, უკანასკნელი უარგვეყო, რამდენადაც მისი ისტორიული განვითარების ყველა საფეხური თვალნათლივი ჩანს. დაღმა || დაღმე დამე დამ ფორმები „ისტორიულად დასტურდება შეცამეტე საუკუნიდან მეთვრამეტემდის (ჩარიცხვით)“⁶⁵.

9. ურთ

მოქმედებით ბრუნვასთან გამოიყენება ურთ თანდებულიც. გენეტიკურად იგი რიცხვით სახელს ერთ-ს უკავშირდება. ამ სახით გვევლინება იგი ძვ. ქართ. ურთიერთას-ში⁶⁶.

ძვ. ქართულის ძეგლებში ურთ ხშირია რააც კითხვით ნაცვალსახელთან, რომელიც კვლავ მოქ. ბრუნვაშია დასმული. მაგალითად: ვითარმე... სვეტაკ არს და რაათურთით სიშაჰვარა არს მისთანა (ფიზ. 35-7) ნ. მარი რაათურთით ფორმას არქაულად თვლის⁶⁷.

60. იხ. ქ. ძვ. წენიძე, გან თანდებულიანი მოქ. ბრ. ფუნქციისათვის ძვ. ქართულში, იკვ. I, 1946.
 61. ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენიმკის შიამბე, I, გვ. 55.
 62. იქვე, გვ. 57.
 63. იქვე, გვ. 62-63.
 64. ქართული გრამატიკა, გვ. 153.
 65. არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული, გვ. 63.
 66. H. Mapp, Γραμ., გვ. 33.



ზოგიერთ ძეგლში ურთ თანდებული მცდარი ანალიზის შედეგად თურთ-ადგილები და გვაქვს მაგალითები: სოფლებით-თურთ, ყოვლით-თურთ, ერთ-თურთ, მადლით-თურთ, წმიდით-თურთ (წარტყ. 72); ვცოდეთ, უფალო, მამით ჩუენით-თურთ (ჭილ-გბრ. 91 vs-6)– გრამატიკის ზოგიერთ ავტორსაც თურთ მიანდა თანდებულად (პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, დ. ყიფიანი). საუჭუოა, მათი მცდარი დასკვნის წყარო ყოფილიყო ძეგლების ზემომოყვანილი შემთხვევები, დ. ყიფიანის გაგებით თურთ პირდაპირ სახელობითს დაერთვის. აშკარაა, დასკვნა არასწორი ანალიზის შედეგია: მოქმედებითი ბრუნვის თვლებში ურთ თანდებულს აქვს მიკუთვნებული⁶⁸.

საშ. ქართულის ზოგიერთ ძეგლში და ვაჟა-ფშაველას ნაწერებშიც აქა-იქ ურთ თანდებული თ მოკვეცილად იხმარება ხოლმე; მაგალითად: დემურთან თქვენცა გყვხვს ძითურ გებულად (თამარიანი, XII, 76); ყოვლითურ თქვენთინ... გვიბოძებით (საქ. სიძე, II, 122)... სახლიც წაიღო ჭკერ ხოთურ (ვაჟა, IV, 53)...

ურთ თანდებული აღნიშნავს თან, ერთად, -იანად. მაგალითად: გარდამოვარდა ხატი იგი... სუეტითურთ (კიმ. 145-6); ხ ივ მოვაფითურთ განუშორა მათგან (პაემურთ, 374); მე და უსენი შეიღითურთ აწ ახლად დავიბადენით (ვ. ტ. 1120)...

არაიშვიათად უთანდებულო მოქმედებითაც არის გადმოცემული ეგვევ მნიშვნელობა. მაგალითად: აღმოვიდა ბაბილონით ძმად ცოლით-შვილით მისით (კიმ. 1622); მისი ცოლი და შვილები ქალით და ვაჟით მოგართოით (საქ. სიძე, I, 76)... ამიტომ გაუმართლებელი გეგვება კაცს პ. კვიციანიძის საყვედური ახალი მწერლების მიმართ, რომ ისინი არ ხმარობენ ურთ თანდებულს: „მოქმედებითს ბრუნვას ჯერდებიან და ერთი რამ უგვანობა გამოდის, მაგ. „ერთი მანდილოსანი პატარა ქალით ბაღში მოდიოდა“, „გლადსტონი თავის მეუღლით ნოთხიგვეში წავიდა“... თითქო პატარა ქალი, ან გლადსტონის მეუღლე ეტლი იყოს ან ცხენი“⁶⁹.

ახალ ქართულში ურთ თანდებული მართლაც იშვიათად იხმარება; მის მაგიერ ხშირად გვხვდება ასეთი ფორმები: ცოლშვილიანად, ქალებიანად და სხვ. ეტყობა, ასეთი ფორმები ურთ თანდებულის სრულიად განდევნიან ხმარებიდან.

10. მდე || მდის

ნ. მარის აზრით მდის || მდე-ში მ მსაზღვრელი ნაწევარია, დი || დე კი თანდებული. ეს უკანასკნელი უკავშირდება ხუნძური ენის მიმართულებითი ბრუნვის დე – დი ნიშნს⁷⁰.

ა. შანიძემ მართებულად მიიჩნია მდე || მდის თანდებულის ორ ნაწილად გაყოფა: მდე, მაგრამ არ გაიზიარა ნ. მარის აზრი მათი წარმოშობის შესახებ, თვითონ სწორად წარმოგიდგინა მდე თანდებულის გენეზისი: „მ მიღებულა ჩანს მი-სგან, რომელიც სახელებში თანდებულად არის გამოყენებული, ზმნებში კი – ზმნისწინად“... (მი-ვიდა, მი-უკუნისამდე), დე კი ნაშთი უნდა იყოს დდე სიტყვისა, „რომელიც თავდაპირველად ვითარებითის ფორმით უნდა ყოფილიყო, წარმოდგენილი: დდედ... მდე თანდებულის პირვანდელი სახე ყოფილა მი-დდედ... მდის მიღებულია მი-დის, ვ. ი. მი-დის-აგან, ე. ი. დდე სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის

ფორმისაგან, რომელსაც წინ მი აქვს დართული“⁷¹.

ძე. ქართულში გაბატონებულია მდე, არაიშვიათია მდის, სწორად უნდა მდინ-იც გვაქვს. ზოგიერთ ძეგლში იგი მდს სახითაც იხმარება. მაგალითად: მცენარეთამდს (ქებათა ქება, 900), ჟამადმდს (ფიხ. ბჰ), ნათესავადმდს (ხანძ. ბა)... ამ შემთხვევაში მ ე-სა და მ-ს ადრევის შედეგია, თუმცა ნ. მარი უიქრობდა, რომ „Быть может, существовал тогда говор с такою особенностью, и форма послелога дн (вм. დი г е s p. დე) соответственно древняя“⁷².

⁶⁷ Тексты и разъяснения по армяно-грузинской филологии, VI, გვ. XLIII.
⁶⁸ ვ. თოფურია, ბუნებრივი კომპლექსებისათვის: ენისმის მოამბე, I, გვ. 119.
⁶⁹ ქართული სწორმეტყველება, გვ. 155.
⁷⁰ Грамм., გვ. 63-64; მისივე. Непечатный источник истории Кавказского мира: ИАН, 1917, გვ. 309.
⁷¹ მდე თანდებულის გენეზისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 4, გვ. 369-371.
⁷² TP, VII, გვ. II.



მდინ გვევლინება მაგალითებში: ვუ შოღამე მდინ (Опис. 182); მოიღო მდინ (ქიმ. 179კ)...

საშ. ქართულში მდინ უკვე სისტემატურ ხმარებაშია, აქვე გვხვდება მდი ფორმაც: სამხრამდი (ვისრ. 137). ქვეყანამდი (ვ. ტ. 1374)... შანამეში ხშირად მდინს გვაქვს. მაგალითად: საღამომდინს ორთავე ერთმანეთსა სცეს (II, გვ. 43024); ძირით-თავამდინს მარ-ლილოთა ნაგები არის (424); კოჭთამდინს ჩასწვდებოდა (383); მთამდინს მიმეყვანეს (377)... შდრ. მტერის საქმისათვის და ძმის სიკვდილისათვის ნუ დაივრდები (იქვე, 426)...

ამ შემთხვევაში ს-ს დანიშნულება არა ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მდინ და მდინს - ამ ორი პარალელური ფორმის შერწყმის შედეგია: მდინ + ხ (შდრ. თვის და თვის -> თვის + ხ); ცხადია, ს გვიანდელი დანართია. ასევე შერწყმის შედეგია საშ. ქართულში ნახშირი მდინის: სამხრამდინს (ამირანდარეჯ. 47), შუგრამდინს (შანაგავ. 84)... ხოლო -ნ მოკვეცილია მდინის: ცამდინს (შან. II, 427); დაბლა მდინის (შანაგავ. 709)... -(ნ-ა) ელემენტდართულია მდინ: უკუნისამდინ (დოკუმენტ. 380)...

თითქმის ყველა ეს სახე შემოვიდა ახალ ქართულში: აქამდინს (დ. კლდ. I, 152), მანამდინს (არდაზ. 12); დიდიან საღამომდინს არ მქონდა მოსვენებაო (ხალხ.)... შემოდგომამდინ (ილია, 346)... ხელმოყვამდინ (ილია, III, 36)...

თანამდროვე სალიტერატურო ქართულში გაბატონებულია მდე და მდის. პრესა ცდილობს მდე გააბატონოს, მწერლები კი ერთსაც ხმარობენ და მეორესაც. კილოებში გვხვდება აგრეთვე: მდინ, მდი, მდენ, მდისინ, მდვინ. უკანასკნელში ვ-ს შ. ძიძიგური თვინის ანალოგიით ხსნის⁷³.

მდე || მდის მართავს ვითარებით ბრუნვას. ჯერ კიდევ ძვ. ქართულში ვითარებით ბრუნვის სრული ფორმის პარალელურად მდე ხშირად დ მოკვეცილსაც ერთოდა. მაგალითად: აღსასრულამდე სოფლისა (ქრესტ. 5), შუა დღემდე (ქიმ. 161)... საშ. ქართულის ადრინდელ ძეგლებში იშვიათად გვხვდება მდე თანდებულთან სრული ფორმის ვითარებითი (სიკვილიამდინს - ვ.ტ. 610)... ვრ. ორბელიანის ცადმდე არქაიზში.

მდე || მდის თანდებულთა ვითარებითი ბრუნვის დ ელემენტის დაკარგვამ გამოიწვია ერთგვარი გაუგებრობა. ზოგიერთ გრამატიკაში აღნიშნულია, რომ მდე თანდებული ნათესაობით ბრუნვას დაერთვის (დოლიაშვილი⁷⁴, ქუთათელაძე⁷⁵). პ. ფოტის ქართული ენის გრამატიკაში ამავე შეტანილია იმ თანდებულთა წყებაში, რომელნიც სახელობითსა და მიცემით ბრუნვასთან იხმარებიან⁷⁶.

აღ. ცაგარელი შეცდომით წერს, რომ მდე, მდინ თანდებული სახელობითს დაერთვის და ი-ზე დაბოლოებული სახელები ამ ხმოვანს ად გადააქცევენ⁷⁷.

ვითარებითში დ-ს დაკარგვის მიზეზი დასაბუთებული აქვს პ. კვიციანიძეს: „მდე ითხოვს ცვალებითს ბრუნვას: ქალაქამდე... რათგან ორი დ-დ-ს გამოთქმა ენისათვის საძველოა, ამისთვის პირველი მათგანი ფონეტიკურათ სპობილა და ვამბობთ: ქალაქამდე“⁷⁸...

მდე || მდის თანდებულის ფუნქციაა გამოხატოს „გარკვეულ პუნქტამდე მიწვევა“ ადგილისა, დროისა და რაოდენობის მიხედვით⁷⁹. მაგალითად: მეორედ მოსვლამდე ქრისტმსა (ხანძი. მაი); თმა კოჭამდის ჩასდიოდა (თეიმ. II, 192); ჭარი მოკლა ოცამდინსინ, რისხუა მათზე მოაწინა (შანაგავ. 240)...

მდე თანდებულის გამოყენებისას ზოგჯერ სახელს წინ ერთის ვიდრე ან კიდევ მი. მო ნაწილაკი: ვიდრე ცეცხლისა შემთხვევამდე კლოცოდეს (სვეს. 3358); მისაზღვრადმდე ქაღალისა (პაბო, 66); მოაქამომდე (ახ. ქართ. ცხ. 7); ხაზინა ჩემი გავრცელდა ვიდრე ოცდაათ თუმნამდის (არდაზ. 24)...

⁷³ ქართ. ენის მთარაჯ. დილაქტის ძირითადი თავისებურებანი: ენისკის მოამბე, II, 77.
⁷⁴ შემოკლებული ქართული გრამატიკა, გვ. 64.
⁷⁵ პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, 121.
⁷⁶ Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, გვ. 56.
⁷⁷ Сведения, I, вып. III, გვ. 74.
⁷⁸ ქართული სწორმეტყველება, გვ. 154.
⁷⁹ ა. შანიძე, მდე თანდებული გუნვისათვის, გვ. 362.

II. ვით

სხვებთან ერთად პ. ფოგტმა აღნიშნა, რომ ვით არის ვინ ნაცვალსახელის მიქ. ბრუნვის ფორმა⁸⁰.

სხვა თანდებულებთან შედარებით ვით თავისებურია, ჯერ ერთი, იმით, რომ იგი ირიბი ბრუნვების (მიცემითი, ნათესაობით) გარდა სახელობით ბრუნვასაც ერთვის, რაც უჩვეულოა ქართული თანდებულისათვის და საერთოდ წინდებულების მქონე სხვა ენებისთვისაც: მეორეცაა, ეს თანდებული ბრუნვაში მართვის მხრივ განასხვავებს ბოლოსმოვნიან და ბოლოთან-ხმოვნიან სახელებს ერთმანეთისაგან. ალბათ ამით აიხსნება ის ეჭვი, რომელიც ადრევე იყო გამოთქმული გრამატიკულ ლიტერატურაში მისი თანდებულების შესახებ (კარიჭაშვილი, იოსელიანი, ჩუბინაშვილი).

მართლაც, საშ. ქართულში ვითა ზმნისართი იყო, იგი კავშირის ფუნქციასაც ასრულებდა, მაგრამ ეს გარემოება მას ხელს არ უშლიდა თანდებულის მოვალეობაც შეესრულებინა. იგი სიტყვას ყოველთვის წინ უძღოდა. ახ. ქართულში მას ა მოკვეცვა და აღნიშნული სამი ფუნქციიდან უკანასკნელია შემორჩა და ჩვეულებრივ სახელის შემდეგ მოექცა. ზოგიერთ კონტექსტში ვითს ეკვეცება ბოლო თანხმოვანიც: შაშვიცი (ხევ. პოეზ. 106), ტურასვი, კდარვი, ჩემსვი (ინგილოური)⁸¹.

საშ. ქართულის ადრინდელ ძეგლებში ვითა, როგორც თანდებული, არა ჩანს. მაგალითად, ვუფხისტყაოსანში იგი მხოლოდ კავშირისა და ზმნისართის ფუნქციას ასრულებს. შანამეში შეღანდება მისი თანდებულად ქვევის ტენდენცია. აქ მას ადგილი უცვლია, სახელის შემდეგ გადასულა, მაგრამ სახელს ჯერ კიდევ არ შერწყმია, მაგალითად: მიწის პირი სისხლის ზღვა ვითა დღეღადა (II, გვ. 422); გაგზავნილი, ქარი ვითა, წაიდა (იქვე, 402); მოკახმეს ქალაქი სამოთხე ვითა (იქვე, 400); სისხლი რუ ვითა ვადინოთ (იქვე, 426) და სხვ. მთარაგულში ფუტეხმოვნიან სახელებთან ასეთი ფორმები დღესაც იხმარება: ხევიო, მხევიო, გუნდა-ვიო⁸².

კავშირად ხმარებისას ვით ყოველთვის წინ უძღვის სახელს. ამიტომ სწორედ ადგილის შენაცვლება უნდა იყოს პირველი მიზანი მისი გათანდებულებისა.

ვით თანდებული იმასვე აღნიშნავს, რასაც სიტყვა როგორც: მიუთითებს მხგავსებაზე. იგი სამ ბრუნვასთან იხმარება: ბოლოსმოვნიან სახელებსა და ნაცვალსახელებს მხოლოდ მიცემით ბრუნვაში დაერთვის, ბოლოთანხმოვნიან სახელებს კი - მიცემითსა, ნათესაობითსა და სახელობითში.

მაგალითები: ვით მიცემით ბრუნვასთან: დედასავით უფვარდი (ვისრ.); შაქრის ვინუდ-სავით ტკბილად შეგაბერთ (ილია, 354)... ნათესაობითთან: ერთი თუთი ძვეანდა, ადამიანი-სავით ღაპარაკებდა ვართვინილი (თეიმ. II, 159), შვილისავით გავზარდეო (საქ. სიმე. II, 53); ხევის ბერისავით (ილია, 475), გიჟისავით (ყაზ. 102)... ბოლოსმოვნიანთანაც: დედასავით (ილია, III, 52)...

გრამატიკის ზოგი ავტორი ცდილობდა შემოეღო ვით თანდებულის ხმარების გარკვეული წესი. ასე, მაგალითად, ს. ხუნდაძის მიხედვით „თუ თანდებული ვით ი-ზე დაბოლოებულ სახელთან არის ნახმარი, მაშინ ხან სახელობითს თხოულობს და ხან მიცემითს; მაგალითად: ეს ბავშვი ყურდგელით ზის, ამ ბავშვი ყურდგელსავით სიხანს. ამ შემთხვევაში ვით იმ ბრუნვას თხოულობს, რომელშიც ქვემდებარეა დასმული, ე. ი. აქ ბრუნვა შემასმენელზეა დამოკიდებული“⁸³.

ასე მსჯელობდა ი. ნიკოლაიშვილიც⁸⁴. მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, რომ ვით თანდებულის მიერ ბრუნვის მართვა სრულიად არაა დამოკიდებული შემასმენელზე. წინადადებაში თანდებულს შეუძლია ბრუნვა შეცვალოს: სახელობითის მაგიერ მიცემითს დაერთოს და პირიქით, მაგრამ სინტაქსურად და მნიშვნელო-

⁸⁰ Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, გვ. 64.
⁸¹ შ. ჯანაშვილი, ხინგილო: ძველი საქართველო, II, გვ. 232.
⁸² შ. ძიძიგური, ქართ. ენის მთარაგ. დიალექტის თავისებურებანი, გვ. 77.
⁸³ ქართული გრამატიკა, მეორე გამოცემა, 1907, გვ. 52.
⁸⁴ ქართული ენის გრამატიკა, 1927, გვ. 105.

II. ცალკე მდგომარეობაში თანდებულები

1. გამო

გამო თითქმის იშლება: გა+მო. გა აღბობ იგივეა, რაც გან ზმნისწინი და თანდებულები. გა წარმოდგენილია ზმნისარტემში: გარე, გარე-მო, გარე-შე, გარ-და (← გარე-და), გარ-ნა (← გარე-ნა). მეორე ნაწილიც მო იგივეა, რაც წინდებულ-თანდებულები და ზმნისწინი მო (მო-ვიდა, მო-აქვამოდე, ჩემდა-მო; შდრ. გარე-მო, გარე-მო, ზეგარდა-მო).

ძველსა და საშუალო ქართულში გამო მოქმედებით და ნათესაობით ბრუნვისთანავე იხმარებოდა. ბრუნვითა მიხედვით ამ თანდებულების ფუნქციაც განსხვავებული იყო. მოქმედებითთან, კითხვაზე საიდან აღვიღს, გამოხავდა კუნქტს აღნიშნავდა, ნათესაობითთან კი, კითხვაზე რის გამო, რა მიზეზით – მიზეზის გარემოებას გადმოცემდა.

მაგალითად: მოქმედებითთან: კმაჲ პიელ ზეცით გამო (პაემუტი, 369); დაჯდა და ანწავებდა ერსა მას ნაეთით გამო (იქვე, 383); მუნ ხმა იყო ღრუბლით გამო (თეიმ. II, 31)... ნათესაობითთან: ხაწ ამის იუდაას გამო ახოვ ვიდევნები (ქრესტ. 523)...

გამო თანდებულის შედგენილობიდან ჩანს, რომ თავდაპირველი მისი ფუნქცია გამოხავალი პუნქტის გადმოცემა უნდა ყოფილიყო. მიზეზის გარემოების ფუნქცია კი უფრო გვიანდელია. შემდეგში პირველი ფუნქციის გადმოცემა გან თანდებულებთან მოქმედებით დაკავშირდა (რაც ისედაც აქონდა) და ახ. ქართულში გამო-ს დაუშკვიდრდა მეორე – მიზეზის გარემოების აღნიშვნა. მაგალითად: კუჭის ხისუსტის გამო ყურძნის ჭამა ატკბალელი აქონდა (აკაკი, 378); ჩემის ერთგულობის გამო ბევრს შექმულდი (ილია, 349)...

2. შორის, შუა

ძე. ქართულში ორი სახით იხმარება: შორის, შოვრის. ნ. მარი ამ თანდებულს უკავშირებს *შოვარ || შუვალ ← *შუვან ფუძეს. ამასთან ერთად ავტორი ასახელებს ახალ ქართულში შენახულ შვან-ის, რომელიც მომდინარეობს შუვან-იდან და რომლის პარალელური ფორმაა შუვალ (განსხვავება ბოლოკიდურ თანხმოვნებშია), ხოლო ეს უკანასკნელი იგივე ფუძეა, რომელიც გვაქვს საშუალო-ში. ჯერ კიდევ ძე. ქართულში დიაკრიზა ბოლოკიდური ნი || დ ნა მივიდეთ შუა, აქედან დიალექტური შვა(ში). ავტორი ამ შვა-ს ახალ ქართულის ფორმად წარმოვიდგენს. ნ. მარის აზრთა მსვლელობა სქემატურად ასეთია: შოვრის ← *შოვარ || შუვალ ← *შუვან; ამასთან დაკავშირებით: შვან [← *შუვან] || შუვალ (← ხა-შუვალ-ო) → შუა → შვა⁸⁶.

ადგილის მიხედვით ახალ ქართულში შორის თანდებულები ჩვეულებრივ სახელის შემდგომ იხმარება, ძე. ქართულში კი იგი უფრო ხშირად სახელის წინ იყო, ხოლო მე-სამე პირის ნაცვალსახელთან (მხ. რიცხ.) ჩვეულებრივ სახელის შემდეგ ჩანს.

მართვის მხრივ ყველა სახელს მიცემით ბრუნვაში მოითხოვდა, III პ. ნაცვალსახელს კი – ნათესაობითში. მაგალითად: დამკვდრებულ არს ღმერთი მის შორის (კიმ. 234₃₂₋₃₃); შიში მკვდრ იყო მის შორის (ხანძო. იბე)... ამგვარსავე შემთხვევებს ეხვლებით საშუაღსა და ახალ ქართულშიც.

ახალ ქართულში ბოლოთანხმოვანი სახელი ზოგჯერ კარგავს მიცემითის ნიშანს. მაგალითად: ოთახის კედლებ შორის მომწვევული თინა შიშისაგან გამხდარიყო (ქიან. 27).

შორის თანდებულები აღნიშნავს ადგილს: მდინარე სისხლისა დიოდა შორის ქალაქსა (წარტე. ზე); დაღა შორის საჭუმელსა მას (თეკ. 105); არავინ არს ნათესავსა შენსა შოვრის, რელსა პრქვან სახელი ეგე (პაემუტი, 381); შეიქმნა დიდი თქმულობა მეფესა, ვაზირსა და რუქას შორის (სიბრძნე ხიცრ. 70₂₈)... დადაგ დედასა და

⁸⁵ დაწერილობით თ. შარაქნიძე, ვით თანდებულები ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X.

⁸⁶ Пам., გვ. 33-34.

შვილს შორის მიძიმე სინიუმე (გ. წერ. 81)...

მოგვიანო ქართულში ამ ფუნქციით ხშირად შუა || შუგა-ც იხმარება და ზოგჯერ ცვლის კიდევ მას. მაგალითად: ცასა და ქვეყანას შუგა (საქ. სიძე. I, 13922); ჩვენს შუგა (გურამ. 20262)... ჩამოვარდა შური კას ბატონსა და... სვიმონს შუა (ქართ. ცხ. 956); სოფელში გაზრდილ და ქალაქში მყოფ ბავშვებს შუა ისეთი განსხვავებაა, როგორც ნამდვილსა და მის აზრდილს შუა (აკაკი, 350)... 1647წ. იმერულ დოკუმენტში დასტურდება შუგა-ც: ამა ზღურების შუა შენთვის გვიბოძებია (დოკუმენტ. 674).

შუა ჩვეულებრივ ორ სახელს შორის გვევლინება, ერთ სახელთან კი მაშინ შეიძლება იყოს, თუ იგი მრავლობითშია⁸⁷.

ადგილის აღსანიშნად ძვ. ქართულში შორის-თან ერთად გამოყენებულია აგრეთვე საშუალ || საშუგალ. მაგალითად: ეპოვეთ საშუგალ ქალაქსა ორას სამოც (წარტყ. 82); რმდინარმ ცეცხლისა დის საშუალ მათსა (ბოლნ. 73)...

შუგა-ც სახელს მიცემითში დაერთვის, მაგრამ ახ. ქართულში არაიშეითია მისი ნათესაობით ბრუნვასთან გამოყენების შემთხვევა. მაგალითად: ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან ვადებულნი (აკაკი, 288). ორი სახელიდან ზოგჯერ ერთი მიცემითშია და მეორე ნათესაობითში: რომელ არს ძაღლისა და ჭაპურს შუა (ახ. ქართ. ცხ. 5213-14).

ახ. ქართულში შუა თანდებულთან ბოლოთანხმოვნიანი სახელი ზოგჯერ კარგავს მიცემითის სნიშანს. მაგალითად: წარბე-შუა (ილია, III, 99); ადგილებ შუა (ყაზბ. 22); ფოთლებ და ბუნქებ შუა გამოჩნდა (ილია, 306)...

3. თვნიერ

თვნიერ მოდის ძვ. ქართულიდან მოყოლებული თითქმის მე-19 ს-მდის. ახალ ქართულში მას შეენაცვლა გარდა. მისი შედგენილობა ასეთია: თუ-ინ-იერ, თუინ ვფარდება თუის-ს და იშლება თუ ძირად და ინ ფორმანტად, იერ კი იეივეა, რაც მი-იერ, მა-იერ, იმ-იერ-ში გეაქვს. ნ. მარით ერ ← *ჰერ || *იერ⁸⁸, რაც სწორი არ უნდა იყოს. ნამდვილად იერ ← იე-ერ (შდრ. ძლივ; ძლიერ).

თვნიერ ყოველთვის სახელის წინ იხმარებოდა, მართავედა მას ნათესაობითში და აღნიშნავედა იმასვე, რასაც ამჟამად გარდა, გარეშე, უმისოდ (საბა). მაგალითად: ერმცა გამოვიდა მუცლისგან შეილი თვნიერ მამაკაცისა (კიმ. 17920-21); რამცა მოუვლინა ნეტარი იოვანე თვნიერ შფოთისა ანტიოქელთაგან (ქრესტ. 558); არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა, თვნიერ ქართულისა (ქართ. ცხ. 3224-25);

ზმნისართადაც გამოყენებულია ზოგ კონტექსტში თვნიერ, მაგალითად: მოსრეს ყოველი ნათესავი მათი, თვნიერ დაშოეს ორნი შვილნი მათნი (ქართ. ცხ. 5826-27)...

საშ. საუკუნეთა დოკუმენტებში თვნიერ-თან გვევლება კიდევ ღართული-გან თანდებულისა სახელი. მაგალითად: არაჲინ გვიბრძანებია მშველი და მაცილებელი თვინიერ თანადგომისაგან კიდევ (დოკუმენტ. 151); ნუ მოუშლით თვინიარ (sic) შეწვევისა და თანადგომისაგან კიდევ (იქვე, 137).

მნიშვნელობის გასაძლიერებლად თვნიერ-ისგან მართულ სახელს ზოგჯერ ემატება მეტი: არაჲინ იყოს ამისი მცილე და მოდავე თვინიერ ღთის მეტი (საქ. სიძე. I, 140)...

4. გარდა

გარდა საშ. ქართულში გამოვლინდა. ძველი ქართულის ძეგლებში იგი არ იყო: იქ თვნიერ იყო გამოყენებული.

გარდა გვეტურად გარე-ს-ს უკავშირდება. ნ. მარის აზრით, გარ (←-კარ) ძირმა, რო-

⁸⁷ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, გვ. 32.

⁸⁸ Грам., გვ. 32.



ქართული ენის
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

მელიც თავდაპირველად კარებს აღნიშნავდა, მიმართულებითში მოგვცა გაქვამეზღვევით
გარდა⁸⁹. სინამდვილეში კი იგი სხვაგვარი შედეგინლობისა ჩანს: გარდა — გარდა (ასე-
ვე: გარნა — გარუნა). ძირეული მასალაა გა (შდრ. გარე, გამო).

გარდას ადგილი თავისუფალია: სახელის წინაც იხმარება და შემდეგაც, როცა მოს-
დევს სახელად, უკანასკნელი მიცემით ბრუნვაშიც შეიძლება იყოს და ნათესაობითშიც.
მაგალითად, მიც: ნასილობის წიგნს გარდა ერთი ხმალი ვიბოძეთ (ლოკუმენტ. 561); მა-
მულს გარდა რაც ნივთი დარჩება, სამად ვაიყოფა (საქ. სიძე. III, 139)... მცირეოდენ ნა-
წილს გარდა, ყველამ იცოდა (ინ. I, 45)...

ნათ: ხაყდრის ყმის გარდა... ნურას კაცს ნუ დაიანებებ (ლოკუმენტ. 587) სიკვდილს არ-
ჩვედა, ვინემ ღვეჯანის გარდა სხვას მისთხოვებოდა (ქიან. 71)... აქვე უნდა შევნიშნოთ,
რომ ეს / ვგ ჩვენებით ნაცვალსახელთან გარდა ჩვეულებრივ მიცემითთან და ზოგჯერ ნა-
თესაობითთან იხმარება, ის / იგი ნაცვალსახელთან კი — ნათესაობითთან. მაგალითად:
ამას გარდა ცხენი მოუკულა (საქ. სიძე. III, 88); ამას გარდა რაც წლის ჭირნახული
ჰქონდა, მესამედი გამოიღო (გ. წიგ. 15)... ამის გარდა ესეც მოტყუებით მომიხდა (საქ. სიძე.
159)... მაგრამ: იმის გარდა... კიდევ სხვა გამოვევროს (საქ. სიძე. I, 154); მის გარდა
ყველა მასწავლებელს ვუყვარდი (აკაკი, 396)...

გარდა თუ წინ არის, სახელს ყოველთვის ნათესაობითში მოითხოვს: ყოველივე კუ-
თილად შეიცვლება, გარდა დღის... სიკვდილისა (გრ. ორბ. I, 10); ეს ბავშვური სცნუ-
ბი... სუყველას მოეწონა გარდა მორუაგისა (აკაკი, 384)...

თუნდაც თანდებულსა და მის მიერ მართულ სახელს შორის რამდენიმე მსახვერეული ჩა-
ერთოს, ნათ. ბრუნვაში მართვა მაინც არ არის დარღვეული. მაგალითად: გარდა დარეჯან
ბატონშვილის უფროსი ვაჟისა, უკანვე დააბრუნეს გზიდან (აკაკი, 358)...

საშ. საუკუნეთა ძველებში, უმთავრესად კი ლოკუმენტებში, გარდა-თი მართულ ჩვენე-
ბით ნაცვალსახელს და კავშირი შეერწყმის და ვიღებთ: ამასღა გარდა. მაგალითად:
ამასღა გარდა... ბრძანებულ ვიქმენით... და აღვასრულეთ სიტყვა (საქ. სიძე. II, 10122-24);
ამასღა გარდა სხვა გამოსაღები არც არა თქვენა გუბოვით (ლოკუმენტ. 387)... ამავე ძვე-
ლებში გარდა თანდებული ნათ. და ნანათესაობითარ ვითარებითშიც გვხვდება. მაგალითად:
კიდევც ამას გარდაის შეგოწყალეთ (საქ. სიძე. II, 277); ამასღა გარდაისხდა... (ლოკუ-
მენტ. 124)...

5. წილ

მოდის ძველიდან მოყოლებული მე-19 ს.-დის. მას ვხვდებით ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბე-
ლიანის, აღ. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ზოგიერთ ღვექსში, ვითარცა გარდმონაშთს. მაგა-
ლითად: ხატრეთის ცრემლის წილ ...დამეცემიან ციურნი (ჯვარნი (ბარათაშე. 292); შენ
წამლის წილ მყის მომაჰყარ დანა გულს (ა. ჭავჭ. 3); ღვიინის წილ — კვასი, მხისა
წილ — ყინვა (გრ. ორბ. 34); ტკბილის წილ ხმასა მწარეს ნადვლით სავსე ნადვლად ვის-
მენ (აკაკი, 48)...

თანამედროვე ქართულში ხმარებაში აღარაა, თუ არ ძველ გამოთქმებში: ხისხლი ხის-
ხლისა წილ; თვალი თვალისა წილ.

წილ თანდებული ყოველთვის სახელის შემდგომ იხმარება და მას მართავს ნათე-
საობით ბრუნვაში. წილი სახელია, ამიტომ ბუნებრივია, რომ მის მიერ სახელის მართვა
ისეთივე ხასიათისა იყოს, როგორც სახელის მიერ სახელის მართვა. იგი სახელის მნიშვნე-
ლობით დღესაც ცოცხალია. აღნიშნულ ოთხთავში ვითხულობთ: ხილო ჯურას-აცუეს იგი, გა-
ნიყვს ღამისელი მისი წილით, რათა აღესრულოს თქმული წინასწარმეტყუელისა; ვანიყ-
ვეს სამოსელი ჩემი და თავისა მათისა და კუარტისა ჩემსა ზედა წილ იგდეს (მთ. 27, 35);
წილ იგდეს=ახ. ქართულით წილი ყარეს.

წილი ხაშუალსა და ახალ ქართულში იხმარება კუთხილი ნაწილის მნიშვნელობით. მა-
გალითად: თვისი წილი მიუღია... მისწვლელისათვის მიეცა (საქ. სიძე. II, 1082-3); დღესამს
თვისი წილი გაუჯზავენ (ჟილია, 320)... წილ-ს შეიცავს ნაწილი და ორივე ერთი და იგი-
ვეა ამ წინადადებაში: შენი წილი და ნაწილი გუდანს გასაყო რწყებისა (ხევს. პოეზ. 19)...

⁸⁹ იქვე, 32, 165.



დოკუმენტებში წილ-ს ზოგჯერ ენაცვლება კერძი. მაგალითად, გიბოძეთ...
კერძი (=წილი) მამული (საქ. სიძე, II, 67)...

წილ თანდებულის ფუნქციაა გამოხატოს მაგიერობა და უდრის მაგიერ, ნაცვლად. მაგალითად: სიყუარულისა ჩემისა წილ მასმენდეს მე (ქრესტ. 43); ახარეთ რაქვლს გოდებისა წილ გალობა (სასულ. აბ); დაჯდა მის წილ მშ მისი (პაბო, 63); ძვლისა წილ სიღენძი ჩაუგდევ (სიბრძნე სიერ. 95)... ნაწილობრივ საშ. ქართულში, მთლიანად კი ახ. ქართულში წილ-ის ფუნქციას ასრულებს ნაცვლად და მაგიერ.

6. წიად

შედგენილობით არის წიად: წი იგივე ჩანს, რაც წინ, წინაშე თანდებულებშია, აღ კი ცნობილი პრეფერბია. იგი გამოყენებულია ძველსა და საშუალ ქართულში, ახალმა ქართულმა არ იცის. წიად ისე გამოვიდა ხმარებიდან, რომ ძველსა და საშ. ქართულში ხაცხებით არც კი იყო ჩამოყალიბებული თანდებულად. მას უფრო მეტად ზმნისართული მნიშვნელობა ჰქონდა და ამავე დროს იგი არცთუ ხშირად გამოიყენებოდა.

წიად თანდებული მიცემითსა და ნათესაობითთან გვევლინებოდა. იხმარებოდა ჩვეულებრივ წყაღთან (ხელახთან, მდინარესთან) დაკავშირებით და აღნიშნავდა ადგილს. მაგალითად: მოვიდა წიად ზღუასა მას (პაემტი, 374); განვიდა ქვეშით კერძო წიად მდინარისა მის (ქართ. ცხ. 917)... ამიტომია, ა. შანიძე ვარაუდობს, რომ „ეს წიად წარმოდგარო ჩანს წყლის აღ-ისაგან“⁹⁰.

7. მიერ

ამ თანდებულის მ ნაცვალსახელური ძირია, იერ კი რთული სუფიქსია: -იერ.

სახელს მართავს ნათესაობით ბრუნვაში და აღნიშნავს ვისგან ან რისგან ხდება მოქმედება. ვისი საშუალებით წარმოებს მოქმედება. მიუთითებს მოქმედების ჩამდენზე. მაგალითად: კანჯარო... შოიღისა ოღისა მიერ (კიმ. 143); ვარსკულად-ვისა მიერ ეუწა შობა (სასულ. 13)...

ამ ფუნქციით განსაკუთრებით საშ. ქართულში ხშირად გან თანდებული იხმარება (გვ. 229).

არაა სწორი, თითქოს ეს თანდებული ძე. ქართულში მოქმედებით ბრუნვასაც ერთოდა (ნ. მარი და მ. ბრიერი)⁹¹. ამ შემთხვევაში ალბათ მხედველობაშია მიღებული ასეთი მაგალითები: გარდამოვედით მიერ კოშკით (კიმ. 30); გარდამოვიდოდა იგი მიერ ტაძრით (ბოლნ. 5524). ასე რომ იყოს, მაშინ მიერ ვითარებით ბრუნვასთანაც უნდა გვევარაუდებინა. მაგალითად: რათა განუტეოს... მიერ ქუეყანად აფხაზეთისა (პაბო, 653). ფაქტიურად აქ მიერ ზმნისართია; იგი დამოუკიდებელი მნიშვნელობისაა. ძველ ქართულში მიერ-თან ერთად ხმარებაშია მაგიერ.

თ. ჟორდანიასა და არ. ქუთათელაძის მიერ ასევე უმართებულად არის გამოცხადებული თანდებულად ამიერ და იმიერ ზმნისართები⁹².

8. მაგიერ

მაგ-იერ ისეთივე შემადგენლობისაა, როგორც მიერ (მაგ ნაცვალსახელური ძირია).

თანდებულის ფუნქციით და იმ გაგებით, როგორც მას ამჟამად აქვს, საშ. ქართულში ვლინდება⁹³. იგი ნიშნავს ნაცვლად. ძე. ქართულში სწორედ ეს უკანასკნელი იხმარებოდა მაგიერის ადგილას.

სახელს მართავს ნათესაობით ბრუნვაში: ქება შეასხა რამინს და აგრე მიუწერა ვისის მაგიერ (ვისნ. 20413-14) — კაცის მაგიერ ტომარა ჩამოკიდეს (ილია, III, 15)...

⁹⁰ ქართ. გრამ. საფუძვლ. I, გვ. 255.

⁹¹ La langue géorgienne, გვ. 343.

⁹² თ. ჟორდანიას, ქართული გრამატიკა, გვ. 155. ა. ქუთათელაძე, პირველ დაწვებითი ქართული გრამატიკა, გვ. 121.

⁹³ ძე. ქართულში კი თითო-ორიოდა შემთხვევაა ამისა: პრჭა მეფისა მაგიერ (კიმ. 856).



ჩემ ნაცვალსახელთან მაგიერ-ის შერწყმისას მოსალოდნელი ორი მ-დან უმრავლეს შემთხვევაში მ რჩება, მაგალითად: მოაჯსნენ ჩემაგიერ რამის (ვისრ. 299); ვერე უთხარ (სიბრძნე სიცრ. 103).

დოკუმენტებში დასტურდება მაგიარ და მაგიარად (როგორც ეს მოის კილოებშია: იერ → იარ; ხუთი თომანი ზაღის წილის ყმის მაგიარ გველი (დოკუმენტ. 593); სხვა სანუქრის მაგიარად თქვენ განუქეთ კუბალი (sic) ნაცვალაშვილი მოძღვარა (იქვე, 178)...

9. მიმართ, მომართ

ამ თანდებულებში მი და მო გამოიყოფა და შერჩენილი აქვს მიმართულების მნიშვნელობა. ძვ. ქართულიდან მოყოლებული დღემდე დაცულია წესი, რომ პირველი პირის ნაცვალსახელთან (ჩემ, ჩვენ) მომართ იხმარება, მეორე და შესაძლებლობა კი – მიმართ, თუმცა ეს წესი ზოგჯერ ირღვევა: პირიქითაც გვხვდება.

მიმართ და მომართ ჩვეულებრივ სახელს მოსდევს ხოლმე, ძვ. ქართულში სპორადულად მის წინაც იხმარება. მაგ: მიმართ აპოლონისა (კიმ. 136); მიმართ ღთისა (Onuc. 29) და სხვ.

ძვ. ქართულში ერთის ნანათესაობითარ ვითარებითსა და ვითარებითს, თანამედროვე ქართულში კი მხოლოდ ნათესაობითს. ორივე შემთხვევაში აღნიშნავს მიმართულებას. მაგალითად: ილოცა ღთისა მიმართ (კიმ.346)... აღუტევებდა კმასა ცად მიმართ (ანკოქ. 86); [არისტო] უკან გამობრუნდა გინებითა და ღანძღვით მახინიძლის მიმართ (დ. კლდ. 182)...

III. ზმნისართული თანდებულები

ქართულში ერთი წყება ზმნისართებისა თავისუფლად ითავსებს თანდებულის ფუნქციასაც. ცხენი სინტაქსურად არ განსხვავდება მათგან: თანდებულის მსგავსად უშუალოდ დაერთვიან სახელს ამა თუ იმ ბრუნვაში და კარგავენ დამოუკიდებლობას.

ზმნისართში თანდებულის ფუნქციის შეთავსება სრულიად ბუნებრივია, რადგანაც რიგი თანდებული და ზმნისართი ლექსიკურად ერთია. შემთხვევითი არაა, რომ როგორც ქართულში, ისე სხვა ენებშიც თანდებულთა ფუნქციით მხოლოდ ადგილისა და დროის ზმნისართთა გამოყენებული, სხვები კი არა, რადგანაც ისინი ლექსიკურად არ შეესატყვისებიან თანდებულს.

თუკი ზოგიერთი ზმნისართი თანდებულად გამოიყენება, რით უნდა განვასხვაოთ ეს ორი გრამატიკული ერთეული – ზმნისართი და თანდებული ერთმანეთისგან? სხვა ნიშნებთან ერთად მთავარია ბრუნვაში მართვა. თანდებული სახელს მართავს ბრუნვაში; თუკი ასეთი ძალა ზმნისართსაც აღმოაჩნდება, მაშინ მას შეიძლება ვუწოდოთ ზმნისართული თანდებული – ზმნისართული თანდებულებია:

1. გარეშე გარეთ

ძვ. ქართულში ყოველთვის წინ უძღვის სახელს, თანამედროვე ქართულში კი მოსდევს. ორივე შემთხვევაში მოითხოვს მიცემითს.

ძველად მას ორი მნიშვნელობა ჰქონდა: ა) უჩვენებდა ადგილს და უდრიდა გარეთ-ს. მაგალითად: ...რ~ლსა ეწოდა კანობ გარეშე ქალაქსა (კიმ. 1089); პოვა აღამი... გარეშე სამოთხესა მას ე~ა ცხოვარი გარეშე ბაქსა (Onuc. 40). ამ მნიშვნელობით ძველსა და საშ. ქართულში იხმარებოდა აგრეთვე გარეშე: მაგალითად, ზმნისართად: ვ~დ გამოვიდეს გარეშე ზრახვა ყვეს მისივს (ქრესტ. 21); თანდებულად: რამეთუ ვაქსენ ეკლსა გარეშე და (ქართ. ცხ. 1892-3)...

საშ. ქართულშივე გარეშე-სა და გარე-ს ენაცვლება გარეთ ზმნისართი და მხოლოდ ეს უკანასკნელი იხმარება თანამედროვე ქართულში. გარეთ გვხვდება სახელის შემდეგ მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვასთან. მაგალითად: ქალაქს გარეთ ქარავანი ახლოს დადგა (სიბრძნე სიცრ. 143); გავიქციე ქალაქს გარეთ (არდაზ. 23)... საყდრის გარეთ ეხოში შეყარენით (საქ. სიძვ. I, 199); ცხოვრების წრის გარეთ გამადგარვიყვით (ილია, IV, 66)...



ბ) უდრიდა გარდა თანდებულს. წინ იხმარებოდა თუ შემდეგ, სახელს მოითხოვდა ბრუნვაში, სპორადულად მიცემითშიც. მაგალითად: არა გარეშე საღმრთოსა განგებისა იქმნა საქმე ესე (ანტიოქ. 6731-32); გარეშე შენისა... არავინ ვაკურთხოთ (კიმ. 129).

საშ. საუკუნეთა ძველებში, განსაკუთრებით კი დოკუმენტებში, და სპორადულად ყაზბეგის ნაწერებშიც გარეთ იხმარება გარეშე და გარდა თანდებულის ფუნქციით. მაგალითად: ამას გარდაისად, რაც აგრე რიგი საყდრის ყმას გარეთ ანუ აზნაურიშვილი და გლეხი ვსახლოს. ისინიც ისრეე მოუშლელად იყუნენ (დოკუმენტ. 38); მამულ გარეთ ყველა დავანებე (საქ. სიძე. I, 114); იმ ქალის გარეთ მონადირის დედასთანაც მიიბრუნეს (ყაზბ. 74)...

2. გარშემო

ეხვეც ადგილს აღნიშნავს. -მო მის მნიშვნელობას აზუსტებს. გარშემო გამოხატავს ირგვლივ და ეს უკანასკნელი ზოგჯერ ენაცვლება კიდევც.

გარშემო საშუალება და ახალ ქართულში იხმარება, ძველ ქართულში კი ამ მნიშვნელობის გადმოცემა ჩვეულებრივ ეკისრებოდა ზმნას, რომელსაც მი-მო ზმნისწინი ერთოდა. საშ. საუკუნის ძველებსა და ი. ჰავეჭავაძის ნაწერებშიც გარშემოს პარალელურად გარეშემოც იხმარება. ორივე ჩვეულებრივ ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს. მაგალითად: იქილამა თეთრ ციხის გარეშემო დავწვით ალაბუტი (ქართ. ცხ. 946); ამ საბძლის გარეშემო ადამიანის კელი არ სჩანდა (ილია, 308)...

3. ქუეშე → ქვეშ

ძველსა და საშ. ქართულში ქუეშეა. ამჟამად ქვეშ სახელს მოხდევს, როგორც ეს იყო ძვ. ქართულშიც, თუმცა იქ ზოგჯერ სახელის წინაც გვევლინებოდა. მნიშვნელობით ადგილს უჩვენებს.

ძველსა და საშუალ ქართულში მიც. ბრუნვასთან იხმარებოდა, სპორადულად მესამე პირის ნაცვალსახელთან ნათესაობითთანაც, ახ. ქართულში კი ორივე ბრუნვასთან თითქმის თანაბრად იხმარება, თუმცა იგრძნობა ტენდენცია ნათესაობითთან გაბატონებისა. მაგალითად: სართულსა ქუეშე არა შესრულიყო იგი (ხაბა ახ. 163-34); შენსა ფარმანსა ქუეშე იყოს (ვისრ. 61); ცოტა მტერი ორმოს ჰგავს, თივას ქვეშ დამალულსა (სიბრძნე სიცრ. 782)... შეფერენს სუფრას ქვეშ (აკაკი, 354), მაგრამ იფინის ქვეშ ისხდენ (ვაჟა. IV, 34)...

მიცემით ბრუნვაში სახელს ზოგჯერ მოეკვეცება ს ნიშანი, ასეთ შემთხვევაში თანდებულს სახელთანაა შერწყმული. მაგალითად: კაკალქვეშ ჩავსხედით (ილია, 486); ფეხქვეშ ნაუვარდები (იქვე, 359).

4. წინაშე

ძველსა და საშუალ ქართულში წინაშე ჩვეულებრივ სახელს წინ უძღოდა, ახალ ქართულში კი სახელს მოხდევს.

მე-18 საუკუნის საბუთებსა და თხზულებაში გვხვდება წინაშენ. მაგალითად: რაც მიზეზი ჟინდეს ღმერთ წინაშენ (საქ. სიძე. III, 10)... ღვთის წინაშენ დავაპირე წამოდგომა, მაგრამ წელი ვერ ავიტანე (ხ. მგალ. 93)...

ძვ. ქართულში წინაშე მართავდა სახელს მიცემითსა და ნათესაობითში. მაგალითად, მიც: მღვდელმან შესაწირავი განაშხადა წინაშე პატროსანსა ჯუარსა (ხანძო. 282-3)... ნთ: მარადის ანათოვ წინაშე ღმრთისა (სახულ. ლაი); წარგადგინნეს წინაშე მამისა მისისა (საგვ. 330ჯ)...

ახვევა საშ. ქართულში, ახალში კი იგი სახელს ნათ. ბრუნვაში მართავს. დადგენილია, რომ ძვ. ქართულში თუ სახელი „სულიერი“ საგნის აღმნიშვნელია, ის უძველესად ნათესაობით ბრუნვაშია, ხოლო თუ „უსულონი“ – მიცემითში⁹⁴.

⁹⁴ კ. ქვექელიძე, „წინაშე“, „თანა“ და „ხელა“ თანდებულთა სინტ. ფუნქციისათვის ძველ ქართულში, გვ. 283.

5. წინა → წინ

მომდინარეობს ძვ. ქართულიდან და ცოცხალია დღესაც. ძველსა და ახალ ქართულში წინ იხმარება ნათესაობით ბრუნვასთან, ზოგჯერ კი მიცემითთან, საშუალ ქართულში კი უფრო მეტად მიცემითთან.

ძველად იგი ჩვეულებრივ დროს გადმოსცემდა. მაგალითად: პაქ მას ჰქვამენ: ერ შენ-სა წინა რლი ნათესავი იყო (ქრესტ. 50)ლ... ეს ფუნქცია მას საშუაღსა და ახალ ქართულშიც გადმოჰყვა. წინა-ს გვერდით გამოვლინდა წინ, უწინ (ძვ. ქართ. უწინარმს), წინათ, წინეთ. მაგალითად: ყოველ დღესასწაულობის წინ... დიდ მოხაკითხებს უგზავნიდა (აკაკი, 369); მხოლოდ ზიარებას წინეთ შერიგებულან (იქვე, 345); თხოუმეტს წელიწადს უწინ... ჯავახეთს ვარდასულა (დოკუმენტ. 463).

ამა ჩვენებით ნაცვლახელთან წინათ განუსაზღვრელ დროს გადმოსცემს, მაგალითად: ამას წინათ ჩემს მეფესა... ნუქშსაცემი წიგნი მოუვიდა (საქ. სიძე. III, 273).

საშუაღსა და ახალ ქართულში წინ აღნიშნავს ადგილსაც, მაგალითად: სადაც სახლის წინ ჭანდარი იდგეს და ჭანდრის წინ აუზი იყოს, მუნ მონახე და პოეუბო! (სიბრძნე სიცრ. 169)... ბუხრის წინ ქვაბებს დასტრიალებდა (ილია, 331)...

6. უკუანა → უკან

ძველ ქართულში უკუანა გვაქვს, ხვესურულში უკვენ ფორმაც. სახელს მართავს მიცემითში, ახალ ქართულში მიც. და ნათესაობითში.

ძვ. ქართულში ადგილს აღნიშნავს, საშ. და ახალ ქართულში კი ადგილთან ერთად დროსაც გადმოსცემს, მაგალითად: სახელს უკან იყო მიდგმული (გ. წერ. 9). სახლის უკან კაღო-საბძელია (ილია, III, 41)...

7. შემდეგ, შემდგომ

შემდეგ და შემდგომ ახალ ქართულში დროს გადმოსცემს, ორივე ჩვეულებრივ მოხდებს სახელს და მართავს მას ნათესაობითსა და მიცემითში, მაგალითები:

ნათ: სადილის შემდეგ ღუარსაბი შექვიფიანებული წავიდა (ილია, 425); ლო დინის შემდეგ ერთად შეერილიყვნენ (ყაზბ. 103).

მიც: ღუკანს შემდეგ ილაპარაკა ტარიელმა (ქიან. 54)...

მწერლები და პრესის მუშაკები ბრუნვის მხრით ამ თანდებულს თავისუფალად ეყვრობიან: ნათესაობითთანაც ხმარობენ და მიცემითთანაც, თუმცა ნაცვალსახელებს უფრო მეტად მიცემითში სვამენ.

ზოგიერთი მწერალი შემდეგ-ის ნაცვლად მერჯეთ-ს იყენებს: სასიძო ხომ მოვა ნიშნის მერეთ, იმას რაღას უკამ (ილია, 434); ჩემი თინათინ არ დიაჩტროს ჩემს მერეთ (ქიან. 72).

8. აქეთ, იქით

თანდებული ფუნქციით პირველად საშ. ქართულში გვხვდება ჩვეულებრივ მიცემით ბრუნვასთან, ზოგჯერ კი ნათესაობითთანაც. ამ მხრივ მერყეობა უფრო თანამედროვე ქართულში შეიმჩნევა. მისი ფუნქციაა აღნიშნოს ადგილი და დრო. მაგალითად: დიღას წყალს იქით ჳიდი ჩემთვის სწორათ (ვისრ. 13); კერას აქეთ-იქით თითო ტახტია დაფილი (ილია, III, 42)... ადამს აქათ მესუეთ ჳელმწიფე ყოფიდა (ვისრ. 72)... დიღას აქეთ არა მიჳამიარო (ილია, III, 16)...

ძველთან შედარებით საშუაღსა და ახალ ქართულში გაიზარდა ზმნისართების თანდებულად ხმარების სფერო. გამოვლინდა ზოგი ახალი შედგენილობის ზმნისართიც, მაგრამ ჩვენ ამით დაეკმაყოფილდით და ხანიმუშოდ დავახასიათეთ რამდენიმე ზმნისართული თანდებული და ისიც უმთავრესად სახელთა ბრუნვაში მართვის თვალსაზრისით.

შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში¹

ქართული და კერძოდ ახალი ქართული სალიტერატურო ენა განსაკუთრებით მდიდარია შორისდებულიებით. როგორც ცნობილია, სხვა მეტყველების ნაწილებისაგან შორისდებულები გამოირჩევიან და ქმნიან თავისებურ სისტემას. ამის გამო ზოგიერთი ავტორი შორისდებულის მიხედვას მეტყველების ნაწილად საცილობლადაც კი თვლის.

ფრანგი ენათმეცნიერი ჟ. ვანდრიესი შორისდებულებს სამართლიანად მიაკუთვნებს „ფექტურ“ მეტყველებას და განასხვავებს მას „ინტელექტუალურისაგან“².

შორისდებული ადამიანის რთულ ემოციებსა და სულიერი განწყობილების ექსპრესიას გადმოგვცემს. შორისდებულებს ხმის საკუთარი მოვლადაცა და ინტონაცია ახასიათებს, ამიტომ აფექტური ელფერი, ინტონაციურ-ექსპრესიული და ფონეტიკური მხარე შორისდებულებს გაცილებით უფრო მდიდარი აქვთ, ვიდრე სხვა მეტყველების ნაწილებს. გარდა ამისა, შორისდებულს სწორად თან ახლავს ექსტ-მიმიკური მოძრაობებიც. სამაგიეროდ შორისდებული მოკლებულია ნომინატიურ ფუნქციას, მატერიალურ მნიშვნელობას და გრამატიკულ გაფორმებას. ცალკეული შორისდებული უდრის სიტყვა-წინადადებას: „შორისდებულები წარმოადგენენ სიტყვათა და წინადადებათა ეკვივალენტებს“, – წერს ჟ. ვანდრიესი³.

ხეულებრივ შორისდებული წინადადების წვერს არ შეადგენს. ის წინადადებების წარმოთქმაში გამოიყოფა განსაკუთრებული ინტონაციით, ხოლო წერაში – მძიმით.

შორისდებულთა სემანტიკა მდიდარია და მრავალფეროვანი. ის შეიძლება გამოხატავდეს აღტაცებას, სიხარულს, სიამოვნებას, მოწოდებას, კმაყოფილებას, სიზხდს, დაწუნებას, მოულოდნელობას, ტანჯვას, ვებოინობას, ჩივილს, მუქარას, წყენას, მწუხარებას, ტკივილს, დანაშაულებს, საყვედურს, განკიცხვას, ნატყვას, გაკვირვებას, გაქირვებას, დაცინვას, ნიშნისებებას, აკრძალვას, წაქეზებას, გამბედაობასა და სხვ.

შორისდებულთა კლასიფიკაციის უმთავრესი ხიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იგივე შორისდებული შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობისა იყოს⁴. მის მნიშვნელობას კონტექსტი განსაზღვრავს, ასე, მაგ., „უი“ უმთავრესად გამოხატავს მწუხარებას, წყენას, მაგრამ ამავე დროს სხვა კონტექსტში მან შეიძლება გამოხატოს აღფრთოვანება, სიხარული; მაგ.: „უი, ქა, საწყალი ტორუა“ (ვაჟა) „უი, მუხი კი დაგეცხს მაგ უხეირო თავზე“ (ი. ჭავჭავაძე), მაგრამ „უი, შენ კი ჩაგეკონე მაგ გემრიელ სულში“ (ი. ჭავჭავაძე)... ასევე საპირისპირო მნიშვნელობის გამოხატველია შორისდებულები: „უჰ“, „ოხ“, „ოჰ“, „აჰ“ და სხვ. მაგ.: „უჰ, რა შემეშინდა“ (ნინოწიფილი); „უჰ, უჰ, რა მტკიავა მუხლები“ (იქვე); „ოჰ, უჰ, უჰ! ეგ დროს სუკები“ (ი. ჭავჭავაძე); „უჰ, უჰ, უჰ! რა ტკბილია! – ტუნების ცმაცუნით და სიამოვნებით ვიძახდით ყველანი“ (შ. არაგვისძე)... „ოხ, ოხ! მიშველეთ, მომკლა!“ (ჭ. ლომთაძე), მაგრამ „ოხ, ჩემო თვალის ჩინო!“ (შ. არაგვისძე)... ოჰ, როგორ ცივა და მსუსხავი ქარიც უბერავს“ (შექვა, „ამიდუტო“); მაგრამ „ოჰ! გაბადრული მოვარეუ“ (იქვე); „აჰი, ამიგუბო, საყვარლებო, დამაზებო, მშვენიერებო...“ (ჭ. ლომთაძე)... „აჰუ, კუდიანებო, აჰუ! თქვენი სვით და თქვენი ჭამით...“ (იქვე).

ზოგიერთი ავტორი, მაგ. H. Paul-ი, E. Schwentner-ი ემოციის გამოხატველ შორისდებულთა გვერდით განიხილავენ ჟ. წ. ონომატოპოეტურ ბგერით კომპლექსებსა და სიტყვებს, რომლებიც ხმის მიბაძვის საფუძველზე არიან წარმოშობილნი. ჩვენ ასეთი ბგერითი კომპლექსები და

¹ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946.

² Ж. Вандриес, Язык, русული თარგ., Москва 1937, გვ. 135.

³ В. В. Виноградов, Современный русский язык, II, Москва, 1939, გვ. 569.

⁴ А. Шахматов, Синтаксис русского языка, вып. II, I, 101.

⁵ Prinzipien der Sprachgeschichte, 1909, გვ. 179.

⁶ Die primäre Interjectionen in der Indogermanischen Sprachen, Heidelberg, 1924.



ფონეტიკურად შორისდებული ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე ის ასოებით გადმოიცემა. შორისდებულს წერაში მხოლოდ მიახლოებით ვადმოცემთ.

ქართულში შორისდებული, ისე როგორც სხვა ენებში უმეტესად ერთი ან რამდენიმე ხმოვნისაგან შედგება. შესაძლებელია ხმოვანს თან ახლდეს თანხმოვანიც. შორისდებული, როგორც ადამიანის რთულ მოძრაობა გამოხატავს, უსათოდ გულისხმობს ხმოვნურ ვლემენტს, რადგანაც ტონის მოძრაობა - მისი აწვე-დაწვევის გამოხატვა - მხოლოდ ხმოვნის საშუალებით ხერხდება. ზოგჯერ შორისდებული წერაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს უხმოვნოდაც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სავარაუდოა თანხმოვანთან ერთად ე. წ. ნეიტრალური ხმოვანი (ჲ) იგულისხმებოდეს, რაც წერაში გამოხატული არაა.

შორისდებული შესაძლებელია შედგებოდეს მხოლოდ ერთი ხმოვნისაგან; მაგ.: „ა, აბუ-ლაჲ, ა, სამურაჲ“ (ვაჲ). ტონის მოძრაობისა და აფექტური ვლემენტის გასაძლიერებლად შესაძლებელია შორისდებული პირობითაც ორი ან სამი ერთნაირი ხმოვნით იყოს გადმოცემული: „აა, მიგიხედი, ახლა როგორ იქნებოდა საქმე“ (ნინოშვილი); „აა, თავად, კუჭს ნუ შეივან, თვარა ადრე დაბერდები“ (იქვე); „ააა, შშიშარაჲ, შშიშარაჲ“ (შ. არაგვისი.); „აა, მიო-შიშულე იმ აბგილს, სადაც ვაჲ დაკოდელი“ (ნინოშვილი). ხშირად ხმოვან ა-ს წინ უძღვის ყველისმიერი სპირანტი ჰ: მაგ.: „ჰა, ყურშა, ჰა! - დაუბახა მოძღვარმა“ (ყაზბეგი); „ჰა, ბურთი, ჰა, მოვანი“ (აკ. წერეთელი)... შესაძლებელია ა-ს მოსდევდეს ჰ: მაგ.: „აჰ!... დეენა! - წარმოსთქვა იმან“ (ყაზბეგი); „აჰ, გოჯასპირ ხახიაშვიდმა ქერიეი კი არ შეირთო“ (კლიდიაშვილი). ხშირად ა-ს, შესაძლებელია წინ უძღოდეს ან მოსდევდეს უკანაენისმიერი სპირანტი ხ: მაგ.: „ახ, რა კარგია!... ახ... რა... კარგია!“ (შ. არაგვისი.); „აახ! - თავისდა უნებურად წამოიკენეს!“ (შ. არაგვისი.); „აააახ! - ფეხხედ წამოვარდნით წამოიბახა საშინელი ხმით ტირიკომ“... (შ. არაგვისი.). ხშირად აჲ შორისდებულს პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“ დაერთვის: „აჲმე! - კბილებს ხრჭალით და თავის გაქნეუთ წამოიბახა...“ (ყაზბეგი). ზოგჯერ თუკახილის შორისდებული წარმოდგენილია ა და უ ხმოვანთა შეერთებით: „აჲ, ბედშაჲო ჩემო თავო“ (ყაზბეგი); „აჲ, რას მეუბნები“ (იქვე)... შესაძლებელია აჲ-ს ჰ უძღოდეს წინ: „აჲუ, კუდიანებო, ჰაჲუ! თქვენი ხეთ და თქვენი ჰაჲუ, ჩვენსას ჯგირი დაგოწვერო, ჰაჲუ. კუდიანებო, ჰაჲუ! (ჰ. ლომთ.). შესაძლებელია ხმოვან ა-ს წინ უძღოდეს კბობაენისმიერი ე: მაგ.: „ჲა, დარეჯან, მამა ციხისნათ“ (ვაჲ); „ჲა, დალოცვილო, რაღასა ჯგერობ“ (ვაჲ). ზოგჯერ შორისდებული „ჲა“ ჰ-ს გაიჩენს ბოლოში: „ჲაჰ, დედას ჩემის მტრისას“ (ვაჲ); „ჲაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად...“ (ად. ჭავჭავ.). ხშირად ეს შორისდებული პირველი პირის ნაცვალსახელს „მე“-ს დაერთავს: „ჲაჰმე, ჩემო სიცოცხლის მომნიჭებულო“ (ვაჲ); „ჲაჰმე! ვაჰმე! ვაჰმე! ჩვენი მამად! - ტირილის ხმახედ ამბობდნენ ბავშვები“ (ვაჲ). ხმოვნის შეცვლის საფუძველზე ეს შორისდებული „ჲაჰმე“ ფორმითაც გვხვდება: „ჲაჰმე, ვაჰმე, ჩემო ნიკო-რა კამელო“ (ვაჲ). დადასტურებულია „ჲაჰმე“ ვარიანტიც: „ჲაჰმე, ვაჰმე, ჩემო ნიკო-რად, თავში დამკრავს ჟრანტელი და ფეხებში გამგარდება“ (ვაჲ). არის შემთხვევა, როცა მხოლოდ „ჲა“ დაერთავს „მე“-ს: „ჲაჲმე, შორს მყოფსა შესსა“ (ად. ჭავჭავ.). ეს შემცველია „ჲაი“; მაგ.: „ჲაი, საწყალო! ვაი, საწყალო! - შემოირტყა ივანემ თავში ხელი“ (ნინოშვილი); „ჲაი, ვაი, ვაი! აკი ვნაცვალე იმას ი ენა-პირში“ (ვაჲ); „ჲაი, მისი ჰკრიმე, რამხელა ვახორდილა“ (ლალიონი); შდრ. „ჰაი, ჰაი, რომ ენახე, - უახსუხა ბიჭმა...“ (ყაზბეგი). „ჲაი“-ს შესაძლებელია ა ხმოვანიც გაუჩნდეს წინ: „ჲაჲაი, ჯაჯალაჲუ! რას სნადი?“ (ყაზბეგი). „ეოტა ხანს შემდეგ ვილაცა დედაკაცმა კენესით და ხმის კანკალით წარმოსთქვა: „ჲაჲაი!“ (ყაზბეგი).

შორისდებული შესაძლებელია ე ხმოვანზედაც იყოს აგებული: „ე შეხედე, შე კაცო, თუ ვცდები! თუ სისუღელეს გუზუნები! ე შეხედე, ე თუ ვცდები... ე რავა ეტყობა! ახლაც ვუხედავ! (კლიდიაშვილი). ხშირად ეს შორისდებული გაორმაგებული და გასამაგებული სახითაა წარმოდგენილი; მაგ.: „ეე, დმერთო, იცი კიდევ რას გუხეწეწი?“ (ვაჲ); „ბიჭო, ბეგანო, სადა ხარ, ეეე!?“ (ვაჲ). ხშირად ხმოვან ე-ს წინ უძღვის ჰ: „ჰე! - ნიშნის მოგებით წარმოსთქვა გიორგიმ“ (ყაზბეგი); „ჰე, დმერთო ერთო, შენ შექმენ ხახე ყოფილსა ტანისა...“ (რუსთაველი); „ჰე, მამულო სასურველო“ (გრ. ორბელიანი). ასევე შესაძლებელია ჰ მოსდევდეს ე ხმოვანს: „ჰე კი, ეჰ! - მწარედ ჩაიჭინა ხელი და მოხსლევით დაეშვა ტახტხედ“ (შ. არაგვისი).



ვისს); „ეჰ, ძმავე, წადი შენ შენს გზაზე სიმღერით“ (გრ. ორბელიანი); „ეჰ ჯანო, გაეცინა და ათი იყოს“ (ი. ჭავჭავაძე)... „ეჰეჰ! რა კაცია და...“ (ვაჟა). შესაძლებელია ეს შორისდებულებები და ი ხმოვანთა შეერთებით იყოს წარმოდგენილი: „ეი, მსახურნო! დაამზადე სანადიმოდ ყოველივე“ (ალ. სუმბათაშვილი, „დაღლიტი“); „ეი, უფროსო“ (იქვე). „ეი-ს შესაძლებელია მ უძლოდეს წინ; მაგ.: „ჰეი, ჰეი! - ნაღვლიანად წამოიძახა მან“ (კლდიაშვილი); „ჰეი, ძამებო, საყვარლებო, ღამაზებო, მშენებლებო!“ (ჭ. ლომთ)... **ე-ს** შესაძლებელია წინ უძლოდეს კბილბაგისმიერი **ვ** და მოსდევს **ჰ**; მაგ.: „ეჰაჰ! - დაიყვირა. ცუდ ნიშანს ეხედავ.“ (აკ. წერეთელი)... ხშირად **ე-ს** წინ უძღვის ან მოსდევს უკანაენისმიერი სპირანტი **ხ**: „შენ სტყუე, შენ უნდა დაისაჯო... ხე! ხე! ხე! ამიტომ მიბრძანდი კარცერში“ (ჭ. ლომთ); „ხე! ხე! ხე! - ხეიხინებს უფროსი, - ხე! ხე! ხე!“ (იქვე)- „ეჰეხ“ - ამოსკდა გულის სიღრმიდან და გულწათუთქულმა თვალები მიხუჭა“ (შ. არაგვისს); „ეჰეხ! მართლა და რა სულელი გამოვლექი“ (იქვე).

შორისდებულის საფუძვლად შესაძლებელია გამოყენებული იყოს **ი** ხმოვანი: „იიიი, რა ძან ღვინოა“ (შ. არაგვისს.). მსგავსად **ა** და **ე** ხმოვნებისა, შეიძლება **ი-ს** წინ უძლოდეს ან მოსდევდეს **ჰ**; მაგ.: „ეიი, ეენაცვალე ღმერთსა! - ენკვლა ხოლმე ქმარს ელისაბედი. კი, ეენაცვალე ჯერ ჩემზე უკეთესი უნდა შეერთო და მეგრე ჩემთვის ნიშნი მოეგ! კი, ეენაცვალე ღმერთსა!“ (ი. ჭავჭავაძე); „იი, შე ბაიყუშო, იქნება ხელი მოიჭერი“ (ვაჟა); „იი, კი, კი! მიყვარს. მა რა?“ (ჭ. ლომთ)... „იი, იი! რა გემრიელია“ (შ. არაგვისს.); „იი, ბუნდური ქვეყანა ყოფილა გურიი, კნაზუ“ (ჭ. ლომთ). ზოგჯერ **ი-ს** უკანაენისმიერი სპირანტი **ხ** უძღვის წინ; მაგ.: „ხი, ხი, ხი! - ჩაეხიხიხითუ, როცა ეს მოხზა“ (შ. არაგვისს.). შესაძლებელია ამ შორისდებულს **ჰეეე** დაერთოს: „ხიი! ხისულელუ! ღრეკით უპასუხა შეშლილმა“ (შ. არაგვისს.). ხშირად **ი-ს** წინ უძღვის კბილბაგისმიერი **ვ** და მოსდევს **ჰ**; მაგ.: „ეიი! უნებლიეთ წამოიძახა, როდესაც უეცრი თვალი მოჰკრა თავის დამზნედას.“ (შ. არაგვისს.); „ეიი, ავეეეე! ნეტავი ჩემს გულში ჩაგხედა“ (ალ. ჭავჭავაძე); „ეიი, ნეტავი რას ამბობ?“ (იქვე). შესაძლებელია ეს შორისდებული ბოლოდებოდად სპირანტი **ზ-ზე**; მაგ.: „ეიშ, რა დილაა, რა დილაა, ღმერთო ჩემო“ (ჭ. ლომთ). არის შემთხვევა, როდესაც **ი-ს** წყვილბაგისმიერი **ფ** მოსდევს: „იფ! იფ! დამიხედეთ, დამიხედეთ მოსპატრონის შვილს“ (ყაზბეგი); „იფ... შენი ჭირივე, შენი, ჩემო ბიბია“ (კლდიაშვილი).

ბის შორად შორისდებულად გამოყენებულია **ო** ხმოვანიც; მაგ.: „ო, ო, ეგ დიდი საქმეა“ (ი. ჭავჭავაძე)... „ოოო, გაუშარავოს ჩვენს თამადას! ურრა! - დაიძახეს თითქმის ყველაძე ერთად“ (შ. არაგვისს.). ისე როგორც **ა, ე, ი** ხმოვანიან შორისდებულებთან, **ო-საც** შესაძლებელია წინ უძლოდეს ან მოსდევდეს **ჰ**; მაგ.: „ოო, პო, პო, პო, რა პურ-ღვინოა“ (ნინოშვილი)... „პოო, შენი ჭირივე, ღმერთო!“ (ვაჟა). ეს შორისდებული ზოგჯერ **ო** და **ი** ხმოვანთა შეერთებითაა წარმოდგენილი: „პოო, საზარო საშინელო უსჯულოებავე“ (შექვს. „სამლეტი“); „პოო, ბნელო დამე, მეჯავრები მე“ (ი. ჭავჭავაძე)... **ო-ს** მოსდევს **ჰ**; მაგ.: „ოჰ, ოჰ! გამე, მოვეკდი, დედას ჩემო, აღარავინა ხართ ქრისტიანი“ (ვაჟა); ოჰ, ნეტავი კი მაშინ თქვენთან შეც კყოფილიავე“ (შექვს. „სამლეტი“)... ხმოვან **ო-ს** შესაძლებელია წინ უძლოდეს ან მოსდევდეს უკანაენისმიერი სპირანტი **ხ**; მაგ.: „ხო, ხო, ხო! რა კარგი რამაა...“ ოხ! ჩემო თვალის ნინო“ (შ. არაგვისს.); „ოხ, ოხ, მიშეკლეთ, მომკლა, მომკლა!“ (ჭ. ლომთ)... „ამ დროს შეცვლამ შიმშილიც იგრძნო და ერთი დრამად ამოიხვნეშა: ოოხ, დედავე“ (ვაჟა).

შორისდებულა **უ** ხმოვანიც; მაგ.: „კირილე, ბატონო კირილე...“ **უ-უ** (კლდიაშვილი)! „**უ! უ!** - გუგუნებდა ტუსალია ბრბო და ტალღებად იწყვდა წინ“ (შ. არაგვისს.)... **უუ! უუ!** უფრო უარესად წაიგმინეს ტუსალებმა“ (იქვე). ხშირად **უ-ს** წინ უძღვის ან მოსდევს **ჰ**; მაგ.: „ჰუ, პუ, პუ! - განგებ ჩაახველა თელომ...“ (შ. არაგვისს.)... „ჰუუ! ჩემდა უნებურად მაგარად ამოვიხსნიქ“ (შ. არაგვისს.)... „უჰ, უჰ!... რანიარად ყინავს“ (იქვე); „უჰ, უჰ, უჰ! ეგ ღორის სუკივე“ (ი. ჭავჭავაძე). არის შემთხვევა, როდესაც **უ-ს** წყვილბაგისმიერი **ფ** მოსდევს; მაგ.: „**უ-უფ!** როგორ მოღუშა წარბები, როგორ გაჯავრდა!“ (ჭ. ლომთ); „**უფ**, რა გრილი დამეა“ (ნინოშვილი). ზოგჯერ შორისდებული წარმოდგენილია **უ** და **ი** ხმოვანთა შეერთებით; მაგ.: „**უი**, შენ კი ჩაგკონე მაგ გემრიელ სულში“ (ი. ჭავჭავაძე); „**უი, უი!** დახე იმას, იმ წყვეულს.“ (იქვე). ამ შორისდებულს შესაძლებელია პირველი პირის ნაცვალსახედი „მე“ დაერთოს; მაგ.: „**უიმე, უიმე!** - იყვირა დარიკომ და გამწარებული ღოყახედ ხელს იტყვამდა, - **უიმე... უიმე...** ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა“ (კლდიაშვილი). მთელ რიგ შემთხვევაში **უ-ს** წინ უძღვის წყვილბაგისმიერი **ფ**; მაგ.: „**უფუ, შე ვერანო!** - წამოიძახა თვლიმ და ხველა აუვარდა“ (შ.

გილოურში მ. ჯანაშვილს (პერ - იარვ). როგორც ირკვევა, ასეთი მნიშვნელობის სიტყვას ქართულ ხალიტერატურო ენაშიც; შდრ. „აბა, ბიჭო, ტანთ ჩაიცვი და სკოლისკენ პერი, პერი“; „მელას დრო დარჩა, შეხტა, ერთბაშად ხელი სტაცა ქალს, შეიგდო კედზე და პერი, ბიჭო! გასწია და რა გასწია“ (ვაჟა).

ურია: „ურია, მოაკვირე შენებურად რახუნს“ (ნინოშვილი); „ურია, მგონია, შენ კიდევ შეგეყვარება - გაეხუმრა დედა თავის ქალს“ (იქვე)... „ურია“ შედგენილი შორისდებული უნდა იყოს: ურიაჰ. პირველი ნახევარი იგივე „პერი“ ჩანს, ხოლო კ დაკარგულა. თავკიდურ მს დაკარგვა შეიძლება „პა“-ს დართვით იყოს გამოწვეული (*ურია → ურია).

ყონად: „ყოჩად, ყოჩად! - დაიძახეს დეკემბა და ისეთი მხიარულება შეექმნათ, რომ სულ მიღლა-მიღლა ხტოდნენ“ (ვაჟა); „ყოჩად, კოდალა! ბარაქალა...“ (ვაჟა).

დილიდმე: „დილიდმე, დილიდმე, ხვალ ჩურჩხელებსა ვტამო, ვოხინაყსაც ვტამო“ (შ. არაგვი). „დილიდმე“ შედგენილი შორისდებულია: დილიდ+მე. რას უნდა ნიშნავდეს პირველი ნახევარი, ჩვენივეს უცნობია.

აფსუს (სპარ): „აფსუს, აფსუს! წისქვილო! თედეს ამავო“ (ვაჟა); „აფსუს, ბადრისა და უსუპის ჯიში, როგორ წამხდარხართ და გაფუჭებულხართ“ (ვაჟა).

ოლოლო: „ოლოლო შენ, ვერ გამოიცან“ (ი. ჭავჭავაძე).

ბიჭო! ბიჭოს! „პერი, ბიჭო! გასწია და რა გასწია“ (ვაჟა); „ბიჭოს! მოსულა? (ხალხური).

ჭოვ (აჭრ. შეკვეცილი ბიჭო): „ჭოვ და - მე ქალი მინდა, ქალს მე უნდებოდა, შენ ვინ ხარ, შენ თითონ ჩამომეფხოვე-მეთქი“ (ჭ. ლომთა).

ქა (ქალი): „ქა, ვე ბიჭი ისე არ უცქერის მა ქალსა, თითქოს შეტმა უნდოდესო“ (ვაჟა); „უი, ქა, საწყალი ტორუა!“ (ვაჟა).

ბარაქალა (არაბ): „ბარაქალა, ჩემო დათო!“ (ი. ჭავჭავაძე); „ბარაქალა, ბარაქალა, შენ ერთგულება მეც არ მიეწყდებო“ (ყაზბეგი).

ბენა (ბელშავი): „ბენა! დედაკაცი ყოფილა!“ (ყაზბეგი); „ბენა! რადა მკლავს“ (შ. არაგვისა); „ბენაუ! ერთაი, ერთაი მაინც მაკოცე...“ (ყაზბეგი).

ოჯო (ვაჟა): „ოჯო, ცარიელი ფული აფერი არაა, თუ კაცი თითონ არ ვარა“ (დალიონი); „რა საქმა იმისთანაი, მოჯო? აი ადგილი ამასობაში ქე ჩაგვლია ხელში“ (იქვე); „მისწერე, ოჯო, ვიშონი თუ არა, მაინც ასე სჯობს“ (იქვე).

დახე (← დახედე): „დახე, დახე, თქვენი ჭირიმე! ეს რა მოიგონა“ (ი. ჭავჭავაძე); „დახე, სადა ყოფილხარ“ (აღ. სუმბათაშვილი, „დალატი“).

ჭიტა: „შეშინებული ბავშვები საშინელი წვილით გარბოდნენ იქით-აქეთ და იმალეობოდნენ, მაგრამ მართე პოულობდა მათ, დაღუნავდა თავს, გაუჭკრეტდა, თითქო კატა ჩიტს ეპარვისო, „ჭიტა“ - დაიძახებდა და გაიქცეოდა დამალულ ბავშვისაკენ, რადგან მარინე თავისი „ჭიტა“ ძახილით შორიდანვე აღტობინებდა ბავშვს მოვიდვარო, ბავშვი ასწრობდა გაქცევას და სხვა ადგილზე დამალვას“ (ნინოშვილი).

სუ (← სულე): ამ სიტყვას ჩვენი ყურადღება მიიქცია პროფ. ვ. ბერიძემ⁹. ეს უკანასკნელი ფორმა ჩვეულებრივ გავრცელებული სიტყვაა ქართლსა და კახეთში და იყენებენ მას ბავშვის გასაჩუმებლად. „სულე“ „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება:

„ეტყობა: „სულე, რამე გთავა, კაცი ვარ, აღამაინი“ (ტ. 257)¹⁰.

საბაბს დადასტურებული აქვს: „სულელვა - ცხენი დასამშვიდებელი სტუნა“ და „დასულელვა - დაწუმება“. დღეს ეს შორისდებულად ქცეული სიტყვა ჩვეულებრივ „სუ“ ფორმით იხმარება; მაგ: „სუ, სუ, ნაწაღნიკმა არ გაიგონოს“ (ნინოშვილი); „სუ, ჩემად მეთქი“ (ვაჟა). ამ შორისდებულს ს შემდგომ ბოლოში გასჩენია: „სუსსსს... ჩუმადვე უახსუხა ელისაბედმა“ (ყაზბეგი).

ჩუპრი-ჩუპრი: „ჩუპრი-ჩუპრი, ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი დარეჯანსა! ურა! აი გიდი, ქუდი ჭერში“ (ილია).

იმე (იმერ. დიმი): „შე კაცო, შენთან რომ მოვიდე და უცხო კაცი მომყვებს, ჩემი კეთილი საწყენად დავირეზება?... ა, მთხარი, თუ ძმა ხარ?... კარში გამომაგდებ? - იმე!“ (კლდიაშვილი); „იმე, რადა ვთქვა... რითი გადაგიხადო მაგიერი“ (იქვე).

⁹ ვ. ბერიძე, „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო; ტფ. სახ. უნ. შრომები. ტ. III, 1935, გვ. 156.

¹⁰ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის გამოცემით.



ბევრი ქართული შორისდებულები ბგერითი კომპლექსისა და ხშირად სემანტიკურად მსგავსია ევროპულ ენებში ხმარებული შორისდებულებისა. ამაში რომ დაერწმუნდეთ, შეხედეთ ხახვლებს რამდენიმე მაგალითს:

გერმ. ach, პოლ. ach, პოლონ. ach, ჩეხ. ach, რუს. ax¹¹; შდრ. „ახ, რა კარგია! ახ... რა... კარგია!“ (შ. არაგვისპ.).

მსგავსად ქართულისა, გერმანულსა და ზოგ სხვა ევროპულ ენაში a და o ხმოვნინა შორისდებულებს ფუნქციური შემართვის საფუძველზე უეითარდებობა h; მაგ:

გერმ. ha! ha! ინგ. ha, halloo, პოლანდ. ha, ha, პოლონ. ha, ბერძ. ἄ; შდრ. რუს. xa; შდრ. „ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი“ (აკ. წერეთელი).

გერმ. hai, ძვ. ინდ. hai, ძვ. ფრანგ. hai, რუმ. hai; შდრ. „ჰაი, ჰაი, რომ ენახე, უპასუხა ბიჭმა“ (ყაზბეგი).

გერმ. hei, ლათ. hei, რუმ. hei, ინგ. hey, ჩეხ. hey; „ჰეი, ჰეი – ნადვლიანად წამოიძახა მან“ (კლდიაშვილი).

გერმ. ho, ესპ. ho, ho, ინგ. ho, ჩეხ. ho, ho, რუმ. ho, ახ. ფრანგ. ho; შდრ. „ჰო, შენი ჭირიმე, ღმერთო“ (ვაჟა).

გერმ. hi, hi, hi; ესპ. hi, hi; რუმ. hi; შდრ. „ჰი, ჰი, ჰი! მიყვარს, მა რა?“ (ჭ. ლომთათიძე).

გერმ. hu, hu; შდრ. „ჰუ... ჰუ... ჰუ... ჩემდა უნებურად მაგრად ამოვისუნთქე“ (შ. არაგვისპ.).

გერმ. aha, ჩეხ. aha; შდრ. „აჰა! გული გამიჯწურდა, მიხსდომია ველთა რბენა“ (რუსთაველი);

რუს. ух: „Ух жарко!“ (Некрасов); შდრ. „უჰ, უჰ... რანიორად ყინავს“ (შ. არაგვისპ.).

რუს. у: „У, два похоронных удара!“ (Некрасов); შდრ. „უ, გამოხტა ავერ შვეყერი“.

გერმ. uff, uph, ფრანგ. ouf, ბერძ. ὄჰ, რუმ. uf; შდრ. „უფ, რა გრილი დამეა“ (ნინოშვილი).

ბერძ. φῦ ლათ. fuc, fū გერმ. pfui, ესპ. fu, რუს. тьфу; შდრ. „თფუი! – სიბრაზით გადააფურთხა დათუამ და თვალები დახუჭა“ (შ. არაგვისპ.).

გერმ. hm, შვედ. hm, hum; ძვ. ინდ. hūm? რუს. rm; შდრ. „ჰმ! აგი უმისოდ ვიცოდი მე“ (ნინოშვილი).

გერმ. weh: „Weh! Weh! Weh! sie kommen Bitter Tod“ (ოტტე); Weh! Weh! Du hast sie zerstört... შდრ. „ვეჰ! ვეჰ! – დაიყვირა, ცუდ ნიშანს ეხვდავ“ (აკ. წერეთელი) და სხვ.

ამ შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ ყოველ ენას სპეციფიკურ შორისდებულებობთან ერთად მოუპოვება ისეთებიც, რომელნიც მსგავსნი არიან სხვა ენაში არსებული შორისდებულებისა. იბადება კითხვა: ამ შემთხვევაში ხომ არა გვაქვს საქმე სესხებისთან ან გავლენასთან? ვფიქრობთ, რომ არა. ამ სხვადასხვა სისტემის ენებში (ვგულისხმობთ ქართულსა და ინდოევროპულ ენებს) ბგერითი კომპლექსის მხრივ და ზოგჯერ სემანტიკურადაც მსგავსი შორისდებულები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ. ჩანს, სხვადასხვა ენას რთულ ემოციურ გრძნობათა გამოსახატავად ერთნაირი ენობრივი მასალა გამოუყენებია. ეს გარემოება ნაწილობრივ უნდა აიხსნას იმ ფსიქიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებებით, რომელნიც შორისდებულთა საფუძველს შეადგენენ და მას სხვა მეტყველების ნაწილთაგან გა-

¹¹ E. Schwentner, Die primäre Interjectionen in der Indogermanischen Sprachen, Heidelberg, 1924, გვ. 17.



ნახვადებენ. მდიდარი ინტონაციურ-ექსპრესიული და ფონეტიკური მხარე შორისდებულს სხვადასხვა ენაში ერთნაირ ხმოვანთა ან ერთნაირ თანხმოვანთა და ხმოვანთა შეერთებით გამოუხატავს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ შორისდებულის ხესხებას ადვილი არ კიორდეს. ასე, მაგ., შეიძლება დავასახელოთ რუსულიდან ქართულში შემოსული: ურაა! ბრაეო! სომხურიდან - აფსუს! თურქულიდან: იალაპ! და სხვ. ევროპულ ენებს და ევროიდ რუსულს ინგლისურიდან უსხესებია შორისდებულად ქცეული სიტყვები: ძიმი! ალი! თათრულიდან რუსულში ნახესხება: აჰა და სხვ.

შორისდებული წინადადებაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შორისდებული დამოუკიდებელი წინადადებაა. ამიტომ იხილი ყოველთვის გამოიყოფინ წინადადებისაგან წარმოთქმაში განსაკუთრებული ინტონაციით, ხოლო წერაში - მიმით.

ბევრ შემთხვევაში შორისდებული მომდინარეობს მეტყველების სხვა ნაწილებისაგან, ასე, მაგ.: „დახე, დახე, თქვენი ჭირიშე, ეს რა მოიგონა“ (ი. ჭავჭავაძე). ამ წინადადებაში „დახე“ შორისდებულია და მომდინარეობს იგი ხმისიგან „დახედე“; ან კიდევ: „ჩუ, გამოხტა ავტოშფერით“; „ჩუ“ წარმოიღვია ფორმისიგან: ჩუშადა. შემოსხნებული ფორმა ჭიტა უთუოდ მიღებულია ჭვერეტა-ხაგან; ხმური წარმოშობისაა შორისდებული: კერი, სუ (სულე) და სხვ. წოდებითი ფორმის სახელებისაგან მომდინარეობენ შორისდებულები: ქა, რომელიც სიტყვა „ქალი“-ს შეკვეცილი ფორმაა, ბენა (+ ბედშავი), ოჯო (+ ვაჟი), ჭოვ (+ ბიჭი): აჭარ, ბიტო, ბიტოს! და სხვ.

ამასთან ერთად აღსანიშნავია იხიცი, რომ ბევრ შემთხვევაში შორისდებული დღეს წინადადების წვერად (ქვემდებარედ ან დანამატად) გვევლინება¹²; მაგ.: „ურაა! - დივირა დღეარსაბამ და, რადგან გულდამა იქვა, თავიებურად ტახტზედ ერთი ფეხი პიშვირა მადლა და მანამ „ურა“ არ გაათავა, ფეხი არ ჩამოულია“ (ი. ჭავჭავაძე). ამ მაგალითში შორისდებულია „ურა“ შორისდებულია, მაგრამ მეორე „ურა“ შორისდებული კი არ არის, არამედ შორისდებულის სახელწოდება და წინადადებაში ის დამატების როლს ასრულებს. „გაუთვლებს ჩეჩენს, როგორც ჩვენა გვერინა, პირი მოურდებია, ზისიტი გადაუფურთხებია და თვალების ცისკენ მიქცეული წამოუძახინა: იალაპ! მაგრამ ეს „იალაპ“ უნდა გავვინათ, რა ხმით წარმოთქმას იმას (ყაზბეგი). ამ მაგალითში პირველი „იალაპ“ შორისდებულია, მეორე - შორისდებულის სახელწოდება, დამატებაა. აფშატაქ რომ ბრაზობდა და მისძახოდა „პაი-პუს“ ტყუას და ველსა...“ (ვაჟა). აქ „პაი-პუს“ შორისდებულის სახელწოდება, დამატებაა. „პაი-პა, პაი-პა“-ს ძახილით ერთმანეთს აღარ ვაცლიდით“ (შ. არაგვისი). „პაი-პა“ ამ წინადადებაში დამატებაა. „მედიის გულში ჩაკერით დაიძახეს „ვაი“ და საჩქაროდ გავიდნენ“ (ყაზბეგი). „ვაი“ დამატებაა სახელობით ბრუნვაში დასმული. „ვაის გავეყარე, ვაის შევეყარე“ - „ვაის“, „უის“ დამატებებია მიცემითში დასმული. „ღუარსაბამ იამა და, რომ უკან არ ჩამორჩეს აღერს-სი, თითონაც უჩქირტა და ზედ ტკიბლის ხმით და ღიმილით „პი“ დააჩანა“ (ი. ჭავჭავაძე). „პი“ ამ წინადადებაში დამატებაა. „როდესაც მიუახლოვდნენ, „ვაი“-ზე „უი“ მეტი დაერთოთ“ (აკ. წერეთელი). აქ „უი“ ქვემდებარეა, ხოლო „ვაი“ დამატება. „განდა „პაი-პუს“, აფრინეს კაცი მეფესთან (ვაჟა). „პაი-პუს“ ამ წინადადებაში ქვემდებარეა; ხოლო „ჩვენ ვერ გავჯავრდით, „პაი-პუს“ ვიძახდით, მაგრამ ბოლოს ვსდუმდით“ (ვაჟა) - „პაი-პუს“ დამატებაა. „პარად უბრალო „ვიში“ საქმეს ვერ შევლიდა“ (ყაზბეგი). „ვიში“ აქ ქვემდებარეა. „ვაი შენს მოსეს“ (ი. ჭავჭავაძე) აქ „ვაი“ ქვემდებარეა და სხვ.

ზემოთ მოხსენებულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. ქართულში შორისდებული შესაძლებელია აგებული იყოს აეით ან უ ხმოვანზე ან კიდევ დიფთონგებზე: აი, ეი, ოი, უი. ხმოვნებს შესაძლებელია წინ უძღოდეს ან მოსდევდეს სპირანტები: ყელისმიერი ჰ ან უკანაენისმიერი ხ, ან კიდევ კბილიბაგისმიერი ვ და წველებიბაგისმიერი ფ. ზოგჯერ ტონის მოძრაობისა და აფექტის გასაძლიერებლად ხმოვნის გაორმაგებასა და გასამაგებებს აქვს ადვილი.

¹² А. И. Германович, Междоместие как часть речи: „Русский язык в школе“ 1941, № 2, გვ. 30; შდრ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, ნაკვ. I, თბილისი, 1942, გვ. 76.



2. არის მაგალითები, თუმცა მცირე, როდესაც შორისდებული გადმოცემულია (მაგ., პ! კმ). ასეთ შემთხვევაში წარმოთქმაში საჭიროა სწორედ ერთი ან ორი თანხმოვნით (მაგ., პ! კმ). ასეთ შემთხვევაში წარმოთქმაში საჭიროა სწორედ ერთი ან ორი თანხმოვნით (მაგ., პ! კმ).

3. პაე ქართულში ხმოვანთა წინ ჩვეულებრივ იკარგება (გარდა „პაერ“ „პაეა“ სიტყვებისა). მაგრამ იგი შორისდებულებში ხმოვანთა წინ თუ შემდეგ და ხმოვანთა შორის შენარჩუნებულია.

4. ქართული შორისდებულები ბევრ შემთხვევაში მიმდინარეობენ სხვა მეტყველების ნაწილთან; მაგ.: „დახე“, „ჭიტა“, „პერი“, „სუ“, „ქა“, „ბიჭო“, „ოჯო“, „ბუნა“ და სხვ.

5. ბევრი ქართული შორისდებული ბგერითი კომპლექსისა და სემანტიკის მხრივაც მსგავსია ინდოევროპულ ენებში ხმარებული შორისდებულებისა. იხილი ამ სხვადასხვა სისტემის ენებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ.

6. აღსანიშნავია, რომ შორისდებულები წინადადებაში, როგორც სახელწოდება, გვევლინება ქვემდებარედ და დამატებად.



ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში¹

ქართულში გამოიყოფა რამდენიმე მოდალური ელემენტი, რომლებიც ზმნური წარმოშობისა არიან: **გეგბ/გეგება, იქნებ/იქნება, ეტყობა, ჩანს, ღამის, უნდა, გინდა/გინდ, თუენდ/თუნდა...** ზოგი მათგანი (**გეგბ/გეგება, ღამის...**) მხოლოდ მოდალური ელემენტის სტატუსით დანდება თანამედროვე ქართულში, სხვანი გამოიყენებიან როგორც მოდალური დანიშნულებით, ასევე საკუთრივ ზმნის ფუნქციით.

* * *

გეგბ/გეგება ფორმა ძველ ქართულში წარმოდგენილი იყო როგორც **გეგების**; ესაა უპრეფიქსიანი ენებითის ელიბის შქონე ზმნა, რომლის ფუძეა (ძირია) -გ-: **უ-გ-ე-ბ-ი-ს**. მასდარია **გეგბა**. ძველ ქართულში იგი საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა მნიშვნელობით „შუქლება, ჯერყოფა“². საგულისხმოა, რომ ძველ ქართულშივე პარადელურ ტექსტებში ამ ზმნის მნიშვნელობით გამოიყენებოდა „შესაძლებელ არს“ და „ჯერ არს“ აღწერითი ფორმები:

მიუგო ნიკოდემოს და პრქუა მას: ეითარ ე გ ე ბ ი ს ეგე ყოფად? | მიუგო ნიკოდემოს და პრქუა: ეითარ შე ხ ა ძ ლ ე ბ ე ლ არს ეგე ყოფად? (ი. 3,9).

პრქუა მას ნათანაველ: და ნაზარეთით ე გ ე ბ ი ს -მე რამ კეთილი რამე ყოფად? | პრქუა მას ნათანაველ: ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რამხამე ყოფად (ი. 1,46).

არამ ე ე გ ე ბ ი ს კაცისა პურიასა: | არა ჯერ არს კაცისა პურიისა (საქ. მოც. 10,28).

ამ მნიშვნელობით თანამედროვე ქართულს **გეგების** ზმნა შემორჩა მხოლოდ გამოთქმაში **არ გეგების**, რომლის ვარიანტია **არ გეგება** („არ შეიძლება, შეუძლებელია, არ იქნება“).³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეგტომულში მაგალითებად დასახელებულია: „მეწყინა, მაგრამ დაშლა **აღარ გეგებოდა**“ (ილია), „სანოვაგის გატაცება **არ გეგებოდა**“ (უბარნ).

თანამედროვე ქართულში ეს ფორმა მხოლოდ მოდალური ელემენტის (ნაწილაკის, მორფემიდის) დანიშნულებით გამოიყენება (გამონაკლისია ზემოთ დასახელებული გამოთქმა). მისი მნიშვნელობაა: „იქნება შეიძლება; ვინ იცის, ვინილო“ (ანუ: გამოიხატება შესაძლებლობა ან დაუტყება). ასეთი სემანტიკური ცვლილება მოულოდნელი არ არის: „შესაძლებელ არს, შეიძლება“ → „შესაძლოა, იქნებ, ვინ იცის“.

მოდალურ ელემენტად გამოყენებისას პარადელურ ფორმებად გვხვდება: **გეგების | გეგბა და გეგები | გეგბე**; ზოგ დიალექტში (მესხურში) დადასტურებულია აგრეთვე **გეგია**.

ამგვარი ფორმობრივი ცვლილება ცდილობდა ახილებდა: ზმნური მნიშვნელობის დანრიდვის შემდგომ ხდება ფორმის ფონეტიკური (ცვეთა, იგი „გარყვეულად“ ნაწილაკების რანგში გადადის: **უ-გ-ე-ბ-ი-ს → გეგები | გეგბე, უ-გ-ე-ბ-ა → გეგბე**, აგრეთვე: **უ-გ-ე-ბ-ა → *უ-გ-ე-ბ-ა** (ბ-ს ჩაყარვით) → **გეგია** (უ-ბ-ია ფონეტიკური ცვლილების საფუძველზე).

უფრო არსებითი ცვლილება მოხდა სინტაქსური წყობის თვალსაზრისით: ე.წ. მასდარული კონსტრუქცია („გეგების ყოფად“ ტიპისა) შეიცვალა შესიტყვებით, რომელშიც **გეგების | გეგბა** შესამუშავლია კავშირებითის ფორმასთან: „გეგბ ინებოს ბატონმა“ (ვაჟა). შესამუშავლია ხდება სამივე კავშირებითის ფორმასთან (ოღონდ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში III კავშირებითის ადგილას იხმარება II შედეგობითი; გარდა ამისა, არ შეინიშნება მყოფადის კავშირებითი): **გეგბ წერდეს, დაწეროს, დაწერა (=დაეწეროს)**. არსებითად აქ შესაძლებლობის კილოს ფუნქციაა გამოხატული. იმავედროულად **გეგბა | გეგბე** იფარისებურად გამოიყენების არეს და ეხამება სხვა პარადიგმის ფორმებსაც.

1 ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეათე, 1993.
2 ი. ა. ბუღაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
3 გეგბის - გეგბა ფორმობრივი ცვლილება ხაერთ მიუღწეა ნებისა ზმნებისათვის: ტე-გ-ე-ბ-ი-ს → თბ-გ-ბ-ა, უ-მ-ღ-ე-ბ-ი-ს → უ-მ-ღ-ე-ბ-ა და მისთ.
4 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, III, თბილისი, 1953.

I სერია: აწმყო:
ნამყო უსრული: **ვეკე** { წერს
წერდა
წერდეს

არ დასტურდება მყოფადის წრის ფორმებთან.

II სერია: აორისტი:
II კავშირებითი: **ვეკე** { დაწერა
დაწეროს

III სერიაში გვხვდება II შედეგობითისა და III კავშირებითის ფორმებთან: ვეკე დაეწერა, დაეწეროს (ამათგან, როგორც ითქვა, II შედეგობითი გამოყენებულია III კავშირებითის ნაცვლად).

ზემოხსენებულის საფუძველზე შეიძლება ითქვას: ქართულში გამოიკვეთა შესაძლებლობის კილოს გამოხატვის ტენდენცია. გამოხატვა ხდება ნაზმნარი მოდალური ელემენტის (ვეკება || ვეკე) საშუალებით, რომელიც ეხამება აწმყოს, ნამყო უსრულის (განგრძობითის), აწმყოს კავშირებითის, აორისტის (ნამყო ძირითადის), II კავშირებითის, II შედეგობითის (III კავშირებითის ფუნქციით გამოყენების შემთხვევაში) და III კავშირებითის (უპირატესად დიალექტებში) ფორმებს.

* * *

ძველ ქართულში **ღამის** ახვევ დამოუკიდებელი ზმნის დანიშნულებით გამოიყენებოდა. ამ ზმნის მასდარად იგარაუდება **ღამა** „ნდომა, წადილი; სურვილი, წაფა“. ი. აბულაძეს ნიმუშად დასახელებული აქვს: „**ღამოდა** შესდგასა ოესეთად“. **ღამის** იმავე სტრუქტურის ზმნაა, რაც „სურ-ის/სურ-ი-ნ“ „სურს“ („კითარცა სურ-ი-ნ ირემსა“, - ფს. 41, 2; „სურ-ი-და სულსა ჩემსა“, ფს. 118, 174), **ს-წყურ-ი-ს** („ს-წყურ-ი-ან | სურ-ი-ან სულსა ჩემსა შენდამი“, ფს. 62,2 და მისთ.) ანუ **ღამ-ი-ს**, სადაც -ს მხოლოდობითი რიცხვის III სუბიექტური პირის ნიშანია, -ი - ზმნური სუფიქსი; ფუძეა **ღამ**, რომელიც ამჟამად, როგორც ზმნა, -ობ თემის ნიშნითაა გეფორმებული: **ღამ-ობ-ს** („გაკეთებას ღამობს“).⁵

ღამ-ი-ს ფორმა ზმნის ფუნქციით XIX საუკუნემდე იყო შემორჩენილი, უფრო მოგვიანებით იგი უპირატესად სტილიზაციის მიზნით ჩანს გამოყენებული. შდრ.:

მოკლეს ღამოდა (საბა: **ღამ-ი-ს-ღამ-ო-და**; უტანდარი გვახლა, დედოფალო, შენს ხილვას ღამის (შ. დად).⁶

ამდენად, ქართული ენის განვითარების გვიანდელ საფეხურზე ერთმანეთის პარალელურად დასტურდება ორი ფორმა:

აწმყო:	ღ-ღამ-ი		ე-ღამ-ობ
	ჰ-ღამ-ი		(ჰ)-ღამ-ობ
	(ჰ)-ღამ-ი-ს		(ჰ)-ღამ-ობ-ს
ნამყო უსრული:	ღ-ღამ-ო-დ-ი		ე-ღამ-ობ-დ-ი
	ჰ-ღამ-ო-დ-ი		(ჰ)-ღამ-ობ-დ-ი
	(ჰ)-ღამ-ო-დ-ა		(ჰ)-ღამ-ობ-დ-ა
კავშირებითი:	ღ-ღამ-ო-დ-ე		ე-ღამ-ობ-დ-ე
	ჰ-ღამ-ო-დ-ე		(ჰ)-ღამ-ობ-დ-ე
	(ჰ)-ღამ-ო-დ-ე-ს		(ჰ)-ღამ-ობ-დ-ე-ს

ამათგან, პირველი სისტემიდან შემორჩა **ღამის**, როგორც მოდალური ელემენტი (მნიშვნელობით: „თითქმის, კინაღამ“). ხოლო მეორე სისტემა დამკვიდრდა როგორც **ღამ-ობ-ს** ზმნის უდვლილება.

მოდალური ელემენტი **ღამის** უპირატესად II კავშირებითის ფორმას ეხამება: „შიშინჯან **ღამის** მე ჩემი **დამეპართოს**“. დირსხაცინობია, რომ მას მოდალურ ელემენტად გამოყენების დროსაც უნარი აქვს ზმნისთვის დამახასიათებელი კონსტრუქცია შექმნას (თუმცა ზმნური

5 ი. აბულაძე, დასახ. ნაშრ.
6 ნიმუშები დასახელებულია ქველიდან, ტ. IV.



სემანტიკისგან დაცლილია): „ღამის, რომ არ შაჸეოს“ (ვაჸა).⁷ ღამის ამ შემთხვევაში მის ვარი წინადადების დანიშნულებითაა გამოყენებული სინტაქსურად, თუმცა მორფოლოგიურად და სემანტიკურად მოდალური ელემენტია (ნაწილაკია). ეს, თავის მხრივ, ხდება იმის მიზეზი, რომ ღამის ფორმასთან წნდება არის ზმნა: „ღამის არის, შიშისგან გული წაუვიდეს“. განათვალისწინებელია ისიც, რომ თავად არის ფორმაც ქართულში ზოგჯერ გამოიყენება მოდალური ელემენტის დანიშნულებით: „ორიოდ-სამი პურიც არის წაიღო“ (ხაბა); გამოიხატება მნიშვნელობა: „მინც, კი“.⁸ გუხვდება ასეც: მინც არის („სიკვდილით მინც არის ეხსნა ამ მწუხარებისაგან“, - ა. ფურც.). რა თქმა უნდა, ღამისთან არის ფორმას ეს მნიშვნელობა არ აქვს, აქ იგი უფრო მეშველი ზმნის დანიშნულებას ასრულებს: „ღამის არის | ღამისაა, გული წაუვიდეს“ (შდრ. „ეს-ესაა მოვიდა“).

ღამის იფართოებს ზმნურ ფორმასთან გამოყენების სფეროს: II კავშირებითის გარდა, იგი შეიძლება შეეხამოს სხვა პარადიგმის ფორმებსაც: ღამის ტირის, ტიროდა, იტირა, ეტირა; ანუ: აწმყოს, ნამყო უსრულს (განგრძობითს), აორისტს (ნამყო ძირითადს), II შედეგობითს (გამოყენებულს III კავშირებითის ფუნქციით).

* * *

ოქნება თანამედროვე ქართულში ორი დანიშნულებით გამოიყენება: ხაკუთრივ ზმნისა და მოდალური ელემენტისა.

ოქნება ზმნა პოლისემიურია:

ა) გამოიხატავს მყოფობას, უღვლილებიას შეენაცვლება არის ზმნას:

I სერია აწმყო: არის

მყოფადი: ოქნება

პირობით-ხოლმეობითი: ოქნება-ოდ-ა

კავშირებითი: ოქნება-ოდ-უს

II სერია: აორისტი: იყო

II კავშირებითი: იყო-ს

III სერია: I შედეგობითი: ყოფილა

II შედეგობითი: ყოფილ-იყო

III კავშირებითი: ყოფილ-იყოს

შდრ. „ის კაცი ახლა იქ არის“ - „ის კაცი ხვალ არ იქნება“.

ბ) გამოიყენება შედეგინილი შემასმენლის ზმნურ წვერად: „პატარა თუ არ გაიზარდა, დიდი როგორ იქნებაო“ (ანდაზა).

აქაც **ოქნება** შეენაცვლება არის ზმნას, მაგრამ წინა შემთხვევისაგან განსხვავებით (როცა II სერიაში მას მხოლოდ იყო ზმნა შეენაცვლებოდა), ამ დანიშნულებით (იყო ზმნასთან ერთად) **ოქნება**→**იქნა** II სერიაშიც დანშდება:

აწმყო: დიდი არის→დიდი

მყოფადი: დიდი იქნება

აორისტი: დიდი იყო/დიდი (შე)იქნა

არსებითად მეშველი ზმნის დანიშნულებით არის გამოყენებული **ოქნება** აღწერითი ენუბითის ფორმებშიც (ამ შემთხვევაში II სერიაში უპირატესად ამ ფუძისგან ნაწარმოები ფორმება დამოწმებული; იყო იშვიათია):

მოქმედებითი:

მყოფადი: გა-იღ-ებს (თანხას)

აორისტი: გა-იღ-ო (თანხა)

ენებითი:

გაღებულ ოქნება (თანხა)

გაღებულ იქნა (თანხა).

ამ რიგისაა: აყვანილ, ატანილ... იქნება (იქნებოდა, იქნებოდეს; იქნა, იქნას...).

7 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 615.

8 ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990, გვ. 98-100.



ქართული ენის ეტიმოლოგია

გ) დადასტურებულია შესაძლებლობის ფუნქციის გამოსახატავად: „ერთხელად (არ იქნება (=შესაძლოა), მელას მინდორზე გაუთენდებო“, „თოფის სროლა არ იქნება“ („არ შეიძლება“) შევერწნავთ, რომ გამოთქმაში არ იქნება ზმნა შესაძლოა არქაული ფორმითაც იყოს წარმოდგენილი: არ იქნების (შდრ.: არ ეგება და არ ეგების); „კაკალი უნაჭუჭოდ არ იქნების“ (ანდაზა).

დ) დაწინებულობა გამოთქმაში: რა | რალა იქნება (იქნა), როგორც იქნება (იქნა), რაც იქნება, ვერ | არ იქნა (ან: ვერა და ვერ იქნა, არა და არ იქნა)...

ყველა ამ შემთხვევაში იქნება (იქნა) იპრეფიქსიანი ვნებითის ფორმაა.

ამავე ფუძის მოქმედებითის ფორმა II და III სერიაშია დამოწმებული და ისიც მხოლოდ ამ მნიშვნელობით: „გააკეთა, ჩაიდინა, მოიმოქმედა“ („მადლი ქენი და მარილიც მოაყარო“, „მაშ დაეხსნეთ და სამართალი ექნათ“⁹).

ამ ზმნის პარადიგმა ასეთია:

აწმყო: შერ-ება-
მყოფად: ი-ზამ-ს
აორისტი: ქნ-ა

I შედეგობითი: უქნ-ია.

თავის მხრივ ქნ-ა და იქნა ფორმობრივ კი არის ერთმანეთის მიმართ მოქმედებითი და ვნებითი, მაგრამ სემანტიკურად მათ შორის ამგვარი კავშირი დაწინებულება (შდრ.: ჰყო და იყო).

ზოგადი მნიშვნელობა იქნება ზმნისა არის: „იარსებებს“, აქედან განვითარებულია სასურველობის სემანტიკა „ვინმე იყოს | იარსებოს“, რაც საფუძვლად დაედო კიდევ ამ ფორმის გამოყენებას მოდალური ელემენტის დანიშნულებით: „მგელი ცხვარს საში წელი დასდება – იქნება დღეა ჩამოუვარდესო“ (ანდაზა).¹¹

იქნება ზმნის მოდალურ ელემენტად გამოყენებამ განაპირობა მისი ფონეტიკური ცვლილება: იქნება → იქნებ, იქნება → *იქნეა (ბ-ს ჩაყარდნით) → იქნია (ვა-ია ფონეტიკური ცვლილების საფუძველზე; ბოლო ფორმა დადასტურებულია მეხსურში (შდრ.: ევია).

როგორც ითქვა, იქნება ფორმის მოდალურ ელემენტად გამოყენებას საფუძვლად დაედო სასურველობის (სურვილობის) სემანტიკა, შემდგომ იგი იფართოვდა სემანტიკურ სფეროს და ამჟამად გამოხატავს ვარაუდის მნიშვნელობასაც. შესაბამისად გაფართოვდა მისი ფორმობრივი შესაბამისი სფეროც: II კავშირებითის ფორმების გარდა (იქნება | იქნებ დაწეროს, გააკეთოს, მოვიდეს, გაატბეს...), იგი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვა პარადიგმის ფორმებთანაც: იქნება | იქნებ წერს, წერდა, წერდეს; დაწერა, დაწეროს; იქნება | იქნებ იცის, იცოდა, იცოდეს (ანუ: აწმყოს, ნამყო უსრულის, აწმყოს კავშირებითის, აორისტის, II შედეგობითის, III კავშირებითის ფორმებთან, II შედეგობითთან – III კავშირებითის ნაცვლად).

იქნება, როგორც დამოუკიდებელი ან მეშველი ზმნის, და იქნება, როგორც მოდალური ელემენტის, გამოყენების სფეროები ენაში მკვეთრად გამოიჯნულებს: სახელთან (ან პირველ მასდართან, მიმდებარესთან) იგი მხოლოდ ზმნის ფუნქციით გვხვდება (იქნება კაცი, ზვიმი, გუკუთებული). ხოლო ზმნისთან – მხოლოდ მოდალური ელემენტის დანიშნულებით (იქნება | იქნებ წერს, წერდა, დაწერა...)

* * *

უნდა ზმნის ამოსავალი ფუძე (ძირი) ნ არის, იგივე, რაც უქველეს უნ-ებ-ს/უნ-ებ-ნ ზმნაში („უნებნ მით“, – მ. 27, 15). უნდა ისტორიულად ნამყო უსრულის ფორმა,¹² აწმყო უნდა (რომელიც ზოგ დიალექტსა თუ კილოკავს – მესხურს, ქიზიურს – დღემდე დაუცავს). შემდგომ უნდა აწმყოს ფორმად იქნა გააზრებული და, ამის კვლობაზე, ახალი პარადიგმული რიგი აიგო. შდრ.:

⁹ იხ.: ქველ, ტ. IV, 1955.

¹⁰ იხ.: ქველ, ტ. VII, 1962.

¹¹ ქველ, ტ. IV.

¹² ა. შანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 223-225.

აწმყო:	უნ-ა	უნ-და
ნამყო უსრული:	უნ-და-ა	უნ-და-ოდა
კავშირებით:	უნ-და-ეს	უნ-და-ოდა-ეს.

უნ-ებ-ს/უნ-ებ-ნ ფორმაში -ებ თემის ნიშანია, რომელიც შემდგომ ფუძეს შეუხორცდა და სხვა (-აე) თემის ნიშანი დაითრო: **პ-ნებ-აე-ს/პ-ნებ-აე-ნ**. ეს ცვლილებაც საკმაოდ ადრეულ პერიოდში მოხდა – უკვე ოთხთავის პარალელურ ტექსტებში შეინიშნება მათი შენაცვლების შემთხვევები: „ხოლო დღესასწაულთა ჩუუელ იყო მთავარი იგი, მიუტევის ერსა მას პერობილი ერთი, რომელიცა **უნ-ებ-ნ** მათ“; პარალელურ ვარიანტშია: „რომელიცა **პ-ნებ-აე-ნ**“ (მ. 27, 15). **უნებს** ხმოვანი პრეფიქსის გარეშეც გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში: **პ-ნებ-ს**. ეს ზმნები სურვილის, ნდომის სემანტიკას გამოხატავენ. გვაქვს მათი ურთიერთიანაცვლების, აგრეთვე ამავე სემანტიკის სხვა ზმნებთან შენაცვლების შემთხვევები:

რაოდენ გზის მინდა შეკრება ნაშობთა შენთა; შდრ: რაოდენ გზის ვინებე შეკრება შეილთა შენთა (მ. 23, 37)

ვი-ნებ-ე აორისტია, **მი-ნ-და** – ნამყო უსრული („მინდოდა“); ორსავე შემთხვევაში სურვილის მნიშვნელობა გამოხატული.

ხოლო პეროდე ვითარცა იხილა იესუ, განიხარა ფრიად. რამეთუ უნდა („უნდოდა“) მისი ხილვა მრავლით ეამითგან ამისთვ; შდრ: რამეთუ სწადოდა მრავლით ეამითგან ხილვა მისი (ლ. 23, 8).

უნდა ძველ ქართულშივე გამოიყენება როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობით:

ა) **(ე)უნ-დი, უნ-დი** („უნდი მე“¹³); იგივეა, რაც ახალი ქართული: ვ-უნ-დი-ვარ, უნ-დი-ხარ;

ბ) **მი-ნ-და, ვი-ნ-და, უნ-და**.

თანამედროვე ქართულში **უნდა** ზმნა ორი მნიშვნელობით იხმარება:

- „სურს, სწადია“: „ბრძანს რა უნდა და – ორიუ თვალიო“ (ანდაზა);
- „საჭიროება, საჭიროა მისთვის“: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“ (ანდაზა)¹⁴.

მართალია, ეს ორი მნიშვნელობა საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან, მაგრამ ამ თუნდაც მცირედმა სემანტიკურმა სხვაობამ ისინი უღვლილებითაც განასხვავა: როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობის უღვლილება ამ ზმნას მხოლოდ პირველი მნიშვნელობის გამოხატვისას აქვს:

აწმყო: { ეუნდივარ, უნდიხარ, [უნდა]
 { მინდა, ვინდა, უნდა

ნამყო უსრული: { ეუნდოდი, უნდოდი, [უნდოდა]
 { მინდოდა, ვინდოდა, უნდოდა

აწმყოს კავშირებით: { ეუნდოდე, უნდოდე, [უნდოდეს]
 { მინდოდეს, ვინდოდეს, უნდოდეს

მყოფადი: { ეუნდომები, ეუნდომები, [ეუნდომება]
 { მუნდომება, გუნდომება, ეუნდომება...

I შედეგობით: { ე(ნ)დომებივარ, ს(ნ)დომებიხარ, [ს(ნ)დომები]
 { მ(ნ)დომები, ვ(ნ)დომები, ს(ნ)დომები...

ზმნა ინვერსიულია, ახასიათებს დეფექტური უღვლილება (საერთოდ არა აქვს II სერია;

¹³ ი. აბულაძე, დაახ. ნაშრ., გვ. 326 (იხ: ნდობა).

¹⁴ ქველ., ტ. VI, 1960.



აწმყოს წრის გარდა, სხვა პარადიგმებში იყენებს შენაცვლებულ ფუძეს: ე-პარფიტიზმის (წმინდა) ფორმის ცვლილებების).

მეორე მნიშვნელობის გამოხატვისას უნდა ზმნას მხოლოდ ობიექტური წყობა აქვს და, თანაც, ოდენ აწმყოს წრის პარადიგმაში მოეპოვება („კარგი გამგონე მინდა“ = „კარგი გამგონე მჭირდება“, „კარგი გამგონე მინდოდეს, ვიპოვინდი“ = „კარგი გამგონე მჭირდებოდეს, ვიპოვინდი“).

სწორედ ამ მეორე მნიშვნელობისაგან განვითარდა ის სემანტიკა, რომელსაც მოდალური ელემენტი უნდა გამოხატავს: „საჭიროა, აუცილებელია“.

მნიშვნელობათა ამგვარი გადასვლა მოულოდნელი არ არის: „სურს, სურვილი აქვს“ → „სჭირდება, ესაჭიროება“ → „საჭიროა, აუცილებელია“.

მოდალური ელემენტის სტატუსით აღჭურვილი უნდა თავისი ფორმოებრივი ქმედებით (მოქცევით) პრინციპულად განსხვავდებოდეს უნდა ზმნისაგან: „უნდა“ მოდალური ელემენტი ეხამება მხოლოდ კავშირებითის ფორმებს (გარდა მყოფადის კავშირებითისა) და არ იუღლებს.

მართალია, სურვილის გამოხატველი უნდა ზმნაც კავშირებითის ფორმებთან იხმარება, მაგრამ სხვაობაც აშკარაა:

- ა) იცვლება პირის, რიცხვისა და დრო-კილოს მიხედვით: თხრობითი კილო:

აწმყო:	I	{ მინდა ვაკეთებდუ, გავაკეთო მინდა ვაკეთებდეთ, გავაკეთოთ
	II	{ გინდა აკეთებდუ, გააკეთო გინდათ აკეთებდეთ, გააკეთოთ
	III	{ უნდა აკეთებდეს, გააკეთოს უნდათ აკეთებდნენ, გააკეთონ
ნამყო:	I	{ მინდოდა გამეკეთებინა (=გამეკეთებინოს) გინდოდა გაგვეკეთებინა (გაგვეკეთებინოს)
	II	{ გინდოდა გაგვეკეთებინა (გაგვეკეთებინოს) გინდოდათ გაგვეკეთებინათ (გაგვეკეთებინოთ)
	III	{ უნდოდა გაეკეთებინა (გაეკეთებინოს) უნდოდათ გაეკეთებინათ (გაეკეთებინოთ)

კავშირებითი კილო:

აწმყო:	მინდოდეს ვაკეთებდუ, გავაკეთო გინდოდეს აკეთებდუ, გააკეთო უნდოდეს აკეთებდეს, გააკეთოს
ნამყო:	მ(ნ)დომებოდა (მ(ნ)დომებოდეს) გამეკეთებინა (გამეკეთებინოს) გ(ნ)დომებოდა (გ(ნ)დომებოდეს) გაგვეკეთებინა (გაგვეკეთებინოს) ს(ნ)დომებოდა (ს(ნ)დომებოდეს) გაეკეთებინა (გაეკეთებინოს)...

ანუ: თხრობითი კილოს გამოხატვისას აწმყოში ერთმანეთს ეხამება უნდა ზმნა აწმყოს ფორმით და აწმყოს ან II კავშირებითი; ნამყოში: უნდა ზმნა ნამყო უსრულის ფორმით და II შედეგობითი (|| III კავშირებითი). კავშირებითი კილოს გამოხატვის შემთხვევაში კი აწმყოში შეხამებულია უნდა ზმნა აწმყოს კავშირებითის ფორმით და აწმყოს ან II კავშირებითი, ნამყოში – უნდა ზმნა II შედეგობითის ან III კავშირებითის ფორმით და II შედეგობითი (|| III კავშირებითი).

შენიშვნა: I, II კავშირებითისა და II შედეგობითის (III კავშირებითის) ფორმები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც ზმნისწინით, ასევე უზმნისწინოდ: მინდა ვაკეთო | გავაკეთო, მინდოდა მეკეთებინა | გამეკეთებინა... 2. თხრობითი კილოს ნამყოში მოსალოდნელი იყო უნდა ზმნა II შედეგობითის ფორმითაც ყოფილიყო წარმოდგენილი (მნდომებოდა, გნდომებო-

და...), მაგრამ იმის გამო, რომ II კავშირებითი, ჩვეულებრივ, III კავშირებითი გამოიყენება, ეს ფორმა კავშირებითის კილოს გამოხატვისას დაჩნდება, ხოლო თხრობითი კილოს ნაყოფში უნდა მხოლოდ ნაყოფ უსრულის ფორმითაა დამოწმებული; 3. პირთა შესახება შესაძლოა ნაირგვარი იყოს:

- მინდა { ვაკეთებდე, აკეთებდე, აკეთებდეს
- { გავაკეთო, გააკეთო, გააკეთოს...
- გინდა { ვაკეთებდე, აკეთებდე, აკეთებდეს
- { გავაკეთო, გააკეთო, გააკეთოს და მისთ.

4. II კავშირებითის ფორმებთან თავისებური სემანტიკური ვითარება იქმნება: მინდა /გინდა /უნდა (= „სურვილი“) აწმყოა, ხოლო საუღლებელი ზმნა (გავაკეთო /გააკეთო /გააკეთოს) მყოფადს გამოხატავს.

ბ) საქმე გვაქვს რთული ქვეწყობილი წინადადების ერთ-ერთ ნაირსახეობასთან: მინდა ვაკეთებდე ან მინდა გავაკეთო არსებითად იგივეა, რაც: მინდა რომ ვაკეთებდე, ან: მინდა, რომ გავაკეთო... ამიტომაც მინდა ვაკეთებდე ან მინდა გავაკეთო ტიპის კონსტრუქციები დაწერილობისას ზოგჯერ ასეც არის წარმოდგენილი: მინდა, ვაკეთებდე ან მინდა, გავაკეთო (ე. ი. ისე, როგორც უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება).
გარდა ამისა, სასურველობის გამოხატველი უნდა ზმნა შესაძლოა შესამებული იყოს მასდართან: მინდა (გინდა, უნდა...) ამ საქმის ვაკეთება (ან: თამაში, ვარჯიში, სიმღერა...), აგრეთვე არსებით სახელთან: მინდა (გინდა, უნდა) წიგნი (სურათი...), რაც გამოირიცხება მაშინ, როცა უნდა მოდალური ელემენტის ფუნქციითაა გამოყენებული.

გამორიცხება ზემოხსენებული ორი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაც უნდა ზმნისა.

ა) მოდალური ელემენტი უნდა გამოიყენება კავშირებითის ყველა პირის ფორმასთან (ორსავე რიცხვში) უცვლელი ფორმით (არ გვხვდება მხოლოდ მყოფადის კავშირებითთან).

- აწყო: უნდა { ვაკეთებდე
- { აკეთებდე
- { აკეთებდეს
- მყოფად: უნდა { (გა)ვაკეთო
- { (გა)აკეთო
- { (გა)აკეთოს
- ნაყოფ: უნდა { გამეკეთებინა (გამეკეთებინოს)
- { გაგაკეთებინა (გაგაკეთებინოს)
- { გავეკეთებინა (გავეკეთებინოს)...

ბ) უნდა მოდალური ელემენტი გამორიცხავს უნდა ვაკეთებდე ან უნდა გავაკეთო ტიპის სტრუქტურათა გავებას პიპოტაქსურ (რთულ ქვეწყობილ) კონსტრუქციებად (უნდა, რომ ვაკეთებდე ან უნდა, რომ გავაკეთო ნიშნავს, რომ „მას სურვილი აქვს ვაკეთებდე | გავაკეთო“, და არა ვაღდებულებას, რის გამოხატვაც აკისრია მოდალურ ელემენტს უნდა).

გ) ნიშანდობლივია, რომ ამ შემთხვევაში არ განიხრევა თხრობითი და კავშირებითი კილო. საქმე ის არის, რომ უნდა მოდალური ელემენტით გამოიხატება სპეციფიკური - ვაღდებულელების (დებიტივის) მნიშვნელობა, რომელიც კავშირებითი კილოს ერთ-ერთ სემანტიკურ ნაირსახეობად უნდა განისაზღვროს (შდრ.: კარგი იქნება, გააკეთოს - გააკეთოს! - უნდა გააკეთოს!).

შევიშნაეთ, რომ ორსავე შემთხვევაში (მაშინაც, როცა უნდა წარმოდგენილია ზმნის ფუნქციით, და იმ შემთხვევაშიც, როცა უნდა მოდალური ელემენტია) დახაშვებია უნდა ფორმისა და ზმნის გათიშვა ზმნისხარებით: მინდა (/გინდა /უნდა) სწრაფად (კარგად, დღეს, ხვალ...) გავაკეთო (/გააკეთო/ გააკეთოს), შდრ.: უნდა სწრაფად (კარგად, დღეს, ხვალ...) გავაკეთო (/გააკეთო/ გააკეთოს).



მოდალურ ელემენტად გამოყენებისას უნდა შესაძლოა ფორმობრივადც იცვალოს იგივე ნეტიკური ცვეთის შედეგად. ასეთი ვითარებაა, მაგალითად, აჭარულსა და მესხურში, სადაც უნდა | უნა→ნდა || და | ნა (ზმნას დაერთვის წინდებულად ან უკუდებულად): იქნდა | იქნა მივიდეს „იქ უნდა მივიდეს“, დასწეროს-ნა „უნდა დაწეროს“ (აჭარული), ნაგავაკეთო | გავაკეთონ-ნა „უნდა გავაკეთო“, გააკეთოს-და „უნდა გააკეთოს“ (მესხური). საკუთრივ ზმნის ფუნქციით გამოყენებული უნდა კი არასდროს განიცდის ამგვარ ფორმეტიკურ ცვლილებებს. ეს კიდევ ერთი ნიმუშია იმისა, თუ რა ზეგავლენას ახდენს ფუნქციური მხარე ფორმობრივზე.

* * *

უნდა ზმნის II პირის ფორმა სხვადასხვა მოდიფიკაციით დამოუკიდებელივ (გინდა | გინდ | გინ) ან თუ ნაწილაკთან შერწყმულად (თუგინდა | თუგინდ) ასევე გამოიყენება მოდალური დანიშნულებით (სინტაქსურად კავშირებს წარმოადგენენ), ამავე ფუნქციით გეხვედბა აგრეთვე თუ ნაწილაკიან შერწყმული III პირის ფორმა (თუ გინდა – თუნდა | თუნდ):

გინდ რვეენისათვის ვისწაულებია, გინდ მკადრიხთვის გიწამლებიო (ანდაზა); თუნდა ამოდი, მზო, და თუნდ ნუ ამოხვალ მბრწყინავი (ვაჟა).

ანალოგიური ვითარება ძველ ქართულშივე დაინახება, როცა გამოიყენებოდა II პირის ფორმა გინა: „მოიწიის ჭირი გინა დევნულებამ სიტყვა მისთვის“.

ზემოხსენებული მნიშვნელობების მქონე გინა ამჟამად გეხვედბა ზოგ დიალექტსა თუ კოლოკაეში (ქიზიყურში...).

* * *

ნაზმნარი ფორმების გამოყენება მოდალური ელემენტების დანიშნულებით ქართულში არცთუ ისე იშვიათი მოვლენა ჩანს.

ნაზმნარ ფორმებად მიიჩნევა, მაგალითად, თითქმის (←*თუ ითქმის)¹⁵ და თითქოს (←*თუ ითქვას). შესაძლოა, ზმნური წარმოშობისა იყოს ვინძლო ელემენტიც (*ვინ-(შე)-იძლო→ ვინძლო); სხვა ვარაუდით: *ვინ-ძი რი(შ)→ვინძლო.¹⁶ ზმნური შესიტყვევისაგანაა მიღებული ვარაუდის გამოშხატველი მოდალური ელემენტი ვინცილობა (←ვინცილობა არის←ვინცილობა←ვინცი(ის)-ობა←ვინ იცის); „ვინცილობა, ეჭვი აიღონ, ასე უთხარი“... ვარაუდის მოდალობას გამოხატავენ აგრეთვე ჩანს და ეტყობა ფორმები: „ჩანს, ბარშიაც თოელი მოსულა“ (ხშირად შეხამებულია როგორც ფორმასთან: როგორც ჩანს); „ეტყობა, სტუმარს იქაურობა მოეწონა“¹⁷.

მოდალური მნიშვნელობები შეუქმნიათ მოდი და ადგა ზმნურ ფორმებსაც.

პირველი წაქეზების დანიშნულებით გამოიყენება („მოდი, ვნახოთ, ვენახი“), მეორე ექსპრესიულობას მატებს ფრაზას („ადგა მეწისქვილემა და შააჰამა ერთი ქათამი“, – ნიმუში მთიულურიდანა).

* * *

ნაზმნარ ფორმათა გამოყენებას მოდალური დანიშნულებით უწინარეს ყოვლისა თვით ამოხველი ზმნის სემანტიკა უწყობს ხელს: უნდა „სურს“→უნდა „სჭირდება“→უნდა „საჭიროა, აუცილებელია“; თუ ითქმის (გამოიხატება ვარაუდი)→თითქმის (გამოიხატება მიახლოებითობის სემანტიკა) და მით.

თვით ამგვარი სემანტიკური გადახრის შესაძლებლობა კი ენის იმანენტური დინამიზმის უშუალო შედეგია.

¹⁵ ა. შანიძე, დახაზ. ნაშრ., გვ. 614.
¹⁶ იქვე.
¹⁷ ქველ., ტ. III, 1953; ტ. VIII, 1964.

კვლევა ერთი სადავო საკითხის გამო¹

უბრალო დამატებისა და გარემოებათა გამოჯენის საკითხი დღესაც სადავო გრამატიკული ლიტერატურის მიხედვით. ამის მიხეზი გახლავთ გამოჯენის კრიტერიუმის სუბიექტური არჩევანი: წინადადების წვერთა გამოყოფისას ხომ მხოლოდ ფორმალურ ნიშნებს არ ვუყრდნობით, ვითვალისწინებთ შინაარსსაც, ეს კი მოვლენის სუბიექტური აღქმისა და შესაბამისი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

ეს წერილიც ერთ-ერთი ცდაა უბრალო დამატებისა და გარემოებათა ურთიერთობიდან ერთი საკითხის გარკვევისა, კერძოდ, -კენ თანდებულიანი სახელის ფუნქციებისა თანამედროვე ქართულში.

გრამატიკულსა და მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში -კენ თანდებულიანი სახელის მნიშვნელობაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგი² -კენ თანდებულიანი სახელს გარემოებად მიიჩნევს, ზოგის³ აზრით კი ასეთი სახელი გარემოების გარდა ობიექტურ მიმართებასაც გამოხატავს.

ეს სადავო საკითხი თავს იჩენს სწავლების დროსაც, როგორც სასკოლო⁴, ასევე სტუდენტობის განკუთვნილ სახელმძღვანელოში⁵ -კენ თანდებულიანი სახელის მხოლოდ ერთ მნიშვნელობაზეა მითითებული (გარემოების მნიშვნელობაზე) და აღნიშნულიცაა, რომ -კენ თანდებულიანი სახელის ფუნქციაა იყო გარემოების მნიშვნელობის გადმოცემა და ეს ფუნქცია შემორჩა მას დღემდე⁶.

მართლაც, ძველ ქართულში -კენ-კერძო თანდებული (ცალკე მდგომი) სამ ბრუნვასთან გუხვდებოდა: მოქმედებითან, ვითარებითან და ნათესაობითან⁷. როგორც მიუთითებენ, „სახელს სამ ბრუნვასთან მართვა ამ თანდებულის ნაირსახეობით არ აიხსნება, იგი ყველგან აღნიშნავს ადგილს ან მიმართულებას“⁸.

-კენ თანდებულიანი სახელს ძველ ქართულში რომ მხოლოდ გარემოების მნიშვნელობა ჰქონდა, ამას, ალბათ, ამ თანდებულის მნიშვნელობის გარდა მოქმედებით და ვითარებით ბრუნვათა ფუნქციებიც განაპირობებდა. აღნიშნულ ბრუნვათა პირველად ფუნქციებად, ერთი მხრივ, ადგილისა და დროის (დაწყებითობის) გადმოცემას თვლიან⁹, ხოლო, მეორე მხრივ, მღვწეულობის, მიმართულების გამოხატვას¹⁰. ნათესაობით ბრუნვასთან კი ეს თანდებული შედარებით იშვიათია და გვიანაც დაერთო¹¹.

ახალ ქართულში -კენ თანდებული სწორედ ნათესაობით ბრუნვასთან დამკვიდრდა, მოქმედებით ბრუნვაში ზმნისართებსა შემორჩა (იქითკენ, აქეთკენ...), ხოლო ვითარებითში აღარ იხმარება.

-კენ თანდებულიანი სახელი თანამედროვე ქართულშიც უმეტესად ადგილის გარემოების მნიშვნელობისაა, ე. ი. ეს მნიშვნელობა შემორჩა ძველი ქართულიდან მას შემდეგაც, რაც საბოლოოდ დაუკავშირდა მხოლოდ ნათესაობით ბრუნვას.

¹ ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1-2, 1985.

² ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1977, გვ. 134; ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, VII-VIII კლასების სახელმძღვანელო, 1971, გვ. 40. ალ. ფოცხიშვილი, უბრალო დამატება თუ ადგილის გარემოება? „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1980, №4, გვ. 88.

³ მ. თალაქაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგია, 1959, გვ. 313. აკ. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, 1973, გვ. 403.

⁴ აკ. შანიძე, ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრომი.

⁵ ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრომი.

⁶ ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

⁷ არ. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იკე I, 1946, გვ. 224.

⁸ იქვე.

⁹ თ. შარაძენიძე, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვათა წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 420.

¹⁰ თ. შარაძენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 432.

¹¹ არ. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრომი.



გარემოების ნიმუშებია: ტყისკენ გამოისიერნა, სასახლისაკენ გაეწიე... მაგრამ უნდა გავხილო სემანტიკური ჯგუფის სახელებში -კენ თანდებულებიანი ფორმები ობიექტურ მინიშნობასაც აღნიშნავს და ამგვარად უბრალო დამატებასაც გამოხატავს.

ასეთად მიგვაჩნია პირველ ყოვლისა, -კენ თანდებულებიანი აბსტრაქტულ ანუ განყენებულ ცნებათა გამომხატველი სახელები: ჩემი **ზურმუხტი**, ჩემი ძოწი, ჩემი ბიერილი **ხელყოფისაკენ** წააქეხებს ზოგიერთ გვაქებს¹²; ტბილად იწვევდნენ მას კერძო **სიამოვნებისაკენ**; (მოჭარბებული სისხლი) შუენობელი **თრობისაკენ** ეზიდებოდა; **თავისუფლებისაკენ** მღტოლველს შთაუფრო ადღეუვებდა...

წარმოდგენილ მაგალითებში -კენ თანდებულებიანი სახელები **ხელყოფისაკენ**, **სიამოვნებისაკენ**, **თრობისაკენ**, **თავისუფლებისაკენ** უბრალო დამატებად გაიარება, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ მიზნის გარემოების შინაარსსაც.

ასევე, თითქოს დავას არ უნდა იწვევდეს ცოცხალი არსების გამომხატველი -კენ თანდებულებიანი სახელები, განსაკუთრებით „კინ“ ჯგუფისა. ამის თაობაზე თავის ლექციებში შენიშნავდა პროფ. ვ. თოფურია. მიუთითებენ სხვებიც¹³.

ჩვენც მიგვაჩნია, რომ უბრალო დამატებაა გამომხატველი „კინ“ ჯგუფის სახელებით ყველა ქვემოთ მოყვანილ შემთხვევაში: მასაც იდუმალი გარნობა ეზიდებოდა **ვაჟისაკენ**; არ გამოუხედავს **დედუნასაკენ**; რა მიზიდავდა ამ გადაგვარებული **ადამიანისაკენ**.

უფრო რთულია ზღვარი დაილოს უბრალო დამატებასა და გარემოების შორის, როცა -კენ თანდებულები „რა“ ჯგუფის სახელებს დაერთვის, მაგრამ ჩვენ მაინც ვცადეთ დამატებათა შინაარსის გამომხატველი რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი გამოვყურო **არაადამიანთა** სახელებში, რომლებიც საბოლოოდ ერთი ნიშნით გაავერთიანეთ.

უბრალო დამატება იქნება -კენ თანდებულებიანი „რა“ ჯგუფის ყველა სულიერი სახელი („გაბრაზებული გავქანა თხისკენ“) და უსულო სახელთაგან ისეთი, რომელსაც სიერცეში მასშტაბური ორიენტირის შნიშვნელობა არა აქვს, მაგალითად, სხეულის ნაწილის, ნითვის, მასალისა და ა. შ. აღმნიშვნელი სახელები: გავაპარებთ მოსახვევის ყურს **თვალებისაკენ**; ძარღვები **თითებისაკენ** მიცოცავდა; თავი **მუხლებისაკენ** მაქროდა; მერე **რადიომიმდობისაკენ** გაიწოდა ხელი; კატა ხან კედელს ებღუჯა, ხან პირდაპირ **ძეხვებისაკენ** შეხებომა სცადა; რადაციისათვის **ტახტისაკენ** დახრილი მოხუცი ისევ **ბიჭისკენ** შემობრუნდა; ხელი ღამბაქუე დალაგებულ **ატმებისაკენ** წაიღო; წიწილებმა სასწრაფოდ გასწიეს **ნაგვისკენ**.

დამატების კითხვა რომ უნდა მიეცეს უპირატესობა, ამას განსაკუთრებით ნათლად წარმოაჩენს -ში და -ხვ თანდებულებიანი კითხვებზე დაკვირვება.

შესადარებლად რამდენიმე ნიმუშს წარმოვადგინო: მომიტკევეთ, ქაღალდის **ნაგლეჯზე** ეწერ: ნ. დ. 111, 17,6; პოეტები მხოლოდ **ქაღალდზე** რთმებით მოლაპარაკენი როდი არიან. გ. დ. 17,5; **ფოთლებზე** თურმე ქრისტეს ტირილი სწვროა: გ. დ. 42,31; ესე ამბავი მელისა ხეში ერთ **ქვაზე** სწვროა: 159,18; **ფარდაზე** უგაგორო: ინ. 15,10 და სხვა.

ან კიდევ -ში თანდებულებიანი სახელები: დაჭრილს **ნიღოზში** ჩაეარდა: შ. არ. 10, **მუხროვანში** უნდა წაიყვანოთ და ცხენის **ნაკელში** ჩააწვინოთ: ინ. 56, 2, დედანქმი მივიდა და ჩადგა **გუბეში**: ვეა. 15, 20, ჩაყო ხელი **თაფლში**: შ. არ. 8.

ეს ურთიერთგამოწვეული და შესაძლებელი ფორმები -ში თანდებულებიანი და ჩა-ზმნისწინაინი: **ნიღოზში** ჩაეარდა, **ნაკელში** ჩაეაწვინოთ, **გუბეში** ჩადგა, **თაფლში** ჩაყო უბრალო დამატების შესაძლებლობა გვევარაუდებინებს ზმნა-შემასმენელთან და რაში? რაზე? კითხვასაც შეიწყობს. ამავე რიგისად მიგვაჩნია არსებითი სახელის ეკვივალენტ პირის ანკვალსახელები, რომლებიც პიროვნებას აღნიშნავენ:

ვისკენ მიაქვთ ეს აღმები,
ვის უხდიან ჩაქანს? დ. ას. გვ. 68.

მიუთმენლობა გიპყრობს, მიაწვდინო ყოველივე მათაც, **ვისკენაც** გამუდმებით ისწრაფვი: ინ. 8, 11, გული მაინც **ჩვენკენ** უფრო აქვს: ა. წ. 417, 21. გაიძრო ტანისამოსი და გადმოყარა

¹² ყველა მაგალითი ამოღებულია XX საუკუნის ქართველ მწერალთა თხზულებებიდან, ვი. ახალი ხალოტერატიკური ენის ფაქტს წარმოადგენს.

¹³ შ. თაღაკვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 313; ა. დავითიანი, გვ. 403; გ. ბერიძე, უბრალო დამატებისა და ადგილის გარემოების სწავლებისათვის, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1979, №4, გვ. 18-22.

ჩემკენ: ილია, 213, 3.

უბრალო დამატებას ვვარაუდობთ მაშინაც, როდესაც -კენ თანდებულები დაერქვიანება. ამგვარი სახელთან გათანაბრებულ სხვა მეტყველებების ნაწილს: ზედსართავს ან მიძღვობას. მაგალითად: და შენი მართალი მახვილი **მტრისკენ**, **ბნელისკენ** მიმართე; რომელს მოუხრია ვაქცაის სული **ბოროტისაკენ**; ქალმაც რამდენიმე ნაბიჯი გადადგა **მოსულებსაკენ**.

ამრიგად, -კენ თანდებულები სახელი, მართალია, ყველა შემთხვევაში მიმართულებას გამოხატავს, მაგრამ გარეშობების გარდა უბრალო დამატებადაც გვეკვლინება, როდესაც:

I. მიმართულება შეეხება ობიექტს და არა სივრცეს.

II. მეტყველების ნაწილებად გვხვდება:

ა) **სულიერი** არსებითი სახელები;

ბ) **უსულო**, როცა გამოხატავს რაიმე საგანს, ობიექტს ან მასალას, სხეულის ნაწილს ან აბსტრაქტულ ცნებას;

გ) პირის ნაცვალსახელები და

დ) არსებითი სახელთან გათანაბრებული სხვა მეტყველებების ნაწილები.

III. უბრალო დამატებას კითხვასაც გარემოებისაგან განსხვავებულს შეუწყოთ: ვისკენ? რისკენ?

აშკარაა, რომ -კენ თანდებულებიანმა სახელმა ახალ ქართულში ფუნქცია გაიფართოვა. ჩვენ ვარაუდობთ ასეთია: რაც -კენ თანდებულმა მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებიდან ნათესაობითისაკენ გადმოინაცვლა, ამას შედეგად მოჰყვა -კენ თანდებულებიან სახელთა ფუნქციების გაფართოება გარკვეული ჯგუფის სახელებთან, ე. ი. -კენ თანდებულებიანმა სახელმა ობიექტური მიმართულებაც გამოხატა მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დაუკავშირა ნათ. ბრუნვას.

ივარაუდება, რომ -კენ თანდებულებიან სახელის ამ ფუნქციას თვით ნათ. ბრუნვის მნიშვნელობა განაპირობებს. ნათ. ბრუნვის ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულშივე არ ყოფილა გარეშობების გადმოცემა¹⁴, ცნობილია -გან თანდებულებიანი ნათესაობითი გამოსვლითის მნიშვნელობით¹⁵, მაგრამ მიმართულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აღნიშნავდა, როცა მას მიმართულებითი ბრუნვის ნიშანი ერთვის (ე. წ. ნანათესაობითარი ვითარებითი)¹⁶; ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ -კენ თანდებულებიანი სახელის საბოლოოდ დაკავშირებამ ნათესაობითთან გარკვეული სემანტიკური ჯგუფის -კენ თანდებულებიან სახელებს ახალი მნიშვნელობა შესძინა.

კითხვის ხერხთან ერთად, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა წინადადებების წევრის ამოცნობისა, გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა მეტყველების ნაწილია და რა ფორმით გადმოიცემა ეს თუ ის წევრი.

მაგრამ, როდესაც ორივე კითხვას იგუვებს თანდებულებიანი სახელი: გარემოებისაც და დამატებისასაც, ჩვენ იმ მოსაზრებას ვუჭერთ მხარს, რომლის მიხედვითაც ანგარიში უნდა გაეწიოს **სემანტიკურ** მხარეს. აღნიშნულიცაა¹⁷, რომ ძველი ქართულიდანვე გარემოების შინაარსს ბრუნვის ფორმები არა მხოლოდ თანდებულებით, არამედ უთანდებულოდ კიდევ უფრო ხშირად გამოხატავდა, თუმცა არა ყველა, არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც სემანტიკურად ტერიტორიული შინაარსი ან რაიმე კავშირი ჰქონდათ ტერიტორიის სემანტიკასთან.

ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა სინტაქსურ ურთიერთობას ვარაუდობს -კენ თანდებულებიანი სახელი ზმნასთან ან სახელზმნასთან.

სპეციალურ ლიტერატურაში ეს ურთიერთობა მიჩნეულია შუაღობით მართვად¹⁸, სუსტ მართვად (თუ ამ ტერმინს შემოვიღებთ) ან სუბორდინაციულ დონეზე მართვად¹⁹.

ზნა-შემახმენელი მხოლოდ ერთი ფორმით ან ორი ფორმით მოითხოვს სახელს.

მაგალითად, ერთი ფორმით მოითხოვს: შემთხვევითი არაა ნ. ხომსკის მობრუნება **მენტალიზმისაკენ**: ა. ნ. იკე, XX, გვ. 19, 8 ...ხელოვნებისაკენ საეალი გზა გახსნილია: გ. კ. „ბახტრ“. 159, 7.

¹⁴ არ. მარტიროსოვი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1956, გვ. 390.

¹⁵ არ. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 386. ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში, 1956, გვ. 713-714.

¹⁶ არ. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 390. ივ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 711-713.

¹⁷ ა. დავითიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 290.

¹⁸ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში 1968, გვ. 117.

¹⁹ ა. დავითიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 287.



აღბათ, ამ შემთხვევაში -**კენ** თანდებულის სიტყვების სხვა ფორმით წარმოდგენის დროს დებოდა.

მაგრამ ხშირად იოლად იცვლება -**კენ** თანდებულის სახელი სხვა ფორმით. მაგალითად: მწუხარე დროით გაქანდა ელგუჯასაკენ: ა. ე. 1, 74 (ან შეიძლება: ელგუჯასთან); რაიკომის მდივნისაკენ გაემართა: გ. შ. 147, 30 (მდივანთან გაემართა).

ეს უკანასკნელი ვითარება კი, როცა შეიძლება სხვა თანდებულის სახელი შეენაცვლოს -**კენ** თანდებულის, მართვის დასუსტების გამოშატველია, დადასტურება იმისა, რომ „მართვის დასუსტების პროცესი დღესაც გრძელდება“²⁰, ამ გზით, „მართვის დასუსტების ხაზით, მიედგინო მართვისაკენ. ამ ხაზზე კი შეიძლება შევხვდეთ ისეთი მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია თქმა - მართვაა იგი თუ მართვა“²¹.

როგორც ჩანს, ამ სინტაქსურ ურთიერთობებს განაპირობებს ზნა-შემასმენელიც. -**კენ** თანდებულის სახელი სწორედ „მოძრაობის“ წრის ზმნებთანაა მართული: „მიჰყავს“, „ადის“, „გაქანდა“, „გაემტავრა“, „გაემართა“ და ა. შ., რომელიც გამოხატავს იმის გარეშე გადაადგილებას, მიმართულებას (სივრცულსა და არასივრცულს) გამოხატავს.

ამ სინტაქსურ წყვილში -**კენ** თანდებულის სახელის მართვა შესუსტებულია, თითქოს მართვაა, მაგრამ მართული ნიმუშები: გაქანდა ელგუჯასაკენ (ელგუჯასთან), წავიდა მეფისაკენ (მეფესთან), მიჰყავს დიდებისაკენ (დიდებასთან) მაინც უბრალო დამატებად მიგვაჩნია, რადგანაც მიმართულება ხედავს პიროვნებას ან ისეთ ცნებას, რომლის სივრცედ, ტერიტორიად, ადგილად აღქმა შეუძლებელია. უკანასკნელ შემთხვევაში მიმართულება, გადაადგილება არასივრცული იქნება.

თანაც ეს ნიმუშები „სად?“ კითხვას არ გამოიძიხავს, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ენაში შეიძლება არსებობდეს არა მარტო ისეთი შუალედური მოვლენები, რომელთა შესახებ ძნელია თქმა - მართვაა იგი თუ მართვა, არამედ შუალედური მოვლენები ზნა-არსის მიხედვითაც და მით უფრო ზინარსის მიხედვით, რადგანაც სწორედ ეს უკანასკნელია სუბიექტური სახელი.

ახე ვვარაუდობთ არა მარტო -**კენ** თანდებულის სახელის მიმართ, არამედ ყოველგვარი თანდებულის სახელის მიმართ, რომელიც ორგვარი მნიშვნელობით გეხვდება: დამატებისა და გარემოებისა. მაგალითად, მიწას დაეცა და მიწაზე დაეცა - ცნობილი ენობრივი პროცესია: ირიბი დამატება (მიწას) ე. ი. პირმიმართი დამატება თანდებულის მეშვეობით დაუკავშირდა ზნა-შემასმენელს, პირმიმართავი გახდა, როგორც მას უწოდებდა პროფ. ვ. თოფურია. ამგვარი სინტაქსური ურთიერთობის შეცვლის შედეგი უბრალო ანუ პირმიმართავი დამატება უნდა იყოს, მაგრამ დროთა ვითარებაში -**ზე** თანდებულის სახელი გარემოებად გააზრინდა, როდესაც ადამიანის ცნობიერებაში სივრცისა და ტერიტორიის ცნება დაუკავშირდა თანდებულის სახელს.

მკაცრი სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, შეიძლება უფრო მარტივადაც გადაწყდეს საკითხი, თუკი ყველა თანდებულს სახელს მორგებარისხოვან წევრს ვუწოდებთ, რადგანაც სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით ისინი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

ამ ეტაპზე კი, როცა წინადადების წევრთა გამოყოფისას არაა უგულვებლყოფილი ზინარსობრივი მხარე, -**კენ** თანდებულის სახელიც შეიძლება იყოს როგორც გარემოება, ასევე უბრალო, ანუ პირმიმართავი დამატება, რადგანაც ისიც ისევე მონაწილეობს სიტყვათშეხამებებში, სადაც გაბატონებული წევრი ზნაა, როგორც სხვა თანდებულის სიტყვები, რომლებიც „ორგვარ სემანტიკურ დამოკიდებულებას გვიწვევენ: დამატების (ობიექტურს) და გარემოების (ადვერბიალურს)“²².

ამგვარად, -**კენ** თანდებულის სახელი უბრალო დამატებად უნდა მივიჩნიოთ, თუ იგი მითითებს: ა) არასივრცულ გადაადგილებას ან ბ) სივრცულ გადაადგილებას სულიერი ყველა და არასულიერი ისეთი საგნებისაკენ, რომელთაც სივრცეში მასშტაბური ორიენტირის მნიშვნელობა არა აქვთ.

²⁰ ა. დავითიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 293-294.
²¹ არნ. ნიქოპაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.
²² ა. დავითიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 288.

მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში¹

I

ნარკვევში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I.“ შემთხვევა გვექონდა ძველი ქართულის მასალის ანალიზის საშუალებით გვეჩვენებინა, რომ:

1. ქართული წინადადების სინტაქსური მექანიზმი ხასიათდება რიგი თავისებურებით, რაც არსებითად განასხვავებს მას ევროპის ძველ და ახალ ენათა წინადადების სინტაქსური მექანიზმისაგან;

2. ამ სინტაქსურ თავისებურებათა წყაროა მორფოლოგიური თავისებურება: ზმნაში სუბიექტის პირისა და რიცხვის გარდა ობიექტის პირისა და რიცხვის აღნიშვნა, რის გამოც:

3. ორპირიან ზმნებში, გარდამავალშიცა და გარდაუვალშიც, სუბიექტი და ობიექტი არსებითად ერთნაირი სინტაქსური უფლებით სარგებლობს: სუბიექტის სინტაქსური ძალა განელვებულია, ობიექტისა – გაძლიერებული, და ამის შემდეგ სინტაქსური დაპირისპირება სუბიექტისა (ქვემდებარისა) და ობიექტისა (დამატებისა) მოხსნილია, დამატება წინადადების მორფეზარისხოვანი წვერი კი არაა, არამედ ისეთივე „მთავარი“ წვერია, როგორც ქვემდებარე².

ახალ ქართულში წინადადების სინტაქსური მექანიზმის სქემატურმა ანალიზმა³ ცხადი გახადა, რომ სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობის პრინციპი არ შეცვლილა; არც შეიძლება ოღონდ შეცვლილიყო, რამდენადაც დაგერჩა წინანდელი მორფოლოგიური საფუძველი: ზმნის პოლიპერსონალობა – ახალ ქართულში ზმნათა დიდი წილის უდღევლება სუბიექტისა და ობიექტის პირთა ცვლას გულისხმობს ისევე, როგორც ძველ ქართულში.

პირის აღნიშვნის ცვლილება არ მომხდარა (შეხვედლობაში არ ვიღებთ პირის ნიშანთა მხრივ არსებულ ცვლილებებს). სამაგიეროდ, მოხდა ცვლილება რიცხვის აღნიშვნაში: სინტაქსური ცვლილება, რაც ქართული მარტივი წინადადების მექანიზმში შივიდეთ, ეკვივალენტურია იმ ცვლილებისა, რაც წინადადების მორფოლოგიურ საფუძველში, ზმნის უღლებაში, აისახა.

ძირითადი მიზეზი, რითაც ხასიათდება ეს ცვლილება, ორ გარემოებაში იწინის თავს: ერთის მხრით, ვიღებთ სახელობითი ბრუნვის სინტაქსური როლის დასუსტებას, მეორე მხრივ კი, – მიცემითი ბრუნვის როლის გაძლიერებას⁴.

ორივე შედეგზე მრავლობით რიცხვში სათანადო სახელებისა (სახელობითისა და მიცემითის) და ზმნის ურთიერთობაში, ზმნის შეთანხმება-არშეთანხმებაში ხსენებულ სახელებთან.

რაში მდგომარეობს ეს ცვლილება? რა იწვევს მას?

სახელობითი ბრუნვა ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, იწარმოებოდა -ნ- და -გ-სუფიქსებით. მათგან პირველი (-ნ) ზმნას ითანხმებდა რიცხვში ყოველთვის იმისდა მიუხედავად, რეალურ სუბიექტს უდრიდა ეს სახელობითი თუ რეალურ ობიექტს:

...ძმა იგი ვაღს – ძმანი იგი ვღენან...

...მას უყუარს სამწყსოთ თუსი – მას უყუარან სამწყსონი თუსნი...

...პეტრეს კლიტნი აქუს – პეტრეს კლიტენი კქონან სასუფუვეღისანი...

...მას ვენაჭი დაუნერგავს – მას ვენაჭნი დაუნერგვიან...

...განაკურვა მან იგი – ესე ურთია სიტყვა განაკურვნა მშობელნი...

მესამე პირის შესახებ თქმული სავსებით ეხება პირველსა და მეორე პირსაც.

¹ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968.

² არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I. ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში, თბილისი, 1968, გვ. გვ. 213-222.

³ არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? V: კურს. „კულტურული აღმშენებლობა, 1930, გვ. 741, № 7/8.

⁴ პირველ რიგში ეს ეხება მესამე პირის სახელებს.



...**ეზიანი სახელობითი ძველ ქართულში იშვიათად გვხვდებოდა და ზმნაში არ იქნებოდა**
ითანხმებდა იმისდა მიუხედავად, იქნებოდა იგი რეალური სუბიექტი თუ რეალური ობიექტი:

...აღფრინდა სირი - ...და რ'ღ იგი სირები აღფრინდა...

...მოვიდოდა ხარჭა - ...და მოვიდოდა ხარჭებიცა შეფისა აგრიპაძის პეტრესსა...

...ქვეყნდა... ბრმა - ...რ'ლთა ქვეყანდა მათ თანა მკელობლები, ბრმები (იხ. აქვე, გვ. 204-207).

...დაისწავლა მან წიგნი - დაისწავლა მან წიგნები...

-ეზიანი სახელობითი, ამრიგად, მრავლობითის უფლებით არ სარგებლობდა.

ასეთი განსხვავება სახელობითის ორ სახეობას შორის - **-იანი სახელობითისა და -ეზიანი სახელობითის შორის, საფიქრებელია, იმით იყო გამოწვეული, რომ პირველი ორგანულად უკავშირდებოდა ზმნის მრავლობითობის მესამე პირის ნიშანს -ენ || -ან სუფიქსებს, რომლებიც ისტორიულად მრავლობითობის ნიშნად უნდა იქნენ მიჩნეული, ხოლო -ეზ- სუფიქსი სულ სხვა ფორმაციისა და სხვა დიალექტური წრიდან მომდინარეობს. საინტერესოა, რომ მისი ეკვივალენტი სუფიქსი მრავლობითისა ქართულ ზმნაში არ მოიპოვება.**

მიცემითი ბრუნვის მრავლობითობა ძვ. ქართულის ზმნაში არ აღინიშნებოდა არც მაშინ, როცა იგი რეალურ ობიექტზე მიუთითებდა და არც იმ შემთხვევაში, როცა მით რეალური სუბიექტი გადმოიცემოდა:

...პრქუა მას - პრქუა მათ...

...მოუწოდა მას - მოუწოდა მათ...

...უხარის მას - უხარის მათ: ...ყ ლთ უხარის და ხლდეებიან...

...სწყურის მას - სწყურის მათ: ...მათ სწყურის და სხუათა ასუჟენ...

...შთაუცუამს მას იგი - ...შთაუცუამს მათ იგი...

აქ მიცემითის ბრუნვაში მესამე პირის სახელია; ახვევ იქნებოდა, თუ მეორე პირს ავიღებთ:

...გაითხავ შენ - გაითხავ თქვენ: ამახ... ხოლო გაითხავ თქენ...

...გხედავ შენ - გხედავ თქვენ: ...დ გხედავ თქვენ რ'გნებას სმენად...

...გიყუარს შენ - გიყუარს თქვენ...

...გრწამს შენ - გრწამს თქვენ...

პირველი პირის ნაცვალსახელი - ჩუენ - თითქოს არღვევს საერთო წესს; მართალია, გვაქვს ისეთი შემთხვევები, როგორცაა:

...ნუ დამივიწყებთ ჩუენ... მეტყუან ჩნ მეგობარნი...

მაქუს ჩუენ იგი... მოშიგო ჩუენ აბუკურა... და სხვ.

ამ ჩუენ-ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება, მაგრამ არანაკლებ ხშირია ჩუენ-ობიექტის აღნიშვნა გუპრეფიქსით, ე. ი. ზმნა თითქოს ეთანხმება მიცემითში დასმულ ობიექტს რიცხვში:

მსურის მე - გუსურის ჩუენ... მიბრძანებს მე - გუბრძანებს ჩუენ... მასწავებდა მე - გუასწავებდა ჩუენ... მახარა მე - გუახარა ჩუენ...

ამისდა მიუხედავად ვერ ვიტყვით, გუპირველი პირის ობიექტის მრავლობითობას აღინიშნავდეს: როცა ჩუენ-ობიექტი სახელობითშია, მრავლობითობის აღსანიშნავად დაირთავს -ენ | -ნ სუფიქსს იმისდა მიუხედავად გუპრეფიქსი გვაქვს თუ მ-პრეფიქსი; ეს შეუძლებელი იქნებოდა, გუპრეფიქსი რომ ძველ ქართულში მრავლობითობის მანვერებელი ყოფილიყო:

...მორწმუნენი აწ შე მომკრიბნა წინაფარმტყუელმან დანიელ...

შდრ: ...არძანებამან ქრისტესმან შეგუკრიბნა დღეს...

იხ. აგრეთვე ისეთი მაგალითები, როგორცაა:

...დაგუბადნა მან ჩუენ... მოგკითხნა მან ჩუენ... დაგუამდალნა მან ჩუენ...



აღგუამადლნა მან ჩუენ... დაგვცვენ შენ ჩუენ... გუყვებით თქვენ ჩუენ... და სხვ.

-ენ - - სუფიქსის ხმარება აქ სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ გუ პრეფიქსი აღნიშნავდა მრავლობითობას. ხოლო თუ გუ-ს სახელობითში დასმულ ობიექტთან არაა მრავლობითობის პრეფიქსი, არც მიცემითში დასმულ ობიექტთან იქნება ამ ფუნქციის მქონე;

გუ პრეფიქსი ძველ ქართულში არაა ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი არც ისეთ მაგალითებში, როგორცაა განგუადლიერნა მან ჩუენ... არც ისეთ მაგალითებში, რომელთა ნიმუშია გუასწავებდა ჩუენ.

მაშ, რისი მაქისხია იგი? ამასზე - ცალკე [იხ. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968, გვ. 188, შენიშვნა].

ამ განმარტების შემდეგ შეგვიძლია ზოგადად ვთქვათ: მიცემითში დასმული სახელები სამივე პირისა ზმნას მრავლობითში არ ითანხმებენ იმისდა მოუხედავად, რეალური სუბიექტი იქნება ამ მიცემითით გადმოცემული, თუ რეალური ობიექტი.

ამ მხრივ ძველ ქართულში მიცემითი ბრუნვა და ებიანი სახელობითი ერთნაირს სინტაქსურ ძალას ამჟღავნებენ: არც ერთი ითანხმებს ზმნას მრავლობითში და არც მეორე.

რა ხდება შემდეგ, - მეთორმეტე საუკუნიდან დღემდის?

ნიან სახელობითის ადგილს იჭერს - ებიანი სახელობითი; ძმანი - ძმები... ქეანი - ქეები... ხენი - ხეები... თუ ძველ ქართულში ებიანი სახელობითი იყო იშვიათი, ახალ ქართულში ისაა გაბატონებული, - ნიანი წარმოება კი შერჩა ზოგ ნაცვალსახელს (ისინი... ყველანი...), ანდა მისი შესაძლო ხმარება დაუკავშირდა სტილისტიკურ საჭიროებას (შდრ. მიმდინარეობები - მიმდინარეობანი, დაწესებულებები - დაწესებულებანი... და სხვ.).

მაგრამ ებიანი წარმოების ასპარეზზე გამოსვლამ სახელობითს დაუკარგა ის სინტაქსური უფლებები, რაც მას პქონდა ნიანი წარმოების გამოყენებისას: ებიან სახელობითს ძველ ქართულში ზმნა არასოდეს ეთანხმებოდა, ნიან სახელობითს ყოველთვის ეთანხმებოდა (იხ. ზემოთ).

ებიანი სახელობითი ცდილობს მოიპოვოს ნიანი სახელობითის უფლებები, შეითანხმოს ზმნა რიცხვში: ეს პროცესი სალიტერატურო ქართულში დღესაც არ დამთავრებულა, მაგრამ მისი მიმართულება და პერსპექტივები ცხადად ჩანს.

სახელობითი ებიანი სახელობითი ობიექტად ხმარებისას ზმნას არ ითანხმებდა ძველ ქართულში, არ ითანხმებს ახალ ქართულში და ამ მხრივ რაიმე ცვლილებას არც მომავალში უნდა მოვლოდეთ: შდრ. ძე. ქართ. დავჭრნა წერილი - ახ. ქართ. დავჭრა წერილები...

ამ შემთხვევაში სახელობითმა ბრუნვამ საბოლოოდ დაკარგა ის უფლებები, რომლებიც ნიან წარმოებას მოეპოვებოდა ძე. ქართულში (ამ უფლების დაცვა მაშინაც კი ძნელი მოსახერხებელი იქნებოდა, ნიანი წარმოების სახელობითიც რომ წინანდებურად გაბატონებული ყოფილიყო).

ზმნის შეთანხმება ებიან სახელობითთან იწყება იმ შემთხვევებიდან, სადაც სახელობითი რეალურ სუბიექტად გვევლინება, მასთან ყველაზე აქტიურ სუბიექტს, ადამიანს, აღნიშნავს შემდეგ კი ვრცელდება ისეთ მაგალითებზე, სადაც რეალური სუბიექტი ადამიანი არაა, მაგრამ ზმნა მოქმედებითი გვარისაა; აქ ჯერ კიდევ გვაქვს რყევა, თუმცა განვითარების ტენდენცია ნათელია...

თქმულის შესაბამისად ახალ ქართულში გვაქვს:

ამხანაგები მუუბნებიან... ბავშვები იზრდებიან; აჭაით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვედარა სმენ. რა კაცები არიან? (ილია); „კაცები ჯგუფად შეგროვდნენ“ (ილია); „პატარა ჩემი ამხანაგები ჩემს გულწეილობას იქ დასციროდნენ“ (ილია); შდრ.: მთები მოჩანს... ხეები გახმა... „სოფლის სათავეში ორღობეები იწყებოდა“ (ილია); „ის სართულები აი რა ფერისა იყო“ (ილია); „მოიდან მოვარდა დეარები, წელით ავსებულა ხეები“ (ვაჟა-ფშაველა)... „თითქოს კლდეები ინგრევა, ისმის გრიალი, ზანზარი“ (ვაჟა). „ჯარისკაცებში გაისმის ხმები“.

ახალ ქართულში შეუძლებელია „გაისმიან ხმები“, „სართულები აი რა ფერისა იყვნენ“, მაგრამ ძველ ქართულში ნორმალური იქნებოდა „ჰმანი ისმიან“, „სართულნი იყვნეს“ და სხვ.



ნ-იანმა სახელობითმა ახალ ქართულშიც შეინარჩუნა თითქმის მოლიანე ქართული სინტაქსური ძალა, - ვგულისხმობთ რეალურ სუბიექტად ხმარების შემთხვევაშიც

...იღვეა ბინდი დამისა, ცაში ვარ სკვედაკნი ქქრებოიან“... „თერგი რბის, თერგი ღრი-
ალებს, კლდენი ბანს ეუბნებოიან“... „ისინი იყენენ იმის აკუნად და ბოლოს საფლავადაც
გადაექცენენ“ (ი. ჭ.)... „არიან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთინი“ (ილია)... (შდრ.
„შეში განთიადისა დღენი ბატონისა სახელში დამიღამებოია“... (ილია) - აქ „დღენი“ რვა-
ლური ობიექტია“.

როცა რეალურ სუბიექტს ადამიანი არ წარმოადგენს, შეთანხმებაში რყევა: „აბარაქალა
იმ კაცის შეტყვევლებას, რომლის სიტყვები უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამ-
დინა“ (ილია) - შდრ. ...ეს სიტყვები აღონებდნენ გულს“ (ილია)... „იმის სიტყვები
გაჭირვებაში გულს მოგვხანგენ, ჭირს ვაგაიადვილებენ“ (ილია), გულსა და გონებას ვაგაწ-
რთენოიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ“ (ილია).

ნათარგმნი ლიტერატურა აღვირებებს სახელობითთან ზმნის შეთანხმების ტენდენციას:
ძველი ქართული თუ მხატვრული ლიტერატურა ითარგმნება ისეთი ენებიდან, სადაც სახელობით
თი ქვემდებარება და ზმნა მას ეთანხმება უცილობლად...

ამისდა მიუხედავად დღესაც, სალიტერატურო ქართულში იმდენად მკვეთრად იგრძნობა
განსხვავება „ბავშვები იზრდებიან“ და „ხეები იზრდება“ კონსტრუქციებს შორის, რომ
უკანასკნელში შეთანხმება აქვს სონიფიკაციის უფქტს მოგვეცმა: „ხეები იზრდებიან“...
მხატვრულს მწერლობაში ამის მაგალითები ხშირია - მას იყენებენ, როგორც სტილისტიკურ
ხერხს - „ხეებიც შე და მხარიან ზევიდამ, თვითონ თავშიშველნი ტოტებს შე შაფარე-
ბენ“ (ვაჟა-ფშაველა)... „ყვაილები სციდით იხოცებოდენ“ (ვაჟა-ფშაველა).

სალიტერატურო ქართულში ე-ბიანი სახელობითთან ზმნის შეთანხმების პროცესის ნორ-
მალური განვითარება რთულდება არა მხოლოდ რეალური სუბიექტის სხვაობასთან და
ზმნის ვარიანტთან დაკავშირებით, არამედ დიალექტური მრავალელების ზეგავლენითაც: იმერულ-
სა და გურულში ამჟამადაც ე-ბიანი სახელობითი ზმნის არ ითანხმებს ისევე, როგორც არ
ითანხმებდა ზმნის ძვ. ქართ. ე-ბიანი სახელობითი: ძველი ქართულის ნორმა აქ ჯერაც დე-
კლავია და ამის ანარკული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ვეკექს (-დარჩა
მგზავრები ცის ქვეშ... ახალგაზრდები ქუდს აფრიალებს... მოხუცები საღამს
მაძღვეს...).

რთული პროცესი სახელობითისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის განვითარებისა
ძველი ქართულიდან დღემდის მონოგრაფიულ დამუშავებას გულისხმობს.

აქ მართლად ტენდენციის აღნიშნულია კმაყოფილებითი: ე-ბიანი სახელობითის სინტაქ-
სურ უფლებათა ინტენსიური ზრდის მიუხედავად, სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ძალა
ახალ ქართულში გაცილებით უფრო სუსტია, ვინამ ძველ ქართულში. ნ-იანი წარმოების ე-ბი-
იანი წარმოებით შეცვალა იმის ერთი მთავარი მიზეზი, რომ ქართული წინადადების ვე-
ლური პროცესში სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ძალის ეს დასუსტება მივიღეთ.

იყო სხვა მიზეზიც: მიცემითის გაძლიერება.

II

ძველ ქართულში მიცემითი ბრუნვის მრავლობითობა ზმნაში აღუნიშნელი რჩებოდა მა-
შინაც, როცა ეს მიცემითი რეალურ სუბიექტზე მიუთითებდა და იმ შემთხვევაშიც, როცა მას
რეალური ობიექტის აღნიშვნა უწყვედა.

ეს სინტაქსური ურთიერთობა არსებითად შეიცვალა XII-XVIII საუკუნეთა მანძილზე
ცვლილება მოხდა სამსავე პირში, ოღონდ არა თანაბარი და არა ერთი და იმავე მიზეზისა
გამო.

მესამე პირში ცვლილება გამოიწვია სახელის ფუნქციამ: ზმნამ აღნიშნა ისეთი სახელის
მრავლობითობა, რომელიც რეალურ სუბიექტზე, მიქმედზე მიუთითებდა.

⁵ თუქცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ნ-იანი სახელობითი, რეალური სუბიექტი, ზმნის
რიცხვში აღარ ითანხმებს: აქ უკვე ნ-იანი წარმოება ე-ბიანი წარმოებისათვის დამახასიათებელ ნორ-
მებს ექვემდებარება ისევე, როგორც ობიექტის აღნიშვნის შემთხვევაში.



ასეთი მიცემითი ინვერსიულ ზმნებთან გვაქვს: ინვერსიისათვის სწორედ ისაა დამაინტერესებელი, რომ ობიექტის ნიშნით წარმოდგენილი სახელი ხინამდვილეში ობიექტის არამედ - სუბიექტი, რეალური სუბიექტი; და, პირუკუ, სუბიექტის ნიშნით გადმოცემული სახელი რეალურ ობიექტს ეტოლება.

ინვერსიულ ზმნათა ორი ჯგუფია შემდეგი:

1. გარდამავალ ზმნათა თურმობითი: ყოველი გარდამავალი ზმნა თურმობით პირველში, თურმობით მეორესა და კავშირებით მესამეში ინვერსიული ხდება:

შდრ. დავითი აშენებს სახლს - დავითს უშენებია სახლი, დავითს (რომ) ეშენებინა სახლი, დავითს (რომ) ეშენებინოს სახლი...

2. გარდაუვალი ზმნები, რომელთაც აწმყოს ჯგუფშივე ინვერსია ახასიათებს, ვ. ი. რომელნიც მხოლოდ ინვერსიული წყობისანი არიან:

დავითს ჰყავს, აქვს, უყვარს, ესმის... **ის...**

შდრ. ინვერსიულ ზმნებთან მიცემითი მესამე პირისა ძველსა და ახალ ქართულში.

ძვ. ქართ.: მათ სწყურის და სხუათა ასუმენ (ხელნაწ. № 1949) - ახ. ქართ.: მათ სწყურიათ და სხვებს ასმევენ...

- " " ქვა და კირი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ ზახათა კაცთა ზურგთა (გრ. ხნთ. ლგ) - ქვა და კირი მეტად შორიდან მოაქონ დათ ძნელად სავალ გზებზე და აღამიანთა ზურგზე.
- " " თანა ჰყვანდა მათ, ერთი მენავეთა მათგანი (კიმ. 381) - თან ჰყავ დათ მათ ერთი იმ მენავეთაგანი...
- " " მალლად უპყრიეს მათ (ათონ. კრებ., 314) - მალლა უპყრიათ მათ...
- " " შუბლი იგი უშუურადრე გამოუქმნიეს კვლოვანთა მათ (კიმ. 1502) - შუბლი ულამაზოდ გამოუყვანიათ („გამოუქმნიათ“) ოსტატებს.
- " " რ'ლთა შთაუცუაშს (კიმ. 1552) - რომელთაც ჩაუცვამთ.

მაგრამ თუ ზმნა ინვერსიული არაა, მესამე პირის მრავლობითს, მიცემითში დასმულს, ზმნა არ შევთანხმება:

უთხრა მას - უთხრა მათ, მოუწოდა მას - მოუწოდა მათ, უბრძანა მას - უბრძანა მათ და ასე შემდეგ.

სხვაგვარი მდგომარეობაა პირველსა და მეორე პირში: ამათი მრავლობითობა ზმნაში ყოველთვის აღინიშნება:

თქვენ - გწყურიათ, გაქვთ, გკონდათ... გიკეთებიათ, ჩაიცვამთ...

ჩვენ - გვწყურია, გვაქვს, გვქონდა, გვაყავს, გვაყავდა... გვიკეთებია, ჩაგვიცვამს...

ეს ინვერსიული ფორმებია, მიცემითის მრავლობითობის აღნიშვნას ზმნაში აქ იგივე საფუძველი აქვს, რაც - მესამე პირში (იხ. ზემოთ).

მაგრამ არაინვერსიულ ფორმებშიც ზმნა ეთანხმება თქვენ, ჩვენ სახელებს რიცხვში:

- მან მათ უთხრა - მაგრამ: თქვენ გითხრათ, ჩვენ გვითხრა...
- " მათ მოუწოდა - " თქვენ მოგიწოდათ, ჩვენ მოგიწოდდა...
- " მათ უბრძანა - " თქვენ გიბრძანათ, ჩვენ გვიბრძანა...
- " მათ დაუწერა - " თქვენ დაგიწერათ, ჩვენ დაგვიწერა...

ინვერსიულს ფორმებში ზმნა მიცემითს ეთანხმებოდა რიცხვში, რადგანაც ეს მიცემითი რეალური ვითარების მიხედვით იყო მოქმედი აქტიური - რის მიხედვით? ზმნის მნიშვნელობის მიხედვით.

ზმნის ფუძის შინაარსმა ეს მიცემითი მრავლობითში შეთანხმების უფლებით აღჭურვა მი-

⁶ ინვერსიული ზმნები ყველა გარდაუვალთა: საშუალო ან ვნებითი გვარისაა, კერძოდ თურმობითი პირველი აწმყოს სტატიკური ვნებითის სახეხოს ქვევს ეტოლება, თურმობითი მეორე და კავშირებითი მესამე - ორისტიხა და კავშირებითი მეორის სახეხოს ქვევს ვნებითს.



უხედავად იმისა, რომ ზმნის პირის ნიშანი ამავე მიცემითს ობიექტად სახავესპარსნიშნსწარმოისა და შინაარსის კოლიზია უკანასკნელი მომენტის სასარგებლოდ გადაწყვეტის მიხედვით

მაგრამ: ვითხრათ, გვითხრათ... გიბრძანათ, გვიბრძანათ... და მსგავს მაგალითებში მიცემითის მრავლობითის აღნიშვნას რაციონალური საფუძველი არ მოეპოვება: აქ ცხადია, ანალოგიის მოქმედებასთან გვაქვს საქმე; ანალოგია ღამობს იმის დამთავრებას, რამაც ინვერსიულ ზმნეში ვაღკვეთილი მიზეზების გამო თავი იჩინა.

ერთი გარემოებაცაა მხედველობაში მისაღები: პირველი პირის ობიექტის ნიშანი მ- მრავლობითში უკვე აღარ გვაქვს ახალ ქართულში; გვ- პრეფიქსილია ხმარებაში. ძველ ქართულში შეიძლება მომეც ჩუენ - მოგუეც ჩუენ; ობიექტის მრავლობითობა არც ერთში არ ჩანდა; ახალ ქართულში მომეც ჩუენ შეუძლებელია; ერთი ვარიანტილია - მოგუეცი ჩუენ - შეგერნა და მას მიენიჭა მრავლობითობის ჩუენების ფუნქცია (ზემოთ უკვე ითქვა, რომ გუ- მრავლობითი რიცხვის პრეფიქსი არ იყო ძველ ქართულში).

ასეთ პირობებში, თუ შეიძლება ითქვას, სტიქიურად აისახა ობიექტის მრავლობითობა პირველ პირთან: პირისა და რიცხვის ნიშანი შეთავსდა გვ- პრეფიქსში.

ამავე ნიადაგზე ზმნაში აღნიშნული აღმოჩნდა ჩუენ- ნაცვალსახელის მრავლობითი, როცა იგი სახელობითის ფუნქციისა იყო და ობიექტზე მიუთითებდა: ჩავწერა ჩუენ, გაქო ჩუენ. შეგაწუხა ჩუენ⁷...

ამრიგად: ზმნის ფუძის შინაარსმა, გვ- პრეფიქსის მონოპოლიურმა მდგომარეობამ (ობიექტის პირველი პირის მრავლობითში) და ანალოგიის პროცესმა განსაზღვრეს მიცემითი ბრუნვის სინტაქსურ უფლებათა ინტენსიური ზრდა ახალ ქართულში ძველ ქართულთან შედარებით.

აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსული ზოგი მწერლის ენაში შეიმჩნევა ზმნის შეთანხმება მიცემით ბრუნვასთან მესამე პირში მაშინაც კი, როცა ეს მიცემითი რეალურ ობიექტს აღნიშნავს, ე. ი. როცა ზმნა არაინვერსიულია:

„ერთი კუზიანი მხერხაუი აედევნათ“ (ა. შანშიაშვილი. „ურ. შეშა“).

„წაიყვანეს თემის აღმასკომის თავმჯდომარესთან; ამაკო მიზდევთ თავნაღუნული“ (ა. შანშ. „ამბ.“).

„ზურაბი აღვლებას ვერ ფარავდა; ეკითხებოდათ: <<რა მოხდა?>>. (ა. შანშ. „ამბ.“)...

„აღადიმი იფიქრა: <<მათ რომ ავეყუ, ჭირვეული ხალხია! კიდევ სადმე შეუხვევენო>> და გაეპარათ“ (ა. შანშ. „ამბ.“).

„რუსი პეტრო მნახა შლის. თან უყვირით [გლეხებს]: <<კაცო, სკარეი>>“ (ა. შანშ. „მეჩონ“).

„ზურაბმა შეუყვირათ: <<ხმა ხომ არ ჩავიწყდათ?>>“ (ა. შანშ. „ამბ.“).

მნის პატრონი... ეხვეწებათ:... „გაეთავოთ, თქვენი ჭირიმეთ!“ (ა. შანშ. „მეჩონ“).

„დადლილი შეველი მოვიდა და გაუცხადათ: <<მე ვუდარ ვუდარაჯებ... თქვენს მოსავლს უპატრონეთ!>>“ (ა. შანშ.).

„...ბათოს მამამ ზღაპარი დაიწყო და ყველა სმენად გადაიქცა. მოუთხრობდათ და რბ გლეხის თავგადასავალს“ (ა. შანშ.).

მათ - აედევნათ... გვითხებოდათ... უყვირით... ეხვეწებათ... გაუცხადათ... მოუთხრობდათ... რა უდევს საფუძვლად ამგვარ შეთანხმებას? ეს <<მათ>> რეალურ სუბიექტს არ წარმოადგენს, რეალურადაც ობიექტია; მასთან ზმნის შეთანხმება გაუმართლებელი ჩანს:

ჩუენ აგვედევნა, თქვენ აგვედევნათ, მათ აედევნათ...

ჩუენ გვეკითხებოდა, თქვენ გვეკითხებოდათ, მათ გვიკითხებოდათ...

ჩუენ მოგვითხრობდა, თქვენ მოგითხრობდათ, მათ მოუთხრობდათ...

მესამე პირის ეს -თ-იანი ფორმები აგრძელებენ პირველი და მეორე პირის ფორმათა ხაზს: მიცემითი ბრუნვის ობიექტი სამხავე პირში თიანხმებს ზმნას რიცხვში.

⁷ თქვენთან კი, - ჩავწერათ, გაქოთ, შეგაწუხათ... - ანალოგია მოქმედებს.

ასეთია შედეგი. პროცესობრივ კი მესამე პირის ამ ფორმის წარმოქმნაში ბრუნვის ფორმის, ინგლოურში, ფერდინანდულში, იმერულში, მათ შორის, კახურშიც, ხმარებაშია -**ყე** | -**კე** ნაწილაკი. ოგი მიუთითებს, პირველ ყოვლისა, **ობიექტზე მრავლობითის** მიცემითში: აუღვენა მას - აუღვენა**ყე** მათ... ეკითხებოდა მას - ეკითხებოდა**ყე** მათ... მიუთხრობდა მას - მიუთხრობდა**ყე** მათ... ეხვეწებდა მას - ეხვეწებდა**ყე** მათ და სხვა.

ამრიგად: აუღვენათ, ეკითხებოდათ, მიუთხრობდათ, ეხვეწებათ... და მსგავს ფორმებში -**თ** სუფიქსი -**ყე** ნაწილაკის ადგილასაა გამოყენებული და მისი როლიცა აქვს დაკისრებული - მასალა (**თ**-სუფიქსი) ხალიტერატურო ქართულისა, ფუნქცია - დიალექტობრივია.

ქიზიურშიც, კახურშიც ამგვარი -**თ**-იანი ფორმები: ეკითხება**თ**... ეხვეწება**თ**... მიუთხრობ**თ** საკმაოდ ხშირია; -**ყე** ნაწილაკის ხმარება კი სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდება. ეს ორი პროცესი ერთმანეთთან შინაგან კავშირში უნდა იყოს: -**თ**-ს მოხშირებაში -**ყე**-ს გაიშვიათების კომპენსაცია ჩანს.

ეკითხება**თ**... ტიპის წარმოება ჯერხნობით უცხო სალიტერატურო ენის კოდექსისათვის, მაგრამ სალიტერატურო ენის საპერსპექტივო განვითარების ხაზზე კი ძვეს, აღდენაღვე საგულისხმოა.

ზმნის ინვერსიულობა, ანალოგია, გუ პრეფიქსის ერთადერთ პრეფიქსად ქცევა მრავლობითის პირველ პირში (ობიექტისათვის), დიალექტობრივი ნორმა - ყველა ეს ფაქტორი თავისებურად ხელს უწყობს მიცემით ბრუნვის სინტაქსური როლის ზრდას.

ზემოთ ვნახეთ, რომ **ებ**-იანი სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ფუნქციებიც ძველ ქართულში შედარებით ახალ ქართულში თვალსაჩინოდ მეტია (თუმცა -**ნი**-ან სახელობითისს ჩამორჩება.)

მასთან ცნობილია, რომ სახელობითიცა და მიცემითიც **ზმნის** სუბიექტად და ობიექტად გვევლინებიან ერთდროულად - ორიპირიან გარდაუვალ და გარდამავალ **ზმნებთან**:

ის ეკითხება მას... ის ჰყავს მას... ის სძულს მას... ის უნახავს მას...

რომედ მათგანს შეუთანხმდება **ზნა** მრავლობითში - სახელობითი თუ მიცემითს? ზოგადად ერთსაც აქვს ამის შესაძლებლობა და მეორესაც. კონკრეტულად? პირველი და მეორე პირი (**ჩვენ, თქვენ**), სახელობითის ფუნქციით იქნება თუ მიცემითისათი, რეალური სუბიექტის აღნიშნული იქნება თუ ობიექტისა, თანაბრად უფლებამოსილია **ზნა** შეთანხმის რიცხვში. მესამე პირში კი მაინც შეიძინევა სხვაობა სახელობითსა და მიცემითს შორის, რეალურ სუბიექტსა და რეალურ ობიექტს შორის, მთლიანად: სახელობითისა და მიცემითის **მრავლობითობის** აღნიშვნაში **ზმნის** მიერ შედარდება ურთულესი სინტაქსური ურთიერთობა პოლიპერსონალური **ზმნის** შემცველი წინადადებისა. განსაკუთრებით ეს ითქმის ინვერსიულ **ზმნათა** შესახებ:

თქვენ **გე-ყვარხართ** ჩვენ: **თქვენ** - სახელ, **ჩვენ** - მიცემ; **ზნა**ში ორივეს მრავლობითობა აღნიშნული: **გე-ჩვენ**-ზე მიუთითებს, -**თ-თქვენ**-ზე...

ჩვენ **გე-ყვარხართ** თქვენ: **ჩვენ** - სახელ, **თქვენ** - მიცემ, აქ სახელობითის მრავლობითი ჩანს. -**თ** მასზე მიუთითებს; მეორე სახელიც - **თქვენ** - ავრთვე შეიძლებოდა -**თ** სუფიქსით აღნიშნულიყო, მაგრამ აქ -**თ** მისი მრავლობითობის მანვენებული არაა - **გეყვარ-ვართ** - წინამავალი **ვართ** ამას მოწმობს.

უფრო მარტივია ის შემთხვევები, როცა **ზნა**ში მოცემულია არა პირველი და მეორე პირის - **ჩვენ, თქვენ** - სახელთა კოორდინაცია, არამედ პირველისა და მესამის, ანდა მეორისა და მესამე პირისა:

ჩვენ - ისინი, თქვენ - ისინი... ჩვენ - მათ, თქვენ - მათ...

ჩვენ **გეყვარვართ** მათ, **თქვენ** **უყვარხართ** მათ - **ჩვენ, თქვენ** სახელობითობა, **მათ** - მიცემითში; და ეს მიცემითი მესამე პირისაა, სახელობითი - პირველი და მეორე პირის; **ზნა** ამ სახელობითის მრავლობითობას აღნიშნავს, მიცემითის მრავლობითობა აღუნიშნული რჩება.

მაგრამ სახელობითში რომ მესამე პირის სახელი ვეჭონოდა, მიცემითი გადასწონდა:

ჩვენ **გეყვარვართ** მათ - **შდრ.** ისინი **ყვართ** მათ: **ზმნის** სუფიქსი -**თ** **მათ**-ნაცვალსახელთანა დაკავშირებული, - საკმარისია მას ვიხმაროთ და -**თ** სუფიქსი **ზმნას** არ აღმოაჩნდება: ისინი **ყვართ** მათ - ისინი **ყვარს** მას.



„გენერლები გვეოლებათ თქვენ, ქართველებს?“ (ილია ჭავჭავაძე, „მგზავრეს წერდნენ“).
 ზმნა შეუთანხმა რიცხვში მიცემითს **თქვენ**: მრავლობითობა სახელობითი და სახელობითი კორელატივად მიცემითა წარმოდგენილი.

ერთპირიან ზმნას „გენერლები“ შეითანხმებდა რიცხვში: გენერლები სეირნობენ, იბრძვიან, მუსაიფობენ, სხედან, დგანან...

არის შემთხვევები, სადაც სახელობითი -ნ სუფიქსიანია და ზმნა მას მაინც არ ეთანხმება. „(თურგი მიწუშებულა იმიტომ, რომ) მობანუ კლდენი გვერდით არ ახლავს“ (ი. ჭ.)...

„ჩემი განთიადის დღენი ბატონის სახლ-კარში დამიღამებია“ (ი. ჭ.).

ძველს ქართულში გვექნებოდა: კლდენი ახლავან... დღენი დამიღამებია... ახალ ქართულში ასეთი შესაძლებლობა გააოიროცხა.

სახელობითის სინტაქსური უფლებები, ამრიგად, შეპირობებულია მეორე, კორელატი, სახელის უფლებით; მაშასადამე, როცა ვამბობთ: თუ სახელობითი ადამიანს აღნიშნავს, ზმნა მას რიცხვში ეთანხმებათ, ეს გულისხმობს ერთპირიან ზმნებს. ორიპირიან ზმნებთან ამ წესს სავადლებულო ხასიათი სრულებითაც არა აქვს.

სტუმრები მოდიან - მაგრამ: **„სტუმრები მყავს... სტუმრები მიყვარს... სტუმრები მძულს...“**

არ ითქმის ახალი ქართულით: სტუმრები მიყვარან... მძულან... მაგრამ აუცილებელია: **სტუმრები გვიყვარს ჩვენ, გვიყვართ თქვენ, უყვართ მათ... სტუმრები გძულს ჩვენ, გძულთ თქვენ, სძულთ მათ...**

მიცემითის სინტაქსური უპირატესობა აქ ცხადი და უუჭველია.

მაგრამ სახელობითისა და მიცემითის ხვედრი წონა ასეთი სიცხადით ვოველთვის როდია მოცემული; ხშირად ძნელი გადასაწყვეტია, რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, რომელს უნდა შეუთანხმდეს ზმნა, მიცემითსა თუ სახელობითს:

(მათ რა ეგონათ, თუ) „მეხრეები მბრძანებლებად გამოიხრებოდნენ“? აქ ზმნა შეთანხმებულია სახელობითთან, შეუძლებელი არ იყო მიცემითს შეთანხმებოდა: არ ეგონათ, თუ მეხრეები მათ მბრძანებლად გამოიხრებოდათ...

შეიძლება ერთმა და იმავე ზმნამ ერთს კონტექსტში უპირატესობა მიანიჭოს სახელობითს, მეორეში კი - მიცემითს:

„სტანციებში ცხენები ხშირად აკლდებათ“ (ი. ჭ. „მგზ. წერ.“).

მათ აკლდებათ ცხენები - ზმნა შეთანხმებულია მიცემითთან მათ.

შდრ. გაკვეთილს აკლდებიან მოწაფეები - გაკვეთილებს აკლდებიან მოწაფეები - აქ ზმნა ეთანხმება სახელობითს.

პირველს შემთხვევაში - მათ აკლდებათ ცხენები - აკლდება ინვერსიული ზმნაა, მეორე შემთხვევაში - მოწაფე აკლდება გაკვეთილს - პირდაპირი წყობა გვაქვს: მოწაფე რეალურადაც სუბიექტია და ზმნის ავტულების თვალსაზრისითაც, გაკვეთილს - რეალურადაც ობიექტია და ვერბალურადაც (შდრ. ინვერსიული წყობის შემთხვევა: მოღარეს ფული დააღებდა... მშენს ძალა აკლდება...).

კონტექსტის გარეშე აღებულ აკლდება-ზმნას ორნაირი მრავლობითი შეუძლია მოგვეცეს:

პირდაპირი წყობისა: აკლდებიან ისინი მას...

ინვერსიული წყობისა: აკლდებათ მათ ის...

რა მიმართებაშია სახელობითისა და მიცემითის სინტაქსური ძალის ზრდა ამ სახელების ფუნქციასთან - აღნიშნონ რეალური სუბიექტი გინა რეალური ობიექტი?

როგორც აქ ისე ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ -ებ-იანი სახელობითიცა და მიცემითიც სწორედ იმ შემთხვევაში თანახმობდნენ ზმნას მრავლობითში, როცა რეალურად მოქმედებს, აქტიურ სახელებს ვეგარაულებინებდა ზმნის შინაარსი (მხედველობაში გვაქვს მესამე პირი).

ახე იყო დასაწყისში. მაგრამ ამ ფაქტორებისა ვერ დაიყვანება ყველა ის შემთხვევა, სადაც სახელობითმა და მიცემითმა ზმნა შეითანხმა დროთა ვითარებაში:

სახელები: ჩვენ, თქვენ თანაბრად თანახმებენ ზმნას რიცხვში იმისდა მიუხედავად რეალური სუბიექტია გადმოსაცემი თუ რეალური ობიექტი, სახელობითის როლში გამოდიან ეს სახელები, თუ მიცემითისაში:



RS - ჩვენ, თქვენ - სახელობითშია:
ჩვენ ვაქებთ
თქვენ აქებთ

R - ჩვენ, თქვენ - სახელობითშია:
ჩვენ გვაქო
თქვენ გ-აქოთ

RS - ჩვენ, თქვენ - მიცემითშია:
ჩვენ გვიქია ის
თქვენ გ-იქია-თ ის

RS - ჩვენ, თქვენ - მიცემითშია:
ის გვაქებ-ს ჩვენ
ის გ-აქებ-თ თქვენ⁸

ანალოგიისა და სხვა მომენტების წყალობით (იხ. ზემოთ) ფართოდ გავსხნა გზა ისეთ პროცესებს, რომელთაც სტიქიური ხასიათი აქვთ.

მათ მოქმედებასაც იქითკენ მივყავართ, რომ რეალური სუბიექტისა და რეალური ობიექტის სინტაქსური დაპირისპირება, პრინციპულად მოხსნილი ორპირიან (და სამპირიან) ქართულ ზმნაში, ფაქტობრივადაც თანდათანობით ნაკლებ ხელშესახები ხდება, - ჩვენ, თქვენ - სახელთა შეპირისპირებისას კი ნოლამდის დადის.

ტექსტში წარმოდგენილი მასალა მხოლოდ საილუსტრაციოა. ის მოწოდებულია ხელშესახები გახადოს, რამდენად რთულია ქართული მარტივი წინადადების შექანიზმი და რა ტენდენციები ახასიათებს მის განვითარებას.

სითულის წყაროა ზმნის პოლიპერსონალიზმი: ზმნაში სუბიექტის პირისა და რიცხვის გარდა ობიექტის პირისა და რიცხვის აღნიშვნა.

პირთა აღნიშვნა, როგორც მორფოლოგიური ფაქტი, ქართულ ზმნაში მტკიცე და ურყევაა: რეალურად (გარაკვეული აფიქსით) თუ პოტენციურად (ნოლ-აფიქსით) სამივე პირი აღინიშნება, სუბიექტისაც და ობიექტისაც.

რიცხვის (მრავლობითის) აღნიშვნაში რყევა გვაქვს: ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს, ერთპირიანია ზმნა თუ ორპირიანი, პირდაპირი წყობისაა თუ ინვერსიულისა, რა ბრუნვაშია სახელი - მიცემითში თუ სახელობითში, რეალური სუბიექტია იგი თუ ობიექტი.

არ შეიძლება ქართული სინტაქსის შესახებ ვილაპარაკოთ და ეს გამოგვრჩეს ისევე, როგორც არ შეიძლება ქართული მორფოლოგიის შესახებ ვმსჯელობდეთ და ზმნის ორპირიანობა შეუმჩნეველი დაგვრჩეს.

⁸ პრინციპულად არაფერს ცვლის ისეთი შემთხვევა, ხადაც RS მესამე პირია და ზმნაში მისი მრავლობითობაა ნანს: მათ გაქვს თქვენ - შდრ. მან გ-აქოთ თქვენ.

ობიექტის მიერ ზმნის შეთანხმება მრავლობით რიცხვში თანამედროვე ქართულში¹

ობიექტების შეწყობა ზმნასთან შეპირობებულია სუბიექტისა და ზმნის ურთიერთობით: როცა სუბიექტად პირველი პირია, ობიექტად შეიძლება იყოს მეორე ან მესამე პირი; თუ სუბიექტად მეორე პირია, ობიექტად გვაქვს პირველი ან მესამე პირი, ხოლო, თუ სუბიექტად მესამე პირია, ობიექტად შეიძლება იყოს პირველი, მეორე ან მესამე პირი. რაც შეეხება ობიექტებს, როცა უახლოეს ობიექტად პირველი ან მეორე პირია, ირიბ ობიექტად შეიძლება იყოს მესამე პირი და პირუკუ: როცა უახლოეს ობიექტად მესამე პირია, ირიბ ობიექტად შეიძლება იყოს პირველი, მეორე ან მესამე პირი და ა. შ.

ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად თანამედროვე ქართულში პირველი პირისათვის გამოყენებულია გვ-პრეფიქსი, მეორე-მესამე პირებისათვის -თ სუფიქსი. ეს უკანასკნელი თავდაპირველად აღნიშნავდა მხოლოდ სუბიექტური პირების მრავლობითობას, ისიც მხოლოდ პირველსა და მეორე პირში, შემდეგ კი ორი ობიექტური პირის მრავლობითობის აღსანიშნავადაც იქნა გამოყენებული: ირიბისათვის მეორესა და მესამე პირში, უახლოესისათვის კი - მარტო მეორე პირში². ეს -თ მიხსნეულმა მომდინარედ დ-საგან, რომელიც შემონახულია სვანურში³. ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღნიშვნისას ქართულთან მიმართებით სხვა ქართველური ენები მსგავსებასთან ერთად განსხვავებულაც გვიჩვენებენ:

ზანურში დამატების მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელია სუფიქსები:

O₁ - ან -ეხ, -თ

O₂ - ან, -ეხ, -თ

O₃ - ან, -ეხ.

შდრ. სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ნიშნები:

S₁ - -თ

S₂ - -თ

S₃ - ან, -ეხ⁴.

საერთოა S₁ და S₂ მრ. რ. ნიშანი -თ და O₁ და O₂ ნიშანი -თ; S₃ -ან, -ეხ და O₁, O₂, O₃ -ან, -ეხ.

სვანურში კი გვაქვს: S₁ - დ, S₂ - დ, S₃ - ბ;

O₁ - გჷ (|| ნ-); O₂ - ხ, O₃ - ხ⁵.

აქაც საერთოა S₃ და O₃-ის ხ ნიშანი.

ძველ ქართულში ობიექტი ზმნას ითანხმებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელობითში იყო და მრავლობით რიცხვს -ენ -ნ ნიშნით გამოხატავდა (ობიექტის I პირის მრ. რიცხვის გვ-ნიშანი სხვა წარმოშობისადაა მიჩნეული), -თ კი ამ ფუნქციით ახალი წარმონაქმნია.

ცხადანი, უძველეს ქართველურ ენებში მრავლობითი რიცხვისა და პირთა გამოხატვის საშუალებანი ერთნაირი უნდა ყოფილიყო.

ორპირიან გარდაუვალ და სამპირიან გარდამავალ ზმნას უკავშირდება ირიბი ობიექტი, გარდამავალს - იქნება ის ორპირიანი თუ სამპირიანი - უახლოესი ობიექტი.

ობიექტის პირველი პირი აღინიშნება მ-პრეფიქსით მხოლოდობით რიცხვში და გვ-პრეფიქსით - მრავლობითში, შდრ. შენ შემალბები მე - შენ გვემალბები ჩვენ, შენ მეფერები მე - შენ გვეფერები ჩვენ, შენ მეხმარები მე - შენ გვეხმარები ჩვენ... შენ მხატავ მე - შენ გვეხატავ ჩვენ, შენ მახარებ მე - შენ გვახარებ ჩვენ... შენ მე მომეცი იგი - შენ ჩვენ მოგვეცი იგი, შენ მე დამიხატე იგი - შენ ჩვენ დავგიხატე იგი და ა. შ.

მაგალითები:

მშებო, ჩვენც მოგვეცით თქვენთან ბინა: ვაჟა, VII, 37; ერთი პაპიროსი მოგვეცით, მასწავ-

¹ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXIV, 1985.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 182.

³ ვ. თოფურია, შრომები, I, თბ., 1967, გვ. 1-15.

⁴ არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936, გვ. 99-100.

⁵ ვ. თოფურია, შრომები, გვ. 9-10.

დუბლო: ნ. დუმბ. 264.

როცა ობიექტის მარავლობითი რიცხვი გამოხატულია პირველისა და მეორე პირის შერეობით, უპირატესობას პირველი პირი იხაკუთრებს და აღინიშნება პირველი პირის მრავლობითი. ასევეა მაშინაც, როცა შერეობულია პირველი და მესამე პირი: ვერაფერი და ვერაფერი გაგვეყრის მე და შენ: კ. გამს. V, 388; მე და შენ... დიდი მანძილი გვიძეხვ წინ: კ. გამს. V, 389... მე და დათიკო შეგვაქო მეზობელმა; მე და დათიკოს გამოგვიდგა მურიცხი...

როცა ზმნას უკავშირდება სუბიექტად მეორე ან მესამე პირი და ობიექტად პირველი პირი, ობიექტის მრავლობითი რიცხვის გზ ნიშანი ყოველთვის წარმოდგენილია: გზ ნიშნით აღინიშნება რიცხვი ორივე ობიექტისა. ორპირიანი და სამპირიანი ზმნები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ა) ორპირიანი გარდაუვალი ზმნა:
მინამ ცხენები ჩამოგვივიდოდა, დათიკომ რუსული ტანისამოსი გაიძრო: ილია, I, 294; ჩვენ უკან აგვედევნა ერთი ცხენოსანი: ილია, I, 313...

ბ) ორპირიანი გარდაამავალი ზმნა:
ჩვენ დაგვაყენეს დიდ ბატონის ნათილედასთან: ილია, I, 270...

გ) სამპირიანი გარდაამავალი ზმნა:
მასწავლებელმა მოგატანა თვალი: აკაკი, IV, 49; ერთმა... მანქანა გავეჩინურა: ნ. დუმბ. 62... მეორე პირი ობიექტად, უახლოესი იქნება იგი თუ ირიბი, ზმნას შეეწოება მაშინ, როცა სუბიექტად პირველი ან მესამე პირია. სამპირიანი ზმნასთან კი, როცა სუბიექტად პირველი პირია, ორივე ობიექტი მესამე პირშია ან ერთი ობიექტი მესამე პირშია, მეორე – მეორეში.

როცა სუბიექტად პირველი პირია და ობიექტად მეორე პირი, ერთმანეთს ეცილება ამ სახელთა მრავლობითი. მეტიც – ობიექტი უპირატესობით სარგებლობს: ასეთ შემთხვევაში ზმნაში აღინიშნება მხოლოდ ობიექტის ნიშანი. ამ მოვლენის ახსნა მოგვცა არნ. ჩიქობავამ, რომელმაც შეუპირისპირა ქართულისა და შთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემები. შთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, სადაც ზმნა სახელთა კლასების მიხედვით იცვლება, იგი მხოლოდ ობიექტს აღნიშნავს, ანდა – მხოლოდ სუბიექტს: ოდენ ობიექტურია გარდაამავალ ზმნათა უღვლილება (მაგ. ხუნძურში⁶).

არნ. ჩიქობავამ აღნიშნა, რომ კლასოვანი უღვლილება წარმოადგენდა ამოსავალს პიროვანი უღვლილებისათვის⁷. ამ უკანასკნელმა გამოიწვია სუბიექტის სინტაქსური როლის გაძლიერება გარდაამავალ ზმნაში⁸.

რიცხვის აღნიშვნა თანაბრად შეუძლია ორივე სახელს, ოღონდ, თუ აღინიშნულია სუბიექტის რიცხვი, არ ჩანს ობიექტისა; თუ აღინიშნულია ობიექტის რიცხვი, არ ჩანს სუბიექტისა და ეს ხდება ამიტომ, რომ ორივე რიცხვი გამოხატულია -თ სუფიქსით. აი, ნიმუშებიც:

მე გიყურებ შენ – მე გიყურებთ თქვენ, ჩვენ გიყურებთ თქვენ...

მე გემალდები შენ – მე გემალდებით თქვენ, ჩვენ გემალდებით შენ – ჩვენ გემალდებით თქვენ...

მე მოგახსენებ შენ – მე მოგახსენებთ თქვენ, ჩვენ მოგახსენებთ შენ – ჩვენ მოგახსენებთ თქვენ...

მე ვითხრა შენ – მე ვითხრათ თქვენ, ჩვენ ვითხრათ შენ – ჩვენ ვითხრათ თქვენ...

მეორე პირის ობიექტის მრავლობითი რიცხვი აღინიშნება მაშინაც, როდესაც სუბიექტად მესამე პირია. აქაც გარეგნულად შეთანხმება არ ჩანს, თუ მეორე სახელი, მესამე პირის სუბიექტი, მრავლობით რიცხვშია და აქვს რიცხვში შეთანხმების უნარი: „წერილფეხაშვილები გედავებთ ნახევარ წისქვილს“: აკაკი, IV, 164, მაგრამ „წერილფეხაშვილები გედავებიან ნახევარ წისქვილს“.

და ასე:

⁶ არნ. ჩიქობავა, სუბიექტისა და ობიექტის შეფარდებითი როლისათვის ერგატული კონსტრუქციის ისტორიაში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საიუბილეო საკენიწიერო სესია, თბ. 1961, 17-20 მაისი, თეხისები, გვ. 133.

⁷ არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 134.

⁸ არნ. ჩიქობავა, ერგატული ნიორსახობანი და მათი სინტაქსური ძალა კლასოვანი და პიროვანი უღვლილების გარდაამავალ ზმნაში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის XVII სამეცნ. სესია 1974 წლის 21-24 მაისს. მუშაობის ეგეზა და მოხსენებთა თეხისები, თბ., 1974, გვ. 24.



ასეთი ზნა ემსგავსება გარდამავალი ზმნის მესამე სერის ფორმას, რომელსაც უკვე შევხვეყნებთ, მაგრამ მიცემითში დასმული სუბიექტი და სახელობითში დასმული ობიექტი იმ განსხვავებით, რომ გარდაუვალ ზნასთან, თუ ის ინვერსიული არ არის, სუბიექტად გვაქვს სახელობითში დასმული სახელი, ობიექტად – მიცემითში დასმული სახელი. ასეთ ორიპირიან ზნას მიღრეკილება აქვს ინვერსიისაკენ. სამიპირიან ზნასთან ინვერსია გამორიცხულია: ორიპირიანი გარდაუვალი ზმნის ორიბი ობიექტი მჭიდროდ სინტაქსური სიძლიერისა, ვიდრე სამიპირიანი გარდამავალი ზმნისა. სამიპირიანი გარდამავალი ზმნის მესამე სერის მიცემითში დასმული სახელის მსგავსად ხდება მიცემითში დასმული ობიექტის მიერ ზმნის შეთანხმება რიცხვში.

შეთანხმებისათვის ამოსავალია ზმნის წყობა. მესამე პირთან ზმნის წყობა (სუბიექტური, ობიექტური) მიჩქადულია, მაგრამ პირველი და მეორე პირი ობიექტურ წყობას გვაგვარადუბნებს, როცა მიცემითში დასმული სახელის სინტაქსური ძალა სჭარბობს სახელობითში დასმული სახელის სინტაქსურ ძალას: მოხელეებს ცხენი... გაეცქათ: მ. ჯავახ. IV, 36 – ჩვენ გაგვეცა ცხენი, თქვენ გაგექათ ცხენი, მათ გაეცქათ ცხენი... მოხუცებს თვალები უბრწყინათ: გ. შატბ. II, 314 – ჩვენ გვიბრწყინავს თვალები...

შეთანხმება შეიძლება მაშინ, როდესაც შემასმენლად გარდაუვალი ორიპირიანი ზნაა იმ პირობით, რომ მას არ უნდა ჰქონდეს ასეთი ქვემდებარე, რომელიც ზმნისაგან აუცილებლად მოითხოვებს მრავლობითი რიცხვის ფორმას¹¹.

მესამე პირის სუბიექტთან ობიექტად შეიძლება იყოს პირველი, მეორე ან მესამე პირი. პირველი და მეორე ობიექტური პირი თანხმებს ზნას რიცხვში, მესამე პირველისა და მეორის ხაზს აგრძელებს და მანაც დაამკვიდრა პირველისა და მეორე პირების თვისებები: განდა ტრენდენცია მესამე პირის ობიექტმაც შეთანხმოს ზნა რიცხვში.

ამისი დამადასტურებელია ასეთი მაგალითებიც: ნახირო... მოუდიო აქ საძოვრად სოფლიდან შვექსებს: ვაჟა, VII, 36; თავში მღვდელი დაუჯდათ: აკაკი, IV, 17; ვიდაც წვერმოშვებული მესტერიუ მოადგათ: აკაკი, IV, 174; შაბათ საღამოს ესტუმრათ თველორე: ვაჟა, VI, 193; წინ ჩაუდებო ტორია: ვაჟა, VI, 13; ახლა მისი შიშოც მიემბათ მუზობლებს: დ. კლდ. I, 30; ერთ ადვილას მათკენ მიმავალი მღვდელი შეხვდათ: დ. კლდ. I, 191; მღვკარი მიეშვალათ: მ. გორგ. IV, 198; შენაკვებს შუგ შუა მდინარეში დიდი ქარიშხალი ამოუყარდათ: ი. გოგუბ. V, 351; მარიამობას ჩინებული დარი დაუდგათ ოფოთლებს: გ. წერ. 487; ისიდორე დიმილით შემოეგებათ ჭიშკართან: „ცისკარი“, 1981, № 5, 47...

მესამე პირის ობიექტის მიერ ზმნის შეთანხმებისას ხშირია მერყეობა, მაგ.: „ირემი მონადირეებს ტყეში დაემალა“: ი. გოგუბ. V, 197 და „ირემი მონადირეებს ტყეში დაემალათ“: იქვე, 399; დედაკაცი ბავშვებს მოუძღოდა“: გ. შატბ. II, 301; მათ წინ მოუძღოდა... თეთრცხენიანი მხედარი“: აკაკი, IV, 399 და „წინ კირილე მღვდელი უძღოდათ“: აკაკი, IV, 125.

შეთანხმებისათვის მნიშვნელობა აქვს სხვა გარემოებაც: როდესაც ზნასთან თავს იყრის მრავლობითი რიცხვის ცოცხალი საგნის აღმნიშვნელი სუბიექტი და არაცოცხალი საგნის აღმნიშვნელი ობიექტი ან არაცოცხალი საგნის აღმნიშვნელი სუბიექტი და ცოცხალი საგნის აღმნიშვნელი ობიექტი, მათი დამოკიდებულება ზნასთან სხვადასხვანაირია, შდრ. „მეზობლები... ეგზავნებოდნენ დაეთოს და მის შეილებს“: ე. ნინ. I, 208 და „გახუთები ეგზავნებო ხელისმოშველებს“. ეგზავნებოდნენ || ეგზავნებოთ პირდაპირი წყობის ზნებით, მაგრამ ერთ შემთხვევაში ზნა ეთანხმება სახელობით ბრუნვაში დასმულ სახელს, სუბიექტს, მეორე შემთხვევაში – მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელს, ორიბი ობიექტს.

ლაბილურია რიცხვში შეთანხმება, როცა სუბიექტიცა და ობიექტიც მრავლობით რიცხვშია და ორივე ცოცხალი საგნის აღმნიშვნელია: ერთ შემთხვევაში სუბიექტის სინტაქსური ძალა მეტია ობიექტისაზე, მეორე შემთხვევაში – პირიქით: ობიექტი თანხმებს, სუბიექტი ვერ თანხმებს: ჩვეულებრივ კი თანხმებს სუბიექტი – სახელობითში დასმული სახელი: კურდღლებს მოაყენენ შველები: ვაჟა, VII, 42; შველებს არწეები მოაყენენ: ვაჟა, VII, 42; თუშებს ინტელიგენტები ბლომად მოეპოვებინან: ვაჟა, X, 81; სტუმრები კარგა ხანს ესაუბრენ ტყეებს: კ. ლორთქ. 185...

როცა სახელობითში დასმული სახელი (სუბიექტი) ცოცხალი საგნის აღმნიშვნელია, მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი (ობიექტი) – არაცოცხალისა, ან ორივე არაცოცხალ სა-

¹¹ ი. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, II, თბ., 1948, გვ. 119.



განს გამოხატავს, სუბიექტის სინტაქსური ძალა მეტია ობიექტისაზე: წვეული ბუნების დახვეწა ჩემ ტკბილ მასალებს: აკაკი, VII, 32; გვადის თვალეობც მაშინვე მოსწყდნენ შორეულ ზღვებს: ლ. ქიან. III, 259...

მაგრამ მიცემითში დასხული სახელი (ობიექტი) ითანხმებს ზმნას რიცხვში, როცა სახელობითში დასხული სახელი არაცოცხალი საგნის აღმნიშვნელია: ბუქანის ძაღლებს რამდენი ნაკილარები შეტყობათ: ვაჟა, VII, 20 გუანათდათ თვალეობ მოხუცებს: (პრეს).

თუმცა შუთანხმება დასაშვებია მაშინაც, როცა სახელობითში დასხული სახელიც ცოცხალი საგნის აღმნიშვნელია: ძაღლები, კატები და ქათმებიც კი მოუდიდათ (მათ) წისკვილის სანახავად: ვაჟა, V, 108.

ეს გამოწვეულია იმით, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა აღმაინის აღმნიშვნელი მიცემითში დასხული სახელი, რომელიც ითანხმებს ზმნას მრავლობით რიცხვში, და სახელობითში დასხული არააღმაინათა კლასის აღმნიშვნელი ცოცხალი საგნის გამოხატველი სახელი.

სახელობითისა და მიცემითის დაპირისპირება რიცხვის აღნიშვნისას ნათლად ნახვებია არნ. ჩიქობავას გამოკვლევაში „მარტვი წინადადებების ვოლუტის ძირითადი ტენდენციები ქართულში“. ავტორი ახანდიზებს მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის შემთხვევებს და მიუთითებს, რომ მრავლობითი რიცხვის აღნიშვნაში რყევა გვაქვს: ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს, ურპირიანია ზმნა თუ ორპირიანი, პირდაპირი წყობისაა თუ ინვერსიულისა, რა ბრუნვაშია სახელი, მიცემითში თუ სახელობითში, რგალური სუბიექტია ის თუ ობიექტი¹².

ერთპირიან ზმნაში სუბიექტის მრავლობითობა აღინიშნება იმ შემთხვევაში, როცა სუბიექტად ცოცხალი საგნის აღმნიშვნელი სახელია, ან, თუ არაცოცხალი საგნის აღმნიშვნელია, ცოცხალის თვისებებითაა აღჭურვილი, თუმცა შუთანხმებაში მერყეობა აქაც შეინიშნება: გლეხები სხვადასხვა მხარეს გაიკრიფნენ: მ. ჯავახ. IV, 236; თავგები ცხოვრობდნენ თავისთვის: აკაკი, IV, 318; საქათმოდან გამოიშალნენ ქათმები: ი. გოგებ. V. 484...

და ასე:

ქეთონებდნენ სიმები: აკაკი, IV, 179; დრუბლები კვლავ ჩაიშალნენ: შ. დად. III, 59; ნელა ქანაობენ მღალაი ალგები: კ. გამს. V. 949...

მაგრამ:

წისკვილის ქეები გაფუჭდა: ვაჟა, V, 108; დადუმდა მარდები: ნ. დლორთქ. I, 23; ეს თვალუბი ხაფანგში გაბმულ თავივით დარბის: მ. ჯავახ. III, 428...

ერთპირიანი ზმნის ბედს იზიარებენ ორპირიანი და სამპირიანი ზმნებიც: აქაც ზმნა მაშინ ეთანხმება სუბიექტს, როცა ეს უკანასკნელი სულიერი საგნის აღმნიშვნელია ან სულიერის თვისებები მიეწერება, მაგალითად: ხმელს წიფელს ხეები შორიდან უღვანან: ვაჟა, I, 84; ხეები ამაყად დასცქერიან ბენავს ხმელს წიფელს: ვაჟა, V, 86... ეს სიტყვები აღონებენ გულს: ილია, I, 264; კუნთებში მოძრაობა დაიწყეს: შ. არაგვ. II, 191; დათვი წყლულებმა შეაწუხეს: ვაჟა, VI, 269...

მაგრამ:

ყურებმა წივილი დამიწყო: აკაკი, IV, შდრ. იქვე: ყურებმა წივილი დამიწყეს: 186.

შაქროს სიტყვებმა მაგდანა გამოაფიხილა: შ. არაგვ. I, 15, შდრ. ჩემმა სიტყვებმა იმას გული ჩემკენ მოუბრუნეს: ილია, I, 302 და ა. შ.

სუბიექტისა და ობიექტის ერთნაირი სინტაქსური ძალის გამოვლენის შედეგად ორივე სახელს შესწევს უნარი ზმნა შუთანხმის მრავლობით რიცხვში:

- ისინი დახვდნენ მას || მათ - ის დახვდათ მათ
- ისინი მოაყენენ მას || მათ - ის მოაყვიათ მათ
- ისინი მოსწყდნენ მას || მათ - ის მოსწყდათ მათ
- ისინი ესაუბრნენ მას || მათ - ის ესაუბრათ მათ
- ისინი მოადგნენ მას || მათ - ის მოადგათ მათ
- ისინი ესტუმრნენ მას || მათ - ის ესტუმრათ მათ
- ისინი მიემატნენ მას || მათ - ის მიემატათ მათ
- ისინი შეხვდნენ მას || მათ - მათ ის შეხვდათ მათ
- ისინი გაუწყრნენ მას || მათ - ის გაუწყრათ მათ

¹² არნ. ჩიქობავა, მარტვი წინადადების ვოლუტის ძირითადი ტენდენციები ქართულში, II, გვ. 567.

ისინი მიეშველნენ მას || მათ - ის მიეშველათ მათ
ისინი შემოეგებნენ მას || მათ - ის შემოეგებათ მათ..

მესამე პირში რომ მიცემითში დასმული ობიექტი ითანხმებს ზმნას რიცხვში, ეს ახალი ქართულის წარმონაქმნია, ძველ ქართულს ასეთი ფორმა არ ჰქონდა. საერთოდ არ აღინიშნებოდა აგრეთვე მეორე პირის მიცემითში დასმული სახელის მრავლობითი რიცხვი. ასეთ ვითარებაში ძველ ქართულში იყო ერთადერთი ფორმა - რიცხვში შეუთანხმებელი ფორმა: იგი შეგხვდა შენ - იგი შეგხვდა თქვენ, იგი გხატავს შენ - იგი გხატავს თქვენ...

ამჟამად მეორე პირის დამატება ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში: იგი შეგხვდა შენ - იგი შეგხვდათ თქვენ; იგი გხატავს შენ - იგი გხატავს თქვენ..., მან დაგხატა შენ - მან დაგხატათ თქვენ...

როგორც ჩანს, პირველი პირის მსგავსად შეთანხმება გაჩნდა მეორე პირთანაც.

მიცემითში დასმული სახელის მიერ ზმნის მრავლობითი რიცხვში შეთანხმების ფორმები შემწველია XV - XVII საუკუნეების ძეგლებში და საგარაუდოა, რომ იგი ცოცხალ მეტყველებაში უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული¹³.

ასეთ შემთხვევაში „ანაღოა ღამობის იმის დამკვიდრებას, რამაც ინვერსიულ ზმნებში გარკვეული მიზეზების გამო თავი იჩინა“¹⁴.

ამგვარად, პირველი პირის ობიექტის სიმრავლე ყოველთვის აღნიშნულია ზმნაში გვ-პრეფიქსით. მეორე პირმაც შეისისხლხორცა ზმნის მრავლობითში შეთანხმების უნარი, რაც აღინიშნა -თ სუფიქსით. მესამე პირმაც -თ ნიშანი გამოიყენა ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად. ამით „ეს -თიანი ფორმები აგრძელებენ პირველი და მეორე პირის ფორმათა ხას: მიცემითი ბრუნვის ობიექტი სამსავე პირში ითანხმებს ზმნას რიცხვში“¹⁵.

არნ. ჩიქობავა აქვე მიუთითებს, რომ „მესამე პირის ამ ფორმის წარმოქმნაში ახალი ფაქტორი უნდა გვექონდეს: დიალექტობრივი ნორმა. ზოგ ქართულ კოლოში (რაჭულში, ინგილოურში, ფერეიდნულში, იმერულში)... ხმარებაშია -ყვ || -კვ ნაწილაკი: იგი მიუთითებს... ობიექტზე მრავლობითის მიცემითში“¹⁶ და აქედან გამომდინარე ნაჩვენებია, რომ აუღვენთა, კეთიხელოდა, მოუთხრობდათ, ვხეწებათ... და მსგავს ფორმებში -თ სუფიქსი -ყვ ნაწილაკის ადგილასაა გამოყენებული და მისი როლიცა აქვს დაკისრებული¹⁷. ვითარება ისე წარმართა, რომ -თს მოხშირებაში -ყვს გაიშვიათების კომპენსაცია ჩანს¹⁸.

როგორც ხედავთ, -თსა და -ყვს მიმართება დიალექტურისა და სალიტერატურო ენის მიმართებაა. ორივე გამოხატველია ობიექტის მრავლობითი რიცხვისა, მაგრამ დიალექტურ -ყვს ავიწროებს სალიტერატურო -თ სუფიქსი, რომელიც თანდათან მკვიდრდება ახალ ქართულში და გვაქვს დიალექტებშიც.

მაგრამ ჩვეულებრივია შეუთანხმებელი ფორმები: მიცემითში დასმული ირიბი ობიექტი ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ზმნა სუბიექტური წყობიდან არის გაგებულა, მაგალითად: ამ დროს გერაც მიუახლოვდა მათ: ლ. ქიან. III, 89 (მე მიუახლოვდი მათ, შენ მიუახლოვდი მათ, ის მიუახლოვდა მათ); ნიავე სასიამოვნოდ ეაღერსებოდა ბავშვებს: გ. შატბ. II, 399 (მე ვეაღერსებოდი მათ, შენ ეაღერსებოდი მათ, ის ეაღერსებოდა მათ.); გონა ბუზღუნით დაეღვენა მათ: გ. შატბ. II, 407 (მე დავეღვენე მათ, შენ დაეღვენე მათ, ის დაეღვენა მათ) და ა. შ.

და ასე:

ფრინველი დასტრიალებდა ირმებს: ვაჟა, VI, 191; მაგდანა ქალებს მიუვარდა: მ. ჯავახ. IV, 117; მიუახლა ხოვაისძე ქისტებს: კ. ვაშს. II, 199...

ძველ ქართულში სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტი, თუ მისი მრავლობითი რიცხვი ნ (-ენ) ნიშნით იყო აღნიშნული, ზმნას ითანხმებდა მრავლობით რიცხვში და ახენდა ნ ნი-

¹³ ივ. ქავთარაძე, მიცემითის მრავლობითში დასმული სახელის გამოხატვის ისტორიისათვის ზმნაში, გვ. 228-229; ა. კიხრიძე, ქვემდებარე და დამატება ახალ ქართულში, კრებ. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, V, თბ., 1953, გვ. 25.

¹⁴ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადებების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, გვ. 562.

¹⁵ იქვე, გვ. 564.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე.



ქართული ენის
საერთაშორისო
საზოგადოებრივი
ცენტრი

შანს¹⁹: ამან ცრემლითა დააღტუნა ფერჭნი ჩემნი: ღ 7, 44; ქათამან შეიკრიბნა მარტოქნი ქუეშე ფრეთა: C მ 23, 37; მისცნა იგინი საპურობილესა მხარაულთ მოძღურისა შან: და. 40, 5; განუტუნა იგინი მოავრმან მან: კიმ. 1, 56, 20.

შეთანხმებისას ჩუენ და თქუენ ნაცვალსახელუბით გამოხატულ თბიქტებს, თუ სახელობითში ივარაუდებოდა, ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორც მრავლობითი რიცხვის -5 ნიშნიან დამატებას: მე შეგიყვარენ თქუენ: ი 15, 12; დაეცივნა თქუენ ღმერთმან: წარტყ. ნზ; ვიხილენ თქუენ: DE 16, 22... შდრ. არაგონ დავიფიქინა ჩუენ DE მ 20, 7; არაგონ დავვიფიქინა ჩუენ: C მ 20, 7...

ახალ ხალიტურატორო ქართულში ასეთი შეთანხმება გადაშენებულია, მაგრამ შემორჩენილია ცოცხალ მეტყველებაში (რაჭულში²⁰, ფშაურში²¹...).

მაგ:

რაჭული: აუთანდიღმა... დათაღნა შამფურნი: შ. ძიძიგური, ქართ. დიად. მახაღები, თბილისი, 1974, 135; ამორჩიენა ორნი ღუკეანი: შ. ძიძ. ძიძებანი ქართ. დიადუქტოლოგიდან, 199...

ფშაური: ჩააცვნა ი ტანისამოსნი: გ. ცოცანიძე, ფშაური დიადუქტი, 122; ავაწოკენ ცხვარ-მწვემსნი: იქვე, 122; იმან ისენი გააციღნა: ფშაური, ქართ. დიადუქტოლოგია, 134; კაცმა... დაშტრნა ფრჩხილნი: იქვე, 134...

ხევსურული: გაით ვააროენა კალთანი: კვეს. 241, 17; კველ-უკულმ გარმაქნუელმა დავიგტრნა უბის მასრანი: იქვე, 221, 5...

თუშური: ფიქ დაჯოცენს ორნივ: თუშური, ქართ. დიად. 117; ვირებით კაღონ გაღეწეს: თუშური, ქართ. დიად. 110; დედ-მამათ დავგზარდნეს: თუშური, ქართ. დიადუქტი. 123...

ფშაურში შემონახული ძველი ქართულის ფორმები გამოყენებულია ვაჟა-ფშაველას მიერ²². თვალს ხელნი დავიფარნიან: II, 80; ერთს წითელ-წვერას დავეკლიშე, დავაგულჯინენ ებანია: I, 44; ჩამოღუნეს ჭკლანი: III, 76 და სხვა.

თანამედროვე ქართულში გარდამავალი ორპირიანი ზმნის შესაძე პირის უახლოესი ობიექტი ზმნას ვერ ითანხმებს რიცხვში ვერც მაშინ, როცა ის მიცემითშაა და ვერც მაშინ, როცა სახელობით ბრუნვაშია. და ეს ხდება იმიტომ, რომ სუბიექტი, რომელიც ასეთ ზმნებთან სახელობითსა და მოთხრობითში დაისმის, მეტი სინტაქსური ძალის მქონეა. მოთხრობითში დასმული სახელის სინტაქსური შესაძლებლობა მეტია მიცემითისა და სახელობითისაზე.

მაგ:

ავდარი პატარძლებს თუ შუაშინებს: კ. გამს. V, 55;

ერთი ღრმათ მოხუცებული ბერიკაცი ბაღში ვაშლებს ამყნობდა: ი. გოგებ. V, 198;

ღღეს ქეთევანმა წამოიღო რვეულები გასასწორებლად: ე. ყიფ. I, 363...

ცოცხალი მეტყველების კვლია, როცა უახლოესი ობიექტი ითანხმებს ზმნას რიცხვში და აჩენს -თ ნიშანს.

მაგალითები:

ამან კიდევ უფრო გააჯიუტათ: აკაკი, VII, 793.

დასწვევლოთ ღმერთმა - სირაჯობენ კიდევ: ილია, I, 345.

ი, დაღახვრათ ღმერთმა - სიქვა თავისთავად პეტრემ: ილია, I, 411.

დაღახვრათ ჩემმა გამჩენმა: დ. კლდ. I, 16.

შემშიღმა ძლიერ შუაწუხათ... დეკვები: ი. გოგებ. IX, 45²³.

ხალიტურატორო ქართულში სამპირიან ზმნასთან III პირის ირიბი ობიექტი რიცხვის მიხედვით არაა დაკავშირებული: იგი ზმნას ვერ ითანხმებს რიცხვში: პეტრემ ყაწვილებს ქვეშ გაუშალა ნაბადი: ილია, 408; ზაალი კი ქვეყნიურ ზრახვებს ვედარ აღწვედა თავს: აკაკი, VII, 131.

¹⁹ დაწერილებით განხილულია ეს საკითხი ა. ჩიქობავას შრომაში „ერთ არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში“, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, I, 1929, გვ. 107-119. არაერთი ავტორი შეხვებია მას შემდგომშიც.

²⁰ შ. ძიძიგური, ძიძებანი ქართული დიადუქტოლოგიიდან, თბ., გვ. 198-199.

²¹ გ. ცოცანიძე, ფშაური დიადუქტი, თბ., 1978, გვ. 122.

²² ი. იმნაიშვილი, ვაჟა-ფშაველა და ძველი ქართული ენა, თბ., 1968, გვ. 100-103.

²³ შესაგეს ფორმებზე გაამახვილა ყურადღება დოც. ი. კიკნაძემ მოხსენებაში - „ერთი ენობრივი ტენდენციის შესახებ თანამედროვე ქართულში“, რომელიც წაკითხულია იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკად. ვ. თოფურაძის ხარისხიანი მიღწევის „საერთაშორისო საუბრების“ საჯარო სხდომაზე 1981 წლის 8 იანვარს.



ასეთივე მდგომარეობაა ორიპირიანად ქცეულ ზმნებთანაც: ყვავილებს ტანში დაუარა: ვაჟა, VII, 36, შდრ. მოხიბლულ მსმენელებს ქრუანტელმა დაუარათ: აკაკი, IV, 178...

მაგრამ ორიპირიანი გარდაუვალი ზმნის მსგავსად სამპირიან ზმნასთანაც თავს იჩენს ტენდენცია ირიბი ობიექტის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმებისა, რაც აიხსნება ცოცხალი მეტყველების თავისებურებათა მოძალებით. მიცემითში დასმული ობიექტის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების შემთხვევები გვაქვს როგორც აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსული, ისე დასავლეთ საქართველოდან გამოსული მწერლების (ილია, ვაჟა, ს. შანშიაშვილი²⁴, მ. ჯავახიშვილი..., აკაკი, დავით კლდიაშვილი, ს. კლდიაშვილი...) ნაწერებში.

მაგალითები:
სამს დღეს უკან ბიჭმა პასუხი მოუტანათ: ილია, I, 369; ღმერთმა მეგვიდრე არ უბოძათ: ილია, I, 369; ვინ მისცათ იმათ ნება: ვაჟა, VI, 86; ეს თინი მეღამ დაამართათ: ვაჟა, V, 187; მერე ძილი მოსტაცებთ თვალს: გ. შატბ. II, 398; ჩემმა საქციელმა ყოველგვარი ვეჭო გაუფანტათ (მათ) "ლიტერატურული საქართველო", 14, VIII, 81, გვ. 15, სვ. 4...

სიმრავლის გამოხატვისას ზოგი ზნა ფუჭმირანცვლეა. ეს მონაცვლეობა ცალბოთისა და კრებით სახელთა მიმართებას ეფარდება.

ძველ ქართულში ამისი ნიმუშებია:
ჯდა იგი სახლსა შინა მისსა; DE მრ. 2, 15 და: სხდა ერი გარემო მისსა: C მრ. 3, 32...
და ასე:

გამოაგდეს იგი მიერ ხავენაკით: DE მრ. 12, 8, შდრ. გამოასხა ერი იგი: DE მ 9, 25...
ასეთივეა:

დადვა იგი გამოკუთილსა მას სამარესა: C ლ 23, 53.
დადვა სამოხელი თვის: ი 13, 4... შდრ. კაცმან ვინმე დაასხა ვენაკი: DE მრ. 12, 1.
დაასხეს სამოხელი კიცუსა მას: DE ლ 19, 35...
მრავლობითს კი თავისი ნიშანი ჰქონდა. თუ სახელობითში დასმული ობიექტი მრავლობით რიცხვში იყო (6 ნიშნით), იგი რიცხვში ითანხმებდა ზმნას და აჩენდა მრავლობითის 6 ნიშანს; დაასხნა კვლნი მისნი მის ზუდა: C ლ 13, 13.
დაასხნა თითნი მისნი: მრ 7, 33...

მონაცვლეობა გვაქვს ახალ ქართულშიც იმ განსხვავებით, რომ სახელობითში დასმული მესამე პირის ობიექტი ზმნას ვერ ითანხმებს მრ. რიცხვში: მრავლობითი რიცხვი აღინიშნება ფუძის მონაცვლეობით. ამგვარად სხმა უნაცვლება ფორმებს: სმა, ბმა, ყვანა და ა. შ. ქათამს სვამს - ქათამებს სხამს, ქათამი დასვა - ქათამები დასხა, ვაშლი აბია - ვაშლები ასხია, ძროხა წაიყვანა - ძროხები წაასხა, ცხვირი წაასხა...

სიმრავლე ზმნისწინის მონაცვლეობითაც შეიძლება გამოიხატოს. ზმნისწინის მონაცვლეობა ერთ-ერთი საშუალებაა მრავლობითში დასმული უახლოესი ობიექტის ან ზოგჯერ გარდაუვალი ზმნის სუბიექტის მრ. რ. ასახაზავად ზმნაში. ასეთი მონაცვლეობა ეხება ზმნისწინებს: ამო - და (ამოაძრო - დააძრო...), გა - და (გახადა - დახადა...) გამო - და (გამოაცხო - დააცხო...), შე - და (შეუტამა - დაუტამა...)...

ასეთ შემთხვევაში, „როცა ობიექტი მხოლ. რიცხვშია, მაშინ ერთი ზმნისწინია ნახმარი (გა, ამო, შე, გამო და სხვა), მაგრამ, როცა ობიექტი მრავლობითში გადადგება, მაშინ შეიძლება ზმნაში ჩვეულებრივ ზმნისწინს და შეენაცვლოს“²⁵.

მაგალითად:
გათხოვებს - ცოლად მისცემს ვისმე²⁶.
დაათხოვებს - გაათხოვებს ბევრს.
გაგზავნის - გაამგზავნებს, გაუშვებს, დააყვებს, წაიყვებს, მიაყვებს, გზას გაუყენებს.
დაგზავნის - სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნის, წარგზავნის ბევრს.
გამოაცხობს - ცოფს გახურებულ ღუმელში (თონეში, კეცხე... მოათავსებს, გამოშუშავს და საჭმელად გამოსადეგს გახდის...

²⁴ ს. შანშიაშვილის მოთხოვნებში ნახმარი ფორმები განხილული და ახსნილი აქვს ანნ. ჩიქობავას: არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ყოფილუცის ძირითადი ტენდენციები ქართულში, II, გვ. 563.

²⁵ ა. შანშიაშვილი, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 256.

²⁶ დამოწმებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით.

დააცხოვს - გამოაცხოვს ბევრს.

მოხნავს - სახენელი იარაღით მოწას დაამუშავებს...

დახნავს - მოხნავს ერთიანად...

შეჭამს - დაღუპავს და გადაყლაპავს...

დაჭამს - შეჭამს ბევრს, სულ ერთიანად შეჭამს...

და- ზმნისწინის ასეთ ფუნქციაზე ა. შანიძემ საგანგებოდ გამახვილა ყურადღება და ასეთ დასწორებას უწოდა **თითობის და- იმ აზრით**, რომ ასეთ ვითარებაში მასთან „ხშირად დაკავშირებულია ისეთი მოქმედება, რომელიც შესრულებულია პირდაპირ ობიექტზე ცალ-ცალკე“²⁷.

მაგალითები:

მეცხვარემ... ცხვრები დაკრიჭა: ი. გოგებ. V, 372; ბაბუაჩემმა... დათხოვა ყველა ქალიშვილი: დ. კლდ. II, 122; იმათ საძებნელად დაგზავნე... ბაღლები: ვაჟა, VI, 252...

ამგვარად, პირველი და მეორე პირის ობიექტი ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში.

რიცხვში შეთანხმება გვაქვს მაშინაც, როცა გარდაუვალი ორპირიანი ზმნის შესამე პირის ირიბი ობიექტი მრავლობით რიცხვშია.

სამპირიანი ზმნის ირიბი ობიექტი ნაკლები სინტაქსური ძალის მქონეა.

შესამე პირის ობიექტი ზმნას ვერ ითანხმებს, თუ სუბიექტად პირველი ან მეორე პირია.

შემოკლებათა განმარტებები

აკაკი IV, VII - აკაკი წერეთელი, თხზულებანი, სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. IV, თბ. 1948, VII, თბ., 1949.

შ. არაგვ. I, II - შ. არაგვისპირელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, თბ. 1947, ტ. II, თბ., 1947.

კ. გამს. II, V - კ. გამსახურდია, რწეული თხზულებანი, ტ. II, თბ. 1959, ტ. V, თბ., 1961.

ი. გოგებ. V, IX - ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1957, ტ. IX, თბ., 1962.

ნ. დუმბ. - ნ. დუმბაძე, ოთხი რომანი, თბ., 1973.

ვაჟა V, VI, VII, X - ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ., 1964.

ი - სახარებათა თიხანსის; ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შტაბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936, 973 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.

ილია I - ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I, 137.

კიმ. I - კიმენი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კ. კეკელიძის გამოცემა, ტ. I, ტფილისი, 1918.

დ. კლდ. I, II - დ. კლდიაშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1952, ტ. II, თბ., 1952.

კ. ლორთქ. I - კ. ლორთქიფანიძე, მოთხრობები, თბ., 1975.

ნ. ლორთქ. I - ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებათა სრული კრებული, I, თბ., 1958.

მ - სახარებათა მათსისი, ნ. ი.

მრ - სახარებათა მარკოზისი, ნ. ი.

ე. ნინ. I - ე. ნინოშვილი, თხზულებანი, I, თბ., 1932.

ქართ. დიალ. - ი. გიგინეიშვილი, ე. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, ე. თოფურიას რედაქციით, თბ., 1961.

ღ. ქიან. III - ღ. ქიანელი, თხზულებანი ოთხ ტომად ტ. III, თბ., 1950.

ა. ყაზბ. I - ალ. ყაზბეგი, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1948.

ე. ყიფ. I - ედ. ყიფიანი, მოთხრობები, ტ. I, თბ., 1974.

გ. შატბ. II - გ. შატბერაშვილი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II, თბ., 1972.

წარტე - წარტეუენვათა იერუსალიმისადა თქმული ნეტარისა სტრატეიკი მონაზონისა, ნ. მარის გამოცემა, TP, IX, CII6, 1909.

ვ. წერ. I - ვ. წერეთელი, რწეული ნაწერები, ტ. I, თქ. 1947.

ვევს. - ბ. გაბუური, ვევესურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით, ქართული საენათმ. საზოგადოების წელიწადეული, I-II, თბ., 1923-24.

მ. ჯავახ. III, IV - მ. ჯავახიშვილი, თხზულებანი ექვს ტომად, თ. III, თბ., 1960, თ. IV, თბ., 1962.

²⁷ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 255.



ერთი სინტაქსური მოვლენის შესახებ¹

ამ სტატიის დაწერა გადაგვაწყვეტინა ერთმა ტელერეკლამამ, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში ყოველდღე შორდებოდა „იმედის“ არხზე, უმეტესად – 22 სთ-იანი „ქრონიკის“ წინ:

„უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც სურს მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა, განცხადებით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, ან – საქართველოს საელჩოს ან საკონსულოს“.

გრამატიკულად (სინტაქსურად) ეს არის რთული ქვეწყობილი წინადადება, რომლის ე. წ. მთავარი კომპონენტია:

„უცხო ქვეყნის მოქალაქე [და არა მოქალაქეს!] მიმართავს [სემანტიკურად ალბათ უმჯობესი იქნებოდა: მოქალაქემ უნდა მიმართოს...] საქართველოს პრეზიდენტს...“

ამ მთავარ წინადადებაში ჩართულია („შეკრილია“) ე. წ. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება: „რომელსაც სურს მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა“.

„რომელსაც“ გრამატიკულად არის მიმართებითი ნაცვალსახელი და ერთდროულად აქვს ორი (იქნებ – სამიც!) ფუნქცია: იგი აკავშირებს დამოკიდებულ წინადადებას მთავართან, თანაც განსაზღვრავს (სემანტიკურად) თავის მისამართ სიტყვას – მთავარი წინადადების ქვემდებარე, და წარმოადგენს დამოკიდებული წინადადების სუბიექტს [რომელსაც სურს = მას (მოქალაქეს) სურს], ამიტომ მას წვერ-კავშირსაც უწოდებენ...

დამოკიდებული წინადადების ზნა-შემასხმეული – „სურს“ მართავს თავის სუბიექტს („რომელსაც“) მიცემით ბრუნვაში. მთავარი წინადადების სუბიექტმა („მოქალაქემ“) „დაკარგა“ კავშირი თავის შემასხმელთან („მიმართავს“) და დამსგავსა ბრუნვაში რომელსაც წვერ-კავშირს. მივიღოთ: მოქალაქეს მიმართავს [უნდა ყოფილიყო: მოქალაქე მიმართავს].

ეს მოვლენა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „სინტაქსური ატრაქციის“ ან „სინტაქსური ასიმილაციის“ სახელით (უფრო – უკანასკნელით) არის ცნობილი (კ. დონდუა, ფ. ერთელიშვილი, ღ. კვანტალიანი, ა. არაბული...), უცხო არ არის ქართული ენისათვის. უფრო მეტიც: ძველ ქართულ ენაში ასეთი წყობა წინადადებისა საკმაოდ გავრცელებული იყო.

არსებულ მასალაზე დაყრდნობით, ა. შანიძე წერდა: „თუ რომელიმე სახელი განსაზღვრულია დამოკიდებული წინადადებით, იგი ბრუნვის მიხედვით ანგარიშს უწევს დამოკიდებული წინადადების ზნას და არა მთავრისას“... მაგრამ, როგორც აზუსტებს ამ მოსაზრებას ფ. ერთელიშვილი, ეს არ იყო ნორმა ძველ ქართული ენისათვის...

აღნიშნული კონსტრუქცია, რა თქმა უნდა, შენიშნული აქვს ყველას, ვისაც კი უმუშავია რთული წინადადების სინტაქსის საკითხებზე. იგი სათანადოდ არის შესწავლილი. ჩვენ ახალს არაფერს ვამბობთ. ჩვენს სტატიას მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება აქვს: იქნებ თავიდან ავიცილოთ ერთ-ერთი არასასურველი ენობრივი შეცდომა, აზრობრივ შეცდომასაც რომ უკავშირდება, და არღვევს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ბუნებრივ პროცესს.

გასაკვირი არ იქნება, ვინმეს (განსაკუთრებით – ალბათ ჟურნალისტებს) გაუჩნდეს კითხვა: თუკი ძველ ქართულ ენაში მსგავსი კონსტრუქციები საკმაოდ გავრცელებული იყო, დღეს რატომ უნდა ჩავთვალოთ იხინი ენის „მომაკდინებელ“ მოვლენად?

ჯერ ერთი, ცნობილია, რომ ძველი ქართული ენისა და ახალი (და თანამედროვე) ქართული ენის გრამატიკული ფორმები თუ კონსტრუქციები ბევრ შემთხვევაში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ენა ხომ ვითარდება... (ოღონდ ვითარდება ბუნებრივ და კანონზომიერ გზით). მეორეც და – რაც მთავარია, ძველ ქართულშივე ჩვენთვის ხაინტურეს კონსტრუქციები „ნორმიდან გადახარად“ უფრო ითვლებოდა. მათ წარმოქმნას თავისი ახსნა ეძებნება. თუმიცა ახსნა სხვადასხვაგვარია. მკითხველს გაეახსენებთ ზოგ რამეს არსებული სამეცნიერო ლიტერატურიდან.

¹ გულათის შეცნობებთან აკადემიის ჟურნალი, თბ., 2005, №6.



კ. დონდუა რთული ქვეწყობილი (დაქვემდებარებული) წინადადების ამგვარ წყობაში მიხეზთ თვით წინადადების გენეზისში ხედავდა. იგი წერდა:

„მიხეხი ის უნდა იყოს, რომ თავდაპირველად, როცა ასეთი დამოკიდებული წინადადება ყალიბდებოდა, მაგრამ **ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო**, მიმართებით ნაცვალსახელი ერთსა და იმავე დროს მისამართ სიტყვასაც უნდა კუთვნილობდა და საკუთრივ დამოკიდებული წინადადების შემასმენელსაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმართებით ნაცვალსახელი წარმოადგენდა მისამართი სიტყვის... **ატრიბუტს**. ამ წინადადებაში: „სიტყუათა, რომელთა გეტყოდე თქვენ, სულ არიან და ცხოვრობა...“ სიტყვა „რომელთა“ არა მარტო გარეგნულად... მოსდევს სიტყვა „სიტყუათა-ს, არამედ შინაარსობრივადაც უშუალოდ კუთვნიის მას. პირველი მიმე (.) რომ ამოვიღოთ ამ წინადადებიდან, **ადრინდელი შინაარსის** შენარჩუნების ფორმის მივიღებთ [იგულისხმება რთული თანწყობილი წინადადების შინაარსი, ნ. ც.] სახელდობრ: „სიტყუათა რომელთა [= რომელთა სიტყუათა] გეტყოდე თქვენ, [და სიტყუაი ესე] სულ არიან და ცხოვრება“... ასეთი უნდა ყოფილიყო მიმართებითი ნაცვალსახელის ადრინდელი ფუნქცია“ (კ. დონდუა).

ფ. ეროელიშვილი იზიარებს კ. დონდუას იმ დებულებებს, რომ „მიმართებითი ნაცვალსახელი ერთსა და იმავე დროს მისამართ სიტყვასაც უნდა კუთვნილობდა და... დამოკიდებული წინადადების შემასმენელსაც... და რომ „მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოადგენდა მისამართ სიტყვის ატრიბუტს...“ ოდნურ შენიშნავს: „ეს „ორმხრივი კუთვნილება“ ამჟამადაც მოქმედია: იგი თვით მიმართებითი ნაცვალსახელის ბუნებაშია მოცემული...“

აღნიშნული „...მოსაზრება მოუღენის ახსნას თითქოს ვერ იძლევაო“, – აღნიშნავს ფ. ეროელიშვილი. თვით მოუღენას კი (არა – ახსნის პრეტენზიით!) განსხვავებულად აღწერს:

„როდესაც დამოკიდებული წინადადება მთავარში „შეიჭრება“, მთავარი წინადადების შემასმენელი მთელი წინადადებით სცილდება თავის სამართავ სახელს: სიტყუანი... სულ არიან და ცხოვრობა... შემასმენლის მიერ სახელის ბრუნვაში მართვის ძალა სუსტდება ან სახეებით ირღივება... ეს გარემოება ხელს უწყობს იმას, რომ მისამართი სიტყვა, რომელიც მიმართებითი ნაცვალსახელის უშუალო მეზობლობაშია, თავის შემასმენელზე „ორიერთვით“ კარგავს და იგი დამოკიდებული წინადადების შემასმენლისაგან მართულ მიმართებით ნაცვალსახელს ეკუთვნება ბრუნვაში...“

კ. დონდუას მოსაზრება, რომ „მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოადგენდა მისამართი სიტყვის ატრიბუტს“, არ იზიარებს ა. კობია, რადგანაც ატრიბუტი დამოკიდებული სიტყვაა, დამოკიდებულს არ შეუძლიაო შეითანხმოს მთავარი სიტყვა. ამას იგი „შეუძლებელ მოუღენას“ უწოდებს. ხოლო ე. წ. ახიმიდაციის ფაქტს ასე ხსნის: „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის დასმა ერთსა და იმავე ბრუნვაში შეთანხმებით კი არაა გამოწვეული, არამედ მომდევნო შემასმენელთან დამოკიდებულებით. [მისამართი სიტყვის] უშუალოდ მომდევნო შემასმენელი დამოკიდებული წინადადებისა. ამ შემასმენელთან სრულ სინტაქსურ ურთიერთობაშია წევრ-კავშირი „რომელიც“, მაგრამ იმავე შემასმენელს ეხამება მისამართი სიტყვაც, რომელიც კავშირს ამყარებს უახლოეს მომდევნო შემასმენელთან იმავე წესის მიხედვით, როგორც არსებობს ერთგვარ შემასმენლებთან შერწყმულ წინადადებაში, სადაც ქვემდებარე სრულ სინტაქსურ ურთიერთობაშია უახლოეს მომდევნო შემასმენელთან...“

„სინტაქსური ახიმიდაციის“ მოუღენას ფსიქოლოგიური ფაქტორითაც ხსნიან. აღნიშნავენ, რომ მისამართი სიტყვის წარმოქმნას წინ უსწრებს მიმართებითი ნაცვალსახელის წარმოღვაწე (ვ. თოფურია, დ. კვანცალიანი).

ფიქტობრთ, ფსიქოლოგიური ფაქტორის გამოირჩევა სხვა ნებისმიერი ახსნის დროსაც არ შეიძლება. იქნებ გასათვალისწინებელია შემდეგიც: საშუალო სკოლაში თითქმის ყველას უსწავლია და გაუწვია „გრამატიკის სასკოლო კურსი“ (აღარაფერს ვამბობთ კურნალისტების მიერ მიღებულ განათლებაზე...). გვისწავლია:

1. შერწყმულ, ეკრობ, რამდენიმე შემასმენლიან წინადადებაში ქვემდებარე „ემორჩილება“ უახლოეს შემასმენელს, ანუ ქვემდებარეს ბრუნვაში მართავს უახლოესი შემასმენელი.

2. განსაზღვრებით დამოკიდებულებიან რთული წინადადების წყობა (რომელიც წევრ-კავშირით), ნორმის თანახმად, ასეთი უნდა იყოს: **რომელიც** მიმართებითი ნაცვალსახელი უშუალო მეზობლობაში უნდა იყოს თავის მისამართ სიტყვასთან, ე. ი. იმ სიტყვასთან, რომელსაც იგი განსაზღვრავს, რომ თავიდან იქნეს აცილებული ორასროვნება...



3. ატირებული მსახურელ-სახურული, ჩვეულებრივ, ბრუნვაში ერთმანეთს ეთანხმებიან და ვს გრამატიკული წესები მეტ-ნაკლებად დალექილია ყველას მეხსიერებაში. ექვემდებარება ფსიქოლოგიური ზეგავლენაც იმხნს თავს ისეთი ფრზის წარმოთქმისას, რომლის მთავარი წინადადება „გახელილია“, მთავარი სიტყვის ძირითადი წვერი (სუბიექტი თუ ობიექტი) უშეტვად ცალად არის დარჩენილი თავიადურ პოზიციაში, მას კი უშუალოდ მოსდევს დამოკიდებული წინადადების შემასმენლის მიერ ბრუნვაში მართული **რომელიც** მიმართებითი ნაცვალსახელი. არ არის გასაკვირი, რომ „ცალად დარჩენილი“, „ორიენტიციადაკარგული“, ხაკვალრ ზმნა-შემასმენულს დაცილებული მთავარი წვერი (მისამართი, განსახზურის სიტყვა) ბრუნვაში დაემსგავსოს „უშუალო მეზობელს“ – მიმართებით ნაცვალსახელს, თავისსავე მსახურელს...

ფ. ერთელიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „როგორც უნდა იყოს მოვლენის ახსნა, ...საინტერესოა თუთი ფაქტი: მისამართი სიტყვა არ არის მართული ბრუნვაში მთავარი წინადადების შემასმენლისაგან. მოსალოდნელი იყო ერთი ბრუნვა, გვაქვს სხვა – მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვის შესაბამისი“.

საინტერესოა სხვა ფაქტიც: როგორც ამ საკითხის მკვლევრებს აქვთ შენიშნული, როცა მისამართი სიტყვა შორდება თავის შემასმენულს და სუსტდება მათ შორის კავშირი, მთავარ წინადადებაში მისამართი სიტყვის მონაცვლედ ზოგჯერ ჩნდება ნაცვალსახელი, რომელიც ბრუნვაში მთავარი წინადადების შემასმენლის მიერ არის მართული. მაგალითად, „ყოველმან მონახონმან, რომელმან ესე არა მოიგოს, იგი ბრმა არს და მწუხარე“... (ღ. კვანტალიანი).

ახეთ ფორმებს „კომპრომისულ ფორმებს“ უწოდებენ (კ დონდუა, ღ. კვანტალიანი), მსგავს შემთხვევებში, „გადმოსაცემ შინაარსს რომ სიცხადე არ დააკლდეს, მიმართავენ მისამართი სიტყვის განმეორებას(აც) არა მარტო ნაცვალსახელის სახით, არამედ უცვლელადაც... ახეთი შემთხვევები დადასტურებულია ხაშუაღსა და ახალ ქართულშიც (ღ. კვანტალიანი).

მაშასადამე, ძველ ქართულშივე, „ასიმილირებული“ ფორმების ხმარებისას, იგრძნობოდა გარკვეული „უხერხულობა“ და ჩნდებოდა წინადადების შინაარსში სიცხადის შეტანის სურვილი.

თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი შენიშვნებიც:

ა) ნაცვალსახელის პლენახსტურ ხმარებას ადგილი აქვს „...იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისამართი სიტყვაა და მთავარი წინადადების შემასმენლის შორის ნორმალური სინტაქსური ურთიერთობაა“, თუ მისამართი სიტყვა დაცილებულია მთავარი წინადადებისაგან.

ბ) მისამართი სიტყვის განმეორებას ხშირად სტილისტიკური დანიშნულება აქვს... (ღ. კვანტალიანი).

საკვიალურ ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „სინტაქსური ასიმილიაციის“ შემთხვევები ძლიან მცირეა არამცთუ ხაშუაღსა და ახალ ქართულში, არამედ ძველ ქართულშიც კი, ხადაც „უასიმილიაციო კონსტრუქციები“ ბევრად ჭარბობს „ასიმილირებულთ“, ახე რომ, მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ფორმობრივი დამსგავსება ძველ ქართულსიხვისაც კი არ არის ნიშანდობლივი“ (ა. კიხირია, ფ. ერთელიშვილი, ღ. კვანტალიანი).

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში „ასიმილირებული“ ფორმების ხმარების შესახებ, გასული ხაკუისის მეორე ნახევარში, 80-იან წლებშიც კი, მკვლევრები აღნიშნავდნენ, რომ „მისამართი სიტყვისა და მიმართებითი ნაცვალსახელის ფორმობრივი დამსგავსება (ასიმილიაცია) ... აქა-ბქ ამოტივტივდება ახალ ქართულში, განსაკუთრებით ზეპირ მეტყველებაში (აქედანაა შემოთონილი სამწერლობო ენაშიც)“... (ვ. თოფურია, ღ. კვანტალიანი).

ვ. ი. აღნიშნული მოვლენა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახსნაღია, შეცლომად, „ნორმიდან გადახვევად“ უნდა შეფასდეს. არის კიდევ შეცლომად შეფასებული (ვ. თოფურია, ა. არაბული). სამწუხაროდ, დღეს „სინტაქსური ასიმილიაცია“ ღამის მასმედიის ენის დამახასიათებელ მოვლენად იქცეს.

ჩვენ შეგნებულად გამახვილებთ ყურადღებას ტელევიზიის ენაზე (ხშირად გვხვდება იგი პრესის ენაშიც): ტელეკერანიდან მოსმენილი (განსაკუთრებით – რეკლამის გზით) მკდარი ფორმები სწრაფად ვრცელდება ახალ მედიად კიდევ... მათ „ცუდი მაგალითის ძალი“ აქვთ. წარმოვადგენთ ნიმუშებს, ზუსტი „მისამართის“ დასახელების გარეშე. ერთი „მისამართიანი“ რეკლამა სტატიის დასაწყისშივე განვიხილოთ... ისევ რეკლამა:

„ერთადერთ პრეპარატს, რომელსაც ის ამჟამად იღებს, ხეელის წამალი“ [უნდა იყოს ერთადერთი პრეპარატი, რომელსაც ის ამჟამად იღებს, ხეელის წამალი].

„არა, რომელმაც არ იცის შიში, ჩემი ვრია...“ [უნდა იყოს: ერი, რომელმაც არ იცის შიში, ჩემი ვრია].

ცნობილია, რომ „არსებითი სახელით გადმოცემულ მისამართ სიტყვას შეიძლება ახლდეს მსაზღვრელად ჩვენებითი ნაცვალსახელი, რომელიც დამოკიდებული წინადადების ფარდ სახელს წარმოადგენს მთავარ წინადადებაში. მას მისათითებელ სიტყვას ან კორელატს უწოდებენ“ (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ლ. კვანტალიანი). კორელატი უფრო ხაზგასმულია მთავარი წინადადების ასახსნელი წევრი, მის მიერ „ორინტაციის დაკარგვა“ წინადადების სიერცეში თითქოს ნაკლებმოსალოდნელია, ის მართული უნდა იყოს ბრუნვაში თავისივე შემასმენლის მიერ. მაგრამ ტელეკორანიდან მოვისმინეთ ასეთი ფრაზები:

„ის დეპურტატი, რომელიც [მისამართი სიტყვა კორელატი სიტყვითურთ დაემსგავსა ბრუნვაში მიმართებით ნაცვალსახელს] დღეს სხდომას არ ესწრებიან, ხვალ დაასახელებენ [მანდატურები]“ [უნდა ყოფილიყო: იმ დეპურტატებს, რომელიც დღეს სხდომას არ ესწრებიან, ხვალ დაასახელებენ].

„ის კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც მოვალეობას ვერ ასრულებს დროულად, პასუხი მოეთხოვება“ [უნდა ყოფილიყო: იმ კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც მოვალეობას ვერ ასრულებს დროულად, პასუხი მოეთხოვება].

„იმ მოვლენებზე, რომლებზეც ჩვენ მომდევნო სიუჟეტში გვექნება საუბარი, შეიძლება მუხროვანის სინდრომი ეუწოდოთ“ [უნდა ყოფილიყო: იმ მოვლენებს, რომლებზეც... მომდევნო სიუჟეტში გვექნება საუბარი, შეიძლება მუხროვანის სინდრომი ეუწოდოთ]. როგორც ვხედავთ, ნაცვლად იმისა, რომ მისამართი სიტყვა – მთავარი წინადადების ობიექტი („მოვლენები“) მართული ყოფილიყო თავისი შემასმენლით ბუნებრივ – მიც. ბრუნვაში, თანდებულთან ბრუნვაში დაემსგავსა მიმართებით ნაცვალსახელს!

„სინტაქსური ასიმილაციის“ შემთხვევები, რომლებიც ძირითადად რომელიც მიმართებით ნაცვალსახელს უკავშირდება, შეგვხვდა ვინც ნაცვალსახელის მონაწილეთათვის:

„ქურდებმა, ვინც [აჯობებდა რომლებმაც] ეს სურათი მოიპარეს, წარმოდგენა არა აქვთ, რა განძთან აქვთ საქმე!“ [უნდა ყოფილიყო: ქურდებს, (უფრო სწორად – მათ) ვინც ეს სურათი მოიპარა, ან – რომლებმაც ეს სურათი მოიპარეს, წარმოდგენა არა აქვთ... შორე დამოკიდებულ წინადადებას ჩვევრთის მნიშვნელობა აღარა აქვს].

„ის [მთავარი წინადადების ქვემდებარე ნაცვალსახელითა გამოხატული და ვინც ნაცვალსახელი ბუნებრივია], ვინც ამ რუბრიკის სტუმარი გახდება, ეძლევა საუკეთესო შანსი...“ [უნდა ყოფილიყო: მას, ვინც ამ რუბრიკის სტუმარი გახდება, ეძლევა საუკეთესო შანსი...].

ამგვარ ფრაზებში სიტყვათა შორის მხოლოდ გრამატიკული კავშირები კი არ არის დარღვეული, არამედ – ლოგიკური კავშირიც! ამ კავშირების აღდგენას და ფრაზის გამართვას უმეტეს შემთხვევაში შეიძლება კითხვის დასმის წესითაც მივადწიოთ: ვის ეძლევა შანსი? ვის არა აქვს წარმოდგენა? რას შეიძლება ეუწოდოთ (სინდრომი)? ვის მოეთხოვება პასუხი? და ა. შ. „მოსამტბნი გვეყვებ“ მთავარი წინადადების შემასმენელი და... შევძლებთ სწორად დავაჯბუფოთ მთავარი და დამოკიდებული წინადადებების წვევრები.

ა. არაბული გეთავაზობს „რეცეპტს“ „შეცდომისაგან „თაყის დასახვევად“:

„პირველ რიგში ფრთხილად უნდა ვყოთ ამგვარი რთული წინადადებების გამოყენების დროს (განსაკუთრებით მათი სახელით ნიშნებით დაყოფის თვალსაზრისით). მეორეც: აუცილებელია შევძლოთ, ამგვარად გახლქნილი მთავარი წინადადების სუბიექტს ვაოვნიოთ საკუთარი ზმნა, რათა მისი ფორმა ამ უკანასკნელთან მიმართებით განისაზღვროს და არა უშუალო გამჟღავნელი („ასიმილაციის გამოშვევი“) წვევრის (წვევრების) კარნახით“ („ქართული მეტყველების კულტურა“).



უბრალო დამატება თუ ადგილის გარემოება?

როგორც ცნობილია, **თან**, **ზე** და **ში** თანდებულებანი სახელები გამოიყენებიან უბრალო დამატებებად და ადგილის გარემოებებად, მაგრამ წინადადების ამ წევრთა ზუსტი კვალიფიკაცია ჭირს იმის გამო, რომ ფორმალურ დამთხვევითა გარდა ერთნაირად იგუებენ ურთიერთგამოწინააღმდეგ კითხვებსაც. ასე მაგ.: **თან** თანდებულებანი წევრს წინადადებაში – „სოფიო მაკი-დასთან იდგა“ – თანასწორი უფლებით დაესმის კითხვები: **რასთან?** (უბრალო დამატებისა) და **ხად?** (ადგილის გარემოებისა).

ხომ არ არსებობს რაიმე წესი, რომლითაც ზუსტად განვსაზღვრავდით, წინადადების რომელ წევრთან გვაქვს საქმე? – გვეკითხება მასწავლებელი მ. დიდიძე თბილისიდან.

* * *

საშუალო სკოლის მოქმედ სახელმძღვანელოში (ავტორები: ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე) უბრალო დამატების ზოგად ფორმალურ მხარეზე ნათქვამია: „უბრალო დამატებათა ბრუნვებია: მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი. ასეთი დამატება უთანდებულოც შეიძლება იყოს და თანდებულებანიც“.

მიცემითი დასმული უბრალო დამატება, ჩვეულებრივ, თანდებულებანია, თანდებულთაგან აქ გვხვდება: **თან**, **ზე**, **ში**. **თან** – თანდებულებანი უბრალო დამატებას ზოგჯერ შეიძლება ერთად დაერთოს.

მიცემითი დასმული უბრალო დამატების კითხვებია: **ვისთან?** **ვისთან ერთად?** **რასთან?** **რასთან ერთად?** **ვისზე?** **რაზე?** **რაში?**

გვაკლია კითხვა „ვისში“?

ზოგადი ცნობების თვალსაზრისით ნათქვამს იმეორებს ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსის“ (თბილისი, 1966წ.) სახელმძღვანელოც, რომელიც პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისთვისაა შედგენილი. ოღონდ ამ უკანასკნელში, როგორც მოსალოდნელიც იყო, საკითხი უფრო ვრცელადაა გაშუქებული – ცალ-ცალკეა განახლებული თითქმის ყველა შემთხვევა, როცა მოცემულ თანდებულთაგან თითოეულის ხმარებისას სახეზეა წინა-არსობრივი ხიხლე. ნათქვამია, რომ **ში** თანდებულებანი უბრალო დამატებას დაესმის კითხვები: **ვისში?** **რაში?**

ადგილის გარემოება უფრო ვრცელადაა განხილული ორივე სახელმძღვანელოში და ეს, რა თქმა უნდა, განპირობებულია საკითხის თავისებურებითა და სირთულით.

ადგილის გარემოების რაობის განსაზღვრის შემდეგ სასკოლო სახელმძღვანელოში ნათქვამია: „იგი მოგვივებს კითხვებზე **ხად?** **საიდან?** **საითქენ?** **სადამდე?**“. ადგილის გარემოება, ჩვეულებრივ, ზმნას ახლავს (პირიანს თუ უპიროს), იგი გადმოიცემა ზმნიზედით და სახელით“.

ზმნიზედით გადმოცემული ადგილის გარემოებების შესახებ ნათქვამია მხოლოდ, რომ წინადადებაში – „ბღაპრაშვილი **იქ** იმყოფება“ – „**იქ**“ ზმნიზედაა.

წინაში ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი „სახელის ბრუნვის ფორმები ადგილის გარემოებად“. ავტორები წერენ: „ადგილის გარემოების გადმოსაცემად სახელი თანდებულებანია ან უთანდებულო. იგი შეიძლება იდგეს ოთხ ბრუნვაში: **მიცემითში**, **ნათესაობითში**, **მოქმედებითსა** და **ვითარებითში**“... თანდებულებანი ადგილის გარემოების გადმოსაცემად მიცემითის ფორმას დაერთვის: **თან**, **ზე** (**ზედ**, **ზედა**), **ში**, **შუა**, **შორის**“.

პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში ამ საკითხთან დაკავშირებითაც ვრცელადაა მსჯელობა. აქ საგანგებოდაა დაპარაკი ზმნიზედებით გადმოცემულ ადგილის გარემოებათა თავისებურებაზე და ცალ-ცალკეა დახასიათებული ჩამოთვლილი ბრუნვების ფორმით გადმოცემული წინადადების ეს წევრები.

ჩვენთვის ძირითადად საინტერესო ფორმებს (მიცემითის ადგილის გარემოებად) წინაში ეთმობა 70-ე პარაგრაფი, რომელშიც მითითებულია: „მიცემითის ფორმა ადგილის გარემოებად

¹ ალ. ფოცხიშვილი, ქართული ენა, 2000.



უთანდებულოა ან თანდებულიანი. აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც იმყოფება საგანი ან ხედი მოქმედება. მიუგებს კითხვაზე: **სად?** (გვ. 129).

პირველად განხილულია უთანდებულო მიცემით, მერე – თანდებულიანი: რემოების გამოსაცემად მიცემითის ფორმას დაერთვის თანდებულები: **ზე** (ზედ, ზედა), **ში**, **თან** (თანა-), **შუა**, **შორის** (აგრეთვე ზოგიერთი ზნინხედა თანდებულის მნიშვნელობით). თანდებული აზუსტებს და უფრო კონკრეტულად გამოხატავს მოქმედების მიმართებს სახელით აღნიშნულ საგანთან. სხვადასხვა თანდებულები ამ მხრივ სხვადასხვა ნიუანსს გადმოსცემს“ (გვ. 130). ასე მაგ.: „**ზე** თანდებულიანი მიცემითი გამოხატავს ადგილმყოფობასა თუ მოქმედებას სახელით აღნიშნული საგნის ზედაპირზე; **ში** შინაგან სივრცეს გულისხმობს (სიღრმეს ან შემოსილულ რამეს)“ (გვ. 130), რითაც ხაზი ესმის ამ თანდებულებით გადმოცემულ „სხვადასხვა ნიუანსს“.

აქვე უნდა შეენიშნოს, რომ დასახელებული თანდებულები ყოველთვის ვერ გადმოგვცემენ აღნიშნულ „ნიუანსს“. ასე მაგ., როცა ვამბობთ: „წამწამებზე ცრემლი ჩამოვიცილო“, ალბათ, არავითარ ზედაპირს არ ვგულისხმობთ ისე, როგორც „სიღა ვააწა ყბაში“, რომ ვამბობთ, არც სიღრმე იგულისხმება და არც შემოსილული არც და, საერთოდ, გადახასინჯია ჩვენს გრამატიკულ ლიტერატურაში გაბატონებული დებულება, თითქოს **ზე** თანდებულებით აღნიშნავთ ზედაპირზე მოქმედებას, ხოლო **ში**-თი – შემოსილულ არეში. ორივე ამ თანდებულს დღეს გაცილებით მეტი და მრავალნაირი ფუნქცია აკისრია და საინტერესოა ისიც, რომ ზოგჯერ ერთმანეთსაც ენაცვლებიან კიდევ, ასე მაგ.: „გავიდა **პენსიაში**“ და „გავიდა **პენსიაზე**“, „დაარტყა **თავში**“ და „დაარტყა **თავზე**“ და მრავ. სხვა.

არც ერთ განხილულ სახელმძღვანელოში არ დახსულია საკითხი იმახთან დაკავშირებით, რომ **ზე**, **ში** და **თან** დართულ წინადადებების წევრებს ხშირად შეიძლება დაეხვათ როგორც უბრალო დამატების (**რახზე** და **ში**? **რახთან?**), ისე ადგილის გარემოების (**სად?**) კითხვები და რა საშუალებით გაემიჯნოთ ისინი ერთმანეთისაგან.

აღნიშნულ საკითხზე ღაბარაძე არაა არც ანტ. კიხიას წიგნში „ქართული ენა“ (პრაქტიკუმი, დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიკის სტუდენტთათვის) და არც შ. კეკელიასა და ა.კ. დავითიანის „ქართული ენაში“, რომელიც განკუთვნილია პედაგოგიკის სტუდენტთათვის.

უბრალო დამატებისა და ადგილის გარემოების ურთიერთობის საკითხს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი მ. თაღაკვაძე შეეხო წიგნში „ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა“ (თბილისი, 1959წ.).

ავტორი წერს: „საერთოდ, წინადადების წევრთა ამოცნობა შინაარსისა და კითხვების მიხედვით ხდება, დაეხმოს სახელს კითხვა დამატებისა (ბრუნვისა), თუ გარემოებისა (ზნინხედისა). მაგრამ ხშირად ერთსა და იმავე წევრს შეიძლება ორივე კითხვა შეეწვიოს (დამატებისა და გარემოებისა). მაგალითად: „ოთხრაზან ქერიმა გულის „ფიცარზე“ დაიდო ხელი“. აქ თანდებულიანი სახელი „ფიცარზე“ ფორმალურად ორივე კითხვის იუგებს: „დაიდო ხელი **ზე**“ და „**რახზე** დაიდო ხელი““

ხშირად ორივე პასხვი დასაშვებად და მისაღებადაც ცნობილი (ავტორი მიუთითებს პ. აფანასიევის წიგნზე – მეთოდიკა რუსკოგო იაზიკა, 1944, გვ. 131 – ა. ფ.). ეს კი მეთოდიკურად გაუმართლებელია: წინადადების ერთი და იგივე წევრი იმისდა მიხედვით, თუ ვინ რა კითხვას მიუყენებს – დამატებისას თუ გარემოებისას – ერთისთვის იქნება დამატება, მეორისთვის – გარემოება.

განსაკუთრებით ორვა ერთმანეთში ადგილის გარემოება და დამატება. აღრვეს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სახელი მიცემით ბრუნვაშია **ზე**, **ში**, **თან** თანდებულებით ან ნათესაობითში – **კენ** თანდებულებით, იშვიათად **გან** თანდებულებითაც“ (გვ. 312).

ავტორის აზრით, „ცხადია, ადგილის გარემოებისა და დამატების ერთმანეთისაგან გასარჩევად მხოლოდ კითხვა ვერ გამოადგება, საჭიროა სხვა ხერხები მოვიშველიოთ“ (იქვე).

ნამოთვლილი ხუთი ხერხი, რომელთაგანაც მეორე გულისხმობს, რომ, თუ თანდებულიანი სახელის მაგიერ შესაძლებელია ადგილის ზნინხედის ჩასმა, საკითხს ადგილის გარემოების სახარგებლოდ გადაწვევდათ. მაგალითად, „გულშემოყრილი დაცვა **მიწაზე**“. აქ თანდებულიანი სახელი „მიწაზე“ იუგებს კითხვას **სად?** და შეიძლება შეიცვალოს ზნინხედით **იქ** („გულშემოყრილი დაცვა **იქ**“).

ეს ხერხი (იგი მ. ვენსლოვას შემოუთავაზებია) იოლიცაა და საკითხის გადაწყვეტილებას გვაახლოებს, მაგრამ მას საკმაო ნაკლი აქვს, რაც კარგად შეუნიშნავს თავად მ. თალაქაძეს, როცა წერს: „წინადადებაში „ორივე იდაყვი მუხლების **თაგებზე** დაებჯინა“, თანდებულებიან სახელი „თაგებზე“ ორივე კითხვას იგუებს (**რაზე** დაებჯინა? **სად** დაებჯინა?), მაგრამ მისი ზმნიხედით შეცვლა შეუძლებელი ხდება („ორივე იდაყვი მუხლებს იქ დაებჯინა“).
თუმცა, ჩვენი აზრით, ავტორიც ცდება, თანდებულებიან წევრს „თაგებზე“ დამატებად რომ მიიჩნევს.

საკითხის სწორად გადაჭრასთან გვაახლოებს მესამე ხერხიც, რომელიც გულისხმობს წინადადების თანდებულებიან წევრის მნიშვნელობის გათვალისწინებას: „ჩვეულებრივ ადგილის გარემოებას ორივე ძირითადი ფუნქცია აქვს: ა) გვიჩვენებს მოძრაობას სივრცეში, საგნის ან ნივთის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებას... ან მიგვითითებს საგნის მდებარეობას სივრცეში, მაგალითები: „დამ მომიკდა ხელი და წამიყვანა **სამოახლოში**“, „სულ **სახლში** იჯდა“, „**ჭიშკართან** ვგლო დაჭრილი წავია“, „**კარებს უკან** ძაღლსავით მივეკვდები“, „**მარტო კუთხეში**, პურის **კიდობანთან**, თავები აფხაკუნდა“. აქ თანდებულებიანი სახელები ადგილის გარემოებაა“ (გვ. 313).

მაგრამ უფრო რთული და ძნელად გამოსაყენებელია ავტორთან პირველ პუნქტად დასახელებული ხერხი: „...მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას მიემართება მოქმედება – საგანს, ობიექტს თუ სივრცეს. მთავარია აზრობრივი ვითარების გარკვევა. თუ მოქმედება მიემართება საგანს, ობიექტს, მაშინ დამატებასთან გვეჭება საქმე ან მას დამატების კითხვა მიუყვებით (**„ყურებზე** (რაზე?) ხახვი არ დამატრა“), თუ მიმართება ადგილის, სივრცისადმი, მაშინ ადგილის გარემოებაა („შესვლისთანავე პირველ **კედელთან** (სად?) დამაყენეს ანბანზე“).

საქმე ისაა, რომ, როგორც წესი, საგანი, ობიექტი თავდაც რაღაც სივრცეში იმყოფება და ამიტომ მოქმედების მიმართულების დაპირისპირება, ერთის მხრით, საგნის მიმართ, ხოლო, მეორეს მხრით, სივრცის მიმართ, ხელოვნური ჩანს. ამის გარდა, მეტად ძნელია იმის განსაზღვრა, რა ფართობია საჭირო სივრცობრივი მიმართებისათვის: ვთქვათ, წინადადების რა წევრი იქნებოდა „იატაკზე“, თუ ზემოთ მოტანილ წინადადებაში სიტყვას „ყურებზე“ ამ სიტყვით შევცვლიდით („იატაკზე ხახვი დაატრა“)?

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მოქმედების შესრულების (დატრის) ადგილი, ის, სადაც „დაატრეს“, თუ რაზედაც „დაატრეს“, მაინც ადგილია, მიუხედავად იმისა, რამოდენა ფართობი უკავია მას. ამიტომ **„ყურებზე“**, ისე როგორც „იატაკზე“, ადგილის გარემოებაა მხოლოდ.

არც სულელები და უსულე საგნების დაპირისპირება (მონხეა ხერხი) გამოდგება საკითხის გადასაწყვეტად, რადგან ენისათვის „გაიქცა სახლისაკენ“ და „გაიქცა შეილისაკენ“ – ერთნაირი მნიშვნელობისაა: ორივე შემთხვევაში მოქმედების შემსრულებელი ერთი უნდა გადაადგილდეს ერთი წერტილიდან მეორე წერტილის მიმართულებით რაღაც სივრცეში. ამიტომაც ორივე შემთხვევაში ერთნაირად მოსალოდნელია ადგილის გარემოების კითხვაც **საითქვენ?**

ვიუქრობთ, არასაიმედოა მეხუთე ხერხიც: „...ჩვეულებრივ, გარდაუვალი მდგომარეობისა და მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან უმეტესად გარემოება ივარაუდება: აგდია (კუთხეში), დგას (შუა ოთახში), მოფრინავს (სამხრეთისაკენ)“, რადგან მსგავს ზმნებთანაც მოსალოდნელია ისეთი თანდებულებიანი სახელები, რომელთა გარემოება მონხეა ყოველად შეუძლებელია („ნაძირულია ფიქრებში“ (რაში?), „ამყოფება შუა ძილში“ – (რაში?); „დგას თავის მოსაზრებაზე“ – (რაზე?) და ა. შ.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ გაკვეთილზე, დროის მეტად შეზღუდულ მონაკვეთებში, არ ვუკუჩნება საშუალება შევამოწმოთ ჩამოთვლილი ხერხები.

ყოველი ხერხი, რომელიც სკოლაში გამოიყენება, უპირველესად ყოვლისა, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: იყოს ოდნავ დასამახსოვრებელი, ადვილად მოსახმარი და სწრაფად გამოსაყენებელი.

უბრალო დამატებისა და ადგილის გარემოების ურთიერთგასახელებლად ასეთი ხერხი შემდეგი მდგომარეობს: **თუ წინადადების წევრად გამოყენებულ თანდებულებიან სახელს მხოლოდ არსებითი სახელის კითხვები** (ვინ? რა? – ირბ ბრუნვებში² თანდებულებით) **შეეწყობა, წინადადების წევრი უბრალო დამატე-**

² ამ ტერმინით აღვნიშნაოთ მიცემთოს, ნათესაობთოს, მოქმედებთოსა და ვითარებთოს ერთად.



ბაა, ხოლო, თუ ამ კითხვებთან ერთად ზმნიხედის (ხად? ხაიდან? ხაითკენ?) მოიხდენ იგი, ადგილის გარემოებაა.

ფიქტობო, ჭოჭანის არ გამოიწვევს ისეთი თანდებულიანი სიტყვების კვალიფიკაცია, რომელთაც მხოლოდ ზმნიხედის კითხვა (ხად? ხაიდან? ხაითკენ?) დაეხმობ. ასე მაგ.: „ვცხოვრობ თბილისში“, „დაიჭრა ვარშავაში“ და ა. შ. ასეთი წვერები, რა თქმა უნდა, ადგილის გარემოებებია.

ეს წესი თითქმის უგამონაკლისოა და მას ჩვენს პრაქტიკაში კარგა ხანია ვიყენებთ. მართალია, ზოგ შემთხვევაში მეორე (ზმნიხედის) კითხვა იქნება სტილურად მთლად გამართული არ იყოს (თუნდაც იმავე „ეურზე ხახვის დაჭრის“ შემთხვევაში), მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ყველგან მოქმედება რაღაც ადგილს, საყრდენ წერტილს, ხელშესახებ ზედპირს თუ შტრ-ნაკლებ სივრცეს გულისხმობს. თანაც გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: იმას გარდა, რომ ხაგანი რაღაც სივრცეში მდებარეობს და საგნისკენ თუ საგნიდან მდინარე მოქმედება ადგილს გულისხმობს, აგრეთვე, თვით საგნის ესა თუ ის ნაწილიც და მასზე, მასში თუ მის მიმართ ჩადენილი მოქმედებაც ადგილის გარემოებად გაიაზრება. ასე მაგ.: „დაიჭრა ხელში“ დაეხმობს ორივე კითხვა: რაში დაიჭრა? ხად დაიჭრა? და, რა თქმა უნდა, აქაც და სხვა მსგავს შემთხვევაშიც ადგილის გარემოება იგულისხმება. ამიტომაც, რომ ჩვეულებრივ ასე ვკითხულობთ: „ხადა აქვს ჭრილობა?“

საინტერესოა ისიც, რომ ენამ ადგილის გარემოებად აქცია ისეთი მოქმედებებიც, რომლებიც აბსტრაქტული სახელით არის გადმოცემული და, ერთი შეხედვით, ადგილს არ გულისხმობს, მაგრამ, რადგან ასეთ სახელებთანაც მინიშნებით მაინც რაღაც შემოსაზღვრული სივრცე იგულისხმება, ისინი ორივე კითხვას იტყუებენ. მხედველობაში გვაქვს გამოთქმები: „სჯობს მონობაში გადიდგაცემულს თავისუფლების ძებნაში მკვლარი“, *ტყვეობაში იტანჯებოდა*, „პატიმრობაში დაღია სული“. ყველა ჩამოთვლილ მაგალითში ენობრივად რაღაც შემოსაზღვრული ადგილი იგულისხმება, ამიტომაცაა, რომ მათ სწორედ *ხად?* კითხვა უფრო ეკუთვნის.

ამის მსგავსადვე ადგილის გარემოებებია „ომში მოკლული“ და „ნუბში ცხირგატეხილი“, ორივეს ჩვეულებრივ დაეხმობს კითხვა *ხად?*

ჩვენი პასუხი არ იქნებოდეს სრული, თუ არ შევხებოდით ისეთ შემთხვევებს, როცა საკითხის გადაწყვეტა ძნელდება ან თითქმის შეუძლებელია.

მხედველობაში გვაქვს *გან* და *მდე* თანდებულიანი ზოგი ფორმა, მკვიდრად ფეხმოკიდებული თანამედროვე ქართულში. ასე მაგალითად, ხშირად შტრეკულებაში თუ წერაში რომელიმე დებულების მოხმობისა და განაალიზების შემდეგ ეწერს ხოლმე: „ამ *დებულებიდან* გამომდინარეობს...“

რა წვერია „დებულებიდან“, უბრალო დამატება თუ ადგილის გარემოება? – ფორმალურად უბრალო დამატება; შინაარსობრივად – ადგილის გარემოება, აკი ხშირად ასე ვამბობთ: „აქედან გამომდინარეობს...“ გ. ი. თანდებულიანი წვერის ნაცვლად ვიყენებთ ადგილის ზმნიხედს.

რა თქმა უნდა, ასეთი თავსატეხი არ გავგინდებოდა, ეს რუსული გამოთქმა სწორად რომ გვეთარგმნა, რადგან მისი შესატყვისი „ოს ეტოვო“ ქართულად „ამისგან“ იქნებოდა. გან თანდებულიანი ნათესაობით ბრუნვასთან კი, როგორც წესი, უბრალო დამატებას გადმოცეცქმის.

მსგავსადვე ძნელია კვალიფიკაცია ისეთი ფორმებისა, როგორიცაა „ჩემამდე შენ ბევრი გაკლია“ ან „*ოსტატამდე* მაინც ვერ ამაღლდება“ და მისთანანი. მაგრამ საქმეს ის შეუღლის, რომ ასეთი გამოთქმები ენაში მტრად მცირე რაოდენობითაა და შეიძლება ისინი უბრალოდ გამონაკლისებად ჩავთვალოთ.

მაშ, ასე: თუ წინდაღების წვერს ორივე კითხვა ეწეობა, იგი ადგილის გარემოებაა.



სუბსტანტიური მსახვერელი¹

სუბსტანტიურ მსახვერელად გვაქვს არსებითი სახელი. ამავე მიგვანიშნებს მისი სახელი - სუბსტანტივი (substantivum). ასეთ შემთხვევაში არსებითი სახელი უკავშირდება სინტაქსურად ისევე არსებით სახელს. იგი მართულია ბრუნვაში: დაისმის ნათესაობითში და უცვლელად უკავშირდება სახვერულს. ბრუნვის მიხედვით იცვლება სახვერული სახელი, უცვლელი რჩება მსახვერელი.

ნათესაობითში დასმული მსახვერელი ემფატიკური დაბოლოების გარეშე ან იშვიათად შეიძლება ახლდეს ასეთი ნიშანიც, უპირატესად პოეზიაში, როდესაც ამას მოითხოვს ლექსის საჭიროება.

მაგალითები:

ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო: ილია, I, 100, 2; ემაგ შერცხვენილ ხმლისა პატრონი ჩემთან მოხვლასა როგორ ბედავდი? ილია, I, 160, 15; მომაგონდება ყვირილას პირას მაღალი **ბზისა** ნათელი ტოტი: ა. კალანდ. 1985. 177, 15...

ასეთი მსახვერელი შეიძლება იყოს მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში და დაუკავშირდეს მხოლოდითში ან მრავლობითში დასმულ სახელს; რამდენადაც მსახვერელისა და სახვერულის როლში მყოფ არსებით სახელთა რიცხვი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, ამიტომაც მხოლოდითში დასმული მსახვერელი შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდითში ან მრავლობითში დასმულ სახვერულს და პირიქით, მრავლობითში დასმული მსახვერელი შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდითში ან მრავლობითში დასმულ სახვერულს.

ამის მიხედვით შეიძლება გავარჩიოთ ოთხი სახე:

I. მართული მსახვერელი მხოლოდითშია და უკავშირდება მხოლოდითშივე დასმულ სახვერულს: მაგდანამაც გულით შეიყვარა ნაიბის ცოლი: ი. გოგებ. IX, 64, 15; მანქანის კარი გაიღო: რ. ინან. თებრო, 43, 3.

მაზრის უფროსმა მოედანზე ერთი ურემი ხე-ტყე კედევ გაგზავნა: კ. ლორთქ. 80, 21...

ბავშვმა გამოაძირ **წნელის კონას** მოზრდილი სახრე: ვაჟა, VII, 27, 27; ერთს ღამეს მკითხა აიხს სახლს ბუხრიდან ცეცხლი წაეკიდა: ი. გოგებ. V, 451, 7.

ღაშქარას მიწური **ზაღის სასახლის** გვერდზე დგას: მ. ჯავახ. IV, 78, 38; სახლის სახურავის ქვეშ მოჩანდა ნაპრალი: ი. გოგებ. V, 503, 9.

ყუენს **ტვარტლის მელნი** სახვე ჯამი ევირა: მ. ჯავახ. IV, 14, 23; გონების თვალთ ისევე იმ საღამოს დაუბრუნდა: შ. არაგვ. I, 63, 22.

ნეტარება გადაიქცა **უკვდავების წყაროდ**: აკაკი, IV, 234, 5; ამბავი მივიდა სახლის მეუფროსემდის: გ. ლეონ. 257, 7.

გასწი შავ ზღვაზე, **ქართლის ხომალდო**: გ. ლეონ. 420, 9. ნუ მიახლოდები შენ, ცისკრის ვარსკვლავო: ა. კალანდ. 163, 1.

II. მართული მსახვერელი მხოლოდითშია და უკავშირდება მრავლობითში დასმულ სახვერულს: უწყინარმა ქარმა აღმოსავლეთისაკენ გადარეკა **წვიმის ღრუბლები**: კ. გამს. V, 39, 31; თედოს მანასაანთ გოლასათვის **ქამრის დიღები** წაერთმა: ილია, I, 433, 6.

სხეულის კუნთებმა მოძრაობა დაიწყეს: შ. არაგვ. II, 191, 19; **შაქროს სიტყვებმა** მაგდანა გამოაფხიზლა: შ. არაგვ. I, 15, 20.

მზე თბილისისაკენ უხვად ისროდა **ცეცხლის ისრებს**: შ. არაგვ. I, 28, 18; ჩაიცივამ რკინის **ქალამნებს**: რ. ინან., თებრო, 8, 20.

წავიდა პეტრე **აელაბრის ბაკებისაკენ**: ილია, I, 414, 31.

ჩვენს ჭალა **ასკიდის ბუნჭებით** არის სახვე: რ. ინან. თებრო, 108, 3.

III. მართული მსახვერელი მრავლობითშია, უკავშირდება მხოლოდითში დასმულ სახვერულს. ასეთი მრავლობითი შეიძლება იყოს გამოსატყობელი ან -თა ნიშნებით.

მაგალითები:

ერთხელ ჩამოსულა ჩვენსა **მეზობლების გამდელი**: აკაკი, IV, 10, 25; ასეთი წესი იყო შერ-

¹ ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1-4, 1987.



ვაშიძეების ოჯახში: კ. გამს. I, 29, 2; ორგული თქმულა თევზების მეფე: იბრაჰიმისძე, 115; მებრეებიც ვერ ბედავდნენ მგლების შიშით საქონლის გაღალგას: კ. გამს. V, 221-222; იმყოფებოდა მგალობელთა გუნდი გამქრალიყო: ვაჟა, VI, 81, 12; კეიპაჟი კეიპაჟს მოსდევდა, ცხენოსანთა ჯგუფი ცხენოსანთა ჯგუფს: ე. გაბ. I, 415, 30...

IV. მართული მსახდრელი მრავლობითშია, უკავშირდება მრავლობითში დასმულ სახდერულს. სახდერულის რიცხვი გამოხატება - ებ და -თა ნიშნებით: მათ შუა ყვავილების ბურქები არიან დარგული: ი. გოგბე. V, 523, 10; ნიხლით შემოიბურთა ცად ატორცინილი მთების კალთები: ე. გაბ. 325, 3; შქვანის ქათობით კოხტაობს მთების კალთები ტყიანი: ვაჟა, III, 41, 5.

ერთ ზაფხულს თორმეტამდე ავაზაკი გამოასალმეს წუთისოფელს ფშავეხესურთა თოფების ტყეებში: ვაჟა, IX, 200, 8; უჯირაულთა ქალ-რძალნი პირჯვარს იწვრდნენ: კ. გამს. V, 67, 17...

როგორც ვხედავთ, მართული სახელი უბრუნველია, დასმულია ნათესაობით ბრუნვაში და სახდერულთან ერთად არ იცვლის ბრუნვის ნიშნებს. ესაა ნორმა ძველში და ახალ ქართულში, მაგრამ ძველ ქართულში არც ისე იშვიათად პრეპოზიციული მართული მსახდრელი ეთანხმებოდა კიდევ სახდერულს ბრუნვასა და რიცხვში: რბეკეაისი ძმაი იყო: დაბ. 24, 29; მიიღო მროკეალისამან მოძღვარმან უყოურებისა მის მოძღურებისათჳს სამოძღურებელად: სინ. მრავალთ. 210, 29; იოვანმსსა მას ნათლის-ცემსა ყოველთა მათ ეზიარებოდა: სინ. მრავალთ. 82, 3; რომლისანი სიტყუანი ღბილ არიან: მამ. სწავლ. 72, 76...

ანალოგიური ფორმები გვაქვს ახალ ქართულშიც: ფიცხელა... თოვლისს ბუქს აყენებდა: ვაჟა VII, 189, 9; ბუერა... თავისის ფოთლებისას კაბას მიკერავს: ვაჟა, V, 64, 1; ანგელოზები დაფინასს გვირგვინს ადგამენ გმირებსა: ვაჟა, II, 39, 9; შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ: ილია, I, 131, 30...

მართული მსახდრელი მომდევნო სახდერულს ბრუნვაში რომ ეთანხმება, ეს მეორეული მოვლანია, რომელიც ენამ არც კი შეითვისა².

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: სინტაქსური ურთიერთობისათვის აუცილებელია ერთმანეთს დაუკავშირდეს ორი სხვადასხვა მეტყველების ნაწილი (არსებით სახელს - ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა...); შეუძლებელია არსებითი სახელი, თუ ის თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება, ბრუნვაში შეთანხმებით დაუკავშირდეს არსებით სახელს. ასევე: ზედსართავი სახელი არ დაუკავშირდება ზედსართავ სახელს, ნაცვალსახელი - ნაცვალსახელს, რიცხვითი სახელი - რიცხვით სახელს... არსებითი სახელი დაუკავშირდება არსებით სახელს, თუ იგი დაისმის ნათესაობით ბრუნვაში და შეიძენს სხვა დამატებით ფუნქციას.

თუ მრავლობით რიცხვს ავიღებთ, აქაც მხოლობითის მსგავსი მდგომარეობაა: ჩხიკეთა ქორწილი, ჩხიკეთა ქორწილმა... და არა: ჩხიკეთამ ქორწილმა...

სუბსტანტიური მსახდრელი რომ ნათესაობითის ნიშნითაა და ეს ნიშანი არ შეიძლება იყოს წარმოქმნის ელემენტი, იქიდანაც ჩანს, რომ ეს უკანასკნელი არ უცვლის სიტყვას მნიშვნელობას.

მნიშვნელობის მიხედვით მართული მსახდრელი აღნიშნავს: 1. მასალას ან ნივთიერებას (ჩიხის კაბა, ვერცხლის ქამარი, ხის სახლი...), 2. დანიშნულებას (ჩიხის ჭიქა, წიგნის მადანია, აგურის ქარხანა...), 3. კუთვნილებას (მეზობლის სახლი, მამის ქუდი, ამის წიგნი...), 4. წარმომავლობას (ხარის ტყავი, მისი წყარო...), 5. პროფესიას (კბილის ექიმი, ენის მასწავლებელი, ბინის ქურდი...), 6. სხეულის ნაწილს (ძროხის ბუცი, ქათმის ბარკალი, ცხვირის ნესტო...)³.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული კუთვნილების აღმნიშვნელი მსახდრელი სახელი ისეთივეა, როგორც სასხვისო ქცევის ზმნით გამოხატული კუთვნილებითი ურთიერთობა. ასეთ

² ა. კიხიძე, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 255-256; მისივე მარტივი წინადადების შედგენილობა ქართულურ ენებში, თბ., 1982, გვ. 52, შტრ. ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1958, გვ. 584; მისივე სინური მრავლობითი, გამოყვედა და დამკვირვებ, თბ., 1975, გვ. 101-102.

³ დ. ლეჟავა, მსახდრელთა რიგი რამდენიმე არაერთგვარ მსახდრელთან შესიტყვებაში კრებ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წ. I, თბ., 1972, გვ. 81-91; დ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 180; ა. კიხიძე, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართულურ ენებში, გვ. 224-225.



შემთხვევაში „თუ სახსვისო ქცევის ფორმა კუთვნილებითს ურთიერთობას გამოხატავს (სკინი-ქტა და ირიბ ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის), ამავე ზმნათა საარვისო ქცევაში მასთან ირიბი დამატება სუბსტანტიურ განსაზღვრებად გადაკეთდება: **მგელს** ლეკვი უკედება → მგლის ლეკვი კედება; მონადირე მგელს ლეკვს უკლავს → მონადირე მგლის ლეკვს კლავს.“⁴

დისტანციური სუბსტანტიური მსახვერელი

მსახვერელი სახელი სახვერულს შეიძლება დაუკავშირდეს დისტანციურადაც. ასეთ შემთხვევაში მსახვერელსა და სახვერულს შორის ჩართულია ზმნა-შემასმენელი ან რომელიმე სხვა წევრი. ასეთი მსახვერელი ორნაირად უკავშირდება სახვერულს: ან ინარჩუნებს თავის ბრუნვას და მარტივ ნათესაობითშია: **კვარაცხელიას** ბრუნავს **წისქვილი**: ა. კალანდ. 351, 6; ან ხელმორედ ირთავს ბრუნვის ნიშანს და ეთანხმება სახვერულს ბრუნვაში: **სისხლისამ** მორწო **წვიმამა** ქართველთა შთა და ბარია: ვაჟა, III, 14, 20; **სიყვარულისას** დაეწნავ **გვირგვინსა**, სათნობითა მოვექარვავ გარსა: ვაჟა, V, 249, 1; **ცისას** იფონებს **რიდეს**: გ. ტაბ. 253, 6; მე უდიდესი ხიხარულისთვის შენი **სიტყვისას** მოველი **მაცნეს**: ა. კალანდ. 271, 16...

შდრ. ატრბოტული მსახვერელი: **ჩემსას** ნუ ვლის **ყმობასა**: რ. ერისთ. 139, 4...

დისტანციური შეიძლება იყოს პოსტპოზიციური სუბსტანტიური მსახვერელიც. სინტაქსური ურთიერთობა აქ ისეთივეა, როგორც გვაქვს კონტაქტურ მსახვერელთან: **პასუხს** არ დაცუდა **მდინარისას**: ვაჟა, VI, 257, 20; ტირიან **ყვაილნი** ცხარედ **ველისანი**: ა. კალანდ. 39, 8.

სუბსტანტიური მსახვერელი სახელის განმარტობა

მსახვერელი სახელი შეიძლება აღმოჩნდეს სახვერულის გარეშე, უმეტესწილად ასეთი ვითარება გვაქვს მაშინ, როდესაც მყორდება სახვერული. მსახვერელთა განმეორების თავიდან აცილების მიზნით უკანასკნელს გამოტოვებენ და მასთან დაკავშირებული მსახვერელი რჩება სახვერულის გარეშე, განმარტოვდება და დამატებით დაირთავს გამოტოვებული სახვერულის ბრუნვის ნიშანს და რიცხვის ნიშანსაც, თუ სახვერული ივარაუდება სახელობითი ბრუნვის მრავლობით რიცხვში⁵.

ამის ნიმუშია: „კაკლის ხეები ეხოებში და **ხილისანი** ბაღნებსა და ბაღებში შეიკუნწლა ახალის თოვლის ქულითა“: ილია, I, 469, 39. **ხილისანი** მსახვერელი უნდა ყოფილიყო, **ხეებისა**, მრავლობითში დასმული სახელის: სახვერულის რიცხვის ნიშანი დაერთო მსახვერელ სახელს და ეს უკანასკნელი მოხალოდნელი მსახვერელის მაგიერად მოგვევლინა თავისი სახვერულის ფუნქციით.

მართული განმარტოვებული მსახვერელი ირთავს ორმაგ ბრუნვის ნიშანს – ერთს საკუთარს, რომლითაც მართულია სახვერული სახელის მიერ, ხოლო მეორე ნიშანი გამოხატავს ჩაგრდნილ სახვერულთან „შეთანხმებას“. ასეთი „შეთანხმება“ გვაქვს **სახელობითში**, აგრეთვე „მოთხრობითში“: დავითის შეიღმა ისწავლა, **ვახტანგისამ** – არა; **მიცემითში**: დედის მაგიერობას ბიცოლა უწევდა, **მამისას** კი – ბიძას; **მიმართულებითში**: თავის თავს თვლიდა არა სოფლის მცხოვრებად, არამედ **ქალაქისად**⁶.

სხვა მაგალითები:

ლუკიას განხირული ფეხები **კაღისას** წააგავდნენ: კ. ვაშს. I, 478, 14; ბაბაიას ახლანდელი საქმიანობა ძალიან ჰგავდა **მარიაშისას**: ლ. ქიან. III, 172, 26...

ასეთი მსახვერელი ნათესაობითში იშვიათია და იგი შეიძლება ნათესაობითადაც დარჩეს: ხროვაში ეცხოვრობ, **მგლებისა**: მ. ჯავახ. II, 169, 37...

ნათესაობითთარ სახელადვე იქცევა განმარტოვებული სუბსტანტიური მსახვერელი სხვა შემთხვევაშიც და ასრულებს იმ სახელის ფუნქციას, რომელთანაც ის დაკავშირებული უნდა ყოფილიყო. ამის შედეგად ასეთი სიტყვა გვევლინება წინადადებაში დამატების ან გარემოების როლში.

⁴ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 179.

⁵ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 94; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977, გვ. 184.

⁶ ვ. თოფურია, ნათესაობითთარი მსახვერელი სახელის შეთანხმება სახვერულთან ბრუნვაში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956, გვ. 360.



წინადადებებში „შუადღის დროს მდელის გადმოყვინა ძროხის ნახირი“: ენციკლ. ქმ. 10; „შუადღის დროს ის შევიდოდა ენდისთან“: ა. ვახ. I, 440, 19; „მეორე დღეს შუადღის ცხენს ჩვენ უკვე ციხელის სახლის კარებთან მოვიყარეთ თავი-თავს: ვაჟა, VI, 156, 24... დროს, ხანს დროის გარემოებებია, ხოლო შუადღის, შუადღის – მითი მსახდერელები.

მაგრამ იგივე მსახდერელები, ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსახდერელები, სახდერეულის დაკარგვის შედეგად დამატებით ირთავენ სახდერეულის ბრუნვის ნიშნს და ორმაგი ნიშნით ასრულებენ სახდერეული სახელის ფუნქციას წინადადებაში.

ამიტომ გვაქვს:

ზაფხულის მხემ შუადღისას პაპანაქება დაატრიალა: ი. გოგებ. V, 492, 15; დარაჯებმა განთიადისას თავი დახარეს დიდებულ დედოფლის წინაშე: ნ. ლორთქ. I, 31, 25; შუა ვახშმისას ზურნა აწრიალდა: რ. გვეტ. 106, 32; ბატარაობისას თევზაობა ძლიერ მიყვარდა: ი. გოგებ. IX, 31, 16; გათენებისას პირამდე სავეს ნავებს ყუდეს მიაყენებდნენ: კ. ლორთქ. 166, 5...

და ასე:

თარაშ ემხვარის... ცხოვრება არზაყანისას გადაენასკვა: კ. გამს. I, 649, 28; გამოტეხილის საქმეს მოსამართლე ერთ საათში დაასრულებდა, გაკერპებულიას კი ზოგჯერ რამდენიმე დღეს უნდებოდა: მ. ჯავახ. II, 175, 14...

ამ უკანასკნელთან თავიდანვე დაკარგულია სახდერეული სახელი და მსახდერეული უშუალოდ უკავშირდება მომდევნო სახდერეულს (გამოტეხილის საქმეს – გამოტეხილი კაცის საქმეს). შემდეგ კი იყარება ეს უკანასკნელიც და ხდება მსახდერეულის განმარტოება.

განმარტოებული მსახდერეულია წლისა (და ანალოგიურ შემთხვევაში სხვა მსგავსი სახელი) წინადადებებში:

რვა წლისა რომ შესრულდა, ქუთაისში ჩაიყვანეს გიმნაზიაში მისაბარებლად: მ. ჯავახ. III, 15, 21; მაშინ სიმონა თხოუმეტი წლისა იქნებოდა: ე. ნინოშ. I, 194, 18.

შდრ.

მამანემი ოთხმოცდაათი წლის კაცი იყო: ვაჟა, V, 72, 3; ოთარანთ ქვრივის შვილი გიორგი ოცდაერთის წლის ბიჭი იყო: ილია, I, 431, 7.

ასეთივეა:

ისიც უძველესად მგლის ჯიშისა გამოდგება (მ. ჯავახ. II, 168, 20) ← მგლის ჯიშის ძაღლი.

შესიტყვების შემადგენლობაში მსახდერელ-სახდერულთა კომპლექსში შეიძლება ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს ორი, სამი და მეტი სახელი, მაგრამ მარტივ სინტაგმაში, რომელშიც ორი სიტყვის დამოკიდებულება იგრძნობა, სინტაქსურად ერთმანეთს უკავშირდება სწორედ ეს ორი სიტყვა. წინადადებაში „საქრომ აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტის კარი მორიდებით შეაღო“ (გ. შაბ. II, 348, 32) მთავარი სიტყვაა „კარი“, რომელიც მართავეს სახელს ბრუნვაში („კაბინეტის კარი“), თავის მხრივ, „კაბინეტის“, ბრუნვაში მართული სიტყვა და, ამდენად, დამოკიდებული სიტყვა, მთავარი და მმართველი სიტყვაა „თავმჯდომარისა“ („თავმჯდომარის კაბინეტის“), ხოლო დაქვემდებარებული „თავმჯდომარის“ („თავმჯდომარის კაბინეტის“) მართავეს ბრუნვაში წინამაგად სიტყვას („აღმასკომის“).

ამგვარად, სიტყვათა ურთიერთობაში თავს იჩენს იერარქია „კაბინეტის კარი“, „თავმჯდომარის კაბინეტის“, „აღმასკომის თავმჯდომარის“. ერთი სიტყვის მიერ ბრუნვაში მართული სიტყვა მმართველია სხვა სიტყვისა.

ასეთივეა:

ჩვენს დერეფანში მარილის ქვის ყორვები კოშკებად მდგარა: გ. დვონ. 87, 10.

მაგრამ მსახდერელ-სახდერულთა კომპლექსში თანამიმდევრული დაქვემდებარებისას ზოგი სინტაგმის კომპონენტი ერთმანეთს შეიძლება დაუკავშირდეს შეთანხმებით, ზოგი – მართლით. წინადადებაში „საქმე... უდანაშაულო კიტუნისა ყურის აწვეამდე მიიდა“ (ლ. ქიჩ. III, 112, 32) – სინტაგმაში „უდანაშაულო კიტუნისა“ – შეთანხმება, დაქვემდებარებულია „უდანაშაულო“, მთავარია „კიტუნისა“. ეს უკანასკნელი დაქვემდებარებულია და მართლით უკავშირდება მომდევნო სიტყვას („კიტუნისა ყური“), რომელიც ქვემდებარება „აწვეამდე“ კომპონენტს („ყურის აწვეამდე“).

ასეთივეა:

ბანტის ძირზე მიკრულია ახლადდაკლული თხის რქები: რ. ინან. კეთილი მიწა, 134, 1;

აქაური ზამთრის დამეები ცად იყო ატანილი ტურების კივილით: დ. შენგ. II, 199, 16;

ბუნებას ჩემი ქვეყნის ფერი ემატებოდა; ილია, I, 249, 20;

სხვა შემთხვევაში ერთ საზღვრულთან შეიძლება გეკონდეს რამდენიმე სახის მსახვერული მართეთა და შეთანხმებით დაკავშირებული თანადამოკიდებული სიტყვები მთავარ სიტყვას უკავშირდებიან ან მართეთ და ან შეთანხმებით. წინადადებაში „შუველი სტანციის ცარიელს ოთახში“ (ილია, I, 249, 21) ერთ მთავარ სიტყვასთან ორი დამოკიდებული სიტყვაა დაკავშირებული: პირველი – მართეთ, მეორე – შეთანხმებით („სტანციის ოთახში“, „ცარიელს ოთახში“).

ასეთები:

წამოუშინა წვიმის ბრტყელი წვეთები; რ. ინან. თებრო, 29, 27; მოვარე ცეცხლის მრგვალი ბურთოვით ამოვრდა; მ. ჯაფახ. I, 238, 20; მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა; ილია, I, 429, 5; აინთებიან ვარსკვლავების წუმი თვალები; ა. კალანდ. 114, 3 და ა. შ.

მართულ-შეთანხმებული მსახვერელის ფორმები

მართულ-შეთანხმებულია პოსტპოზიციური სუბსტანტიური მსახვერელი, რომელსაც ადგილის შეცვლით ნათესაობით ბრუნვაში მართული სახელი ფუძედ გამოუყენებია. ასეთი ფუძე შეიძლება იყოს მხოლოდობის ან მრავლობის ფორმით და იგი ხელმეორედ ირთავს ბრუნვის ნიშნებს საზღვრულთან და მოკიდებულების მიხედვით, ოღონდ ძველი ქართულისაგან განსხვავებით არ შეუძლია ყველა ბრუნვის წარმოება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მართულ-შეთანხმებული მსახვერელი საზღვრულთან ერთად გვაქვს სახელობითში, მოთხრობითში, მიცემითში, ვითარებითსა და წოდებითში. აქედან ბრუნვის ნიშანი არ ერთვის სახელობითსა და ვითარებითში⁷. **სახელობითი:** წიგნი ამხანაგისა (და ასე: წიგნები ამხანაგისა, წიგნი ამხანაგებისა, წიგნები ამხანაგებისა), **მოთხრობითი:** წიგნმა ამხანაგისამ (შდრ. წიგნებმა ამხანაგისამ, წიგნმა ამხანაგებისამ, წიგნებმა ამხანაგებისამ...), **მიცემითი:** წიგნს ამხანაგისას (შდრ. წიგნებს ამხანაგისას, წიგნს ამხანაგებისას, წიგნებს ამხანაგებისას...), **ვითარებითი:** წიგნად ამხანაგისას (შდრ. წიგნებად ამხანაგისას, წიგნად ამხანაგებისას, წიგნებად ამხანაგებისას...), **წოდებითი:** წიგნო ამხანაგისავ (შდრ. წიგნებო ამხანაგისავ, წიგნო ამხანაგებისავ, წიგნებო ამხანაგებისავ...).

მსახვერელი ასეთ შემთხვევაში ეთანხმება საზღვრულს და წარმოდგენილია ნათესაობითის სრული დაბოლოებით ნართაულ -ა-სთან ერთად (შდრ. წიგნი კოტეხი, ქუდი ირაკლისი, სადაც ი ვაქაქს სახელობითისათვის).

რიცხვის პირველადი ფორმები დამოუკიდებელია, შეთანხმებისათვის მას მნიშვნელობა არა აქვს. ამის მიხედვით გაირჩევა ოთხი შემთხვევა: 1. როცა მსახვერელიცა და საზღვრულიც მხოლოდობითია, 2. როცა საზღვრული მხოლოდობითია, მსახვერელი – მრავლობითში, 3. როცა საზღვრული მრავლობითშია, მსახვერელი – მხოლოდობითში და 4. როცა მსახვერელიცა და საზღვრულიც მრავლობითშია.

ამ უკანასკნელთან ძველი ვითარება რიცხვში შეთანხმებითაც გამოიხატება.

1. მსახვერელიცა და საზღვრულიც მხოლოდობითში:

მამანქმა ვერაფრად ეჭაოწიკა ეს ნაუბარი ბატონისა; ილია, I, 270, 14.

წვერი მთისა უდიერად... გამოჩნდა: ვაჟა, V, 99, 37. ტახს... **სიღარე დათვისა** ძალიან გა-
შვირდა: ვაჟა, VI, 269, 23.

მესამე დღეს რიცხვმა ხალხისამ იკლო: ვაჟა, VIII, 164, 18.

მოსტაცა თვალი მოვარვარე დისკომ მთავრისამ; კ. გაშხ. I, 725, 25.

შდრ. ნუ დამიტოროს სატრფომ გულისა; ნ. ბართ. 29, 18...

ქალაქში დამის ხარჯს საქონლისას მოერიდნენ; ილია, I, 408, 25.

გველი სხეულს ადამიანისას ეძებს; ნ. ლორთქ. I, 66, 4.

მღივი ვერ იქნება კლდის შეილად, ვით კრავი შეილად ლომისა; ვაჟა, VII, 57, 14.

დუდამისმა ხიცილით თავი დაუქნია ნიშნად თანხმობისა; აკაკი, IV, 137, 12.

⁷ ე. თოფურია, ნათესაობითარი მსახვერელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში. სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956, გვ. 358-361; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 92, 112.

დედაე ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია: ილია, I, 139, 14.
ბენაიე ქუნი ვარ, შემობრალე, ნიაო მისსაჲ: ვაჟა, V, 203, 31.
შენ სულო დარიალისა: ჯ. ლეონ. 103, 6.

ო. უმწობაჲ ჭეშმარიტების, – აჲ სისინი ისმის შორიდან: ა. კალანდ. 287, 1..

2. საზღვრული მხოლობითშია, მსაზღვრელი – მრავლობითში:

ჰანგი შორს შოჲჲჲ ეხოს მთებისას: ხ. ბერ. 9, 7.

გაისმა საერთო ხმა ფრინველთა: ვაჟა, V, 217, 1.

3. საზღვრული მრავლობითშია, მსაზღვრელი – მხოლობითში:

ვარდო შემოუნახავო წვეთები წვიმის: ა. კალანდ. 32, 1.

უამბობს ძიძა ტკიბლ ამბებს სიყრმისას ავადმყოფს: კ. გამს. I, 672, 32..

4. საზღვრულიცა და მსაზღვრელიც მრავლობითშია:

ასეთ შემთხვევაში რიცხვში შეთანხმებაც ხდება ჩვეულებრივ, რაც ძველი ქართულის ანა-
რეკლია:

დაღვწილბო ეყარნენ აბჯარნი ჩემის ძმისანი: ვაჟა, III, 18, 12.

მოგროვდნენ ყოველის მხრიდამ ვაჟები ღომის ფერანი: ვაჟა, III, 153, 26.

არწვიოთა მადლის მთისათა ნეტაჲ რად უნდა მქებარი: ვაჟა, III, 10, 20..

დისტანციური მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი

დისტანციური მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი სინტაქსურად უკავშირდება საზღ-
ვრულს ისე, რომ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ჩართულია ზმნა-შემასმენელი ან სხვა
წვერი წინადადებისა. სიტყვათა წყობა ამ შემთხვევაში ასეთია: საზღვრული + შემასმენელი +
სუბსტანტიური მსაზღვრელი თავისი ორმაგი ნიშნით: რად მინდა მაშინ სიცოცხლე, ღუკუმა
ესჭამდე სხვისასა: ვაჟა, III, 40, 10; ცულ საქმეებს ღაპარაკობენ დათასას: ჯ. ამირ. I, 53, 24..

მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი ჩვეულებრივ უშუალოდ მოსდევს საზღვრულს, მაგ-
რამ საზღვრულსა და მსაზღვრულს შორის შეიძლება ჩაერთოს სხვა მსაზღვრელი. იგი სინ-
ტაქსურ კავშირშია მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელთან. მართული მსაზღვრელი ასეთ
შემთხვევაში წარმოადგენს საზღვრულ სახელს, რომელთანაც შეთანხმებით ან მართვით და-
კავშირებულია ეს მეორე მსაზღვრელი.

შეთანხმების ნიმუშებია:

ეს საბავლი სურათი საბავლის მიწისა ხასაცილოდ ახამებდა ამ დიდებულ სამხრეთის
ცხა: ილია, I, 341, 26;

ღორი ძიძგინდა ლეშს თავისაჲე გოჭისას: ნ. ლორთქ. I, 67, 14;

არწვიოთა მადლის მთისათა ნეტაჲ რად უნდა მქებარი: ვაჟა, III, 10, 19.

მსაზღვრელის მიერ მართული სახელი რჩება მართულადეჲ:

არასდროს არც გაიყნულა და არც გაიყინება, როგორც მოგვხსენებთ, ბუნება წყაროს
წყლისა: ილია, I, 221, 7;

ხმა გლენთა განთავისუფლებისა... ირხეოდა სოფლიდან სოფელში: დ. შენგ. ბათა ქქია,
26, 7;

წარმოუდგენელი მიმოხრა სხეულთა ხაზებისა თვალს ხიბლავს: ნ. ლორთქ. I, 459, 20;

ნამდვილს მიზნს წისქვილის დადგომისას ვერაინ მიმხედარიყო: ვაჟა, V, 128, 16..

განმარტობული მსაზღვრელი

მსაზღვრელი შეიძლება განმარტოვდეს. ასეთ შემთხვევაში ატრიბუტული მსაზღვრელი
დაისმის იმავე ბრუნვაში, რომელშიც დაკარგული საზღვრული უნდა ყოფილიყო. თუ ეს უკა-
ნასკენელი სხვა სახელის მიერ მართული იქნება, განმარტობული მსაზღვრელი ნათესაობით-
ში წარმოგვიდგება და ისე უკავშირდება მომდევნო საზღვრულს, მაგალითად: „ერთ მკენარეს
მეორის სახელს უწოდებენ“ (დ. კლდ. I, 87, 20) – „ერთ მკენარეს მეორე მკენარის სახელს
უწოდებენ“. ასეთივეა: „ისტორიას კარგათა სახელები გადაეცეთ (გ. შატბ. II, 479, 24) „ისტორი-

ას კარგ ადამიანთა სახელები გადაეცეთ“.

გაუწინარებელი საზღვრულის ზმნასთან დაკავშირების შემთხვევაში განმარტოებული მსაზღვრელი იღებს იმავე ბრუნვის ფორმას და უშუალოდ უკავშირდება ზმნას: „ახალმა წელმა ძველი შეხცვალა“ (ი. ნონეშე, 251, II); იმ დამეს ის ორი წელი ოცად გადაიქცა: კ. ლორთქ. 48, 23; პატარა მოუდანზე ორი რაინდი მოვიდა... ერთს ზეიდალი აცვია..., ხოლო მეორეს პოლოტიკო: შ. ჯავახ. II, 471, 7.

განმარტება მოსალოდნელია მაშინაც, როდესაც მსგავსი საზღვრულები დისტანციურ ვითარებაში აღმოჩნდება, მაგალითად: „მას მარცხენა ხელზე მომცრო ჭრელი ხურჯინი გადაედო, მარჯვენით წერილი თასმით დაწნული უტარო მათრახი დაებლუჯა“. გ. შატბ. II, 147, 35.

ასეთივეა: ჭირიმიამ ბარდღუნისა თავისად მიჩნეული კოპალი ხელში დაუნახა: ლ. ქიან. III, 226, 23.

განმარტოებული განსაზღვრება ირთავს თანდებულსაც, რომელიც ნაგულისხმევ საზღვრულს უნდა დართოდან:

ხან ერთის ჯიბეში ვიყავი, ხან მეორისაში: აკაკი, VIII, 131, 5.

თუ ხეესურებდაც თავიანთი „ტაღაღარი“ ნაყიდ ფარჩისაზე გაცვალეს, მაშინ ყოველად შეუძლებელია ხეესურეთში ხეესურების არსებობა: ვაჟა, IX, 223, I..

შემოკლებათა განმარტებები

- ჭ. ამირ. - ჭ. ამირჯები, დათა თუთაშხია, I, თბ., 1973.
აკაკი - აკაკი წერეთელი, თხზულებანი, სრული კრებული შვიდ ტომად, ტ. IV, თბ., 1948, ტ. VII, თბ., 1959.
შ. არაგვ. - შ. არაგვისპირელი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, თბ., 1947.
ნ. ბარათ. - ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები. თბ., 1939.
ხ. ბერ. - ხ. ბერულავა, ერთტომეული, თბ., 1957.
ე. გაბ. - ე. გაბაშვილი, რჩეული ნაწერები. I, თბ., 1953.
გამ. - გამოსლვათა: წიგნი ძუელისა აღთქუმისანი. ტ. I, ნაკვ. 2, 1948.
ტ. გამს. - ტ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბ., 1958, ტ. III, თბ., 1960, ტ. V, თბ., 1961.
რ. გვერ. - რ. გვერტაძე, რჩეული, თბ., 1941.
ი. გოგებ. - ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1957, ტ. IX, თბ., 1962.
დაბ. - დაბადებისა ი. გამ.
რ. ერისთ. - რ. ერისთავი, რჩეული თხზულებანი, თბ., 1958.
ვაჟა - ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ., 1964.
რ. ინან. - რ. ინანიშვილი, თებრო, თბ., 1983, კეთილი მიწა, თბ., 1984.
იღია - იღია ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად. I, თბ., 1937.
ა. კალანდ. - ა. კალანდაძე, ლექსები, თბ., 1985.
გ. ლეონ. - გ. ლეონიძე, ერთტომეული, თბ., 1954.
ნ. ლორთქ. - ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. I, თბ., 1958.
მამ. სწავლ. - მამათა სწავლანი X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით, თბ., 1955.
ე. ნინოშე. - ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, I, ტფილისი, 1932.
ხინ. მრავალთ. - ხინური მრავალთავი 864 წლისა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959.
გ. ტაბ. - გ. ტაბიძე, ლექსები, ტფილისი, 1927.
ლ. ქიან. - ლ. ქიანელი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. III, თბ., 1950, ტ. IV, თბ., 1955.
ა. ყაზბ. - ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1948.
გ. შატბ. - გ. შატბერაშვილი, თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. II, თბ., 1972.
დ. შენგ. - დ. შენგელაია, ბათა ქქქია, თბ., 1933, თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბ., 1960.
შ. ჯავახ. - შ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. I, თბ., 1958, ტ. II, 1959, ტ. III, თბ., 1960, ტ. IV, თბ., 1961.

* ლ. კვიციანიძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 184.

მსახვრელთა რიგი არაერთგვარ მსახვრელებიან შესიტყვებაში¹

მსახვრელისა და სახვრელის რიგის საკითხი ქართულში საკმაოდაა შესწავლილი, მაგრამ ზოგი რამ მინც საჭიროებს გარკვევას ან დაზუსტებას.

ამჯერად საკითხი ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ორი ან რამდენიმე არაერთგვარი პრეპოზიციური მსახვრელი სახელი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განმარტავს ერთ სახვრელს. ეს მსახვრელები სინტაქსურად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ყოველი მათგანი ცალკე უკავშირდება სახვრელს და მასთან ქმნის სინტაგმას. მაშასადამე, აქ არ შემოვა ისეთი შემთხვევები, როცა სახვრელს დართული ორი ან მეტი მსახვრელი ერთგვარია (მაღალი, გამხდარი კაცი), ან როცა ახლად დართული ამხსნელი სიტყვა მსახვრელის მსახვრელია (ორი კურდღლის მადეკარი).

ახეთი შესიტყვებები ჩვეულებრივ შედგენილია მართულ- ან შეთანხმებულმსახვრელიან სახვრელზე კიდევ ერთი ან ორი (იშვითად მეტი) მსახვრელის დამატებით:

- | | |
|-------------------------|-------------------------------|
| ოქროს ხაათი + ღამაზი | ღამაზი ოქროს ხაათი; |
| ქვის სახლი + მაღალი | მაღალი ქვის სახლი; |
| იალქნიანი ნავი + პატარა | პატარა იალქნიანი ნავი; |
| სკოლის შენობა + ახალი | სკოლის ახალი შენობა... |

შინაარსობრივად ძველი, პირველი მსახვრელი ძირითადია სახვრელისათვის, ახალი, მეორე - არაძირითადი.

ეს დამატებული, მეორე მსახვრელი ხან ძირითადი მსახვრელის წინ დაისმის, ხან კი ამ შესიტყვებას გათიშვს და შუაში ჩაისმის.

მაგალითად, ორ სხვადასხვა შესიტყვებას - **ვერცხლის კოვზი და მტრის თვითმფრინავი** - რომ დაეურთოთ ერთი და იგივე მსახვრელი ორი, ეს ორი სხვადასხვა ადგილს დაიჭერს; ერთი მხრით, გვექნება **ორი ვერცხლის კოვზი** (ორი პირველ ადგილზე; არ იხმარება **ვერცხლის ორი კოვზი**), ხოლო, მეორე მხრით, გვექნება **მტრის ორი თვითმფრინავი** (ორი აქ მეორე ადგილზეა, შეუძლებელია **ორი მტრის თვითმფრინავი**). ან კიდევ, ორ, აგრეთვე სხვადასხვა, შესიტყვებასთან - **ქვის შენობა და უნივერსიტეტის შენობა** - ერთი და იგივე მსახვრელი **ახალი** სხვადასხვა ადგილზე დაისმის მიუხედავად იმისა, რომ ოცი ორსავე შემთხვევაში ერთ სახვრელს - **შენობას** - განმარტავს: თუ შენობა ქვისაა, შეთანხმებული მსახვრელი შესიტყვების წინ გვექნება (ახალი **ქვის შენობა**), ხოლო თუ შენობა უნივერსიტეტისაა, შეთანხმებული მსახვრელი შუაში ჩაისმის (უნივერსიტეტის **ახალი შენობა**; შეუძლებელია **ახალი უნივერსიტეტის შენობა**).

მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ჟურნალ-გაზეთებში ამგვარი მსახვრელები ხშირად სხვადასხვაგვარადაა დალაგებული; ზოგჯერ ერთი და იმავე მწერლის ნაწარმოებშიც კი სხვადასხვაგვარი წყობაა წარმოდგენილი.

მაგალითები:

1. [აგარაში] ახლა შაქრის დიდი ქარხანაა (ო. ჩხ.). უამისოდ საღალღებლო იქნებოდა იმხელა შაქრის ქარხნის წამოწყება (ო. ჩხ.).
2. იღება დიდი რკინის ჭიშკარი (გ. ხუბ.). მიმედ იღება რკინის დიდი ჭიშკარი (გ. ხუბ.).
3. ზაკას ესმოდა ხის სახელდახელო კიბეზე ნელა, მიმედ მომავალი ქრის ფეხის ხმა (ო. იოს.).

- [მაკამ] სახელდახელო ხის კიბეზე... ჩაირბინა (ო. იოს.).
4. შამპანურს ბროლის მაღალფეხებიანი ჭიქები უხდება (რ. ინან.). ისინი სწორედ ღამაზი, მაღალფეხებიანი ბროლის ჭიქებით სუამენ (რ. ინან.).
 5. აკიამ მწიფედ გახვდა ალაზნის ნოყიერ ველს (მხ. მრველ.). აივანი ფართოდ გაშლილ ალაზნის ველსა და შორეულ კავკასიონს გადასცქეროდა (მხ. მრველ.).

¹ ქართული სიტყვის ეულტურის საკითხები, I, 1972.



6. სპილენძის ვეება და მცირე ქვაბებსა და ტაფებში უხვად იხარშება და ბოზბაში და ჩიხორთა (მ. ჯავახ).
- [მაგალი] ათუ ხოთუ ხებულ სპილენძის ქვაბს სახურავი ახადა (მ. ჯავახ).
7. აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა... პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი (ილია)?.
- [მოხუცმა] სპილენძის მალად თუნგს ჯიხი შემოჰკრა (ი. რურ).
8. ოქროს სამი მუდალი (პრეს).
- ქურის განკარგულებაშია ოთხი ჯიღლი: ერთი ოქროს და სამი ვერცხლის მუდალი (პრეს).
9. ზღვისაქნ მიდიოდნენ, თან პლასტმასის წითელი ჩანთა მიჰქონდა (რ. ინან).
- გოგონამ ფაღობიდან გამზადებულ პლასტმასის ნაწარში ამოიღო (პრეს).

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორ უნდა დალაგდეს ეს მსახდერელები? რომელი დალაგება უფრო მართებული თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით: დიდი ოქროს საათი თუ ოქროს დიდი საათი? პირმოტეხილი სპილენძის თუნგი თუ სპილენძის პირმოტეხილი თუნგი? პატარა იაღქნიანი ნაეი თუ იაღქნიანი პატარა ნაეი? ორი ოქროს მუდალი თუ ოქროს ორი მუდალი? მაღალი ხის კიბე თუ ხის მაღალი კიბე?

საკითხს განსაკუთრებით მწვავეს ხდის ის ფაქტი, რომ ხშირად მსახდერელთა არაჯეროვანი დალაგების შედეგად შეხადება, სრულიად უმართებულოდ, მსახდერელები სემანტიკურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და შესიტყვების აზრიც გაბუნდოვანდეს. მაგალითად: გამოთქმა განყოფილების ახალი გამგე ნიშნავს, რომ გამგე არის ახლად დანიშნული. მსახდერელი ახალი უკავშირდება საზღერულს გამგე და მას განმარტავს. თუ მსახდერელთა რიგს შევცვლით (ახალი განყოფილების გამგე), ორი მსახდერელი - ახალი და განყოფილების - გარეუწულად მსახდერელ-საზღერულს დაემსგავსება, ახალ ჯგუფს შექმნის (ახალი განყოფილების) და, ცხადია, მთელი შესიტყვების აზრიც შეიცვლება: გამგე კი აღარაა ახალი, არამედ განყოფილება (ახალი განყოფილების გამგე).

ამის მსგავსად, სიტყვათა სხვადასხვაგვარად დალაგების შედეგად, სრულიად განსხვავებული შინაარსი ეძლევა ერთი და იმავე სიტყვებისაგან შედგენილ შესიტყვებებს:

მოსწავლის კარგი ნაწერი ნიშნავს, რომ კარგია მოსწავლე. შესიტყვებაში კოლექტივის ახალი წევრი ნაწერი ნიშნავს, რომ კარგია მოსწავლე. შესიტყვებაში კოლექტივის ახალი წევრი ახალია წევრი, ხოლო შესიტყვებაში ახალი კოლექტივის წევრი ახალია კოლექტივი. შესიტყვებაში კლასის პირველი დამრიგებელი პირველია დამრიგებელი, მაგრამ პირველი კლასის დამრიგებელი პირველია კლასი. შესიტყვებაში სოფლის ყველა სტუმარი ყველა განსახვრავს სტუმარს, ხოლო შესიტყვებაში ყველა სოფლის სტუმარი ყველა სოფელზეა დაპირაკი. შესიტყვებაში მტრის განადგურებული ასეული განადგურებულია ასეული, მეორე შესიტყვებაში კი - განადგურებული მტრის ასეული განადგურებულია მტერი.

ნათელია, რომ მსახდერელთა ადგილების უმართებულო შეცვლა აზრს აბუნდოვანებს, ორზოვნებას იწვევს. ამ ორზოვნების საფრთხეს გრძობენ და ცდილობენ თავი აარიდონ მას. ამიტომ, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, ძალზე მოხშირდა მსახდერელთა ინვერსია და ხშირად შეთანხმებულ მსახდერულს მეორე ადგილზე გადასვამენ იქაც, სადაც ეს სულაც არაა აუცილებელი და ზოგჯერ მეორე უკიდურესობამდე მიდიან, - ქართულისათვის შეუძლებელ სიტყვათა წყობას ქმნიან. მაგალითად, ქართული ენისათვის უცნობა ახვ დალაგებული შესიტყვება: ღორის გადამდნარი ქონი ან ძროხის ცივი ქონი, ან კიდევ, სუფრის კარგი ღვინო და სხვ. და მაინც ხშირად ეხვედებით ისეთ შესიტყვებებს, სადაც შეთანხმებული მსახდერელი უმართებულოდაა გადასმული მეორე ადგილზე.

მაგალითად:

უმრეზვე შეგორებული ღვინის ვეება კასრები გოლიათებით წამომსხდარიყენ (მის. მრეველ).

² რადგან მე-19 და მე-20 სს. სალიტერატურო ენაში მსახდერელთა რიგის თვალსაზრისით პრინციპული სხვაობა არ შეინიშნება, ამიტომ საილუსტრაციო მასალა მოგვყავს მე-19 ს. მხატვრული ლიტერატურა-დანაც.

(შდრ: ვეება ღვინის კასრები).

ერთ დაბაში წიგნის ორი მაღახია მაშინ ძალიან იშვიათი ამბავი იყო (პრეს).

(შდრ: ორი წიგნის მაღახია).

ბიჭები ყველის პირმოკრულ გუდებითა და ერბოს კასრებით ტვირთავდნენ მანქანებს (მის. მრველ).

(შდრ: პირმოკრული ყველის გუდა).

იგბა ტელეფონის შინებჩამსხვრეული ჯიხური (რ. ინან).

(შდრ: შინებჩამსხვრეული ტელეფონის ჯიხური).

ძროხის ცივი ქონით გააოხილ თითებს ილოკავდნენ (თ. მადლაფ).

(შდრ: ცივი ძროხის ქონი).

ორთქლი ახდოდა შუშის რძისფერ ჭაღებს (ე. ყოფ).

(შდრ: რძისფერ შუშის ჭაღებს) და სხვ.

საქმე ისაა, რომ ენაში ხშირად ერთმანეთის გვერდით გვაქვს ორი ისეთი მსაზღვრელი, რომელთა შინაარსობრივი დაკავშირება ადვილადია შესაძლებელი, მაგრამ ასეთი დაწყვილება ის საფრთხე არ იქმნება, რადგან ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი ამ შესიტყვებებში ისე მჭიდროდა დაკავშირებული საზღვრულთან, რომ მათი დაცილება და ძირითადი მსაზღვრელის მეორე, ახალ მსაზღვრელთან დაკავშირება არ ხდება. ასეთია, მაგალითად შესიტყვების მსუქანი ძროხის ბუჭი. მსუქანი ძროხაც შეიძლება იყოს და, ამდენად, შესაძლებელი იყო ეს სიტყვები ერთმანეთს დაკავშირებოდა შინაარსის ხრივ, მაგრამ ასეთი წყვილის შექმნის და აზრის გაბუნდოვანების საშიშროება არ ჩანს, რადგან ძროხის ბუჭი მტკიცე გამონათქვამია, მისი შემადგენელი სიტყვები მჭიდროდა ერთმანეთთან დაკავშირებული და არ გაიყოფა. ასეთივე მაგალითებია: კარგი ქაღის სათი, ღამაზი ქვის შენობა, სუსტი წნელის ღოჭი, დიდი მუხის ფიცარი, შემწვარი გოჭის თავი და სხვა.

ამ მაგალითებში ერთმანეთის გვერდით დასმულ მსაზღვრელთაგან საესებით შესაძლებელია შექმნა წყვილებისა - კარგი ქაღი, ღამაზი ქვა, სუსტი წნელი, დიდი მუხა, შემწვარი გოჭი და სხვა, მაგრამ, ჩვეულებრივ, ეს არ ხდება.

მიუხედავად ამისა, რთვორც ვნახეთ, ასეთ შესიტყვებებშიც კი შეთანხმებული მსაზღვრელის შუაში ჩახშის შემთხვევები მაინც გვხვდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელი უნდა იყოს, რომ დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში მოვარებას შიოთხუხ სიტყვათა რიგის საკითხი ისეთ წინადადებაში, სადაც ერთ საზღვრულთან რამდენიმე არავითარე მსაზღვრელია დაკავშირებული.

აღნიშნული საკითხი დიდი ხანია იპურობს მკვლევართა ყურადღებას. უპირატესად ისეთ შესიტყვებებს განიხილავდნენ, რომელშიც ერთი მსაზღვრელი მართული იყო, მეორე - შეთანხმებული. მაგალითად, ხიდ, ხუნდაქმ თავის დროზე საგანგებოდ განიხილა ეს საკითხი და შემდეგი წესები წამოაყალიბა:

1) თუ საზღვრელი და ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი თითქმის ერთ სახეულად ქცეულა (ქვის კედელი, რკინის ხიდი, თათრის ქაღი, ვაშლის ხე...), ამ შემთხვევაში მეორე მსაზღვრელი ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის წინ დაისმის (მაღალი ქვის კედელი, ღამაზი თათრის ქაღი, დიდი ვაშლის ხე...).

2) თუ ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი მაინც და მაინც არ არის სასაზღვრის განუშორებელი ეპითეტი (მოსწავლის წიგნი, კაცის სიმედირე, ქაღის თვალები...), მაშინ მეორე მსაზღვრელი ნათესაობითის შემდეგ უნდა დაისვას (მოსწავლის დიდი წიგნი, კაცის შესანიშნავი სიმედირე, ქაღის ღვთაებრივი თვალები).

აქედან ჩანს, რომ პირველი რიგის შესიტყვებები ხიდ, ხუნდაქმ კომპოზიტებად მიანია (აეროებს კიდევაც მათ დეფისით). ბუნებრივია, რომ შეთანხმებულ მსაზღვრელს წინ ათავსებს.

შეთანხმებული (ატრიბუტული) მსაზღვრელის ადგილის საკითხი მართლმსაზღვრელიან შესიტყვებასთან განიხილა სპეციალურმა კომისიამ, რომელიც 1920 - 21 წლებში არსებობდა და რომელსაც ვვალდებოდა ქართული სალიტერატურო ენის სადავო საკითხების მოწესრიგება³.

³ ხიდ, ხუნდაქმ. ქართული მართლწერის და სწორების ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927, გვ. 58.

⁴ კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: ა. შანიძე (თავმჯდომარე), ე. კეკელიძე, გ. ახვლედიანი, ვ. ბერიძე, ს. გორგაძე, დ. უხანაძე.

აი, რას ვკითხულობთ კომისიის დადგენილებაში:
„კომისიამ ერთხმად უპირატესობა მისცა სიტყვათა წყობის იმ წესს, რომლის მსაზღვრელი სიტყვა უნდა დაისვას საზღვრულის წინ, ანუ:
ბავშვის ღამაში თვალები, როცა ღამაში ვკუთვინის თვალებს;
კომისიის ყველა წევრი, როცა ყველა ვკუთვინის წევრს;
მსოფლიოს დანარჩენი სხეულები, როცა დანარჩენი ვკუთვინის სხეულებს;
ქალაქის მეორე აფთიაქი, როცა მეორე ვკუთვინის აფთიაქს;
ურმის კარგი თვალი, როცა კარგი ვკუთვინის თვალს“
კომისიის ორ წევრს (ა. შანიძე, დ. უსნაძე) შესაძლებლად მიუჩნევია წყობა: **მეორე ქალაქის აფთიაქი, ხოლო ა. შანიძეს უმჯობესად ჩაუთვლია კარგი ურმის თვალი, თუნდაც კარგი ვკუთვინოდეს თვალს.**

კომისიამ ასეთი წყობა დასაშვებად მიიჩნია „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ურმისთვალად დაიწერება ერთად, როგორც ერთი რთული სიტყვა (კომპოზიტი)“⁵.
კომისიის აზრი ნათელია – გაითიშოს მართულმსაზღვრელიანი შესიტყვება და შიგ ჩაისვას შეთანხმებული (ატრიბუტული) მსაზღვრელი.

ა. შანიძე დღემდე ამავე აზრს იცავს: ზოგჯერ მართული მსაზღვრელი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული საზღვრულთან, რომ მათი გათიშვა არ იქნება: **ურმის თვალი, ცხვრის მწვადები, თქმის დიდი ურმის თვალი და არა ურმის დიდი თვალი, მსუქანი ცხვრის მწვადები და არა ცხვრის მსუქანი მწვადები.** ზოგი კი ასე მტკიცედ აღარაა დაკავშირებული და შეიძლება გაითიშოს: **ხილის იაფობა – თქმის დიდი ხილის იაფობა ან ხილის დიდი იაფობა**⁶.

ამ საკითხის საგანგებოდ შესწავლის საჭიროებას მიუთითებდა ივ. ჭავჭავაძე: „თუ რა ადგილზე უნდა ვიხმაროთ განსაზღვრება მართულმსაზღვრელიანი სინტაგმაში (დიდი ქალაქის მეურნეობა თუ ქალაქის დიდი მეურნეობა), ცალკე საკითხიაო“⁷.

გარკვეული წესები აქვს მოცემული დ. კვაჭაძეს თავის წიგნში „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“:

1) თუ საზღვრულის წინ გვაქვს ორი ატრიბუტული განსაზღვრება, „ნაცვალსახელითა და რიცხვითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება, ჩვეულებრივ პირველ ადგილზე, ხედსართავით და მიმდებრით გადმოცემული – მეორე ადგილზე“.

2) თუ საზღვრულს წინ უძღვის ერთი სუბსტანტიური და ერთი ატრიბუტული განსაზღვრება, „უშუალოდ საზღვრულის წინ ხან ატრიბუტული განსაზღვრება დგას და ხან სუბსტანტიური. ეს უკანასკნელი ზოგჯერ ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული საზღვრულთან და მათი გათიშვა არ იქნება. სხვა შემთხვევაში კი უშუალოდ საზღვრულის წინ შეიძლება იყოს ატრიბუტული განსაზღვრება“⁸.

რამდენიმე მსაზღვრელის ადგილის საკითხს ძველ ქართულში ეხებიან ივ. იმნაიშვილი, ც. კალაძე, დ. ქანთარია, ა. კიხიია⁹.

ამრიგად, შენიშნულია ფაქტი, რომ ახალ ქართულ ენაში მართულმსაზღვრელიანი სინტაგმაზე პოსტპოზიციურად დართული შეთანხმებული მსაზღვრელი მართული მსაზღვრელის წინ დაისმის იმ შემთხვევაში, თუ შესიტყვება მყარია, და ამ მართულ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ჩაისმის, თუ შესიტყვება არაა მყარი.

⁵ სალიტერატურო ქართულისათვის – პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხების მოხაზვრივად, შუშუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ (მასლები კონფერენციისათვის), ტფილისი, 1921, გვ. 38.

⁶ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბილისი, 1948, გვ. 120.

⁷ ივ. ჭავჭავაძე, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების მართლწერისათვის. უკრ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1954, №12, გვ. 47.

⁸ დ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 168, 170.

⁹ დ. ქანთარია, მსაზღვრელის ადგილი რამდენიმე მსაზღვრელიანი წინადადებაში, ახიორანტო V სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1951, გვ. 23-24; აგრეთვე კრებული: „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, თბილისი, 1956, გვ. 328; ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957; ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961; ა. კიხიია, მარტვი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი, 1963, გვ. 225.



მკარამ კითხვა იხმის: რა შემთხვევაში უნდა იქნეს მიჩნეული ესა თუ ის სიტყვა? შეხიტიკვებად და, მაშასადამე, როდის უნდა დაიხვას მკორე მსაზღვრელი ძირითადი მსაზღვრელის წინ, და, პირუკუ, რომელი შეხიტიკვებაა არამყარი? სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ გამოვიცნოთ ის მყარი შეხიტიკვება, რომლის გათიშვა არ ხერხდება, ე. ი. როგორ გავარნიოთ, უნდა გათიშოს თუ არა შეხიტიკვება; მაგალითად, რომელი წყობაა სწორი: დიდი ბრინჯაოს ფიგურა თუ ბრინჯაოს დიდი ფიგურა.

ან, მკორე მხრივ, ზოგი შეხიტიკვება რომ ასეც იხმარება და ისეც (დიდი ხილის იაფობა || ხილის დიდი იაფობა), რომელი წყობაა უმჯობესი თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით?

ამ კითხვებზე პასუხი დღემდე არ ჩანს და, მიუხედავად ზემოაღნიშნული ცდებისა, ასეთ შეხიტიკვებებში მსაზღვრელის როგის საკითხი დღევანდელ სალიტერატურო ქართულში გადაუჭრელია.

* * *

იმისათვის, რომ გავერკვეთ სიტყვათა დალაგების წესებში, უნდა განვასხვაოთ ის შეხიტიკვებები, რომლებშიც ყველა მსაზღვრელი შეთანხმებულია, ატრიბუტულია, იმ შეხიტიკვებებისაგან, რომლებშიც ერთ-ერთი მსაზღვრელი მართულია, რადგანაც ამ სხვადასხვა სახის შეხიტიკვებებში, როგორც დაერწმუნდებით, სიტყვათა დალაგების სხვადასხვა წესი მოქმედებს.

სიტყვათა როგის საკითხი რამდენიმე მსაზღვრულიან შეხიტიკვებაში შედარებით მარტივად წყდება, როდესაც ყველა მსაზღვრელი ბრუნვაში შეთანხმებულია, ატრიბუტულია, და მტერყვობას აქვს ადგილი, როდესაც ერთ-ერთი მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია დასმული, მართულია.

სავსებით სწორადაა შენიშნული სიტყვათა დალაგების ძირითადი კანონზომიერება შეთანხმებულმსაზღვრელისა შეხიტიკვებაში. სახელდობრ, როდესაც შეთანხმებულ მსაზღვრელთაგან ერთ-ერთი ზედსართავია, იგი, უპირატესად, მკორე ადგილზეა, ხოლო პირველ ადგილს იჭერს სხვა ატრიბუტული მსაზღვრელი.

მაგალითები:

I. ზედსართავთან მკორე მსაზღვრელია ნაცვალსახელი, იგი ყოველთვის პირველ ადგილზეა.

ა) ჩვენებითი ნაცვალსახელი:

იმ ბედნიერ ღამეს ჩემს თვალს ძილი არ მიამკარებია (ილია).

გულში ხელს იცემდა ის უბედური მამა (ილია).

ღორებს ბევრჯერ უთხრიათ ეს სურნელი ბუნო (ილია).

რა ღამაში იყო იმ მშვენიერ დილას ის მშვენიერი ქალი! (ილია).

სხვა რომ არ იყოს, ჩვენ ამ ღამაში ქალების ეშიი დავიფარავდა (ლ. ასათ).

ჩვენია, აბა ვისია ეს ბუშმურაზი მოები? (ა. კალანდ).

და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გაეწნა ამ ქვეყანაზე! (ლ. ასათ).

ეს უწყობს ხელს ამ დიდებულნი ხის უღებო ჩეხვას (პრეს).

ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელი:

მზე იყო იმისი წმინდა ხანთელი (ილია).

მისმა მამარმა ქერტლმა სამივე აირკლა (აკაკი).

მისი ქალური თავმოყვარობა ზემობდა (პრეს).

მისი შეშლილი ხარხარი გამოძახილის გამოძახილებად მხოლოდ გვირავით ნეტან დერეფნებში (დ. შენგ).

მე ვხანე შენი ღამაში ფშავი (ა. კალანდ).

ნამოფორინდები შენს ღურჯ რტოებზე, ნამოფორინდები, იასამანო (ა. კალანდ).

რა დამაიწყებს შენს ღამაზე თვალებს... (ლ. ასათ).

გ) განსაზღვრებითი ნაცვალსახელი:

აი, რა არის დღეს... თითოეული სამჭურნეო მუშაკის უწინმუნდოვანესი ამოცანა (პრეს).

მრცხვენიდა ისე, როგორც ყველა სოფელელ ბიჭს რცხვენიდა თავისი გამოხეული შარვლის (ნ. დუმბ).

იშვიათია ისეთი მხარე, სადაც მოიპოვება ხეხილის იმდენი ადგილობრივი ჯიში, რამდენიც საქართველოში (პრეს).

დ) კითხვითი ნაცვალსახელი:

რა საამური დრო არის, რა საამური წამია! (ვაჟა).

აუ, რა კარგი დღე არის, აუ, რამდენი ქალია! (ო. გრიშ).

ე) განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი:

იყო ერთი დარიბი კაცი (ხალხ).

მე ერთი უთვისტომო ბიჭი ვიყავ (ილია).

ერთი ნორჩი ნაძვის ძირას ყაყაოში საუკუნოდ ჩაგვძინა (ბ. კლანდ).

დაინერგა რამდენიმე ტექნიკური სიახლე (პრეს).

– თითქოს ბამბახის ნაუწში რამდენიმე წვრილი ჩხირი გაუხვევიათო (რ. ინან).

რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს (ილია).

თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც გეხვედება მსაზღვრელი ნაცვალსახელის მეორე ადგილზე დასმის შემთხვევები:

მარტო მყინვარწვერი რაღა ღირს, რა მოშიბლავია მარადთოვლიანი ეს გოლიათი (პრეს).

ახვევ მეორე ადგილზეა კუთნილებითი ნაცვალსახელი შემდეგ წინადადებებში:

[ნარალი] ამ მზისაგან შეკრდეს დანახურებ სითბოს მოპირდაპირე თავის მეზობელს უზიარება (ვაჟა).

უკანასკნელი მისი სიტყვა პლატონს აღარ გაუგონია (დ. კლდ).

ეს იყო პირველი მსოფლიო ომის დროს გადაღებული მისი სურათი (ბ. შატ).

ახეთი დალაგება ზოგჯერ სტილის საჭიროებით შეიძლება იყოს გამოწვეული, ჩვეულებრივია კი ახეთი წყობა: ეს მარადთოვლიანი გოლიათი, თავის მოპირდაპირე მეზობელს, მისი უკანასკნელი სიტყვა და ა. შ.

II. ზედსართავთან მეორე მსაზღვრელია რიცხვითი სახელი:

ერთმა წვირიანმა ღორმა ასი ღორი გახვარაო (ანდაზა).

ორი პურაპური კაცი ერთნაუნთის მიბაძით შიმშილით დაიხოცნენო (ანდაზა).

ეს ორი ტურფა გვრიტი... საკვირველად ტკბილად ცხოვრობდნენ (ილია).

ვიღაცამ ორი შიმშივ ჩემოდანი შემოიტანა (ო. იოს).

ის ეუფოვლა ერთ დიდ ქალაქს ახაშენებლად (პრეს).

ორი შიმშივ და აუტანელი თვე გაატარა მან იქ სიმარტოეში (დ. შენგ).

ყველა შემთხვევაში რიცხვითი სახელი პირველ ადგილზეა, ზედსართავი – მეორეზე. პირველ ადგილზეა განუსაზღვრელი რიცხვითი სახელიც. მაგ:

საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო (აკაკი).

მაზრაში ბევრი უღედმამო ბავშვი იყო (პრეს).

გამოითქვა მრავალი ხაყურადღებო შენიშვნა (პრეს).

აუშში ბევრი ოქროსფერი თვეუი ბუღობს (შ. დად).

III. ზედსართავთან მეორე მსაზღვრელია მიმღობა, ზედსართავი მეორე ადგილზეა:

ღუარსად თთქრიძე გახლდათ კარგად ჩახუქებული ძველი ქართველი (ილია).

ვარდის რტოზე შერჩენილი ხმელი თესლი აკერკეს და გაიტაცეს ბელურებმა (ბ. კლანდ).

ნაომაძ ქართველ მხედრობას ტრიალ მინდროში უძინა (ლ. ასათ).

[გურის] ჩხუბში ნადრძობი მარჯვენა ცერი დაუსივდა (ა. ლომ).

ჩატარებულ მათემატიკურ ოლიმპიადებში... გამარჯვებულნი გამოდიან (პრეს).

კონგლემ ახვლა მის უკან მდგარ თეთრხალათიან დახლიდარს (ო. იოს).

აი, სოფელსაც გავცდით, ხრე შიმოყრილი დიდი გზიდან ეწერში გადავდივართ (რ. ინან)

შეთანხმებულმსაზღვრელებთან შესიტყვებაში სიტყვათა დალაგების ეს კანონზომიერება შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში. დაუმატებთ ორიოდე მცირე დაკვირვებას.

1. თუ შეთანხმებულმსაზღვრელებთან შესიტყვებაში ორივე მსაზღვრელი ზედსართავია, – ერთი ვითარებითი, მეორე მიმართებითი, – პირველ ადგილზე ვითარებითი ზედსართავი

თავი დგება, მეორეზე - მიმართებითი:

[ეზოს] გარს ვრტვა ძველი ტერმინული დობე (ილია).
ქალაქში მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში (პრეს).
[ახმედი] მეორე სეზონისათვის ახალ დიდ იალქნიან ნაკვს იყიდა (ტ. რეჟული).
აქედან ზღვის ნაირამდე უზარმაზარი მტკრიანი ავტობუსები დადიოდნენ (თ. ჭილი).
აქ ძველი იბერიული მოსახლეობა ყველაზე ნაკლებ შეიცვალა (ტ. ქიქ).

ასევე: მცირე საგაზეთო სტატია... შესანიშნავი ისტორიული ძეგლი... კარგი სასკოლო სახელმძღვანელო... დიდი საკლამურნო ბაზარი... ახალი სპორტული მოედანი...

ამიტომ გვენთითება, როცა მსახდურელთა სხვაგვარი რიგია შემდეგ შესიტყვებებში:

ფრანგული ახალი ფილმი.

ტყვიან ჩექმებთან ახალგაზრდა მეტყვევე გამოვიდა (რ. ინან).

მან უხლავ უნდა იცოდეს, თუ რა ბაღახი გაიხარებს ვენახის ბოლოს, საწრეტი მთავარი არხის ორივე მხარეს (თ. ოს).

სკოლის ოთხსართულიანი ახალი ტიპური შენობა გათვალისწინებულია 960 მოსწავლისათვის (პრეს).

(შდრ: ახალგაზრდა ჩექმებთან მეტყვევე, მთავარი საწრეტი არხი, ახალი ოთხსართულიანი ტიპური შენობა, ახალი ფრანგული ფილმი...).

2. თუ ერთ-ერთ მსახდურელად რიცხვითი სახელია, მიმართებითი ზედსართავის წინ გადასწვევა შესიტყვების კონსტრუქციის შეცვლას მოითხოვს, - საჭირო ხდება ამ ატრიბუტული მსახდურელის შეცვლა მართული მსახდურელით¹⁰. მაგალითად, შესიტყვებაში ხუთი ამერიკული თვითმფრინავი მსახდურელი რომ გადავაჯგუფოთ, ვეღარ ვიტყვით ასე: ამერიკული ხუთი თვითმფრინავი, უნდა ვთქვათ: ამერიკის ხუთი თვითმფრინავი, ასევე: ორი ბრაზილიელი დეპუტატი, შდრ: ბრაზილიის ორი დეპუტატი; მეოთხე რესპუბლიკური სპარტაკიადა, შდრ: რესპუბლიკის მეოთხე სპარტაკიადა; რამდენიმე ტექნიკური სიახლე, შდრ: ტექნიკის რამდენიმე სიახლე...

ამიტომ მსგავსი მსახდურელები სხვადასხვაგვარად, მაგრამ სწორად ჩანს დალაგებული შემდეგ წინადადებებში:

მოსპეს სხვადასხვა ტიპის 6404 ამერიკული თვითმფრინავი (პრეს).

ჩამოაგდეს ისრაელის სამი თვითმფრინავი (პრეს).

სიტყვათა რიგი ორივე წინადადებაში სწორია; პირველში მსახდურელად გვაქვს მიმართებითი ზედსართავი („ამერიკული“), იგი მეორე ადგილზე დაისმის და მასთან რიცხვითი სახელი პირველ ადგილზეა. მეორე შესიტყვებაში კი მსახდურელად არის ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი და მთელი შესიტყვება კუთვნილებას გამოხატავს; მასთან ატრიბუტული მსახდურელი მეორე ადგილზე დაისმის (დაწერილებით ქვემოთ).

3. თუ ორივე მსახდურელად მიმართებითი ზედსართავია, მეორე ადგილზე, უპირატესად, -ურ სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი დგება:

მთაში უბირის კაცისაგან ისეთ რასმე გაიკონებთ ჩვენს სახელოვან ისტორიულ მოღვაწეებზე (ვაფა).

ატრიბუტულმსახდურელებთან შესიტყვებაში შეიძლება არ გვექნდეს ზედსართავი და გვექნდეს სხვა ატრიბუტული მსახდურელები: მიმდებარე, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი. გეხდება მათი სხვადასხვაგვარი დალაგება; სახელდობრ, ასე:

ა) თუ ერთ-ერთ მსახდურელად არის მიმდებარე, იგი, მსგავსად ზედსართავისა, მეორე ადგილს იჭერს, პირველზე კი რიცხვითი სახელი ან ნაცვალსახელი დადგება (ზედსართავთან კი, როგორც ვნახეთ, მიმდებარე პირველ ადგილზე; ჩახუქებული ძველი ქართველი).

ნაცვალსახელი + მიმდებარე

¹⁰ ზოგჯერ შესიტყვების შინაარსიც სხვაგვარ ნიუანსს იძენს.



ის დალოცვილი მღვდელი ხშირად მიგებდა ხოლმე (ილია).
უბრის კაცს არაერთი მზამზარეული შედგენილი აზრი არა აქვს (ვაჟა).
ზოგი... იქნებ ჰკიცხავდა კიდევ ნატოს ასეთი თავდადებული შრომისათვის (მხ.
მრველ).

თუ მიმღობას ახლავს თავისი ამხსნელები, მან შეიძლება პირველ ადგილზე გადმოიწი-
ოს, ნაცვალსახელი და რიცხვითი სახელი კი მეორე ადგილს დაიკავებს.
მაგალითად:

დარდისაგან წელში გაწვეტილი, უდროოდ დაბერებული მისი ცოლი ოჯახში ჩერიასავით
ტრიალებდა (დ. შენგ.).
(შდრ., მისი დაბერებული ცოლი).
შანტლან გავიდა სათბობით დატვირთული ოცდამეშვიდე ეშელონი (პრეს).
ოქროს მონეტებით სავსე შვიდი ქოთან იყო (პრეს).

რიცხვითი სახელი + მიმღობა

ორი საცოლშიწოდო ადურებული ვაჟკაცის სიკვდილის შემდეგ ღვეანა კიკაბიძეს ამ ქვე-
ყანასთან აღარც საქმით ჰქონდა რაიმე ურთიერთობა და აღარც სიტყვით (ო. იოს).
ბანხე ხუთი რჩეული ბიჭი ერთბაშად ამოლაგდა (დ. შენგ.).

ბ) ატრიბუტულ მსაზღვრელთაგან ერთ-ერთი შეიძლება იყოს **რიცხვითი სახელი**, როგორც
ენახეთ, ზედსართავთან და მიმღობასთან მეზობლობისას რიცხვითი სახელი პირველ ად-
გილს იჭერდა, ნაცვალსახელთან კი მეორე ადგილზეა.

ნაცვალსახელი + რიცხვითი სახელი

ის ორი ხალხია; ჩემი ოთხი წიგნი; მისი ერთი ვაჟი; შენი ორიოდუე სიტყ-
ვა...
მისი მეორე ლიტერატურული ფხველონიში იყო „შავიბიჭა“ (პრეს).

გ) რაც შეეხება **ნაცვალსახელს**, როგორც ენახეთ, სხვა ატრიბუტულ მსაზღვრელებთან
(ზედსართავი, მიმღობა, რიცხვითი სახელი) თანამსაზღვრელობისას იგი ყოველთვის პირველ
ადგილზეა, ხოლო, თუ ორივე მსაზღვრელად ნაცვალსახელია, ასეთი წყობა გვაქვს:

ჩვენებითი ნაცვალსახელი + კუთვნილებითი ნაცვალსახელი:

რატომ ჩავივარდა ეგ შენი ტიკტიკა ენა (ილია).
ფურკამში მია ჩემი რძლისაა (ნ. ლომ).

ჩვენებითი ნაცვალსახელი + განსაზღვრებითი ნაცვალსახელი:

ეს რამდენიმე ბიჭი... ეს რაღაც უშმაკური ხელოები (ილია).
განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი + კუთვნილებითი ნაცვალსახელი:
ერთი შენი გაშოხედვა... ერთი შენი გაცივნება...

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი + კუთვნილებითი ნაცვალსახელი:

იქ ბარში, ყველა ჩემი ტოლები შტრებში ვეფხვით დანაწარდობენ (აკაკი).

თავი რომ მოეუყაროთ ყველაფერ ამას, ყველა ატრიბუტული მსაზღვრელის სხვადასხვაგ-
ვარი შესაძლო კომბინაცია ასეთ სურათს მოგვცემს:

- ზედსართავი + ნაცვალსახელი - პირველ ადგილზეა ნაცვალსახელი („ეს ბუმბერაზი მოები“).
- ზედსართავი + მიმღობა - პირველ ადგილზეა მიმღობა („ნატარებული მათემატიკური ოლ-
იმპიდა“).
- ზედსართავი + რიცხვითი - პირველ ადგილზეა რიცხვითი („ერთმა წვირიანმა ღორმა“).
- ზედსართავი + ზედსართავი - პირველ ადგილზეა ვითარებითი („ძველი ტყუპული ღო-
ბე“).
- ე. ი. ზედსართავი, ჩვეულებრივ, მეორე ადგილზეა.



ქართული ენის
სიტყვების
მნიშვნელობები

ნაცვალსახელი + ზედსართავი - პირველ ადგილზეა ნაცვალსახელი („ეს ბუნებრივი მთაა“).

ნაცვალსახელი + მიმღობა - პირველ ადგილზეა ნაცვალსახელი („ის მოტეხილი ტოტი“).

ნაცვალსახელი + რიცხვითი სახელი - პირველ ადგილზეა ნაცვალსახელი („ჩემი ორი ძმა“).

ნაცვალსახელი + ნაცვალსახელი - პირველ ადგილზეა ჩვენებითი, მეორეზე - კუთვნილებითი („ეს შენი ტიკტია ენა“).

პირველ ადგილზეა ჩვენებითი, მეორეზე - განუსაზღვრელობითი („ეს რამდენიმე ბიჭი“).

პირველ ადგილზეა განუსაზღვრელობითი, მეორეზე - კუთვნილებითი („ერთი შენი ვაცინება“).

პირველ ადგილზეა განსაზღვრებითი, მეორეზე - კუთვნილებითი („ყველა ჩემი ტოლები“).

ე. ი. ნაცვალსახელი პირველ ადგილზეა.

რიცხვითი სახელი + ზედსართავი სახელი - პირველ ადგილზეა რიცხვითი („ერთმა წვირიანმა ღორმა“).

რიცხვითი სახელი + ნაცვალსახელი - პირველ ადგილზეა ნაცვალსახელი („ჩემი ორი ძმა“).

რიცხვითი სახელი + მიმღობა - პირველ ადგილზეა რიცხვითი („ორი თავგატეხილი კოდალა“).

ე. ი. რიცხვით სახელს შეიძლება უსწრებდეს მხოლოდ ნაცვალსახელი.

მიმღობა + ზედსართავი სახელი - პირველ ადგილზეა მიმღობა („ჩატარებული მათემატიკური ოლიმპიადა“).

მიმღობა + ნაცვალსახელი - პირველ ადგილზეა ნაცვალსახელი („ის მოტეხილი ტოტი“).

მიმღობა + რიცხვითი სახელი - პირველ ადგილზეა რიცხვითი სახელი („ორი თავგატეხილი კოდალა“).

ე. ი. მიმღობა მხოლოდ ზედსართავთან თანახმად ვერცხვობის შემთხვევაშია პირველ ადგილზე.

მაშასადამე, შეთანხმებულ მსაზღვრელთა შორის პირველ ადგილზე ყველაზე მტკიცედ დგას ნაცვალსახელი, შემდეგ რიცხვითი სახელი, რომელსაც მხოლოდ ნაცვალსახელი შეიძლება უსწრებდეს, შემდეგ მიმღობა (იგი პირველ ადგილს უთმობს ნაცვალსახელსა და რიცხვით სახელს), რაც შეეხება ზედსართავ სახელს, იგი, ჩვეულებრივ, მეორე ადგილზეა.

* * *

ზემოთქვამი ეხებოდა ისეთ შესიტყვებებს, სადაც ყველა მსაზღვრელი ატრიბუტული, შემთხვევითი იყო.

სხვა წესები მოქმედებს, როდესაც რამდენიმე მსაზღვრელიან შესიტყვებაში ერთ-ერთი მსაზღვრელი მართულია.

უნდა შევნიშნოთ, რომ მართულმსაზღვრელიან შესიტყვებას მეორე, მესამე ან მეოთხე მსაზღვრელად შეიძლება დაერთოს არსებითი სახელი. ასეთ შემთხვევაში ეს არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნებაშია და ყოველთვის წინ დგება.

მაგალითად:

- სოფლის ჩაის პუნქტი (ნ. დუმბ).
- ირანის ხალიჩების ფაბრიკა (პრეს).
- დედის შავი ხატინის კოფთა (ო. იოს).
- მცხეთის სეპტიცხოვლის დიდი ტაძარი (დ. ასათ).
- სახელმწიფოს ოქროს ფონდი (პრეს).
- თბილისის აბრეშუმის ფაბრიკა.

არსებით სახელთა მსგავსად მართულ მსაზღვრელთან თანამსაზღვრელობისათვის ყველა ნაცვალსახელიც (გარდა განსაზღვრებითისა) პირველ ადგილზე დგას.

ა) ჩვენებითი ნაცვალსახელი:

იმ კაკლის ხის აქეთ ჩვენი ხახლია (რ. ინან).

ჯაბა... იმ ნიკელის საწოლში იწვა (ტ. ყიფი).
მაკამ ორივე სიტყვით ახსენა ის ქარხნის დირექტორი (ო. იოს).
ამდენი მკვლელთა ყმუილი უამბოდ არ ჩაიფლისო (ანდაზა).

ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელი:

ეს მშობლიური ქარია ჩვენი ალგეთის ველების (ლ. ასათ).
ილია ოთახში შესულა. იქიდან გამოუტანია თავისი ოქროს კალამი (ს. შანშ).

გ) განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი:

ამბობენ, რუსთ ხელმწიფის ბაღში ერთი ოქროს ოთახიარო (ილია).
მამაშენს ერთი ოქროს წყარო აქვს (თ. რაზიკ. ზღაპ.).
მივიდა ერთ ოქროს ქალაქში (თ. რაზიკ. ზღაპ.).

დ) კითხვითი ნაცვალსახელი:

როგორი ოქროს საციქველი ხარ, რომ არ გეთხოვებო (ხალხ).

ე) უარყოფითი ნაცვალსახელი:

[სურსულს] არავეითარი სოფლის წამალი არ მიუდგა (ო. იოს).
როგორც აღვნიშნეთ, ნაცვალსახელთაგან მეორე ადგილზე შეიძლება შეგვხვდეს გან-
საზღვრებითი ნაცვალსახელი:

თრუსოს ხეობა მნახველის ყველა მოლოდინს აჭარბებს (პრეს).

პირველად საწარმოს ყველა უბანი უნდა შემოიაროს (პრეს).

ფაბრიკის ყველა მუშა-მოსამსახურე... პასუხისმგებლობით ეკიდება... ამოცანების შეს-
რულება (პრეს).

სოფლის ყველა სტუმარიც რომ თავს დახვევოდა, ყველას გაუკუჭავდა [კაკალს] (ო. ჩხ).

[მატრიალურმა წახალისებამ] კიდევ უფრო დააინტერესა წარმოების თითოეული მუშაკი
(პრეს).

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ განსაზღვრებითი ნაცვალსახელი მეორე ადგილზეა ჩას-
მული ყველა იმ შემთხვევაში, როცა შესიტყვების შინაარსი კუთვნილებას გამოხატავს.

ასეთი შინაარსის შემცველ შესიტყვებაში განუსაზღვრელი ნაცვალსახელიც მეორე ად-
გილზე იმის.

მაგალითად:

ქელქვა ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში
(პრეს).

თავადაზნაურთა რამდენიმე ოჯახი...

მაგრამ ამის შესახებ სპეციალურად ქვემოთ.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ზოგჯერ აუცილებელი ხდება ჩვენებითი ნაცვალ-
სახელის დასმა მეორე ადგილზე. ესეც ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესიტყვების შინაარსი
კუთვნილებას გადმოსცემს.

მაგალითები:

მან ვეღარ მოითმინა სიძის ასეთი უდარდელობა (დ. კლდ).

სიტყვათა შინაარსის ამგვარი ცვლა (ტ. შატბ).

ამიტომ საერთო ნორმიდან გადახვევას წარმოადგენს სიტყვათა დალაგება ქვემოთყვანილ
წინადადებებში:

სონია... ამგვარმა ეკვირინეს ღაპარაკმა სრულიად მოპლდა (დ. კლდ).

ბევრჯერ მინახავს სხვაგანაც მაგისტთანა ფანჯრის... სამკაული (ილია).

წვეულებრივ იქნებოდა: ეკვირინეს ამგვარმა ღაპარაკმა... ფანჯრის მაგისტთანა სამკაული...
ზემოაწინააღმდეგებულ შემთხვევებში სიტყვათა რიგის საკითხი არც თუ ისე მწვევედ დგას, ად-
ვილად ხერხდება გარკვეული კანონზომიერების დადგენა.



უფრო რთულია ვითარება, როდესაც მართულმსახერგულიან შესიტყვებას მხარვეზობა ურევლად ემატება რომელიმე ატრიბუტული მსახერგული - ზედსართავი, მიმღეობა ან რიცხვითი სახელი.

ასეთ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, სიტყვათა რიგი მერვევია, ხან ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსახერგულია პირველ ადგილზე (ამხანაგის ორი კოვზი, სოფლის ყველა მცხოვრებები; ღვინის დიდი სურათი; ქალის თეთრი ხელი), ხან კი - ატრიბუტული (ორი ვერცხლის კოვზი, ვიწრო სოფლის ორბოლო, თეთრი რიყის ქვა...).

ბუნებრივად დაისმის კითხვები: რატომ ხდება ასე? რა შემთხვევაში რომელი მსახერგული უნდა დაისვას პირველ ადგილზე? შეინიშნება თუ არა რაიმე კანონზომიერება? რამ შექმნა ეს სირთულე ენაში? რა მდგომარეობა გეჰქონდა ძველ ქართულში?

დავიწყოთ უკანასკნელი კითხვიდან.

ახალი ქართულიდან განსხვავებით ძველ ქართულში მსახერგული ეთანხმებოდა საზღვრულს ბრუნვაში, ბრუნვის ნიშნები სრულად იყო წარმოდგენილი მსახერგულთანაც. განსხვავებული იყო მსახერგულ-სახერგულის წყობაც: მსახერგული უპირატესად მოხდებოდა საზღვრულს: ასეა ისეთ შემთხვევებში, სადაც სახელთან ერთი მსახერგული გვაქვს.

რამდენიმე მსახერგულიან შესიტყვებაში შეიძლება მსახერგულებს სხვადასხვაგვარი პოზიცია დაეკვირვებინათ საზღვრულის მიმართ:

ა) ან ყველა მოხდებოდა საზღვრულს (ეს შემთხვევა ყველაზე ხშირია ძველ ქართულში).

კოლ ტი დორთაე მხოვარი (მ 8.30).

ბ) ან ყველა წინ უძღოდა:

დაფარულსა კაცთა ხაქმესა, ვითარცა ცხადსა ამხილებდა (ხანთ. მგ 10).

გ) ან საზღვრულის ორსავე მხარეს ნაწილდებოდნენ:

და იხილა ორნი ასულნი მისნი (დაბ. 33.5).

მსახერგულთა ასეთი სხვადასხვაგვარი პოზიცია დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელი მტკვევლების ნაწილი იყო გადმოცემული ეს მსახერგულები და რა სახის მსახერგულები იყო შესიტყვებაში, - ყველა შეთანხმებული, თუ ერთი მათგანი მართული¹¹.

პირველ ადგილს იჭერდნენ რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელები (წვენებითი, განსახერგებითი და განუსახერგელობითი);

მეორე ადგილს - ზედსართავი სახელი (როცა ყველა მსახერგული ატრიბუტული იყო), ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსახერგული (როცა ერთ-ერთი მსახერგული მართული იყო), მიმღეობა და კუთვნილებითი ნაცვალსახელი.

მართულმსახერგულიან შესიტყვებაში რიცხვითი სახელი და ზედსართავი სახელი ხან წინ უძღოდა საზღვრულს, ხანაც მოხდებოდა.

მაგალითად:

შიში დიდი ბნელისაჲ მოიწია მას ზუდა (დაბ. 15.12).

და იყო მყესულად ბორბალი ქარისაჲ დიდი (მარკ. 4.37).

გ. ი. ზედსართავის ადგილი ძველ ქართულში შეუზღვეველი იყო: ახალ ქართულში სურათი შეიცვალა: მსახერგულმა სახელმა უპირატესად საზღვრულის წინ დაიმკვიდრა ადგილი. პოსტპოზიციური წყობა მთლიანად შეიცვალა პრეპოზიციურით და უკანასკნელი გაბატონდა კიდევ (მაგ.: ვრცელი ქვეყანა და არა: ქვეყანა ვრცელი...) ამას მოჰყვა შეთანხმების შესუსტება, ბოლომდომიან სახელთა შეთანხმების მოშლა საზღვრულ სახელთან (მწვანე ველ-

¹¹ იხ. ივ. იმნაიშვილის, ც. კალაძის, ღ. ქანთარია, ა. კიხიას ზემოდასახელებული შრომები; აგრეთვე ვ. კახაძე, მსახერგულ-სახერგულის თანმიმდევრობა ოთხთავში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, VI, თბილისი, 1953, გვ. 371-380; აგრეთვე კრებული „სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, თბილისი, 1956, გვ. 329-358. მაგალითები ამ ავტორთა შრომების მიხედვით მოგვყავს.

მა, მწვანე ველს...)»¹².

ამგვარად, ძველ ქართულში იყო: **სახლ-მან ქვისა-მან**, ახალ ქართულში არის: **ქვის სახლ-მა**. როდესაც სახელს ერთი მსახლერული ახლავს პრეპოზიციურად, ბრუნვაში შეთანხმების მაგიერობას ადვილად სწევს მსახლერელის ადგილი, მისი წინ დასმა, მაგრამ საკმარისია ერთ სახლერულს რამდენიმე მსახლერული დაუკავშირდეს, რომ მაშინვე დადგება მათი დაღვების, სიტყვათა რიგის საკითხი. **დანგრეული** (მაღალი, პატარა...) **ქვის სახლი** თუ **ქვის დანგრეული სახლი**; **მაღალი ხის კბე** თუ **ხის მაღალი კბე**—

ეს სირთულე ახალ ქართულში გაჩნდა, ძველ ქართულში იგი არ იყო, რადგანაც, ჩვეულებრივ, ასეთ მსახლერულს (კვლიდა სახლერულთან ბრუნვახა და რიცხვში შეთანხმებული მსახლერული, რომლის სინტაქსური კავშირი სახლერულთან სათანადო ფორმით იყო გადმოცემული. ეს კი სახეებით საქმარისი იყო ამ სიტყვათა კავშირის ნათელსაყოფად, როგორც არ უნდა დაშორებოდნენ ისინი ერთმანეთს.

ახალ ქართულში მდგომარეობა გართულდა იმით, რომ საქმეში ჩაერია სრულიად სხვა ტიპის შესიტყვება, კერძოდ შესიტყვება მსახლერულიანი მსახლერულით (ორი **კურდღლის** **მაღველის** **შის ტიპისა**).

ძველ ქართულში ასეთ შესიტყვებაშიც მართული მსახლერული მოხდევდა სახლერულს; სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ასეთი ნიმუში: **დღეი დიდისა მის დღესასწაულისა**. ასეთი შესიტყვება განსხვავდებოდა ჩვენთვის საინტერესო შესიტყვებისაგან; იბრუნებოდა მხოლოდ კიდური წვერები: **დღემან** დიდისა მის **დღესასწაულისამან**¹³ (იქ კი იბრუნებოდა ყველა წვერ: **ყოველთა მწიგნობართა კისათა**).

საშუალო საუკუნეების სამწერლობო ენაში მსახლერელმა თავის სახლერულიანად წინ გადმოიწია და მივიღეთ: **დიდის დღესასწაულის დღე**.

მე-19 საუკუნიდან კი პირველი მსახლერელის ნათესაობითი ბრუნვის -ს დაიკარგა: **დიდი დღესასწაულის დღე**¹⁴. ისე რომ, ძველ ქართულის ორი სხვადასხვაგვარი შესიტყვება:

სახლი ხისა დიდი (სახლმან ხისამან დიდმან) და **დღეი დიდისა მის დღესასწაულისა** (დღემან დიდისა მის დღესასწაულისამან) გარეგნულად სხვებით დაეშვა ერთმანეთს:

დიდი ხის სახლი

დიდი დღესასწაულის დღე

რა თქმა უნდა, ამ ორი შესიტყვების წვერთა შორის სინტაქსური ურთიერთობა სხვადასხვაგვარია. **დიდი** პირველ შესიტყვებაში განსახლერება **სახლისა** და სახელობით ბრუნვაშია, მეორე შესიტყვებაში კი — დიდი განსახლერება **დღესასწაულისა** და ნათესაობით ბრუნვაშია.

ბუნებრივია, ასეთი დამსგავსების შედეგად ორბრუნვების საფორმე იქმნება, რადგან პირველ შემთხვევაშიც მსახლერელის ფორმა (დიდი) შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტმოკვეცილ სახედ და, თუკი შესაძლებელია მომდევნო მსახლერულთან მისი სემანტიკურად დაკავშირება, შესაძლებელი ხდება მთელი შესიტყვების აზრი სხვაგვარად იქნეს გაგებრი. მაგალითად, ავიღოთ შესიტყვება **დიდი ხის ტოტი**, რადგან **დიდი** შეიძლება იყოს **ხეც** და **ტოტიც**, ეს შესიტყვება შეიძლება გაიგოთ ორგვარად: **დიდი ხის ტოტი** (დიდია **ტოტი**), **დიდი ხის ტოტი** (დიდი ხე).

მაგრამ გარეგნულად დამსგავსებული ამ ორი სხვადასხვაგვარი შესიტყვების წვერთა სინტაქსური ურთიერთობის სხვადასხვაგვარობა კარგად გამოჩნდება ორივე შესიტყვების ბრუნვისას. სახელდობრ, შესიტყვების წვერები იბრუნვიან სხვადასხვაგვარად იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვგუფდებიან ისინი სინტაქსურად: **დიდი** არის განსახლერება მართული მსახლერელისა (დიდის **ხის**), თუ სახლერულია (დიდი **ტოტი**). თუ დიდი მართულ მსახლერულს განსახლერავს, — შეთანხმებულია მასთან და აღარ იბრუნვის (დიდი[ს] **ხის ტოტი**, **დიდი[ს] ხის ტოტმა**), ხოლო, თუ **დიდი** სახლერულის (ტოტი) მსახლერულია და პირველ ადგილზე დგას, იბრუნვის (დიდმა **ხის ტოტმა**):

¹² ვ. თოფურია, გრამატიკულ მოკლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. სახელის ფუნქცია და ბრუნვის ნიშანთა ურთიერთმოქმედება; იკვ. VI, 1954, აგრეთვე კრებულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 203.

¹³ დღესა დიდისა მის დღესასწაულისასა (თანე, 7,37).

¹⁴ ივ. ქავთარაძე, განსახლერებითი დამოკიდებული წინადადების მართლწერისათვის, კურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1954, №12, გვ. 41-47.

სახ.	დიდი ხის ტოტი	დიდი ხის ტოტი
მოთხრ.	დიდ-მა ხის ტოტ-მა	დიდი ხის ტოტ-მა
მიც.	დიდ ხის ტოტ-ს	დიდი ხის ტოტ-ს
მიმართ.	დიდ ხის ტოტ-ად	დიდი ხის ტოტ-ად
ნათ.	დიდი-ი ხის ტოტ-ის	დიდი ხის ტოტ-ის
მოქმ.	დიდი-ი ხის ტოტ-ით	დიდი ხის ტოტ-ით
წოდ.	დიდი-ო ხის ტოტ-ო	დიდი ხის ტოტ-ო

აქედან ჩანს, ამ ორი განსხვავებული ტიპის შესიტყვების სრული ფორმალური დამთხვევა გვაქვს სახელობითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვაში. სწორედ ეს ფორმები ქმნიან ორაზროვნებას:

სახ. დიდი ხის ტოტი = დიდი ხის ტოტი და დიდი ხის ტოტი
 ნათ. დიდი ხის ტოტ-ის = დიდი ხის ტოტის და დიდი ხის ტოტის
 მოქმ. დიდი ხის ტოტ-ით = დიდი ხის ტოტით და დიდი ხის ტოტით

რაც შეეხება სხვა ბრუნვებს, ატრიბუტული მსახლერელის გაფორმება ბრუნვის ნიშნებით ამ ორი ტიპის შესიტყვების გარეგნულ შესაძლებლობას ქმნის:

დიდმა ხის ტოტმა უკვე აღარ ირევა მეორე შესიტყვებაში, რომელიც მოთხრობითში ასეა: **დიდი ხის ტოტმა**, ასევეა მიმართულებითსა და მიცემითში, თუმც სიტყვათა რიგი აქაც ვერაა გამართული.

მაგალითად: [კაცმა] ჩიბუხში დაუწყო თითით ტენა ხელისგულზე გაფშვანტიღს თამბაქოს კლერტებს (ვაჟა).

რადგანაც ბრუნვის ნიშნები განარჩევენ ამ ორ განსხვავებულ შესიტყვებას, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მათ მართებულად ხმარებას.

იაკობმა თუითონ შეაყენა მიხახი ხმელ შეშის ზვინზე (რ. გვერ).

ხმელ მსახლერელია შეშისა, მასთან უნდა იყოს შეთანხმებული (ხმელის). აქ კი ხმელ ბრუნვის ნიშანმოკვეცილი ფორმითაა წარმოდგენილი, **ზვინ-თან** შეთანხმებული გამოდის და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხმელია ზვინი. უნდა იყოს: **ხმელი შეშის ზვინზე**.

ასეთია ჩუენი ხეაღინდეღ გადაცემათა პროგრამა (ტელეგადაცემა). ჩუენი მსახლერელია გადაცემებისა, ამიტომ უნდა იყოს: **ჩუენ... გადაცემათა ან ჩუენი ხეაღინდეღი გადაცემების...**

ამბავი პირველი ოფლიანი მანეთის შოენისა (მ. ჯავახ).

უნდა იყოს: **პირველი ოფლიანი მანეთის**, რადგან **პირველი** განსაზღვრებაა **მანეთისა**.

მსგავსი შემთხვევები შეთანხმების აღრევისა გეხვდება ი. ჭავჭავაძის ნაწერებშიც: თავის განუშორებელ მეუღლითურთ... ბურო ერთი მხრე მთელ კაღოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით გაწოლილიყო... ღუარსაბა... სწუხდა ეხლანდეღ დროების ჭირისა გამო და სხვ.

მაშასადამე, სიტყვათა რიგში ისტორიულად მომხდარმა ცვლილებებმა – სიტყვათა რიგის შეცვლამ და შეთანხმების მოშლამ გამოიწვია ორი განსხვავებული შესიტყვების გარეგნულად დამსგავსება, რამაც შექმნა ორაზროვნების წარმოშობის საფრთხე.

რა საშუალება მონახა ენამ ამ ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად? პირველი შთაბეჭდილება ასეთია: თუ შეთანხმებული მსახლერელის წინ დასმა ორაზროვნებას იწვევს, მაშინ ეს ამხსნელი შუაში ჩაისმის (**ხის დიდი ტოტი**), სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხედნართაული ამხსნელი **დიდი** უშუალოდ წინ დაესმის მის მიერ ახასხნელ სიტყვას: თუ იგი **ტოტს** ხსნის, გვექნება: **ხის დიდი ტოტი**, ხოლო, თუ **ხის** მსახლერელია – **დიდი ხის ტოტი** (სწორედ ასე ესმით ეს საკითხი, როდესაც წერენ: **ძროხის ცივი ქონი, წიგნის ორი მაღაზია ან ღვინის დიდი კასრი**).

მაგრამ ასეთი გადასმა ყოველთვის როდი ხდება. როგორც აღვნიშნეთ, ენაში არის გარკვეული გამონათქვამები, რომლებთანაც ატრიბუტული მსახლერელი უყოყმანოდ წინ ისმის

მოხუცდავად იმისა, რომ მეზობლად მოხვედრილ მსახვრელთა სემანტიკური დეკავშირები პრინციპულად შესაძლებელია.

მაგალითად: **კარგი ღვინის დოქი**. კარგი ღვინოც შეიძლება იყოს, მაგრამ ასეთი დავა-
ვილების საფრთხე არ იქნება. ასევე: **მადალი ხის კიბე** (მადალი კიბე); **უზარმაზარი მუხის
ფიცარი** (უზარმაზარი ფიცარი); **ღამაზი ქალის საათი** (ღამაზია საათი); **კარგი ქვის სახლი**
(კარგია სახლი)...

მეორე მხრივ, ზოგჯერ მსახვრელთა სემანტიკური დეკავშირება სულაც არაა მოხლოდ-
ნელი და მინც ატრიბუტული მსახვრელი მეორე ადგილზე ჩაისმის ხოლმე.

მაგალითად: **ამერიკის ორი თვითმფრინავი; რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი; მა-
კას გუშინდელი საქციელი; დედის შეგარჩოიანი სურათი...**

შეუძლებელია შეთანხმებულ მსახვრელთა წინ დამით ასეთი წყვილები შეიქმნეს: ორი
ამერიკა, გუშინდელი მაკას, მუდმივი რესპუბლიკის, შეგარჩოიანი დედის...

მაშასადამე, სიტყვათა წყობა აქ ორახროვნების შექმნის საშიშროებით ვეღარ აიხსნება, ე. ი. მხოლოდ სემანტიკური მხარე ყოველთვის ვერ აგვიხსნის სიტყვათა რიგის თავისებურებებს.

(ცხადია, რომ რაღაც სხვა ფაქტორი ახდენს გავლენას სიტყვათა რიგზე, განსაზღვრავს
სიტყვათა თანამიმდევრობას, აწესრიგებს მას.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოხლოდნელი ბუნდოვანება და ორახროვნება ენაში მოწეს-
რიგდა იმის შემთხვევაში, რომ მოხდა გამონათქვამთა დაჯგუფება გარკვეული წესის მიხედვით.
ნათელია, რომ ერთი მხრივ, არის შესიტყვებები, რომლებიც გარკვეულ სიმყარეს იჩენენ,
არ ითიშებიან და შეთანხმებულ მსახვრელს წინ დაისვამენ (თუნდაც ისეთი მსახვრელები
იყრიდნენ თავს, რომელთა შინაარსობრივად დაკავშირება შესაძლებელი იყოს).

მეორე მხრივ კი – გამონათქვამები, რომელთაც ასეთი სიმყარე არ გააჩნიათ, ითიშებიან
და ატრიბუტულ. შეთანხმებულ მსახვრელს შუაში ჩაირთავენ (თუნდაც ამ მსახვრელთა
დასმა ორახროვნების საფრთხეს არ ქმნიდეს).

რა ქმნის მყარ გამონათქვამს, – ხშირად ხმარება, თუ მნიშვნელობითი მხარე? რომ ხშირად
ხმარება არ არის გადაწყვეტილი, იქიდან ჩანს, რომ ბევრი ხშირად სასხვოდ შესიტყვება
არაა მყარი, იყოფა და შეთანხმებულ მსახვრელს შუაში ჩაისვამს.

მაგალითად: **ზამთრის ღამე, მეზობლის ეზო, შემოდგომის სუსხი, საქართველოს სპარ-
ტაკიადა, კოლექტივის წვერი.**

ვაშპოთ: **ზამთრის ცივი ღამე, შემოდგომის პირველი სუსხი, მეზობლის ამწვანებული
ეზო, საქართველოს მეოთხე სპარტაკიადა, კოლექტივის ახალი წვერი...**

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მართლმსახვრელიანი შესიტყვების სიმეტრიც და გამძლეო-
ბა დაკავშირებულია თვით ამ გამონათქვამის შინაარსთან, მის მნიშვნელობითს მხარესთან,
სემანტიკასთან.

შედასრულოთ მეტ სიმყარეს იჩენენ (ე. ი. არ გაითიშებიან და მათ შორის ატრიბუ-
ტული მსახვრელი არ ჩაისმის) ისეთი მართლმსახვრელიანი შესიტყვებები,
რომლებშიც მსახვრელები გამოხატავენ მასალას (ნივთიერებას), დანიშნუ-
ლებას ან წარმომავლობას. ხოლო ისეთი შესიტყვებები, რომლებშიც
მსახვრელი ვარაუდობს კუთვნილებას გამოხატავენ, თითქმის ყოველთვის ითი-
შებიან და ატრიბუტული მსახვრელი შუაშია ჩასმული.

I. მასალას ან ნივთიერებას გადმოსცემენ მსახვრელები შემდეგ შესიტყვებებში:

ოქროს საათი (ბეჭედი, საყურე, სამაჯური, ძეწკვი, ქინძისთავი, მედალიონი, მანეთიანი,
ფული, გვირგვინი, სკიპტრა, მედალი, ღერბი, თახი, ღილი, ჯაჭვი, მადანი, ძაფი, ჩარდახი,
ასოები, ხანა, საუკუნე...);

ვერცხლის კოეზი (ბეჭედი, საყურე, თახი, ძეწკვი, მედალი, საათი, ფული, ღილი, სამარი-
ლე, სამაჯური, ბადია...);

სიღვინძის თუნგი (ქვაბი, ქაფქირი, ჭურჭელი, ფული, მონეტა, შაურიანი, ფარი...);

რკინის ჯავშანი (ჭიშკარი, მოაჯირი, ღიანდაგი, საწოლი, გალია, ღილები, პერანგი...);

ჯაჭვის ჩაბაღახი (პერანგი...);

აღუმინის ჭურჭელი (ქაფქირი, კოეზი, ჯამი, ქვაბი, სახელური...);

თუჯის ქვაბი (მილი, ფეხები...);

თუნუქის ყუთი (ნივთი, ფურცელი...);
 ბრინჯაოს ფიგურა (ქანდაკება, ბარელიეფი...);
 ნიკელის ჩაიანი (საწოლი, სახელური...);
 პლასტმასის ჩანთა (ნაწარმი, თეფში, ფინჯანი...);
 რეზინის მილი (ფურცელი, საბურავი, ფეხსაცმელი...);
 ქვის სახლი (კობე, შენობა, კედელი, ბოძი, შოაჯირი, ქანდაკება...);
 ხის კიბე (სახლი, შენობა, კედელი, ბოძი, ყუთი, სკამი, სუფრა, საწოლი, ჯამი, კოფი, ფეხი...);
 თიხის ჯამი (დოქი, ჭურჭელი...);
 ფაიფურის ფინჯანი (ჯამი, თეფში, ჭურჭელი...);
 ბროლის ჭიქა (თახი, ღარნაკი, ჯამი...);
 აგურის ბუხარი (სახლი, კედელი...);
 გიშრის მძივი (საყურე, თმა...);
 ქარვის კრიალოსანი (მძივი...);
 მარგალიტის მძივი (ყელსაბამი, წვეთი...);
 ფიცრის კედელი (სკამი, იატაკი, დობე, ყუთი...);
 წნელის ღობე (კალათი...);
 ფიჭვის (მუხის) ფიცარი...
 თხილის (შინდის...) წნელი...
 ვაზის ჯვარი...
 მატყლის წინდა...
 ჩითის კაბა (პურანგი, თავსაფარი, ფარდა...);
 სატინის კაბა (ხალათი...);
 ხავერდის ფარდა (კაბა, შარვალი, ხალათი, ქსოვილი...);
 ტილოს ხალათი (კაბა, ფარდა, ფეხსაცმელი, შარვალი...);
 ნარმის პურანგი;
 შაღის კაბა (კოსტიუმი, შარვალი, პალტო...);
 აბრეშუმის პურანგი (კაბა...);
 ფარჩის კაბა...
 ტყავის (რეზინის, ტილოს) ფეხსაცმელი, ტყავის პალტო...
 ქონის (თაფლის, კარტოფილის) ხანთელი...
 ისლის სახურავი;
 თოვლის ფანტელი (გუნდა...);
 ცომის გუნდა...
 ასეთი გამონათქვამები არ გაითიშება, მათთან ატრიბუტული მსახვერედი წინ ისმის, მაგალითად: დიდი ოქროს საათი, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, პატარა ალუმინის ქვაბი, ახალი ნიკელის საწოლი, დიდი თოვლის გუნდა...

II. დანიშნულებას გადმოსცემენ მსახვერელები შემდეგ შესტყეებებში:

ღვინის კასრი (ჭიქა, დოქი, ჭურჭელი, ქარხანა, ბოთლი...);
 წყლის დოქი (სუფრა, ჭიქა, ჭურჭელი...);
 ჩაის ჭიქა (ფაბრიკა, ყუთი...);
 ნავთის კასრი (ბოთლი, ჭურჭელი...);
 ასანთის (პაპიროსის...) ყუთი (ფაბრიკა, ღერი...);
 პაპიროსის ქაღალდი (ყუთი);
 მურაბის (ყველის) ქილა...
 სკოლის (სამხარეულოს, სახლის...) ავეჯი...
 შაქრის ქარხანა; ხალიჩების ფაბრიკა; წიგნის მადახია; სუფრის ღვინო; პურანგის დიდი;
 კეცის მიწა; ძმის დოქი (ბოთლი); თიხის ტარი; სპორტის (შოაგრობის, პიონერთა, მეფის...) სახალდე; ხელოვნების (ისტორიის...) მუზეუმი; ტელეფონის ჯიხური; ქორწინების სახლი; ტელევიზორის (რადიოს) მაგიდა (ანტენა...); მოსწავლის ფორმა (ჩანთა, კალამი, რეკული...); სკოლის მერხი; ღამის დარაჯი (შირიფე, ტრამეია)...

ამ რიგის გამონათქვამებთანაც ატრიბუტული მსახვერედი წინ დაისმის: დიდი ღვინის



კასრი; გატეხილი ღვინის ჭიქა; ღამაზი პაპიროსის ყუთი; დიდი შაქრის ქარხანა...¹⁵

III. წარმომავლობას გვიჩვენებენ მსახლერელები შემდეგ შესიტყვებებში:

თხის (ღორის, ბატის, ძროხის, დათვის, ცხვრის, ქათმის...) ქონი;

ღორის (ძროხის, ქათმის, ინდაურის, ბატის, იხვის, თხის, კამენის, კურდღლის, დათვის, ხარის, წიწილის...) ხორცი;

ძროხის (კამენის, თხის, ცხვრის...) რძე, ყველი;

ხარის (ჯიხვის, დათვის, თხის, მელიას, კურდღლის...) ტყავი;

მელიას (კურდღლის, წავის...) ბეწვი;

ზღვის კენჭი (მცენარე, ღორი, ღომი...), რიყის ქვა, მთის ქანები; სოფლის წამალი;

წყაროს (მდინარის, ტბის, ზღვის, გუბის, მტკვრის...) წყალი;

მთის წყარო (მდინარე, ნაკადული, ძაერი, ნიავი...);

ტბის (ზღვის, მდინარის, მტკვრის...) თევზი;

წვიმის (სისხლის, ღვინის, ოფლის...) წვეთი;

ძაღლის (მგლის, ღომის...) ლეკვი; კატის კნუტი, დათვის ბელი, ვეფხვის ბოკვერი, კურდღლის ბაჭია, ქათმის წიწილი; ბატის (ინდაურის) ტუკი; ინდაურის (იხვის) ტუჭული; ყვავის ბახალა...

წარმომავლობა ივარაუდება, ოღონდ განსხვავებული ნიუანსით, ისეთ შესიტყვებებში, როგორცაა: ვაშლის ხე, ჩაის ბუჩქი და სხვ. მათი შინაარსი მიგვიითხებს, რომ საზღვრული (ხე, ბუჩქი...) არის მსახლერელის წყარო, მისი მომცემი, წარმომშობი. ხე არის ვაშლის მომცემი, ბუჩქი – ჩაის მომცემი, წყარო – უკუდავების მომნიჭებელი და სხვ. ასეთებია:

კაკლის (ვაშლის, მხსლის, ატმის, ფურცლის, ტყემლის...) ხე;

ჩაის (ასკიდის, ვარდის, კერინჩხის, კოწახურის...) ბუჩქი;

მაყვლის (გოგრის, კიტრის, ღობოს...) ბარდი;

უკუდავების წყარო; სიყვარულის წამალი და სხვ.

ბუნებრივად დაისმის საკითხი, თუ რა მიმართებაა ასეთ შესიტყვებებსა და კომპოზიციებს შორის. უსეჩი ხომ მყარი შესიტყვებებია, ძალიან ხშირად ერთად რომ იხმარება: მთის ნიავი, წყაროს წყალი, სპილენძის ტურტული, ხის სახლი... სრულიად ადვილად შესაძლებელია ამ მტკიცე გამონათქვამთა ერთ სიტყვად შერწყმა. მართლაც, ასეთ შესიტყვებათგან მიღებული ჩანს შემდეგი კომპოზიციები: რკინიგზა, ვერცხლისწყალი, ვარდისწყალი, პირისწყალი, ჯარისკაცი, კარისკაცი, ხვეისბერი, ცხენისწყალი, მეჯვრისხვეი, ცნობისმოყვარე, სტუმართმოყვარე, პატივმოყვარე, მხარეთმოცონი, ხელოვნეთმოცონი...

მხელია ძიება იმისა, თუ რატომ იქცევა ზოგი გამოთქმა კომპოზიციად და სხვა კი არა. მაგალითად, რკინიგზა კომპოზიტია, რკინის ხიდი არაა კომპოზიტი; მიუხედავად ამისა აუცილებელია და არც თუ მხელი კომპოზიტისა და გამონათქვამის გამიჯვნა.

კომპოზიტი გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ მისი შემადგენელი ნაწილები უკვე ისე მჭიდროდა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი გადასმა ან მათ შორის სხვა სიტყვის ჩასმა არ შეიძლება. მაგალითად: ჯარისკაცი – შეუძლებელია კაცი ჯარისა ან ჯარის მამაცი კაცი.

ხოლო, თუ ორი სიტყვის ისეთი შეერთება გვაქვს, რომელშიც ნაწილები შეიძლება გადაისწავს ან მათ შორის სხვა სიტყვა ჩაისვა, იგი შესიტყვებაა და არა კომპოზიტი¹⁵. მაგალითად: რკინის ხიდი – შეიძლება ვთქვათ ახალი ხიდი რკინისა ან რკინის ახალი ხიდი, მაგრამ არ შეიძლება ახალი გზა რკინისა ან რკინის ახალი გზა. შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ახალი რკინიგზა; ასევე შესაძლებელია ხვეის ძველი სალოცავი ან ძველი სალოცავი ხვეისა, მაგრამ შეუძლებელია ხვეის ახალი ბერი ან ახალი ბერი ხვეისა; უნდა ახალი ხვეისბერი.

IV. ზემოთყვანილი სინტაქსები მყარი შესიტყვებებია. მათგან განსხვავდება შესიტყვებები, რომლებიც კუთვნილებას გამოხატავენ. კუთვნილებას გამოხატავენ მსახლერული სახელები ქვემოთ ჩამოთვლილ სინტაქსებში:

ამხანაგის წიგნი (ჩანთა, რვეული, სახლი, ტანსაცმელი...);

¹⁵ არ. ნ. ი. ბაბა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 162.



მასპინძლის სახლი (ეზო, კარ-მიდამო, ვენახი, ვაჟი...); საქართველოს კურორტები (ქალაქები, სოფლები, ბუნება, ცა, მიწა, ღერბი, ტორია...);

მტრის ციხე (ჯარები, თვითმფრინავი...); თავდაზნაურობის წარმომადგენელი; მთუვეზთა (ქისტები...) სოფელი; მუშათა და გლეხთა სახელმწიფო; თათრების მოჭიდავე; ქვემოელთა ფაღვანი; მხატვრის ფანტაზია; მტკვრის (ალაზნის...) ნაპირები; კოლექტივის წვერი, ხალხის რწმენა; ავტორის ბუნება, მშენებელთა წინადადებები და ა. შ.
ასეთი გამონათქვამები მყარი არაა, ითიშება და ატრიბუტული მსახვრელი ძველ მსახვრელსა და სახლურულს შორის ჩაისმის:
მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი; მთუვეზთა პატარა სოფელი; საქართველოს შენანიშნავი კურორტები; კოლექტივის ახალი წვერი; კახეთის პატარა სოფელი; ხორტის დამსახურებული ოსტატი, ქალაქის მოწინავე ინტელიგენცია...

კუთვნილებასვე გულისხმობს შესიტყვება, რომელშიც რისამე ნაწილია გამოსახული: ბავშვის ხელი; გოგონას თითები; ბიჭის ფეხი; ქალის ტანი; კაცის თვალები; ცხენის თავი (კბილები); სპილოს ხორთუმი; ვირის ყურები; მელიას კუდი; არწივის ფრთები; გველის კანი; ხის (პალმის, მხხლის...) ტოტი (ტანი, ფეხვი, ფოთოლი...); კაკლის (მუხის, დაფნის, ჩის, თამბაქოს...) ფოთოლი; მაგიდის უჯრა (ფეხი...); სკამის ფეხი; როიალის პედალი; გაზეთის გვერდი; ოთახის კუთხე (ჭერი, ფანჯარა, კარი, კედელი...); მარანის (სახლის, ციხის, ბოსლის...); ჩოხის (კაბის, პერანგის...) კალთა და სხვ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი ზოგი გამონათქვამი სიტყვა ხმარებაში ახალი ნიუანსითაა აღჭურვილი, მაგალითად: ძროხის ბეჭი, ძროხის სუკი, ქათმის ბარკალი და სხვ. წარმომავლობაზე მიუთითებს, მტკიცე გამონათქვამდაა ქვეული, ამიტომ იხმარება:

- შემწვარი გოჭის თავი;
- შემწვარი ცხვრის ბარკალი;
- მოხარშული ძროხის ბეჭი;
- შემწვარი ძროხის სუკები და სხვა.

სხვა შემთხვევაში კი შესიტყვება, რომელიც რისამე ნაწილს გადმოსცემს, არაა მტკიცე შესიტყვება. გვაქვს:

- ბავშვის ღამაზი თვალები;
- მაგიდის ერთი ფეხი.

კუთვნილების ნიუანსი ახლავს ისეთ შესიტყვებებსაც, რომლებშიც შემავალი მსახვრელი დროზე მითითებას შეიცავს: ზამთრის ღამე; ზაფხულის დღე; ივლისის მზე; მკათათვის მთვარე; აპრილის საღამო; თებერვლის ღამე; შემოდგომის სუსხი; შემოდგომის წვიმა; განთიადის შუქი; გარეირაის შუქი; განთიადის სიგრილე; ღამის სიწყნარე; გაზაფხულის დარი; სექტემბრის დარი; ბავშვობის ფურცლები; სიყრმის (სკოლის, სტუდენტობის) მეგობარი...

კუთვნილების ნიუანსი ახლავს ისეთ შესიტყვებებს, რომლებშიც მსახვრელი უჩვენებს ადგილს, სადაც მდებარეობს სახლურული: მცხეთის ტაძარი; შოშიდგომის მონასტერი; შუამთის ტყე; ნაჭყვედის ტაძარი; თბილისის (ნაფთხულის...) საღვურე; თბილისის უნივერსიტეტი (ფაბრიკა, სკოლა...); ქუთაისის ქარხანა; ხანძარის ხატი; კახეთის (იმერეთის, გურიის, ხევსურეთის) სოფელი და სხვ. ასეთი შესიტყვებები გათიშულია:

- შუამთის უდაბურ ტყეში დადიოდა აბღუშაილი (აკაკი).
- დაიკონმა ნაჭყვედის შიტოვებულ ტაძარს თავი შეაფარა (კ. გამხ.).
- ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასეენია (ლ. ასათ).

ასევე; თბილისის სამხატვრო აკადემია; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ქუთაისის საავტომობილო ქარხანა; ქალაქის პირველი საავადმყოფო; ქალაქის მეორე აფთიაქი; თბილისის 51-ე ტექნიკური სასწავლებელი.



ცოტა როულდება საქმე, როდესაც დაწესებულების სახელწოდებაში შედის იმის აღნიშვნა, თუ ვისი სახელობისა ეს დაწესებულება.

გაზთებში გამოქვეყნებულ განცხადებებში ხშირად გვხვდება:

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია (პრეს).

თბილისის აკად. მუხაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება (პრეს).

შუქმღებელი ასეთი წყობაც არაა, მაგრამ უფრო ბუნებრივი ჩანს სხვაგვარად დალაგება:

ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

აკად. მუხაძის თბილისის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება.

ასე დალაგების შემთხვევაში მსახდრელთა შინაარსობრივი დაკავშირება ნაკლებადაა მისალოდნელი და ორატორებაც თავიდანაა აცილებული. მაშასადამე, უმჯობესია იხმარებოდეს:

შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი.

აკად. მუხაძის სახელობის თბილისის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება.

ასევე:

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

ქიროვის სახელობის ლენინის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

V. ითიშება ისეთი შესიტყვებაც, რომელშიც სახდრელად გამოყენებულია სახელწმინდა, მასდარი, მათ შორის ვ. წ. პირვანდელი მასდარებიც:

ბავშვის განვითარება; მეცნიერების აღმავლობა; კამათის გამწვავება; შრომის გაღრმავება; მეთოდის გამოყენება; ძაღვის განვითარება; პარტიის მუშაობა; აბრეშუმის მოწვევა; ცეცხლის აგზნება; ფეხის ადგმა; მასების აბოზოქრება... მგლის ყვილი; ტურების კივილი; დათვის ბურღდუნი; ჩიტების ჭიკჭიკი; მერცხლის ეღურტული; მტრების ღუღუნი; ციკნის კიკინი; გოჭის ჭყვილი; კატის კნავილი; ძაღლის ყუყუ; საქონლის (ირმის) ბღავილი; ცხენის ჭიხინი; ქათმის კრიახი; ფოლადის ეღერა; ხმლის წკრიალი (ჩახანუხი); ფარის ეღრიალი; წყაროს ღიკლია; წყლის ჩუხჩუხი; ბექორის ლაწანი; ბავშვის ტირილი; ქალის კივილი (ხიმღერა); კაცის ყვირილი; ბავშვის დიმილი (ხიცილი...); გოგონას კისკისი; თვალის ხამხამი და სხვ.

ე. ი. იმის მიხედვით, თუ რა შინაარსისაა მართულმსახდრელიანი შესიტყვება, შეთანხმებული მსახდრელი ხან შესიტყვების შუაში ჩაისმის, ხან კი მის წინ დაისმის.

ერთ შემთხვევაში იხმარება დიდი ხის სახლი, მეორე შემთხვევაში კი ხის დიდი ტოტი, იმიტომ რომ ხის სახლი ისეთი შესიტყვებაა, რომელშიც მასალაზეა მითითება და მეორე მსახდრელი წინ იხმის; ხის ტოტი კი კუთვნილებას გადმოსცემს, ითიშება და მეორე მსახდრელი შუაში ჩაისმის. ასევე: პაპიროსის ყუთი დანიშნულებას აღნიშნავს, იმიტომ ვამბობთ: ღამაზი პაპიროსის ყუთი; ხის ყუთი მასალაზე მითითებს, იმიტომ ვიტყვით: ღამაზი ხის ყუთი; მაგრამ მეზობლის ყუთი კუთვნილებაა, იმიტომ აღარ ვიტყვით ღამაზი მეზობლის ყუთი, არამედ: მეზობლის ღამაზი ყუთი. ასევე: ამერიკული თვითმფრინავი წარმომავლობას გულისხმობს, მითითებებს, თუ სადღაურია თვითმფრინავი, იმიტომ ვამბობთ: ორი ამერიკული თვითმფრინავი, ამერიკის თვითმფრინავი კი კუთვნილებაზე მითითებს, უჩვენებს, თუ ვისია თვითმფრინავი, იმიტომ ვამბობთ: ამერიკის ორი თვითმფრინავი.



მაშასადამე, თუ მართულმსახურელიანი შესიტყვება გამოხატავს მასალას მსახურელებს ან წარმომავლობას, - მყარია, არ ითიშება და მეორე მსახურელს წინ დაისვამს.

ხოლო თუ ასეთი შესიტყვება კუთვნილების შინაარსს შეიცავს, იგი ითიშება და მეორე ამხსნელს შუაში ჩაისვამს.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში ასეთი, თითქოს გარკვეული კანონზომიერება არსებობს, მაინც მისი დარღვევის არაერთი შემთხვევა გვხვდება.

ერთი მხრივ, თიშავენ მყარ გამონათქვამებს და შიგ ხეაქმენ ატრიბუტულ მსახურელს (ძროხის ცივი ქონი, ღვინის დიდი კასრი, სუფრის კარგი ღვინო, წყაროს ცივი წყალი, სპილენძის გატეხილი თუნგი...), ხოლო, მეორე მხრივ, არ თიშავენ არამყარ გამონათქვამებს და ატრიბუტულ მსახურელს, ნაცვლად მეორე ადგილისა, წინ ხეაქმენ (დროული განყოფილების გამგე, შაგნარჩიანი ღვინის სურათი, მაღალხარისხოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქცია).

სპილენძის ყურიან ქვაბს ხელი დავუაყვ (ს. მთვარ).

ძროხის ცივი ქონით გაოხილ თითებს ილოკავდნენ (თ. მაღლაფ).

ზეტაფონის ღვინის ქარხანამ ქ. ფრანკფურტში გაგზავნა სუფრის მაღალხარისხოვანი ღვინო (პრეს).

[გოფონა] თხილის გრძელი წნელით ჩიბუბს აფრთხობს (რ. იანა).

მაგიდაზე - ილო პაპიროსის თავლია კოლოფიც (ო. ჩხ).

იქიდან გადახედავდა ველ-მინდერებს, ქართლის მთელ ზეგანს (ო. ჩხ).

უნდა იყოს: ყურიანი სპილენძის ქვაბი, ცივი ძროხის ქონი, მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინო, გრძელი თხილის წნელი, თავლია პაპიროსის კოლოფი, მთელი ქართლის ზეგანი... რადგან შესაბამის მსახურელ-სახურული (ძროხის ქონი, ღვინის კასრი, სპილენძის თუნგი, სუფრის ღვინო...) მიუთითებს ან წარმომავლობას, ან დანიშნულებას, ან ნივთიერებას (მასალას) და არა კუთვნილებას. ამიტომვე უმართულო სიტყვათა რიგი შემდეგ წინადადებაში: „კურძობაში თხის მსუქანი ხორცი გემრიელია“ (ს. შანშ), უნდა იყოს: მსუქანი თხის ხორცი.

თქვა დროულმა განყოფილების გამგემ (მ. ელიოზ).

ქართველი კავშირგაბმულობის მუშაკები (პრეს).

ურუნველოფენ მაღალხარისხოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღებას (ე. თოფ).

უნდა: განყოფილების დროული გამგე, კავშირგაბმულობის ქართველი მუშაკები, სოფლის მეურნეობის მაღალხარისხოვანი პროდუქცია... რადგან ამ შესიტყვებებში კუთვნილებაა გადმოცემული.

უმართულოდაა დასმული მსახურელი რიცხვითი სახელი მართული მსახურელის წინ შემდეგ წინადადებაში: „თბილისის სტუდენტთა პირველი საექსტრადო სიმღერების კონკურსი... ტარდება შემდეგი დებულების მიხედვით“ (პრეს).

უნდა: თბილისის სტუდენტთა საექსტრადო სიმღერების პირველი კონკურსი...

ასევე არაა ბუნებრივი სიტყვათა რიგი შემდეგ წინადადებაში: „შეიქმნა კურორტების სამართველო. ერთ-ერთი მისი ძირითადი ამოცანაა ადგილობრივი კურორტების კეთილმოწყობა“ (პრეს). უნდა: მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა... - რადგან განსახურების ნაცვლად სახელი მართულ სახელთან თანამსახურელობისას მეორე ადგილზე დაისმის, ხოლო ატრიბუტულ მსახურელთან თანამსახურელობისას - პირველ ადგილზე უპირატესად. (შდრ.: წარმოების თითოეული მუშაკი და თითოეული სამეურნეო მუშაკი).

* * *

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წინადადების ერთი ტიპი, სადაც კუთვნილების გადმოცემ შემიტყვებას მეორე მსახურელად ერთვის მიმღებთა: იქმნება ორპირთა, მაგრამ ამის გვერდის ახსვენად შესიტყვების გათიშვა და მსახურელის შიგ ჩასმა არ ხერხდება, საჭიროა მივლი წინადადების კონსტრუქციის შეცვლა, დამოკიდებული წინადადების გამოყენება.



1. სტენდზე ფოტოპირი იენის უნივერსიტეტის მიერ გაცემული კარლ მარქსის მემორანდუმი ცენტრის დიპლომისა (პრესა).
უნდა იყოს: სტენდზე ფოტოპირი კარლ მარქსის... დიპლომისა, რომელიც გაცემულია იენის უნივერსიტეტის მიერ.

2. მინის საცავში ქართულ ენაზე საიუბილეოდ გამოცემული შეგნენკოს ნაწარმოებებია (პრესა).

უნდა იყოს: მინის საცავში შეგნენკოს ნაწარმოებებია, ქართულ ენაზე გამოცემული საიუბილეოდ.

ან: ...ნაწარმოებებია, რომელიც ქართულ ენაზე გამოიცა საიუბილეოდ.

3. ქუთაისის თეატრში გაიმართა თბილისიდან ჩამოსული სანდრო კავსაძის გუნდის კონცერტი (პრესა).

უნდა იყოს: გაიმართა კონცერტი სანდრო კავსაძის გუნდისა, რომელიც თბილისიდან ჩამოვიდა.

4. უფრო ვრცლად შესრულებული წარწერა მოთავსებულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულ დავეთ აღმაშენებლის საალამო ჯვარზე (პრესა).

უნდა იყოს: ...წარწერა მოთავსებულია დავით აღმაშენებლის საალამო ჯვარზე, რომელიც დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

5. კვარცხლბეკს, რომელზედაც [შეგნენკოს] ბიუსტი დგას, ამშვენებს ოქროს ასოებით ამოკვეთილი შესანიშნავი „ანდერძის“ უკანასკნელი სტროფი (პრესა).

უნდა იყოს: კვარცხლბეკს... ამშვენებს შესანიშნავი „ანდერძის“ უკანასკნელი სტროფი, ამოკვეთილი ოქროს ასოებით.

6. კირილემ... პოდნოსით ჩაის ჩამომრიგებულ ჯიმშერის ქალიშვილს მიაძახა (დ. კლდ.).

უნდა იყოს: მიაძახა კირილემ ჯიმშერის ქალიშვილს, რომელიც პოდნოსით ჩაის არიგებდა.

7. მხახველები ჩერდებიან მინის ქვეშ გამოფენილი კედლის ნატეხების წინ (პრესა).
უნდა: მხახველები ჩერდებიან კედლის ნატეხების წინ, რომელიც მინის ქვეშაა გამოფენილი.

8. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ პროფესორ ქსენია სიხარულიძის წერილს რომ ვეცნობოდი, ჯერ ბოლომდე არ ჩამკითხა, იგივე გაუფიქრდაც რედაქციის კომენტარშია ნათქვამი (პრესა).

უნდა იყოს: როდესაც ვეცნობოდი პროფესორ ქსენია სიხარულიძის წერილს, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ...

ასეთი კონსტრუქციის წინადადების შეცვლა დამოკიდებული წინადადებით არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი.

* * *

ამრიგად, ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში სიტყვათა რიგი, ხაერთოდ, და რამდენიმე (არაერთგვარი) მსახდერულის რიგი, კერძოდ, მკაცრად განსაზღვრული არაა, მაგრამ რამდენიმე მსახდერულის დალაგებაში გარკვეული წესები მაინც შეინიშნება.

1. როდესაც ერთ მსახდერულთან დაკავშირებული ყველა მსახდერული ატრიბუტულია, ბრუნვაში შეთანხმებულია, პირველ ადგილზე უპირატესად დგება რიცხვითი სახელი („ორი პურაძიერი კაცი“), ნაცვალსახელი („ეს ბუმბერაზი მთები“), მიმლეობა („ნაომარი ქართველი მხედრობა“).

ყველა შემთხვევაში ძირითადი მსახდერული ზედსართავია და იგი მეორე ადგილს იჭერს.
2. თუ ორივე მსახდერული ზედსართავია, პირველ ადგილზე უპირატესად ვითარებითი ზედსართავი დგება, მეორე ადგილზე – მიმართებითი ზედსართავი („ძველი ტერაშული დობე“, „დიდი საუთნაშორისო ტურნირი“...).

3. თუ ორივე მსახდერული მიმართებითი ზედსართავია, მეორე ადგილს უპირატესად -ურ (-ულ) აფიქსებით ნაწარმოები ზედსართავი იჭერს („ტალახიანი ყარაბაღული წაღები“, „სახელოვანი ისტორიული მოღაწე“...).



4. სხვა ატრიბუტულ მსახურეულთა (ნაცვალსახელი, მიმღეობა, რიცხვითი ნაკვეთი დასხვაგვარი კომბინაცია ასეთ სურათს გვაძლევს:

თუ თანამსახურეულებია ნაცვალსახელი და მიმღეობა – პირველ ადგილზე ნაცვალსახელი („ის მოტეხილი ტოტი“).

თუ თანამსახურეულებია ნაცვალსახელი და რიცხვითი სახელი – პირველ ადგილზე ნაცვალსახელი („ჩემი ორი ძა“).

თუ თანამსახურეულებია ნაცვალსახელები – პირველ ადგილზე ჩვენებითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები („ვუ შენი ტიკტიკა ენა“... „ერთი შენი გამოხედვა“... „ეს რამდენიმე ბიჭი“), ხოლო მეორე ადგილზე კუთვნილებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები („ყველა ჩემი ტოლები“, „ეს რაღაც ეშმაკური სკოლები“...).

5. თუ მართულ მსახურეულთან თანამსახურელია ნაცვალსახელი ან არსებითი სახელი, მართული მსახურეული მეორე ადგილზე („ის ოქროს წყარო...“, „ამდენი მგელთა ყმული...“, „ხავერდის დიდის ხალათი...“). გამონაკლისს წარმოადგენს განსაზღვრებითი ნაცვალსახელი („მიწის ყოველი მტკაველი“).

6. როდესაც მართულ მსახურეულთან თანამსახურელია ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი ან მიმღეობა, – სიტყვათა რიგს განსაზღვრავს მართულმსახურელიანი შესიტყვების ბუნება: თუ შესიტყვება მყარია, ატრიბუტული მსახურეული წინ ისმის („ღამაზი ოქროს საყურე“); თუ შესიტყვება მყარი არაა, იგი გაითიშება და ატრიბუტული (შეთანხმებული) მსახურეული შუაში ჩაისმის („ხის დიდი ტოტი“, „კოლექტივის ახალი წვერი“...).

ხოლო გამონათქვამი მყარია, თუ შესიტყვება გამოხატავს მასალას, წარმომავლობას ან დანიშნულებას („ხის კბე...“, „ძროხის ხორცი...“, „ჩაის ჰიქა...“) და არაა მყარი, თუ გადმოსცემს კუთვნილებას („მტრის თვითმფრინავი“, „სკოლის შენობა“, „ამხანაგის წიგნი“...).

შესიტყვებათა დაჯგუფება სემასიოლოგიური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იყოს ზუსტი თავისი ბუნების გამო. მაგრამ, ვფიქრობთ, წარმოდგენილი კლასიფიკაცია რამდენადმე მაინც გააადვილებს საქმეს.

სახლურული სახელის რიცხვი ორ და მეტ მსახლურულთან (დიდი და პატარა სახლი თუ დიდი და პატარა სახლები?)

ქართულში, ისე როგორც სხვა ენებში, სახლურულ სახელს შეიძლება უკავშირდებოდეს ერთზე მეტი ერთგვარი ან არაერთგვარი მსახლურული. ეს მსახლურულები ზოგჯერ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, სხვადასხვა მხრით ახასიათებენ სახლურულს: კეთილი და სასიამოვნო დიმილი, საშინაო და საოჯახო საქმე, მაღალი და გამხდარი კაცი, ფართო და ნათელი დარბაზი... ამგვარი შემთხვევები ამჟამად ჩვენ არ გვეინტერესებს. ამჟამად არც ისეთ შემთხვევებს განვიხილავთ, როდესაც ერთზე მეტმსახლურულიანი სახლურული მრავლობითია წარმოდგენილი იმიტომ, რომ ის თავისი თუნდაც ერთ-ერთი მსახლურულითურთ შინაარსობრივად ერთზე მეტ საგანს ვარაუდობს. მაგალითად, თუ გამოფენის ორი დარბაზი მაინც ივარაუდება ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში, იგი კარგავს ჩვენი საკითხის თვალსაზრისით ინტერესს: „შოთა რუსთაველის სახელობის სააქტო და გამოფენის დარბაზებში შეკრების მონაწილენი გაეცნენ ფერწერულ ტილოებს“ (პრეს).

ასევე, რადგანაც არ არსებობს ცალკე სპეციალობა „საბუნებისმეტყველო“ ან ცალკე – „ტექნიკური“, არამედ არის რამდენიმე საბუნებისმეტყველო სპეციალობა და რამდენიმე – ტექნიკური, არც ქვემოთ მოყვანილი მაგალითია ჩვენი საკითხის თვალსაზრისით საინტერესო: „ქართული კაცი, რომელიც საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ სპეციალობებზე ეუფლება, მშობლიურ ლიტერატურას მხოლოდ საშუალო სკოლაში ეცნობა“ (პრეს).

ანალოგიური შემთხვევებია: ეველას უთუნდება ცხოვრებაში კარგიცა და ცუდი დღეებიც (ივ. მაჭავ. თარგმ.). შემდეგ მათ მიხედვდა გრძელი, სქელი, დიდი და პატარა წიგნები – უდა უწინოდ და წვინი უფოდ (თ. საყვ. და ლ. ტიტენი. თარგმ.). [დღეინი]... ყოველთვის გონებრივი და სულიერი ძალების მერისმეტ დაძაბვას იწვევდა მასში (თ. საყვ. და ლ. ტიტენი. თარგმ.). ხანთელი ტუქსა ჰყვნდა ანას მშობლებიხა და მეგობრების პორტრეტებს (თ. საყვ. და ლ. ტიტენი. თარგმ.).

ამ შემთხვევებში სახლურული მრავლობითში იმიტომაცა დასმული, რომ რეალურად ერთზე მეტი საგანი ივარაუდება: ადამიანს შეიძლება აქონდეს ერთზე მეტი სულიერი და ერთზე მეტი გონებრივი ძალა, ცხოვრებაში მას შეიძლება გაუთუნდეს რამდენიმე კარგი ან რამდენიმე ცუდი დღე ერთი სიტყვით, ამ შემთხვევებში სახლურულის გრამატიკული რიცხვი მისივე რეალური შინაარსის ერთადერთი შესაფერი გამოხატულებაა. ზემოთ მოყვანილ წინადადებებში თითო მსახლურულიც რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, სახლურული შეიძლებოდა მაინც მრავლობითში დასმულიყო: სქელი წიგნები, გონებრივი ძალები, საბუნებისმეტყველო სპეციალობები და ა. შ.

ერთ სახლურულთან დაკავშირებული ერთზე მეტი მსახლურულის აქამდე განხილულ შემთხვევათა ორი რიგი საყვებით მართებულად გვიყვენებს სახლურულის რიცხვს. ორივეგან წარმოდგენილი ვითარება დასაშვებია და სწორი. მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვი სხვა შემთხვევებზე, როცა რამდენიმე მსახლურულისგან კონტექსტის მიხედვით თითოეულს ერთი სახლურული შეეფერება და მიუხედავად ამისა, სახლურული ხან მხოლოდითი რიცხვში დგას და ხან მრავლობითში: გერმანული და რუსული ენა || გერმანული და რუსული ენები; დიდი და პატარა სახლი || დიდი და პატარა სახლები; მოსკოვისა და თბილისის კონსერვატორია || მოსკოვისა და თბილისის კონსერვატორიები...

ამჯერად ჩვენს მიზანს სწორედ ამგვარი შემთხვევების განხილვა წარმოადგენს. ერთ სახლურულს შეიძლება უკავშირდებოდეს ერთზე მეტი ატრიბუტული, ერთზე მეტი მართული და ორივე ტიპის (ატრიბუტული და მართული) მსახლურულები, მაგალითად:

¹ ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, II, 1979.



– ქართველი და სომეხი ხალხების მშობა-მეგობრობა... (პრეს).
ღირსეულად დაფასდა რესპუბლიკის მოხარად მაყურებელთა და თოჯინების მხარეში (პრეს).

პირველ წგუფში თბილისელებთან ერთად გამოდიოდნენ ესტონეთისა და უზბეკეთის კოლექტივები.

აღნიშნული ტიპის შესაბამები მეტ-ნაკლებად შეიძლება შეგვხვდეს ყოველგვარი სახის ნაწარმოებში, მაგრამ ამ ბოლო დროს მათი სიჭარბე შეიმჩნევა განსაკუთრებით პრესის ენაში.

ეს გამოწვეული უნდა იყოს იმ თემატიკის სპეციფიკურობით, რომელსაც, ძირითადად, ემსახურება პრესა. ქვემოთ მოყვანილი საილუსტრაციო მასალა ამ მოსაზრების ნათელიყოფას ისახავს მიზნად.

კ. გამსახურდიას რეატიოშელის მესამე და მეოთხე ტომები მთლიანად მიუძღვნება ტერალოგიას „დავით აღმაშენებელს“ (პრეს).

ინსტიტუტს კალათბურთულ ქალთა და ვაჟთა ძლიერი გუნდები ჰყავს (პრეს).
ამ ღამას შენობაში მთორე წელთადა მუშაობს მექანიკა-მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტები (პრეს).

მესამე და მეოთხე ადგილებზე არიან შვეცია და ისლანდია (პრეს).
[ფესტივალის] საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ და მცირე საკონცერტო დარბაზებში გაიმართა (პრეს).

ჯერჯერობით ვერ გადავწყვიტეთ ესპანური და იტალიური ენების საკითხი (პრეს).

საილუსტრაციო მაგალითების გამრავლება შეიძლება.
საკითხი ისმის: როგორია საზღვრულის რიცხვი ამგვარ შესიტყვებებში?

უნდა ითქვას, რომ საკმაოდ გამოკვეთილია და ხელშეახლები ტენდენცია, რომელიც მუდმივად დასაზღვრებელია სახელმძღვანელოთა და პრესის ენაში. ტენდენცია იქითკენაა მიმართული, რომ საზღვრული უარყოფითად იქნეს მრავლობით რიცხვში. მაგრამ ყოველთვის ასეა? შეიძლება თუ არა რაიმე კანონზომიერების დადგენა ამ მხრივ? რითაა გამოწვეული საზღვრულის რიცხვი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებელია დასმული საკითხის გასარკვევად.

უკანასკნელ კითხვასთან დაკავშირებით ამთავითვე უნდა შევინშნოთ შემდეგი: მსაზღვრელობა და საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობის დროს სინტაგმაში წამყვანი წერი საზღვრულია. ის ითანხმებს მსაზღვრელს (მსაზღვრელებს) ბრუნვასა და რიცხვში და ის მართავს მსაზღვრელს (მსაზღვრელებს) ბრუნვაში. ამიტომ, როდესაც ვლადიმერ პეტროვიჩის მრავლობით რიცხვის ფორმის გამოწვევი მიზეზის შესახებ, არ იგულისხმება სინტაქსური შემთხვევა.

მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრ შემთხვევაში საზღვრულის რიცხვის არჩევას შინაარსობრივი მომენტი განსაზღვრავს. საზღვრულის დასმა მხოლოდობითში ან მრავლობითში ზოგჯერ მნიშვნელობას უცვლის ფრანსას; ამიტომ ფრანსის ავტორი ცდილობს დაახლოვოს მისი შინაარსი, ნათელყოს, რომ ლაპარაკია ორ (ან მეტ) საგანზე და ამ საგნის სახელს შესაბამისად მრავლობით რიცხვში წარმოვიდგენს. მაგალითად, რომ ავიღოთ ორი შესიტყვება: **თბილისისა და ქუთაისის გუნდი და თბილისისა და ქუთაისის გუნდები**, – პირველ შემთხვევაში მთლად ნათელი არ არის, ორი ქალაქის ორ სხვადასხვა გუნდზეა ლაპარაკი, თუ ამ ქალაქების ერთ (ერთგვარ, ნაკრებ) გუნდზე, მთორე შემთხვევაში კი ასეთი აღრევა გამორიცხებულია. ამიტომ საზღვრულის მრავლობითში დასმას ამ შემთხვევაში გარკვეული სემასიოლოგიური ფუნქცია ეკისრება და ეს ფორმა სათანადო კონტექსტებში სავსებით გამართლებულია. საილუსტრაციო მასალა მდიდარია, ქვემოთ მხოლოდ ტიპობრივ შემთხვევებს დავიმოწმებთ:

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა და ვაჟთა გუნდები მასპინძლობდნენ საფრანგეთის უნივერსიტეტის ქალთა და ვაჟთა გუნდებს (პრეს).

გემზე შექმნილია ფეხბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკისა და მაგიდის ჩოგბურთის სექციები (პრეს).

ობლესის ამშვენებს შოთა რუსთაველისა და ალიშერ ნავაის ბარელიეფები (პრეს).
ეს... გააღვიძა წყლის მოდენს აზოვისა და კახეთის ზღვებში (პრეს).



მოყვანილი მაგალითების გვერდით გვხვდება არაერთი შემთხვევა, როდესაც ვინაობის მინარსობრივი თავისებურების გამო საზღვრულის მრავლობით რიცხვში დაუსმელადაც გამო-რიცხულია ორნაროვნება, მაგრამ საზღვრული მაინც მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი. მაგალითად:

იმ დღეს ჩვეულებრივი ხიწნარე სუფვედა კლდიაშვილის და ნინოშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (პრეს).

ხობისა და გალის რაიონების მცხოვრებნი...

მონბლანის, მუვიინკარისა და იაღბუხის სიმაღლეთა საშუალო არითმეტიკული ეტოლება. (სახელმძღ).

მდინარე ნიღოსის, ამაზონისა და ვოლგის სიგრძეთა ჯამი. (სახელმძღ).

...თბილისშივე მოეწყო ლადო გუდიაშვილის, კობა გურულის, ნათელა იანქოშვილისა და სხვათა პერსონალური გამოფენები (პრეს).

ანალოგიურ შესიტყვებათა მეორე წყებაში სათანადო რიცხვითი სახელით აღნიშნულია, რომ საზღვრული ერთზე მეტია. ამიტომ საზღვრული, ბუნებრივია, დასმულია მხოლოდობით რიცხვში, მაგრამ დახუსტების მიხნით იგი მეორდება და უკვე მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი:

სამარხში ორი გამოქანდაკებული თავი... იშვეს - ხნიერი მამაკაცისა და ჭაბუკი მეომრის თავები (გ. ფანჯიკ).

ეკვილიდან მცენარეებს თესვში ღებების რაოდენობის მიხედვით ყოველ ორ დიდ კლხად - ორღებნიანთა და ერთღებნიანთა კლხებად... (სახელმძღ).

...ბუერი რამ გაკეთდა საქართველოს ორი უდიდესი თეატრალური კოლექტივის - რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების ჩამოყალიბებისა და აყვავებისათვის (პრეს).

მსგავს შესიტყვებებში საზღვრული, ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი. ამ წესიდან გადახვევის შემთხვევები ძალიან იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება:

მელორ სტურუამ მკითხველებს გააცნო კოსმონავტების - ჩარლზ კონრადის, რინარდ გორდონისა და ალან ბინის ბიოგრაფია (პრეს).

ღვეინებისა და შნერბაცკების ოჯახი ძველი, მოსკოველ თავადთა ოჯახები იყო (თ. საყვ. და ლ. ტიტინ. თარგმ).

სახლის მეორე ხაროულზე მოეწყო ქაღთა და მამაკაცთა ხაღონი (პრეს)².

დაუსწრებელი სწავლების წილი კიდევ უფრო გაზრდილია ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, დღისა და სადამოს განყოფილებაზე (პრეს).

ე. სარალიძისა და ც. აბეხაძის ბრიგადის მკერავეები ერთ აგრეგატზე მუშაობდნენ (პრეს)³.

მოყვანილი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ორ ან მეტ მართულ მსაზღვრელთან საზღვრულის მრავლობითში დასმა ნორმას წარმოადგენს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში⁴.

გაცილებით უფრო ჭრელი სურათია იმ შემთხვევაში, როცა ატრიბუტულმსაზღვრელიანი

² იგულისხმება ორი ხაღონი: სტატიაში საუბარია საშხაპო-სამკურნალო დაწესებულებებზე.

³ ტექსტითაა ჩანს, რომ ორი ბრიგადაა. იქვე კითხულობთ: „წუნდებული პროდუქციის გამოშვებაში დამხმარე იყო ორივე ბრიგადა“.

⁴ რუსულ სპეციალურ ლიტერატურაში ანალოგიურ შემთხვევათათვის აღნიშნულია, რომ, რადგან ამგვარ შესიტყვებებში საზღვრულის მხოლოდობით რიცხვი ხაზს უსვამს მსაზღვრელთა შორის შინაგან კავშირს (подчеркивает внутреннюю связь перечисляемых разновидностей предметов), ამიტომ, ჩვეულებრივ მხოლოდობით რიცხვია ხოლმე გამოყენებული ე. წ. ტერმინოლოგიური სახაითის შესიტყვებები (головой и спинной мозг; брюшной и сыпной тиф...) იხ. Л. Е. Розенталь, Практическая стилистика русского языка, Москва, 1965, გვ. 247-259. საინტერესოა, რომ დღევანდელ ქართულში ამგვარი მჭარი გამოთქმებიც კი მოეცა სხნებული ტენდენციის გავლენის ქვეშ და გამოირიცხული არაა შეხვედეთ „ტენიებს“, „ტოფებს“ და მისთ: „არც თუ იშვიათად საღმონელები ზედ ერთის სხვა ინფექციურ დაავადებებს (მუცლისა და შებრუნებული ტიფები...), მუპატიტი და სხვ.) (პრეს).



შესიტყვებები გვაქვს.

ატრიბუტულმსახდურელიანი სინტაგმები განსხვავდება მართულმსახდურელიანი სინტაგმებისგან უპირველეს ყოვლისა, შინაარსით. პირველნი, ძირითადად, სახდურულის რაიმე ნიშანზე, თვისებაზე მიუთითებენ, მეორენი კი – კუთვნილებაზე, წარმომავლობაზე. რამდენიმე ატრიბუტულ მსახდურელიანი ხშირად გვხვდება სახდურული მხოლოდობით რიცხვში იმის გამოც, რომ ნიშანზე ან თვისებაზე მიუთითება ხაზს უსვამს სინტაგმის თითოეული კომპონენტის თავისთავადობას, დამოუკიდებლობას. ამიტომ აღრევა თითქოს უფრო ნაკლებ მოსალოდნელია.

მივადეკი გაშლილ მიდამოს, სადაც წითელი და ცისფერი სახახლე აღმართულიყო (მ. გომართ. თარგმ.).

ორ სახახლეზეა ლაპარაკი მოთხრობის ტექსტში და ეს, ცხადია, სახდურულის მრავლობითში დაუსმელადაც ივარძლება. მაგრამ მრავლობითში დასმის ტენდენცია აქაც იჩენს თავს და იმავე ტექსტში სხვა ადგილას ვკითხულობთ: „ცისფერი და წითელი სახახლეები ერთმანეთს ემიჯნებოდა“.

სხვა მაგალითები სახდურულის მხოლოდობითში დასმისა:

არც მცხოვრებლებს დახტირვებით... ბაუმუბის ქალაქის შორეულ უბანში მდებარე ეზოს ისუ საქალაქო ბანაკში მიყვანა (პრეს.).

დიდი სერი სოფელს ყოფდა ორად – ქვემო და ზემო უბნად (ი. გოგუბ.).

და ახლანდელ დროში, როცა ეს ზედა და ქვედა ხართულის ბატონები ერთმანეთს შეეტაკებთან ხოლმე, გამარჯვება კუცხა რნება (აკაკი).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ატრიბუტული მსახდურელის უპირველესი თვისება – მიუთითოს საგნის დამახასიათებელ ნიშანზე ან თვისებაზე – ისე აშკარას ხდის ზემომოყვანილ ფრაზებში ორი საგნის (ორი ბანაკის, ორი ხართულის, ორი უბნის...) არსებობას, რომ სახდურულის მრავლობით რიცხვში დასმა ამგვარ შემთხვევებში სრულებით აღარაა საჭირო იმ ფუნქციის შესასრულებლად, რომელზედაც საუბარი იყო ზემოთ, მართულმსახდურელიანი შესიტყვებებზე მსჯელობისას. მიუხედავად ამისა, აქაც, ზემომოყვანილთა მსგავს შესიტყვებებში სახდურული უმეტესად მრავლობითში დგას.

გეომეტრიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ:

...გარე და შიგა ზედაპირების რადიუსები...

პირამიდის ზედა და ქვედა ფუძეები.

ცხადია, არც გარე და შიგა ზედაპირები და არც ზედა და ქვედა ფუძეები ერთმანეთში არ იბრუნება. ამიტომ აქ სახდურულის მრავლობითში დასმა რაიმეს დაზუსტების საჭიროებას კი არ ემხახურება, არამედ ენაში არსებული გარკვეული ტენდენციისადმი დაქვემდებარების შედეგია. ასევე არ აურევა არავის ერთმანეთში გეოგრაფიული პუნქტები – ზემო და ქვემო ალვანი, მაგრამ გაზეთში ანალოგიურ შემთხვევებში სახდურული მრავლობითის ფორმითაა ნახმარო:

ზემო და ქვემო ალვანებში დიდი ხანია, რაც კინო არ უჩვენებიათ.

ანალოგიური ვითარებაა ქვემოთ დამოწმებულ წინადადებებშიც:

თბილისის უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის ტერიტორია დაყოფილია რამდენიმე ზონად. ესენია: სახვადლო-სამეცნიერო, სპორტული, დამხმარე-სამეურნეო და საცხოვრებელი ზონები (პრეს.).

– შეხვედრების საათი? – სცილიად არ აყოფნით ავეჯის ფაბრიკის № 4 და № 5 ფილიალების ბროგადირებს (პრეს.).

დარღვევები აღმოჩნდა აგრეთვე №№ 23, 34 და 69 მაღალხიკებში (პრეს.).

სოფლის ოთახი იყო დიდსა და პატარა სახტუმრო ოთახებს იქით (იგ. მაჭავ. თარგმ.).

ზევით მეთორმეტე და მეცამეტე ნომრებია – უპახუხა კარისკაცმა ლევისს (თ. საყვ. და ლ. ტიტვი. თარგმ.).

სახდურული, როგორც წესი, მრავლობითში დგას მაშინაც, როდესაც მას ერთდროულად



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

სახლერავს ატრიბუტული და მართული მსახლერელი. ესეც ენაში განჩინილი სახლერელი ციის გამოვლინებაა და არა რაიმე ორახროვების თავიდან აცილების ცდა.

სახოფლო კლუბში შექმნილია დრამატული, გიტარის შემსწავლელი და ცეკვის წრეები (პრეს).

წყნარი და ინდოეთის ოკეანეების სიერცეს თევების განმავლობაში არ ტოვებენ ვეშაპ-მჭერი მცურავი ქარხნები (პრეს).

წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების დანახვა შეიძლება მთა „ორახუს“ წვერიდან (პრეს).

ცხადია, ორ უკანასკნელ წინადადებაში სახლერული მხოლოდობით რიცხვშიც რომ იყოს დასმული, მაინც ორი სხვადასხვა ოკეანე იქნებოდა ნაწარაუდვევი.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ლაპარაკია ორ გამოქვამულზე. მათგან ერთს ეწოდება გეოგრაფიული, მეორეს – ნახაროვისა.

სპელეოლოგებმა გამოიკვლიეს ნახაროვისა და გეოგრაფიული გამოქვამულები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სახლერულის მრავლობითში დასმის ამგვარი შემთხვევები მომრავლდა უკანასკნელ ხანებში. ცოტა ადრე ატრიბუტული მსახლერელების ერთ ჯგუფთან სახლერული უმეტესად მხოლოდობითში დაისმოდა. ილიასთან გვაქვს:

მინამ დიდი მთავარი აქ ბრძანდებოდა... ქართული და ხომხური თეატრი არ იყო.

ამ შემთხვევაში ფრთა შეახსნა იმ დიდის ხნის ხურვილს, რომ სამუდამო ხომხური და ქართული სცენა გამართოს.

არაერთხელ ატეხილა ჩემს ფეხბოკლე ლიტერატურაში საუბარი ახალ და ძველ თაობაზე. ჩემში ამისთანა სიტყვები, როგორც ძველი და ახალი თაობა, ცალიერი და ფუფე სახელებია. მართლად რა არის და ეინ არის ახალი ან ძველი თაობა?⁵

ჩვენთვის საინტერესო შემთხვევათა ერთ წყებაში ატრიბუტულ მსახლერელებად გვევლიონება რიგობითი რიცხვითი სახელები. XIX საუკუნის მწერალთა ნაწერებიდან დამოწმებულ ორიოდ შემთხვევაში ამგვარ შესიტყვებებში სახლერული მხოლოდობით რიცხვში დგას:

პირველს და მეორე შემთხვევაში გიროდ მიიღებოდა უმრავი ქონება (ილია).

ამასთანავე უმეტრება გამოიჩინა გადამიღვლა მესამე და მეოთხე სიტყვის დაწერებით (ი. გოგბე).

ახე გავიდა ბაბლესთვის პირველი და მეორე წელი (ე. ნინოშვი).

თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ამგვარ შესიტყვებებში სახლერულის მხოლოდობით რიცხვში დასმის შემთხვევები დღესაც გვხვდება:

დღეაღ-მამალი ქედნების დუღუნით ისმოდა პირველი და მეორე პობოის შეწყობილი ხმები (მ. ვლიოს).

ზოგიერთი შეცნირების აზრით, სვენიით მოწამლული ადამიანის მესამე და მეოთხე თაობაც კი მასინჯი გამოდის (პრეს).

მაგრამ შემთხვევათა უდიდეს უმრავლესობაში სახლერული მრავლობით რიცხვშია დასმული: ვაჟა-ფშაველას პროსპექტის პირველ და მეორე შესახვევებში თავიდანვე იყო განათება (პრეს).

III, IV, V სპარტაკიადების ჩემპიონსათვის ძნელი იქნება ამ მაღალი ტიტულების შენარჩუნება (პრეს).

25-ე და 26-ე წუთებზე ხუციშვილი ორჯერ კარგად ჩავიდა მეკარის საჯარიმო მოედანზე (პრეს).

⁵ დღეს ამ გამოთქმაში სახლერული ყოველთვის მრავლობით რიცხვში დგას: ერთი სიტყვით, ძველი და ახალი თაობები „სამკვდრო-სახიცოცხლო“ ბრძოლაში ნაებნენ (პრეს).

მაგრამ ანალოგიურ შემთხვევებში სახლერულის მრავლობითში დასმა უახლესი მოვლენა რომ არ არის, ამასვე ნიუთონის მაგალითები იაკობ გოგებაშვილის ნაწერებიდან:

...რომ ცოტადნად მაინც გაცნობილი მქონდა საუკეთესო რუსული და ნემცეცურს ანბანები, ევოლინებოდა, რომ ეს უსიმეტრობა ყოველგანა ხუფეხს.

...რუსულს და ნემცეცურს ანბანებში ხელთნაწერიც არის მოქცეული.



ბრძოლა გაიმართა მეორე და მესამე საპრიზო ადგილებისათვის (პრეს).
 „ოქროს ქალღმერთის“ თახის II და III გათამაშებებში... ურუგველები არ მონაწილეობდნენ (პრეს).

მიღება იწარმოებს პირველ და მესამე კურსებზე (პრეს).
 ეტიუდებში გამარჯვება ხვდა ექიმ გ. ნადარეიშვილს, რომელმაც დაიმსახურა პირველი და მეორე ჯილდოები (პრეს).
 მეშვიდე და მერვე ტომები შეიცავენ კრიტიკულ სტატიებს, წერილებს (პრეს).

ამგვარად, რამდენიმე მსახდრეულიან შესიტყვებაში, თუ ეს მსახდრეულები გამოხატულია რეგობით რიცხვით სახელით, სახდრეული მრავლობით რიცხვში დგას.
 ატრიბუტულ ან მართულ მსახდრეულთა ერთ ნაწილს ამგვარ შესიტყვებებში დამატებით მსახდრეულად ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელები და მათთან სახდრეული ყოველთვის მხოლოდობით რიცხვშია:

სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ 35 საშუალო და 15 რეაწლიანი სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები (პრეს).⁶

აქ შექმნილია და მუშაობს 8 საგნობრივი და თვითმოქმედი წრე (პრეს).
 XIX ოლიმპიურ თამაშებში გათამაშებული იყო 1067 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ოლიმპიური მედალი (პრეს).
 ახლა თავისი კარის ზღურბლთან ორნი შენიშნა - ერთი დიდი და ერთი პატარა კაცი (პრეს).

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ვაკთა 6 და ქალთა 5 გუნდი (პრეს).

მაგრამ იშვიათი გამონაკლისები აქაც გვაქვს:

ნახაზე ორი A და B ბურთულები თანაბრად მოძრაობენ (სახელმძღვ).
 საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი თორმეტბინიანი და ერთი ოთხბინიანი საცხოვრებელი სახლები (პრეს).⁷

ბუნებრივია, რომ მხოლოდობით რიცხვში გვხვდება სახდრეული იმ შემთხვევაში, როცა მას საზოგადოდ არა აქვს უნარი აწარმოოს მრავლობითი რიცხვი. ასეთებია: პრესა, არენა, საზოგადოებრივი აზრი, დისციპლინა (წესრიგის მნიშვნელობით), პროზა, პოეზია, შემოქმედება, მუსიკა, ქსელი, ხელოვნება, ხუმრობამღერება, შრომა (გარჯის მნიშვნელობით) და მისი. ეს სახელები სახდრეულის როლში რამდენიმე მსახდრეულთან ყოველთვის მხოლოდობით რიცხვს გვიჩვენებენ. მაგალითები:

ამაზე უკვე დაიწერა სამამულო და უცხოეთის პრესაში (პრეს).
 იგი ძალზე დადებითად შეაფასა ქართულმა და უცხოურმა პრესამ (პრეს).
 დედუგაცია მოუწოდებს მსოფლიო და ამერიკის საზოგადოებრივ აზრს შეაჩერონ დამნაშავეები (პრეს).
 ძალზე ხანტერესოდ მიმჩნია ვახილ ბარნოვის მოთხრობები, გამსათოვის, ყულიყვის პროზა და პოეზია (პრეს).

მას შეეძლო ელაპარაკა კველაფერზე - ქართულ, რუსულ და ევროპულ პოეზიაზე, პროზაზე, ხელოვნებაზე, არქიტექტურაზე (პრეს).
 მე კი ვცდილობ იმ ნოველის ახირებული გმირის თვალსაზრისით შევხედო რუსთაველისა და დანტეს, ტოლსტოისა და შექსპირის შემოქმედებას, ბეთჰოვენისა და მოცარტის, ვაგნერისა და ბახის მუსიკას (პრეს).

ყოველწლიურად ხუდ უფრო ხშირდება ელექტრო და სატელეფონო ქსელი (პრეს).
 ორივე შემთხვევაში გამოვლინდა ქართული თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების მაღალი დონე (პრეს).

სრულყოფენ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას (პრეს).

⁶ შდრ. იქვე: სპარტაკიადაზე წარმატებით გამოვიდნენ კასხის, წყალტუბოს, ხენაკისა და ახალციხის საშუალო სკოლების გუნდები...

⁷ უკანასკნელ შემთხვევაში სახდრეულის მრავლობითის ფორმა იმითაც უნდა იქონიებდეს გამოწვევას, რომ აქ ორისა და ერთის მსახდრეულობის ძალას ატარებებს თორმეტბინიანისა და ოთხბინიანის შთაბეჭდილება.



ღარიბი ხუროს ოჯახში აღზრდილის ძარღვებში ჩქეფდა ინდიელის, ესპანელის, სანაგის სისხლი (პრეს).

თანდათან იშლება სახლვარ ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის (პრეს).

მაგრამ ტენდენცია საზღვრულის მრავლობითში ხმარებისა იმდენად მომძლავრებულია, რომ აქა-იქ, მაგრამ მაინც გვხვდება: მწერლობები, ლიტერატურები, ცივილიზაციები, ეოსნის, მეთოდიკანი და მისთ.

ტოტინუაკანის ცივილიზაციის ნაგრევებზე შეიქმნა ჯერ ტოლტეკების, შემდეგ კი აცტეკების ცივილიზაციები (გ. ფანჯ).

სულ მოკლე დროის მანძილზე ზედისუდ ენახე ელინური და რომაული, ძველექვიპტური, ქრისტიანული და მაჰმადიანური კულტურების ყველაზე თვალსაჩინო ძეგლები (პრეს).

გვიპტის, მესოპოტამიის და საბერძნეთის კულტურათა აუცილებლობის ხანაში ქართული მოდგმის ტომებს კავათ გაცილებით უფრო დიდი ტერიტორია (პრეს).

წარუმატებლად გამოვიდნენ ქართველი ათლები ქვემსიძე და მსიძე წონებში (პრეს).

მწვინელთა და სპეციალიზტა სამართლიან შემოთებას იწვევს ჩავარდნა უმჩატეს და ქვემსუბუქ წონებში (პრეს).

— მე წინაწარ ვჭერტ... გამხრეებას და რჩევას, რაც... ხელს შემოწეობს, რომ თუნდაც მოკრძალებული წვლილი შევიტანო ქართული და ინგლისური მწერლობების დაახლოებაში (პრეს).

ქართული და რუსული ლიტერატურების ურთიერთკავშირის მატინანეს შეემატა ახალი ფურცელი (პრეს).

იმდროინდელი არაბული და სპარსული ლიტერატურები იყო მთელი აღმოსავლეთის ფარნახის და ოცნების ნამდვილი საღარო (ჯ. ლომაშ).

— პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკათა კითხვების წვერები თუწეობან... (პრეს).

პირველ შემთხვევაში გაანალიზებულია ამირანისა და გიდეგამეშის ეპოსთა ხიუჟერტური შეხვედრის შვიდი ნიმუში (პრეს).

ეს მანერნებელია იმისა, რომ ფიჭვის გვარი უძლებს უადრეხად მადალ და დაბალ ტემპერატურებს (პრეს).

როგორც უკვე აღინიშნა, მსაზღვრელები ერთმანეთთან კავშირებითაა შეერთებული. აქამდე დამოწმებული მასალიდანაც ჩანს, რომ და კავშირით შეერთებულ მსაზღვრელებთან საზღვრული შეიძლება მხოლოდობითიც შეგუხედეს და მრავლობითიც. აღრევა გუხედება ერთგვარ შეხიტეებებში, ზოგჯერ ერთისა და იმავე ავტორის ნაწერშიც კი. შდრ. მაგ:

ს ა ზ დ ვ რ უ ლ ი მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ შ ი ა :

- C და A წერტილებს შეეკრთებთ AC სწორი ხაზით...
- გადაკვეთის ეს წერტილები აღნიშნოთ 1 და 2 ციფრებით...
- ნახაზზე გამოსახულია ორი შეერთებული ცილინდრი A და B და გუშეებით...
- ნახევარსფეროს ფუქში ნახაზულია მართკუთხედი a და b გვერდებით.

ს ა ზ დ ვ რ უ ლ ი მ ხ ო ლ ო ბ ი თ შ ი ა :

- ამ წერტილის მიღება შეიძლება x და y დერძის პარალელური სწორი ხაზების გაღლებითაც.
- შემოვხაზოთ... ფარგლით R და r რადიუსიანი რკალები.
- თუ შეეკრთებთ... წერტილებს სწორი ხაზით, მივიღებთ O და O₁ ცენტრზე შემოხაზული წრეხაზების... შეუღლებას...

ზოგჯერ ერთგვარობა არა გვაქვს დაცული საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც კი. ჩვეულებრივ, მსაზღვრელები მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი („სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვები“...; „ნათესახობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი“; „მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში“; „მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში“; „ფუტეკეცეც სახელთა



ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა კვლევებისათვის"; „ნ და ს ფუნქციონირებს ქართველურ ენებში...“), მაგრამ იქვე საზღვრულის მხოლოდობით რიცხვში დასმის შემთხვევებშიც გვხვდება: („მიცემითი და ვითარებითი ბრუნვის სინტაქსური ფუნქციების მსგავსება და მათი მონაცვლეობა აიხსნება...“ რეს იგივე ოდენობაა, რაც მხოლოდობითი რიცხვის მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნებთან გვაქვს...“).

გამოთქმათა ერთ სანიტრერესო ჯგუფს ქმნის შესიტყვებები **ქართული და რუსული ენის ტიპისა**. ამ შემთხვევაში საზღვრული სახელი უმთავრესად მრავლობით რიცხვშია დასმული.

ინგლისური ენის შესწავლით გატაცებულ... დაბადა ხაშშიშროება ისეთი დიდი კულტურული ტრადიციების მქონე ენების განაპირებისა, როგორც არის გერმანული და ფრანგული ენები (პრეს).

რამდენს მოიგება ჩვენი კულტურა, ასობით თუ არა, ათობით ქართველმა ახალგაზრდამ მაინც საფუძვლიანად რომ იცოდეს დანტეს ენა, იაკონური და ჩინური ენები (პრეს).

მოსხვენებები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (პრეს).
გართხების დროს აღმოაჩინეს თიხის ფორფიტები, რომლებზეც მიცემულია ლურსმული ტექსტები ბაბილონურ და ელამიტურ ენებზე (პრეს).

რედაქციაში რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე მთარგმნელად შუშობს... (პრეს).
ოტომანის საერთაშორისო აეროპორტი მორთულია მისასალმებელი ტრანსპარანტებით რუსულ და რუსულ ენებზე (პრეს).

[სურნალში] წერილების ნაწილი ინგლისურ და გერმანულ ენებზეც იბეჭდება (პრეს).
ყველა მასალას მკითხველი გაეცნობა ქართულ და რუსულ ენებზე (პრეს).
ქვემდებარისა და შემასმენელის ურთიერთობის შესახებ რუსულ და ქართულ ენებში... (პრეს).

15-20 წლის შემდეგ გერმანული და ფრანგული ენების მკოდენნი აღარ გვევლინებიან (პრეს)⁸.

გამონაკლისს ვხვდებით, მაგრამ ძალიან იშვიათად:

იგი ღრმად სწვდება ქართული და ხპარსული ენის ბუნებას (დ. კობ).
მან კარგად იცოდა რუსული და ფრანგული ენა (პრეს).

ამგვარად, მაჯგუფებელი და კავშირით შეერთებულ რამდენიმე მსაზღვრელთან საზღვრული გვხვდება მხოლოდობით რიცხვშიც და მრავლობითშიც, მაგრამ მხოლოდ რიგის შემთხვევები შეუდარებლად უფრო ხშირია.

სათანადო ტიპის შესიტყვებებში მსაზღვრელთა შესაკავშირებლად მაჯგუფებელი კავშირი თუ იშვიათად გვხვდება, მაგრამ, როცა კი გვხვდება, საზღვრული მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

ისინი ფიქრობენ, რომ... დიდსა თუ მცირე ერს თავიხი თვისობრივი თავისებურებანი აქვს (პრეს)

უცხო თუ შინაური კაცის ამ რინახე იშვნდნა ტალახიან ფეხსაცმელებს (რ. გვერ).

იმ შემთხვევაში, როცა მსაზღვრელი სახელები შეერთებულია მაცალკეებელი ან კავშირით, საზღვრული მხოლოდობით რიცხვში დაიხმის:

მთავრია, ახალგაზრდამ კარგად იცოდეს ფრანგული, გერმანული თუ ინგლისური, ესპანური ან იტალიური ენა (პრეს)⁹

ფურცელზე უნდა გამოიხაზოს ყველა ის ხაზი, რომელიც 41-ე ან 42-ე ნახაზზეა ნაწვენები (სა-

⁸ ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში საზღვრულის მხოლოდობით რიცხვში დასმა გამოწვეულია იმით, რომ იფულისხმება ერთი ქართული ენა: „პეერ ახალგაზრდას... სურს... დედანში ჩასწვდეს რუსთაველისა და სულხან-საბას, ბეხიკისა და ილიას, ბარათაშვილისა და გალაკტიონის ენას“ (პრეს); ხხეა წინადადებაში კი საზღვრულის მრავლობითში დასმის საფუძველს ნაფულისხმეო განსაკუთრებული შინაარსი წარმოადგენს: დავით გურამიშვილისა და ანტონ პირგელის საწერლობო ენების შორის განსხვავება, რღაა თქმა უნდა, არის“ („ცისკარი“).

⁹ შდრ: „როგორც წესი, იგი დეკვირებს ინგლისურ ან გერმანულ ენებზე კითხულობს“ (პრეს). მრავლობითი რიცხვის ფორმის („ენებზე“) უადგილობა ამ შემთხვევაში სრულიად აშკარაა.

ხელმძღვანელი).

დარგვის სისწორის მიხედვით იღებენ მე-5 ან მე-6 რიგს (პრეს).

სახლვერუდო მხოლოდობით რიცხვშია წარმოდგენილი მაშინაც, როდესაც მსახლვერუდობა ხან-ხან და არც-არც კავშირ-ნაწილაკებითა და კავშირებით.

სწორედ ჯარისკაცებით დაშვრეოდნენ ხან ერთ, ხან ორ რიგად (ი. გოგებ). რეინტონზე მომუშავე ქალები გადაბეჭდილ ქალაქებს მობრუნებდნენ ხან ერთ, ხან მეორე ოთახში (რ. გვერ).

მაგრამ არც ძველი და არც ახალი სახლი მას არ მოეწონა (პრეს).

სახლვერუდო მხოლოდობითაა წარმოდგენილი იმ შემთხვევაშიც, თუ მსახლვერუდობის შორის დგას რთული კავშირი როგორც ... ისე | ასევე.

როგორც Q, ისე Q₁ წერტილიდან შესაბამის მართობებზე მოვსოთ წერტილები C და C₁ (სახელმძღვანელი)¹⁰.

შემოვხაზოთ წრეხაზის რკალები მთლიანი წერილი ხაზებით როგორც A, ისე C წერტილიდან (სახელმძღვანელი).

ამგვარ შესიტყვებებში სახლვერუდის მრავლობითში დასმის შემთხვევები ძალიან იშვიათია; ნიმუშისათვის შეიძლება იფიქროს სახელმძღვანელო მოვიშველიოთ:

როგორც m, ისე n წერტილებიდან ამ მართობებზე მოვსოთ წერტილები.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითიდან კარგად ჩანს სახლვერუდო საკითხის თვალსაზრისით დღევანდელ ქართულში არსებული ვითარება:

... გაეპარათ O წერტილზე აქსონომეტრიული x, y და z დერძები...; O წერტილიდან როგორც x ისე y დერძზე... გადავსოთ... ტოლი მონაკვეთები. მიღებულ წერტილებზე გაავსოთ x და y დერძის პარალელურ სწორ ხაზებს (სახელმძღვანელი).

როგორც ცნობილია, ცალკე მდგომარეობაში თანდებულ შორის განსაკუთრებულ შემთხვევებში იხმარება. სპეციალურ ლიტერატურაში¹¹ მითითებულია, რომ ეს თანდებულ შეიძლება დაერთოს ორ სახლვერუდს და ერთსაც. უკანასკნელ შემთხვევაში ამ თანდებულთან სიტყვას კრებითობის შინაარსი აქვს ან მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევათა უმრავლესობაში შორის თანდებულთან სახლვერუდო მხოლოდობით რიცხვშია:

რამდენიმე შემთხვევა იყო ომისა კრიტელთა და ოსმალთა ჯარს შორის (ილია).

შესაძლებელი იყო დაეთითსა და ტარიელის ოჯახს შორის აწინდელი გამწვავებული დამოკიდებულების დროს გზაზე რაიმე დაბრკოლება შემთხვეოდა. (ლ. ქიან).

გამონაკლისი აქაც გვაქვს:

მატნი თბილისის „სპარტაკის“ და მოსკოვის „ცდას“ გუნდებს შორის დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით (პრეს).

წარმოდგენილი მასალა აშკარას ხდის, რომ განსახილველი საკითხის თვალსაზრისით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, პრესის, სახელმძღვანელოების, მხატვრული ლიტერატურის ენაში შეიმჩნევა პარალელურ ფორმათა მოტარება და ზოგჯერ ამ ფორმათა აღრევაც კი. ეს ერთ მხრით, მეორე მხრით, წარმოდგენილი მასალის ანალიზი ააშკარავებს გარკვეულ კანონზომიერებებს, რაც შემუშავებულია სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში. განხილული მასალის ანალიზის საფუძველზე, კერძოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ რამდენიმე მსახლვერუდო მსახლვერუდო შემთხვევებში:

¹⁰ შდრ. იქვე: O და O₁ წერტილებზე, როგორც ცენტრებზე, შემოვხაზოთ წრეხაზის რკალები.

¹¹ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი, გვ. 108, 121.



I. საზღვრული მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი,

1. როცა შესიტყვებაში მსახვრელები მართულია (გელათისა და ბაგრატის ტაძრები, ქალთა და ვაჟთა გუნდები);

2. როცა საზღვრულს ერთად ახლავს ატრიბუტული და მართული მსახვრელი (წყნარ და ინდოეთის ოკეანეები, დრამატული და ცეკვის წრეები);

3. როცა ატრიბუტულ მსახვრელებად გვაქვს რიგობითი რიცხვითი სახელები (პირველი და მეორე შესახვევები, მე-4 და 26-ე სკოლები...);

4. როცა შესიტყვებაში გვაქვს ერთი (უმეტესი) წყება ატრიბუტულ მსახვრელთა (ქართული და რუსული ენების, გარე და შიგა ფუძეების, ზემო და ქვემო სართულების და მისთ. ტიპისა).

II. საზღვრული მხოლოდობით რიცხვშია დასმული,

1. როცა მას საერთოდ არ ეწარმოება (არ შეეფერება) მრავლობითი რიცხვის ფორმა (პრესა, არენა, პროზა, პოეზია, კულტურა, ცივილიზაცია...);

2. როცა ატრიბუტულ მსახვრელებს დამატებით საზღვრავს კიდევ რაოდენობითი რიცხვითი სახელები (ერთი დიდი და ერთი პატარა კაცი, ვაჟთა 6 და ქალთა 5 გუნდი...);

3. როცა მსახვრელები ერთმანეთთან შეკავშირებულია ზოგიერთი კავშირით (ან, როგორც - ასევე || ისე, არც - არც, ხან - ხან) და თანდებულთ (შორის).

III. საზღვრულის მრავლობითში დასმის შემთხვევები შეუდარებლად სჭარბობს მხოლოდობითში დასმის შემთხვევებს. ტენდენცია ენისა ამ მხრივ დღეს საკმაოდ გამოკვეთილია.

რამ შეუწყო ხელი ამ ტენდენციის განქნას ქართულში?

ვიდრე ამ კითხვაზე ვუპასუხებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საინალიზო სიტყვათშეხამება ახალია, ძველი და საშუალო საუკუნეების ძეგლებში ასეთი შეწყობა არ გვხვდება. მის საინალიზოდ საშუალო საუკუნეების ქართული იყენებს შეიძლება ნაკლებ ლაკონიურს, მაგრამ უფრო ცხად და ქართული ენისათვის უფრო ბუნებრივ შეწყობას: დიდი და პატარა სახლი || სახლები-ს ნაცვლად იქ გვაქვს დიდი სახლი და პატარა სახლი.

შავი დეკვი და ხაზარან დეკვი საზაროდ კმანო (რუსულდანიანი).

ერთი გლახაკი კაცი მოვიდოდა გზასა. ნახა ორი გველი - ერთი შავი და ერთი წითელი (საბა).

ერთი რიგი ხელ თეთრი ორხაო ეწყო ერთმანეთზე. ერთი წითელი, ერთი მწვანე (რუსულდანიანი).

სამნი ამხანაგნი შეიყარნენ: ერთი იხპაანელი, ერთი ვილანელი და ერთი განჯელი (საბა).

ჩვენ მიერ განხილული სიტყვათშეწყობა დამკვიდრდა გასულ საუკუნეში და გაბატონდა უკვე ჩვენს დროში. წარმოშობით იგი ე. წ. სინტაქსურ-კონსტრუქციული კალკი ჩანს, რომელიც მკვიდრდება სალიტერატურო ენაში. ოღონდ საჭირო ხდება დახუსტება საზღვრულის რიცხვის საკითხისა. იმ შემთხვევაში, როცა შინაარსის გაბუნდოვანება მოსალოდნელი არაა, სადაც საზღვრულის მხოლოდობითი თუ მრავლობითი რიცხვის ფორმა ფრანკს შინაარსს ვერ უცვლის, ქართულისათვის უფრო ბუნებრივი ჩანს საზღვრულის მხოლოდობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენა. ისეთი შესამუბები, როგორცაა: პირველი და მეორე შემთხვევები, IX და X კლასები, ქართული და რუსული ენები, გარე და შიგა ფუძეები, ზემო და ქვემო სართულები, ძველი და ახალი თაობები და მისთ. არ ჩანს ბუნებრივი. უმჯობესი იქნებოდა, საზღვრული მხოლოდობითი რიცხვის ფორმით ყოფილიყო წარმოდგენილი. ფრანკს შინაარსი არ შეიცვლებოდა და ბუნებრივ ქართულ გამოთქმასაც შეინარჩუნებდით. დეკსიკური და განსაკუთრებით სინტაქსური კალკი მხოლოდ მაშინ ემსახურება ენის გამდიდრების მნიშვნელოვან საქმეს, თუ იგი ადვილად თავსდება მსესხებელი ენის ყალიბში, თუ მსესხებულ ენაში უცხო სხეულად არ განიცდება.

ზმნისართ-კავშირთა გამოყენებისათვის¹

სალიტერატურო ენა ნორმების მქონე ენაა. მისი წესები უნდა შესწავლელობდეს. სასკოლო გრამატიკა, გარდა ენის აგებულების ანალიზისა, სალიტერატურო ენის შესწავლასაც ემსახურება – მართლწერისა და სწორმეტყველების წესებსაც აწვდის მოსწავლეს.

სალიტერატურო ენა არის ენა მხატვრული ლიტერატურისა, ჟურნალ-გაზეთებისა, რადიოსა და ტელევიზიისა, ლექცია-მოსხენებებისა, ოფიციალურ საქმეთა ქაღალდებისა, თეატრისა და კინოს, მოსწავლეთა თუ სტუდენტთა ლიტერატურული თხზულებებისა (ე. წ. თემებისა) და სხვ.

უნდა ითქვას, რომ მხატვრული ლიტერატურის ენა თუმცა ორგანული ნაწილია სალიტერატურო ენისა, მაგრამ იმავე დროს მისგან განსხვავებულიცაა. მხატვრული ლიტერატურის ენა სალიტერატურო ენაზე მეტია, რამდენადაც იყენებს ისეთ ელემენტებს, რომლებიც ან ჯერ არ ქცეულა სალიტერატურო ენის კუთვნილებად, ანდა რომლებსაც არც მომავალში უწევიათ ასეთი რამ. ამიტომ საჭიროა მხატვრული ლიტერატურის ენისა და საერთო სალიტერატურო ენის გამოიჯანა. მოსწავლეებს უნდა განეუმარტოთ, რომ ზოგი ფაქტი, რაც მხატვრული ლიტერატურის ენაში გვხვდება, შეიძლება არ იყოს სალიტერატურო ენის კუთვნილება (მაგალითად, ვეაჰს, ა. ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის ან ეგ. ნინოშვილის დიალექტიზმები, ვ. ბარნოის ან კ. გამასახურდიას არქაიზმები, ვ. ლეონიძის ან ლ. გოთუას ნეოლოგიზმები)...

ამის საილუსტრაციოდ გამოვყავდგება რთული ქვეწოხბილი წინადადების **სანამ** კავშირისა და მისი **მანამ** კორელატის დიალექტური ფორმები, რომლებიც არც თუ იაშვითად გვხვდება ახალი ქართული ლიტერატურის ცნობილ ძეგლებში.

1. სანამ – მანამ

სანამ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ერთ-ერთი კავშირია, ნიშნავს: **რა დრომდისაც, როდემდეც, ვიდრე**. მის კორელატად მთავარ წინადადებაში იხმარება **მანამ**, რომელიც ნიშნავს: **იმ დრომდე, ე. ი.** ეს ორი მაკავშირებელი სიტყვა ერთად ქმნიან ასეთ გაგებას: **რა დრომდისაც...** იმ დრომდე.

მაგ: **სანამ** თინე ცხელია, პური **მანამ** ჩააკარო (ანდახა).

სანამ, მანამ სიტყვებში სუციალისტები გამოყოფენ **სა-** და **მა-** ელემენტებს. ერთი მოსახრების მიხედვით, **მანამ** **სადა-**სთან შეპირისპირებით იშლება: **მა-ნა(მ) – სა-და** ისევე, როგორც სხვა ზმნისართები: **ზე-და || ზე-ნა; ში-და || ში-ნა; ქვე-და || ქვე-ნა; ვარ-და || ვარ-ნა; ვი-დრე || ვი-ნ-ე-მ...** აღნიშნულია, რომ **-და || -ნა** ძველი ფორმანტებით გაფორმებული ეს პარალელური ფორმები ახალ ქართულს შემორჩა, მაგრამ სემანტიკური დიფერენციაცია მათ შორის აშკარად იგრძნობა. შდრ. **ზედა** ქვა და **ზენა** ქარი; **სადამდის** წავედა და **სანამდის** გაგრძელდა (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია). არის აგრეთვე ვარაუდი, რომ **სა-ნამ** სიტყვაში იგივე **ნ** შეიძლება გამოყოფოს, რაც **ვი-ნ** სიტყვაში (არნ. ჩიქობავა). ამ აზრს იზიარებენ და მოთხრობითი ბრუნვის **ნ-ს** ვარაუდობენ **მა-ნამ**-ში სიტყვაშიც (შ. დიძე).
ცნობილია სხვაგვარი თვალსაზრისიც, რომლის მიხედვით, **სანამ** და **მანამ** შესაბამისად **სად** და **მუნ** სიტყვების ვითარებითი ბრუნვის ფორმებისაგან მიღებულად ივარაუდება: **სად-ად-მდე** და **მუნ-ად-მდე** (მუნ ძველ ქართულში ადგილს აღნიშნავდა, მნიშვნელობითი უდრია იქ ზმნისართს). ამ ფორმას გაკლენა მოუხდენია ერთმანეთზე, სახელდობრ: **სადამდეს** გაუკლენით **მუნადამდეს** უ მხოვანი ად შეცვლიდა და ასე მიგვიღია **მანამდე**, რომელსაც დღეს მხოლოდ დროული გაგება აქვს. **მანამდეს** გაკლენით კი **სადამდეს** დ თანხმოვანი **ნ-დ** გადაუკეთებია და აგრეთვე დროული გაგება შეუქმნია (ა. შანიძე), ე. ი. **სანამ, მანამ** ზმნისართებს ასეთი საფეხურები გაუყვლია:

სანამ: სადამდის > სანამდის > სანამი > სანამ

¹ ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, N3, 1983.

(ან: ხადამდე > სანამდე > სანამ)
მანამ: მუნამდის > მანამდის > მანამდი > მანამ
(ან: მუნამდის > მინამდი > მინამ)

ჟ. ი. სპეციალისტთა აზრით, **სანამ-მანამ** ზმინსართებში ფუძისეულია ა და არა ი ხმოვანი, რომელიც დიალექტურ **სინამ** || **მინამ** ფორმებში გამოჩნდება ხოლმე. **მანამ-ის** ნაცვლად **მინამ-ს** ხშირად ხმარობენ აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები (ქართლური, კახური, ფშაური, ინგილოური... შეიძლება საინტერესო იყოს აგრეთვე მესხურისა და ჯავახურის მირემ, მირამ, მირამდი ფორმები და ასევე ლეჩხუმური **მარებამდინ**, ზემოიმერული **მანობამდინ**...).

რაც შეეხება ზმინსართთა სინტაქსურ როლს, **სანამ** ზმინსართი კავშირის ფუნქციას ასრულებს და მისი ადგილი დამოკიდებულ წინადადებაშია, **მანამ** კი მისი კორელატია და მისი ადგილი, ცხადია, მთავარ წინადადებაშია.

სანამ კავშირით შეერთებული დამოკიდებული წინადადების შესახებ შენიშნავენ, რომ 1. ასეთი წინადადება ჩვეულებრივ თავშია; 2. დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება ხოლმეობითის ფორმა („სანამ პეტრე მოვიდოდა...“), მთავარში კი – წვეტილისაო (ლ. კვაჭაძე).

ეს საკითხი საგანგებოდ განიხილვის ღირსია. საქმე ეხება იმ დარღვევებს, რაც მხატვრული ლიტერატურის ენაში გვხვდება **სანამ**, **მანამ** მაკავშირებელი სიტყვების ხმარებისას. ეს დარღვევები სხვადასხვა ხასიათისაა:

1. დასტურდება **სანამ** კავშირისა და **მანამ** კორელატის ადგილგადაცვლა: მთავარ წინადადებაში მოექცევა **სანამ** კავშირი და დამოკიდებულში **მანამ** || **მინამ** კორელატი.

მაგალითად: **მინამ** სტუმრის მკვლელს არ მოჰკლავს, უნდა იაროს **სანამდე** (ვაჟა). თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ეს დაუშვებელია.

2. ზოგჯერ **სანამ-მანამ** წვეტილის ნაცვლად უხმარიათ **სანამ-სანამ** (ჟ. ი. წინადადების ორივე ნაწილში კავშირი), ან **მანამ-მანამ** (ჟ. ი. მთავარშიცა და დამოკიდებულშიც კორელატი).

მაგალითად: **სანამ** იცოცხლე, გოგოთურ
სანამ ცახა ზდის ნამია,
სანამ მზე ათობოს ქვეყანას,
დილა-სადამოს ვამია,
სანამ ტყეს ესხმის ფოთოლი,
მიწა ამცუნებს მწვანოლსა,
სანამ ჯინჯველა ქალაქით
ზურგიტ მაიტანს მარილსა (ვაჟა);

სანამ ნაეში და ვოდრებში არ გამოიღია ყურძენი, **სანამ** არ წასულა სამტრევედ (თ. რა-ზიკაშვილი);

მინამ ცხვირში არ მოხვდება, **მანამ** არ მოვა გონსა (ვაჟა);
მანამ ჩვენში ძველებურად მეფეს არ დაინახავენ, **მანამ** არ მოსიყვანებენ (ივ. მაჭავ. თარგმ.);
მანამ ოთახს ავაღაგებ, **მანამ** ყავას მოვხარბოვ და მოვართომე (გ. გაბა);
სიცოცხლე **მანამდე** უღირს კაცსა, **მანამ** იმისი ქვეყანა რასმე გამოივლის (ვაჟა);
ეს ფაქტი, ჟ. ი. **სანამ-მანამ** მაკავშირებელ სიტყვლა **სანამ-სანამ-ით** ან **მანამ-მანამ-ით** დიალექტების შემონარჩანია და სალიტერატურო ენისათვის მოუღებელია.

3. სალიტერატურო ენაში სრულიად ბუნებრივია და ძალიან ხშირიც **სანამ** კავშირის ხმა-რება ცალად, კორელატის გარეშე.

მაგ: **სანამ** პეტრე მოვიდოდა, აქედეს ტყავი გააძერესო (ანდაზა);
სანამ სწორი ჯოხი არ იპოვო, მრუდეს ნუ გადაადგებო (ანდაზა);
სანამ შენთან მოვიდოდე, ერთხელაც არ დავიკვნესე (შ. მღვიმელი);
მაგრამ იმავე სალიტერატურო ენისათვის აღარ არის ბუნებრივი, როდესაც ცალად ხმარობენ **მანამ** კორელატს და ისიც არა მთავარ წინადადებაში, არამედ დამოკიდებულში, ჟ. ი. **სანამ** კავშირის ადგილას.

მაგ: **მანამ** მიინდია პებლალობს, ხეესურებს არა უშავს რა (ვაჟა);
მანამ სხვა იარაღს მოიხმარდა, შიგ მარცხენა ძუძუმე დამბანა დავეცი (ილია);

მანამ მებღაღე მოიგანდა, ვეზირმა სხვა ვაშლებს შხამი წაუხევა (ი. გოგებაშვილი);
მანამ ეს მოხედებოდა, ოთარაანთ ქერივი თითქო ღონეზე მოვიდა (ილია);
მანამ დედა ცოცხალი მეყანდა, სულ აღერსში ვეყანდი (ვაჟა);
მანამ აქ შემოხვიდოდი, რად არ შეგტამა მიწამა (ბაჩანა);
მანამ ერთ მუჭას მოვეკრებდი, ქილა გავესო გოგოსა (ვაჟა);
მანამ ჩვენ თბილისთან ვიდგებით, თათარი გარეშაშო ციხეებს ისევ დაიჭერს და გაამაგ-
 რებს (ე. ბარნოვი);

და რა აღებ-მიცემობის სასწავლებელი გამოუვლიათ, **მანამ** ამ ხელობას დაადგებოდნენ
 (რ. ერისთავი).

მანამ ცოცხალი ვარ, დაივიწყეთ სიკვდილი (გოდერძი ჩოხელი, „ადამიანის სევდა“, „ცის-
 კარი“, №1, 1983, გვ. 60).

სმელეთზე რომ თევზად ვიქცეოდე, **მანამ** წყალთან მივიდოდი, ხომ მოვეკვებოდი (იქვე,
 გვ. 45).

აქ ჩემ სხეულს ხომ ხედავთ, ამას შავიტან სახლში, ზემოთავეში მივაყუდებ და მე საიქიოს
 წავედ, **მანამ** მოგბურუნდები, ამას ხელი არავინ ახლოს, მიწაში არ დამარხოთ (იქვე, გვ. 50).

ესეც აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფაქტია. სალიტერ-
 ატურთ ენაში კი მსგავს წინადადებებში **მანამ**-ის ნაცვლად უნდა იხმარებოდეს **სანამ** (**სანამ**
 მინდია ბელადობს... **სანამ** მებღაღე მოიგანდა... **სანამ** ერთ მუჭას მოვეკრეფდი...).

4. მხატვრულ ლიტერატურაში დასტურდება **სანამ** და **მანამ** კავშირის **სინამ** და **მინამ** სა-
 ხეობა.

მაგალითად: ბავშვებმა კაი ხანს ირბინეს, **სინამ** ქანცავწყვეტილები არ დაეყარნენ ერთი
 პატარა ბუჩქის ძირას (ნ. ლომოური);

ხელავს მეფე, რომ ჯარი დაუნახევრდა და **სინამ** მტერს მიადწევს ერთი კაციც არ შერჩე-
 ბა (ი. გუგუჯა);

მინამ ბუღდული არ გაათავებდა გალობას... დედაშენი სმენად იყო გადაქცეული (ვაჟა);

მინამ მწერები ბუღდობენ, **მინამდინ** ხელთა ჰყავს მიმინო (ილია);

მინამ ერთი ორიოდ გროში მქონდა და ეხარჯავდი, **მინამ** მინახა (ილია);

რატომ მალედე არ მოკვდი;

მინამ ეგეთსა განახავდი (ვაჟა).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფორ-
 მებია. სალიტერატურო ენა ამ ფორმებს ვერ მიიღებს.

5. აღმოსავლეთ საქართველოს მეტყველებაში **სანამ** || **მანამ**-ს ხშირად ვიდრე კავშირის
 ადგილას იყენებენ. ასეთი მაგალითები მხატვრულ ლიტერატურაშიც გვხვდება.

იმათთვის რომ შეგეხვდათ, უფრო საღაშქრო სამზადისში იყვენ, **სანამ** ხატობად მიმა-
 ვალნი (ა. ყაზ.);

ჩემს სიკვდილს უფრო მალე მნახავ, **სანამ** მაგისას (ა. ყაზ.);

[იმედა] უფრო იმთს ისმენდა, **სანამ** თავისას ამბობდა (ბაჩანა);

არაბულს რომ ვკითხულობდე, უფრო გავეგებდი, **მანამ** თქვენს ნაწერს (რ. ერისთ.);

სოფლის პაერი უფრო კარგად იმოქმედებს თქვენზე, **მანამ** ქალაქში ოთახში ჯდომი (ე. ბ-
 გაბ.);

ვევლა სასწავლებელში შევიცარს უფრო მომეტებული ჯამაგირი აქეს, **მანამ** ქართული
 ენის მასწავლებელსა (ი. გოგება).

ცხადია, სალიტერატურო ენისათვის მიუღებელია **სანამ** || **მანამ**-ის ამგვარად გამოყენება.

6. მხატვრული ლიტერატურის ენაში გვხვდება ასეთი წინადადებები:

შიდლო, სონაჯან... **სანამ** ჩაიცივი, გუნაცვალე, სიფქნიაზი მობრძანდება (ა. ცვაგარ.);

სანამ მე ვეცდები, ვეგბის მოგარჯულო (ა. ყაზ.);

სანამ მეც საბჭოთა ინსტიტუტს დაეამთავრებ (ი. გულის.); ევგენიამაც **სანამ** ტაბლა გაამ-
 ხადა, ცხრილზე დალაგა შვიდი პურის მარცვალი (თ. რაზიკ.);

სონაჯან, **სანამ** რამდენიმე ფრანციცული სიტყვა დამიწერე ქართული ასოებით (ა. ცვა-
 გარ.).

ემაწვილებო, დაუცვალთ... **სანამ** მე სუფრას დავათვალიერებ (ა. ცვაგარ.).

თემცა აქ რთული ქვეყნობილი წინადადება არა გვაქვს (**სანამ** დროის გარემოება და არა



კავშირი), მაგრამ დროში მიმართების საკითხი მაინც ნათელია: ამ წინადადებაში **არამედ** და **არამედ** მული მოქმედება უნდა უსწრებდეს წინა კონტექსტში გათვალისწინებულ მოქმედებას. უკეთ მივსადაგება ზმნისართები: **მანამ, მანამდის** (მანამდის ჩაიცვი... მანამდის მე ვეცდები... უფვიამაც **მანამდე** სუფრა გაამზად...) და არა **სანამ**, რომელიც ნიშნავს ვიდრე. ისე რომ, სალიტერატურო ენისათვის **სანამ** ზმნისართის ასეთი გამოყენებაც მიუღებელია.

შეიძლება დავასკვნათ:

1. **სანამ** დროის კავშირის ადგილი დამოკიდებულ წინადადებაშია, მისი კორელატისა (**მანამ**) კი - მთავარში. უმართებულოა და უარსაყოფი მათი ადგილების შეცვლა - **სანამის** გადატანა მთავარში და **მანამის** დამოკიდებულში.
2. **სანამ-მანამ** წველის ნაცვლად **სანამ-სანამისა** და **მანამ-მანამის** ხმარება დღეს დიალექტიზშია და, ამდენად, უარსაყოფია.
3. **მანამ** კორელატის ცალად ხმარება დამოკიდებულ წინადადებაში **სანამ** კავშირის ადგილას, აგრეთვე, დიალექტისათვის დამახასიათებელი ფაქტია და სალიტერატურო ენაში მას თავი უნდა ავირიდოს.
4. **სინამ, მინამ** სახეობა დიალექტიზშია და სალიტერატურო ენაში არ უნდა იხმარებოდეს.
5. დიალექტების შემონახვითა და სალიტერატურო ენისათვის მიუღებელია **სანამ** ზმნიზედის ხმარება ვიდრეს ფუნქციითა და ასევე მისი გამოყენება ნაცვლად ზმნისართებისა: **მანამდის, იმ დრომდის**.

2. არა მარტო - არამედ...

შერწყმულსა და თანწყობილ წინადადებაში ხშირად იხმარება წვეილი კავშირები - მაჯგუფებელი: **არა მარტო - არამედ, არა მხოლოდ - არამედ, არათუ - არამედ**... (მაჯ: მოვიდნენ არა მარტო ბავშვები, არამედ მშობლებიც, ე. ი. ბავშვებიც მოვიდნენ და მშობლებიც) და მაპირისპირებელი: **არ - არამედ, არა - არამედ, კი არა - არამედ, კი არა - არამედ**... (მაჯ: მოვიდნენ არა ბავშვები, არამედ მშობლებიც, ე. ი. ბავშვები არ მოსულან, მშობლებიც მოვიდნენ).

ამ კავშირთა მართებულად ხმარების პრინციპი ორივე ტიპის წინადადებაში ერთია: კავშირი შესაპირისპირებელი თუ დასაჯგუფებელი წვერების მიმართ გარკვეულ ადგილს უნდა იტყუარებ წინადადებაში, სახელდავრ. შესაპირისპირებელი ან დასაჯგუფებელი წვერი უნდა მოსდევდეს კავშირს. ოღონდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს წვერი აუცილებლად კავშირის უშუალო მეზობლად უნდა იყოს. მას შეიძლება უძლოდეს თავისი ამხსნელი სიტყვა ან სიტყვები: შესამსენებელს - გარემოებები ან დამატება, ხოლო სახელით გადმოცემულ რომელიმე წვერს - განსაზღვრება. მაგალითად: მოვიდნენ არა მარტო პატარა ბავშვები, არამედ მათი მშობლებიც. დასაჯგუფებელი წვერები **ბავშვები** და **მშობლებიც** ორშემადგენლიანი კავშირის შესაბამის ნაწილთა შემდეგ არიან განლაგებული, მაგრამ ამ წვერებს უძღვის თავ-თავისი ამხსნელები: **პატარა ბავშვები, მათი მშობლებიც**.

თანამედროვე სალიტერატურო ენა ამ წესს იცავს, მაგრამ გვხვდება დარღვევებიც. მაგალითისათვის წარმოვადგენთ ასეთი დარღვევების რამდენიმე შემთხვევასა და მათ გასწორებას.

მაგავს წინადადებათა გასწორებისას აუცილებელია დამატებით გავითვალისწინოთ ზოგი რამ: ჯერ ერთი, წვეილი კავშირები: **არა მხოლოდ - არამედ, არა მარტო - არამედ, არათუ - არამედ** და სხვ. ძველი ქართულიდან მოყოლებული, საკმაოდ ხშირად ხახმარი კავშირებია. მაგრამ დღეს იხინი უმეტესად მაინც ცოცხალი ენაში იხმარება. ცოცხალი მეტყველება ამჯობინებს ან სულ აუაროს გვერდით მათ, ან პირველი ნაწილი (**არა მარტო, არა მხოლოდ, არათუ...**) შეცვალოს კი არ, კი არა, კი ნუ, ნუ კი ნაწილაკებით.

მეორე, ამ წვეილ კავშირებთან ერთად ხშირად გამოიყენება დამხმარე გამაძლიერებელი ნაწილაკები: **-ც, -ცა და, კიდევ, აგრეთვე** და სხვ.

გასწორებისას ამის გათვალისწინებაცაა საჭირო.

რამდენიმე მაგალითი პრესიდან:

მხატვარი საშუალებას იძლევა გაეაუმჯობესოთ სარეკლამო საქმის არა მარტო შინაარსობრივი მხარე, არამედ აუმაღლოთ რეკლამის მხატვრული დონეც („თბილისი“).

წინადადების პირველი ნაწილი (მხატვარი საშუალებას იძლევა გაეაუმჯობესოთ სარეკლამო საქმის არა მარტო შინაარსობრივი მხარე) ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მეორე ნაწილ-



ში ლაპარაკი იქნება სარეკლამო საქმის სხვა მხარის გაუმჯობესებაზე; ე. ი. გაუმჯობესდება სარეკლამო საქმის შინაარსობრივი მხარეც და სხვა მხარეც. ამ შთაბეჭდილებას უქმნის არა მარტო დასმა დამატების - „შინაარსობრივი მხარის“ - წინ. მაგრამ მეორე ნაწილში („არამედ ავამაღლოთ რეკლამის მხატვრული დონე“) უკვე ირკვევა, რომ აქ მაჯგუფებელი კავშირის ნაწილი (არამედ) ავამაღლოთ ზმნასთანაა მიმართუბაში; ეს შემასმენელი უნდა დაჯგუფდეს პირველ შემასმენელთან, ამისათვის კი საჭიროა პირველი შემასმენელიც მოხდედეს კავშირს, ე. ი. უნდა იყოს ასე:

მხატვარი საშუალებას იძლევა არა მარტო გავაუმჯობესოთ სარეკლამო საქმის შინაარსობრივი მხარე, არამედ ავამაღლოთ რეკლამის მხატვრული დონეც.

ან სხვაგვარად: მხატვარი არა მარტო სარეკლამო საქმის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესების, არამედ რეკლამის მხატვრული დონის ამაღლების საშუალებასაც იძლევა.

სხვა მაგალითი:

ეს მკვეთრად გაუმჯობესებდა არა მარტო ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობას, არამედ დიდად შეუწყობდა ხელს ევროპის დაძაბულობის შენელებასაც (პრეს.).

ერთგვარი შემასმენელებია: გაუმჯობესებდა და ხელს შეუწყობდა. კავშირებიც მათ წინ უნდა დავიხვას. გვექნება:

ეს არა მარტო მკვეთრად გაუმჯობესებდა ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობას, არამედ დიდად შეუწყობდა ხელს ევროპის დაძაბულობის შენელებასაც.

ეს მეთოდი განაპირობებს არა მარტო ყურძნის მოსავალს, არამედ საშუალებას გვაძლევს დავამზადოთ მაღალხარისხოვანი ღვინო.

წინადადება შერწყმულია შემასმენლების მიხედვით. ქვემდებარეა მეთოდი, ერთგვარი შემასმენელებია: განაპირობებს და გვაძლევს. გადმოსაცემია აზრი, რომ ეს მეთოდი კიდევ განაპირობებს რაღაცას და კიდევ გვაძლევს რაღაცას. ეს აზრი რომ ნათლად იყოს ნათქვამი, საჭიროა შემასმენელთა სათანადო დაჯგუფება, რაც მაჯგუფებელ კავშირებს არა მარტო - არამედ აკისრის. მაგრამ კავშირისა და შემასმენლის გარკვეული მიმართების ასახვა ხერხდება წინადადებაში სიტყვათა სათანადო განლაგებით - ერთგვარი შემასმენლები უნდა მოხდედეს კავშირს. აქ კი კავშირის პირველ ნაწილს (არა მარტო) მოხდევს არა შემასმენელი, არამედ დამატება (არა მარტო ყურძნის მოსავალს), ბუნებრივია, მასზეა მახვილი და წინადადების პირველი ნაწილი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მეთოდი განაპირობებს გარდა ყურძნის მოსავლისა, კიდევ რაღაც სხვასაც. აზრი რომ ნათლად გადმოვცათ, წინადადება ასე უნდა ავაკეთო:

ეს მეთოდი არა მარტო განაპირობებს ყურძნის მოსავალს, არამედ აგრეთვე საშუალებას გვაძლევს დავამზადოთ მაღალხარისხოვანი ღვინო (პრეს.).

ან: ეს მეთოდი მარტო ყურძნის მოსავალს კი არ განაპირობებს, არამედ აგრეთვე საშუალებას გვაძლევს დავამზადოთ...

ნათლად ვერ არის გადმოცემული აზრი შემდეგ წინადადებაშიც:

რუკა არამც-თუ შურიანი და ბოროტია თავისი ბუნებით, არამედ ასეთივეა თავისი მრწამსითაც (სახელმ.).

ე. ი. უნდა გვითხრან, რომ რუკა ბოროტი და შურიანი თავისი ბუნებითაც და მრწამსითაც; ე. ი. დასაჯგუფებელია უბრალო დამატებები, ამისთვის კი სიტყვები ასე უნდა დალაგდეს ამ წინადადებაში:

რუკა არამც-თუ თავისი ბუნებით არის შურიანი და ბოროტი, არამედ თავისი მრწამსითაც ასეთივეა.

(თუ საერთოდ ნათელია აზრი ამ წინადადებისა).

ერთ სასკოლო სახელმძღვანელოში ასეთი წინადადება გვხვდება:

მოწვეული მოსავალი საკმარისი იყო არა მარტო იმათთვის, ვინც ყანაში მუშაობდა, არამედ რჩებოდა მოსავლის ნამეტიც (სახელმ.).

აქაც მოველით, რომ წინადადების მეორე ნაწილში ნათქვამი იქნება, კიდევ ვისთვის იყო საკმარისი მოწვეული მოსავალი. მაგრამ სხვა რამის თქმას აპირებენ: მოსავალი მუშებისთვისაც კმაროდა და კიდევ მეტი - ნამეტიც რჩებოდა. ამ ორი ნაწილის აზრი რომ ნათლად დაეუკავშიროთ ერთმანეთს, სიტყვები ასე უნდა დავალაგოთ:

მოწვეული მოსავალი არა მარტო საკმარისი იყო იმათთვის, ვინც ყანაში მუშაობდა, არამედ რჩებოდა კიდევ მოსავლის ნამეტიც.

შეიძლება ამ კავშირთა გვერდის ავლაც ასე:
მოწვეული მოსავალი იმათთვისაც საკმარისი იყო, ვინც ყანაში მუშაობდა, და მოსავლის ნა-
მეტრც რჩებოდა.

ზოგჯერ უმართებულოდ იყენებენ მაჯგუფებელ არც – არც წვეილ კავშირსაც. წესის მი-
ხედვით, ეს კავშირიც ერთგვარი წვერების წინ უნდა განლაგდეს. მაგალითად, სახვებით მარ-
თებულად არის აგებული აკაკის ცნობილ ნაწარმოებში შემდეგი წინადადება:

ეს ლოთი მასწავლებელი ყურადღებასაც არ აქცევდა თავის საგნებს, არც აღგებრას,
არც გომეტრიას, არც ტრიგონომეტრიას და არც ფიზიკას („ჩემი თავი“). თუ ერთგვარი წვე-
რები არც – არც კავშირის მომდევნოდ არ ვიხმარეთ, აზრი ბუნდოვანდება. ასეთი ვითარებაა
შემდეგ წინადადებაში:

„კომპლიმენტური“ კრიტიკა გზას უთმობს ობიექტურ და გონივრულ კრიტიკას, როცა და-
ვიწყებული არ არის არც ნაწარმოების კარგი და არც ნეგატიური მხარეა გაზვიადებული
(„ლიტ. საქ“).

აქ არც – არც წვეილმა კავშირმა უნდა დააჯგუფოს ერთგვარი შემასმენლები: დავიწყებუ-
ლი არის, გაზვიადებული არის. ამისათვის საჭიროა, რომ ეს შემასმენლები კავშირებს მოს-
დევდეს. აქ კი პირველი შემასმენელი უსწრებს არც კავშირს (დავიწყებული არ არის... არც),
რითაც აზრის ნათლად გადმოცემა დაბრკოლებულია. როგორც კი ერთგვარ შემასმენლებს
კავშირის შემდეგ დავსვამთ, წინადადება გაიმართება, გვექნება:

„კომპლიმენტური“ კრიტიკა გზას უთმობს ობიექტურ და გონივრულ კრიტიკას, როცა არც
ნაწარმოების კარგია დავიწყებული და არც ნეგატიური მხარეა გაზვიადებული.

ასევე მჭიდრო უერთიერთობაშია დაპირისპირებულ წვერებთან მაპირისპირებული წვეილი
კავშირები.

მაგ.: [გალაკტიონი] შემდეგში აქვეყნებს არა დეკლარაციებს ახალი ცხოვრებისადმი თა-
ნაგრძნობის შესახებ, არამედ ორგანულად იბრძვის ხინამდვილის კონკრეტული, უშუალო და
მხატვრული ასახვისათვის.

წვეილი მაპირისპირებული კავშირია არა – არამედ. მისი პირველი ნაწილი (არა) წინ უძღ-
ვის დამატებას (აქვეყნებს არა დეკლარაციებს). ამიტომ მეორე ნაწილში მის მაპირისპირო
წვერს მოვედით კავშირის მეორე ნაწილის შემდეგ (მაგალითად, ასე აქვეყნებს არა დეკლარ-
აციებს, არამედ ლექსებს), მაგრამ წინადადების მეორე ნაწილში გვეუბნებიან, რომ გალაკ-
ტიონი იბრძვის ხინამდვილის მხატვრული ასახვისათვის, ე. ი. წინადადების პირველ ნაწილში
ვევალფერი რიგზე არ არის. არა-ს შემასმენელი უნდა მოხდევდეს (არ აქვეყნებს), მხოლოდ
ასეთ შემთხვევაში იქნება ნათელი ამ ორი შემასმენლის შეპირისპირება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში არა ნაწილაკის გამოყენებას აჯობებდა კი არ
გვეხმარა და მთელი წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა:

(გალაკტიონი) შემდეგში დეკლარაციებს კი არ აქვეყნებს, არამედ... იბრძვის ხინამდვილის
კონკრეტული, უშუალო და მხატვრული ასახვისათვის.

განალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: შეპირისპირებულ ან და-
საჯგუფებელ წვერთა დასმა მაპირისპირებულ თუ მაჯგუფებელ კავშირთა წინ დაუშვებელია,
რადგანაც ასეთი უმართებულო სიტყვათა განლაგება აზრს აბუნდოვანებს, – შესაპირისპირე-
ბელი ან დასაჯგუფებელი წვერები უნდა მოხდევდეს წვეილი კავშირის ორივე ნაწილს.



ქართული¹

ქართულთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: წმინდა სტილისტიკური და სტილისტიკურ-სინტაქსური ხასიათის საკითხებად. ეს უკანასკნელი კი საბოლოოდ პუნქტუაციის წესებად ყალიბდება. ორივე ჯგუფის საკითხების სათანადო გადაწყვეტა, ცხადია, ქართულის რაობის, ბუნების გარკვევას გულისხმობს.

ქართულის რაობა სპეციალურ ლიტერატურაში ძირითადად გარკვეულია, თუმცა არსებობს ურთიერთგამომრიცხველი დებულებებიც. ამ ლიტერატურას აქ დაწერილებით არ მიმოვიხილავთ, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება ზოგიერთ საკითხზე (და იქნებ ზოგიერთი დებულების დაზუსტებაც). განვიხილავთ ძირითადად ე. წ. ქართულ სიტყვებს, რადგან სადავო საკითხებიც უმეტესად სწორედ მათ გარშემო იყრის თავს.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ქართულის გრამატიკული დახასიათება ძირითადად „ნეგატიურია“: ქართული არ არის წინადადების წვერი (თუნდაც განკერძოებული); ქართული გრამატიკულად არ არის დაკავშირებული წინადადების კონსტრუქციასთან; რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ამის საპირისპირო მოსაზრებაც: მაგალითად, ა. რუდნევის აზრით, ქართულსა და წინადადების დანარჩენ ნაწილს შორის არსებობს სპეციფიკური ხასიათის ურთიერთობა, სპეციფიკური ხასიათის სინტაქსური კავშირიც კი, რაც გამოიხატება ქართული სიტყვებისა და გამოთქმების (რომლებსაც მკვლევარი მსაზღვრელ სიტყვებს უწოდებს) წინადადებაში „ქართვის ფაქტით“ და საზღვრულ სიტყვებთან მათი მეზობლობით... მსაზღვრელი სიტყვების ფორმა არ არის დამოკიდებული საზღვრულ სიტყვებზე და მათ, როგორც წესი, არ დაეხმის დოგიკური კითხვები, მაგრამ გარკვეულ სინტაქსურ ფუნქციას იხიბს მაინც ასრულებენ – მიეკუთვნებიან წინადადების ამა თუ იმ წვერს და განსაზღვრული აზრობრივი ელფერი შეაქვთ გამოხატულებაში. შემოთავაზებულია ამ ურთიერთობის ამსახველი ტერმინიც – თანაფარდობა ან თანაფარდობითი კავშირი („соотношение“ или „соотносительная связь“)².

ზოგიერ მკვლევარი (ა. მუშანიანი, ე. კოტევიანი) ქართულს წინადადების წვერადაც აცხადებს.

ქართულის ფუნქცია რამდენადმე განსხვავებულიადაა განსაზღვრული იმ გამოკვლევებში, რომლებშიც წინადადება მიწვეულია არა მარტო ენობრივ (სტრუქტურულ) ერთეულად, არამედ მეტყველების (აზრობრივ-ლოგიკურ) ერთეულად³. ქართული, ისევე როგორც წინადადების განკერძოებული წვერები და წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სხვა სიტყვა-გამოთქმები, დახასიათებულია, როგორც წინადადების აქტუალიზების გამაძლიერებელი საშუალება⁴.

ქართულის ფუნქცია, ზოგიერთ სხვა დამხმარე სიტყვასთან (ნაწილაკთან, კავშირთან...) ერთად, შემდგენილია ან არის განსაზღვრული სპეციალურ ლიტერატურაში: ეს სიტყვები გამოყოფენ სიტყვათა მოწესრიგებული რიგის ერთ-ერთ წვერს, როგორც მეტად ან ნაკლებ მნიშვნელოვანს, შემოკლებით ახალი წვერი და ხშირად სიტყვათა რიგს, ანდა გამოყოფენ ერთ-ერთ წვერს მოდალური შეფასების საფუძველზე⁵.

და მაინც, „პოზიტიურად“ ქართული დახასიათებულია უმეტესად სტილისტიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით. ქართულის სტილისტიკურ-სემანტიკური ფუნქციები, რომლებსაც ასახელებენ სათანადო ლიტერატურაში, ზოგადად შემდეგი ხასიათისაა: ინფორმაციული (მოუბარი აზოგადებს ან აკონკრეტებს ამბავს; მიუთითებს ნაამბობის თანამიმდევრობაზე ან მოწოდებული აზრის წყაროზე), შემფასებლური (მოუბარი თვითვე აფასებს თავის ნაამ-

¹ ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VIII, 1988.

² იხ. Г. Руднев, Синтаксис осложненного предложения, М., 1959, გვ. 123.

³ შეენიშნეთ, რომ სხვა მკვლევარი წინადადებას საერთოდ განიხილავს არა ენის, არამედ მეტყველების ერთეულად. იხ. О. С. Ахванова, Г. Б. Микаэлян, Современные синтаксические теории, М., 1963, გვ. 123.

⁴ ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973, გვ. 158-159.

⁵ Русская грамматика, II, Синтаксис, М., 1980, გვ. 173.



ბობს) ან ემოციურ-შემაჯავებელი (მოუბარი გამოხატავს ემოციურ დამოკიდებულებას ინფორმაციის მიმართ)...

მაშასადამე, ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებს, მიუხედავად ფუნქციითა მრავალგვარობისა, ლიტერატურის მიხედვით, ახასიათებთ ერთი სპეციფიკური ნიშანი: ამბავი დანახული თუ შეფასებულია მუდამ და მხოლოდ მთქმელის პოზიციიდან. სხვა დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად (რომ გრამატიკულად ეს ჯგუფი „ტრელია“ და მის სემანტიკაში არ შედის კონკრეტული საგნობრივი მნიშვნელობის მქონე სიტყვები; რომ ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების ადგილი წინადადებაში თავისუფალია), აღნიშნული ნიშნის საფუძველზედაც ჩართული სიტყვები და გამოთქმები გაერთიანებულია ერთ ლექსიკურ-სინტაქსურ ჯგუფში⁶.

რამდენადაც ჩართული სიტყვები (და 'გამოთქმები') წინადადებას „სუბიექტურ-მოდალურ“ შინაარსს სძენენ, ამიტომ მათ „მოდალურ სიტყვებსაც“ უწოდებენ და განიხილავენ მოდალობის კატეგორიის გამოხატველ ლექსიკურ საშუალებებს შორის, როგორც სიტყვათა განსაკუთრებულ „გრამატიკულ კლასს“⁷.

თუ ე. წ. „ობიექტურ-მოდალური“ შინაარსი ყველა წინადადებას აქვს და ითვლება, რომ არც არსებობს პრეკატულია მოდალობის გარეშე, „სუბიექტურ-მოდალური“ შინაარსი ყველა გამოთქმას შეიძლება არც კქონდეს, ემოციურად შეფერილი შეიძლება ყველა წინადადება არ იყოს.⁸ და, რაკი ჩართული სიტყვები ერთ-ერთი საშუალებებია ამ სუბიექტურ-მოდალური შინაარსის გამოხატვად, გრამატიკულად კი ისინი არ უკავშირდებიან წინადადებას, ამიტომ ჩართულის დეფინიციაში განიხილა ახალი თეზისი: ჩართულის ამოღებით წინადადების აზრი არ ირღვევა.

ამ დებულებას შეიძლება კქონდეს მხოლოდ შეფარდებითი (და არა აბსოლუტური) მნიშვნელობა: ჩართულის ამოღებით არ ირღვევა გრამატიკული აზრი, უკეთ, წინადადების სტრუქტურა, თორემ შინაარსი ირღვევა (წინადადების შინაარსს არ არღვევს მხოლოდ ზედმეტი დამხმარე სიტყვების ამოღება. ამაზე – ქვემოთ)... ჩართულის ამგვარ განმარტებას გაუმართლებლად თვლიან მეთოდური თვალსაზრისითაც⁹. უკანასკნელ ხანს გამოითქვა ამ დებულების დიაპერტრულად საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ თითქმის „კომუნიკაციის დროს თითქმის არც ერთი მტკიცებულებითი პროცესი არ მიმდინარეობს კომენტარების გარეშე, ჩართული სიტყვების ან სიტყვათა შთანხმების (!) სახით...“¹⁰

მაგრამ ყოველ სალიტერატურო ენაში ერთმანეთისაგან იმიჯნება ნეიტრალური და ემოციური ხასიათის წინადადებები. მათ ბევრი ნიშანი განასხვავებს: სიტყვათგანლაგება, წინადადების ინტონაციურ-მელოდიკური სტრუქტურა, დამხმარე, „მოდალური სიტყვების“ მეტნაკლებობა და სხვა... რაც შეეხება, კერძოდ, ჩართული კონსტრუქციების გამოყენებას სალიტერატურო ენაში, ყურადღებას იქცევს ტექსტებზე დაკვირვებები ამა თუ იმ სალიტერატურო ენის განვითარების მიუღს მანძილზე. რუსული სალიტერატურო ენის მკვლევრებს, მაგალითად, შინიშნული აქვთ, რომ მე-18 საუკუნის ტექსტებში ჩართული კონსტრუქციები შედარებით იშვიათად გვხვდება, მე-19 საუკუნის ტექსტებში კი მათი რაოდენობა თანდათან იზრდება.

ჩართული სიტყვისა და წინადადების გამოყენება ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში სპეციალურად შეისწავლა ანტ. კიხიამ. მკვლევარი აღნიშნავს: „ძველ ქართულში ჩართული სიტყვები შედარებით იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება. გადმოცემულია ვითარების გარემოების ფორმებით“... (მაგ., ჭეშმარიტად, მცნებისაგარე...) და შემდეგ: „ჩართული გამოთქმებისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია ისეთი ფორმები, რომელთაც შესიტყვების ცენტრად ზმნა-შემასმენელი მოეპოვებათ. იგი ძირითად წინადადებასთან დაკავშირებულია უკავშიროდ ან კავშირის მეშვეობით. სხვა სახის ჩართული სიტყვა, რომელიც ახალ ქართულში

⁶ Русская грамматика, II, გვ. 228-229.
⁷ В. Виноградов, О категории модальности и модальных словах в русском языке. Исследования по русской грамматике, М., 1975, гл. 53-87.
⁸ Русская грамматика, II, гл. 214-216.
⁹ რ. შამელაშვილი, განკრძობული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდის, თბ., 1958, გვ. 161.
¹⁰ დ. ნახაპტოვა, ტექსტის ელემენტური კავშირების შესახებ ქართულ კონსტრუქციებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1986, გვ. 135.



გვეხდება, ძველ ქართულში არაა მკვეთრად გამოყოფილი, როგორც განკერძოებულ გამოთქმა (!)..." ჩართული გამოთქმების მაგალითები ასეთია: **მე ვითარ ვგონებ, ვითარ იგი გიბრძანე, ვითარცა გაუწყეთ** [ღმობრძნისმოყვარებასა თქვენსა], **ვითარცა ვთქუთ... ვითარცა ხედაეთ... ვითარცა ხიტყბ** პავლე...¹¹

მსგავსი ფაქტების საფუძველზეა გამოთქმული ვარაუდი, რომ ჩართული სიტყვები თუ კონსტრუქციები გვიანი წარმოშობისაა; რომ ჩართულ სიტყვად შეიძლება იქცეს გარემოებითი სიტყვები ან რედუცირებული წინადადებები (ე. ვინოგრადოვი); რომ ჩართული სიტყვა წარმოადგენს თითქოს დაუმთავრებელ წინადადებას ან მიღებულია სრული წინადადებისაგან, რომლისაგანაც დარჩენილია მხოლოდ ესა თუ ის ნაწილი. ეს უკანასკნელი ზოგჯერ ნაწილაკადაცაა ქცეული (დ. ოხსიანიკო-კულიკოვსკი); რომ ჩართული სიტყვები და შესიტყვებები წარმოქმნილია. ე. წ. ჩართული წინადადებებისაგან... (ა. პეშკოვსკი); რომ ჩართული სიტყვები და გამოთქმები... როგორცაა: „**კეშმირტად, სიტყვსაებრ უფლისა, მსგავსად ძალისა თვისისა**“ და მისთ, წარმოშობით ვითარების გარემოების ფორმებია, ოღონდ დაკარგული აქვთ გარემოების გაგება და განვლულია სინტაქსური ურთიერთობის გამოსატყვის საშუალებაც. ამიტომაც, რომ ოდესღაც მართლაც წვერი წინადადებისა, რომელსაც საამისო ფორმაც აქვს, არ გაიგება წინადადების წვერად. წინადადების შემადგენლობიდან ის გამოითქმა პაუზამ, რომელიც განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყოფის ერთ-ერთი საშუალებათაგანია“¹².

აღნიშნული დებულებებიც არ არის აბსოლუტური ხასიათისა (ვერ გავრცელებულია ყველა ხახის ჩართულზე) და ზოგ დაზუსტებასაც მოითხოვს. ნაწილი ჩართული სიტყვებისა თუ გამოთქმებისა ეტიმოლოგიურად მართლაც „რედუცირებული წინადადებებია“. ასეთებია, მაგალითად, ქართულ ენაში დამკვიდრებული ე. წ. „ფიცადის ფორმულები“ – **ღმერთმანი, დედაშვილობას, დამძობამ, მიწის მადლმა**... და მისთ. შესაძლოა, პიპოტაქსური კონსტრუქციის მოშლის შედეგად იყოს წარმოქმნილი შედგენილი შემასხმენლის ფორმის მქონე ჩართულები: **რასაკვირველია, ბუნებრივია** და მისთ.¹³

რაც შეეხება ე. წ. გარემოებითი ან სხვა სიტყვების ჩართულად აქცევას, იგი მიმდინარე უწყვეტი პროცესია. დაზუსტებისათვის: ჯერ ერთი, ესა თუ ის სრულმნიშვნელოვანი სიტყვა, ცვდება რა ჯერ სემანტიკურად, შემდეგ კი – ფუნქციურად, ჩართულად კი არ იქცევა, არამედ – არასრულმნიშვნელოვან სიტყვად (მაგ., ზმინსართი ან ზმნა – ნაწილაკად). როგორც ერთმა, ისე მეორემ (ე. ო. როგორც სრულმნიშვნელოვანმა, ისე მისმა სახედაცვლამა – არასრულმნიშვნელოვანმა სიტყვამ), შესაძლოა, გარკვეულ პოზიციაში შეასრულოს ჩართულის ფუნქცია. მეორეც: ერთმა და იმავე ფრაზაშიც კი, სხვადასხვა სინტაქსურ პირობებში, ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს – ვითარების გარემოებისა, ჩართულისა ან მოდალური ნაწილაკისა¹⁴. ძირითადი განმსაზღვრელი სინტაქსური პირობები კი სიტყვათაგანდაცაა¹⁵ და ინტონაცია. სინტაქსურ პირობებთან ერთად სიტყვის ამა თუ იმ სინტაქსურ ფუნქციის რეალიზებას ხელს უწყობს ამ სიტყვის სემანტიკა და ზოგჯერ ფორმაც. ამიტომ ჩართულ სიტყვებს ფუნქციურ-სინტაქსურ ომონიმებას უწოდებენ.¹⁶ ამიტომაც ითვლება ადბათ ჩართული სიტყვები და გამოთქმები ადვილად შეეცლება დ ლექსიკურ-სინტაქსურ ვგუფებად¹⁷.

რაც შეეხება ჩართული სიტყვებისა თუ გამოთქმების მეტ-ნაკლებად გამოყენებას ამა თუ იმ ეპოქის სალიტერატურო ენაში, ამის მიზეზი უფრო ექსტრალინგვისტურ ფაქტორებში უნდა ვეძიოთ (როგორცაა, მაგ., სალიტერატურო ენის ფუნქციების გამრავალფეროვნება. ინ-

¹¹ ა. კიხორია, ჩართული სიტყვა და წინადადება ძველ ქართულში, იკვ. XV, გვ. 176-177.
¹² ა. კიხორია, დასახ. ნაშრ., გვ. 172-173, 180.
¹³ შეენიშნავთ, რომ ეს „ფორმულები“ მორფოლოგიურად შორისდებულთა შორის განიხილება. იხ. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1973, გვ. 625; ი. განიჩილაძე, შორისდებულთა ახალ სალიტერატურო ქართულში, თბ., 1979, გვ. 106-112.
¹⁴ შერ, ო. ახმანოვა, Г. Б. Микаэлян, დასახ. ნაშრ., გვ. 134-135.
¹⁵ აღნიშნული ტერმინისათვის იხ. ბ. ფონსუა, სიტყვათაგანდადებისათვის ქართულში, იკვ. XIII, თბ., 1962; შ. აფრედონიძე, სიტყვათაგანდადება ახალ ქართულში, თბ., 1986, გვ. 3.
¹⁶ В. М. Панькин, Омонимия лексическая и синтаксическая, Русская речь, №1, 1975, გვ. 74-75.
¹⁷ Русская грамматика, II, გვ. 228.



ფორმაციულობის ზრდა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ლოგიკური მსჯელობისა თუ მხრდამტურნიუნანსების შემცველ წინადადებათა თუ შესიტყვებათა მომრავლებას, სახაუბრონის ნაკედის მეტად შემოჭრას ხალიტერატურო ენაში და სხე).

ერთსაც შეუნიშნავთ: ძველი ქართული ხალიტერატურო ენის ტექსტები ისევე შესასწავლი ჩანს ამ თვალსაზრისით. საყურადღებოა, მაგალითად:

1) დ. შელიქიშვილის დაკვირვებები ძველ ნათრგმნ ძველებში ბერძნული ნაწილაკების შესატყვისი ნაწილაკების (სადამე / სადმე / სამე, ნუუაჟე, ნუუჟე...) გამოყენებაზე საკაჟირებულ სიტყვებად. ამ ნაწილაკების გამოყენებას ზოგჯერ, მკვლევრის აზრით, მხოლოდ ფორმალური, სტილური დანიშნულება აქვს, და ამ „მეტნობით“ კაჟირების ამოღებით აზრს „დაშლა და ენება არ შეუთხვევა“ (ანტონ I)¹⁸. სწორედ ამგვარი „შინახისსაგან დაცილილი“ სიტყვები შეადგენს ჩართულთა ერთ ფენას¹⁹.

2) დ. შალვაშვილის დაკვირვება თავად ზმნისართზე, როგორც ავტორი აღნიშნავს, „სულხან-საბა ორბელიანისა და მისი დროის ლიტერატურული ძეგლების ენაში თავად გავრცელებულია ჯერ, ჯერ ერთი, ჯერ იყო და, ისეც, ისედაც, თავიდან, პირველად, უწინ... ზმნიხედებისა და ზმნიხედური წყვილების შინაარსით“²⁰. მკვლევარს მოჰყავს ასეთი წინადადებები: „თავად იმ სახლის ატებულება გვიკვირდა და მერე იმდენი ფერი საკრავი და თამაშობა“ („რუსუდანინანი“); „თავად მორჩინა უხაროდა [დორს] და მერე ის ალაგი მოეწონა, ჩაღიანი, ტყიანი და ბევრი ხიღიანი“ („თომსარიანი“); ყველა გვიშლიდა ცოტას ნავით წასვლას. თავად ავი ხადელავი ადგილი იყო, მერმე – ეთიობისა და ოსმალის მეკობრე მრავალი (სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ვეროპაში“)²¹. ამ წინადადებებში თავად [= ჯერ ერთი] ზმნისართი, ვფიქრობთ, ინტონაციურად გამოყოფილია წინადადების წვერებისაგან და ჩართულის ფუნქციას ასრულებს...

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩართული სიტყვები გრამატიკულად არაერთგვაროვანია. ჩართულად გვხვდება როგორც სრულმნიშვნელოვანი სიტყვები (ზმნა, ზმნისართი), ისე დამხმარე (ნაწილაკი, კაჟირი, შორისდებული). მათ, ჩვეულებრივ, სტილისტიკურ-სემანტიკური ფუნქციების მიხედვით აჯგუფებენ. ასეთი დაჯგუფებისას ერთმანეთის გვერდით ხვდება, მაგალითად, ზმნური ფორმის სიტყვები – ჩანს, ეტვობა, მგონი || გგონებ და ნაწილაკი ალბათ (აგრეთვე გამოთქმები ვინ იცის, ვინ უწყის, ღმერთმა უწყის...), რომლებიც საექვო-საეგებიოს ხდიან მიღებულ ინფორმაციას ან გამოხატავენ მოქმედის ექვანრეე დასტურს წინადადებაში გამოთქმული აზრის მიმართ; ანდა – ზმნისართი ამგვარად, და კაჟირი მაშასადამე, რომლებიც გამოხატავენ „დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან“ (ა. შანიძე) და ა. შ. ჩართულად გამოყენებული სიტყვების სინტაქსური ფუნქციების გასარკვევად კი, იმის გასარკვევად, თუ როგორ იცვლება ზოგიერთი სიტყვის ფუნქცია სინტაქსური პირობების შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მათი გრამატიკული დაჯგუფება. ცალ-ცალკე ჩანს განსახილველი ჩართულის ფუნქციის მქონე ზმნისართები, ნაწილაკები, ზმნის პირიანი ფორმები, შედგენილი შემასმენლის ფორმის მქონე სიტყვები...

ჩვენი დაკვირვებებიც სწორედ ამგვარი დაჯგუფებითაა წარმოდგენილი.

1. ჩართულის ფუნქციის მქონე ზმნისართები

როგორც ცნობილია, ჩართულ სიტყვებად უმეტესად ვითარების ან ზომამდენობის ზმნისართები გვხვდება, ე. ი. ზმნისართები, რომლებსაც მოდალური შინაარსი აქვთ და წინადადების ძირითად შემადგენლობაში ვითარების გარემოების სინტაქსურ როლს ასრულებენ.

ვითარების გარემოების ადგილი წინადადებაში, შეიძლება ითქვას, მკაცრად განსაზღვრულია. სათანადო გამოკვლევებში აღინიშნულია, რომ „ხალიტერატურო ენაში ვითარების და

¹⁸ დ. მელიქიშვილი, „ზოგი საკაჟირებელი სიტყვისა და ნაწილაკის წარმოსავლობისათვის... „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, №2, 1984, გვ. 99.

¹⁹ თანამედროვე ქართულ ხალიტერატურო ენაში ასეთ „მეტნობით“ კაჟირებად გვევლინება ზოგჯერ და მინც, არადა (ხშირ შემთხვევაში კი მათი ხმარება გარკვეული სტილური ელფერის შემცველი).

²⁰ დ. შალვაშვილი, „ხობრწე-სიცრუისას“ დახაწყისის გაგებისათვის, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №1-2, 1985, გვ. 66.

²¹ დ. შალვაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 67.



სომა-ოდენობის აღმნიშვნელი ზმნიხედები უმეტეს შემთხვევაში ზმნას წინ უსწრებენ, მაგრამ რომ „პოზიციის სიმყარის მხრივ არც ერთი წვერი არ შეედრება აღნიშნულ გარემოებას“²²

ახსნილი ამ მყარი პოზიციის მიზეზიც: „...შემასმენელი არც შინაარსით და არც თავისი ფორმით არ მოითხოვს იმ დაზუსტებას, რომელიც ვითარების გარემოებას შეაქვს წინადადებაში. თვით ვითარების გარემოება, წინადადების სხვა წევრებისაგან განსხვავებით, შინაარსულად არაა თავისთავადი, იგი მხოლოდ სხვა სიტყვის – შემასმენლის – როგორობას აღნიშნავს და ცალკე აღებული არავფრს გამოხატავს. ბუნებრივია, თუ ვითარების გარემოება ცდილობს მიეკვდოს „ფუჟე“-სიტყვას, შემასმენელს“²⁴.

თუ აღნიშნული პოზიციის შეცვლა, ერთი მხრივ: „...სტილისტიკური შეუსაბამობის მიზეზი ხდება და წინადადების შინაარსსაც ელფერს უცვლის“, განახსვავებს წინადადების წევრებს („ტარიელი ქარივით მიაქროლებდა ცხენს“ და „მიაქროლებდა ქარივით ცხენს“)²⁵, მეორე მხრივ, იგი ხელს უწყობს ზმნისართების განკერძოებას.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია შემდეგი: თუ წინადადებაში ორი ვითარების გარემოებაა, ისინი განლაგებულია იმის მიხედვით, თუ „რომელ სემანტიკურ ერთეულთან ამკერძებენ კავშირს: მთელ წინადადებასთან თუ მხოლოდ შემასმენელთან. წინადადების მსახდრელი თავიადურ პოზიციას იკავებს წინადადებაში, შემასმენლისა კი – მის წინამავალს“²⁶. თვლიან, რომ „ვითარების გარემოებათა ამგვარი დაყოფა-დიფერენცირება იძლევა გასაღებს ჩართულის მოვლენის გაგებაშიც: ჩართული ხშირად ვითარების გარემოებად რეალიზდება, თუ მას უშუალოდ დაუკავშირდება ზმნა-შემასმენელი და პაუზის გარეშე ჩაერთვება წინადადებაში“²⁷.

და არა მხოლოდ წინადადებაში წარმოდგენილი ორი ზმნისართიდან ერთ-ერთი, არამედ ერთი ზმნისართიც – სხვადასხვა პოზიციაში – შეიძლება რეალიზებულ იქნეს ვითარების გარემოებად ან ჩართულად. ამიტომ ჩართულისა თუ ზმნისართების (ზმნიხედების) შესახებ არსებულ მეთოდურ ლიტერატურაში სპეციალურად მსჯელობენ ვითარების გარემოებისა და ჩართულის განსხვავების შესახებ და მიუთითებენ სწავლების პროცესში ამ საკითხის მიმართ ყურადღების გამახვილების აუცილებლობაზეც.

როგორც ირკვევა, განკერძობებული ზმნისართი ყოველთვის ჩართულად შეიძლება არც იქნეს კლავიფიცირებული.

შეადრებისათვის ჯერ მოვიყვანთ წინადადებებს, რომლებშიც ზმნისართს მისთვის ბუნებრივი პოზიცია უჭირავს – ზმნა-შემასმენელს უშუალოდ წინ უძღვის და ვითარების გარემოების როლს ასრულებს (სანიშნოდ ძირითადად ისეთი წინადადებები მოგვყავს, რომლებშიც ზმნისართი სინტაქსურად და ინტონაციურად არ არის განკერძობებული, მაგრამ, რაკი იგივე ზმნისართი ხშირად გვევლინება ჩართულად, შეცდომით გამოყოფილია წინადადების წევრებისაგან მძიმეებით:

ქალებმა შენიშნეს, რომ ძველი დედები, უმეტესად, არას აკოტებდნენ, მხოლოდ კოწილობას უნდებოდნენ (აკაკი); ეს მიმართულება, უპირატესად, ლოგოკურ-სემანტიკური იყო (რ. ნუჟ. თარგ.); მუხანგ სისუქების გამოყენება, განსაკუთრებით, ხელსაყრელია ამოცინა-გორაკიან პირობებში (ა. ფაჯარ).

მკიდრო კავშირი, რომელიც ახასიათებს შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაში მყოფ ვითარების გარემოებას (ზმნისართს), ირღვევა, თუ იგი ზმნის შემდეგ გადაინაცვლებს. ინტონაციურად იგი უკვე შორდება „ფუჟე“-სიტყვას და განკერძოებისაკენ ისწრაფვის. მაგ.:

როგორც მოგეხსენებათ სახოვადოდ ქერივის მდგომარეობა [შრ.: როგორც სახოვადოდ მოგეხსენებათ ქერივის მდგომარეობა], ეს დედაკაცი დიდს წავხა და დავვაში იყო (აღ. ყაზბ.); ერთხელ, როდესაც პურის ჭამად ისხდნენ დარბაისლები მფეხსთან და შექქცეოდნენ ჩვე-

22 მ. ჩინჩაიძე, ქართული ზმნიხედის სწავლება სკოლაში, თბ., 1955, გვ. 151.
 23 შ. აფრიდონიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.
 24 ბ. ფონხუა, დასახ. ნაშრ., გვ. 119-120.
 25 მ. ჩინჩაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 151.
 26 შ. აფრიდონიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 44.
 27 იქვე, გვ. 45.



ულებრივად [შდრ: ჩვეულებრივად შეექცეოდნენ], ვიღაც წვერმოშუებული მსხვირე მო-
ადგათ და დაუწყო მათ შირები (აკაკი); მისი მოგვარება დაკავშირებულია, უპირველესად
[შდრ: უპირველესად დაკავშირებულია] საკურორტო-ტურისტული და სარტანსაძის
ნებლობის განხორციელებასთან (პრეს).

შემასმენელთან დისტანციურ პოზიციაში მყოფი ზმნისართი კი აშკარად განკერძოებულია
და სწორედ იგია ჩართულად კვალიფიცირებული. მაგ.:

დიდ აღმაინებს, ჩვეულებრივ, დიდი დაბრკოლებების გადალახვა უხდებოთ და მათი ხასიათი
ბროლაში იწრთობა და კედება (გ. ქიქ).

სათანადო გამოკვლევებში, როცა წინადადებაში ჩართულის ადგილის შესახებ მსჯელო-
ბენ, აღნიშნავენ, რომ ა) ეს ადგილი თავისუფალია: „ჩართულს ახასიათებს უნარი წინადადებ-
ბის სიტყვიერ სივრცეში სინტაქსური მოძრაობისა“²⁸. ბ) ჩართული შეიძლება მიემართოდეს
მთელ წინადადებას ან მის რომელიმე წევრს; თუ მთელ წინადადებას მიემართება, უმეტესად
წინადადების თავშია ან ბოლოში, ხოლო თუ ერთ-ერთ წევრს (ან წინადადების ნაწილს), მა-
შინ მათ გვერდით თავსდება²⁹.

გარკვეული ხასიათის მსჯელობას უხდებით ჩართულის თანმხლები ინტონაციის შესა-
ხებაც. მაგალითად, რ. შამელაშვილი განასხვავებს წინადადების თავსა და შუაში ჩართული
სიტყვების ინტონაციას. თავში მდგომი ჩართული სიტყვა-გამოთქმები, რომლებიც სემანტიკურ-
რად მთელ წინადადებას მიემართება, ავტორის აზრით, „ინტონაციურად ყოველთვის როდი
გამოიყოფიან... წარმოითქიან წინადადებასთან მთლიანობაში“. ხოლო, როცა ჩართული წინა-
დადების შუაშია, მაშინ „...ჩვეულებრივ, ერთი პაუზაა ჩართულის წინ ან მის შემდეგ. პაუ-
ზის ადგილი განისაზღვრება ჩართულის აზრობრივი კავშირით წინადადების ამა თუ იმ
სიტყვასთან. ჩართულსა და იმ სიტყვას შორის, რომელთანაც იგი სემანტიკურად დაკავშირე-
ბულია, პაუზა ჩვეულებრივ არაა“³⁰.

ჩვენი აზრით, თუ სიტყვა ჩართულია, იგი აუცილებლად მთელ წინადადებას მიემარ-
თება და ლოგიკურ-სემანტიკურად წინადადების დერს – ზმნა-შემასმენელს უკავშირდება. ინ-
ტონაციურად იგი დამოუკიდებელია – მცირე პაუზით გამოყოფა მთელ წინადადებას, იქნე-
ბა ეს სიტყვა წინადადების თავში, შუაში თუ ბოლოში. მაშინაც კი, როცა ჩართული სიტყვა
თითქოს წინადადების ერთ-ერთ წევრს ეხება და მის გვერდით თავსდება, შემასმენელი მათ
შორის აზრობრივად მაინც აღდგება და ჩართულის შემდეგ (ან წინ) თავისუფლად შეიძლე-
ბა დაისვას ელიფსის აღმნიშვნელი ტირე მაგ.: „მელამაც სიცილი დაიწყო, რასაკვირველია,
ძალაუნებურად (ვაჟა)“³¹. ჩართულსა და ვითარების გარემოცვას შორის კავშირი ამ წინა-
დადებაში შეიძლება ასეც გამოიხატოს გრაფიკულად: მელამაც სიცილი დაიწყო, რასაკვირვე-
ლია – ძალაუნებურად (= რასაკვირველია, ძალაუნებურად დაიწყო სიცილი).

საინტერესოა ამ მხრივ სწორედ ზმნისართ-ჩართულებზე დაკვირვება.

ზმნისართების დიდი ნაწილი, როგორც აღინიშნა, ზმნა-შემასმენლისაგან დაშორების შემ-
თხვევაში განკერძოვდება წინადადებისაგან და ასრულებს ჩართულის ფუნქციას. მაგრამ გან-
კერძოებული ზმნისართის ფუნქციის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს იმაზეც, თუ წინა-
დადების რომელ წევრს მიემართება ზმნისართი და რომელ წევრთან ქმნის ლოგიკურ-სემან-
ტიკურ და ინტონაციურ წყვილს. გარდა ამისა, ფუნქციას განსაზღვრავს თვით ზმნისართის
სემანტიკა და წინადადების აღნაგობაც.

მაგალითად: ზმნისართები **კრძობდ, სახელდობრ, მაგალითად, უპირატესად (უმეტესად, მით უმეტეს),** რომელთა სემანტიკური ფუნქცია არის მრავლისაგან ერთის გამოყოფა, თუ წი-
ნადადების რომელსაზე (უმეტესად – სახელით გამოხატულ) წევრს მიემართებიან, მაშინ ამ
წევრთან ერთად განკერძოვებიან და საკავშირებელი ან დამხმარე სიტყვის ფუნქციას ასრუ-

²⁸ В. В. Виноградов, *დასახ., ნაშრ., გვ. 67; შ. აფრიდონიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45.*

²⁹ Современный русский язык, II, გვ. 143.

³⁰ რ. შამელაშვილი, *დასახ. ნაშრ., გვ. 155-156.*

³¹ ეს წინადადება მოსკოვის დ. კვაჭაძეს იმის ერთ-ერთ ნიმუშად, რომ ჩართული შეიძლება ეხებოდეს
არა „მთელ წინადადებას, არამედ მის ერთ-ერთ წევრს“ (ამ შემთხვევაში – ვითარების გარემოებას). იხ.
დ. კვაჭაძე, *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 304.*



დებენ. სწორედ ამ შემთხვევაში არა გვაქვს პაუზა „ჩართულსა და იმ სიტყვას შორის“ მელთანაც იგი სემანტიკურად დაკავშირებულია“. მაგ:

1) ზმნისართი დანართის საკავშირებელი სიტყვა:

უფრო ხშირად წიგნი, მაგალითად რომანი³² ცალკე გამოსვლამდე კურნალში იბეჭდება (რ. ჯაფარი); დაახლოებული ამხანაგები, მით უმეტეს, მეგობრები, ბევრი არ პყავდა (ნ. ტაბა); ნარკოტიკული ნივთიერების მიღების შედეგად... ადამიანი, მით უმეტეს, მოზარდი, გონებრივად ჩლუნგდება (პრეს.); ქალი ნებისმიერი მოვლენისადმი, განსაკუთრებით ადამიანთა განსაკუთრებისადმი ზედმიწევნით ფაქიზი და გულისხმიერი დამოკიდებულებით გამოირჩევა (პრეს.).

სათანადო ლიტერატურაში აღნიშნული ზმნისართები ჩამოთვლილია დანართის საკავშირებელ სიტყვებს შორის, მაგრამ არ არის მსჯელობა იმის შესახებ, თუ როდის ასრულებენ ისინი დანართის საკავშირებელი სიტყვის ფუნქციას და როდის – ჩართულისა. ოღონდ, ნ. ბასილიაა მიუთითებს პუნქტუაციურ შეცდომებზე კერძოდ და მაგალითად ზმნისართების გამოყენებისას: „კერძოდ და მაგალითად დანართთან ან სხვა განკერძოებულ წევრთან წინადადებაში ასრულებს არა ჩართული, არამედ საკავშირებელი სიტყვის როლს (მრავლისაგან გამოყოფს ერთს). ამიტომ იგი სახეწი ნიშნით გამოიყოფა არა ცალკე, არამედ იმ სიტყვებითურთ, რომელთაც ახლავს...“³³.

2) ზმნისართი განკერძოებული დროის ან ადგილის გარემოების საკავშირებელი სიტყვა (შვენიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში ზმნისართი, გარემოებასთან ერთად, რა თქმა უნდა, ზმნა-შემასმენელთანაც ამყარებს სემანტიკურ კავშირს):

...უკვას ღირსებაში, განსაკუთრებით მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, გაისმა ღრმა ტრაგიკული მოტივები... (გ. ქიქ.); უკანასკნელ ხანს, განსაკუთრებით ომის შემდეგ, არასა-საიომონ მოუვლნა შეინიშნება (რ. ჯაფ.); რველუციამდე საქართველოში, კერძოდ, თბილისში, სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობა ჭიდაობა გახლდათ... (პრეს.).

მაგრამ, როცა განკერძოებული წევრი რამდენიმე შემადგენლიანია, ხდება ინტონაციური დანაწევრება: ზმნისართი ცალკე გამოიყოფა და ჩართულის ფუნქციას ასრულებს. სემანტიკურად იგი განკერძოებული წევრის თითოეულ შემადგენელს უკავშირდება. მაგალითად:

თუ სპექტაკლი რაიმე სამხედრო მარშის შესრულებას მოითხოვდა, ჩნდებოდა ადგილობრივი პოლი-კის ორკესტრი, უპირატესად ტრომბონებისა, კონტრაბასებისა და ფლუტებისაგან შემდგარი (გ. ქიქ.). შდრ: ინტონაციურად უპირატესად ტრომბონებისაგან შემდგარი; მათ დიდი უკრადდება დაუთმეს შუალედური კულტურების, კერძოდ, კამიდერის, სუფრის ჭარხლისა და სხვათა მოყვანას (პრეს.) შდრ: კერძოდ კამიდერის მოყვანას.

დამოწმებულ წინადადებებში ზმნისართის ფუნქციას ზმნა-შემასმენლის მიმართ მისი პოზიციაც განსაზღვრავს: ზმნისართი მოხდევს შემასმენელს.

ჩართულის ფუნქციას ასრულებს ზმნისართი იმ შემთხვევაშიც, თუ იგი რამდენიმე წევრიანი დანართის ერთ-ერთ წევრს უკავშირდება (ან შერწყმული წინადადების ერთ-ერთ წევრს). ზმნისართის განკერძოებას ასეთ შემთხვევაში ხელს უწყობს წინადადების სიგრძეც. მაგალითად:

მაშ... არც ერთ შეილს არ ახსოვდა, არც ალაღეს, არც იოსებს – უფროს მძას, და არც, მით უმეტეს, უმცროს დას, კატოს (რ. ინანი); არც გრამატიკულ თაიხებურებათა გამოვლენა, არც ლექსი-კისა და ფრაზოლოგია-იდიომატიკის შესწავლა... არც, მით უმეტეს, ხალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევის შემთხვევათა აღნუსხვა... საკუთრივ მწერლის ენის სურათს ვერ ქნის („საენათმ. ძიებ.“).

ჩვეულებრივ, საკავშირებელი სიტყვის ფუნქციის მქონე ზმნისართი (განკერძოებულ წევრთან ერთად) წინადადების შუაში ექცევა, ზმნა-შემასმენელს კი წინ უსწრებს. თუ შესიტყვება – ზმნისართი + დანართი – წინადადების ბოლოს მოექცევა, მაშინ იგი დამოუკიდებელ ერთეულადაც წარმოგვიდგება და უშემასმენლო წინადადებას უტოლდება. ამიტომ ზმნისართსა და განკერძოებულ წევრს შორის შეიძლება დაიწეროს ელიფსის აღმნიშვნელი ტირეც.

³² პუნქტუაცია აქცე და სხვაგანაც დედნისეულია.

³³ ნ. ბასილია, პუნქტუაცია, თბ., 1973, გვ. 55.

მაგალითად:

ვაჟა-ფშაველა საფუძვლიანად იცნობდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, განსაკუთრებით – ბიბლიას (ა.შ. ქართ. მწ. მკვ.).

შდრ.: სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, განსაკუთრებით ბიბლიას, ვაჟა-ფშაველა საფუძვლიანად იცნობდა.

ვლითსურ (შემასმენელნაკლულ) შესიტყვებად წარმოგვიდგება **ზმნისართი + დანართი** მაშინაც, როცა წინადადების ქვემდებარე გამოსატყულია ნაკვალასხელით, რომელსაც აზუსტებს დისტანციურ პოზიციაში მყოფი და წინადადებასთან ზმნისართით დაკავშირებული დანართი. შემასმენლის გამოვრების შემთხვევაში, სემანტიკურად დანართის უგუფთან დაკავშირებული ზმნისართი ვითარების გარემოებად მოგვევლინებოდა. მაგალითად:

ამ სიბრძნულს ვერავის გაუყოფდა, მით უფრო ოთხ ვაჟაკს [შდრ.: მით უფრო გაუყოფდა ოთხ ვაჟაკს], საითაც შოქორიანებოდათ, იქით რომ გაუტყვედნენ, ქარბივით (ო. ჭილ.); ზოგნი დვიდა ნატის ამშვიდებდნენ და ანუგეშებდნენ, უმეტესხად ქალები [შდრ.: უმეტესხად კი] ამშვიდებდნენ ქალები (ა. სულაქ).

საკავშირებელი სიტყვის ფუნქცია ზმნისართმა შეიძლება და ან კი კავშირთან ერთადაც შესასრულოს. ამ შემთხვევაში ერთ ინტონაციურ (და ფუნქციურ-სემანტიკურ) ერთეულს წარმოადგენს: **კავშირი + ზმნისართი + მისამართი წევრი** (ე. ი. ის წევრი, რომელსაც მიემართება ზმნისართი და რომელიც განკერძოვდება წინადადებისგან). მაგალითად:

ის ჯადოსნური ძალა, რომელიც აქვს ხელოვნებას, კერძოდ კი პოეზიას, ადამიანზე სიტყვის ზეგავლენის შედეგია (მ. გოგობ.); მას შემდეგ, რაც საჯარო კომპოზიციამ, კერძოდ კი ეტიუდებმა, გაიტაცა, მიხვდა, რომ აქ მის შემოქმედებით მისწრაფებებს მუტი გასაქანი უქნებოდა (პრეს.); არც ერთი ამ კაცთაგანი, უპირადად უხადედა კი გურამ ჯოხაძე უცხოეთში დაუხჯელად ვერ წავიდოდა (პრეს.); რა არ გვსმენია აქ უცხოეთის და განსაკუთრებით შევეცადრიის თავისუფალი ცხოვრების შესახებ (ი. მანსვეტ).

როგორც დამოწმებული მაგალითებიდანაც ჩანს, და ან კი კავშირით შედგენილი ზმნისართიანი შესიტყვებაც, ჩვეულებრივ, წინადადების შუაში გვხვდება; ზმნა-შემასმენელს კი იგი წინ უსწრებს.

კერძოდ, მაგალითად (|| ასე მაგალითად), სახელდობრ... ზმნისართები, ჩართულის ფუნქციით, შეიძლება იწყებდნენ წინადადებას, როელი წინადადების მეორე ნაწილს ან აბზაცსაც, რომელიც ადრე განვითარებული მსჯელობის დაკონკრეტებას წარმოადგენს. მაგალითად:

ვაჟა არ კმაყოფილდება „ეფესისტეაონის“ ალგორითმობის ჩვენებით... და სხვა საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას. კერძოდ, ორიგინალიობის საკითხთან დაკავშირებით უხელოდა ის პოემის ტიპებსა და ნახს (ა.შ. ქართ. მწ. მკვ.); ქართულ სათამაშობებს ბავშვები თავისი ხელით აკეთებენ, მაგალითად, ტეფარის თითონ გამოსჭრიან ხოდმე (აკაკი); „არსებობს... დამაჯერებელი და უდავო ფაქტები, რომლებმაც საბოლოოდ სარწმუნოდ გახადა ბუნებრივში ტრადიციულად მიმდინარე შინაური მუფუნკრობის არსებობა. ასე მაგალითად, კარგადაა ცნობილი ფაქტი, რომ ეკვიპტის ერთ-ერთ პირამიდაში დაცული იყო თავფლი, რომელმაც... რამდენიმე ათასწლეული წელი გასძლო (აღ. რომ).

აბზაცის დასაწყისში ჩართული ზმნისართი შეიძლება იყოს არა მარტო თავიკიდურ პოზიციაში, არამედ წინადადების შუაშიც. მაგ.:

რით არის კერძოდ გაპირობებული ეს ინტერესი (ა.შ. ქართ. მწ. მკვ.); ასეთია, კერძოდ, ქართული ლხინის დედააზრად: ადამიანი დგამს ბუნებრივების სექტაკლს (გ. ასათ).

მაშასადამე, თუ ზმნისართი ჩართულია, იგი მაშინ თავისუფლად მოძრაობს „წინადადების სიტყვიერ სივრცეში“. კარგად ჩანს ეს იმ ზმნისართების მაგალითზე, რომლებიც განკერძოებულ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ჩართულად რვალიზდებიან და სემანტიკურად მთელ წინადადებას მიემართებიან.

სანიშნულად განვიხილოთ პირიქით ზმნისართი. პირიქით (|| პირუკუ) ზმნისართს ორი მნიშ-

ენელობა აქვს: 1. იქითა მხარეს, იმ მხარეს, იქით (საპირისპ. პირაქეთ), 2. თქმულად მხარეს.

ჩართულის ფუნქციით ეს ზმნისართი შორეუ მნიშვნელობით არის გავრცელებული და სწორედ ეს მნიშვნელობაა მისი ფუნქციის ძირითადი განმსაზღვრელიც. ამ მნიშვნელობით პირიქით ვითარების გარემოებად გვხვდება ძირითადად მარტივ წინადადებებში – შემასმენელთან უშუალო მეზობლობაში:

პირიქით გააკეთა ყველაფერი (საუბ.); იქნებ არც არასოდეს უძებნია საკუთარი თავი, იქნებ პირიქით მოხდა ყოველივე (ე. მაღრ.).

მაგრამ, როცა მსჯელობა დაპირისპირების ნიშნით მიმდინარეობს, როცა წინადადება წინა წინადადებაში გამოთქმული მოსახრების საწინააღმდეგო აზრს შეიცავს, მაშინ პირიქით ჩართულის ფუნქციას ასრულებს შემასმენელთან უშუალო მეზობლობაშიც კი. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ურთიერთდაპირისპირებულ წინადადებათა შემასმენლებიც სემანტიკურად ოპოზიციურ წყვილებს ქმნიან. მაგ.:

ეს სიტყვები არაფრით არ ამცირებს პოეტის ღირსებას, პირიქით, ამღვლებს! (გ. შინდ. თარგმ.).

აღნიშნული ფუნქციით პირიქით გვხვდება როგორც შერწყმულ, ისე თანწყობილ წინადადებებში. მაგალითები:

ეს მოღიანობა დიალექტიკურია ამ სიტყვის ყველაზე მათური გაგებით, ვინაიდან ნაწილები აქ არამც და არამც არ თმობენ თავის თავს, პირიქით, უადრესი ფორმით ავლენენ საკუთარ ბუნებას (გ. ასათიანი). საქმე ის კი არ არის, რომ გარემო შეიქმნა ისეთნაირად, რომ ცოცხალ არსებება შესაბამისი ყოფილიყო, არამედ, პირიქით, ცოცხალი არსებანი შეიცვალნენ („მითი და სინამდვილე“).

წინადადება, რომელშიც პირიქით ზმნისართი მონაწილეობს, შესაძლოა, წინა წინადადებაში გამოთქმული აზრის უშუალო დაპირისპირებას ან მარტივ უარყოფას კი არ წარმოადგენდეს, არამედ შეიცავდეს ახალ (რაც თქმა უნდა, წინა მსჯელობის საპირისპირო) მსჯელობას.

მაგალითად:

განიოხი კი სრულებითაც არ საჭიროებს მოწყალებას. პირიქით, ამგვარი მიდგომით ხელონურად ვხვდეთ მისი შინაგანი სამყაროცავე მთავად ბილიკებს (ნ. ტაბ.).

ასეთ შემთხვევაში პირიქით ზმნისართი მთელი წინადადების ტოლოფარდი ერთეულია და, ასე თქვით, „პოტენციური“ ჩართული – იმ წინადადების ჩართული, რომელიც სტილისტიკური თვალსაზრისით ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ მაინც იგულისხმება. მაგ.:

ტელევიზიის განვითარების სხვადასხვა მხარეზე დაწერილი წიგნების ნაკადი არც 80-იან წლებში შემცირებულა, პირიქით (=პირიქით, გაიზარდა), მაგრამ ამ ლიტერატურისადმი მკითხველთა ინტერესი შესაძნელებად შენედა (პრეს.).

და, რაკი ფაქტობრივად წინადადების ჩაყარდასთან გვაქვს მაინც საქმე, პირიქით ზმნისართის შემდეგ შეიძლება შეგვხვდეს ასეთი სახეური ნიშნებიც: – ან –, მაგ.:

მეტეოსამსახური ჯერჯერობით საიმედო ცნობას არ იძლევა, პირიქით, – მოსალოდნელია ინტენსიური თოვა (პრეს.); ჩემთვის ყველაფერი სასიხარულო იყო, რაც ჩემს ხალხს უხაროდა და პირიქით, – გულსაც ის მტკუნდა, რაც მას აწუხებდა (პრეს.).

პირიქით, როგორც დამოუკიდებელი ერთეული (როგორც ჩართული წინადადება და ჩართული სიტყვა), შესაძლოა ფრჩხილებშიც მოექცეს. მაგ.:

„შემოქმედების პროცესში [შვერალი] ზეგავლენას ახდენს უნაზე, ხვეწს, ამიდრებს, აუთარებს (ან პირიქით) თავისი უნარისა და შესაძლებლობის და ენობრივი პოზიციის მიხედვით („სახანაო ძიებ.“).

წინადადების როლის მტვირთველი პირიქით ზმნისართი შეიძლება აბზაცის დასაწყისშიც



ქართული ენის
სამეცნიერო ცენტრი

შეგვხვდეს:

...პირიქით: ფარდობითობის თეორიის, კვანტური მექანიკისა და ბირთვული ფიზიკის განვითარების ნაყოფია ადამიანის ცნობილი გადარწმუნება... არამც თუ ძირი გამოუთხარეს მიხეცის ცნების სასიცოცხლო ძალას, არამედ გააფართოვეს, გააღრმავეს და გაამდიდრეს ეს ცნება („მოთა და სინამდვილე“).

განკერძობის შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ჩართულის ფუნქციას ასრულებენ აგრეთვე შემდეგი ზმნისართები: **სამაგეორო** (|| **სანაცვლოდ**), **მართლაც**, **შესაბამისად**, **თავისთავად**, რომლებიც გამოხატავენ დამოკიდებულებას წინა წინადადებაში გამოთქმული აზრის მიმართ, ან ლოგიკურ კავშირს ამჯარებენ წინადადების ნაწილებს შორის. აგრეთვე – მოქმედების ემოციური განწყობილების გამოხატველი ზმნისართები – **სამწუხაროდ**, **საუბედუროდ**, **საბედნიეროდ**, **ბედად**... ეს უკანასკნელი ჩართულის ფუნქციას ასრულებენ ზმნა-შემახსენებელთან უშუალო მეზობლობაშიც³⁴. მაგ.:

დაუდევრებელი ვართ ქართველები და კიდევ ვე მოგივლებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე (ილია); ყველამ ვიცით, რომ ლიტერატურას ასახრდობს საზოგადოება, ჩვენ და სამწუხაროდ, უნდა ვღიაროთ, რომ ჩვენს ლიტერატურას დღე-ღამე საზოგადოება აკლდება (ილია); საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომელთაც არ ასვენებთ შშობილურ კეთილზე ფიქრი (პრეს.); თბილისს ამ რანგისა და დანიშნულების სხვა მუზეუმი, სამწუხაროდ, არა აქვს... (პრეს.).

ჩამოთვლილი ზმნისართებიც ძირითადად წინადადების თავში ან შუაში გვხვდება, წინადადების ბოლოს კი – იშვიათად (ისევე როგორც ნებისმიერი ჩართული სიტყვა). მაგრამ თუნდაც დამოწმებულ მაგალითებში ზმნისართს ადგილი რომ შეუვნაცვლოთ, მისი ფუნქცია არ შეიცვლება.

შდრ.: თბილისს ამ რანგისა და დანიშნულების სხვა მუზეუმი, **სამწუხაროდ**, არა აქვს; **სამწუხაროდ**, თბილისს ამ რანგისა და დანიშნულების სხვა მუზეუმი არა აქვს; და – თბილისს ამ რანგისა და დანიშნულების სხვა მუზეუმი არა აქვს, **სამწუხაროდ**.

ზმნისართი **სამწუხაროდ** წინადადების თავიც, შუაშიც და ბოლოშიც ჩართულის ფუნქციას ასრულებს. ზემოთ განხილული ზმნისართები კი (განსაკუთრებით, ძირითადად, უპირატესად... კერძოდ), როგორც აღინიშნა, პოზიციის შეცვლასთან ერთად ფუნქციასაც იცვლიან.

2. დამხმარე სიტყვები (ნაწილაკი, კავშირი) ჩართულის ფუნქციით

ვითარების ზმნისართები, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობაში მოდალური ნიუანსი ჭარბობს, ხშირი ხმარების შედეგად შეიძლება ნაკლადც იქცნენ³⁵ ამ უკანასკნელმა კი გარკვეულ სინტაქსურ პირობებში შეიძლება ჩართულის ფუნქცია შეიძინოს. სანიმუშოდ განვიხილავთ ალბათ, აგრეთვე, უბრალოდ ზმნისართ-ნაწილაკებს.

ალბათ არაბული წარმომავლობის ზმნისართია, როგორც მიუთითებენ, მისი ძირითადი მნიშვნელობაა: **რასაკვირველია**, **უსათუოდ**³⁶ და იხმარება როგორც ჩართული სიტყვის, ისე დადასტურებითი **დახ** ნაწილაკის ფუნქციით (განსაკუთრებით – სახაზურო მტკვებლებასში). ორსავე შემთხვევაში ალბათ ეჭვარვეც (და არა უკველად) დასტურს გამოხატავს, ე. ი. მოხდა სიტყვის ძირითადი მნიშვნელობისაგან გადახრა. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენა-

³⁴ სწორედ აღნიშნული ზმნისართები, რომელთა შინაარსში ჭარბობს მოდალურობა, ამართლებენ ტერმინ ჩართულს – პირდაპირი მნიშვნელობით (აგრეთვე – ჩართული წინადადებები და გამოთქმები, რომლებზედაც აქ საქციალური მსჯელობა არ გვექმება). გადატანით (ან უზოგადესი) მნიშვნელობით კი ჩართული შეიძლება ვუწოდოთ ნებისმიერ განკერძოებულ სიტყვასა და შესიტყვებას, რომლებიც გრამატიკულად არ უკავშირდებიან წინადადებას და მხოლოდ მოდალურ ნიუანსს ხსენენ მას. დამახასიათებელია თუმარ ნატივლებში რიტმული სტრუქტურის დარღვევებზე, კერძოდ, მიმართვის ფორმებზე მსჯელობისას ავთ. არაბულის შინაშენა: „ისინი (მიმართვის ფორმები), ერთი შეხედვით, ხალქსო სახომის დარღვევის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამგვარი შემთხვევების სწორად აღსაქმელად უკეთესი იქნებოდა ჩართული სიტყვები და გამოთქმები (ხაზგასმა ჩვენია, ნ. ც.) ორთოგრაფიულად რამენაირად გამორჩეულიყო... (ლიტ. საქ“).

³⁵ O. C. Axmatova, Г. В. Микашлиян, დასახ. ნაშრ., გვ. 131.

³⁶ ჟგელ. I.



ში ალბათ თანდათან იცლება დექსიკური მნიშვნელობისაგან, ფრაზაში ბუნებრივად შეიქმნება მისხმართ სიტყვას და ნაწილაკის როლში გამოდის.

ნაწილაკის (და არა ვითარების გარემოების) როლში გამოდის ალბათ, როცა იგი უშუალო მეზობლობაში შემასმენელთან. ნაწილაკი მხოლოდ მოდელურ ნიუანსს სძენს შემასმენელს – მოქმედის შემფასებლურ დამოკიდებულებას გამოხატავს გადმოცემული შინაარსის მიმართ. მაგალითად: ა) ნაწილაკი პრეპოზიციურია შემასმენლის მიმართ:

...რომ საერთოდ კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების... შესწავლისას ლიტერატურას დიდი როლი ენიჭება საკითხის სრულად წარმოდგენისათვის, ამაში, ალბათ, დაშვებულა პატრიკულური ავტორი („კრიტიკა“); მატნაშდე და ახლაც მაიასთან შეხანიშნავი ურთიერთობა მაქვს. ამით, ალბათ, ყველაფერი ნათქვამი (პრეს).

ბ) ნაწილაკი პოსტპოზიციურია შემასმენლის მიმართ:

თათარმა ციკრძო, ალბათ, მიხეუული ბუდე რომ ეშლებოდა (ო. ჭილ); მთელი ეს ისტორია... ხალხრად ქავს ეზოებს... ივავს გახსოვთ ალბათ, სიტყვით გულადი და ხაქით ღანარი კაცი ადვილად გამოიცნობო (პრეს).

შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაში მყოფი ალბათ, ისევე როგორც მსგავს პოზიციაში ვითარების გარემოებად რეალიზებული ზმნისართები, მძიმებით არ უნდა გამოიყოს.

ინტონაციურად გამოღიანებულ ერთეულს ქმნის ალბათ ფრაზეოლოგიზმებთან კავშირშიც. მაგ:

კიდევ კარგი, ...თხილამურები არ ჰქონდათ მორგებული და თანაც მოუხეშავი სათხილამურო ფეხსაცმელები ვეკათ, თორემ, ალბათ ცოცხალი ვერ გავესწრებდი (პრეს).

განკერძობას არ ითხოვს და ნაწილაკისავე ფუნქციას ასრულებს ალბათ მიმღებლისთან კონტაქტურ პოზიციაში. მაგ:

ღობის იქით ხმა აღარ ისმოდა. ქალიშვილი ალბათ ხმაგაკმენდილი და გაოცებული მისწერებოდა ძღვეის ქედისაკენ გაქვეულ ჭაბუკს (გ. შატბ).

ინტონაციურად შედარებით დამოუკიდებლობას იძენს და ჩართულად გვეყვლინება ალბათ ნაწილაკი შემასმენელთან დისტანციურ პოზიციაში.

ა) წინადადების თავში:

ალბათ, შევრბიც თავს აფარებდნენ იასმნის ჩრდილს (გ. შატბ); ალბათ იმ ბორცვიდან ზღვა ხელისუფლივით მოჩანს (ა. სულაკ); ალბათ ბევრი ასეთი სიმაწვილის დროინდელი შიამბეჭდავი და უშუალო სტრიქონი დაიკარგა... (გ. შატბ).

ბ) წინადადების შუაში:

...სამშობლოს მოშორება მეტნაკლებად ალბათ ყველასათვის ძნელია და მათ შორის ქართველი ხალხიც ერთი პირველთაგანია (გ. ჭილ); აი, მორჩებიან იმ საქმსაც და ბევრი, ალბათ, თავთავის სოფელს შიამუტებ... (რ. ჯაფარი); სხნებულ სამართველოს, ალბათ, უკვე ბევრი წინადადება, მოსახრება თუ შენიშვნა ექნება მიღებული... (პრეს).

მაგრამ ზემოთ განხილული ზმნისართებისაგან განსხვავებით, ალბათ, როცა იგი მთელ წინადადებას მიემართება, შეიძლება თავისუფლად დადაგეს ნებისმიერი წვერის (როგორც შემასმენლის, ისე სახელთ გამოხატული წვერის) გვერდით ისე, რომ არ გამოიყოს მძიმებით, და ამით წინადადების აზრი არ დაირღვევა. სწორედ ეს ახსლოებს მას – ზემოთ განხილულ პოზიციაშიც კი – უფრო ნაწილაკთან, ვიდრე ჩართულთან.³⁷

³⁷ უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა: ფუნქციურად იგი ჩართულთან არის ახლოს, მაგრამ ფორმალურად – ნაწილაკთან: სხვა ნაწილაკებისაგან განსხვავებით, ალბათ, როგორც მოდელური ნაწილაკი, მთელ წინადადებას მიემართება (ისევე როგორც ჩართული) (იხ. В. В. Виноградов, დასახ. ნაშრ., გვ. 177), მაგრამ, ჩართულისაგან განსხვავებით, მძიმებით გამოიყოფას არ ითხოვს, რაკი გაქვევებულია (არაფერს უპირისპირდება) და არც ერთ სიტყვასთან უხერხულ შეხებაში არ მოხვდება.



შესაძლებელია, ალბათ წინადადების რომელიმე წევრს უფრო მიეკედლოს. მერქმენ წყვეტი
რი სხვა ნაწილაკითაც ძლიერდება. მაგ:

ჩემი ზნობა, ალ ბათ, მოხლოდნელია კატასტროფის წინაშეც კი ვერ წავა კომპრომისზე- (ჭ.
ამირჯ.); სოლომონ ბრძენის ბალი ამ ბაღს, ალ ბათ, სოლომონ ბრძენის სიცოცხლეშივე შეარქვეს
(რ. მიშე).

ალბათ შეიძლება განკერძოვდეს წინადადებისაგან მორეხარისხოვან წვერთან ერთად, ე. ი.
სხვა ზმნისართების მსგავსად, მოგვედინოს განკერძოებული წვერის საკავშირებელ სიტყვა-
დაც. მაგ:

სამნი გულიანად ატყაუნებდნენ დომინოს, მეოთხე კი, ალ ბათ ჩემოდნის პატრონი, შევ
ქვეს ფრთხილად დედა (გ. დონან); ხოშორად ნაქსოვი შალი, ალ ბათ რეცხვის გამო, სასია-
მოვნოდ დარბილებულიყო და ბზინავდა (რ ინან).

აგრეთვე ზმნისართად შედარებით იშვიათად გვხვდება. მისი მნიშვნელობაა და კიდევ³⁸
და ძირითადად -ცა გაძლიერებითი ნაწილაკის ფუნქციით იხმარება³⁹.
ამ ფუნქციით იგი შეიძლება უშუალოდ უძლოდეს ან მოსდევდეს როგორც შემასმენელს,
იხე ნახელთ გამოხატულ წვერს. მაგ:

გამორიცხული არ არის აგრეთვე [ივრევა, რაც გამორიცხული არც ის არის], რომ სათანა-
დო ინფორმაცია მას ანტიქართული წყაროებიდან აქვს მოპოვებული (გ. ასათ); ჩვენი წამქნებულნი
იმყოფებოდნენ აგრეთვე პეტერბურგში [სხვაგვარად: იმოყოფებოდნენ პეტერბურგშიც] (ი. მანსვეტ).

აგრეთვე და ც(ა) ნაწილაკი შეიძლება ერთდროულადაც შეგვხვდეს. მაგ:

შეხვედრახე განიხილეს აგრეთვე შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლის... წინაშე დასმული
პრობლემებაც (პრეს).

ც(ა) ნაწილაკის ფუნქციით ხშირად გვხვდება აგრეთვე ნაწილაკი შერწყმულ წინადადება-
ში - ერთგვაროვანი წვერების საკავშირებლად (და კავშირის გვერდითაც). მაგ:

ცვილისებრი სიმწიფის (დაბაზების) დროს მცენარე კარგავს მწვანე ფერს და ვეთილდება, ქვედა
ფოთლები ხმება, ვეკვილული და აგრეთვე მარცვკალი ღებულობს [იღებს] მათის, დამახასიათ-
ებელ შეფერვას (ა. ჯაფარ); უხვი თოვა და ძლიერი ქარი, აგრეთვე 30 გრადუსიანი ყინვა,
სერიოზულ სიძნელეებს უქმნის ტრანსპორტს, რკინიგზების მუშაობას... (პრეს).

ერთგვაროვან წვერებთან აგრეთვე და კავშირის ფუნქციასაც ასრულებს. მაგ:

განყოფილების, აგრეთვე გაერთიანების მუშაკები ხისტამატურად მონაწილეობენ სამრეწ-
ველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მიმდინარე თათბირებში... (პრეს).

თუ ერთგვაროვანი წვერები რამდენიმეშემადგენლიანია, აგრეთვე განკერძოებისაკენ ის-
წრაფვის და ჩართულის ფუნქციას ასრულებს. მაგ:

გავიარეთ ეს საშიში ადგილები და აგრეთვე კედლებით შემოზღუდული და ზემოდან მაგრად
დახურული ადგილი (ი. მანსვეტ).

(ცხადია, აქ ინტონაციური განკერძოება იგულისხმება).

ჩართულად რეალიზდება აგრეთვე ნაწილაკი, როცა იგი რთული თანწყობილი წინადად-
ების ნაწილებს აერთიანებს და კავშირთან ერთად. მაგ:

...იგი [მხა] უქვედესი მცენარე... ახასიათებს მძლავრი ბარტყობა, ზამთარგამძლეობა და, აგ-
რეთვე (= ამასთანავე, თანაც), სოკოვანი დაავადებისადმი გამძლეა (ა. ჯაფარ).

აგრეთვე ნაწილაკი წინადადებისგან მიმხეებით უნდა გამოიყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში,

³⁸ ქველ. I.
³⁹ იხ. აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 611.

როცა იგი ჩართულის ფუნქციას ასრულებს.

უბრალოდ. ამ ზმნისართის მნიშვნელობაა: ჩვეულებრივად, სადად, მარტივად. მაგ.: ბატონი შვილს **უბრალოდ** ეჭირა თავი... (ვ. ბარნა).⁴⁰

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში იგი ხშირად იხმარება ნაწილაკის ფუნქციით და ენაცვლება შეხიტყვებას **ხევა არაფერი** (როგორც შემასმენლის, ისე სახელით გამოხატული წვერის გვერდით). მაგალითად:

...არც ხაყვარლად უნდოდა იგი და არც ცოლად, უბრალოდ, გამოცდილი ქალი სჭირდებოდა... (ო. ჭიღ.); ...გვებ ავტორგრაფი არსებობდა და დაიკარგა, ეგებ დღესაც არსებობს და უბრალოდ, ვერ მიაგავნიოთ („კრიტიკა“); დასავლელი პროდიუსერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენთან თანამშრომლობა, უბრალოდ, არ არის მომგებიანი (პრეს.). უბრალოდ, გვარებია ჩამოთვლილი, მაგრამ ამ გვარებს ქართული ფეხბურთის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს... (პრეს.). ზედმეტი ჟურნალური ბისა თუ, უბრალოდ, უარინცილობის გამო, ახალგაზრდული ფესტივალის ქურის წვერები... ცდილობდნენ ჯილდოს გარეშე არც ერთი ფილმი არ დაეტოვებინათ (პრეს.).

უბრალოდ ნაწილაკის ფუნქციით სასაუბრო ენის შემონაგანი ჩანს სალიტერატურო ენაში. მისი ფართოდ გავრცელებისათვის (რაც თავისთავად არასასურველი მოვლენაა) ხელი უნდა შეეწყო რუსული ენის გავლენასაც (შერ. посто).⁴¹ სხვა მთავალი ნაწილაკებისაგან განსხვავებით, **უბრალოდ** ნებისმიერ პოზიციაში განკერძოებულია ინტონაციურად და ჩართული სიტყვის ფუნქციას ასრულებს. ამიტომ უნდა გამოიყოს კიდევ წინადადებისაგან მძიმეებით.

მის ინტონაციურ დამოუკიდებლობას ხელს ისიც უწყობს, რომ ზმნისართის მნიშვნელობა არ არის დაბნელებული და, შესაძლებელია, მან სემანტიკურად შეუხამებელი წველი შექმნას წინადადების რომელიმე წვერთან. მაგ.: ზემოთ დამოწმებულ წინადადებაშიც – „დასავლელი პროდიუსერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენთან თანამშრომლობა, უბრალოდ, არ არის მომგებიანი“ – თუ **უბრალოდ** არ გამოიყოფოდა მძიმეებით და შემასმენელთან შეხობლობაში ვითარების გარემოებად მოგვევლინებოდა, მთელი წინადადება შეიძლებოდა შეცდომით ასე გააზრებულიყო: ... **უბრალოდ** = **ტყუალუბრალოდ** (შემთხვევით, უმიზნოდ) არ არის მომგებიანი.

შეეინშნავთ, რომ ნაწილაკადაც უადგილოდ ხმარებული **უბრალოდ** ცვლის წინადადების აზრს. მაგალითად:

...ამჯერად ორი გარემოება უბრალოდ [უნდა იყოს: აუცილებლად, გადაჭრით] მოითხოვს უპასუხოდ და უკომენტაროდ არ დაეტოვოთ ნიცელი კოლეგების ცდა (პრეს.).⁴²

ჩართული ფუნქციით გვხვდება კავშირიც **მაშასადამე**, რომელიც წარმოშობით რთული სიტყვაა. იგი შედგენილია **მაშა** და **სადამე** ნაწილაკებისაგან, რომლებიც ძველ ქართულში საკავშირებელ სიტყვებად იხმარებოდა „ცალ-ცალკე და სინონიმური წველის სახითაც... მათი დანიშნულებაა ლოგიკური კავშირის დამყარება წინამავალ მსჯელობასთან, დასკვნითი დებულების დაკავშირება წინამძღვართან, წინამავალი აზრის დადასტურება, განვითარება და ან ახსნა“.⁴³ აღნიშნული მნიშვნელობით **მაშასადამე** უმეტესად წინადადების თავში გვხვდება. სამეცნიერო ლიტერატურის ენაში იგი ხშირად იწყებს აბზაცს. მისი სინონიმებია: **ამგვარად** || **ამრიგად**, **ამდენად**, **ასე რომ**... ყოველთვის განკერძოებულია და გამოიყოფა მძიმით, მაგალითად:

მაშასადამე, ევრემ მცირეს იდეოლოგიური სახე ჩვენთვის მთლიანად გამორკვეულია (მ. გოგობ); მაშასადამე, მორფოლოგიური თვალსაზრისით ზმნა არის მეტად რთული შინაარსის სიტყვა... (ა. შანი).

ეს კავშირი გვხვდება წინადადების შუაშიც:

ფსიქიკურისადმი აქვდაცია ახსნის დროს, მაშასადამე, ისევე კანონზომიერია, როგორც ფუნ-

⁴⁰ ქველ, VI.

⁴¹ იხ. ქსეს, VII, გვ. 333-334.

⁴² იხ. ქსეს, VII, გვ. 334.

⁴³ დ. მეღვიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 99-100.



ქციათა აღწერის დროს (არნ. ჩიქ); რაი პატიმრები გარეთ გამოუშვეს, შეთქმულნი, მაშინვე დადრწმუნებული იყვენ, რომ სოლომონი მათი შემწეობითაც ვერაფერს გახდებოდა... (რ. ჯაფარიძე)

მაგრამ **მაშასადამე** კავშირს აქვს მეორე მნიშვნელობაც – განმარტებითი: **ესე იგი**. მაგ.:

30 თიბათვეს, მაშასადამე, გუშინ ჩვენთან მობრძანდნენ... (ი. მაჭავ, თარგმ.)⁴⁴; ქრისტეს შობის დღესასწაული, ქრისტიანობამდე, ყველგან, მაშასადამე ჩვენშიაც იყო დღესასწაული მითრას შობისა (კ. კეკ.)

ამ მნიშვნელობით **მაშასადამე** უკვე განკერძოებული წვერის საკავშირებელი სიტყვის ფუნქციას ასრულებს და იმ წვერთან ერთად უნდა გამოიყოს მიძიებული. ე. ი. უნდა იყოს: 30 თიბათვეს, **მაშასადამე გუშინ**, ჩვენთან მობრძანდნენ; ...ყველგან, **მაშასადამე, ჩვენშიაც**, იყო...

3. ზმნის ფორმები ჩართულის ფუნქციით (ე. წ. „არქეტიკული ჩართულები“)

ჩართულის ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს: ა) ზმნის პირიანი ფორმები – დამოუკიდებლად, ბ) შედგენილი შემასმენლის ფორმის მქონე გამოთქმები, გ) აღნიშნული ფორმებით შედგენილი შესიტყვებები და ფრაზეოლოგიური გამოთქმები. ასეთებია: **ეტყობა || ეტყობოდა** და **როგორც ეტყობა; ჩანს და როგორც ჩანს; ვფიქრობ || ვფიქრობდი** და **როგორც ვფიქრობ** (|| **როგორც ფიქრობს**); **მახსოვს და როგორც მახსოვს; ვგონებ || მგონია** (|| **მგონი**); **წარმოიდგინეთ; რა(ღა) თქმა უნდა** (|| **თქმა ა(ღა)რ უნდა**); **შეიძლება || შესაძლებელია და განა შეიძლება** ან **სავსებით შესაძლებელია; ცხადია და თავისთავად ცხადია; ბუნებრივია, უპვევლია, რასაკვირველია, მართალია და სხვ.**

აქ განვიხილავთ **ეტყობა** ტიპის ფორმებს და **რასაკვირველია** ტიპის ერთსიტყვიან გამოთქმებს, რადგან მათთან დგება ფუნქციითა განსაზღვრის საკითხი და ჩნდება სადავო საკითხები პუნქტუაციის თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ მოდელურ ზმნათა ერთი ნაწილი დღეს ნაწილაკადაა ქცეული. ასეთებია: **ღამის, ეგებ(ის), უნდა, იქნებ...** როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ასეთსავე ტენდენციას იჩენს ჩართულად ხშირად გამოყენებული **ვთქვათ, ენახოთ, დავეუშათ...** აგრეთვე **შეიძლება...** გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ზოგიერთი დღევანდელი ნაწილაკი სწორედ ჩართულის ტიპის ზმნური გამონათქვამიდან ჩანს წარმოშობილი. ასეთებია: **თითქოს** (– თუ ითქვას = თუ შეიძლება ითქვას), **მგონი(ა)** (|| **მგონი**)...⁴⁵ და რომ „(არა) **მგონია, მგონი** გამოთქმის მაგალითზე კარგად ჩანს თანამედროვე ჩართულში ჩართულის ტიპის განკერძოებული გამოთქმის ნაწილაკად ქცევის პროცესი, რაც ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის“.⁴⁶ ამიტომ **მგონი(ა)**, „ჩართულადაა გააზრებული (ხაზგასმა ჩვენია, ნ. ც.) ზოგჯერ ამჟამად“.⁴⁷

მოდელური ზმნების ნაწილაკად ქცევისათვის მართლაც ხელი უნდა შეეწყო ამ ზმნების ხშირ მონაწილეობას ე. წ. ჩართულ გამოთქმებში, – გამოთქმებში, რომლებშიც ეს ზმნები ქმნიდნენ ე. წ. ინფინიტურ კონსტრუქციას და დამხმარე ზმნის როლში გამოდიოდნენ⁴⁸. მაგრამ უფრო ზუსტი იქნება აღბათ ვთქვათ, – არა ჩართული იქცა ნაწილაკად, არამედ, როგორც შემოთავაზებულაა, სრულმნიშვნელოვანი სიტყვა – ზმნა, დამხმარე ზმნად გამოყენების გზით, თანდათან გაცდდა სემანტიკურად და იქცა არასრულმნიშვნელოვან, დამხმარე სიტყვად – ნაწილაკად. ზოგიერთი ეს ნაწილაკი კი (მაგ., **მგონი** /ა) გარკვეულ სინტაქსურ პირობებში ასრულებს ჩართულის ფუნქციას.

ზმნის ამა თუ იმ პირიანი ფორმის ფუნქციას (ნაწილაკია იგი თუ ჩართული) განსაზღვრავს ძირითადად ისევე და ისევე სიტყვითგანლაგება თუ ინტონაცია.

წინადადების თავში მოქცეული ზმნის პირიანი ფორმა, განურჩევლად იმისა, თუ რა პო-

⁴⁴ ქველ, V.

⁴⁵ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 614; ა. პაპიძე, II კავშირებითის ნაკეთის ფუნქციები... ქსკ, IV, გვ. 157 და 164-165.

⁴⁶ ა. პაპიძე, დახახ. ნაშრ., გვ. 178.

⁴⁷ იქვე გვ. 177.

⁴⁸ ამ კონსტრუქციის რაობისათვის და სწორედ ინფინიტური კონსტრუქციის გავლით ზმნური წარმომავლობის ნაწილაკების მიღებისათვის იხ. ა. პაპიძე, დახახ. ნაშრ., გვ. 161-163.



ზიციანობა იგი მეორე ზმნა-შემასმენლის მიმართ, ინტონაციურად გამოყოფილია რისხვითი დადარებითი ნაწილისაგან და ჩართულის ფუნქციას ასრულებს. პაუზა ჩართულის წინააღმდეგ დების დადარებით ნაწილს შორის, ცხადია, ხანგრძლივი არ არის⁴⁹.

ა) ჩართული კონტაქტურ პოზიციაში ზმნა-შემასმენლის მიმართ:

...ეტვობა, დაუგვიანდა ამბოხი, ანდა უბრალოდ არ ეწერა უპირო კაცის სახელით რომ წასულიყო ამ ქვეყნიდან (თ. ჭილა); ეტყობა დანჯერული არ იყო აქაური ხალხი ასეთ არასასურველ სტუმრებს და ეს ამოდენა ციხე-სიმაგრეც იმიტომ ავეოთ... (ვ. ჭულა); შეიძლება, ხმა გაილოს ფლოქვის ქვეშ, მაგრამ სიტყვას არ დასძრავს... (გ. ასათ).

ბ) ჩართული დისტანციურ პოზიციაში ზმნა-შემასმენლის მიმართ:

...მგონი ეს ნაგაზი გუშინაც შეხვდა, გუშინაც ასე უპატრონოდ დაწანწალებდა (ა. სულაქ); ვგონებ, აქ ცოტადენი მნიშვნელობა უნდა აქონოდა იმ გარემოებასაც, რომ იმის სახელის გაგონება უნებლით გამოიწვევდა საბერძნეთის გამორჩენილი ფილოსოფოსის პლატონის სახელს (ი. მანსვეტ); შეიძლება, რუსთაველი მანიქველურ მოძრაობას თანაუგრძობდა და თავისი ოპოზიციონერობა ოფიციალური ქრისტიანობის მიმართ აქედან აიღო (მ. გოგუბა). შეესაძლება, სცენაზე გასვლის მოთხოვნილება იმხანაც გაგვიმაფრა, რომ უფრო ხშირად კულისებში გვიხდებოდა ყურყური (გ. ასათ).

წინადადების შუაში მოქცეული იგივე სიტყვები ფუნქციურ სხვაობას აქვინენ სხვადასხვა პოზიციაში:

წინადადების ძირითად ზმნა-შემასმენელთან დისტანციურ პოზიციაში ისინი უფრო დამოუკიდებელი არიან ინტონაციურად და ჩართულის ფუნქციას ასრულებენ. მაგალითად:

...მუცელში დატყვრებულმა ძალამ, ეტყობა, მთელი ტანით შემობარუნა (ო. ჭილა). რაკი იმ წუთის მინცლამინც შენ გამოვარდი ნასაყდრალიდან, შეიძლება, ახლა ხელ სხვის მაგივრად გდისარ ახლა პირველ... („მათ“); ყველა ქალაქის აღდგენისას გარდაუვალია ერთი: აღდგენილს, შეესაძლება, ცოტა თეატრალური იფრი დაქარავეს... (პრეს).

ზმნა-შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაში კი ისინი ინტონაციურად გამოვლიანებულ წვეილს ქმნიან შემასმენელთან ერთად და მოდალური ნაწილკაცის ფუნქციას ასრულებენ. წინადადების „დერიძე“ – ზმნა-შემასმენელი შეიძლება სხვადასხვა ნაკვეთს იყოს. ჩვენი მასალის მიხედვით, ყველაზე ხშირად იგი უწყვეტელშია ან წვეტილში. მაგალითად:

მამის სიკვდილზედ პირველში ბევრი ინაღვლა და, მგონი, იტირა კიდევ (ილია); ...დვდას ისეთი სახე აქონდა, მგონი საყვედურობდა (ა. სულაქ); ვიღაცას, ეტყობა, აგვიანდებოდა და მოსაკცდელ ოთახში ერთთავად წვიამდებდა (გ. დონან); კომისიას, ეტყობა, მოეწონა ჩვენი ნაშუქვები, მაგრამ სამხატვრო აკადემიაში მოსაღები გამოვლენები მთავრდებოდა... (პრეს).

განსაკუთრებით აშკარაა აღნიშნული წვეილის ინტონაციური მთლიანობა, როცა მოდალური ზმნა III პირის ფორმითაა წარმოდგენილი და ზოგადი აწმყოს სემანტიკისაა, ხოლო ძირითადი შემასმენელი კავშირებითი კილოს ზმნაა. მაგალითად:

ის, რაც ზოგადია (უნივერსალურია) ენებისათვის, შეიძლება, აღმოვანიხოთ არა ლოგიკურ მსჯელობათა გზით, არამედ ენათა ფორმების ერთმანეთთან შედარებით (რ. ქუქი, თარგმ).

ანდა, როცა მოდალურ ზმნასა და შემასმენელს შორის დარღვეულია ნაკვეთა შესაძლებელი შეხამება:

შეიძლება გვევარაუდა [შდრ: შეიძლებოდა, გვევარაუდა], რომ ისინი შეკვადებოდნენ ერთმანეთს (პრეს); მეზობლები ამოდ დაშურნენ ლოდინით, კოტიკოს ქალიშვილი გარეთ გასვლას, ეტყობა, არ აპირებდა [შდრ: ეტყობოდა, არ აპირებდა] (ა. სულაქ).

⁴⁹ რ. შამელაშვილის აზრით, წინადადების თავში მდგომი ჩართულები, რაკი „ისინი სემანტიკურად მთელ წინადადებას ეკუთვნიან, წარმოითქმნიან მთელ წინადადებასთან მთლიანობაში და ამით მის ორგანულ ნაწილად გამოდიან“. რ. შამელაშვილი, ი. დასახ. ნაშრ., გვ. 156.



ინტონაციური დანაწევრება - გათიშულობა განსახილველი წყვილისა (მოდალური სიტყვა + ზმნა-შემასმენელი) ნაკლებად იგრძნობა მაშინაც, როცა მათ შორის ერთი სიტყვა (ზმნა-შემასმენლის უახლოესი ობიექტი), ან - დამხმარე სიტყვები. მაგალითად:

მამა, ეტყობა, დღიურს სწერდა... (თ. ჭიღ.); მაშინა ყამარამ შედგა თავიდანვე მოვარის მხველად განაწესა და, შეიძლება, ამიტომაც არასოდეს (არ) უფიქრია სხვანაირ ცხოვრებაზე (ო. ჭიღ.).

განხილული წინადადებები მსგავსებას ავლენენ ე. წ. ინფინიტურ კონსტრუქციასთან (გთხოვთ გამათავისუფლოთ ტიპისა). ისინი „ავებულებით... პიპოტაქსური კონსტრუქციისანი არიან, მაგრამ აქეთ მარტივი წინადადების სემანტიკა“⁵⁰.

თუ მოდალური ზმნა არის არა III პირის (და ზოგადი აწმყოს), არამედ I ან II პირის (და რომელიმე საუღლებელი ნაკეთის) ფორმა, მაშინ იგი ზმნა-შემასმენელთან კონტაქტურ პოზიციაშიც კი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას, განკერძოებულია და ჩართულის ფუნქციას ასრულებს. მაგასადამე, ე. წ. „პრედიკატული ჩართულებების“ ფუნქციას (ზმნისართ-ჩართულებისაგან განსხვავებით) განსაზღვრავს არა მარტო სიტყვათგანლაგება და ინტონაცია, არამედ - მათი ფორმაც⁵¹. მაგალითები:

რა გაქვს, რისთვის უნდა მოგკლას შენ ავაზაკმა? ერთი სულიერი საუნჯე გქონდა და, ვგონებ, ისიც დაკარგე (ვაკა); შე ამ ქვეწიხისთვის ავი არ ვიყავ. შე მარტო უბედური ვიყავ. ბევრი წილი ცოდეა, მე მგონია, აქვე გადავიხადე (ილია); აკოორევი სახლსა და ოჯახში ბატონობას არ შეუცვლა დღესა. ვგონია, პირველობასა და უფროსობას არც კი დედა დაუთმობდა (ილია); მამაკაცი მიბრუნდა, ახანთს გაკრა და, ვგვგონებოდათ, ქარი უბრავსო, დახრილმა... მოუკიდა პაპირისს (რ. ინან.).

საინტერესოა ამ მხრივ ის ჩართულები, რომელთაც შედგენილი შემასმენლის ფორმა აქვთ: ცხადია, რასაკვირველია, უჭკველია, ბუნებრივია, მართალია და მისთ. ეს სიტყვები შეიძლება შეგვხვდეს წინადადების თავში, შუაში და (იშვითად) ბოლოშიც: ზმნა-შემასმენლის მიმართ - ნებისმიერ პოზიციაში... და ყველა პოზიციაში ისინი აშკარად დამოუკიდებულ, განკერძოებულ ერთულებს წარმოადგენენ: ინტონაციურად გამოყოფილნი არიან წინადადების დანარჩენი ნაწილებისაგან. მაგალითად:

ა) წინადადების თავში, ზმნა-შემასმენლის მიმართ კონტაქტურ პოზიციაში:

რასაკვირველია, იყენე ისეთიც, რომელნიც უნდობლობით, ვკვის თვლით უვურბდნენ ჩვენს ღაპარაკსა (ო. მანვეტ); ბუნებრივია, გაინტერესებთ, როგორ მოვიდა ეს სამი ახალგაზრდა წლევიანულ თბილისობაზე... (პრეს.); ცხადია, ვიმუშავებ ახალ ღირიკულ ლექსებსა და თარგმანებზე (პრეს.).

ბ) წინადადების თავში, ზმნა-შემასმენლის მიმართ დისტანციურ პოზიციაში (შევიზნავთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით წინადადების თავში ჭარბობს სწორედ დისტანციური პოზიცია, ე. ი. თითქოს უფრო ხაზგასმულია ჩართულად გამოყენებული სიტყვების განკერძოებულობა). მაგ.:

რასაკვირველია, ხშირად შემხვედრი ამ საბძლისაკენ ავლა და ჩამოვლა, რადგანაც ხუდ გზის პირას იდგა... (ილია); მართალია, ჩემის ერთგულების გამო ბევრს შეეშულდი, ბევრი მოვიმღურე, მაგრამ ღმერთია მოწამე, უსამართლობა არავისთვის გამიწვეია (ილია); რასაკვირველია, ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი გულისხმობს განუმეორებლობას („ინიტ“); ბუნებრივია, არც ჩემს ფიქრში წარმოსახული მუხუეში იქნება მთლად იდეალური (პრეს.); ცხადია, ყოველდღიურ გახუმარებად გადაკეთებამ რედაქციის წინაშე უფრო მწვევედ დააყენა სადავო ენობრივი საკითხების მოწესრიგების საჭიროება... (პრეს.).

გ) წინადადების შუაში, ზმნა-შემასმენლის მიმართ დისტანციურ პოზიციაში:

ვინც ღურახაბის სახეში თავის-თავს იცნობს, ვინც ღურახაზზედ დაწერიდს თავის-თავზედ მიდებს, ის, რასაკვირველია, ღაფის სროლას დამიწყებს და „იკიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის

⁵⁰ ა. პაპიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 162.
⁵¹ შდრ. ინფინიტური კონსტრუქციის წევრთა შორის მიმართებაც დამოკიდებულია ამ წევრთა ფორმაზე: ა. პაპიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 159.



უხეირო დაშვერსა (ილია); თუ რუსთაველი მანიქველია, ცხადია, მისი ღმერთი, უამრავი წყლის ხეობისა, მანიქველი უნდა იყოს (მ. გოგიბ.; როდესაც შენ წინ დაუძინებელი მტერი დგამს შენს წინაშე და დამამოხლებელი, ცხადია, ყველაფერი გაუღს მისი (გ. ასათ).

დ) წინადადების შუაში, ზმნა-შემასმენლის მიმართ კონტაქტურ პოზიციაში:

გრ. ორბელიანს ახალგაზრდებმა შეუტიეს. მან რასაკვირველია, იუკადრისა ახალი მწერლების გამოღაშება (ი. მანსვეტ); ქუთაისში თუბრი ჩემი დროის ახალგაზრდობისთვის, რასაკვირველია, არ იყო მარტოოდენ დასვენებისა და გართობის ადგილი (გ. ქიქ.); ... პეტროწს უნდა ქრისტიანობა გონიერი და დასაჯერებელი გახადოს და, რასაკვირველია, არ გრძნობს, რომ მოშავალში არისტოტელე ქრისტეს დაჩრდილავს (მ. გოგიბ.; ვაჟა-ფშაველას თემატკია, სულიერი სიმაღლეები, ცხადია, არ იფარგლება მხოლოდ ეროვნული ინტერესებით („კრიტ.“).

ე) წინადადების ბოლოს (აბსოლუტურ ბოლოში ან თანწყობილი წინადადების პირველი შემადგენლის ბოლოს):

...ხალხმა დაუჯერა, რასაკვირველია, და ამით გათავდა ეს უცნაური ამბავი (აკაკი); ...აღზრდაში მარტო ზრდილობას არ გუფიხსნობ, რასაკვირველია (პრეს).

ზმნა-შემასმენლის მიმართ კონტაქტურ პოზიციაში ჩართული და ზმნა-შემასმენელი შეიძლება ერთი ინტონაციური მახვილით წარმოთქვას, განსაკუთრებით მაშინ, თუ წინადადება მარტივი გაუერთვება. მაგალითად, წინადადებაში, „...კოდალასაც, რასაკვირველია, გაუხარდა“ (ვაჟა), - ჩართული ინტონაციურად არ გამოიყოფა წინადადების წვერებისაგან. მაგრამ ამ სიტყვების განკერძოებულობას ნებისმიერ პოზიციაში ხელს უწყობს მათი ფორმაც: ა ზმნური ელემენტი მათ წინადადების ტოლფას ერთეულებად აქცევს. მათი კავშირი წინადადების დანარჩენ ნაწილებთან კი მიმოტაქსური ხასიათისაა. ზოგი ამ ჩართულთაგან შეიძლება წარმოშობით რთული წინადადების ნაწილი იყოს. ასეთი აზრია, მაგალითად, გამოთქმული მართალია ჩართულის შესახებ.⁵²

საკმარისია, აღნიშნული სიტყვებიდან რომელიმე მოხვედვს შესიტყვებაში თუნდაც დამხმარე სიტყვასთან ერთად, რომ მთავარი წინადადების როლში გამოიყვანოს და რომ კავშირით გამოიყვანოს წინადადებას. მაგ.:

აქ ცხადია, რომ სოფელში ნამყოფ ათი თვის ბავშვს სახალღში ყველაფერი შეუცხოებოდა და გაშტერებული ვიქნებოდა... (აკაკი); ...მაგრამ უეჭველია, რომ ნაწარმოების „სტილის იდეა“ უნდა წარმართავდეს მწერლის ენის კვლევისაც („სახელთმ. ძიებ.“).

მაგრამ შდრ.:

ადამიანს უძველეს დროშივე გაუჩნდა სიტყვის გემო, რომლის დაკმაყოფილების უჭკო წყაროს თაველი წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ ადამიანი სარგებლობდა როგორც ფუტკრის, ასევე მკვლარის თვლით (აღ. რომ).

ზმნური ფორმის ჩართულების რომ კავშირით გამოიყოფა წინადადებისაგან სალიტერატურო ქართული სათვის მიუღებლად ითვლება.⁵³

* * *

წარმოდგენილი დაკვირვების მიხედვით, ჩართულ სიტყვებში თითქოს სამი ფენა გამოიყოფა.

1. „საკუთრივ ჩართულები“, რომლებიც რედუცირებულ წინადადებებს წარმოადგენენ ან წინადადებათა ტოლფასნი არიან და რომელთა მნიშვნელობაში მოდალური ნიუანსი ჭარბობს. ისინი ნებისმიერ პოზიციაში ჩართულის როლს ასრულებენ (და მთელ წინადადებას მიემართებიან). ესენია: ზმნისართები სამწუხაროდ, საბედნიეროდ, ბედად... და შედგენილი შემასმენლის ფორმის მქონე სიტყვები (რასაკვირველია, ცხადია...).

2. დამხმარე სიტყვები (ნაწილაკები, კავშირები), რომლებიც მხოლოდ სტილური დანიშნუ-

⁵² ლ. კვაჭაძე, დახახ. ნაშრ., გვ. 413.

⁵³ იქვე.



ღლებით ხშირი გამოყენების გზით „ხელმეტი სიტყვებადაც“ კი იქცევიან (მაშასადამე უფრო მეტი ლოდ და მისთ).

3. სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა სინტაქსურ პირობებში სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ (ვითარების გარემოებისა, ჩართულისა ან განკერძოებული წვერის საკავშირებელი სიტყვისას – ზმნისართები – განსაკუთრებით, ძირითადად, კერძოდ, მაგალითად... ჩართულისა ან მოდალური ნაწილაკისა – ზმნის პირიანი ფორმები – შეიძლება, გვცობა, მგონი, ჩანს...).

ჩართულ სიტყვათა უმრავლესობა წინადადებაში ჩართული კი არ არის, არამედ განკერძოებულთა წინადადებისაგან. რაკი მათ განკერძოებას ხელს უწყობს სიტყვათგანლაგება და ინტონაცია, რაკი მათთვის დამახასიათებელია ფუნქციათა მონაცვლეობა სინტაქსური პირობების შესაბამისად, მათთან დაკავშირებული პუნქტუაციური შეცდომები ტიპობრივი (და ერთგვარად კანონზომიერიც)⁵⁴. კერძოდ:

1. ზმნისართების არასწორი განკერძოების სამი შემთხვევა გვაქვს:

ა) განკერძოებულია იმ ზმნისართით გამოხატული ვითარების გარემოება, რომელიც ხშირად გვხვდება ჩართულის ფუნქციით. მაგ:

...სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ძირითადად, მოდიოდა მშრალი, ხანგრძლივი შენახვისათვის ვარჯისი (პრეს.); მწვანე სახუჭების გამოყენება, განსაკუთრებით, ხელსაყრელია მსუბუქ ქვიშნარ და ბორცვიან-გორაკიან პირობებში (ა. ჯაფარი); დღის ოპერატიული თათბირები, ჩვეულებრივ, აქ იმართება (პრეს.).

ბ) ზმნისართი დანართის საკავშირებელი სიტყვა და მძიმე მხოლოდ მის წინ (და დანართის შემდეგ) უნდა იყოს. გაგებულია კი ჩართულად და ორივე მხრიდან გამოყოფილია მძიმეებით:

...რამ შესძრა ათახობით და ათი ათახობით ადამიანის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის გული და გონება (პრეს.); საუბრისას შეეხუნ სპეციალისტების, კერძოდ, ინჟინრების მომზადებაში უმაღლესი ხელის ამოცანებს (პრეს.); მოხუცი ადამიანის, საერთოდ, უფრო ხის პარტიისცემა ყველაფერში უმაღლეს ზეივობზე კანონად არის მიჩნეული (პრეს.).

გ) მძიმეებით (ან ცალკე მძიმით) არის გამოყოფილი (ე. ი. ჩართულადაა გააზრებული) ზმნისართები, რომლებიც ვითარების გარემოების ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ ფრაზის ლოგიკური მახვილი მათზე მოდის.

აკი, ფაქტიურად ამოვადგეთ წყნე მიმდინარე ლიტერატურული პროცესებიდან და, მასთან ერთად, ხელოვნების სხვა დარგებიდან (პრეს.); ამ ორი გუნდის შეხვედრა, ფაქტიურად გადაწყვეტი იყო თბილისის საერთაშორისო ტურნირში (პრეს.); დღეს, ხშირად, მეტი სითამამით იტყვიან ხოლმე... (პრეს.); ...თუ მომღერალი მაღალგებს, უმაღლვე, შეუმცდარი დასცენა გამომაქვს (პრეს.).

2. მძიმეებით გამოყოფენ ლოგიკური მახვილის მქონე თითქმის ყველა მოდალურ ნაწილაკსა და შორისდებულს (მით უფრო – თუ ისინი შემასმენლისაგან დაშორებულნი არიან). მაგ:

– გაიფხა მერე, რომ უპატრონოა და, დამის, სულსა იქით აღარაფერი შემანარუნონ (კვათ); ცხოვრებას ბევრი განსაცდელი სდევს და, ვაითუ გაუხუნელდეს სუსტსა და უზრუნველობას ჩვეულს (გრ. აბაშ.); ამხელა გარაქში, ბარე საპასამდე მძლოდი დაითვლება (გ. ხორგ.); ამაზე, იქნება, უნებურად უფიქრია რომელიმე ფიზიკოსს (პრეს.); თითქოს, მოვისმინეთ მისი საუბარი ვალაქტონზე... (პრეს.); ტელევიზიაში, თურმე, დაუსრულებლად მოდიოდა წერილები (პრეს.); თურმე, ბევრი მათგანი ცნობილი ყოფილა (პრეს.)⁵⁵.

გარდა ლოგიკური მახვილის ინტენსივობისა, ზოგიერთ სიტყვის განკერძოებას შეიძლება ხელს უწყობდეს სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, ნაწილაკისა და ზმნის ბუნებრივი შესამების

⁵⁴ არ გამოვრიცხავთ პუნქტუაციის ხმარებისას შემთხვევითობასაც (კორექტურას). მაგ: „შევგნება იმისა, რომ შენი კოლექტივი, შენი საწარმო მთელს ქალაქში ცნობილია... უთუოდ გმატებს სიამაყეს და, ბუნებრივია, ხურვილი თვითონაც ისე გაიხარჯო, რომ მისი ღირსეული წვერი (პრეს.). [ავადმყოფობა]... რომელიც; თითქოს ლოკალიზებული იყო, ბოლო ხანს კვლავ გაერყვინდა... რაც ძირითადად თვითმკურნალობით და, კერძოდ, მკურნალობით... აჩისნება (პრეს.).

⁵⁵ პუნქტუაციის შესახებ ზოგიერთ ასეთ ნაწილაკთან და შორისდებულებთან იხ. ნ. ბახილიაია, დახს. ნაშრ., გვ. 171-178.



დარღვევა. მასალის სიმცირის გამო იგი დამატებით დაკვირვებას მოითხოვს⁵⁶. **თურმე** მწარე ლაკის განკერძოება შეიძლება რუსული ენის გავლენის შედეგიც იყოს, „... ყოველწინა წინა რაიმე სტრუქტურული თავისებურება. ერთი და იმავე შინაარსის ფრაზა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად ითვება. მაგ., მეზობელს აუშენებია სახლი. შდრ. რუსული *сосед, оканчивается, построил дом*“⁵⁷. მაშასადამე, თურმეობითის ნაკეთის ზმნასთან სიტყვა **თურმე** ქართული ენისათვის „ჭარბი“ ნაწილაკია. სხვა ნაკეთის ზმნასთან იგი კონტაქტურ პოსტპოზიციას არჩევს (**გააკეთა თურმე, უბრძანა თურმე, წერს თურმე** და მისთ.). მაგ.:

თუკი როგორმე წარსულში შებრუნება შესძელი, შერე კი წარსულიც გადაღაზე, მარადისობაში აღმოჩნდები თურმე და აღარახოდეს მოკვდები (ო. ჭიღ.).

ნაწილაკი განკერძოვდება, თუ წინადადების რომელიმე სხვა წევრს (არა შემასმენელს) მიემართება, მაგრამ განკერძოვდება ამ წევრთან ერთად. მაგალითად:

ყველა სულდგმულის ბედი, თითქმის უსულო სიც კი, ცვალებადია (ვაჟ); მთავრე ამოვიდა, ამოცურდა მალა, თითქმის შუა ცაზე, ნათლად კაშკაშებდა (ვაჟ); სხვა შედეგს ევს, ვისაც კი შეეხედრივარ ამ ქვეყანაზე, სიბრალულის მეტი არაფერი აღუძრავთ ჩემში. იხინი, თითქმის უკლებდ ივე, სვენაკლული ხალხია (რ. ინანი); არსებობენ სხვა ძველთაძველი ძეგლებიც; იქნებ იმ მიწაზე აღაფარებულ გალაკუნებსა და აბანოებზე უფრო ხნიერებიც. მაგრამ შენ მაინც ახალი და შენი თანამედროვე გგონია (ე. ჭიღ.).

3. რაკი ჩართულსა და წინადადების დანარჩენ ნაწილს შორის პაუზა ხანგრძლივი არ არის, ამიტომ წინადადების შუაში მოქცეული ჩართული ხშირად მხოლოდ ცალი მხრიდან გამოიყოფა მძიმით. მაგ.:

...როდესაც ახალგაზრდანი სწავლა-დამთავრებულნი დაბრუნდებოდნენ ჩვენში, მაშინვე სამსახურის ძებნას შეუდგებოდნენ. ესენი პირიქით, მოზარდ თაობას დაუმგობრდნენ... (ი. მანსვეტ); ...იმავე დროსვე, რასაკვირველია სცილილობდნენ პუშკინის დედამიწასთან გასწორებას (აკაკი).

* * *

ზემოთქმულის საფუძველზე და არსებული ლიტერატურის გათვალისწინებით, პუნქტუაციონის ძირითადი წესები ასე ჩამოყალიბდება:

1. ზმნა-შემასმენლის მიმართ კონტაქტურ პრეპოზიციას უფინისას ვითარების ზმნისართი ვითარების გარემოების ფუნქციას ასრულებს და მძიმეებით არ უნდა გამოიყოს. მაგ.:

ეს გაუმღებელი ძიება განსაკუთრებით დამახასიათებელია მუ-18 საუკუნისათვის (ე. ახათ); ჩვენი ნაშრომის მიზანია შეძლებისამებრ შეჯამოს და შეკრას ჩვენი დიდი ლირიკოსის ხანგრძლივი ცხოვრების ამბავი (ე. მაღრ.).

2. ზმნა-შემასმენლის მიმართ დისტანციურ პოზიციაში და კონტაქტურ პოსტპოზიციას მიც ვითარების ზმნისართი, რომელიც მთელ წინადადებას მიემართება და სემანტიკურ კავშირს შემასმენელთან ამყარებს, ჩართულის ფუნქციას ასრულებს და უნდა გამოიყოს ერთი – წინადადების თავსა და ბოლოში, ან ორი მძიმით – წინადადების შუაში (შეენიშნათ, რომ წინადადების აბსოლუტურ ბოლოში ჩართული ზმნისართები თითქმის არ გვხვდება).

მაგ., წინადადების თავში:

ჩვეულებრივ [უნდა გამოიყოს მძიმით] მანძილი და დრო ხიყვარულის სიცოცხლეს ანელებს (მ. გოგობ.).

წინადადების შუაში:

⁵⁶ შემასმენლისა და ნაწილაკის შეხამების შესახებ იხ. შ. აფრიდონიძე, შემასმენლისა და ნაწილაკის სინტაქსური ურთიერთობა ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1970, №3, გვ. 23-27.

⁵⁷ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1, თბ., 1968, გვ. 108.



ნიყო მუსხელიშვილმა, წეხის სამეგრ, ყველა დელეგაცია აღდგომელა (პრეს).

რთული წინადადების პირველი ნაწილის ბოლოს (და შემასმენლის მიმართ პოზიციაში):

გადმოცემითაც არაის ახსოვ, კერძოდ, რომ ზევი თავს დახდგომოდეს მუღახის სასოფლო საბჭოში შემავალ უძველეს სოფელ კამუშს (პრეს).

შენიშვნა: ჩართულის ფუნქციას ასრულებენ ზმნა-შემასმენლის მიმართ ნებისმიერ პოზიციაში მდგომი შემდეგი ზმნისართები: **სამწუხაროდ, საუბედუროდ, საბედნიეროდ, ბედად...** მაგალითები:

სამწუხაროდ, ჩვენმა ამ გაფრთხილებამ მოსახლეობის ერთი ნაწილის შემოფთობა გამოიწვია (პრეს); ნანგრევებში, საბედნიეროდ, შენობის შემადგენელი ყველა დეტალი იპოვნეს (პრეს).

3. თუ ზმნისართი (განსაკუთრებით, მით უმეტეს, მეტადრე, ძირითადად, კერძოდ, მაგალითად) სახელით გამოხატულ წევრს მიემართება და ამ წევრს გამოყოფს რაიმე ნიშნით წინადადების დანარჩენი წევრებისაგან, მაშინ მასთან ერთად განკერძოვდება და საკავშირებელი სიტყვის ფუნქციას ასრულებს⁵⁸, ე. ი. მძიმე უნდა დაიწეროს ზმნისართის წინ და განკერძოებული წევრის შემდეგ. მაგალითად:

...ასპირანტურაში, განსაკუთრებით კლინიკურ დისციპლინებში, უნდა მივიღოთ მუშაობის გამოცდილების მქონე კურსდამთავრებულები (პრეს).

თუ იგივე ზმნისართი და ან კი კავშირთან ერთად გამოყოფს ამა თუ იმ წევრს, მაშინ მძიმე უნდა დაიწეროს და (კი) კავშირის წინ (და განკერძოებული წევრის შემდეგ), ე. ი. ასე:

ერთი წუთით თვალი გადავაგლოთ საბჭოთა წიგნის, და კერძოდ, ქართული მხატვრული წიგნის, გამოცემის გზას (რ. ჯაფარი).

და არა: ... საბჭოთა წიგნის და, კერძოდ, ქართული მხატვრული წიგნის...
უკანასკნელ შემთხვევაში **საბჭოთა წიგნი და ქართული (მხატვრული) წიგნი** ერთგვაროვანი წევრები გამოდიან და წინადადების აზრი ირღვევა.
ასევე:

რა არ გეგმენია აქ უცხოეთის და განსაკუთრებით შევიცარიის [უნდა გამოიყოს მძიმე-ბოთ] თავისუფალი ცხოვრების შესახებ (ი. მანსვეტ); ვეფას რწმენით, ყველა მწერალმა, და, მით უმეტეს, დიდმა მწერალმა [უნდა იყოს: ყველა მწერალმა, და მით უმეტეს დიდმა მწერალმა] მშობლიურ ენაზე უნდა წეროს („ძე. ქართ. მწ. მკვ“).

მაგრამ, თუ განკერძოებული წევრი თვითონ არის მრავალშემადგენლიანი, მაშინ ზმნისართი ჩართულის როლში გამოდის. მაგ.:

პედაგოგიურ ახარგუნებ მოღვაწეობისას, კერძოდ, დიდი თონეთის სკოლაში მასწავლებლობის პერიოდში, ვაჟა ხაღორთო რჯულსაც ასწავლიდა („ძე. ქართ. მწ. მკვ“); მოქმედების რაიმე პროგრამა, მით უმეტეს, გარკვეული პოლიტიკური მრწამსი, თუთაშხიას არ აქონდა („კირი“).

4. ა) **აღბათ**, რომელიც წარმოშობით ზმნისართია, დღეს მოდალურ ნაწილაკად არის ქცეული. ნებისმიერ პოზიციაში იგი მძიმეებით გამოყოფის გარეშეც არ არღვევს წინადადების აზრს. მაგ.:

აღბათ ყველას გვიწახავს კრანის წინ თვალგაციმციმებული ცეროდენა... (პრეს). შდრ: ყველას გვიწახავს აღბათ... ან ყველას აღბათ გვიწახავს...

მაგრამ თუ **აღბათ** შემასმენლისაგან ძალზე დაშორებულია (და წინადადება გრძელია), უმჯობესია, **აღბათ** გამოვეყოთ მძიმეებით. მაგალითად:

⁵⁸ შდრ. ნ. ბახილაია, დსახ. ნაშრ., გვ. 53.



აღბათ, ახალგაზრდობას ყველა დროში აინტერესებდა ყოველივე ახალი, რასაც შეეძლო შეეცნობოდა (პრეს.); თავისი მხატვრული მიგნებებით, აღბათ, „ვეფხისტყაოსნის“ ერთერთი გამოცემა და ადგილია ნესტანისა და ტარიელის შეხვედრა („ცისკ“).

ბ) სიტყვა აგრეთვე (ცა), კიდევ ნაწილაკების როლს ასრულებს შემასმენელთან უშუალო მეხოზლობაში და მძიმით არ უნდა გამოიყოს. მაგ:

ბ. ტაბიძის თარგმანიდან აღსანიშნავია აგრეთვე „ნაკადულში“ გამოქვეყნებული „რადია ზღვა მარლიანი“ (ნ. ტაბ.). კომთაღმწერლის მონაცემებს ითვალისწინებს, აგრეთვე, [არ უნდა იყოს გამოყოფილი მძიმებით] „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მესამე ტომის თანავეტორი... („ცისკარი“). შედეგებმა ცხადვეს, აგრეთვე, [პირველი მძიმე ზედმეტია] რომ ხანძარსაშიში მდგომარეობა შექმნილი (პრეს.).

არ უნდა გამოიყოს მძიმებით **აგრეთვე** ნაწილაკი ერთგვაროვან წვერებთანაც, როცა იგი და (ან) კავშირის ფუნქციას ასრულებს, ან - ც (ან) ნაწილაკის ფუნქციას და კავშირის გვერდით. მაგ:

ჩვენ მიერ მინიშნებული სიტუაციები... აგრეთვე (= და || ან) შემთხვევები, როცა საზოგადოების ინტერესების ხელყოფა ხდება... მიროზარემოს ეფექტის მნიშვნელობას წარმოაჩენს...

როცა **აგრეთვე** ნაწილაკით დაკავშირებული წვერი მრავალშემადგენლიანია, **აგრეთვე** განკერძოვდება და ჩართულის ფუნქციას შეასრულებს.

შღრ: ჩემპიონატის დასაწყისში საქართველოს გუნდები - თბილისის „დინამო“, აგრეთვე (-და კავშირის) „გურია“ დამარცხდნენ“. ან: „თბილისის „დინამო“ და აგრეთვე „გურია“ (სხვაგვარად: [და] „გურიაც“) დამარცხდნენ“. მაგრამ: „თბილისის „დინამო“, აგრეთვე (|| და აგრეთვე), [ჩართული] უმადლეს ღიჯაში ახალგადახული (ღანჩუთის გუნდი) „გურია“ დამარცხდნენ“.

5. ზმნის პირიანი ფორმები წინადადების შემასმენლის მიმართ კონტაქტურ პოზიციაში მოდალური ნაწილაკის ფუნქციას ასრულებს და მძიმით არ გამოიყოფა. ე. ი. ისეთი შესიტყვებები, როგორცაა **შეიძლება დაიფურთო, მგონი დაიფიქვანეთ, ეტყობა უჭირთ, ჩანს დაიფურა და მისთ.** ინტონაციურად და სემანტიკურად დაუნაწევრებელი შესიტყვებებია:

შესაძლოა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ხელი ეშლება მკითხველის მიერ პოემის ესთეტიკური აღქმის მძლიანობას.

შემასმენლის მიმართ დისტანციურ პოზიციაში კი იგივე ფორმები ჩართულად ხორციელდება და უნდა გამოიყოს მძიმით (მძიმეებით). მაგ:

ჩანს „ეისრაშიანი“ მ. ბროსეს „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებითაც აინტერესებდა („ფ. ქართ. მწ. მკვ.“); ჩვენი ლურსაბი, მკონი, თითონაც ბუერს არ იცვლდა თავში, - რატომ სწავლა არა მაქვსო (ილია); მენავე მარდად უსვამს ნიშბებს. მენავეს, ეტყობა, მაგარი კუნთები აქვს (ო. იოს.).

6. ჩართულის ფუნქციას ასრულებენ შედგენილი შემასმენლის ფორმის მქონე სიტყვები - **რასაკვირველია, ცხადია, ბუნებრივია, უეჭველია, მგელია, წარმოუდგენელია, შეუძლებელია** და მისთ. წინადადების თავში (ან ბოლოში) ეს სიტყვები თითო მძიმით გამოიყოფა, წინადადების შუაში კი - ორი მძიმით. მაგალითები:

წინადადების თავში:

მართალია, არც ამ სისუსტეების გამო ღირს წაერუბა (გ. ასათ); ბუნებრივია, მეწისქვილნი და მთოვეხენი მდინარის პირად უნდა ყოფილიყვნენ დასახლებულნი... (ა. სულაკა).

წინადადების შუაში:

ჩვენს სულთამხუთავს, რასაკვირველია, უფრო ეამებოდა, ჩვენ რომ ერთგულ უღალატო ქვეშევრდომებად გაეკებოდით ვეხქვეშ (გ. ასათ); რელივიამ იგრძნო განათლების სასრულობა და, ცხადია, იგი მის კულტს არ მიიღებდა (პრეს.); მე, რასაკვირველია, ვერ გამოვდგები მსახურად...

(პრეს.).

წინადადების ბოლოს:

თანახმა ვარ გაგიმხილოთ, ქმართაგან საიდუმლოდ, რა ხაკვირველია (პრეს.).

შენიშვნა: ამ სიტყვებსა და წინადადების დანარჩენ ნაწილს შორის არ უნდა დაისვას რომ კავშირი. მაგ.:

ცხადია, რომ ნაწვერალის დამუშავება... აჩეჩით უნდა დაიწყოთ (ა. ჯაფარ.).

რომ კავშირი ზედმეტია, საერთოდ, ზმნური ფორმის მქონე ჩართულებთან.

7. მიძივებით არ გამოიყოფა ე.წ. ნატვრითი (ნეტავ || ნეტა || ნეტამც), შესაძლებლობა-ვარაუდის გამომხატველი (იქნებ || ეგებ), უნახაობის (თურმე) ნაწილაკები და სხვა დამხმარე, მოდალური, სიტყვები⁵⁹, თუნდაც მათზე მოდიოდეს ფრაზის ლოგიკური მახვილი.

8. საერთოდ გაუშვართლებელია წინადადების წვერთა გამოყოფა მხოლოდ ლოგიკური მახვილის საფუძველზე⁶⁰. მაგ.:

თუ აღამაინი შრომობდა, იგი, უუკველად, ზნეობრივადც ფაქიხი იქნება. ფესტივალში, ამ-ჯერად, 80 ჰექტარი... 120 კინოსურათი მონაწილეობდა. ახალგაზრდობის აღზრდის საქმე დღეს, საქართველოში, გადაუდებელ, ყოველდღიურ საქმედ მიმანია.

* * *

ჩართულის მართლწერასთან, როგორც აღენიშნეთ, დაკავშირებულია წმინდა სტილისტიკური ხასიათის საკითხებიც, კერძოდ, ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების კონტექსტის შესაბამისად გამოყენების საკითხი.

სტილისტიკური ხასიათის დარღვევად ჩითვლება:

1. ერთი ჩართული სიტყვის გამოყენება მეორის ნაცვლად (ჩართულთა სინონიმური წყვილები ყოველთვის თავისუფლად ვერ მონაცვლეობენ). მაგალითად:

აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროული და ხარისხობრივი ჩატარება უზრუნველყოფს მაღალ მოსავალს. სახელდობრ [აჯობებდა მაგალითად], ერთ-ერთ ოლქში თითოეული ჰექტარიდან 30 ც ხორბლის მოსავალი აღეს (ა. ჯაფარ.); მსოფლიო წარმოებაში საშუალოდ ხორბლის ნათესი მნიშვნელოვანდ შეტია საგაზაფხულო ხორბლის ფორმებზე. სახელდობრ [აჯობებდა კერძოდ], აზიას და ევროპის კონტინენტზე საგაზაფხულო ხორბალი უმნიშვნელოა (ა.ჯაფარ.) [შეენიშნათ, რომ სტილისტიკურად წინადადება საერთოდ გაუმართავია].

2. ჩართული სიტყვის წმინდა ფორმალური გამოყენება – როცა იგი ფრაზის „ცრუ სამკაულად“ იქცევა. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში განსაკუთრებით მოხშირდა ზოგიერთი ნაწილაკ-ჩართულის (უბრალოდ, არადა...) გამოყენება საკავშირებელ სიტყვად. მაგ.:

აედმყოფს გადაუხებს ... ხისხელ, მაგრამ ... საკმარისი არ აღმოჩნდა. არადა, ახალი დიორის მოსაძებნად დრო აღარ რჩებოდა [აჯობებდა: ახალი დიორის მოსაძებნად კი დრო აღარ რჩებოდა] (პრეს.); რამდენი ხანი ველოდი ამ შესვენებას! არადა, ბატონი ოთარი შეუძლოდ ბრძანდებოდა და შეწუხებას ვერიდებოდი [არადა-ს ხმარებას თუ თავს ვერ დავადწვედით, კორესპონდენტის სურვილსა და სინამდვილეს შორის მიმართებას ფრაზის ასეთი აგება უფრო გამოხატავდა: ბატონი ოთარი შეუძლოდ ბრძანდებოდა და შეწუხებას ვერიდებოდი. არადა, რამდენი ხანი ველოდი ამ შესვენებას] (პრეს.); უბრალოდ, სიარულიც ამხელდა [შეიძლება უბრალოდ სიტყვის გარეშეც], რომ მიველი სხეული ყოვლისშემძერელი გაოცებით ქიხნდა ხავსე... (ე. მადრ.).

სასაუბრო ენაში კი დღეს ხშირია მაშასადამე, მოკვლედ, პრინციპულად (პრინციპში), სადღაც... და მსგავსი სიტყვების სტილური მიზნით გამოყენება. ამგვარი სტილით შეტყვევება

⁵⁹ იხ. ნ. ბახილია, დხახ. ნაშრ., გვ. 173-178.

⁶⁰ წინადადების ცალკეული ნაწილების, შესიტყვებების ასეთი ინტონაციური დანაწევრება, ე. წ. პარცელაცია, თავისთავად, შეიძლება ცალკე დაკვირვების საგანი იყოს. იხ. „Грамматика современного русского языка“, М., 1970, გვ. 621-622.



გვაგონებს გლახა ჭრიაშვილის - ამ „სიტყვა-პასუხიანი კაცის“ - მეტყველებს ლიდიამ ილიამ „ფიქტის ქსელივით გაბმული“ უწოდა. გაეცხენეთ:

„ისე დალაგებით მოგახსენებ, შენი ჭირიშე, ხინჯარით, შენი ჭირიშე, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, სოფელი არავის მოუკამია. აი, ამიტომაც მინდა თავიდან დაიწყო, ისე სჯობია, თავიდანვე დალაგებით მოგახსენო: პაპა-ჩემი აზნაური გხლებით - ეს ღიღიხნის ამავე გახლავს - ნუგზარ ერისთვის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სიხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, თორემ შენა იმ დროების რა მეცოდინება? ღიღი ხნის კაცი როდი ვარ. მართალია, წვერ-ულვაშში ჭალარა გამოძრევა, მაგრამ მაგარი ესაა, რომ ღიღი ხნისა არა ვარ...“⁶¹

დამხმარე სიტყვებით „აკინძული“, გაუმართავი ფრაზის ორიოდ ნიმუში პრესის ენიდან:

„ყოველი მხრიდან მიხალმებოდნენ მას, თითქოსდა ლიდერი და ხალხის აზრების მუფუე ყოფილიყო. თუმცაღა, განა, მართლაც, არსებობდა, ახეც-არ იყო? განა ბუნებრივი ტალანტით მადლცხებული, ხალხის ნაჭით დაჯილდოებული ათლეტი, პირველ ყოვლისა, თუკი ეს შეუძლია (!) მშობლიური ხალხის გასახარად არ უნდა იღვწოდეს?

ამ რიგის დარღვევების თავიდან ასაცილებლად ნორმის დაწესება, ცხადია, გაძნელებდა. ჩვენი მიზანი იქნება დავაზუსტოთ და წარმოვადგინოთ ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების ფუნქციები და გამოყენების არე ფუნქციონალური სტილების მიხედვით, რაც უკვე ცალკე წერილის თემაა.

იმის საბუთად კი, თუ რა ფსევდოფექტის გამომწვევია ჩართულებისა თუ დამხმარე სიტყვების „უმიხამართო“ ხმარება, ხაზგასმულად „ამაღლებული სტილით“ მეტყველება, ამ წერილს უჩვეულოდ დავამთავრებთ - ერთი თანამედროვე მწერლის მოხდენილი იუმორით:

„პროფესორი ადგა: ისა... მე... მაშასადამე... უნდა ვიფიქროთ... ბავშვების აღზრდა... ისა... ხაყურადღებოა... უშინსკო... როგორც ვთქვით...“ ოთახში ზრდილობიანი სინემე იდგა. პროფესორი დაჯდა და მერხზე თითქოს კაკუნი დაიწყო... მასწავლებელმა მშობლებს გადახვდა: „მანც რას ნიშნავს განათლებული კაცი! (თ. ჭილაძე).

⁶¹ ილია ჭავჭავაძე, რჩეული, ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1985, გვ. 281.



ქართული ენის ფონოლოგიური მოდელის დარღვევის გამო წარმოთქმაში¹

ქართული ენის ფონოლოგიური მოდელი თავისებურია და, როგორც კ. უსლარი აღნიშნავდა ქართული ანბანის დასახასიათებლად, საერთო კავკასიური ტიპისაა და მისი იდეალური ამსახველია. მისი იდეალურობა იმაში გამოიხატება, რომ ფონოლოგიურ დონეზე მასში თანხვედრლია სამეტყველო ბგერის შესაბამისობა ნიშანთან, ე. ი. ყველა სამეტყველო ფონემას შესაბამისი ნიშანი აქვს. ფრიად საგულისხმოა ისიც, რომ ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციის მქონე ქართულ ენას – მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო მწიგნობრობის ენა მრავალრიცხოვანი ენა-კლდეებისა და ხანგრძლივი, მრავალბგეროვანი, თანაც, სხვადასხვა მასშტაბისა და სიძლიერის კონტაქტები პქონდა ასევე მრავალბგერ მტერ-მოყვრის ენებთან – ეს თავისი ფონოლოგიური მოდელი ქართულ ენას არსებითად არ შეუცვლია თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში. ეს საბუნებრო „კონსერვატიზმი“ უდიდესი მნიშვნელობისაა ჩვენი ისტორიული ერთიანობისა, წარსულთან შინაგანი კონტაქტის შენარჩუნებისა და მომავალში ეროვნული სიმტკიცისთვის.

და აი დღეს, სამწუხაროდ, ისახება სურათი ზემოთ ნახსენები ფონოლოგიური მოდელის მოშლისა. ეს საგანგაშოა, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც ლექსიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ კადკირებათა შემთხვევები, რომლებიც ამ ბოლო ხანებში წაღვეცივი ემუქება ქართულ ენას, რაც არაერთგზის აღნიშნულა და რასთანაც ბრძოლა ყველას ერთნაირად არ გეგმის. ხოლო ამ მხრივ გაწეული სამუშაოებიც სათანადო შედეგს არ იძლევა.

ქართული ფონოლოგიური მოდელის შერყევს შემთხვევები ძირითადად წარმოთქმის სფეროში რნება და, ისიც, ეპიზოდურად. მაგრამ, თუ ამთავითვე იგი არ მოექცა ჩვენი ყურადღების ცენტრში, შესაძლოა, მან არც გაიფართოს და ზოგ შემთხვევაში სამწერლობო ენაშიც „მოთხოვოს“ თავისი ადგილი.

საკითხი ეხება, ერთი მხრივ, სხვა ენათა ბაგეკიბისმიერი ფონემის შემცველ სიტყვათა ქართულად გადმოღება-გამოთქმას და, მეორე მხრივ, კ. ჰ ბგერათა შემცველ უცხოურ ფუძეთა გადმოღებას „გამაშუალელები“ ენის მოდელით, ასევე, ზოგჯერ სხვა ცალკეულ გამოთქმასაც.

ეს ზემოთ დასახელებული ფაქტები ერთნაირი მნიშვნელობისა არ არის და მათი მოვლის საკითხიც განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს.

წარმოთქმის სფეროში დარღვევები ყველაზე მეტად შეეხება უცხოურ ფუძეებში ფ ფონემას.

ცნობილია, რომ ქართულ ენას ასეთი ფონემა არ გააჩნია, მაგრამ ქართული ენის ისტორიაში ყოფილა ცდა ხელოვნურად ფ ასოს შემოტანისა. და, თუმცა ამას საკმაოდ ავტორიტეტის მქონე პირნი იცავდნენ, ქართულში მან ფესვი ვერ გაიდგა, ქართული ენის ბუნებას ვერ შეეფუა. ახლა რა ვითარებაა? ახლა, პირიქით, „მიმბაძელობით“, რუსული ენის გავლენით (ამ ბოლო დროს ზოგი სხვა უცხოური ენის გავლენითაც) ზოგი პირის (უმთავრესად ახალგაზრდათა) გამოთქმაში ფესვი იკედებს ფ. სრულიად გაუთვითცნობიერებლად ისმის: კაფი, კოფი, ჭანჭანი, სერთიფიკატი, და მეტიც „პალატი“ ტრიბუნდანი არცთუ იშვიათად გაიგონებთ ორატორებისაგან: ჭორუმი, კონჭერენციას, კონჭორნაციას, ნარკომაფიას და მისთ.

რუსულ ენას, როგორც ცნობილია, ფშენივიერი ბაგისმიერი ხშული ფ(ph) ბგერა არ გააჩნია და სათანადო შემთხვევებს ბერძნული თუ სხვა ევროპული ენებისას გადმოსცემს ფ სპირანტი (მდრ. რუს. физика, ფრ. physique და სხვ.). ქართულ ენას, რომელსაც ძველი ლიტერატურული ტრადიციები აქვს ბერძნულიდან თუ სხვა ph-ის მქონე ენებიდან, ეს ფონემა საეკსპოთად აღგვეტურად გადმოღებული აქვს ფ ბგერით. ამიტომაც არის, რომ ტრადიციულ ქართულ მწიგნობრობაზე აღზრდილ არც ერთ თანამედროვე ქართველ ახალგაზრდას დღეს-ენაზე მეტყველებისას არ წამოსცდება „ფიზიკა“, არამედ მტკიცედ ამბობს ფიზიკას, ფილოსოფიას და მისთანებს, მაგრამ ახლად შემოსულ სიტყვებში რუსულის გზით უმთავრესად,

¹ ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეათე, 1993.



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამბობს ჭანტაძის (და, რაღა თქმა უნდა, აღარც კაჭეს და სხვ.

გეგმვები კიდევ უფრო უცნაური შეთხვევებით: არც რუსულში და არც სხვა ევროპულ ენებში არა გვაქვს ფუძეში ფ. მაგრამ იგივე პირი სათანადო ფუძეებში იცავს ფ-ს, ამბობს: ფაქტს, ფრანგს და სხვ. (ე.ი. ფ არ წამოსცდება). ამ რგის მოვლენათა ანალიზისას კი მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ პირთა მეტყველებაში ყალიბდება სრულიად გაუმართლებელი ე. წ. „ფსევდოფონოლოგიური“ დაპირისპირება ქართულ ენაში ფ-სა და ფ-ს შორის (ხდება მათი „გადანაწილება“). ესეც, თავის მხრივ, ნათულს ხდის, რომ ქართული ენის ფონოლოგიური სისტემისათვის შეუთავსებელ ფ ბგერას მასში ადგილი არ უნდა ჰქონდეს და ურყევად უნდა იქნეს დაცული ქართული მართლმეტყველების პრინციპები.

ყურადღებას მოითხოვს ზოგჯერ ნასესხებ სიტყვათა ფუძეებში ქ / ხ-ს აღრვეის საკითხი. ძველი ქართული სალიტერატურო ტრადიციის მიხედვით, დამკვიდრებულია ქ ბგერით გადმოცემა მთელი რიგი ფუძეებისა, რომელთა ადგილას რუსულში ხ (x) გეგმვება. ასეა დაფუძნებული ქართულში: ტექნიკა, ქრონიკა, მექანიკა, ქიმიკა და მისი.

მაგრამ ამ პოლო დროს ზოგიერთთა წარმოთქმაში ფეხი მოიკიდა სხვა ენობრივი გავლენის შედეგად ხ ბგერამ, განსაკუთრებით, „ტეხნიკა“ სიტყვაში და მისი ძირისაგან ნაწარმოებ ფუძეებში. მდიდარი მწიგნობრული ტრადიციისა და ფონოლოგიური სისტემის მქონე ქართულ ენაში ასეთი მოვლენები დაუშვებელია და მეტყველი უნდა ცდილობდეს ამგვარი დარღვევები არ მოსდოდეს.

საზრუნავია ჰ-ს გამოყენების საკითხიც ნასესხებ სიტყვებში.

ჰ ბგერა ქართულ მასალაში უმთავრესად პრეფიქსად გეგმვება: ჰეავს, ჰქვია, ჰქონდა... (ცალკეულ ფუძეებში: ჰაერი, ჰავა და სხვ ამდენადვე, ქართულ ენას აქვს შესაძლებლობა სხვა ენათა ჰავს (h) ქართულადვე ჰ-დ გამოცემისა. ძირითადად ეს წესი დაცულია კიდევ სალიტერატურო ენაში² მაგრამ „ჰექტარ“ და ჰ-ს შემცველი სხვა სიტყვების გამოთქმისას ხშირად გაისმის რუსულის მსგავსად: ბექტარი, გემოგლობინი, ინგალაცია, გაიმორიტი, განტელი, გიანოზი და მისი.

თუ ზემოთ განხილულ ბგერებთან (ფ, ხ-სთან) დავამიბრებთ ითქვა, რომ მათი ხმარება ზოგიერთი პირის მხოლოდ გამართქმაში შეინიშნებაო და ჯერჯერობით მართლწერის ნორმებში დაცულიაო, ამას ვეღარ ვიტყვით ჰ-ს შემთხვევაზე „ჰექტარი“ და მისთანები დაწერილშიაც კი შეიძლება არაიშვიათად დავადასტუროთ (მაგ: „ბავშვები ინგალაციას იტარებენ“, – პრეს).

ჰ ბგერა ქართულში, ცნობილია, სუსტი პოზიციის ბგერაა და ამიტომაცაა, რომ გლვები ხშირად (ტელეგრაფიკულთა ინტერვიუებში) „ჰექტარს“ (sic!) ამბობენ. ეს სახეობა, კაცმა რომ თქვას, „ჰექტარს“ კი სჯობია, მაგრამ იმის საფუძველს მაინც არ გვაძლევს, არ დავიცვათ სალიტერატურო ენის ნორმა.

გამოთქმის მხრივ თავისებურია ქართულ ლ ბგერის საკითხი.

ქართულ ენას ერთი ლ ბგერა (ფონემა) აქვს. იგი საშუალო „სიმაგრისა“ და არ არჩევს მაგარ და რბილ სახეობებს, მაგალითად, რუსულის მსგავსად (შდრ. пух „აღო“ და пух „მეგრეთ“). მაგრამ ეს ერთი საშუალო „სიმაგრის“ ლ ქართულ დიალექტებში და, განსაკუთრებით, ცალკეულ პირთა მეტყველებაში ხშირად „დარბილად“ გამოითქმის (უმთავრესად ქვემოიმგრეთლთა³ მეგრეთლთა⁴ კახელთა... და თვით ხევსურთა მეტყველებაშიც კი).

² აქ არას ვამბობთ მთელ რიგ ნასესხებ ფუძეებში ქ / ხ-ს აღრვეის საკითხზე, ვინაიდან ამის შესახებ არსებობს საკმაო სპეციალური ლიტერატურა.

³ გურულითა მეტყველებაში, ჩვენი აზრით, ე. წ. „ქალაქური გამოთქმის“ ქვეშეცნეული მიბაძვის შედეგად ზოგჯერ შეგვიინიშნავს ოდნავ „გამაგრებული“ გამოთქმა ლ ბგერისა.

⁴ ცნობილია, რომ მეგრულში ერთი დ არსებობს და ის „რბილად“ გამოითქმის. ასევე ერთი ლ ფონემა აქვს აფხაზურ ენასაც, ოდნავ იგი „მაგრად“ გამოითქმის. მიუხედავად ტერიტორიული სიახლოვისა და ამ ენათა შორის გარკვეული კონტაქტების არსებობისა, ვერც ერთმა მათგანმა გავლენა ვერ მოახდინა ერთმანეთის ლ ბგერის გამოთქმაზე.



ქართული ენის სიტყვებში ამ ბგერის ნაწილობრივ განსხვავებული ელფერტრ ჩამოტქმამი ცალკეული პირების მიერ ენისათვის, მისი ფონოლოგიური სისტემისათვის ატყეფტრ ქმტქმ რთხეს არ ქმნის, თუმცა დიქტორათვის, მსახიობათვის აუცილებელია გამოთქმისას მისი საშუალო ტიპის დაცვა.

ამავე დროს ზოგჯერ შეინიშნება რუსული ენის მ-ს ქართულად გადმოცემის შემთხვევა-ბი. ეს კი დასაგმობია და ყურადღების მიქცევას მოითხოვს.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ზოგი დარღვევა ქართულ სიტყვებში ცალკეული ბგერების „გარუსულებული“ გამოთქმისა (ზოგიერთი) დიქტორის შეტყვევლებაში. ეს განსაკუთრებით ეხება შ თანხმოვანს (იშუიათად ჟ-ს).

ქართულში შ თანხმოვანი საშუალო ტიპისაა (არც მაინცდამაინც რბილი და არც მით უმეტეს – მაგარი!).

მაგარ და რბილ სახეობებს სპირანტებში რუსული განარჩევს. რიგ შემთხვევაში რუსული მ გამოითქმის „მაგრად“. აი, რუსული მ-ს ეს „მაგარი“ გამოთქმა ზოგ ჩვენს ქართველ დიქტორს გადააქვს ქართულ სიტყვებშიც. ეს შეინიშნება როგორც ცალკეულ ფუძეებში, ისე -ში თანდებულის გამოთქმისას.

ამას შეიძლება სხვადასხვა ახსნა პქონდეს. პროფესიის სპეციფიკის გამო რუსულ გამოთქმაზე „განწყობილ“ დიქტორს უჭირს ერთბაშად ქართულზე „გადმორთვა“ და შერჩება რუსულის გამოთქმა,⁵ ან კიდევ, შეიძლება იგი შედეგი იყოს ერთგვარი დიქტორული მეტყველების „შტამისა“, რისგანაც უნდა განთავისუფლდნენ ქართულ გადაცემათა დიქტორები. ეს ბოლო ვარაუდი რომ უფრო სწორია, იქიდან ჩანს, რომ იგივე დიქტორები, „ველზე“ გასულნი, უბრალო და უშუალო ინტერვიუების პროცესში, ჩვეულებრივ, გამოთქმისას ბუნებრივ შ-ს ამბობენ.

როგორც ზემოთ განხილული ფაქტები ცხადყოფს, ორთოეპიის თვალსაზრისით მოწესრიგებულ ქართულ სალიტერატურო ენაში უცხო ენობრივი გავლენების შედეგად ჩნდება მისაგვარებელი საკითხები. მათ ამთავითვე უნდა მოეუაროთ.

⁵ ამის გამოწვევა, ალბათ, რომ ზოგჯერ ქართველი დიქტორი პროგრამა „მომამებს“ აცხადებს როგორც მისამბა-ს!



1. შესავალი -----	3
2. აკაკი შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში -----	4
3. აკაკი შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში -----	13
4. დამანა მელიქიშვილი, „მიჭირს“ ზმნა და მასწავლებლის გასაკვირი -----	26
5. არამ მარტიროსოვი, ზმნისწინის შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ქართულში -----	34
6. ელენე ბაბუნაშვილი, საშუალო გეარის ზმნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართულში -----	48
7. თინათინ ღვინაძე, ვნებითის ფორმათა მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები -----	52
8. არნოლდ ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკეთულებთა დაჯგუფების პრინციპისათვის -----	60
9. ნოდარ ნათაძე, მესამე სერის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში -----	72
10. ივანე ქუთარაძე, დრო-კილოთა მესამე სერის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში -----	87
11. ეკატერინე ოხიძე, მიმდებობის წარმოება ქართულში -----	101
12. ვიოლა კალანდაძე, არსებითი სახელი -----	120
13. ვიოლა კალანდაძე, ზედსართავი სახელი -----	122
14. არამ მარტიროსოვი, ნაცვალსახელი -----	124
15. ლალი ეზუგბაია, რიცხვი -----	126
16. ლევან ბრეგვაძე, ორმაგსუფიქსიანი მრავლობითი გუშინ და დღეს -----	128
17. ცირა ღვინაძე, ზმნიზედის სწავლების ზოგიერთი საკითხი -----	130
18. არამ მარტიროსოვი, თანდებულები ქართულში -----	135
19. სერგი ჟღენტი, შორისდებული ახალ ხალიტერატურო ქართულში -----	163
20. ბესარიონ ჯორბენაძე, ნაზმზარი მოდალური ელემენტები ქართულში -----	171
21. ელენე კოშირიძე, კვლავ ერთი სადავო საკითხის გამო -----	179
22. არნოლდ ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში -----	183
23. ანტონ კიზირია, ობიექტის მიერ ზმნის შეთანხმება მრავლობით რიცხვში თანამედროვე ქართულში -----	192
24. ნელი ცკიტიშვილი, ერთი სინტაქსური მოვლენის შესახებ -----	201
25. ალექსანდრე ფოცხიშვილი, უბრალო დამატება თუ ადგილის გარემოება? -----	206
26. ანტონ კიზირია, სუბსტანტიური მსახდურული -----	209
27. ლია ლეკავა, მსახდურელთა რიგი არაერთგვარ მსახდურელებიან შესიტყვებაში -----	216
28. ცირა კალაძე, საზღვრული სახელის რიცხვი ორ და მეტ მსახდურელთან (დიდი და პატარა სახელი თუ დიდი და პატარა სახლები?) -----	237
29. ლია ლეკავა, ზმნისართ-კავშირთა გამოყენების საკითხებისათვის -----	247
30. ნელი ცკიტიშვილი, ჩართული -----	253
31. ქეთევან ლომთათიძე, ქართული ენის ფონოლოგიური მოდელის დარღვევის გამო წარმოთქმაში -----	276

127.631
K 24
344136940
3034010333